

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

Arnold Chikobava Institute of Linguistics at TSU

დიალექტოლოგიური  
კრებული

2024

The Collection of  
Dialectological Papers

თბილისი 2024 Tbilisi

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში არნ. ჩიკობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოსცემდა „დიალექტოლოგიურ კრებულს“. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, აღდგეს „დიალექტოლოგიური კრებული“. მასში გამოქვეყნდება ქართველური ენების დიალექტების შესახებ გამოკვლევები, სალექსიკონო მასალა და ტექსტები.

In the 80s of the 20<sup>th</sup> century Arnold Chikobava Institute of Linguistics published “The Collection of Dialectological Papers”. The Scientific Board of the Institute decided to start publishing the collection again. It will include researches about the dialects of Kartvelian languages, lexical material and texts.

### **სარედაქციო კოლეგია:**

ავთანდილ არაბული, მარინე ბერიძე, მანანა ბუკია, თეა ბურჭულაძე (რედაქტორის მოადგილე), ლელა გიგლემიანი, **გიორგი გოგოლაშვილი** (რედაქტორი), ნანა მაჭავარიანი, მამია ფაღავა, ვაჟა შენგელია, მერაბ ჩუხუა, ნინო ციხიშვილი (სწავლული მდივანი), გიორგი ცოცანიძე, რიტა ჯაიანი (ინგლისური ნაწილის რედაქტორი)

### **Editorial Board:**

Avtandil Arabuli, Marine Beridze, Manana Bukia, Tea Burchuladze (Deputy editor) Lela Giglemiani, **Giorgi Gogolashvili** (editor), Nana Machavariani, Mamia Paghava, Vazha Shengelia, Merab Chukhua, Nino Tsikhi-shvili (scientific secretary), Giorgi Tsotsanidze, Rita Jaiani (editor for English texts)

ტექნიკური რედაქტორი **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024  
არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2024

ISBN 978-9941-36-291-0

სალომე ბუზბერიძე

**არსებითი სახელთა ბრუნების პარადიგმები  
ებრაელთა ქართულში\***

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით ებრაელთა ქართული ქართულის ეთნოლექტადაა მიჩნეული, რომელიც სხვადასხვა კილოკავისაგან შედგება (ლომთაძე, კვირიკაშვილი, 2024). ეს იმას ნიშნავს, რომ ებრაელთა ქართულში გამოიყოფა ქუთაისური, კულაშური, ონური, თბილისური, გორული, ცხინვალური, ბანძური და ა. შ. კილოკავები. ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშების არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმის განხილვა გვაჩვენებს, რომ არსებობს თავისებურებები, რომლებსაც ყველა კუთხის ებრაელები იყენებენ და არსებობს მოვლენები, რომლებიც მხოლოდ ამა თუ იმ კუთხის ებრაელთა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, ქართველ ებრაელთა მეტყველების კვლევა მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიისა და დიალექტოლოგიის თვალსაზრისით.

არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმების შესასწავლად გამოვიყენეთ როგორც როზა თავდიდიშვილისა და რეუვენ ენოხის მიერ მეოცე საუკუნის 40-იან-70-იან წლებში ხელით ჩაწერილი ტექსტები, ასევე 21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე რუსთაველისა და ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჩაწერილი ვიდეო მასალები.

**თანხმოვანფუძიანი სახელები**

ა) **თანხმოვანფუძიანი საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმა**

**წრფელობითი ბრუნვის გამოყენებით ებრაელთა ქართული აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში არსებულ არქაულ ფორმებთან ავლენს საერთოს და ემიჯნება თანამედროვე სტანდარტულ ქართულს.**

\* შესრულებულია შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „ქართველ ებრაელთა ენობრივი რეპერტუარი: მიგრაციები, ენობრივი კომპეტენციები და იერარქიები“ (FR-22-5180) – ფარგლებში.

ებრაელთა მეტყველებაში ხშირია საზოგადო სახელთა გაუფორმებელი ფუძით გამოყენების შემთხვევები. მაგალითად, *და ეს პარასკებ რო შემოდის შაბათი გადის შაბათ საღამოს...* (მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.); *ქუდ სად არი?* (ისრაელში მცხოვრებ კულაშელი ებრაელის მეტყველებიდან: ფბ, 2018)... ეს ფაქტი დადასტურდა რ. თავდიდიშვილის ჩაწერილ მასალაშიც: *ელამი ჭაპანაი, ღჯოღლებიანი, მუხლოუხოს ფერ არი* (იქვე). მუხლოუხოს ფერ არი [ასეა. ნ. სურმა-ვა.].

ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართული ენის ქვესისტემისთვისაც. (ფხოური, ქართლური, რაჭული...). მაგალითად: *ქალ წამართვით ხომო?* (რაჭ.); *ქალ წაიყვანეს* (ფშ.); ნაოფლარს *ჯვარ* დაგვიწერი, აქ *ვალ* აღარ გვაქვ... (ხევს.).

**სახელობით** ბრუნვაში ძირითადად დასტურდება ასევე – ინიშანი, რითაც ებრაელთა მეტყველება სტანდარტულ ქართულს მი-სდევს.: ხენწიფის *ქალიშვილი* ხო გახდებოდა გასათხუარი... (ქდვ); *ადამიანი მიწიდან არი შექმნილი* (მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)...

ებრაელთა ქართულში 21-ე საუკუნეში ჩაწერილ მასალებში თანხმოდანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან **მოთხრობით ბრუნვაში** უმეტესად გვხვდება **-მა** ბრუნვის ნიშანი: მაგალითად, – *მა:ხო ნახა და გაშინჯა ამ ჯანიოს აქიმმა* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ცოლმა უთხრა: სულ სახლში რომ ხარ, გაიარ-გამოიარეო* (ოსუფა 1982: №25149);

**მა-ს** პარალელურად ზოგჯერ დასტურდება არქაული **-მან** ნიშნიანი ფორმებიც. *უთხრა მას ყმამან ხენწიფისამან* (დადუნაშვილი... 1999: 80) ტექსტში იგრძნობა ზეპირ თარგმანთა ენის გავლენა.

**-მან** ბრუნვის ნიშანი უმეტესად რელიგიური ხასიათის ტექსტებშია გავრცელებული: მაგალითად, *ასე მძანა შვილმან შენმან იოსებმან: დამსვა მე ღმერთმან ბატონად თელი მიცრაიმისათვის;* (ბერემ., თ. 45); *... ან გამოგვცადოს ღმერთმან მოსავალად ასაყვანლად მისთვის ერად* („ფესახის აგადა“, ენოხი, 2014: 30).

არის შემთხვევები, როცა ქართველ ებრაელთა თორის ზეპირ თარგმანებში დასტურდება მოთხრობითის ახალი და ძველი წარმოების ფაქტები ერთდროულად. მაგალითად, *და მძანა ღმერთმან: ამოიძრიოს იმა წყალმან ამოსანძრევი სულისა ცოცხლიერისა და ფრინველმა ივრინოს ზედა იმა დედამიწაზედა ...* (ბერემ., თ. 1). რო-

გორც რ. ენოხი წერს, „ფესახის აგადის“ თარგმანში „ერთმანეთის გვერდითაა **-მან** დაბოლოებიანი და გამარტივებული **-მა** ბრუნვის-ნიშნისანი ფორმები. მაგალითად, **a** რედაქციაში გვაქვს: **მთებმან** იხტუნეს ერკემელისებრივ, **b** რედაქციაში კი იგივე სახელი წარმოდგენილია **მთებმა** ფორმით“ (ენოხი 2012: <http://kartvelologi.tsu.ge/index.php/journal/inner/21>)

მოთხრობითის არქაული წარმოების შემთხვევები დასტურდება ქართული ენის ზოგიერთ კილოში, მაგალითად, ფხოურში, აგრეთვე, სამცხურში, ჯავახურში, კახურში, ქსნის ხეობის ქართლურში: ერთხენ დაგვიჭამ **მგელ-მან** ცხვრები (ფშ.); **ქალ-მან** დაუძახა (ჯავახ.), გადმასახლა **მეფე-მან** გლეხები (ქართლ.)...

ებრაელთა ქართულში თანხმოვანფუძიან არსებით სახელებთან **მიცემით ბრუნვაში** ბრუნვის ნიშნის სამი ალომორფია წარმოდგენილი: **-ს/-ს-ა/Ø**.

თანხმოვანფუძიან სახელებთან გავრცელებულია გაუფორმებული მიცემითის ფორმები, განურჩევლად იმისა, თუ წინადადების რომელ წევრს წარმოადგენენ ისინი.

თანხმოვანფუძიან სახელებთან მიცემითი ბრუნვის **-ს** ნიშნის დაკარგვის შემთხვევებს განიხილავს ლომთაძე ნაშრომში „ქუთაისური ქართული“. ავტორის აზრით, მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** ხშირად იკარგება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან სახელებთან: **საჭმელ** ჭამს; **თვალეზ** არ უჯერი; **წყალ** არ დაგალევიებს. გამონაკლისად მიჩნეულია ემფატიკური ხმოვნით გავრცობილი სახელები(ლომთაძე 2005: 107). საკუთრივ ქუთაისური მეტყველებისათვის არ არის დამახასიათებელი თანხმოვანფუძიან სახელთა **Ø**-ალომორფიანი მიცემითის ფორმები. „მიცემითი ბრუნვის ნიშნად, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში, ყოველთვის გვაქვს **-ს**“ (ლომთაძე, 2005: 53).

თანხმოვანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს**, ჩვეულებრივ, იკარგება როგორც **უკუმშველ**, ისე **კუმშვად** სახელებთან. ეს მოვლენა თითქმის ყველა კუთხეში მაცხოვრებელ ებრაელთა მეტყველებას ახასიათებს: მაგალითად, *მამამ გაიგონა ხმა, მოუსვა ხელი შვილ დაძახა* (თსუფა 1982: №25155); *ველოსიპეტს დადებდა საღაცა და ხალხს ხვრიტავდა. და ამის ბოდიშის ახლა გერმანია* (ტექსტები 2014: 217); *დაასახლა*

ე მეორე ქალიშვილიც და გაატანა **ვეზირ** (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); ხო გეუბნები, არ გიყაბულებ **მანათ**, ქოსა მორდებსასი არა იყოს რა (ზოთერა 2016: 29). მსგავსი ფაქტები დასტურდება ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც: **ძალიან მჭამს შაბათ** სანთელ არ გავაცდენ (ახალი მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.);

**-ს** ფორმანტი დაკარგულია **-იან** სუფიქსიან სახელებთან, თუმცა ზოგჯერ გვხვდება **-ს** ნიშნიანი და უნიშნო მიცემითის ერთდროულად გამოყენების ფორმები: **ვაკეთებთ ფახლავას, ლეკებ, თაფლიანს, ვაშლიან, ნიგეზიან** (მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი ზოგჯერ გაუჩინარებულია ჩვენ მიერ ჩაწერილ **ონელ** ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაშიც: **ნათქვამ ვამზობ** (მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.); **ჩაადგამ, მოქაფამ, დამყამ ნიგოზ** (იქვე); **დედოფალ პირველად სალოცავ გამოარონიებდენ** (იქვე).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებს რაც შეეხება, აქ არ დასტურდება მიცემითი ბრუნვის უნიშნო ფორმები. რუბენ ენუქაშვილის აზრით, თარგმნის დროს მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, საინტერესო დასკვნაა ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის მკვლევრებისათვის“

**რ. ენუქაშვილი მიიჩნევს, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვას საკუთრივ ქართული ენის დიალექტებში სხვა ნიადაგი აქვს. აქ ორ სხვადასხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე. კერძოდ: ქართული ენის ქვესისტემებში მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა გამოწვეულია სხვა ფაქტორით, ხოლო ქართველ ებრაელებთან ამის განმსაზღვრელია მახვილი ან ინტონაცია, ხმოვანთა დაგრძელება...**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან დასტურდება **-ს** ნიშნის გამოყენების შემთხვევები. მაგალითები: ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაში გვხვდება როგორც ნიშნიანი, ისე უნიშნო მიცემითის ფორმები: **ისესხებდა ყველადღე სხვადასხიდგან... იყიდიდა, გაყიდიდა და მოგებით ცოლსა და შვილ გაჭირვებულ ლუკმა-პურ აჭმევდავე** (ქდვ: „ძველების გამყიდველი“, №3952); მიცემითის ნიშანი ბუნებრივად არის დაცული.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან მიცემით ბრუნვაში გვხვდება ფონეტიკურად შე-

პირობებული ვარიანტიც. ასეთია, მაგალითად, აფრიკატიზაციის გზით მიღებული **-ც**: *მადლობა ღმერც*: რო გადავრჩით (ტექსტები 2014: 213); *წამევიდა თეატრი და თუ მომცემ ას ათ მანეც* ო, გაგიკეთებ და გექნება დენი, ბაბუაო (იქვე, 6);

შეიძლება დავასკვნათ, რომ გაუფორმებელი მიცემითი ბრუნვა ქართველ ებრაელთა მეტყველების ერთ-ერთი **მთავარი თავისებურებაა** და საერთოა როგორც საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა, ისე ისრაელში „ამოსულთა“ მეტყველებისათვისაც. მართალია, ქართველ ებრაელთა უდიდესი ნაწილი დიდი ხანია, რაც აღარ ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ მათს მეტყველებაში ეს სპეციფიკურობა მეტ-ნაკლებად მაინც იჩენს თავს.

მიცემითი ბრუნვის **-ხ** ნიშანი იკარგება ქართული ენის დიალექტებშიც (კახური, ქართლური, აჭარული, ჯავახური, ლეჩხუმური, იმერული...): ას ნაბიჯზე **კვერცხ-თ** არტყამდა, **ირმეხ-თ** ქამანდო იჭერდა (ქართლ.); **ცხენ-თ** სამოვარი მისცა, **თათრეხ-თ** დაუძახა, **ხურჯინ-თ** პირი მოხსნა (ჯავახ.); მატყუარა **ხალხ-თ** ვერ იპოვნი იქა. **ვექსილ-თ** დოუწერდენ (ზ. იმერ.); **მეზობლეფ-თ** დურიგეს (რაჭ.)... მსგავსი ფაქტები დასტურდება სამხრულ კილოებშიც: შავშ.: პატარა **წისქვილ** ვიტყვით ბუჭულასა (ჩოხარაძე 2017: 68); ტაოური: აქ **ქართოლ.ყველ**, ერბოს ვიჯებით (იქვე: 70); **სახლ** ვაკეთეფ, **წყალ** ვასვამთ; **კაცი** ქოხებ აშენეფს; **ობლეკარ** ვდგები (დადიანი, 2011: 61-62); იმერხ.: **ცაცხე უხლამურ** ვეტყვით... (მიქაუტაძე, 2010: 145).

**ებრაელთა ქართულში** ბოლოთანხმოვნინებთან გვხვდება **ნათესაობითი** ბრუნვის ნიშნის ალომორფები: **-ის**, **-ისა**.

**-ის**: *ცხერის თავი არ დაგვიდვია ჩუენ* (ტექსტები, 2014: 231); *ალივ ვაჩუქებ სალონის ფულ* (მასალები, 2017, ჩამწ. ს. გუმბ.). წელთან დაკავშირებით გვხვდება ორმაგი ბრუნების შემთხვევები: *ერთი თვის ერთი წლისასა გამდეს, ერთი წლის – ათი წლისასა და ხენწიფე-მელეხის შვილის ზიული გახდეს...* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **-ის** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად მონაცვლეობს თანდებულიან (**-თვის/-თვინ**) სახელებთან: *ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვინაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940);

**-ისა** დასტურდება **-გან** თანდებულის ფორმებთან:

*ქვეყნათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ლატაკი, ხვთისაგან შეწყალებული ისრელი-ოსეფი* (ქდვ: „ოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945)...

გავრცობილი **-ისა** ვარიანტი გვაქვს **და, თუ** კავშირების წინ: *ხენწიფის ორი უმფროსი ქალიშვილები – ნაზირისა და ვეზირის ცოლები* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *მკითხავმა უთხრა რაბისა და იმის ცოლს* (ქდვ: „ორმოცი წლის თავზე“, №3947).

**-ისა** გვხვდება სუბსტანტიურ მსაზღვრელთან როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული წყობის დროს: *მაღლა მერცხლისა ბოლოსა* (იქვე); *რომლითაც მოხთა განათება ტაძრისა* (ტექსტები 2014: 235);

ნათესაობითში გავრცობილია განმარტოებული მსაზღვრელი შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის წინ: *თქვენ ხვთისა ხართ და ღმერთი თქვენია* (ქდვ: „ორი ძმა“, №3946)...

**მოქმედებითი ბრუნვა** თანხმოვანფუძიან სახელებთან **-ით/ -ით-ა** ალომორფებით აღინიშნება განსაზღვრულ პოზიციებში:

**-ით:** *გაამსეს ე ბატონი საგძლით* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ქათამ მოჭრა თავი კისრით და ოჯახის უფროს მიაართვა* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *შენ რო მიდიოდი თოხით და იმით, ჯოხით, იგი (იგი – ასეა გამოცემაში – ს. გუმბ.) დათვმა თქვა: სულ ქონით იყო სავსეო* (ოსუფა 1982: №25149);

**-ითა** (ა ხმოვნით გავრცობილი ვარიანტი) ქართველ ებრაელთა მეტყველებაში გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

1. **-ც** ნაწილაკის დართვისას:

*ამ გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იარეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)...

2. **და, თუ** კავშირების წინ:

**გულითა** და **სულით** დამლოცე, რაბი (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ძალიან რო დაიღალა და მოიქანცა ე ხენწიფე ხეტიალითა და კარკარა სიარულით* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *აბანო დაანთებინავე, სუნელებითა და მუშკამბრებითა...* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951)...



3. ატრიბუტულ მსაზღვრელთან: *ეს ადამი, პირველი გასახული ჩვენებითა, იყო დასრულებული მთელ სიბრძნეებში* (თსუფა 1982: №25148); *ე მესამე სიძე კი ბატების მწყემსი თავისი რაშითა და ორი ხმალით რანაირათ ებგერა იმ მტერ და გაანადგურავე* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939)...

4. სუბსტანტიურ მსაზღვრელთან: *სადღესასწაულო სუფრა იწყობა ხის ნაყოფითა და მაგიდაზე მარილის მაგივრათ უნდა იყოს თაფლი* (ტექსტები 2014: 231); *მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორცითაო და ვისაც კი გავატანო, ყველას ნიშანი უნდა გავუკეთოვო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

**მოქმედებით ბრუნვაში** მდგომი მსაზღვრელი გავრცობილია უფრო მეტად სუბსტანტიურ მსაზღვრელთან, ვიდრე ატრიბუტულთან.

სხვათა სიტყვის -**ო** ნაწილაკთან:

*ოღონდ გამჩენმა კი მაღირსოს ვაიშვილიო და დავინახაო თვალითაო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *ოღონ გამჩენმა კი მაღირსოსო ვაიშვილიო და დავინახო თვალითაო და მერე კი მისი ნება არიო* (იქვე).

ზოგან ერთმანეთს ენაცვლება გავრცობილი და გაუვრცობელი ფორმები, ზოგან კი მხოლოდ გაუვრცობელი ვარიანტი გვხვდება.

მოქმედებით ბრუნვაში არსებითი სახელები ზეპირ თარგმანებში არის როგორც სავრცობით, ისე მის გარეშეც. მაგალითად: *უბძანა მას: ესერა შენ მოკვდები ზედა იმა დედაკაცზე, რომ შეგირთვია შენ, და ის დარქმეული ქრმოხითა* (ბერეშ., თ. 20); *შინა კლავითა გაწვდილითა...* („ფესახის აგადა“, ენოხი 2014: 84);

რ. ენუქაშვილის დაკვირვებით, უბრალო დამატების როლში წარმოდგენილ სახელებს „თავსილში“ არ ერთვის სავრცობი მაშინ, როცა მათი მსაზღვრელები ემფატიკური ხმოვნითაა. ეს ფაქტი, მეცნიერის აზრით, „მშვენიერი დადასტურებაა ენაში მიმდინარე პროცესის თანდათანობითი განვითარებისა“ (ენუქაშვილი, 2007:63).

საანალიზო მასალების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმომავანფუძიან საზოგადო სახელებთან **ვითარებით ბრუნვაში** ვლინდება ორი თავისებურება: 1. ბრუნვის ნიშნისეული მჟღერი თანხმომავანი ყრუვდება: **-ად > -ათ**, რაც ზეპირი სალიტერა-

ტურო ნორმებისათვისაც დამახასიათებელია 2.-**იან** სუფიქსიან სახელებთან ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი ზოგჯერ იკარგება.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ალომორფთა განაწილება განსხვავებულია ტექსტების მიხედვით. კერძოდ, ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში გავრცელებულია **-ათ**, იშვიათია **-ად**, გვხვდება **-ა-ც**. მაგალითად:**-ათ**: *ხან მიწას მუშაობდა, ხან ვინმეს დღიურათ მიეჭირავებოდა* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945); *ამ ქალიშვილ სახელათ ერქვა სულამითი* (ქდვ: „სულამითი“, №3948); *ერთ დღეს სანადიროდ წავიდა, მინდვრათ რომ გავიდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 34); *...მეორეს კი ნიჩხათ* (იქვე, 98); *კაისმთქმელი ყამდა, იმის ჭირი ჭირათ მიაჩდა ჯამაათ და ლხინი ლხინათ* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940; *...ძროხა სასმელათ მივიდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 12)...

**-ად**: *ცოლ-შვილი სოფლად ყავდა* (თათარაიძე, არაბული 2014: 123); **ფულად** *გადაეხადნა თვითეულს ერთი თუმანი* (იქვე); *დადიან წყესად ცხვრი ჯოგ წყესობენ* (თსუფა 1982: №25155)... ყველა ეს მაგალითი ბადებს ეჭვს, რადგან აუსლაუტში არა მარტო ებრაელთა შორის, არამედ საერთოდ ქართულ მეტყველებაშიც ყველგან **თ** ისმის. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ ჩაწერის სიძნელეებზე.

**-ად/-დ** ალომორფთა დაყრუბული ვარიანტები (**-ათ/-თ**) გვხვდება ქართული ენის თითქმის ყველა კილოში (განსაკუთრებით დასავლურში). **-დ-ს -თ-დ** ქცევა დამახასიათებელია საყოველთაო სამწერლობო ენისთვისაც (სადინაძე, 2011: 84).

თანხმოვანფუძიანი სახელის ვითარებითის გავრცობილ ფორმასთან გვხვდება **-თ** ნაწილაკიც: *მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორციათო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *გალავანთან დეემზადონო საომრათო* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941);

როგორც საანალიზო ტექსტები გვიჩვენებს, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან ვითარებითი ბრუნვის ნიშნად იშვიათად არის **-დ** თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტი. ასეა როგორც ძველ, ისე ახალ მასალაშიც: *თავისი ცოლ-შვილიანა გადაიკარქენ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ყველას წამოსვლა უნდა თავის ქმარშვილიანა რო ნახოს ეს შორაშები, ფესვები, რო ნახონ ეს ფესვები სიდან წარმოიშვა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ.

ს. გუმბ.)... **-დ-**ს მოკვეცას, ჩვენი აზრით, ეკონომიურობის (შემოკლების) პრინციპი უნდა განაპირობებდეს. მსგავსი ფაქტები გვხვდება ქართული ენის **კილოებშიც**. მაგალითად, ქვემოიმერულში **-ა** დადასტურებულია არა მარტო **-იან** სუფიქსით წარმოქმნილ სახელებში (ცოლშვილიანა, ხურჯინიანა...), არამედ სხვა შემთხვევებშიც: ჩუმა, სწორა, კარქა.. (კუბლაშვილი, 1985: 95), ჯავახურში: ამოიგავა მისი გვარეულობა ძირიან-ა; ძირ-ფესვიან-ა ამოაგდო (მარტიროსოვი 1984: 52).

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნად თანხმოდანფუძიან საზოგადო არსებით სახელებთან მეტწილად არის **-ად**:

*და ბძანა ღმერთმან: იქნეს მანათლობლები შინა სამყაროსა იმის მცისასა თანა-გასაყოფლად შუა იმა დღესა და შუა იმა ღამესა, და იქნენ თანა-ნიშნებად და თანა-დღეებად და წლებად* (ბერემ., თ. 1); *ძენი ისრაელისა... გაძლიერდნენ ერაჲ დიდად და აივსო ქვეყანა მათითა...* („ფესახის აგადა“, ენოხი, 2014: 82).

წმინდა წიგნთა ზეპირი თარგმანები ამ მხრივ ახლოს დგას მწიგნობრულ ენასთან.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოდანფუძიან ყველა ტიპის საზოგადო სახელებთან **წოდებითი ბ რუნვის** ნიშნად წარმოდგენილია **-ო** სუფიქსი:

*კაცოან ჩამეიწიე ვიღაცა, აამუშაოს ე ქარხანა და აქედან მოგებული ფულით მიეცი პენსია* (ტექსტები 2014: 220); *დიახ, ის დაჯავშნული იყო, შვილო* (იქვე, 212); ასეა ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნების ზეპირ თარგმანებშიც: *გამჩენო ღმერთო ჩვენო...* („ფესახის აგადა“, ენოხი, 2014: 67);

ამას მოწმობს ისაკ შამელაშვილის ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში „ყველა ტიპის საზოგადო და საკუთარ არსებით სახელთან **-ო** გამოიყენება: დედაო ჩემო, მომხედე შენ შვილ; გაბრიელო, გაუკეთე ისი“ (ზექალაშვილი, 2014: 103).

**ამდენად, ებრაელთა ქართულის საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმაა:**

**წრფელობითი-შ**

**სახელობითი -ო**

მოთხრობითი -მა,-მან  
მიცემითი -ს,-ს-ა, -ც, Ø  
ნათესაობითი -ის, -ისა  
მოქმედებითი -ით, -ითა  
ვითარებითი -ა,-ად>ათ  
წოდებითი -ო

შეიძლება ითქვას, რომ წრფელობითი ბრუნვისა და მოთხრობითის -მან ნიშნის გამოყენებით ებრაელთა ქართული ძველ ქართულთან ამჟღავნებს სიახლოვეს. მიცემითის ნიშნის დაკარგვა საერთოებრაულია, რადგან ყველა კუთხის ებრაელთან დასტურდება. ამ უკანასკნელს შეიძლება მიგრაციული დიალექტიზმის სტატუსი მივანიჭოთ. ხოლო სახელობითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი სტანდარტულ ქართულს ან ქართულის როელიმე დიალექტის ნორმას მისდევს.

#### ბ) თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა პარადიგმა

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ადამიანის (პირის) სახელები იშვიათად არის გაუფორმებელი. მაგალითად: *შესხდენ ზედ დავით და მისი ამაღა და გასწიეს* (თათარაიმე, არაბული, 2014: 125). სამაგიეროდ, ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ადამიანის (პირის) სახელები მეტწილად ფუძის სახით, **-ი** ნიშნის გარეშე წარმოდგენილი:

და დაუძახა წინაშე მისა **აბრებს** (ბერემ., თ. 41); **ისახარ** სახედარისებრივ მაგარი იქნება... (ბერემ., თ. 49); **დაარქვა** იგი სახელი მისი **ყერ** (ბერემ., თ. 38); **ზედა ენგრეთ** დაარქვა სახელი მისი **გალყედ** (ბერემ., თ. 31)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **თანხმოვანფუძიანი** საკუთარი სახელები (როგორც ადამიანთა, ისე გეოგრაფიული) **სახელობითში** ისევეა გაფორმებული, როგორც მსგავსი ფუძის საზოგადო სახელები, დაერთვის **-ი** სუფიქსი. მაგალითები: *შეუდგა იოსეფი ღმერთის სახელზე ცხოვრებას* (ქდვ: „იოსეფი – დამაპატოსნებელი შაბათისა“, №3945); *იეკუთიელი დიდ საქმეებს აკეთებდა* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *და მოუმატა თანა-საშობრად იგი ძმა მისი აბელი* (ბერემ., თ. 4). თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელებთან დასტურდება **-ო** ნაწილაკი: *ისედაც მეზარებოდა ის მოჯამაგირე*

**იოსეფი** (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945). ასე შემოიარა **ქუთაისი, თფილისი, ცხინვალი** (ტექსტები, 2014). საინტერესოა, რომ ებრაელთა ქართულში ადამიანის (პირის) სახელები იშვიათად არის გაუფორმებელი. მაგალითად: **შესხდენ ზედ დავით და მისი ამაღა და გასწიეს** (თათარაიმე, არაბული 2014: 125). სამაგიეროდ, ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ადამიანის (პირის) სახელები მეტწილად ფუძის სახით, **-ი** ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი:

და დაუძახა წინაშე მისა **აბრებ** (ბერემ., თ. 41); **ისახარ** სახედარისებრივ მაგარი იქნება... (ბერემ., თ. 49); დაარქვა იგი სახელი მისი **ყერ** (ბერემ., თ. 38); ზედა ენგრეთ დაარქვა სახელი მისი **გალყედ** (ბერემ., თ. 31)...

სხვადასხვა ტიპის ტექსტებში **მოთხრობითი** ბრუნვის ნიშნის ალომორფები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია... თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან ძირითადად გვხვდება **-მა**: **ილოცა იაკობმა და ეყოლა იოსები** (ოსლუფა 1982: №125155); **რეუბენმა მმებს უთხრა** (იქვე); **იოსეფმა ჩამოლყვა როგორც იყო საქმე** (ქდვ: „იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა“, №3945). ზეპირ თარგმანებში, კერძოდ, „თავსილში“, თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში არაერთგვაროვანი ვითარებაა: დასტურდება როგორც ახალი, ისე ძველი წარმოება. მაგალითები: **-მა**: და იცოცხლა **შეთმა** ას ხუთი წელიწადი (ბერემ., თ. 5)...

**-მან**: და შეიტყო **ონანმან**, რამეთუ არა მისთვის იქნება იგი თესლი (ბერემ., თ. 38); და დაავედრა **იოსებმან** (ბერემ., თ. 42)... ზოგჯერ საკუთარ სახელებთან, საზოგადო სახელთა მსგავსად, პარალელურად დაჩნდება **-მა||-მან** ალომორფები:

და დაასახლა **იოსებმან** შინა მიცრაიმშიდა ის და სახლეური მამის მისისა. და იცოცხლა **იოსებმა** ას ათი წელიწადები (ბერემ., თ. 50). ზეპირ თარგმანში დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა გარდაუვალი ზმნის ქვემდებარე დგას მოთხრობით ბრუნვაში: და იყო, როცა რომ მივიდა **იოსებმა** მმებსა მისა, და გახადეს იმათ იოსეფსა იგი პერანგი მისი, იგი პერანგი აბრეშუმისა, რომ ზედა იმისა (ბერემ., თ. 37).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები **მიცემით** ბრუნვაში გვხვდება როგორც **-ს**

ნიშნით, ისე მის გარეშე. საზოგადო სახელთა მსგავსად, უხვად დასტურდება გაუფორმებელი მიცემითის შემთხვევები. მაგალითები:

**სულამით** ვერცხლის სურით რაც წყალი ქონდა წამოღებული სახლიდგან გამოსვა (ქდვ; „სულამითი“, №3948); დიდმა კი შეუტია **აბშლომ** (იქვე); ეს ამბავი **შიმშონ** არ მეჩნონა (თსუფა 1982: 25144); **ისხაკ** ეყოლა იაკობი და ყესავი (იქვე); **რახელ** არ ეყოლა შვილი (თსუფა 1982: №25155);

გაუფორმებელი მიცემითის ფორმები დამახასიათებელია „თავსილისთვისაც“:

და უკანით მიახლოვდა **იოსეფ** და **რახელსა** და ეთაყვანენ (ბერემ., თ. 33); უბძან ისრაელმა იმათ **იოსებ** (ბერემ., თ. 37); ზეპირ თარგმანებში ადამიანის (პირის) სახელები **მიცემით** ბრუნვაში მეტწილად **გავრცობილია**:

და უყაბულა უფალმან იმათ **ებელსა** და იმათ ძღვენსა მისა (ბერემ., თ. 4); და იმათ **კაინსა** და იმათ ძღვენსა მისა არ იყაბულა (იქვე); და გაავ ზავნა იაკობმა მოციქულები წინაშე მისა იმათ **ყესავსა**, ძმასა მისა, ქვეყანასა სეყირისას, მინდვრებსა ედომისას (ბერემ., თ. 32); „თავსილი“ ამ მხრივ უმეტესად მიჰყვება ძველი ქართულისებურ წარმოებას, თუმცა მასში, გარდა **-სა** ვარიანტისა, იშვიათად გვხვდება გაუვრცობელი მიცემითის ფორმებიც:

და მოახსენა იმათ **იაკაობს** (ბერემ., თ. 31); და გეეცხადა **თამარს** ამნაირად: (ბერემ., თ. 37); და უბძან ფარეომ იმათ **იოსეფს** (ბერემ., თ. 41)... **მიცემითში** გეოგრაფიული სახელები ძირითადად თანდებულიანია. გვხვდება **-ში** თანდებულის **-ში**, **-ჩი**, **-შიდა** ვარიანტები: აბა ერთი სახლი თუ დანგრეულა **ქუთაიში** (ტექსტები 2014: 213); **მოსკოლში** და ზავის გამო ხუთ წელიწათს ომს არ დეიწყებდა არც გერმანია (იქვე);

„თავსილიში“ ერთსა და იმავე ფრაზაში დასტურდება მიცემითის გაუფორმებელი და გაფორმებული ადამიანის (პირის) სახელები: და უკანით მიახლოვდა **იოსეფ** და **რახელსა** და ეთაყვანენ (ბერემ., თ. 33).

ამ მოვლენის შესახებ მიუთითებს რ. ენუქაშვილი: „ძველ ქართულში, როგორც წესი, საკუთარ სახელებს მიცემითში ემფატიკური ხმოვანი არ დაერთვის, მაგრამ ცვლილების პროცესი აქაც დაიწყო და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ სავრცობი დაერთვის ამგვარ სახე-

ლებს“ (ენუქაშვილი, 2007: 61). ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ადამიანის (პირის) სახელებთან ნათესაობით ბრუნვაში განსაკუთრებული თავისებურება არ შეიმჩნევა. საკუთარი სახელები ნათესაობითში, ჩვეულებრივ, **-ის/-ს/-ის-ა** ალომორფითაა გაფორმებული.

**ნათესაობითში** თანხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებში ძირითადად გვხვდება **-ის** სუფიქსი: *ეს მარხვა არის დედოფალ ესთერის* (ტექსტები 2014: 236); *ამოჩნდა დანაშაული შიმშონის სიმამრი, რომ გაუთხოვა შიმშონ პირველი დანიშნული* (თსუფა 1982: №25144 შდრ.: ზეპირ თარგმანებში ნათესაობით ბრუნვაში გავრცელებულია **-ის-ა** ვარიანტი: *და დაინახა შეილებმან ანგელოზებისამან იგი ქალიშვილები ადამისა* (ბერეშ., თ. 6); *ღმერთი აბრაამისა და შიში იგბაკისა იყო ჩემთვის* (ბერეშ., თ. 31); ბრუნვაში გეოგრაფიული სახელი გაფორმებულია **-ის** ნიშნით: *გაგვიწვიეს თბილისის ავიოზაოდში* (ტექსტები 2014: 212);

**მოქმედებით ბრუნვაში** ძალზე იშვიათია ადამიანის (პირის) სახელები. ზეპირ თარგმანებში დადასტურდა **-ით-ა** ვარიანტი: *და შევიცა იაყაკობმა შიშითა მამის მისითა იგბაკითა* (ბერეშ., თ. 31). **მოქმედებით** ბრუნვაში გეოგრაფიულ სახელებთან გვხვდება **-იდან**, ვარიანტები. *უფროსი ვაიშვილი წამოვიდა იერუშალაიმიდან ათინაში მამის საფლავის სანახავათაც* (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943). **ლეჩხუმიდანაა** ი წყალი (ტექსტები 2016: 364);

**ვითარებით ბრუნვაში** ჩვენს საანალიზო მასალაში საკუთარი სახელები არ დადასტურდა.

თანხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები **წოდებით ბრუნვაში**, ჩვეულებრივ, გაუფორმებელია:

**დავით**, *ღმერთმა მიიღო შენი ლოცვა* (თათარაიძე, არაბული 2014: 126); **გომენ**, *ეგ ცილისწამებაა* (იქვე, 87); ასეა ზეპირ თარგმანებშიც: *და მიბძანა იმათ ჩემსა ანგელოზმან ღმერთისამანსიზმარში: იაყაკობი და მოვახსენე: აგერ მე* (ბერეშ., თ. 31);

საანალიზო ტექსტების მიხედვით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შეინიშნება თანხმოვანფუძიანი პირის სახელების **-ო** ალომორფით გაფორმების ტენდენციაც:

*რა ეკუთვნის წმინდა დავითო, ასი ცხვრის პატრონს* (თათარაიძე, არაბული, 2014: 126); *რისთვის ბატონო გომენო* (იქვე, 86); *ხახამ დანიელო ჭკუა ცარიელო* (იქვე, 158); წოდებით ბრუნვაში თანხმო-

ვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებთან -**ო** ნიშანი დამახასიათებელია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებისთვისაც.

ამგვარ ფორმათა შესახებ მიუთითებენ, რომ „რიგ შემთხვევებში წოდებითისეული -**ო** გამოყენებულია საკუთარ სახელთა ფაშლარული ფორმის საწარმოებლად: ვანო, დათო, მიტო...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 335). ამ ტიპის ფორმები, ჩვენი აზრით, არ უნდა იქნეს განხილული **დავითო, ეთერო** ტიპის სახელების რანგში. ამ შემთხვევაში -**ო** სუფიქსი დაერთვის თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ფუძეს.

### **გეოგრაფიული სახელები**

ზეპირ თარგმანებში გეოგრაფიული სახელები გვხვდება სხვადასხვა ბრუნვაში:

**სახელობითი:** გაფორმებულია -**ი** ნიშნით: **ბეთ-ელი იმის დასავლეთით** (ბერემ., თ.2).

**მოთხრობითი:** დაფარეს ისინი **ფელიშტიმელებმა** და ამომსეს ისინი **მტკვრითა** (ბერემ., თ. 26); **ვერ შეძლენ მიცრაიმელებმან** საჭმელათ იმა ისრაელებთანა **პური** (ბერემ., თ. 43).

**მიცემითი:** და აიყარა იმისგან იმის მთასა აღმოსავლეთით თანა **ბეთ-ელსა** (ბერემ., თ. 12); და გაჰკვეთეს კავშირი შუა **ბეერ-შავასა**, და ადგა აბიმელები და ფიხოლი, თავადი ლაშქრის მისისა, და შემოიქცენ იმათ ქვეყანასა **ფელიშტიმისას** (ბერემითი, თ. 21); მიცა აბრაამსა საჩუქრები და გაუშვა ისინი იცხაკისა პირის მისისაგან, კიდევ ის ცოცხალი, **კედმასა**, იმა ქვეყანასა აღმოსავლეთისას (ბერემ., თ. 25); არ ჩახვიდე **მიცრაიმას**, დაისადგურე შინა ქვეყანასა, რომ გიბძანებ იმათ შენსა (ბერემ., თ. 26); და დათესა იცხაკმა შინა **ქვეყანასა აიმას** და იპოვნა იმ წელიწადში ას ზომად და აკურთხა ის უფალმა (იქვე); და იცხოვრა იცხაკმა **გიარაშიდა**(იქვე); და უბძანა: ესერა გავიგონე მე, ნამეტურ არის **პურიკაკალი შინა მიცრაიმშიდა** (ბერემ., თ. 42); კიდევ ცოტა იყო დარჩენილი ქვეყანამდის, მისავალად **ვერათაში** (ბერემ., თ. 48).

**ნათესაობითი:** დაშქვრიტა აბიმელებმა, ხემწიფემ **ფელიშტიმელებისამან** (ბერემ., თ. 26); შესცოდენ მსმელმან ხელმწიფისა მიცრაიმისამან და იმა მცხობელმა ბატონსა მათსა, ხელმწიფესა **მიცრაიმისას** (ბერემ., თ. 40); მოახსენეს: იმის ქვეყნისა **ქენაყანისაგან** სა-



ყიღლად საჭმელისთვის (იქვე); ვერ შეძლენ მიცრაიმელებთან საჭმელათ იმა ისრაელებთანა პური, ნამეტურ სისამაგლე ის **მიცრაიმისთვის** (ბერემ., თ. 43); დამსვა მე ღმერთთან ბატონად თელი **მიცრაიმისათვის** (ბერემ., თ. 45); და იცხოვრე შენ ქვეყანასა **გოშენისას** (იქვე); წავიდენ და მივიდენ ქვეყანასა **ქენაყანისას** (იქვე); ახლა დასახლდენ აწ ყმები შენი შინა ქვეყანასა **გოშენისასა** (ბერემ., თ. 47); **ქვეყანასა ქენაყანისას შინა პურიკაკლითა** (იქვე).

**ვითარებითი:** ვითარებითში გეოგრაფიული სახელები გვხვდება თანდებულთან ერთად: და ლოტი დასახლდა ქალაქებსა იმის ვაკისას და დაიკარვა ვიდრე **სედომამდე** (ბერემ., თ. 13).

ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში დასტურდება როგორც საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ისე მის ფარგლებს გარეთ მდებარე დასახლებული პუნქტების სახელები სხვადასხვა ბრუნვის ფორმით.

**ამდენად, თანხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების პარადიგმა თითქმის საზოგადოს მსგავსია. განსხვავება არის შემდეგი: არ ჩანს წრფელობითი ბრუნვა და სახელები წოდებითში ხშირად ფუძის სახით არის გაფორმებული.**

**ებრაელთა ქართულის საკუთარ სახელთა ბრუნების პარადიგმა:**

- სახელობითი -ო
- მოთხრობითი -მა, -მან
- მიცემითი- ს,-ს-ა, -ც, -ღ
- ნათესაობითი -ის, -ისა
- მოქმედებითი -ით, -ითა
- ვითარებითი -ა,-ად>ათ
- წოდებითი -ო, -ღ

### **ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები**

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **სახელობით** ბრუნვაში ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები მეტწილად ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი, ზოგჯერ კი **-ო** ნიშანს დაირთავენ. ამ მხრივ განსხვავება არ არის ერთ- და მეტმარცვლიან სახელთა შორის. მაგალითები: *შენი გათხუების დრო მოვიდაო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); სურათებიც არ გვქონდა არც **ოქრო...** (ახალი მასალები, 2017,

ჩამწ. ს. გუმბ.); რაბის თავში ერთი აზრი დეებადა, რომ **საისრელო** გედერჩინა (ქდვ: „ბრმენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)... გეიპო ე **ზღვა** და გაქრა (ტექსტები, 2014: 237); **სუდარა** იცით, რაც არი... (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)...

ერთ- და მეტმარცვლიან სახელურ ფუძეებთან -**ო** სუფიქსი და-ჩნდება ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. -**ო** სუფიქსი გვხვდება როგორც უკვეცელ, ისე კვეცად სახელებთან. ასეთია მეტწილად კნინობითი სახელები. მაგალითად: *ქალსა ყველას ქალი ქვია? ზოგი ქალი ქალუნაი* (თათარაიმე, არაბული, 2014: 176); *კაცსა ყველას კაცი ქვია? ზოგი კაცი კაცუნაი* (იქვე)... *ჩამოღუშვით ოქროსკავი, აიყვანეთ თქვენი დაი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი,“ №3950); *იქვე ისევ საჩქაროდ მოვიდა დეიდაი* (იქვე); *რომა მზეთუნახავის დეიდაი მისი ჭაპანა ქალიშვილიანა ორივე ცხენების კულებზე გემეებავე* (იქვე)...

რ. ენუქაშვილი მიუთითებს, რომ მსგავსი ვითარება შეიმჩნევა ბანძელ ებრაელთა მეტყველებაშიც როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან და ასევე კნინობითის მაწარმოებელთა შემდგომაც; დედიკო მოდის, **დედიკოი** (ენუქაშვილი, 2001:78). უნდა ითქვას, რომ აქაც ინტონაციური თავისებურება იჩენს თავს.

ქართული ენის კილოთაგან იშვიათია -**ო** სუფიქსი რაჭულში. იგი შეგვხვდა -**ობა**-თი ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელთან გ. ჯაფარიძის მიერ ჩაწერილ მასალაში: *შვიდი წელიწადი კი იქნება შიმშილობაიო* (თსუფა 1982:№25155).

-**ო** სუფიქსი არის,ასევე, სურამელ ებრაელთა მეტყველებაში როგორც ორ-, ისე მეტმარცვლიან კვეცად სახელებთან. მაგალითად:

*რა არიო, რაშია საქმეი, ბავშვები რათ ტირიანო?* (დადუნაშვილი... 1999: 35); *ეს შენი სიმდიდრეი უნდა გადავიდეს ამ ქალის ოჯახზეო* (იქვე)...

-**ო** ალმოდორფი გვხვდება -**ო** ნაწილაკის წინაც: *უნდა გამათეინო ამღამო ერთი ღამეიო* (დადუნაშვილი... 1999: 35).

ხმოვანფუძიან სახელებთან სახელობით ბრუნვაში -**ი** დასტურდება როგორც ძველ ქართულ ტექსტებში, ასევე დიალექტებში (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ზ. სარჯველაძე, თ. უთურგაიძე).

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან სახელთა **მოთხრობითი** ბრუნვა ძირითადად გამოხატულია **-მ** ნიშნით როგორც ერთ-, ისე მეტმარცვლიან სახელებთან. მაგალითები:

*ამ ცოლის დამ არც კი იკადრა ამ ღარიბი სიძის გამოლაპარაკება* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *მამამკი იცოდა, თუ ქონებას არ მიემატებოდა, მალე გამოილეოდა, ამის გამო ეცოდებოდა შვილები* (თათარაიძე, არაბული, 2014: 11)

ფრაზის ბოლოკიდურ პოზიციაში ხმოვანზე დაბოლოებულ სახელს მოთხრობით ბრუნვაში იშვიათად დაერთვის **-მ-ა**: და *მოახსენა იმათ მისა იმა ყმათა* (ბერემ., თ. 24); *მივიდა შუა ზღვაში მოიმატა ზღუამა, სუყუელა ჩა... ჩახჩო ი წყალმა* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.)... **-მ-ა** დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც. მაგალითად: **მესხურში** (და-მ-ა); **რაჭულში** (ძმა-მ-ა); **გურულში** (ხე-მ-ა); **აჭარულში** (ურე-მ-ა)... (შარაშენიძე, 2016: 79).

მოთხრობითი ბრუნვის გავრცობილ ფორმასთან გვხვდება სხვათა სიტყვის **-ო-ც**:

*შენმა მზემან ის არ უკადრებიავე ერთი მეორესთვიან* (ქდვ: „ბატის მწემსი“, №3939); *არ ისუნტლა თქვენზე არაფერმა გლახამან* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940)...

**-მან** დაბოლოება ძირითადად დადასტურდა ფიცის ფორმულებსა და სასულიერო ხასიათის ტექსტებში: *კვდარიც მის ხელში ვართ, მისმა მზემან, და ცოცხალიცაო* (ქდვ 2017: №3940); *მისი გადაწყვეტილობა არ დაირღოვა მისმა მზემან* (იქვე); და *უთხრა მან ყმათან ხენწიფისამან* (დადუნაშვილი... 1999: 80).

ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიანი სახელების მოთხრობით ბრუნვაში უფრო მეტად გვხვდება **-მან** ნიშნიანი ფორმები, თუმცა გამორიცხული არ არის გამარტივებული **-მა-ც**. მაგალითები:

**-მან**: და *დასდვა იმა ყმათან იგი ხელი მისი ქვეშეთ ცხვირბარკალსა აბრაამისა* (ბერემ., თ. 24); და *ვერ შეძლო ქვეყანამან ცხოვრება მათი ასაზიდავად მათთვის იმის პირისა ჯოჯის მათისაგან* (ბერემ., თ. 36);

**-მ:** და მოახსენათ ძმამა მისმან და **დედამ** მისმან, გაჩერდება იგი ყმაწვილი გოგო ჩვენ თანა წელიწადსა ან ათსა თვესა, უკანით წამოვა (ბერემ., თ. 24)...

„თავსილში“ უმეტესად დასტურდება ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გავრცობილი ვარიანტი:

და მოახსენა იმათ მისა იმა **ყმამა**: ეგებიც არ ისურვოს იმა დედაკაცმა წამოსავალათ უკანით ჩემსა იმათ ქვეყანასა ამასა (ბერემ., თ. 24); და მოახსენათ **ძმამა** მისმან (იქვე).

საანალიზო მასალის მიხედვით, მოთხრობითი ბრუნვის დაბოლოება განსხვავებულია ტექსტთა ტიპების მიხედვით: ყოფითი და ფოლკლორული ხასიათის ტექსტებში ძირითადად გავრცელებულია **-მა/-მ**, ხოლო ზეპირ თარგმანებში – **-მან**.

როგორც მიუთითებენ, ბრუნვის ნიშნის გამარტივების პროცესი ძველ ქართულშივე დაიწყო (სარჯველაძე, 1984: 361-362), რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა მოთხრობითის ალომორფებად: **-მა** თან-ხმოვანფუძიანებში და **-მ** ხმოვანფუძიან სახელებში. რ. ენუქაშვილის აზრით, „თავსილი“ მნიშვნელოვანი მოწმობაა ენაში მიმდინარე ცვლილებების პროცესისა, რამდენადაც მასში წარმოდგენილია ძველი ფორმებიცა და ახალიც“ (ენუქაშვილი, 2007: 59).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში მოთხრობითი ბრუნვის წარმოებაში დადასტურდა როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ვითარება. ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოება ჭარბობს ფოლკლორული და ყოფითი ხასიათის ტექსტებში, ზეპირ თარგმანებში კი შევხვდებით, როგორც ძველი ქართულის, ისე ახალი ქართულისათვის დამახასიათებელ ფორმებს.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **მიცემითი** ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან სახელებში ძირითადად არის **-ს** , **-ს-ა**:

**ა** ხმოვანფუძიანი: *გახარებული ვაჭრები სიხარულით ცას ეწოდენ და დიდი მადლობით წავიდენ* (თავდ., 1940: 133); *დილის ცისკარზე წამოდგა, ახსენა ღმერთი, შემოახტა ცხენს და გაუდგა შარას* (გა №17749);

**ო** ხმოვანფუძიანი: *ეგონათ, ოქროს ინახამსო და თავის სახში ექნებო შენახულიო* (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ვიყიდი სარჩოს, ლობიოს, ჭაად, მწვანილ* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949);

ე ხმოვანფუძიანი: **ხენწიფეს** შვილი არ ყავდა (ქდვ: „ორი ძმა“, №3949); ცოლის ხათრმა დაძლია **მეფარჩხეს** და წავიდა (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

გვხვდება -**ხ** ხმოვნით გავრცობილი მიცემითის ვარიანტიც:

*თაბდახურულ საწნახელში ჩაგდებულ მზესა* გავს (თათარაიძე, არაბული 2014: 77); *ერთი მეორეს აშუქებენ, მიჩერებიავე თელი ქვეყანა და თვალ აღარ ამორებენ, მზესა და თვარეს გავლან ნეფე-დე-დოფალი* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950);

გავრცობილ ფორმასთან წარმოდგენილია სხვათა სიტყვის -**ლ** ნაწილაკი:

*ჩემ დასაო ბევრი ექნებაო მყაველიო* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ახლაო ამ გაჭივრების დროსაო, მამაჩემი ჩემდგან ნაწყენი კი არი* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939);

-**ა** ხმოვნით გავრცობილი მიცემითი ჭარბად არის ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებშიც:

*და მოახსენა კაინმა იმათ ებელსა, ძმასა მისა* (ბერემ., თ. 4); *და გაჰყო ღმერთმან შუა იმა სინათლესა და შუა იმა სიბნელესა* (ბერემ., თ. 1); *და დაარქვა ღმერთმან თანა სამყაროსა მცები* (იქვე);

ქართული ენის დიალექტთაგან მიცემითის სავრცობიანი ფორმები ხშირია მესხურში (ქვასა, ტახსა), აგრეთვე ქართლის მომიჯნავე რეგიონში (ძმასა, დასა), ხოლო ქვემოიმერულში, აჭარულსა და გურულში სავრცობიანი ფორმები იშვიათია.

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიანი სახელები მიცემით ბრუნვაში ძირითადად გაფორმებულია -**ს**, -**ს** -**ა** ალომორფებით.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან **ნათესაობით** ბრუნვაში არის -**ის**, -**ს**, -**ს(ი)**.

-**ის** გვხვდება ფუძეკვეცად სახელებთან: დედ-**ის**, მმ-**ის**, აგრეთვე, ერთადერთ უკვეცელ სახელთან – დრო-**ის**; მხოლოდ -**ს** ალომორფი არის ხმოვანზე დაბოლოებულ სხვა სახელებში, ფუძე-უკვეცელებთან: წყარო-**ს** წყალი, გოგო-**ს** სახელი...

-**სი** არის უ, ო, ი ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთან, ა/ე ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებთან: რუ-**სი**, რკო-**სი**... აგრეთვე, ანთროპონიმებთან: პავლე-**სი**, პეტრე-**სი**, ლუკა-**სი**. -**სი** სუფიქსი, თ. უთურგაიძის აზრით, თანამედროვე ქართულში -**სი** არის ერთი

განუყოფელი მორფოლოგიური ერთეული, ძირითადი ალომორფის **-ის** სუფიქსის პოზიციური ვარიანტი (უთურგაძე, 1986: 54; ონიანი, 1989: 181).

ძველ წერილობით ძეგლებში ხმოვნის მომდევნო პოზიციაში (ე. ი. ფუძეუკვეცელ სახელებთან) **-სი/-ს** ალომორფთა ნაცვლად გამოიყენება **-ის/-ისა**; წყარო-**ის/წყარო-ისა**, ძუძუ-**ის/ძუძუ-ისა** (შანიძე, 1976: 38-39; იმნაიშვილი, 1957: 145-146).

ანალოგიურ პოზიციებში გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები ქართულ ებრაელთა მეტყველებაშიც. მაგალითები:

**-ა** ხმოვანფუძიანი: *სანამ მამის დატოვებული ქონდათ, არ მოგონებიათ მამის ანდერძი, არც გარჯილან...* (თათარაიძე, არაბული 2014: 11); *ვაჟი დედის მსგავსია* (თავდ., 1940: 150); *არა მგონია მთაურობის დავალებით იყუნ* (ტექსტები, 2014: 213)...

**-ე** ხმოვანფუძიანი: *მეფემ სიძის ძმებსაც კარგი თანამდებობა მისცა*(თათარაიძე, არაბული 2014: 15); *დიდი სიმდიდრის პატრონი იყო, მაგრამ გარჯა მაინც უყვარდა მისცა* (თათარაიძე, არაბული, 2014: 11)...

**-ო** ხმოვანფუძიანი: *აბრამ აბინუს ჩამამავალი, სულ წყაროს წყალივით მიდიოდენ წინ* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *იმისი ნაბანი სულ ოქროს ზოდებათ გადმოვიდა* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“ , №3950)...

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა უცვლელია როგორც სახელის ფუძე, ისე ბრუნვის ნიშანი:

*აბა, ვილაპარაკოთ ჩვენი დღეის თავზე გადასავალიო* (თსუფა 1982: №25149). შდრ. გამოთქმა: „დღეის ამას იქით“; *შენ დაგეცა რუის კლდე* (თათარაიძე, არაბული, 2014: 158). მოცემულ კონტექსტში **რუ-ის** ძველი ქართულისებური წარმოებაა.

არცთუ იშვიათად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონიითი ელემენტი, რაც დასტურდება რ. თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში, აგრეთვე, ონელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში. მაგალითად: *მოადგა ზღვი პირას* (თსუფა 1982: №25134); *სად იყო ოქრო ბეჭედი, მიდღეში არ წამომიკვია* (ფა №5149); *სამსონისა კი იყო დედი მუცლიდგან* (თსუფა 1982: №25144). როგორც სამეცნიერო ლიტერატურში მიუთითებენ, საკუთრივ რაჭულში, კერძოდ, ლეზურ-ჭიორულში, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის

-ს ელემენტი იკარგება, როცა სახელი ნათესაობითში პრეპოზიციური მსაზღვრელია. ანალოგიური შემთხვევა დასტურდება გლოლურშიც, თუმცა იშვიათად, ისიც მყარ შესიტყვებებში: გოჭი ხუთმაზათი (თოფურია, 1961: 244).

მსგავსი ფაქტები ხშირია ქართული ენის დიალექტებშიც: **გზ-ი** პირას (ჯავახ.); **რუ-ი** პირზე (კახ.), **პურ-ი** ჭამა (იმერ.)...

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში **ა**-სა და **ე**-ზე დაბოლოებული კვეცადი სახელები **მოქმედებით** ბრუნვაში დასტურდება **-ით/-თ-ი** ალომორფებით:

*აკანკალებული ხმით განაგრძო ქმარმა, მაპატიეთ, მეფეო, ვერ მოვკლავ* (თავდ., 1940: 134); *დიდი ხანი იცადა, დაილალო ცდით* (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ზოგი დროს უშობდა ამ ხელობით* (ტექსტები 2014: 221); *რითია ახლას კაი ცხოვრება სურსათი-სა-ნოუაგით, ტეხნიკით* (ტექსტები 2014: 225).

-ა ხმოვნით გავრცობილი ფორმები ხშირია **და** კავშირის წინ:

*სამოთხის მსგავსი ბალი ქონდა ამ ბატონ ხითა და ხინარით სა-მსე* (ქდვ: „სულამით“, №3948); *დიდი გაჭივრებითა და შეწუხებით ატარებენ იქნანი ხალხი თავის სიცოცხლეს* (იქვე);

უკვეცელ სახელებთან მოქმედებით ბრუნვაში არის **-თ(-ი)**:

*ამ გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წაღმა იარეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯარითაც. ამენ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ორივეს თავისი ძუძუთი ინახამდა* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949).

ქართველ ებრაელთა წმინდა წიგნებში, ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიანი სახელები გაფორმებულია **-ით/-ით-ა** ალომორფებით. მაგალითები:

**-ით:** *და იცოცხლას ადამმა ას ოცდაათი წელიწადი და დეებადა მსგავსით მისითა და ვითარცა სახით მისითა* (ბერემ., თ. 5); *და შენ მიბძანე მე: სიკეთით გეკეთილება შენ* (ბერემ., თ. 32)...

**-ით-ა** (გვხვდება პოზიციის შეუზღუდავად):

ა) *ფრაზის ბოლოს: და გაირყვნა იგი ქვეყანა წინაშე იმათ ღმერთსა და აივსო იგი ქვეყანა უსამართლობითა* (ბერემ., თ. 6); *და აიყვანა მისთვის იგი ყოველი ესენი და დააშვივა ისინი დაშვივებითა* (ბერემ., თ. 15);

ბ) ფრაზის შიგნით: *ბოლო ყოველი ხორციელისა მოვიდა წინაე ჩემსა, ნამეტურ აივსო იგი ქვეყანა უსამართლობითა იმით წინაშე მათგან* (ბერეშ., თ. 6); *უკანით იმა საუბრებსა ამეებსა იყო ბძანება უფლისა იმათ აბრამსა შინა სანახაულობითა ამნაირად* (ბერეშ., თ. 15); *შინა სახითა ღმერთითა გაჩდა ისი, ვაჟი და ქალი გააჩინა ისინი* (ბერეშ., თ. 1).

ამდენად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მოქმედებით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება **-ით/-ით-ა**, ხოლო ხმოვანფუძიანებთან **-ით/-თ-ი** ალომორფები.

ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ხმოვანფუძიანი (უკვეცილი და კვეცადი) საზოგადო სახელების **ვითარებითში** ხდება ბრუნვის ნიშნისეული მჟღერი თანხმოვნის დაყრუება:

*ყველაკანა მეელოდა გაბედნიერებას და ხენწივის სიძეთ გახთომას* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *რომენიც მე მამწონს და საქმართაც მინდა* (იქვე); *მესამე ქალიშვილის ქმარი უნდა დატევოს ხენწიფეთ* (იქვე); *მასწავლებელ მაშინ მიცემდა შაბათის ულუფის ფულ – ერთ მანათიან და წავიდოდა სამუშაოთ* (ქდვ: „იკუთიელ მხატვარი“, №3944); *უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წეხვედი* (იქვე); *შენეც მოქცემენ უფულოთ და დააყენე შაბათი* (იქვე); *უწყლოთ არი დაფქვილი* (ტექსტები 2014: 236); *...მიწათ უნდა იქცეს...* (ახალი მასალები, 2016, ჩამწ. ს. გუმბ.).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა ზეპირ თარგმანებში ხმოვანფუძიან სახელებში, თანხმოვანფუძიანთა მსგავსად, **ვითარებითი** ბრუნვის ნიშნად ყველგან არის **-დ**:

*და შეიქნა მათთვის იგი ალიზები ქვად* (ბერეშ., თ. 11); *და იქნება სახელი შენი აბრაამი, ნამეტურ მამად ჯა რისა ერებისათვის მიგეცი შენ* (ბერეშ., თ. 17); *და ადგა იგი მინდორი და იგი გამოქვაბული, რომ შინა მისა, აბრაამისათვის სამკვიდროდ საფლავად იმის სიახლისა შვილებისა ხეთიელისაგან* (ფარაშათ ბერეშ., თ. 23); *და მე ვიარები უშვილოდ...* (ბერეშ., თ. 15); *და ამოიყვანე ის იქ საღმრთოდ ზედა ერთსა იმა მთებსა* (ბერეშ., თ. 22); *ღმერთი გამოაჩენს მას, იმა კრავსა საღმრთოდ, შვილო ჩემო...* (იქვე); *... და შეიქმნა იქ ერად დიდად, ძლიერად და მრავალრიცხოვან საზოგადოებად* („ფესახის აგადა“, ენობი 2014: 80).



სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ვითარებითი ბრუნვის **-ათ/-თ** ალომორფი პირველად გამოვლინდა ადიშის ოთხთავში. შემდგომ ამგვარი ფაქტები აღმოჩნდა IX-X საუკუნეთა ძეგლებში. ზ. სარჯველაძის აზრით, ამ დროს ცოცხალ მეტყველებაში **-ათ/-თ** უნდა ყოფილიყო (სარჯველაძე, 1984:363).

ქართველ ებრაელთა ზეპირი თარგმანებისთვის ვითარებით ბრუნვაში დამახასიათებელია **-ად/-დ** ნიშნები. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ თარგმანების სიძველეს.

ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები წოდებით ბრუნვაში გაფორმებულია **-ო/-ვ/-ო** ალომორფებით. ხმოვანფუძიანებთან უმეტესად გვხვდება **-ო** როგორც ერთ-, ისე მეტმარცვლიან სახელებთან. მაგალითები:

**ძმაო** – გადაუშალა ხელები მეცხვარემა (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიძმარის ახსნა)“, №3951); არა **ძმაო**, მე არ გირჩევ ვინმეს მიბარებას (ქდვ: „დაკვირებული კაცი“, №3942); **ზღვაო**, რად გარდიხვეწე, **იარდენო**, რად დაბრუნდი უკულმა („ფესახის აგადა“, ენობი 2014: 67); ოთხი კუთხის მბრძანებლო **ხელმწიფეო!** (თათარაიძე, არაბული, 2014: 87); მოგახსენებთ დიდო და დიდებულო **ხენწიფეო!** (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941)...

**-ვ** არის ერთზე მეტმარცვლიან ხმოვანფუძიან საზოგადო სახელებთან:

ეს ყოფილა, **მამავ**, ჩემი ყისმათი, დაგვლოცე (თათარაიძე, არაბული 2014: 13); **სიძვე** შენი ქისაო, ფერად ნარინჯისაო (იქვე, 173)...

იშვიათად საზოგადო სახელები წოდებითში გაუფორმებელია:

**მამა**, თუ სადმე იცი აქანაი წყალი ხო იყოს (ქდვ: „სულამითი“, №3948) (უნდა იყოს **რო** – ს. გუმბ.). ხომ ხწოათ გამიყვია, ჩემო **ბიძია**, აბა რაღას მენდური? – უპასუხა სტუმარმა მაინძელსა და გაიცინა (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943)...

ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში წოდებითი ბრუნვის შესახებ საინტერესოა ისაკ შამელაშვილის ხელნაწერი ნაშრომი, რომელიც სავარაუდოდ, ავტორს წაკითხული უნდა ჰქონდეს სტუდენტთა კონფერენციაზე 1959 წელს. ხელნაწერი გამოაქვეყნა მისმა ძმისშვილმა პროფ. რ. ზექალაშვილმა, რომელიც სინანულს გამოხატავს იმის თაობაზე, რომ თავის დროზე არ შეუსწავლიათ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება, ახლა კი, ცნობილი მიზეზების გამო, უკვე გა-

მწედა ეს საქმე. ი. შამელაშვილის ნაშრომში ასახულია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი. მისი აზრით, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ყველა ტიპის საზოგადო და საკუთარ სახელთან წოდებითში გამოიყენება **-ო** ნიშანი: „**დედაო** ჩემო, მომხედე შენ შვილ“ (ზექალაშვილი, 2014: 103).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ასეა ქართული ენის დასავლური დიალექტების ნაწილში (იმერული, ლეჩხუმური): წოდებითი ბრუნვის ნიშნად საზოგადო სახელებში მხოლოდ **-ო** გვევლინება და არასდროს არ გვხვდება **-ვ**. (შარაშენიძე 2016: 84).

**ამდენად, ხმოვანფუძიან საზოგადო სახელთა ბრუნების პარადიგმა ებრაელთა ქართულში შემდეგნაირია:**

- სახელობითი -Ø, -ი**
- მოთხრობითი -მ, -მ-ა, -მან**
- მიცემითი -ს,-ს-ა**
- ნათესაობითი -ის, -ს, -ს(ი).**
- მოქმედებითი -ით, -თ-ი, -ითა**
- ვითარებითი -დ**
- წოდებითი -ო/-ვ/Ø**

**ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები.** ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები **სახელობით** ბრუნვაში წარმოდგენილია როგორც **-Ø** (ნულოვანი) ალომორფით, ისე **-ი** ნიშნით. საინტერესოა დავით ბოთერაშვილის (ბოთერა) მოგონებანი ახალციხელ ებრაელებზე: ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, აქ იყო: ქოსათ მორდებსას ცოლი **ნათელაი**, ლალოთ **სონიკოი**, შაოთ **ხაისარაი**, კონცოლაათ **სიკაი**, ფიტიმათ **სიმაი**, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ **სიმხაი**, ქორბინოთ აშერასცოლი (ბოთერა, 2016: 23, 25).

აღნიშნული მოვლენა დადასტურდა, აგრეთვე, კულაშელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში. მაგალითად: **შალიკოი**, **სლავას მამა**, **მაგენ ძმები ხოიყვენ**, **ქორაი?** (ფბ, 2018); **აქანა ცხორო-**

ბდა ტული, **მირზაი** (იქვე);(ვიდეომასალა განთავსებულია სოციალურ ქსელში: <https://www.facebook.com/mario.tzur.7/> ფებ, 2018). ამგვარი ფაქტები გაანალიზებულია რ. ენუქაშვილის, თ. ლომთაძის, ი. შამელაშვილის შრომებში.

გაუფორმებელი ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები: დაინახა **ლია** თავი გვერდში (თსუფა 1982: №125155); და დაარქვა ადამიანმა სახელი ცოლის მისისა **ხავა** (ფარაშათ ბერემ.: თ. 3);; ნამეტურ დაინახა, რომ გაიზარდა **შელა** (ბერემ., თ. 38). **მოთხრობით** ბრუნვაში ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები გაფორმებულია **-მ**, ნიშნებით. **იუდამ** უთხრა ძმას (თსუფა 1982: №25155); ამ **რიბკამ** ჩააცვა ბაღნიანი შუბა იაკკობ (იქვე); ხახამ **ზაზომ** უხშირა სალოცავში სიარულს (თათარაიძე, არაბული 2014: 143); **მოშემ** ხალხი არ წაიყვანა (იქვე); **დელილამ** დააძინა შამშონი (თსუფა 1982: №25141); და ბძანა **ლეამ**: მოვიდა მაზალი (ბერემ., თ. 30). **მიცემით** ბრუნვაში ხმოვანფუძიანი ადამიანის (პირის) სახელები ყოველთვის **-ს** ნიშნითაა წარმოდგენილი. და **სარას** ესმოდა კარებსა იმის კარვისას (ბერემ., თ. 18); და იყო იმის ბოლოსა ორი წლისასა დღეებსა, და **ფარყოს** დეესიზმრა: და ესერა იდგა ზედა იმა ნილოსზედა (ბერემ., თ. 41);... და უთხრეს **ფარყოს**, დასასადგურებლად მოვედით ამ მიწაწყალზე... („ფესახის აგადა“, ენოხი, 2014:82); და დეებადა **ელიფაზსა** იგი ყამალეკ (ბერემ., თ. 36)...

ძირითადად გვხვდება **-ს** ნიშნიანი ნათესაობითი: ემეთ [ჭემ-მარიტად] როგორც არ უღალატებ ღმერთსა და **მოშეს** თორას, ისე სიმართლეს გეუნებთ ყველიფერ (ქდვ: „ღარიბი კაცის ამზავი (სიმძარის ახსნა)“, №3951).

ზეპირ თარგმანებში პოსტპოზიციური წყობის დროს დასტურდება **-ს-(ი)**:და გამოვიდა დინა, ქალიშვილი **ლეასი** (ბერემ., თ. 34); და გადიცვალა დებორა, ძუძუმეწუებელი **რიბკასი** (ბერემ., თ. 35); მოქმედებით ბრუნვაში ძალზე იშვიათია ადამიანის (პირის) სახელები. ზეპირ თარგმანებში დადასტურდა **-ით-ა** ვარიანტი: და შეფიცა იაკკობმა შიშითა მამის მისითა **იგბაკითა** (ბერემ., თ. 31).

**ვითარებით ბრუნვაში** ჩვენს საანალიზო მასალაში საკუთარი სახელები არ დადასტურდა.

ჩვენს საკვლევ მასალაში, კერძოდ რ. თავდიდიშვილის ტექსტებში, რომლებშიც ასახულია ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება,

**წოდებით** ბრუნვაში ადამიანის (პირის) სახელებთან ერთგან დადასტურდა **-ვ**: **ნანახავ**, *სულო და გულო, მითხარ გვარი რისა გაქვს?* (თათარაიძე, არაბული 2014: 17).

**-ო/-ვ** ნიშნიანი წოდებითი დამახასიათებელია ქართული ენის დიალექტებისთვის: საზოგადო სახელების მსგავსად არის გაფორმებული როგორც თანხმოვანფუძიანი, ისე ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელები. მაგალითად:

*ნუ წახვალ, მზევინარ-ო* (ფშ.); *დავით-ო, ქვევრა მოვხადოთ; ილარიონ-ო, შენე ბევრის მოსწრე ხარ; ნუ სწუხარ, ქეთევან-ო* (იმერ., ძოწენიძე, 1973: 235); *ფანდურა-ვ, ვიძახით მე და შენაო; გიორგა-ო, დედა შაგენაცვლაო; ლელა-ვ, მიშველე!* ვიძახდიდო (ხევს.). **აიშე-ვ/აიშა-ვ, ფიქრიე-ვ/ფიქრია-ვ** (აჭარ., ნოღაიდელი 1960: 29); **გულიზარა-ვ** (იმერხ., ფუტკარაძე, 1995: 8).

ხმოვანფუძიან ადამიანის (პირის) სახელებს წოდებითში ბოლოკიდური ხმოვანი ეკვეცებათ, ასევე, კილოებში: **მაყვალ, ნათელ...** (ქართლ., ცოცანიძე, 2016: 62), **მანან...** (კახ., ჯორბენაძე, 1989: 323), **ლამარ...** (მესხ., შარაშენიძე, 2016: 84, ბერიძე); **მაყვალ...** (მთ.-გუდ., ჯორბენაძე, 1989: 281).

წოდებითის **-ო** სუფიქსი დიალექტებში მეტ-ნაკლებად უხორცდება თანხმოვანფუძიან ანთროპონიმთა ფუძეს და ამის შემდეგ სხვა ბრუნვაშიც გადადის: ეთერო-**ო**, ეთერო-**მ**, ეთერო-**ს**.

ამდენად, ადამიანის (პირის) სახელების ფორმაწარმოება ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მეტწილად ზეელი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მსგავს ვითარებას უჩვენებს. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თავისებურება: ა) ხმოვანფუძიან სახელთა სახელობითში **-ო** სუფიქსის დართვა (სიმაი, თამარაი, ნათელაი, ლალოი, სონიკოი...). ბ) „თავსილში“ თანხმოვანფუძიან სახელებთან მოთხრობით ბრუნვაში გვხვდება როგორც ახალი, ისე ძველი წარმოება (იოსებმა, იოსებმან...); გ) თანხმოვანფუძიანი სახელები მიცემით ბრუნვაში დასტურდება **-ს**, **-ო** ალომორფებით (სულამით, შიმშონ, აზშალომ, რახელ...). **-ო** ალომორფი გვხვდება „თავსილშიც“ (იაცაკობ, იოსებ, ნოახ...); დ) ყოფითსა და ფოლკლორულ ტექსტებში წოდებითში შეინიშნება ანთროპონიმთა გაფორმების ტენდენცია (დავით-ო, დანიელ-ო, გომენო...).

ამგვარად, ქართველ ებრაელთა მეტყველებაში არსებითი სახელის ბრუნვის პარადიგმებში გვაქვს როგორც ძველი ქართულის მსგავსი წარმოება, ისე თანამედროვე სტანდარტული ქართულის მსგავსი ფორმები გვაქვს ქართულის დიალექტებისათვის დამახასიათებელი წარმოება (სახელობითში ხმოვანფუძიანებთან -ი, მიცემითში -ს-ს დაკარგვა, -ც, ვითარებითში -ათ), თუმცა სახელობითში ხმოვანფუძიანებთან -ი ხმოვნის გამოყენება და მიცემითში -ს-ს დაკარგვა არ ემთხვევა შესაბამის ტერიტორიულ დიალექტს, იგი ყველა კუთხის მაცხოვრებელ ებრაელთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციაა.

### გამოყენებული ლიტერატურა

**არაბული... 2011** – არაბული ა. ...., სახელის მორფოლოგია, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2011.

**არაბული, თათარაიძე 2014** – არაბული ა., თათარაიძე ე. კრებული „ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“, გამომც. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, თბ., 2014.

**ბოთერა 2016** – ბოთერა დ., „ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა“, ჟურნალი „არავი“, სამცხეთ-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, №9. თბ., 2016.

**ბერიძე, კობაიძე, ჯორბენაძე 1988** – ბერიძე მ., კობაიძე მ., ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფემისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბ., 1988.

**გოგოლაშვილი 2016** – გოგოლაშვილი გ., „ფუძისა და აფიქსთა ურთიერთქმედება ფორმაწარმოების პროცესში“: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II, დიალექტები. თბ., 2016.

**გუმბერიძე 2016** – გუმბერიძე ს., არსებით სახელთა მიცემითი ბრუნვის გამოხატვისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, კრებ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2016.

**გუმბერიძე 2018** – გუმბერიძე ს., ადამიანის (პირის სახელთა ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართველ ებრაელთა მეტყველე-

ბაში, საენათმეცნიერო ძიებანი, XL, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება, თბ., 2018.

**დადუნაშვილი, დოლიძე, ტაბუცაძე 1999** – დადუნაშვილი ე., დოლიძე ს., ტაბუცაძე ნ., თსუფა ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი, გამომცემლობა „ლომისი“, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, თბ., 1999.

**დადიანი 2011** – დადიანი ე., ფონეტიკური პროცესები ტაოურ დიალექტში – I (ზგერათა დაკარგვა). ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ჟურნალი „წელიწდეული“, ტ. III, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2011.

**დადიანი 2014** – დადიანი ე., ქართველური დიალექტური ტექსტები: „ქართველური მემკვიდრეობა“, XVIII, ქუთაისი, 2014.

**დადიანი 2016** – დადიანი ე., ქართველური დიალექტური ტექსტები: „ქართველური მემკვიდრეობა“, XX, ქუთაისი, 2016.

**ენოხი 2001** – ენოხი რ., ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (სოფ. ზანძის მეტყველების მაგალითზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №29, 2001.

**ენოხი 2007** – ენოხი რ., ძველი ქართულის ელემენტები „თავსილში“, სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ჟურნალი „ქართველოლოგი“, №14, თბ., 2007.

**ენოხი 2011** – ენოხი რ., „ფესახის აგადა“ (პასექის ლეგენდა), ტრადიციული თარგმანი ქართველ ებრაელთა მიერ, (Tavsili – The Traditional oral Translation of the Bible in Judeo-Georgian. A Critical Edition of Genesis. Part I. The Text. By Reuven Enoch), 2001.

**ენოხი 2014** – ენოხი რ., ქართველ ებრაელთა მეტყველების რაობის საკითხისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 13 ივნისი, 2014, გორი, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2014.

**ზექალაშვილი 2014** – ზექალაშვილი რ., უცნობი ნაშრომი ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შესახებ, წელიწდეული, ილია ჭავ-

ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული, VI, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2014.

**თავდიდიშვილი 1925** – თავდიდიშვილი რ., ქუთაისის ქართველ ისრაელ ქალთა ცხოვრება, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივი. ფა, 1925.

**თავდიდიშვილი 1940** – თავდიდიშვილი რ., „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქართველ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან“, რედ. ს. მაკალათია, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბ., 1940.

**თოფურია 1961** – თოფურია ვ., მთარაჭულის დახასიათებისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1961.

**თსუფა 1982** – თსუფა, ჩამწერი ჯაფარიძე გ., თსუ ფოლკლორისტიკის კათედრის ზამთრის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ონის მასალები, 1982.

**იმნაიშვილი 1957** – იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1957.

**Kvirikashvili, A. & Lomtadze 2024** – Kvirikashvili, A. & Lomtadze, T., “Lexical Influences of Modern Hebrew on Judeo-Georgian”. International Journal of Linguistics and Communication, 12(1), pp. 1-14 <https://ijlc.thebrpi.org/vol-12-no-1-june-2024-current-issue-ijlc>. 2024.

**კუბლაშვილი 1985** – კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემოთმერული დიალექტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1985.

**ლომთაძე 2005** – ლომთაძე თ., ქუთაისური ჟარგონი, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2005.

**ლომთაძე 2005** – ლომთაძე თ., ქუთაისური ქართული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005

**ლომთაძე 2013** – ლომთაძე თ., ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლისათვის – მნიშვნელობა და პრობლემები“, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, გორი, 1 ნოემბერი, თბ., 2013.

**მიქაუტაძე 2010** – მიქაუტაძე მ., მიცემითი ბრუნვის გამოხატვა და ფუნქციები იმერხეულში, წელიწდეული, ილია ჭავჭავაძის სახე-

ლობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადული, II, ქუთაისი, საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2010.

**ონიანი 1989** – ონიანი ა., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989.

**საღინაძე 2011** – საღინაძე რ., ქართული პერიოდიკისა და პრესის ენის ისტორიიდან, თბ., 2011.

**სარჯველაძე 1997** – სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

**უთურგაძე 1986** – უთურგაძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1986.

**ფუტკარაძე 1997** – ფუტკარაძე ტ., ბრუნება როგორც სახელის ფორმათწარმოების ერთ-ერთი ასპექტი (სახელის სინთეზისა და ანალიზის ფორმალიზებული მოდელებისათვის), გ. როგავას საიუბილეო კრებული, თბ., 1997.

**შანიძე 1976** – შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1976.

**შანიძე 1956** – შანიძემ ზ., გეოგრაფიულ და წარმომავლობის სახელთა გადმოცემა ძველი აღთქმის ტექსტებში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.

**შარაშენიძე 2016** – შარაშენიძე ნ., სახელთა ბრუნება; ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები, მისი ვარიანტები და განაწილება (დასავლურ დიალექტებში): თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია II, დიალექტები, რედ. გ. გოგოლაშვილი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2016.

**ძოწენიძე 1973** – ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1973.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1988.

**ჯორბენაძე 1989** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია I, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989.

**ჯორბენაძე 1998** – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია 2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1998.



**Noun Declension Paradigms in Jewish Georgian**

Summary

According to the recent studies, the Georgian language of Jews is considered an ethnolect of the Georgian language, which consists of different speech varieties (Kutaisi, Kulashi, Oni, Tbilisi, Gori, Tskhinvali, Bandza, etc.).

In the paper, we will review the formation of noun declension in Jewish Georgian.

In order to study the noun declension paradigms, we used both handwritten texts made by RozaTavdidishvili and Reuven Enoch in the 40s-70s of the 20th century, as well as the video materials recorded since the early 21st century within the framework of projects funded by Shota Rustaveli Science Foundation of Georgia and the Volkswagen Science Foundation.

Examining the paradigm of noun declension in Jewish speech materials revealed that some features are used by the Jews from all the Georgian communities, and there are also occurrences that are typical only for the speech of Jews from various parts of Georgia.

Hence, the study of the speech of Georgian Jews is important with regard to the history and dialectology of the Georgian language.

მამია ფალავა, ზაზა უაზიკაძე

### ტაოს ონომასტიკა ოსმალურ წყაროებში<sup>1</sup>

ისტორიული ქართული ქვეყანა ტაო დღეს თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია. ქვეყნის ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით იგი ართვინისა (იუსუფელის რაიონი) და ერზრუმის (ოლურის, შენქაიას, ოლთისის, უზუნდერეს, თორთუმის, ნარმანის რაიონები) ილემშია (გუბერნია) მოქცეული. აღვნიშნავთ, რომ ჭოროხის ხეობა ჩვენს საუკუნეში კაშხალთმშენებლობის დიდ პოლიგონადაა ქცეული, თავად ჭოროხი, დიდი მდინარე, „დენიზად, ზღვად ქცეულა“<sup>1</sup>. დიდმა მშენებლობებმა ფერი უცვალა ჭოროხის ხეობას: ბევრი დასახლებული პუნქტი, სოფელი თუ ისტორიული ძეგლი შეეწირა მას. აბორიგენი მოსახლეობის დიდი ნაწილი იყრება წინაპართა მიწიდან და ქვეყნის სხვა პროვინციებში სახლდება, თანდათან დავიწყებას ეძლევა ქართული გეოგრაფიული სახელები, საბოლო-

<sup>1</sup> კაშხლების მშენებლობები დასრულებულია, ან იგეგმება ჭოროხის შენაკადებზე: საკუთრივ ჭოროხზე დასრულებულია ექვსი კაშხლის მშენებლობა, მიმდინარეობს ერთი, ხოლო სამზე მუშაობა ჯერ არ დაწყებულა. დასრულებულია: დერინერის, ართვინის, ბორჩხის, არქუნის (არზრუმ-სპერის გზაზე), მარადიდის, გულლუბადის (სპერში) ჰიდროელექტრო-სადგურები. იუსუფელის ჰიდროელექტრო-სადგურის მშენებლობა ამჟამად მიმდინარეობს. მომავალში ჭოროხზე აშენდება: – აქსუს, ლალელის (ბაი-ბურთთან) და სპერის მეორე ჰიდროელექტრო-სადგურები. მნიშვნელოვანია, რომ კაშხლების მშენებლობები იგეგმება ან უკვე აშენებულია ჭოროხის შენაკადებზეც: აქსუს წყალი (ორი მცირე ჰესია აშენებული), პარხლისწყალზე – ალთიფარმაქის ჰესი, ბერთასწყალზე – აშენდება სამი ჰესი (ერთი – დაწყებულია), ჩაპანისწყალი (აშენებულია „ერზრუმ-ოზლიჯეს“ ჰესი სპერთან), დევსქელისწყალი (ერენლერის, ძვ. ირსა ჰესი), მასათისწყალი (ბაიბურთში ორი ჰესია აშენებული, დაგეგმილია მესამეს მშენებლობა), ოლთისისწყალი (აშენებულია აივალის ჰესი, იგეგმება – ოლურის), შავშეთისწყალი (აშენებულია ერთი ჰესი), სირა-ქონაქლარის წყალი (აშენებული ერთი ჰესი), თიკნასურის (მადურის) წყალი (ბაიბურთში) აშენებულია ერთი ჰესი), თორთუმისწყალი (აშენებულია ორი ჰესი, იგეგმება კიდევ ორის მშენებლობა), იელითეფეს (ძველი – კასრიკი) წყალი (აშენებულია ერთი ჰესი) (იხ. მახარაძე, შამიკაძე, 2022: 11-12).

ოდ იშლება ქართველთა ნაკვალევი. წყალქვეშ აღმოჩნდა მოზრდილი ქალაქი იუსუფელი (ამიერთაოში) და მისი მიმდებარე სოფლები. მიმდინარე პროცესები აჩქარებს კუთხის ასიმილაციის ისედაც შორს წასულ პროცესს. დღეს ქართული მეცნიერებისათვის უაღრესად ფასეულია ჭოროხის ხეობის შესახებ მოპოვებული ისტორიული დოკუმენტები თუ წარმოებული სამეცნიერო კვლევები, ფასეულია დავისწყებას გადარჩენილი ონომასიკური მასალის ჩაწერა და კვლევა; მასალისა, რომელიც „მოგვითხრობს“ ტაოს ქვეყანასა და ტაოელებზე, აქ მიმდინარე კულტურათა დიალოგზე მიგვანიშნებს ამ დიალოგის შედეგებზე<sup>1</sup>...

ქვემოთ ვიმსჯელებთ იუსუფელის ონომასტიკაზე ორი ოსმალური წყაროს მიხედვით<sup>2</sup>. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ (ქვემოთ - „დავთარი“) დაუცავს ცნობები იუსუფელისა და მისი მიმდებარე სოფლების ტოპონიმიკაზე, ასევე მოსახლეობაზე, რაც გვაძლევს საშუალებას სიფრთხილით, მაგრამ მაინც ვისაუბროთ აღწერილი სოფლების ეთნიკურ შედგენილობაზე.

დავიწყოთ ტოპონიმიკით:

**ოცხა/ოცხე** (Osha), ახლა **არფაჯიქი** (Arpacık). ფუძის ბოლოს მონაცვლეობს ა/ე ხმოვნები, ისმის ორივე ფორმა. გეოგრაფიულ სახელში იგივე ძირი (ცხ) ჩანს, რაც **სამცხე**ში.

**კახნესი/კახნისი** (Kahnes), ახლა **ავჯილარი** (Avcılar).

**კახნისი/კახნესი** დასტურდება ორივე ფორმა, ამოსავალი ჩანს კახნისი (კახ-ნ-ის’ი). ნაგენტივარი სახელია, მრავლობითში, ფუძეა **კახ** (>კახნი).

**ზვარი** (Covar) ახლა **ბადემქაია** (Bademkaya). ბ. კუდავა **ზვარსჯვარს** უკავშირებს (კუდავა, 2017:516). „დავთარში“ ზ. შაშიკაძე და მ. მახარაძე კითხულობენ **ზვარს**. ჩანს, სოფლის ძველი სახელი არის

---

<sup>1</sup> ჩვენს დროში ბევრი დაიწერა ისტორიული ტაოს შესახებ, მრავალთაგან გამოვყოფთ რამდენიმეს: ტაო (იხ. ტაო, 2020), იუსუფელის რაიონი (იხ. მახარაძე, შაშიკაძე, 2022); ტაო-კლარჯეთი (იხ. კუდავა... 2017; კუდავა... 2018); ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები (ზაგრატიონი... 2020); ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2018 წლის საკვლევი ექსპედიციების ანგა-რიშები (ხუციშვილი... 2019)...

<sup>2</sup> პროფესორმა მირიან მახარაძემ და პროფესორმა ზაზა შაშიკაძემ ოსმალურიდან თარგმნეს 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ და 1835 წლის „ქისქიმის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი“, რომლებიც, ისტორიულთან ერთად, ტაოს ონომასტიკის მნიშვნელოვანი წყაროა.

**ზვარი.** 1959 წლამდე ადგილობრივი მოსახლეობა მას **ზოვარ/ზუვარ**ს უწოდებდა (იხ. მახარაძე, შაშიკაძე, 2022:29). **ზოვარ/ზუვარ** ქართულის არმცოდნის მიერ გამოთქმული **ზვარია**. აქვე აღვნიშნავთ, რომ ფონეტიკურად შეუძლებელია **ზვარ**'ისაგან **ჯვარ**'ის მიღება. **ზვარი** ცნობილი ფუძეა ქართულში, ნიშნავს „დიდი ვენახი“ (ქეგელი, ახ.). ზუარი სავენახეა ძველ ქართულში (სარჯველაძე, 2001). სულხან-საბას ლექსიკონში შეაქვს მეზუარე და განმარტავს: „ყურძნის დამკრეფი, ვენაჯის მცველი“ (ორბელიანი, 1949; შდრ. აბულაძე, 1973).

**თუნგენისი** (Tüngenisi), ახლა **ბაქირთეფე** (Bakırtepe) – სპერიდან, ოლთისიდან, პარხლიდან და კოლადან მოსულთა შექმნილი სოფელია.

**თუნგენისი** – ნაგენეტივარი სახელია, **-ის(ი)** სუფიქსით ნაწარმოები. საძიებელია **თუნგენ** სახელური ფუძის მნიშვნელობა, იქნებ ადამიანის საკუთარი სახელი/მეტსახელი იყოს.

**არჯევანი** (Arcevan), ახლა **ბალალან'ი** (Balalan), მისი უბნებია: **წომწყალი**, თავად **არჯევანი** და **კოსკიკეთი**.

**არჯევანი** ადამიანის საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში – **არჯევანიძე** (იხ. მაისურაძე, 1990: 23).

ყურადღებას იქცევს გეოგრაფიული სახელი **წომწყალი** (//**ცომწყალი**, **წომსწყალი**). **წომ/ცომ** გეოგრაფიული სახელი ჩანს.

**კოსკიკეთ**'ი –**ეთ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმია, **კოსკიკ**'ის კუთვნილს აღნიშნავს. შესაძლებელია სხვა დაშვებაც: **კოსკიკეთი**<**\*კოსკიქედი**'საგან და **კოსკის**' ქედს აღნიშნავს, ანდაც **კოსკიკეთი**<**\*[რ]კოსკიკეთი**'საგან (**რკო**>**კო**'ს დაშვებულია ტაოურში). ყველა შემთხვევაში **კოსკიკეთი** ქართული სახელია.

**ბალხი** (Balh), ახლა **ბალჯილი** (Balçılı), მისი უბანია **საგრიეთი**. სოფელში ძველი არხია, ბალხელები მას თამარ მეფეს უკავშირებენ. არსებობს სოფელი ბალხიბარიც. მკვლევრები თ. შოშვილი და მ. ფალავა ბალხს „ამირანის ეპოსს“ უკავშირებენ. ბალხსა და ტაოს კიდევ რამდენიმე გეოგრაფიულ სახელში ამირანის „ნაკვალებს“ ხედავენ (იხ. ფალავა, შიოშვილი, 2017: 341-349; ფალავა, 2004:182-186). ბალხი ძველი წარმოების ტოპონიმია, მასში გამოვყოფთ ხი' სუფიქსს, უმავეს, რასაც სახელებში კოლხი, ტაოხი, მოსოხი... (იხ. ფალავა, 2018).

სავრიეთ-ში გამოვყოფთ -ეთ სუფიქსს. სავრი საკუთარი სახელი/მეტსახელი უნდა იყოს. ტოპონიმი აღნიშნავს სავრის ოჯახის კუთვნილს.

**მცირე ხევეკი** (Küçük Hevek), ახლა **ბიჩაქჩილარ**'ი (Bıçakçılar), ადგილობრივები **ხევა**-საც უწოდებენ. სოფელი ორად იყოფა – ქვემო ხევეკი (სოფელი) და ზემო ხევეკი (დაილები). ძველი დასახლება უნდა იყოს ზემო ხევეკი. ქვემო ხევეკი მას შემდეგ გაშენდა, რაც ხეობაში სამანქანე გზა შევიდა და მოსახლეობა ხეობაში ჩამოსახლდა, ძველი სოფელი კი საძოვრებად აქცია.

**ხევეკი-ხევ-აკ**-ისაგან, **-აკ** კნინობითობის მაწარმოებელი სუფიქსია (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:27) და მიუთითებს დასახლებული პუნქტის სიმცირეზე: **ხევეკი** მცირე, პატარა ხევი.

**დიდი ხევეკი** (Büyük Hevek), ახლა **მაიალაღარ**'ი (Yaylalar) - მირიან მახარაძე და ზაზა შაშიკაძე აფიქსირებენ სოფლის ძველ სახელწოდებად პარალელურ ფორმებს: **დიდი ხევეკი//დიდხევეკი** (იხ. მახარაძე, შაშიკაძე, 2022:39). ვფიქრობთ, ამოსავალი ფორმა უნდა იყოს პირველი – **დიდი ხევეკი**. ადილობრივები მას **ერმენ ხევეკსაც** უწოდებენ.

**საჯვართი** (Sacoret), ახლა **ბოიალი** (Boyalı). **ჯვარი** ადამიანის სახელი ან მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში – **ჯვარიძე**. საკუთარ სახელს **ჯვარისა** აფიქსირებს აკ. შანიძე (იხ. შანიძე, 1967). **საჯვართი//ჯვართი** ჯვარისათვის განკუთვნილია, **ჯვარის** კუთვნილია.

**ხოსთაფორი** (Hostapor), ახლა **ჩაღლიანი**'ი (Çağlıyan) – ძველად **წყლისპირის** უბანი ყოფილა. **ხოსთაფორი** კომპოზიტია. პირველი ფუძე – **ხოსთა** თ-ანიანი მრავლობითის ფორმაა, მეორე – **ფორი** ცნობილი ფუძეა ქართულში, რომელსაც საბა ასე განმარტავს: „ფორი – მეედანი“ (ორბელიანი, 1949). **ფორი/ფოროდ** მოედნის მნიშვნელობით იცის ძველმა ქართულმაც (იხ. სარჯველაძე, 2001). **ხოსთაფორი** ხოსების მოედანია.

**ლუსუნჯური** (Lusunçur), ახლა **ჩამლიჯა** (Çamlıca), მისი უბანია **დანილეთი**.

**ლუსუნჯური** -ურ სუფიქსით ნაწარმოები ფუძეა. დასაშვებია, რომ **ლუსუნჯური**<\***ლუსუნჯაური**-საგან (შდრ. მახინჯაური<მახუნჯაური). -ურ სუფიქსი ტოპონიმებში ვისიმე ქონებაზე მიუთითებს (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022: 224-227).

**დანილეთი** – ანთროპოტოპონიმი, ჩანს, **დანილის//დანიელის** კუთვნილს აღნიშნავს.

**გოჯექი** (Gocek), ახლა **ჩელთიქდუზუ** (Çeltikdüzü).

**შადუთი** (Şadut), ახლა **ჩირალი** (Çiralı), მისი უბანია **დაბლოვანი**. დასაშვებია, ამოსავალი ფორმა იყოს **შატუთი**, რომელშიც გამოიყოფა **შატ**-სახელური ძირი და **-უთ** სუფიქსი.

**დაბლოვანი** სეგმენტირდება: **დაბლ-ოვან-ი**. დაბლოვანი<დაბლოვანი-საგან. დაბალ-სახელურ ფუძეს განმარტავს სულხან-საბა: „სიმაღლე უქონელი“ (ორბელიანი, 1949). **დაბლოვანი** ადგილია, სადაც სიმაღლე არაა, ველია.

**ვაშქანი** (Vaşkan), ახლა **დაღეთეი** (Dağeteği) – ტოპონიმი აგებულებით ქართული არ ჩანს.

**ზემოვანი**(Zemovan), ახლა **დემირდოვენ-ი** (Demirdöven). მისი უბნებია **აბრამეთი** და **კილდისთა**.

**ზემოვანი**<**ზემოვანი**<**ზემოზანი**-საგან.

**აბრამეთი** – ანთროპოტოპონიმი, **აბრამის** კუთვნილს აღნიშნავს.

**კილდისთა**, იქნებ **კილდისთა**<**კილდისთავი**-საგან, **ვი** მარცვლის ჩავარდნით. შესაძლებელია სხვა ვარაუდის დაშვებაც: **კილდისთა**<**კილდისმთა**-საგან **მ**-ს დაკარგვით. აღვნიშნავთ, რომ სამხრულ მეტყველებაში **მთა**- ჩვეულებრივ გვადლევს **თა**-ს.

**ხემრუდი** (Hermut), ახლა **დერეიჩი** (Dereici), მისი უბნებია: **კალათი**, **ისრეთი**, **კანჭავანი**, **მაღალათი**.

**ხემრუდი** ფონეტიკურად სახეცვლილი **ხემრუთი** უნდა იყოს, რომელშიც **-უთ** სუფიქსი გამოიყოფა. საძიებელია **ხემრ**- ფუძის მნიშვნელობა. **-უთ** იშვიათად, მაგრამ მაინც აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს (იხ. ზურაბიშვილი, 1961:141).

**კალათ**-ში გამოიყოფა **-ათ** სუფიქსი, **კალა** ცნობილი ფუძეა ქართულში.

**ისრეთ**-ში გამოვყოფთ **-ეთ** ბოლოსართს და **ისრ**<**\*ისარ** სახელურ ფუძეს. **ისარ**- ფუძე დაცულია გვარში **ისარლიშვილი**.

**კანჭავანი**<**კანჭოვანი**-საგან ასიმილაციით (ა - ოა - ა). **კანჭი** წყლიან ადგილს უნდა ნიშნავდეს.

**მაღალათი** იგივე **მაღალეთია**, **მაღალას** კუთვნილი ადგილი.

**ჰუნგამეკი** (Hungamek), ახლა **დოკუმაცილარ-ი** (Dokumacılar)/**იუნჯულერ-ი** (Yüncüler) – ცნობილია ზემო და ქვემო ჰუნგამეკი. არ უნდა იყოს ქართული გეოგრაფიული სახელი.

**ხერსი** (Hers), ახლა **ერენქოი** (Erenköy)/**ქირაზალან** (Kirazalan).

**ხერსი**<**ხერ-ის-ი -ის** სუფიქსიანი სახელია. აღვნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვა **ხერსს** თუხარისთან აიგივებს (იხ. ინგოროყვა, 2009:364), რასაც სამართლიანად უარყოფენ მ. მახარაძე და ზ. შაშიკაძე (იხ. მახარაძე, შაშიკაძე, 2022:59. შდრ. ფაღვა, 2016:70-74). **თუხარისი** ჭოროხის ხეობაში, ჩვერელის ზემოთ არსებული უსახელო ციხე უნდა იყოს. ჩვერელიდან 35 კილომეტრში, მთაში დასტურდება ტოპონიმი **თუხერისი** (საზაფხულო სადგომია), უწინ მთელს ხეობას ჭოროხამდე **თუხარისი** ერქვაო, – გვითხრეს ჩვერელში (იხ. ფაღვა, 2016:72).

აღვნიშნავთ, რომ არსებობს ზემო და ქვემო ხერსი.

**ზორი** (Zor), ახლა **ესენიაქა** (Esenyaka), მისი უბანია **ვანათი**.

**ზორი/წორი** - ორივე ფორმა დასტურდება. ამოსავალი უნდა იყოს **ზორი**.

შესაძლებელია, **ზორ-** იყოს იგივე ფუძე, რაც **ზორვა-**ში გვაქვს. **ზორვა** განმარტებული აქვს საბას: „მსხვერპლთა მიმართ შეწირვა, კმევა და მსხუერპლი“ (ორბელიანი, 1949).

**ზორვა** გვხვდება ძველ ქართულშიც (აბულაძე, 1973).

შესაძლებელია ასეთი ვარაუდიც: **ზორი**<**ზვარი**-საგან **ვა**>ის ფონეტიკური გარდაქმნით.

**ვან-ეთი** - **ვან**’ (<ვანა) ანთროპონიმია, **-ეთ** ცნობილი სუფიქსი ქართულში. დაცულია გვარში **ვანაძე**. **ვანეთი**<**ვანაეთ**-ისაგან.

**აღჯუთი** (Ağcut), ახლა **გუმუშოზუ** (Gümüşzü).

**აღჯუთ-**ში გამოიყოფა **-უთ** სუფიქსი. **აღჯ** ფუძის მნიშვნელობა საძიებელია.

**ოღდარი** (Oğdar), ახლა **გუნდაილა** (Günyayla).

**ოღდარის** პარალელური ფორმაც გვხვდება – **ოკდარი**. ამოსავალი ფორმა ჩანს პირველი, **ოღდარი**, რომელშიც გამოვყოფთ **ოღდ** ძირს და **-არ** სუფიქსს. უცნობია **ოღდ** მარტივი ფუძის მნიშვნელობა.

**ოქერი** (Oker ), ახლა **ჰავუზლუ** (Havuzlu).

დასტურდება პარალელური ფორმები **ოქერი**//**უქერი**. ტოპონიმი უაფიქსოა, მნიშვნელობა – უცნობი.

**იფხანი** (İphan), ახლა **ინანლი** (İnanli).

**იფხანი** საინტერესო ფუძე ჩანს: **იფხანი** <\***იფხ[რ]ანი** <\***იფხრია-ნი**. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, აღდგება ფუძე **იფხრი** – გვიმრა. **იფხანი** <**იფხრიანი** **გვიმრიანი** ადგილი არის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ტაოურმა არ იცის **იფხრ-ი**, ფუძე შეუნახავს ტოპონიმს.

**ქოლიკი** (Kölik), ახლა **ირმაქიანი** (Irmakyanı): არსებობს ორი ქოლიკი - ზემო და ქვემო. გეოგრაფიულ სახელში გამოვყოფთ **ქოლ** ფუძეს, მნიშვნელობა უცნობია.

**ახოთი** (Ahot), ახლა **ქომურლუ** (Kömürlü).

**ახოთი** სეგმენტირდება **ახო-თ-ი**. **ახო** ცნობილი ფუძეა ქართულში: „საყანური გაკაფული“ (ორბელიანი, 1949). **ახო** სოფელიცაა ქედის მუნიციპალიტეტში.

**ვანისხევი** (Vanishev), ახლა **ქუფლუჯე** (Küplüce): ტოპონიმი კომპოზიტია. **ვანი** ძველ ქართულში ნიშნავს: „სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი, მონასტერი“ (აბულაძე, 1973. შდრ. ორბელიანი, 1949). **ხევი** – კიდევ ცნობილი ფუძეა. ტაოურში **ხევი** წყალსაც ნიშნავს, ღელეს: **ხეი** (<ხევი) დიდი ჩამოვდა, ქვაბაა გაწუმდა (ტაო, 2020:1187). შდრ. ძველი ქართული: **ჯევი** – „ნალუარევი“, „ცხვრი“, ხეობა, კანტონი, „ღელე“ (აბულაძე, 1973).

**ლოქი** (Lök), ახლა **მორქაია** (Morkaya). **ლოქი** ქართული სახელი უნდა იყოს, მაგრამ მისი მნიშვნელობა საძიებელია.

**სარძები** (Sarzep), ახლა **მუთლუგუნი** (Mutlugün): გეოგრაფიული პუნქტის აღსანიშნავად გამოიყენება პარალელური ფორმები: **სარძები/სარძევი**. ვფიქრობთ, **სარძები/სარძევი** ფონეტიკურად სახეცვლილი **სარწევია** (ძ:წ მონაცვლეობით).

**ხუმხალი** (Homhal), ახლა **ნარლიქ-ი** (Narlık). **ხუმხალი** სეგმენტირდება **ხუმხ-ალ-ი**.

**ქირვანსი** (Kirvens), ახლა **ორმანდიბი** (Ormandibi): **ქირვან-სი** <\***ქირვან-ის-ი** <\***ქირ-ოვან-ის-ი**.

**ქუშნარა** (Küşnara), ახლა **ოღდემ-ი** (Öğdem): **ქუშ-ნარ-ა** -**ნარ**-სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელია, რაღაცის (უფრო მცენარის) სიმრავლეზე მიუთითებს. **ქუშ-ი** მცენარეა, იგივეა, რაც **ქუჩი**, **ცხვრის წივანა** (იხ. მაყაშვილი, 1991). **ქუში** გვხვდება ქსნის ხეობაში, ნიშნავს: „სქელღეროიანი ბალახი, ამოდის ჯგუფ-ჯგუფად“ (დლონტი, 1984. იმოწმებს ვ. სომხიშვილს: იხ. სომხიშვილი. 1967). მთიულურსა და



გუდამაყრულში გვხვდება **ქუმა**, იგივეა, რაც **ქუჩი** (მაყაშვილი, 1991), „ბალახია გრმელი, ხმარობენ რძის საწურავად“ (ბექაური, 1941). **ქუში** და **ქუმა** ერთი და იგივე ბალახია. ტაოურში **ქუში**//**ქუმა** არ დაგვიდასტურებია, შეინახა ტოპონიმმა.

**ქუმნარა** ადგილია, სადაც **ქუში** ხარობს.

**გუდასხევი** (Gudashev), ახლა **ოზგუვენ-ი** (Özgüven), აქვეა ჩანჩქერი **ჯირო**.

**გუდა** საკუთარი სახელია, ანთროპონიმი, დასტურდება ძველ ქართულშიც. წყისის წარწერაში (616-619 წწ.) ვკითხულობთ: „ესე ჯუარი ქრისტჳსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და **გუდასმან**, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჯუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა, შაჰრამანსა ა, სალოცველად ჩუენდა, ცოლისა და შვილთა, ნოენბერსა იზ. ამენ“ (სარჯველაძე, 1984:12). მოყვანილი წარწერის მიხედვით **გუდა** ქალის სახელი ჩანს. საკუთარი სახელი **გუდა** დაცულია გვარსახელებში: გუდაძე, გუდავა, გუდავაძე, გუდაშვილი, გუდიაშვილი (იხ. მაისურაძე, 1990:50).

საინტერესოა **ჯირო**-ს მნიშვნელობა. საბა განმარტავს **ჯიროლა**-ს – „პატარა ბედელი“ (ორბელიანი, 1949). **ჯიროლა** დაიშლება: **ჯირო-ლ-ა**. რამდენად შესაძლებელია **ჯირო**-ს (ჩანჩქერი) დაკავშირება **ჯიროლა**-სთან (პატარა ბედელი) სხვა საქმეა.

უფრო დამაჯერებელი ჩანს **ჯირო**<**ჟირო**-საგან:

„სიტყვის კონაში“ საბა განმარტავს სიტყვას **ჟირო**: „...**ჟირად** ითქმის საკრავთა ძალნი მსხირპანესა და ბოხსა საშუალიცა“ (ორბელიანი, 1949). იქნებ **ჯირო** იგივე **ჟირია** (>**ჯირო**-ს **ჯ:ჟ** მონაცვლეობით) და ჩანჩქერს ეწოდა ხმიანობის გამო? იქნებ!

**ოხორი** (Ohur), ახლა **ფამუქჩულარ-ი** (Pamukçular), ასახელებენ პარალელურ ფორმებს: **ოხორი**//**ოხირი**. ამოსავალი უნდა იყოს **ოხორი**, შდრ. ლაზური – სახლი (თანდილავა, 2013), მეგრული **ოხორე**//**ოხორი** – სახლი, საცხოვრისი... (ქობალია, 2010). **ოხირ**-ი **ოხორ**-ის დისიმილირებული ფორმაა (ო – ო > ო – ი).

**წოიწყალი** (Toyskal), ახლა **სერინსუ** (Serinsu).

**წოიწყალი**<\*წო[ვ]ის წყალი, – **წოვი** ადგილი უნდა იყოს, საიდანაც ეს წყალი სათავეს იღებს, ანდაც ჩამოუვლის **წოვად** წოდებულ პუნქტს.

**ბიტი** (Pit), ახლა **თარაქჩილარ-ი** (Tarakçılar): **ბიტი** იქნებ ცუდად ჩაწერილი (თუნდაც ფონეტიკურად სახეცვლილი) **ბიგია**.

**ბიგი** განმარტებული აქვს სულხან-საბას: „ესე არს მიწა, სადაც სიმლაშითნაყოფი არა იქმნების, რომელ არს აღდაჭი“ (ორბელიანი, 1949). ძველმა ქართულმაც იცის **ბიგი**, ნიშნავს „მარილოვანი, მლაშე“ (აბულაძე, 1973).

თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, **ბიტი**<**ბიგი**-საგან უნაყოფო, მლაშე ადგილია.

**ზღაფორი** (Zığafor), ახლა **თაშქირან-ი** (Taşkiran), მისი უბნებია: **ბუნარა**, **თუხათი**, **ჯეგანეთი**, **მუსიოდლი**, **გოზანეთი**, **შავლაღეთი**, **ჰალაჩოდლი**, **ბადიანჯილარი**, **ვანი**, **სარიგიოლი**.

**ზღაფორი** რთული ფუძეა: **ზღა**+**ფორი**.

**ფორი** სულხან-საბას განმარტებით „მეედანია“ (ორბელიანი, 1949), საძიებელია **ზღა** ფუძის მნიშვნელობა. ქართული ენის დიალექტებში (ხევსურული, ფშაური, ქართლური, მთიულური, თუშური) დასტურდება **ზღავი** – „სიპივით ბრტყელი, ოღონდ უფრო სქელი ქვა, იყენებენ ბოსლის (გომურის) იატაკის მოსაკირწყლავად“ (დლონტი, 1984). **ზღაფორი**<**ზღაფფორი**-საგან და ნიშნავს – სიპივით ბრტყელი ქვის მოედანი.

**ბუნარა**<**ბურღვანარა**. **ბურღვი/ბურღვა** მცენარეა, იზრდება მდინარისპირებში, აქვს გოგრასავით ფოთლები, შდრ. კლარჯული – **ბურღვა** (კლარჯეთი, 2016: 1045), აჭარული და ტაოური **ბულღო** (იხ. ნიჟარაძე, 1971; ტაო, 2020:1115).

**ჯეგან-ეთ-ი**<**ჯიგან-ეთ-ი** (<**ჯიგან-ელ-ეთ-ი**), **ჯიგანელის** კუთვნილი ადგილი.

**გოზან-ეთ-ი** – **გოზანის** (ანთროპონიმი) სახლის კუთვნილი მიწა.

**შავლაღეთ-ი**<**შავლაყ-ეთ-ისაგან**. **შავლაყა** (<შავლოყა?) მამაკაცის სახელი/მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში **შავლაყაძე**.

**მუსიოდლი**, **ჰალაჩოდლი** „ქოხის სახელებია“, ამ ოჯახების კუთვნილის აღმნიშვნელია უბნების სახელები – **მუსიოდლი** და **ჰალაჩოდლი**.

**ვანი** (იხ. ზემოთ).

**სარიგიოლი** თურქულია, ქართულად „ყვითელ ტბას“ ნიშნავს, მისი ქართული სახელი არ ჩანს. **სარიგიოლი** მდინარისპირა დასახ-

ლებაა, იგი გვიან შექმნილი უნდა იყოს, მას შემდეგ, რაც ხეობაში გზა შევიდა და მოსახლეობამ მთის კალთებიდან ხეობაში გადმოინაცვლა.

**უშუმი** (Uşhum), ახლა **იაღჯილარ-ი** (Yağcılar), მისი უბანია **პოჯაილი** < \***ხოჯაილი** < **ხოჯაგილი** (?).

**უშუმი**-ში **-უმ** მაწარმოებელს გამოვყოფთ. საინტერესოა **უშბ** ფუძის მნიშვნელობა. ალექსანდრე მაყაშვილს ლექსიკონში შეაქვს **უშუ**, მცენარე, რომელსაც ქიზიყში **შოროქნისკატკატო** ქვია, იცნობენ **სილქანის** სახელითაც (მაყაშვილი, 1991).

**უშუ** < \***უშუ** -საგან **ხ-**ს დაკარგვით. **უშუმი** < \***უშუუმი** ფიტოტოპონიმი **-უმ** სუფიქსით ნაწარმოები (**-უმ/-ომ** სუფიქსის ერთ-ერთ ფუნქციად მიჩნეულია მცენარის სახელწოდებიდან ტოპონიმის წარმოება (იხ. ფაღავა, 2009:3-12).

**ჩორგენსი** (Çörgens), ახლა **იამაჩუსთუ** (Yamaçüstü).

**ჩორგენსი** < \***ჩორგენსი** -საგან და **ჩორგენის** კულტენილს აღნიშნავს.

**ქორთა** (Korta), ახლა **იარბაში** (Yarbaşı).

**ქორთა** იგივეა, რაც **ქორეთა** (ქორ-ეთ-ა). **ქორ-ი**//**ქორა** მეტსახელი ჩანს კაცისა, დაცულია გვარში **ქორიძე**.

მდრ. ნერიმან ალბაირი მსჯელობს რა ტოპონიმზე **ქორეთი**, აღნიშნავს: „ეტიმოლოგია წმინდა ქართველურია, – გამოიყოფა ფუძე **ქორ** და ტოპონიმური სუფიქსი (sic) **-ეთ**. სემანტიკურად ნიშნავს ადგილს, სადაც ბევრი ქორი ბინადრობს“ (ალბაირაქი, 2018:35).

მსჯელობა არაა დამაჯერებელი. **-ეთ** სუფიქსი ტოპონიმებში პიროვნების თუ ოჯახის კულტენილზე მიუთითებს (იხ. ტაო, 2020: 827- 830; ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:195-209).

**ისპირნიკი** (İspirnik), ახლა **იენიქოი** (Yeniköy), ადრე ასპარაშენის უბანი ყოფილა.

**ისპირნიკ**-ში გამოვყოფთ **ისპირ-** სახელურ ფუძეს, **ნ** მრავლობითობის სუფიქსია (ისპირნი), კ (<\*აკ) – კნინობითობის სუფიქსი.

**ასპარაშენი** - სოფელი იუსუფელთან ახლოს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იშხნის ციხე მდებარეობს **ასპარაშენ**-ში: „ხოლო ყრმა მცირე, გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, **ასპარაშენს**“ (ქ.ცხ. II: 288-289). **ასპარაშენი** იგივე სოფელი უნდა იყოს, ქართლის ცხოვრებაში **ასპარაშენის** სახელით რომაა მოხსენებული.

**ქობაკი/ქვაბაკი** (Kobak), ახლა **აუქსეკობა** (Yüksekoba). აღნიშნული ტოპონიმი რამდენიმე ვარიანტით დასტურდება: ქობაკი, ქვაბაკი, ქობად, ქობად კარი...

**წყლისპირი** (Ziglispir), ახლა **ზეითინჯიქი** (Zeytincik), მისი დიდი ნაწილი წყლითაა დაფარული (მახარაძე, შაშიკაძე, 2022:107).

ჩვენ მიმოვიხილეთ იუსუფელის სოფლების სახელწოდებები, რომლებიც 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშია“ მოხსენებული. ახლა ყველა სოფელს ორი სახელი აქვს, ერთი ძველი, რომელიც ჯერაც ახსოვთ ადგილობრივებს და იყენებენ კიდევ შიგასაურთიერთოდ და მეორე ახალი, თურქული სახელი, რომელიც სოფლებს დაერქვა 1959 წლის თურქეთის კანონის საფუძველზე. სახელდების თვალსაზრისით საინტერესოა ამ ახალი სახელწოდებების შესწავლაც, კერძოდ, მნიშვნელოვანია, გეოგრაფიულ პუნქტს, სოფელს ან სოფლის უბანს რა ახალი ნიშანი შეურჩიეს სახელდებისას... რაც შეეხება ძველ სახელებს, ყველა ქართულია, უმეტესობის ეტიმოლოგიის დადგენა ხერხდება, მცირე ნაწილის – ვერა და ეს არცაა მოულოდნელი, რამდენადაც დავიწყებას მიეცა ნიშანი, რაც წინათ საფუძვლად დაედო სოფელს თუ სოფლის უბნის სახელდებას.

\* \* \*

1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარსა“ და 1835 წლის აღწერის მასალებში დაცული მამაკაცის სახელები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამიერთაოს, კერძოდ, იუსუფელის მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა 1574 წლის „დავთარი“, როგორც ადრინდელი ოსმალური წყარო, იმ პერიოდისა, როდესაც ახლადდაპყრობილი კუთხის ოსმალურ კანონმდებლობას დაქვემდებარება მიმდინარეობს, როდესაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქრისტიანია, როდესაც პიროვნებები ატარებენ ტრადიციულ ქართულ სახელებს... „დავთარში“ გვაქვს პიროვნების ორწევრა აღნიშვნა – სახელი + მამის სახელი. ოსმალური კულტურა არ ცნობს „გვარს“, ოღლით ნაწარმოები „გვარები“ ჯერაც არ ჩანს. 1835 წლის აღწერის მასალებში ასეთი გვარები ჩნდება: ვიტყვი, რომ ამ უკანასკნელ დოკუმენტში, არა ყოველთვის, მაგრამ დასტურდება პიროვნების სამწევრა აღნიშვნა: „გვარი“ + სახელი + მამის სახელი, თუმცა შეუძლებელია

ბელია გაარჩიო ქართველი სხვა ერის წარმომადგენლისაგან, რამდენადაც სახელიცა და მამის სახელიც არაქართულია, ხშირად არაქართულია „გვარის“ ფუძე სახელიც.

**ქისქიმის** მოსახლეობა (მამაკაცები) 1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“:

**\*ვარძელ ძე თევდორისა  
ოსიპი ძმა მისი.**

**ჯარი ძმა კარალისა.**

**გიორგი ძე მარკოზისა.**

**\*ვარძელი** (ვარძელა) საკუთარი სახელი გვხვდებოდა წინათ, ახლა არ გვხვდება. დაიცვა გვარმა – **ვარძელაშვილი**. ქართული სახელია – **თევდორი//თევდორე**, დაცულია გვარში **თევდორაძე, თევდორაშვილი**. ამავე სახელს ვხედავთ გვარში – **თედორაძე**.

დღეს არ გვხვდება მამაკაცის სახელი **ჯარი** და **კარალი**, თუმცა შეუწახავს ისინი გვარებს – **ჯარიაშვილი**, შდრ. საკუთარი სახელი **ჯარია**(იხ. ლლონტი, 1967.) და **კარალიძე**. არაფერს ვიტყვით **გიორგისა** და **მარკოზზე**.

**\*ალმაზ ძე მიჰმანდარისა.**

**კვირიკე ძმა მისი.**

**გოგიჩა ძმა ალექსანდრესი.**

**ელიაზ ძე დანდარისა.**

**ჯობილა** (სახელია),

**სავლე ძმა მისი.**

\*მამაკაცის სახელი **ალმაზ** ალბათ **არმაზ**-ის ფონეტიკური ვარიანტია (რ:ლ მონაცვლეობით). უცნაურად ჟღერს ქართული სინამდვილისათვის **ალმაზის** მამის სახელი, – **მიჰმანდარი**, მაგრამ მისი ძმის სახელი, **კვირიკე**, გვაფიქრებინებს, რომ იგი ქართველია.

**გოგიჩა** – სახელი აღარ ჩანს, დაიცვა გვარმა – **გოგიჩაიშვილი**.

ქართულად მივიჩნევთ სახელებს: **ელიაზ**, იქნებ ცუდად ჩაწერილი **ელიოზ**-ია;

**ჯობილა**, იგივე უნდა იყოს, რაც **ჯიბილა>ჯიბლა**, დაცულია გვარში **ჯიბლაძე**.

**\*გიორგი ძე ათაბეგისა,**

**აბრამ ძმა მისი,**

**ოსქართუ ძმა მისი.**

**სიმონ ძე მალიქისა.**

**ანტონი მღვდელი,**

**ნიკოლაზი ძმა მისი.**

**თვედორე მე გიორგისა. ლონიქ მე კირილისა.**  
**მარკოზ მე ზადადისა. ელია მე გიორგისა.**  
**მახარობელ მე ჯოკიასი. სოსონა მე მახარობლისა.**

\*ათაზეგი<ათაზაგი-საგან, ხელობის სახელი ჯერ საკუთარ სახელად იქცა, შემდეგ – გვარად.

**აბრამი** – ქართულ კულტურაში ცნობილი სახელია, დაიცვა გვარებმა - **აბრამიძე, აბრამიშვილი.**

**ოსქართ** – უცნაური სახელია ქართული კულტურისათვის, მაგრამ მისი ძმებისა და მამის სახელები გვაფიქრებინებს, რომ ქართველია. აქვე აღვნიშნავთ, რომ კულტურათა თანაარსებობას თან სდევს ერთი კულტურის მახასიათებლის მეორეში გადასვლა. კულტურათა დიალოგი ასახვას პოულობს ანთროპონიმიაშიც.

**ანტონი მღვდელი** – პიროვნება აღნიშნულია არა სახელითა და მამის სახელით, არამედ სახელითა და ხელობით. ჩანს, „დავთრის“ შემდგენელი ოსმალ მოხელისათვის მთავარია, პიროვნება ჩაწეროს, არავინ გამორჩეს და ერთი განასხვავოს მეორისაგან...

**ნიკოლაზი** < **ნიკოლოზი** საგან დისიმილაციით (ო - ა < ო - ო). აქ ცოცხალი გამოთქმის გავლენაა ჩანაწერზე (ასე უკარნახეს ოსმალ მოხელეს).

**მარკოზ მე ზადადისა – ზადადი** მეტსახელი ჩანს.

**მახარობელ მე ჯოკიასი** – მახარობელი ცნობილი სახელია, თუმცა დღეს აღარ გვხვდება. დაცულია გვარებში – მახარობლიშვილი, მახარობლიძე (იხ. მაისურაძე, 1990:106).

**ჯოკია** მეტსახელი ჩანს მამაკაცისა. **ჯოკია**<\***ჯოგია**-საგან **კ:გ** მონაცვლეობით. **ჯოგია** კიდევ დაცულია გვარში **ჯოგიაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:246).

**სოსონა მე მახარობლისა – სოსონა-სისონა**-საგან ასიმილაციით (ი - ო>ო - ო).

\***კულიარ მე ზაქარასი,**

**ბათუ** მე მისი.

**კულიარი** უცხოდ ჟღერს ქართულისათვის. მაგრამ ქართულად მივიჩნევთ, იმიტომაც რომ მამამისს **ზაქარა** ექვია. **ზაქარა** კიდევ **ზაქარას** დიალექტური ფორმაა. **ზაქარია** სხვა კულტურებშიც შეიძლება შეგხვდეს, **ზაქარა** – არა გვგონია.

**ბათუ** – ქართული/ქართველური კულტურის კუთვნილებას.

**ზულა ძე ზესლამისა,**  
**გიორგი ძე თევდორესი,**  
**აზად ძმა მისი,**  
**მამირგელ ძმა მისი.**

**ზულა** – მეტსახელი ჩანს კაცისა.

**ზესლამი** იქნებ **აზესლამის** ცუდად ჩაწერილი ფორმაა. შდრ. გვარი **აზესლამიძე**. საქართველოში გვხვდება გვარები **ზესელაშვილი**, **ზესლამე** (მაისურაძე, 1990:35), რომლებშიც დაცულია ანთროპონიმი **ზესელა**, **ზესლა** (<\*ზესელა). **ზესლ** (<ზესელ) სახელური ფუძე გამოიყოფა ტოპონიმში **ზესლ-ეთ-ი**. **ზესლამი** ქართული სახელი გვგონია.

**გიორგისა** და **თევდორეს** ქართულობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გარკვეულ კითხვას აჩენს გიორგის ძმების, **აზად-ისა** და **მამირგელ-ის** სახელები. თუმცა მათი ძმისა (გიორგი) და მამის (თევდორე) სახელები ამ კითხვას პასუხობენ.<sup>1</sup>

**ზილარი ძე ამროსისა,**  
**მარკოზ ძმა მისი.**  
**აგაქი ძე საბასი.**

**ქიტეს** ხანე. ქეშიშ – მღვდელი (...)

\*ქართულ სინამდვილეში გვხვდება სახელი **ზილანი**, დაცულია გვარში **ზილანიშვილი** (მაისურაძე, 1990:36). **ზილარი** იქნებ ცუდად ჩაწერილი **ზილანია**, ანდაც მისი დიალექტური ფორმა. **ზილანი** – მიამიტს ნიშნავს, გულუბრყვილოს (ქეგლ). ამ თვისებების მქონე ადამიანის მეტსახელი უნდა იყოს **ზილანი** (>ზილარი).

**მარკოზ-ის** „ქართულობა“ ეჭვს არ იწვევს.

უჩვეულო ჩანაწერია **ქიტეს ხანე** (sic). **ქიტესა** ქართული სახელია.

**ზასილ ძე სულისა,**  
**გოგიჩა ძე ზასილისა.**  
**სიმონ ძე აზარისა,**  
**არნო ძმა მისი,**  
**თევდორე ძმა მისი,**

**ზაიდ ძმა მისი,**  
**ნიკოლოზ ძმა მისი.**  
**ჯარი ძე ამროსისა,**  
**გოგიჩა ძე მისი.**  
**აქბადი ძე მელიქისა.**

<sup>1</sup> მსგავს შემთხვევებში პირთა ქრისტიანობას (ქართველობის) დგინდება მათ მიერ გადახდილი გადასახადების მიხედვითაც.

\* **ბასილი** გავრცელებული სახელია საქართველოში. ასევეა **სულა** და **გოგიჩა**. საკუთარი სახელი **სულა** კნინობითი ფორმაა **ა-** სუფიქსით ნაწარმოები, **გოგიჩა** – **იჩა** სუფიქსით ნაწარმოები (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:252).

**აზარ**-ი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მამაკაცის სახელად, დაუცავს გვარს **აზარიძე**.

საქართველოში გვხვდება საკუთარი სახელები **არონა** და **არნო**. შდრ. გვარები: **არონაშვილი**, **არონია** (მაისურაძე, 1990: 293).

**ზაიდი** – დაცულია გვარში **ზაიდოშვილი**. **ზაიდო**’ დასტურდება „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ქ.ცხ, II, 293).

\***მირიან** ძე **სტეფანისა**.

**ზადალ** ძე **აგანისა**.

**მირღეთ** ძე **ზარნაქისა**,

**გიორგი** ძმა მისი.

**ოსიპ** ძე **საზასი**.

**დემეტრე** ძე **აგანისა**,

**თევდორე** ძმა მისი...

\*ზოგიერთი სახელის, როგორცაა **ზადალ**-ი, **აგან**-ი, **მირღეთ**-ი, **აქზადი**... ქართულობა ექვს იწვევს, მაგრამ მათ გვერდით მათი ოჯახის წევრად **გიორგის**, **დემეტრეს**, **თევდორეს** დასახელება გვაფიქრებინებს, რომ **ზადალ**-ი, **აგან**-ი, **მირღეთ**-ი, **აქზადი**ც ქართველები არიან. აქ და სხვა შემთხვევებშიც კულტურათა შერევასთან გვაქვს საქმე.

\***ვასილ** ძე **სიმონისა**,

**მინადორ** ძე **სიმონისა**.

**ზაქარა** ძე **სანურისა**,

**გენგულ** ძე **სანურისა**.

**სელმან** ძე **ადვანისა**,

**ხოსიკ** ძე **სელმანისა**.

\***ვასილი**, **სიმონი** - გვხვდება ქართულ სინამდვილეში მამაკაცის საკუთარ სახელად. **მინადორი** კი არ შეგვხვედრია, გვხვდება **მინადორა**, ოღონდ ქალის სახელად.

**ზაქარა** და **გენგული**, ჩანს, ძმები არიან, **სანურის** შვილები. ი. მაისურაძე „სვანურ საისტორიო ძეგლებში“ დაადასტურებს **გენგა**, **გენგე** საკუთარ სახელებს, ასევე **გენგიურ**-ს დუშეთის რაიონში (იხ.



მაისურაძე, 1990:44). „დავთრის“ **გენგული** და დუშეთში დადასტურებული **გენგიური** ერთი და იგივე სახელია. ჩანს, **გენგულიც** ქართული/ქართველური კუთვნილებაა.

**სელმან**-ი თურქული სახელია, ალბათ არც **ადვანია** ქართული, მაგრამ **ხოსიკ** (შდრ. ხოსიტა) არ უნდა იყოს უცხოური. ჩანს, სახელია **ხოსი**, -კ კნინობითობის სუფიქსი (შდრ. საკუთარ სახელს **ხოსიკ**, **ხოსიკი**, **ხოსიკა** ადასტურებს ილ. მაისურაძე. იხ. მაისურაძე, 1990:233). ვფიქრობთ, აქაც კულტურათა შერევასთან გვაქვს საქმე.

**\*სათლე ძე გრიგოლისა.**

\*„დავთარში“ გამოვლინდა მამაკაცის საკუთარი სახელი **სათლე**. შავშეთში არის **სათლეს ციხე**. ციხის სახელი ჩანს, უკავშირდება პიროვნების (სათლე) სახელს.

**\*გიორგი ძე იობისა,**

**სირაზან** ძმა მისი,

**აგან** ძე **აზარისა,**

**ჯანიქ** ძე **აგანისა,**

**ფირზენდ** ძე **აგანისა.**

\***გიორგი**და **იობი** საქართველოში გავრცელებული სახელებია, განსაკუთრებით პირველი. **სირაზან** უცხოდ ჟღერს, მაგრამ გიორგის ძმაა, იობის შვილი.

ქართული სამყაროსათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი **აგან**, დაცულია გვარში **აგანაშვილი** (მაისურაძე, 1990:18). **ფირზენდი** და **ჯანიქიაგანის** შვილები არიან. **აზარი**, **აგანი**, **ჯანიქი**, **ფირზენდი** ერთი ოჯახის წევრები არიან, და ის ქართული ოჯახი უნდა ყოფილიყო.

**\*ზაქარა ძე კასუმისა,**

**ანტონ** ძე **კასუმისა,**

**ელია** ძმა მისი,

**გოგიჩა** ძმა მისი,

**სიმონ** ძე **ზაქარასი.**

\*ვფიქრობთ, ერთი ქართული ოჯახის წევრები არიან **კასუმი**, **ზაქარა**, **ელია**, **გოგიჩა**, **სიმონი**.

**\*როსტომ ძე მარკოზისა,**

**მარკოზ** ძე მისი,

**ავალეთ** ძმა მისი,

**ბავლეთ** ძმა მისი,  
**სელიას** ძმა მისი.

\*„დავთარში“ ჩნდება საკუთარი სახელი **როსტომი**. იგი გაცრელებული სახელი ჩანს ძველად. **როსტომ** – სახელური ფუძე საფუძვლად დაედო გვარებს: **როსტომაშვილი, როსტომია, როსტომაული, როსტომაძე**. მისი შემოკლებული ვარიანტი – **როსტია** გამოიყოფა გვარში **როსტიაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:139). აქვე საყურადღებოს გვეჩვენება მამაკაცის სახელები **ავალეთი** და **ბავლეთი**.

სახელის საინტერესო ფორმაა **სელიასი**.

<b>*ბალდუნ</b> ძე <b>ვასილისა</b>	<b>თევდორ</b> ძე <b>ბესლიმისა</b> .
<b>დოსთა გილ</b> ძმა მისი.	<b>გოგინა</b> ძე <b>აბრამისა</b> .
<b>ბარ აზიზ</b> ძე <b>ანტონისა</b> ,	<b>სერვას</b> ძე <b>ავადანისა</b> .
<b>ბუჯან</b> ძმა მისი.	<b>გირილ</b> ძე <b>გიორგისა</b> ,
<b>სტეფან</b> ძე <b>მირვანისა</b> .	<b>ბარაზიზ</b> ძმა მისი.
<b>აბრამ</b> ძე <b>ავანისა</b> .	<b>ჯარი</b> ძე <b>მალისა</b> ,
<b>ავთანდილ</b> ძე <b>ბესლიმისა</b> .	<b>ოსიპ</b> ძე მისი.
<b>გირგოლ</b> ძე <b>აბრამისა</b> .	<b>დანდალ</b> ძე <b>დადარისა</b> .

\*აქ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ სახელს დართული აქვს ნართაული სიტყვები -**გილ** (დოსთა გილ) და **ბარ** (ბარ აზიზ). XVI ს-ის მეორე ნახევარია „დავთარში“ აღწერილი ვითარება (1574 წ.), ქისქიმის, ალბათ მთელი ტაოს, მოსახლეობაში უკვე ჩნდება ოსმალური საკუთარი სახელები: მამას **ანტონი** ქვია, შვილს – **აზიზი**.

**მირვანი**, იგივე **მურვანია/მირიანი**, დაცულია გვარში – **მურვანიძე**. დასტურდება აღნიშნული სახელის სხვა ვარიანტებიც: **მურმანი, მურვანოსი...**

**ავანი//ავანა** მამაკაცის სახელია. შდრ. **ავანანთ** ხევი (თბილისში).

**გირგოლ გრიგოლის** დიალექტურ გამოთქმად გვესახება.

ყურადღებას მივაქცევთ საკუთარ სახელებს **გოგინა** და **გირილი**. **გოგინაგოგის** მოფერებითი ფორმაა, **გირილი<კირილის** ფონეტიკური ვარიანტი (გ:კ მონაცვლეობით). **გოგინა** და **გირილი** ცოცხალი გამოთქმის ასახვაა ოსმალურ „დავთარში“.

**ჯარი** ქართული სახელია (იხ. ზემოთ), მის შვილს **ოსიპი** ქვია. **ოსიპი** უსუპის ფონეტიკური ვარიანტია. **უსუპი** გვხვდება „ამირანის ეპოსში“. **ოსიპი** ცოცხალი მეტყველების ასახვაა „დავთარში“.

**დანდალ** ძე **დადარისა** – **დანდალ** მამაკაცის სახელი დაცულია გვარში **დანდლიშვილი** (მაისურაძე, 1990:54). **დანდალი** მეტსახელი ჩანს. რაც შეეხება მამაკაცის სახელს **დადარ**-ი ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ ჩანს.

**\*კარბიქარ** ძე **ზაქარისა**,

**აგან** ძმა მისი.

**აქზადი** ძე **დანიელისა**.

**გურზელ** ძე **ასითასი**.

**ზაქარა** ძე **მალისა**.

**გიორგი** ძე **მარცვალასი**.

\*ყურადღებას მივაქცევთ, რომ **ზაქარია** სხვადასხვა ფორმით დასტურდება როგორც დიალექტებში, ისე წერილობით წყაროებში: **ზაქარი,ზაქარა, ზაქრო//ზაქარო...** ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **ზაქარია**.

**ასითასათა**-ს დისიმილირებული ფორმა ჩანს. ეს უკანასკნელი დაცულია გვარში **ასათაშვილი** (მაისურაძე, 1990:24). **ასათ** საკუთარი სახელი გვხვდება „ქართლის ცხოვრებაშიც“ (ქ.ცხ. II, 19).

**მალი** იქნებ **მალასი**-ს სახეცვლილი ფორმაა. ალბათ ცოცხალ მეტყველებაში ასე გამოთქვამდნენ და ასე უკარნახეს „დავთრის“ შემდგენელს. **მალასი** დაცულია გვარში **მალასიძე** (მაისურაძე, 1990: 100).

**მარცვალა** იშვიათი სახელთაგანია, ალბათ აღარც იხმარება. დაცულია გვარში **მარცვალაძე, მარცვალიშვილი** (მაისურაძე, 1990: 103). **მარცვალა ჯიგანასძე, მარცვალა კობლასძე** დასტურდება „ტბეთის სულთა მატთანეში“ (მატიანე, 1977:150).

**\*მამლათძე მოსიქისა?.**

**ალმაზ** ძე **დიმექლედისა**.

**დუდუნა** ძე **მარცვალასი**,

**ჯურნიდი** ძმა მისი,

**მოსიქ**ძმა მისი.

**სიმონ** ძმა **მირვანისა**,

**დარღულ** ძმა მისი.

**დიმექლედი** (?)(ამოკითხვის პრობლემაა.

**დუდუნა** – კნინობით-ალერსობითი ფორმაა, **-უნა** სუფიქსით ნაწარმოები. სახელი ქართულია. **ჯურნიდი** და **მოსიქი** (იქნებ – მო-

სიკი – მოსეს კნინობითი ფორმა?) მისი ძმებია. **დუდუნა, ჯურნდი, მოსიქი მარცვალას** შვილები არიან.

**სიმონი** და **მირვანი დარღულის** ძმები არიან.

ორივე ოჯახი ქართულია.

\***ვასილ** ძმა **ნიკოლოზისა**, **ურმან** ძე **გიორგისა**.

**ზადრი** ძმა **სიმონისა**, **სელმან** ძე **ავანისა**.

**ქითავდი** ძმა მისი. **ჰარუნ** ძე **ბუჯანისა**,

**ავან** ძე **ბულისა**, **ივლიანე** ძმა მისი, მუსლიმია,

**ბიჰარი** ძმა მისი, **ამირ** ძე **ჰარუნისა**.

**აბრამ** ძმა მისი.

\***ვასილი, ნიკოლოზი, ზადრი, სიმონი, ავანი, ბული, აბრამი, გიორგი** საქართველოში (აქ: ტაოში) გავრცელებული სახელები ჩანს, რასაც ვერ ვიტყვით ანთროპონიმებზე – **ქითავდი, ბიჰარი, ურმანი**.

**ურმანი** იქნებ ცუდად ჩაწერილი **თურმანი** ან **მურმანია**, უფრო პირველი, რამდენადაც ქისქიმში გავრცელებული ჩანს ფორმა **მირვანი**.

**ბუჯანი** იგივე სახელი უნდა იყოს, რაც **ბურჯანა//ბურჯანი** (**ბუჯანში** რ დაკარგულია), ამოსავალი ფორმაა ეს უკანასკნელი, დაცულია გვარში - **ბურჯანაძე**.

აქვე აღვნიშნავთ, რომ „დავთრის“ შემდგენელს აშკარად უჭირს გაგონილის ჩაწერა, ხშირად არც ოსმალური დამწერლობა ამლევს ამის საშუალებას. ამასთან, ინფორმატორი კარნახობს სახელის ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულ ფორმებს, ასე იქმნება ფორმასხვაობები, რაც უქმნის სირთულეს თანამედროვე მკვლევარს, ხშირად ჭირს ამოსავალი ფორმის აღდგენა.

ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ „დავთარში“ ერთადერთი მუსლიმია აღნიშნული – **ივლიანე**, ჰარუნის ძმა. ეს არცაა მოულოდნელი, ქვეყანა ხომ ახალი დაპყრობილია.

\***გიორგი** ძე **გრიგოლისა**,

**თევდორე** ძე **გიორგისა**,

**ემირ** ძე **გიორგისა**.

\*დასახელებული ყველა ანთროპონიმი გავრცელებული ჩანს ძველ ტაოში.

\***ქაქანა** ძე **ხოდბეგისა**.

**აზარი** ძე **გრიგოლისა**.

**გიორგი ძე ილარიონისა,  
მახარობელ ძე გრიგოლისა,  
ზაქარა ძმა მისი.**

**გუგულ ძე ვასანიქისა.**

\*ქაქანა მეტსახელია კაცისა, ვინც ზედმეტს ლაპარაკობს, ლაქ-ლაქა. ქართულში იმავე მნიშვნელობით დასტურდება ლაქუნი, „გაუთავებელი ლაპარაკი“ (დლონტი, 1984). შდრ. **ლაქლაქებს**.

**ხოდბეგი** – განსხვავებული სახელია ტაოში.

**აზარი, გრიგოლი, გიორგი, ილარიონი, მახარობელი, ზაქარა, გუგული** გავრცელებული სახელებია ქართულში. დასახებულთაგან თითქოს განცალკევებით დგას **გუგული** (მამაკაცის სახელად), თუმცა გვხვდება გვარში **გუგულაძე**. **გუგული-ს//გუგულა-ს** მოფერებითი ფორმაა **გულა**, რომელიც დაცულია გვარებში **გულაშვილი, გულაძე, გულია...** (იხ. მაისურაძე, 1990:50).

ბარემ აღვნიშნავთ, რომ „ტბეთის სულთა მატიანეში“ დასტურდება **გუგუ** და **გუგუ-ნა** (მატიანე, 1977:143), რომელიც იგივე სახელური ფუძეა, რაც გამოიყოფა **გუგული//გუგულა**-ში.

**ვასანიქი** უცხოოდ ჟღერს ქართულ სოფელში, მაგრამ რამდენადაც **გუგულის** მამაა, ქართველად მივიჩნით.

**\*ზაჰადირ ძე კარბელისა,**

**კუზან ძმა მისი,**

**ბექით ძმა მისი.**

**\*ზაჰადირ-ი** რამდენიმეგზის დადასტურდა ქისკიმში. **კარბელის** შვილებია **ზაჰადირ, კუზან, ბექით**. რამდენადაც **კარბელი** ქართული სახელი გვგონია, მისი ოჯახი ქართულად მივიჩნით. ანთროპონიმი **კარბელ-ი** დაცულია გვარში **კარბელაშვილი**. აღვნიშნავთ, რომ **კარბი** სოფელია გორის რაიონში (იხ. ბაგრატიონი, 1986:40). **კარბელი** იგივეა, რაც **კარბიდან**.

**\*ათაბეგ ძე სამსონისა,**

**ბუჯან ძმა მისი.**

**სელმან ძე ვარძელისა.**

**მურად ძე ოსიპისა.**

**იმრე** ფირული.

**\*ბუჯან-ი** იგივე **ბურჯანი** უნდა იყოს (იხ. ზემოთ).

პიროვნების ორწევრა აღნიშვნაში (სახელი + მამის სახელი) განსხვავებულია ჩანაწერი **იმრეფირული**.

რამდენიმეჯერ დაფიქსირდა ანთროპონიმი **მურადი**.

**მურადი** არაბულია, ნიშნავს ბედს, მიზანდასახულებაკს, ნდომას, წადილს (ნიჟარამე, 1971). ჩანს, ოსმალობამდეც ცნობილი იყო ეს სახელი საქართველოში.

**\*დადარ** ძე **მახორისა**.

**საბა** ძე **ჯაჯიკისა**,

**შერმაზან** ძმა მისი,

**გოგიჩა** ძმა მისი,

**აგან** ძმა მისი.

**რევაზ** ძე **ზანჩურისა**,

**ელიაზარ** ძე **რევაზისა**.

**მარკოზ** ძე **ასლაკალისა**.

**საბა** ძე **გოლასი**,

**ათაბეგ** ძმა მისი.

**\*მახორი**-ი იქნებ ცუდად ჩაწერილი **მახარ-ი//მახარაა**.

**ჯაჯიკი** ფონეტიკურად სახეცვლილი **ჯოჯიკია**, გვხვდება იაკობ ცურტაველის თხზულებაში, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“, ტაოელი, ფერისის მამა (იხ. ქ.ცხ. I, 287;384).

**ელიაზარ//ელეაზარ** – ალ. ლლონტი აფიქსირებს პარალელურ ფორმებს, ძველი ებრაული სახელია, ნიშნავს „ღვთის შეწევნა“ (ლლონტი, 1986).

**გოლა გრიგოლა**-ს კნინობითი ფორმაა, **გრიგოლა** კი **გრიგოლის** – ვულგარული ფორმა. დაცულია გვარში **გოლაშვილი** (იხ. ლლონტი, 1986).

**\*კირაკოს** ძე **აგანისა**,

**ვასილ** ძმა მისი.

**ვახან** ძე **მურადისა**,

**მარველეთ** ძმა მისი,

**დადიან** ძე **მურადისა**.

**\*კირაკოსი** არაქართულად ჟღერს. მაგრამ მისი მამა **აგანია**, ძმა – **ვასილი**. მიგვაჩნია, რომ ოჯახი ქართულია. აქ კულტურათა შერევის ფაქტთან გვაქვს საქმე.

**მარველეთ**-ი უცნაური ფორმაა, გამოიყოფა სუფიქსი **-ეთ**, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე ტოპონიმთან გვაქვს, **მარველის** კუთვნილს რომ აღნიშნავს. ჩანს, **მარველეთი** რომელიღაც ანთროპონიმის დამახინჯებული ფორმაა, იქნებ **მარგველა**-სი. **მარგველა** დაცულია გვარებში **მარგველაშვილი**, **მარგველაძე**...

**დადიანი** – მამაკაცის სახელად იშვიათობაა. გვხვდება გვარი **დადიანიძე** (მაისურაძე, 1990:52-53), რომელშიც გამოიყოფა ანთროპონიმი **დადიანი**.

**\*ჯარი** ძე **დომიტრისა**,

**გიუსნურ** ძმა მისი.

**ბილალდარ** ძე **კუზადისა**,

**კაზან** ძმა მისი,

**გოგიჩა** ძე **ბილადაროსა**.

**იასონ** ძე **სტეფანისა**.

**აზურ** ძე **ქიმრუზისა**.

**აზარი** ძე **ათაბეგისა**

**აზლარვეთი** ფირუმი.

**რევალსეთ** ძე **გორჯასპისა**,

**ჯამას** ძე **რევარსეთისა**,

**იორამ** ძე **რევარსეთისა**,

**სელმან**ფირული.

**კაზან** ძე **გურისა**.

**კირაკოს** ძე **ყარამანისა**.

\*რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა პიროვნების განსხვავებული ორწევრა აღნიშვნისა: **აზლარვეთი ფირული**, **სელმან ფირული**.

**ჯამა** სხვადასხვა გვარშია დაცული: **ჯამაგიძე**, **ჯამათაშვილი** (შდრ. **ჯამათა/ჯამატა**), **ჯამაკაშვილი** (შდრ. **ჯამა-კა**)... (იხ. მაისურაძე, 1990:239).

**კაზანიგურის** შვილია, ამიტომაც ქართველი გვგონია.

**კირაკოსი** ქართველად მივიჩნიეთ, იმიტომ რომ **ყარამანის**შვილია.

**\*სტეფან** ძე **ჯარისა**.

**დუდულა** ძე **სიმონისა**.

**აბელ აღმაზ** ძე **რევაზისა**.

**სიმონ** ძე **გოგიჩასი**.

**სუნხათ** ძე **ზორასბისა**.

**კოს** ძე **საბასი**.

**მარად** ძე **ბუდანაისი**.

**გოგიჩა** ძე **გოგიჩასი**.

**ნიკოლოზ** ძე **ვახტანგისა**.

\*საქართველოში დასტურდება სახელები: **დუდუ**, **დუდუა**, **დუდუნა**... ამათ რიგში განვიხილავთ **დუდულა**-საც, **დუდუ**-ს კნინობით-ალექსობით ფორმას.

**მარადი**, **მარადა** საქართველოში ცნობილია როგორც ქალის სახელი, „დავთარში“ მამაკაცის სახელად გვხვდება. თუმცა მარადი

კაცის სახელიცაა აჭარაში „დავთრის“ მონაცემს მხარს უჭერს გვარი **მარადაშვილი** (იხ. მაისურაძე, 1990:101).

**კოს** რომელიდაც სახელის შემოკლებული ფორმაა, იქნებ **კონ-სტანტინეს**, რომლის დიალექტური ფორმაა **კოსტანტინე**.

**ლალა** ძე **ჯანიქისა**.

**ილარონ** ძე **მალექისა**.

**ლაზარ** ძმა **გულასი**.

**ამირ** ძმა **საბასი**.

**ნიკოლოზ** ძე **თანდილისა**.

**კუკურ** ძე **არნოსი**.

**ზიან** ძე **თავნაისი**.

არაქართულ სახელებად მივიჩნით<sup>1</sup>:

**ქელამითი** ძე **დესთანისა**,

**არზენდ** ძე მისი.

**კირაკოს** ძე **ნიკოლოზისა**.

**მირდად** ძე **ოსიპისა**.

**ნიკოლოზ** ძე **რასანიქისა**.

**ავანიქ** ძე **სადუხისა**.

**სელმან** ძე **მასიქისა**.

**თევოდორ** ძმა მისი.

**არაქელ** ძე **კირაკოზისა**.

**ჯიჰად** ძე **არაქელისა**.

**ანდრიას** ძე **გურგურისა**,

**ქირაქოს** ძმა მისი.

**აკოფ** ძე **მირადირისა**,

**აზად** ძე **აკოფისა**,

**ავანეს** ძმა **აკოფისა**.

**მანუქ** ძე **ამადინისა**,

**დარდულ** ძმა მისი.

**სამველ** ძე **მედიხისა**.

**გელიარ** ძე **ვარნიქისა**.

**სიმონ** ძე **გელაზიზისა**.

**სიმონ** ძე **დიზადიდისა**,

**ჯუჯარი** ძე **სიმონისა**.

**საბა** ძე **მარქარისა**,

**კარაგოზ** ძმა მისი.

**სამავილ** ძე **ურმამისა**,

**სიმონ** ძმა მისი.

**არნო** ძე **მარქარისა**,

**შაჰ ყული** ძმა მისი.

**ავან** ძე **სიჰამისა**,

**ქენაგედი** ძმა მისი.

**ლაზარე** ძე **სიმონისა**.

**ლაზარე** ძე **ვასანიქისა**.

**ოსიპ** ძე **ზალუნარისა**.

**სარდუნ** ძე **სელმანისა**.

**ნურაზიზ** ძე **ზაქარასი**,

**ასატურ** ძმა მისი.

**ვასანიქ** ძე **მანაზუდისა**,

**თავნილ** ძე **ვასანიქისა**.

---

<sup>1</sup> ამ პერიოდში ტაო, სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად, დაქვემდებარებულია სომხურ საპატრიარქოზე. ბუნებრივია, დიდი იქნებოდა მისი გავლენაც და იყვნენ სომხურ ეკლესიას შეფარებული ქართველებიც (ლომსაძე, 1979: 22-25), რაც მათ საკუთარ სახელებშიც აისახა.



**სარქის ძე ზაქარასი,  
ჯერაპით ძმა მისი.  
მანველ ძე ოსიპისა.  
ზაქარ ძე სარქისისა,  
აკოფ ძმა მისი,  
ზახმარ ძმა მისი,  
მანუქ ძმა მისი.  
ავან ძე აქზადისა.  
ქევექუს ძე ოსიპისა  
მინასე ძე ბესლამისა,  
ბილავსუთ ძმა მისი.  
ავან ძე სიმონისა,  
სტეფან ძმა მისი.  
ნურაზო ძე ხაჩატურისა.  
ლოსიქ ძე ჯოჯიქისა.  
აკოფ ძე ასლიქისა.  
ახერ ძე ოსიპისა.  
ვართაზიზ ძე ავნუდისა,  
გელარიზ ძე ავნუდისა.  
ავმირსად ძე ვართაზიზისა,  
ალის აზიზ ძე მისი.  
ავლალეთ ძე გელაზიზისა,**

**მამანურ ძე სუმარდექისა,  
გიორგი ძმა მისი,  
ანუქ ძმა მისი.  
მარკოზ ძე ავაქისა,  
სტეფანე ძმა მისი.  
ზარიდ ძე ასზადისა.  
სარნიქ ძე ბუსუნისა.  
ავან ძე სუგელდისა.  
ვასანიქ ძე სიმონისა,  
გიორგი ძმა მისი.  
ზაჰადირი ძე ზაჰანიითისა.  
კარა ზეპირ ძე ქემრუდისა.  
ემირ აზიზ ძე ზაჰადირისა.  
ალექი სახელია,  
ოსიპ ძე ქანუსილისა,  
სარქის ძმა მისი.  
ფირზანდ ძმა კარაგოზისა.  
აბრამანუს ძე გელაზიზისა.  
სარქის ძე ქაზუნისისა.  
ასბაქ ძე გორგისა.  
ამირ აზიზ ძე ფირაზიზისა.**

1574 წლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ქისქიმის აღწერის მასალებში ჩვენ ვცადეთ, გამოგვეყო ქართველი მამაკაცები სხვა ერის წარმომადგენელთაგან, დაყოფის საფუძვლად ავიღეთ საქართველოში (მოცემულ შემთხვევაში ტაოში) გავრცელებული ანთროპონიმები. წინასწარ ვიტყვით, რომ ჩვენი ცდა საკმაოდ რთული გამოდგა. ხშირად ძნელია გაარჩიო ქართველი არაქართველისაგან მხოლოდ სახელით, ანთროპონიმი ამის საშუალებას ყველთვის არ იძლევა. არის სხვა მიზეზებიც:

– სხვადასხვა კულტურის ადამიანთა ხანგრძლივი თანაცხოვრება იწვევს ანთროპონიმების ურთიერთგადასვლას, სხვაგვარად, კულტურათა დიალოგი აისახება ანთროპონიმიაშიც.

– სოფლის ავტოქტონური მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში ქრისტიანები არიან და ხშირად კალენდრის სახელებს ატარებენ.

– თავს იჩენს საკუთარი სახელების ოსმალურად ჩაწერის სიმწელებიც: ერთი მხრივ, ქართულის არმცოდნე ოსმალ მოხელეს უჭირს სწორად აღიქვას ინფორმაცია, მეორე მხრივ, ოსმალური დამწერლობა გამოუსადეგარია ქართული (სხვა) ინფორმაციის სწორად ჩასაწერად.

მიუხედავად ყველაფრისა, ვცადეთ, გაგვემიჯნა ქართული ანთროპონიმები არაქართულისაგან: ჩანს, რომ ქისქიმის ძირითადი მოსახლეობა ქართველები (ტაოელები) არიან, მათთან ერთად სახლობენ სხვა ერის წარმომადგენლებიც, მაგრამ ეს ვერ ცვლის საერთო სურათს.

ქისქიმი ამიერტაოს ქართული სოფელია.

### **დანართი:**

მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ქისქიმის 1835 წლის მუსლიმ მამაკაცთა აღწერის დავთარი (შემდეგ „დავთარი“). მასში მოცემულია პიროვნების ორწევრა და სამწევრა აღნიშვნა, ხაზგასმულია მამაკაცის სხვა მახასიათებლებიც: სიმაღლე, თმის ფერი, ოჯახური მდგომარეობა...

ა. პიროვნების სამწევრა აღნიშვნა: „გვარი“ („ოღლი“ დაბოლოებით), სახელი, მამის სახელი:

გოგლიოღლი მუჰამედ ძე აბდულისა.

ბაიაზითლიოღლი ისპირ<sup>1</sup> ძე მანურისა.

ყაროღლანოღლი მუსტაფა ძე იბიშისა.

ლესმანოღლი აბდულა ალის ძე.

ჩაქიროღლი მუსტაფა ძე ოსმანისა.

ქურჩიოღლი სულეიმან ძე აბასისა.

ქურჩიოღლი ალი ძე მეჰმედისა.

---

<sup>1</sup> მამაკაცის საკუთარ სახელად დადასტურდა **ისპირ**-ი. ამ ფაქტმა შეცვალა ჩვენში გავრცელებული ერთი მოსაზრება, კერძოდ: აჭარასა (ორთაბათუმის თემი) და მაჭახელში დასტურდება რამდენიმე ოჯახი „ძველი გვართ“ **ისპიროღლი**. ვფიქრობდით, **ისპიროღ-ლიისპირიდან** (სპერიდან) მოსულის შვილიაო. გამოვლენილი ახალი ფაქტი ძველი შეხედულების გადაფასების საფუძველი ხდება: **ისპიროღ-ლიისპირის** შვილია.

ხორდიოლი<sup>1</sup> აჰმედ ძე მუსტაფასი.

კობაზოლი ჰალილ ძე თაჰირისა.

ჯულუქოლი მეჰმედ ძე იბრაჰიმისა.

აღვნიშნავთ, რომ „ოლი“ ჩვეულებრივ დაერთვის მამაკაცის საკუთარ სახელს და აწარმოებს „გვარს“. „დავთარში“ დასტურდება შემთხვევები, როცა „ოლი“ დართული აქვს წარმომავლობის სახელს. ჩანს, სხვა სოფლიდან თუ კუთხიდან გადმოსახლებული წარმომავლობის სახელზე „ოლი“ მაწარმოებლის დართვით ახალ შტო-გვარს უდებდა სათავეს:

ისპირლიოლი (კომლი 99), შდრ. ისპირელი.

მუხურქოთლიოლი (კომლი 105), შდრ. მუხურქოთელი.

ყარსლიოლი (კომლი 61), შდრ. ყარსელი.

ალთიფარმაქოლი (კომლი 47), შდრ. ალთიფარმაქი (ძვ. პარხალი).

ხოდლიოლი (კომლი 15), შდრ. ხოდელი.

ლესმალოლი (კომლი 6), შდრ. ლესმელი.

ბოშნალოლი (კომლი 24), შდრ. ბოშნელი<sup>2</sup>.

„დავთარში“ ყურადღებას იქცევს სხვა ინფორმაცია: პირივნების სამწევრა აღნიშვნისას მითითებულია წარმომავლობა, რაც „გვარის“ ფუნქციას ასრულებს:

ახისხალი<sup>3</sup> მეჰმედ ძე აბდულაჰისა.

ლივანლი ჰუსეინ ძე მაჰმუდისა.

ბარჰალი ფეთამ ძე აბდულაჰისა.

ერზურუმლუ... ოჰანეს ძე ისტეფანესი.

ხოდიჩურლუ ... ოსეპი ძე მაზდიბერდისა.

ლისკავლი ... აბდი ძე მუსტაფასი.

ონგუხექლი... აჰმედ ძე აბდურაჰმენისა.

ვეჟანგეთლი ... მუსტაფა ძე მეჰმედისა.

ქოლიკლი ჰაფიზ მუსტაფა ეფენდი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ხოდლიოლი (შდრ. ხორდლუ).

<sup>2</sup> წარმომავლობის სახელებში გეოგრაფიული სახელებია დაცული, რომელთა ნაწილი დღეს აღარ დასტურდება: ლესმა, ბოშნა... ანალოგიური „გვარების“ შესწავლა ამ თვალსაზრისით საყურადღებო ინფორმაციას მოგვცემს...

<sup>3</sup> თურქული „-ლი“ იგივეა, რაც ქართული -ელ სუფიქსი, აღნიშნავს წარმომავლობას.

დაბოლოს, „დავთრის“ შემდგენელი პიროვნებას აღწერს ორ-წევრა ან სამწევრა აღნიშვნით, არამედ სხვა მახასიათებლებითაც: ლისკავლი, ქერა უღვაშით, ჰუსეინ ძე მუსტაფასი, 30 წლის. ყარსიოღლი, ოზოლი, აჰმედი ძე ჰალილისა, 14 წლის. ქურდოღლი, შავი წვერით, შაფი ძე ქემალისა, 45 წლის. ხოდლი, ისმაილ ძე ისმაილისა, 30 წლის, დაჭრილი. ჭადარანარევი წვერით, საშუალო სიმაღლის, აჰმედ ეფენდი ძე ჰაჯი მეჰმედისა, ყაზას ნაიბი, 40 წლის...

117 კომლია აღწერილი „დავთარში“ და თითქმის არავინაა და-რჩენილი დამატებითი მახასიათებლის გარეშე.

ცალკე კვლევას საჭიროებს „ოღლი“ დართული საკუთარი სა-ხელები. ვფიქრობთ, კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ლინ-გვისტური და ეთნოლოგიური თვალსაზრისით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბულამე 1973** – ილია აბულამე, ძველი ქართული ენის ლექსი-კონი, მასალები, თბ., 1973.

**ალბაირაქი 2018** – ნერიმან ალბაირაქი, იუსუფელის მხარის ჰიდრონიმია და ტოპონიმია. სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგი-ის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2018.

**ბაგრატიონი 1986** – იოანე ბაგრატიონი, ქართ-კახეთის აღწერა, თბ., 1986.

**ბაგრატიონი... 2020** – ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები (ტა-ოს ფორტიფიკაციები), ტ. III, გიორგი ბაგრატიონის, ბონდო კუპატა-ძის და ჯაბა სამუშიას საერთო რედაქციით, თბ., 2020.

**ბექაური 1941** – ალექსანდრე ბექაური, გუდამაყრული ლექსი-კის ნიმუშები. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1, თბ., 1941.

---

<sup>1</sup> „დავთარში“ ბარჰალის (პარხლელი) გვერდით იკითხება ალთიფარმა-ქოღლი (კომლი, 47), რაც გვაფიქრებინებს, რომ 1835 წლი-სათვის პარხალს სახელი შეცვლილი აქვს, თუმცა ჯერ კიდევ ხმარებაშია ქართული სახელიც, სახელი შეცვლილი აქვს ახაციხესაც, ახისხად იწოდება. სამაგიეროდ ლივანას, ხოდიჭურს, ლისკავს, ვეჟანგოს, ქოლიკს ჯერაც ძველი სახელები ჰქვია, რაც საინტერესო ფაქტია.

**ზურაბიშვილი 1961** – თამარ ზურაბიშვილი, ტოპონიმის შე-  
სწავლისათვის, ქესს, II, თბ., 1961.

**თანდილავა 2013** – ალი თანდილავა, ლაზური ლექსიკონი,  
თბ., 2013.

**ინგოროყვა 2009** – პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე,  
თხზულებათა კრებული, ტ. II, თბ., 2009.

**კლარჯეთი 2016** – მამია ფაღვა, მერი ცინცაძე, მამია ბარამიძე,  
მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, შოთა მამულაძე, რამაზ ხალვა-  
ში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, კლარჯეთი,  
გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 2016.

**კუდავა.. 2017** – ტაო-კლარჯეთი, ისტორიისა და კულტურის  
ძეგლები, ბუბა კუდავას რედაქციით, თბ., 2017.

**კუდავა... 2018** – ტაო-კლარჯეთი, სამეცნიერო-პოპულარული  
ნარკვევები, ბუბა კუდავასა და გოჩა საითიძის რედაქციით, თბ.,  
2018.

**ლომსაძე 1979** – შოთა ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების სა-  
ქართველოს ისტორიიდან (ახალციხური ქრონიკები), თბ., 1979.

**მაისურაძე, 1990** – ილია მაისურაძე, ქართული გვარსახელები  
(სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990.

**მატიანე 1977** – ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად  
მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თინა ენუქიძემ,  
თბ., 1977.

**მახარაძე, შაშიკაძე 2022** – მირიან მახარაძე, ზაზა შაშიკაძე, იუ-  
სუელის რაიონი (კაშხალთმშენებლობა, სოფლები, ძეგლები), თბ.,  
2022.

**ნიჟარაძე 1971** – შოთა ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დი-  
ალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971.

**ორბელიანი 1949** – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა  
ქართული, რომელ არს ლექსიკონი, თბ., 1949.

**სარჯველაძე 1984** – ზურაბ სარჯველაძე, ქართული სალიტერა-  
ტურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

**სარჯველაძე 2001** – ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული  
ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

**სომხიშვილი 1967** – ვენერა სომხიშვილი, ქსნის ხეობის მეტყველება, ხელნაწერი, თბ., 1967.

**ტაო 2020** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მეგლაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე, ტაო, თბ., 2020.

**ფაღავა 2004** – მამია ფაღავა, ჩაბალხეთის ეტიმოლოგიისათვის. ბსუ საქართველოს ისტორიის კათედრა, საისტორიო მაცნე, XIII, ბათუმი, 2004.

**ფაღავა 2009** – მამია ფაღავა, -უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები, XIII, ბ. 2009.

**ფაღავა 2016** – მამია ფაღავა, მცირე ექსპედიცია ტაოსა და კლარჯეთში. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი, 2016.

**ფაღავა 2018** – მამია ფაღავა, ძველი წარმოების გეოგრაფიულ სახელთა ერთი ჯგუფი ტაოდან. საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, II, პროგრამა, თბ., 2018.

**ფაღავა, შიოშვილი 2017** – მამია ფაღავა, თინა შიოშვილი, ამირანის ნაკვალევი ტაოს ტოპონიმიში. ჩვენი სულიერების ბალავარი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, IX, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017.

**ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე 2022** – მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, ქართული ენის შავშური დიალექტი, ბათუმი, 2022.

**ქ. ცხ. I** – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

**ქ.ცხ. II** – ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1959.

**ქეზლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950-1964 წწ.

**ქეზლ, ახ.** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია. ტ. I-IV, თბ., 2008-2019 წწ.

**ქობალა 2010** – ალიო ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010.

**ღლონტი 1984** – ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმა-თა სიტყვის კონა, თბ., 1984.

**ღლონტი 1986** – ალექსანდრე ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.

**შანიძე 1967** – აკაკი შანიძე, თეოფოლური სახელები ქართველურ ენებში, მაცნე, №2, თბ., 1967.

**ხუციშვილი... 2019** – თ. ხუციშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოლუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი, ნ. ხუსკივაძე, ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2018 წლის საკვლევო ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 2019.

**ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988** – ბესარიონ ჯორბენაძე, მანანა კობაიძე, მარინე ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

## **MAMIA PAGHAVA, ZAZA SHASHIKADZE**

### **Tao Onomastics in Ottoman Sources 1**

#### Summary

The authors studied two Ottoman sources "Great Defter of the Vilayet of Gurjistan of 1574" and "Ottoman Population Censuses of 1835". The authors analyzed the part of the geographical names preserved in "Defters". After studying the anthroponymy of Kiskim (male names, surnames containing "Ogli"), it turned out that

a) most of the geographical names preserved in "Davtres" are Georgian.

b) the male names included in "Davtre" show that the large majority of Kiskim population is Georgian. The traces of cultural mixing can be seen in anthroponyms.

Both Ottoman sources show that Kiskim is a Georgian village.

ჭაბუკი ძირია, ნათო ახალანა

სახელის ფუძის საპითხი სალიტიკატურო  
ქართულსა და მიგრულ-ლაზურში<sup>1</sup>

სახელის ფლექსიური ცვლილებებისთვის უმნიშვნელოვანესია ფუძის სტრუქტურა, თუმცა შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს **ინფორმაცია** იმის შესახებ, თუ **რომელ სემანტიკურ ჯგუფში** შემავალი სახელისაა კონკრეტული ფუძე, – ანუ, **საკუთარი** სახელის ფუძეა ის თუ **საზოგადო** სახელის.

საკუთარ სახელებშიცაა ზოგჯერ საჭირო მასალის დიფერენცირება: **პირთა** სახელის ფუძე და, ვთქვათ, **ადგილის** სახელის ფუძე განსხვავებულად იქცევა ბრუნებისას.

ასევე მნიშვნელოვანია:

ფუძის ბოლოს დადასტურებული **-ა** ხომ არ არის **დერივანტი** (რომლის მოკვეცამაც შესაძლოა შეცვალოს სწორედ ფუძის ლექსიკური მნიშვნელობა);

ანდა ფუძის ბოლოს წარმოდგენილი **ე** ხომ არ არის **კუპე-სე-ს** ტიპის;

ასევე: ფუძის ბოლოს წარმოდგენილი **ი** ხომ არ არის **რეფერი-ს** **ი-ს** ტიპის.

ეს ის ფაქტორებია, რომელთა მიხედვითაც იდენტური ფონემატური სტრუქტურის მქონე ფუძეების მიხედვით გარკვეული დიფერენცირება ხდება: ზოგი ფუძე ინარჩუნებს სტრუქტურას მთელ პარადიგმაში (**სახლ-, სპილო-...**), ზოგიც ფრაგმენტულად ინარჩუნებს, სისტემის ზოგ სეგმენტში რედუცირებული სახით წარმოგვიდება (**კატა-/კატ-... კალამ/კალმ-**).

<sup>1</sup> სტატია მომზადდა და დაიბეჭდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-21464]"



ფუძის დეფინიცია ასეთია აკაკი შანიძესთან: „სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები ერთვის, ფუძე ჰქვია. მაგ., ამხანაგ-ი, ამხანაგ-მა, ამხანაგ-ს, ამხანაგ-ის, ამხანაგ-ით... ამ სიტყვის ფუძეა **ამხანაგ**, რადგან ყველა ბრუნვის ნიშანი მასზეა დართული. ფუძე რომ მოვნახოთ, სახელი უნდა დავსვათ მოთხრობითში (სადაც კუმშვადი და კვეცადი ფუძეც სრული სახით არის წარმოდგენილი), ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და რაც დარჩება, ის იქნება ფუძე. მაგალითები: **სტუმარი**. მისი ფუძეა **სტუმარ**, რადგანაც მოთხრობითში ითქმის **სტუმარ-მა**; **მიწა** ფუძეა მთლიანად, რადგანაც მოთხრობითში იქნება **მიწა-მ**. **ოქრო-ც** ფუძეა მთლიანად, რადგანაც მოთხრობითში იქნება **ოქრო-მ**. **გიორგი** ფუძეა აგრეთვე მთლიანად, რადგანაც მოთხრობითში იქნება **გიორგი-მ**“ [შანიძე...1974, 12].]

მაგრამ რა იქნება ფუძე მრავლობითში: **სტუმრ- თუ სტუმრებ-? მხოლოდ ბრუნვის ნიშნის მიხედვით ფუძის განსაზღვრა იმას ნიშნავს, რომ მრავლობითი რიცხვის ნიშანი ფუძის ნაწილად გავი-აზროთ, ფუძედ მივიჩნიოთ კაცებ-/კაცნ-**.

ანუ, გამოდის, რომ მხოლობითსა და მრავლობითში სხვადასხვა ფუძეები ვლინდება (**კაც-დაკაცებ-**)?

და რომელია ფუძე ფორმაში **კაცთა?კაც-თუ კაცთა?**

-**ებ** სუფიქსის ფუძეში გადარიცხვას თან ახლავს მისი გააზრება დერივაციულ ფორმანტად: „მრავლობითი რიცხვის წარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის“, – წერს აკაკი შანიძე [შანიძე, 1980, 47;].

„მრავლობითი რიცხვის ნიშნის მიჩნევა დერივაციულ აფიქსად გაუმართლებელია შინაარსობრივი თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, დერივაციული მორფემები ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. მრავლობითი რიცხვის ფორმებში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა რომ სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში არ იცვლება, ამაზე ა. შანიძე და მისი თვალსაზრისის მომხრეებიც მიუთითებენ“ [დათუკიშვილი, 2018, 46-47].

ვფიქრობთ, უფრო ართულებს საკითხს **-ებ** სუფიქსის ჩათვლა გარდამავალი ტიპის აფიქსად [იხ. ჩიქოვაძე, 1962; 236].

რიცხვი საზიარო კატეგორიაა სახელისა და ზმნისთვის და სრულიად ლოგიკურია, რომ ამ კონტექსტში ზმნის რიცხვის საკითხიც ამოტივტივდება, თუმცა რამდენად გამოდგება ზმნის რიცხვის

კატეგორიის ფლექსიურად მიჩნევა სახელური **-ებ** სუფიქსის ფლექსიურობის დამადასტურებელ არგუმენტად, ძნელი სათქმელია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ არ გამოდგება.

„როგორც ცნობილია, – წერს ქ. დათუკიშვილი, – ზმნის რიცხვს მიაკუთვნებენ უღლების (ანუ ფორმაწარმოების) და არა წარმოქმნის კატეგორიას. ეს სრულიად გასაგებია. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინებით სახელის რიცხვის განხილვა წარმოქმნის კატეგორიად ერთგვარ წინააღმდეგობას ქმნის“ [დათუკიშვილი, 2018, 47].

ამ ორ მეტყველების ნაწილს თავად რიცხვის გამოხატვის პრინციპები აქვს განსხვავებული: **სახელებში** ხდება **ერთისა და ერთზე მეტის** გრამატიკულად მარკირება. ამ პრინციპს ავტომატურად ვერ გადავიტანთ **ზმნის** სისტემაში, სადაც არ ხდება **ერთი და ერთზე მეტი მოქმედების** გამოხატველი ფორმების მარკირება. მრავლობითი რიცხვის ფორმა ზმნის სისტემაში შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ:

- ა) მოქმედი პირი ერთზე მეტია (აკეთებენ ისინი);
- ბ) პირდაპირობიექტური პირი ერთზე მეტია (**გვხატავს** ჩვენ);
- გ) ირიბობიექტური პირი ერთზე მეტია (**გვესალმება** ჩვენ).

ერთია კიდევ: თუ სახელებში **-ებ** აფიქსს დერივანტად ჩავთვლით, ამავე ლოგიკით სულაც არ არის რთული, ზმნებში ანალოგიური ფუნქცია მივაწეროთ **-ნ/-ან/-ენ/-ნენ/-ეს/-თ** სუფიქსებს.

საერთოდ კი ზმნებში უფრო რთულად დგას საკითხი ფლექსიური (უღლების) თუ დერივაციული (სიტყვაწარმოებითი) ცვლილებების შესახებ.

უღლების ზოგადი საკითხების ანალიზისას თავს იჩენს პრობლემა ზმნურ კატეგორიათა უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით, რომელიც, თ. უთურგაიძის შენიშვნით, „არადეკვატურია“. მკვლევარი მიიჩნევს, რომ „თეორიულად გამორიცხულია, ზმნურმა კატეგორიამ ლექსიკური მნიშვნელობა უცვალოს ზმნას, რადგან კატეგორიის ფარგლებში და კატეგორიათშორის სისტემაში აგენსი ქმედების ერთსა და იმავე სახეობას ეწევა“ [იხ. უთურგაიძე, 2002, 75].

ვფიქრობთ, უღლების (დროის, კილოს, გზისობის, აქტის, თანამდევრობის) და წარმოქმნის (გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევის, კონტაქტის, სიტუაციის) კატეგორიები სხვა არაფერია,

თუ არა სემანტიკურ კატეგორიათა (ერთი მხრივ) და ამორფოლოგიურ კატეგორიათა (მეორე მხრივ) **ფლექსიური სისტემა**.

რა თქმა უნდა, ზმნურ სიტყვაწარმოებაზეც შეიძლება მსჯელობა და ამის ერთ-ერთ ნიმუშად განვიხილავთ **აწითლებს – შეაწითლებს, მღერის – წაუმღერებს** ტიპის მიმართებებს, რაც საინტერესო პარალელს პოულობს **დიდი – მოდიდო** სისტემასთან. ძალიან სპენციფიკურია ასევე **მოსულელებს – მოსულელო** ფორმათა შეპირისპირება-ანალიზი.

ამ შემთხვევაში ზმნისწინიან ფორმაში ზმნისწინის ფუნქციაზე ითქმის: იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც „ცოტა ზომით ან მოცულობით ან ნაკლებია ხარისხით“.

ოდნობითის ფორმები (**მოდიდო, მოსულელო...**) ამოსავალი (**დიდი, სულელი...**) ფორმებისაგან, ასე ვთქვათ, მასშტაბურობის ხარისხით (ნაკლები მასშტაბურობით) გამოირჩევა (ამიტომაც ჰქვია **ოდნობითი**). ყოველ შემთხვევაში, ამოსავალი და წარმოქმნილი ფორმების მიმართების თვალსაზრისით ასეთი დაკავშირება ლოგიკური ჩანს [იხ. ქირია, 2014; 184, 188].

მსჯელობა ზმნური და სახელური ფლექსიური თუ დერივაციული მიმართებების შესახებ შორს წაგვიყვანს, თანაც არ გამოდგება სახელური **-ებ** სუფიქსის ფლექსიურობის დამადასტურებელ ანგარიშგასაწევ არგუმენტად.

**მრავლობითის ნიშანი ფუძის ნაწილად უნდა განვიხილოთ**, – ამ პოზიციის გაზიარებით წინააღმდეგობებს ვაწყდებით.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ზემოთ წარმოდგენილი და ფუძის, ასე ვთქვათ, **ტრადიციული დეფინიცია**, რომლის მიხედვითაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად აშკარად მხოლოდითი რიცხვის ფორმაზეა ფოკუსირება და, შესაბამისად, **ფუძედ** მიჩნეულია **სტუმარ, მიწა, ოქრო, გიორგი**.

არ არის მითითებული, რომ ესენი **მხოლოდ მხოლოდითი რიცხვის** ფუძეებია.

**დეფინიციაა დასაზუსტებელი?**

სხვაგან ვნახოთ:

„ბოლო-კვეცილი სახელები ფუძის უკანასკნელ ბგერად ორ ხმოვანს გვიჩვენებს: **ა**-სა და **ე**-ს, რომლებიც ხმოვნით დაწყებულ სუფიქსებს უშუალოდ ხვდებიან და იკვეცებიან. კვეცა ხდება მხ. რი-

ცხვის ორ ბრუნვაში: ნათ.-სა და მოქ.-ში და **ებ**-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. მხ. რიცხვის ორი დასახელებული ბრუნვისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, **ა** მოუდის ფუძეს ბოლოში თუ **ე**; **ებ**-იანი მრავლობითის წარმოებისათვის კი ამას მნიშვნელობა აქვს: თუმცა აქ ორივე ხმოვნით გათავებული ფუძეები თანხმოვნთან სახელთა ჯგუფში გადადის, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ **ა** იკვეცება, **ე** კი – არა. ამის მიხედვით **ე**-ნიანი სახელები ფუძე-უკუმშველ სახელებს ეკედლება, **ა**-ნიანი კი – ფუძე-უკუმშვადებს“ [შანიძე, 1980, 61].

სხვაგვარად ეს ასე შეიძლება ითქვას:

**ა**-ფუძიანი სახელი **ფუძეკვეცადია** მხოლობითის ორ ბრუნვაში, ხოლო მრავლობითის ყველა ბრუნვაში ის **ფუძეუკუმშვადია** (!);

**ე**-ფუძიანი სახელი **ფუძეკვეცადია** მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში, ხოლო მრავლობითში ის **ფუძეუკუმშველია** (!).

**აი, უა** და **ავა**-ზე გათავებული ქართული გვარები (ქირია, ლორია, ჯიქია, გაგუა, სტურუა, ჯაბუა, გუგუნავა, ქოიავა, ხაინდრავა და სხვ.) მხოლობითში არ იკვეცენ ბოლოკიდურს (ლორიას ქალი, გუგუნავას პოემა), მაგრამ **მრავლობითში იკვეცენ** (ხაზი ჩვენია – ჭ. ქ., ნ.ა.): ლორიები, გუგუნავები...**ა** ფუძიანი საზოგადო სახელებიც აგრეთვე თითქმის **ყველა იკვეცება** (ხაზი ჩვენია – ჭ. ქ., ნ.ა.), გამონაკლისს წარმოადგენს ის სახელები, სადაც **ა** მაწარმოებელია: დედოფალა, ცისარტყელა, წითელა (ავადმყოფობა), ნიბლიას ბუდე (რაზიკ.), მაგრამ **შეკვეცილია** (ხაზი ჩვენია – ჭ. ქ., ნ.ა.) **ა**: ნიბლიები. ზედსართავთაგან ასეთებია: ქერა, შავთვალა და სხვ.“ [შანიძე, 1980, 66].

**მაგრამ თუ ესენი მრავლობითში თანხმოვანფუძიანები გახდნენ (ლორიებ-ი, გუგუნავებ-ი... დედოფალებ-ი, ნიბლიებ-ი...), მაშინ კვეცასა თუ უკვეცილობაზე მსჯელობა რამდენად რელევანტურია საერთოდ?!**

**ტერმინოლოგიაა** დასაზუსტებელი?

აკაკი შანიძის პოზიცია **-ებ** სუფიქსთან დაკავშირებით გაზიარებულია „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაშიც“:

„**-ებ** ნიშნის გამოვლენა... წმინდად აგლუტინაციურია. ეს ნიშანი ადგილს იკავებს ფუძესა და ბრუნვის ნიშნებს შორის, ანუ **-ებ** არსებითად მრავლობითის ფუძის მაწარმოებელი ხდება... როგორც ვხედავთ, მხოლობითისა და მრავლობითის ბრუნების პარადიგმა

(ბრუნვის ნიშანთა სისტემა) ერთმანეთისაგან არ განსხვავდება და არსებითად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფუძე, **სახლ-და სახლებ-**. ამიტომაც აღნიშნავს აკაკი შანიძე, რომ „მრავლობითი რიცხვისწარმოება არსებითად წარმოქმნას ეკუთვნის“ [გოგოლაშვილი..., 2011, 140-141].

„რიცხვის ნიშანი **-ებ** ისევე იწვევს **ფუძის ხმოვნის კვეცას** (ხა-ზი ჩვენია – ჭ. ქ., ნ.ა.), როგორც მითითებული ბრუნვის ნიშნები. ოღონდ ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს **ე** ხმოვანფუძიანი სახელები, რომელთა ფუძე-**ებ** სუფიქსთან უცვლელია. შდრ.:

ქვა → ქვ<sup>ლ</sup>-ებ-ი

მაგრამ:

ხე → ხე-ებ-ი“ [გოგოლაშვილი... 2011, 120]

აქედანაც ცხადად ჩანს, რომ **ფუძედ არის მიჩნეული მხოლოდობითი რიცხვის ფორმა**, რომელიც აუსლაუტის ხმოვანს კარგავს მრავლობითის სუფიქსის გავლენით. თუ ჩვენთვის **კვეცა არის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა**, მაშინ **კვეცილი ფუძე** ყოფილა **ქვ- (<ქვა-ებ-)**.

ბრუნების ტიპიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას აღნიშნულია:

„**ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ე ბ შ ი**: (ა) – მხოლოდობითის და მრავლობითის ფუძეთა ჩვენების მიხედვით დაიყოფა სამ ქვეჯგუფად:

a) ა-ფუძიანი: ფუძე კვეცილია მხოლოდობითიც და მრავლობითშიც (მამა...);

b) ე-ფუძიანი: ფუძე კვეცილია მხოლოდობითში, უკვეცილი – მრავლობითში (ხე...);

c) ა-ფუძიანი: უკვეცილია მხოლოდობითში, კვეცილი – მრავლობითში (თხუნელა...)“ [გოგოლაშვილი...2011, 129].

ე. ი. მრავლობითში ფუძე რედუცირებული („კვეცილი“) ან უცვლელი („უკვეცილი“) სახით იქნება: ერთი მხრივ, **მამ-... თხუნელ-... მეორე მხრივ, ხე... სწორედ ესენია ფუძედ მიჩნეული და არა – მამებ-, თხუნელებ-... ხეებ-...**

სხვაგან:

„ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას ბრუნვის ნიშნის გავლენით **კ ვ ე ც ა ჰქვია**.

ფუძე, რომელიც იკვეცება, არის **კ ვ ე ც ა დ** .

კვეცა ხდება ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებით-ში.

იკვეცება ორი ხმოვანი – ა და ი<sup>1</sup>; შდრ.:

სახ.	ძმა	მზე
მოთ.	ძმა-მ	მზე-მ
მიც.	ძმა-ს	მზე-ს
ნათ.	ძმ <sup>მ</sup> -ის	მზ <sup>მ</sup> -ის
მოქ.	ძმ <sup>მ</sup> -ით	მზ <sup>მ</sup> -ით
ვით.	ძმა-დ	მზე-დ
წოდ.	ძმა-ვ	მზე-ვ“ [გოგოლაშვილი... 2011, 119]

თუ კვეცა მხოლოდ ორ ბრუნვაში, ნათესაობითსა და მოქმედებითში, ხდება, მაშინ რამდენად რელევანტური და არაწინააღმდეგობრივია ამავე დროს იმის თქმა, რომ, ვთქვათ, ა-ზე დაბოლოებული სახელის **ფუძე კვეცილია მხოლობითშიც და მრავლობითშიც** (მამა...); ან რომ ე-ზე დაბოლოებული სახელის **ფუძე კვეცილია მხოლობითში, უკვეცილია მრავლობითში** (ხე...); ან რომ ა-ზე დაბოლოებული სახელების ერთი ჯგუფი **ფუძეუკვეცილია მხოლობითში და ფუძეკვეცილი – მრავლობითში** (თხუნელა...).

სხვა ადგილების დამოწმებაც შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმებისთვის **რეალურად საერთო ფუძე** გამოიყოფა, რომელიც **შეიძლება რედუცირდეს ან უცვლელად იყოს წარმოდგენილი**.

გაცილებით მარტივად დალაგდება ყველაფერი, თუ ამ პოზიციას გავიზიარებთ: „სახელის ფორმათა ტერმინალური ბრუნვის ნიშანი და მის წინ მდგომი რიცხვის ნიშანი ფლექსიური ელემენტებია და სახელის ფუძეში, რომელიც სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ატარებს, არ შედიან (კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი. ამ ფორმათა ფუძეა კაც-) [თ. უთურგაძე, 1983; 21].

**ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები განსხვავებული ფუნქციის ფლექსიური ელემენტებია, სწორედ ამიტომ ხდება შესაძლებელი მათი კოჰაზიტაცია, – თანაარსებობა საკუთარი ფუნქციების, ანუ,**

---

<sup>1</sup> ი იკვეცებაო, – ამ შემთხვევაში კორექტურაა, მაგრამ ფუძისეული ი შეიძლება მართლა მოიკვეცოს; მაგ.: ჰიპი – ჰიპ-ებ-ი...

**ფლექსიური გრამატიკული ბუნების შენარჩუნებით** (მდრ.: გულად-ი > გულად-ი).

თითქოს მისაღებია განმარტება, რომლის მიხედვითაც „ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელსაც დაერთვის ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები“ [დათუკიშვილი, 2018,48], თუმცა დასაზუსტებელი ჩანს ერთი ნიუანსი:

**მხოლობითის ფორმას** რიცხვის ნიშნები არ დაერთვის, ამდენად, ეს წესი მხოლოდ **მრავლობითის ფორმებისთვის** გამოდგება.

ამდენად, ვფიქრობთ, უფრო ზუსტი უნდა იყოს ასეთი დეფინიცია: **ფუძე არის სახელის ნაწილი, რომელიც დასტურდება ბრუნვის ნიშნის წინ (მხოლობითში) ან რიცხვის ნიშნის წინ (მრავლობითში).**

**-ებ** სუფიქსის ფუძის ნაწილად ჩათვლის შემთხვევაში **მრავლობითში** ყველა სახელი თანხმოდანფუძიანი გამოდის და, ამდენად, ორ ჯგუფში გადანაწილდება: **ფუძეკუმშვადები (სტუმრებ- < სტუმარებ-, კატებ- < კატაებ-)** ან **ფუძეუკუმშველები (სახლებ-, სპილოებ-).**

მაშინ:

**კატა, მიწა...** ტიპის სახელები მხოლობითში ფუძეკვეცადებად უნდა ჩაითვალოს, მრავლობითში (**კატებ-, მიწებ-**) – ფუძეკუმშვადებად (**რადგან ფუძის შიგნით ხდება ხმოვნის რედუცირება).**

**გოგონა... ზარანდია...** ტიპის სახელები მხოლობითში ფუძეუკვეცელებად უნდა განვიხილოთ, ხოლო მრავლობითის მიხედვით (**გოგონებ-, ზარანდიებ-**) – **ფუძეკუმშვადებად (რადგან ასევე ფუძის შიგნით ხდება ხმოვნის რედუცირება).**

**სპილო... ბუ...** ტიპის სახელები მხოლობითში ფუძეუკვეცელები იქნებიან, მრავლობითში (**სპილოებ-, ბუებ-**) – **ფუძეკუმშველები (თანხმოდანფუძიანები ხდებიან, მაგრამ ფუძისეული ხმოვანი არ იკარგება).**

ფუძის სტრუქტურის ცვლილებების გათვალისწინებით **ზოგადი კლასიფიკაცია** ამ სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

ა) ფუძე **საერთოა** მხოლობითსა და მრავლობითში: **სახლ-, ბავშვ-... სპილო, ოქრო... ბუ, კენგურუ... კუპე, იუბილე...**

ბ) მხოლობითში **სრული / არასრული** ფუძეების მონაცვლეობა დასტურდება (**მიწა / მიწ-, კაბა / კაბ-... სტუმარ- / სტუმრ-, მელან-/**

**მელნ-...):** მრავლობითში *არასრული* ფუძეა (**მიწ-, კაბ-... სტუმრ-, მელნ-...);**

გ) მხოლოდითში *სრული* / *არასრული* ფუძეების მონაცვლეობა დასტურდება (**დღე / დღ-... მოსწავლე / მოსწავლ-...):** მრავლობითში *სრული* ფუძე გვაქვს (**დღე, მოსწავლე...).**

დ) მხოლოდითში *სრული* ფუძე დასტურდება (**გოგონა... წვერა... გაგუა... რეფერი, ტაქსი...):** მრავლობითში *არასრული* ფუძე გვაქვს (**გოგონ-... წვერ-... გაგუ-... რეფერ-, ტაქს-...).**

ზმნისგან განსხვავებით სახელის ძირითადი ფორმები გამჭვირვალე სტრუქტურისაა, რის გამოც თავისუფლად შეიძლება ოპერირება მარტივი ფორმულებითა და წესებით.

თუ ფუძეს **R**-ით აღვნიშნავთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ:

**R-ი / R-ებ-ი** სახელობითი ბრუნვის ფორმებია;

**R-მა/R-ებ-მა** ან **R-მ** – მოთხრობითია;

**R-ს** – მიცემითი ან ნათესაობითია;

**R-ებ-ს** ცალსახად მიცემითია;

**R-ის / R-ებ-ის** – ცალსახად ნათესაობითია;

**R-ით / R-ებ-ით** ან **R-თი** – მოქმედებითია;

**R-ად / R-ებ-ად** ან **R-დ** – მოქმედებითია;

**R-თ / R-ებ-თ** ან **R-ვ** – წოდებითია;

**R** სახელობითია ან წოდებითი.

**R -მ** ყალიბი იმაზე მეტყველებს, რომ სახელის ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება;

**R -ვ** ფორმულით ასევე ზუსტად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს არის ხმოვანფუძიანი სახელი წოდებით ბრუნვაში.

რასაკვირველია, არანაირი მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვა არ არის საჭირო ფუძის სტრუქტურის გასარკვევად. სინამდვილეში არარელევანტურია ცნობილი წესი: სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობითში, ბრუნვის ნიშანი ჩამოვაშოროთ და რაც დარჩება, ის იქნება ფუძე (ა. შანიძე). ამ ფუნქციით მიცემითსაც ტვირთავენ. ფუძის დადგენის ეს მეთოდი დღემდე გამოიყენება.

ერთი შეხედვით, მარტივი ოპერაციაა, მაგრამ მისი ჩატარება შესაძლებელია **მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით... ფუძე (!):** ამის მიხედვით მას (ფუძეს) ან **-მა** დაბოლოებას დავურთავთ, ან **-მ** სუფიქსს.



ფუძის გასაგებად მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები რომ გამოსადეგი იყოს, მაშინ არ გვექნებოდა ისეთი ორთოგრაფიულად მცდარი ფორმები, როგორებიცაა: **ჟიურმა, რაგბმა... ლევანიმ, ვახტანგიმ, ზაურიმ... ვერდმა, მასტროიანმა, დონიცეტმა... მაიამმა, სომალმა...**

რატომ მოთხრობითი და მიცემითი? – ამ ბრუნვებში სახელის ფუძე **სრული სახითაა** წარმოდგენილი, – ის არც შეკვეცილია და არც შეკუმშული (თუმცა, მეორე მხრივ, **არასრული ფუძეც** ხომ ფუძეა (**კალმ-**ის ფუძეა **კალმ-**)?)

**წოდებითშიც** სრულია ფუძე; რა გვიშლის ხელს, რომ ამ ბრუნვაშიც ჯერ ბრუნვის ნიშანი მივუწეროთ სახელს, ხოლო შემდეგ ეს ნიშანი მოვშალოთ და დარჩენილ ნაწილს **ფუძე** ვუწოდოთ (ქალი – ქალ-ო: ქალ-; დედა – დედა-ვ : დედა...)?

მეტეც: ზოგჯერ წოდებითი გაცილებით მოხერხებულია ამისთვის: სახელების ერთი რიგი აქ სწორედ ფუძის სახითაა წარმოდგენილი (**ეკა!.. ელენე!.. ძუკუ!.. სანდრო!.. ბუკია!.. ჩუხუა!.. აგუმავა!.. სომალაი!.. ვერდი!.. გიორგი!.. დავით!..**)

ხშირად ფუძის სახითაა წარმოდგენილი სახელი **სახელობით ბრუნვაშიც**, საიდანაც რატომღაც სხვა ბრუნვებში უნდა გადავიყვანოთ ის. უფრო რომ დავაზუსტოთ, ეს არის არსებითი ან **გაარსებითებული, გასუბსტანტივებული** სახელები, რომლებიც ბოლოვდება **ა, ე, ო, უ** ხმოვნებზე: **მიწა... თვე... ოქრო... ბუ... პატარა... მეხუთე... რა... ტრადიციული წესის მიხედვით ამგვარი დაბოლოების მქონე სახელები უნდა ჩავსვათ მოთხრობითში/მიცემითში**, ანუ მივუწეროთ სათანადო **ბრუნვის ნიშანი** და შემდეგ მოვაცილოთ ეს **ნიშანი!**

ანუ, **მივიღებთ ისევ იმ ფორმებს, რომლებიც გვქონდა!** რამდენად ლოგიკური და რაციონალურია ამგვარი მანიპულაცია?

ძალიან მარტივად წყდება ყველაფერი, თუ ვიტყვით, რომ: **ა, ე, ო, უ-ზე დაბოლოებული ყველა არსებითი ან გაარსებითებული (გასუბსტანტივებული) სახელი ხმოვანფუძიანია.**

და როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელის ბოლოს **ი** დასტურდება?

**ი-ზე დაბოლოებული აღნიშნული კატეგორიის ყველა სახელი თანხმოვანფუძიანია**, ანუ, აქ **-ი-**ს გამოვყოფთ, როგორც ბრუნვის ნი-

შანს, მის წინ, როგორც წესი, თანხმობიანი დასტურდება, ესე იგი, სახელი **თანხმობანფუძიანია**.

საზოგადო სახელთაგან აკაკი შანიძე **ი**-ფუძიანად მიიჩნევს სამს: **ჩაი, პაი, ტრამვაი**. ამ სიას უნდა დაემატოს შემდეგი **საზოგადო და საკუთარი** სახელები:

სამურაი, ჟოკეი, დისპლეი, დიჯეი, ჰანტეი, ბეი, გეი, სპრეი, ფიუსეი, თესეი, სენსეი, ბობსლეი, ჰოკეი... პენალტი, ცუნამი, ჟიურეი, ლობი, ბრენდი, ლედი, კივი, ტაქსი, დენდი, ჰობი, ჰიპი, პოპური, ჰარაკირი, შასი, სპაგეტი, რალი, რაგბი, მილედი, ეფენდი, კეგლი, იანკი, ჟალუზი, ალიბი, ბიკინი, ზლოტი, ვისკი...

ბრუნეი, ჰავაი... მაიამი, დელი, ტრიპოლი, კენტუკი, ჰელსინკი, სომალი, ჯიბუტი, ჰაიტი, ნიუ-ჯერსი...

გიორგი, დიმიტრი, აკაკი, ნანული, ნინელი, ბადრი, დალი, ირაკლი, ლილი, ალექსი, სერგი, რატი, ვალერი, ლალი, გივი, ვახუშტი...

ბოტიჩელი, გარიბალდი, და ვინჩი, დებიუსი, დიმიტრიადი, დონიცეტი, ვერდი, ვივალდი, კადაფი, მასტროიანი, მოდილიანი, პავაროტი, პუჩინი, როსინი, ფელინი, ძეფირელი...

ამ გამონაკლისად სახელდებულ ფორმათა ბრუნების თავისებურებების **დამახსოვრება** ისედაც საჭირო და მნიშვნელოვანია (ორთოგრაფიის თვალსაზრისით): სწორედ **მოთხრობითი, მიცემითი და წოდებითი** ბრუნებია ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალური.

**თემური** არის ფუძე თუ **თემურ-**, ამის გარკვევაში ვერც მოთხრობითი ბრუნვა დაგვეხმარება, ვერც მიცემითი და ვერც წოდებითი [იხ. ქირია, 2021, 56].

**პირიქით, უნდა ვიცოდეთ, რომელია თანხმობანფუძიანი სახელი და რომელი – ხმობანფუძიანი. სწორედ ამის მიხედვით დავურთოთ მას, ვთქვათ, ტ მა- ან -მ.**

**ი**-ფუძიანებთან დაკავშირებით კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ **ეს არის ფუძევეცადი სახელები**: მრავლობითში იკვეცება ამ ტიპის სახელების ფუძისეული **ი** (თუ, რასაკვირველია, მრავლობითის ფორმები აქვთ მათ საერთოდ): **ჰიპი – ჰიპი-მ**, მაგრამ: **ჰიპ-ებ-ი...** **მასტროიანი – მასტროიანიმ**, მაგრამ: **მასტროიან-ებ-ი...**

ერთი სიტყვით, მთავარია ვიცოდეთ **ამოსავალი ფორმის სტრუქტურა**.

მხოლოდით რიცხვში **R-ის სტრუქტურის სიტყვა** თეორიულად შეიძლება იყოს:

ა) თანხმოვანფუძიანი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (**სახლ-ის – სახლი... მელნ-ის – მელან-ი...**);

ბ) ა-ფუძიანი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (**მიწ-ის – მიწა...**);

გ) ე-ფუძიანი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (**დღ-ის – დღე...**)<sup>1</sup>;

ამოსავალი ფორმის დადგენის საკითხი პრობლემური ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც უცნობია სახელობითის სტრუქტურა, ამავე დროს, ფუძის ლექსიკური მნიშვნელობის ცოდნაც ხდება აქტუალური<sup>2</sup>.

ვნახოთ ეს კონკრეტული ნიმუშის ფონზე:

რომელიმე **ლაყუყ-ის** ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს: **ლაყუყ-ი, ლაყუყა, ლაყუყე**. ფუძის სწორად განსაზღვრად უნდა ვიცოდეთ, რომ მისი ამოსავალი ფორმაა **ლაყუყ-ი** („ცოტათი მომქავო“).

მეგრულ-ლაზურში ანალოგიურად დგას ფუძის საკითხი. სახელის **ძირითადი ფორმა** აქაც ორ- ან სამკომპონენტია: **ფუძე + ბრ. ნიშანი** ან **ფუძე + რიცხვ. ნ. + ბრ. ნიშანი**: ერთი მხრივ, გვაქვს **კოჩ-ი/კოჩ-ეფ-ი/კოჩ-ეფ-ე...** მეორე მხრივ, **კატუ/კატუ-ეფ-ი/კატუ-ეფ...**

უცვლელია ხმოვნებზე დაბოლოებული **ფუძე** მხოლოდითში. მრავლობითში კვეცა ჩვეულებრივია.

თანხმოვანფუძიანებს მეგრულში სახელობითის ნიშნად **-ი** მოუდით (ისევე, როგორც ქართულში).

---

<sup>1</sup> თითქოს ერთგვარი „ლინგვისტური სიფრთხილე“ ჩანს კვეცის შემაკავებელი თუ შემაფრთხებელი ფაქტორი რაც შემთხვევებში, როგორებიცაა: **ძამა – ძამას** ხეობა, **პიზა – პიზას** კოშკი, **ღაზა – ღაზას** სექტორი... ორთოგრაფიული ნორმით ამგვარ შემთხვევებში ფუძის ბოლო ხმოვანი უნდა მოიკვეცოს, თუმცა ეს აბუნდოვანებს ამოსავალი ფორმის სტრუქტურას, რაც ამუხრუჭებს რედუქციის პროცესს.

<sup>2</sup> ყველა სიტყვა არავინ არ იცის.

ხშირ შემთხვევაში **ო** ჩანს სხვა ბრუნვებში ფუძის ბოლოს. ამ დროს მსჯელობენ სახელობითის მორფემის „**ფუძესთან შეხორცება-ზე**“.

თუ სახელობითის **ო** ფუძეს შეუხორცდა და სხვა ბრუნვებშიც გადავიდა, მაშინ ის აღარ არის სახელობითის ნიშანი, ფუნქციური მარკერი – ის არის ფუნქციადაკარგული, მორფოლოგიური სტატუსის უქონელი ელემენტი, **ფუძის ნაწილი**.

ქართულშიც გვაქვს ბრუნვის ნიშნის ფუძეში გადასვლის შემთხვევები: **ორივე, სამივე, ხუთივე...**

რა არის აქ **ო**?

წარმოშობით, რა თქმა უნდა, სახელობითი ბრუნვის ნიშანია, მაგრამ ფუძის ნაწილად ქცეული და, ამდენად, **ის, როგორც ბრუნვის ნიშანი, აღარ განიხილება**.

რამდენად არის მეგრული **ო** ამავე რანგის ელემენტი? ანუ, მართლა სახელობითის ნიშანია გადასული სხვა ბრუნვებში თუ ეს სულ სხვა მოვლენაა?

ვფიქრობთ, სხვა მოვლენაა.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, როდის გვაქვს მეგრულში სახელობითის **-ო**-ს „შეხორცება“ ფუძესთან?

ა. ლომთაძის დაკვირვებით, მხოლოდით რიცხვში სახელობითის **-ო** მორფემას ყოველთვის ინარჩუნებს სახელი, თუ ის **ბ, ფ, პ, მ, ც, წ, ჭ, ზ, ქ, კ, ყ, ც, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ** თანხმოვანზე ბოლოვდება [იხ. ლომთაძე, 1987, 129]<sup>1</sup>.

მხოლოდ აუსლაუტში სონორების მქონე ფუძეები იჩენენ შედარებით სტაბილურობას (ოსურ-ქ, ოსურ-ს... ბულ-ქ, ბულ-ს... კან-ქ, კან-ს... დემ-ქ, დემ-ს...). სპორადულად აქაც არ არის გამორიცხული **ო**-ს გამოვლენა და ეს უფრო ანალოგიის შედეგი ჩანს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად თანხმოვანზე დაბოლოებულ ყველა ფუძესთან ვლინდება **ო** თანხმოვანი.

მაგრამ სახელობითის **ო**-ს შენარჩუნებაზე უნდა ვიმსჯელოთ თუ ინტერკონსონანტურ პოზიციაში **ო**-ს განვითარებაზე?

---

<sup>1</sup> **დ, თ, ტ** თანხმოვნებზე დაბოლოებული ფუძეები, რომლებიც მოთხოვითა და მიცემითში **ო**-ს არ დაირთავს, არ იმეზნება. ამდენად, ამ ჩამო-ნათვალს ესენიც უნდა დაემატოს: გვაქვს: ბედი – **ბედი-ქ** და არა **ბედ-ქ**, ბურთი – **ბურთი-ქ** და არა **ბურთ-ქ**, ჩიტი – **ჩიტო-ქ** და არა **ჩიტ-ქ**... [ქირია... 32].

ო აქ **თანხმოვანთგამყარი** უნდა იყოს – ეს ნათლად ჩანს, თუ დავაკვირდებით ბრუნვის ნიშანთა სტრუქტურას: მხოლოდ **მო-თხრობითი** და **მიცემითია**, სადაც **თანხმოვანია** (-ქ და -ს) ბრუნვის ნიშანი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ფონოტაქტიკური სირთულეებიდან გამომდინარე, **სუპერაციის აუცილებლობა არ არის**, – **ბრუნვის ნიშნები ხმოვნით იწყება** (ეს ნიშნებია: სახ. -ო, ნათ. -ომ, მოქმ. -ოთ, ვით. -ო(თ), მიმართ. -იმა, დაშორ. -ომე, დანიშნ. -ომო(თ)).

ო-ს ფუძესთან შეხორცების შემთხვევაში ვითარებითში უნდა ყოფილიყო **ბერგით** და არა **ბერგო**: **ბერგიქ || ბერგის** ფორმებში **ო** ფონეტიკური ჩანართია, **ბერგიმ || ბერგით** ფორმებში კი ბრუნვის ნიშნის ნაწილი და მორფოლოგიური ღირებულებისაა [იხ. დანელია, 2006, 109-110].

მოთხრობითსა და მიცემითში არაბუნებრივი ფონემური კომბინაციის დასაძლევად სხვადასხვა საშუალება გამოიყენება:

ა) **ო** ხმოვნის ჩართვა თანხმოვნებს შორის:

კოჩი-ქ, ბოში-ქ, ძღაბი-ქ, კოჩი-ს, ბოში-ს, ძღაბი-ს...

ბ) მოთხრობითის **-ქ** მორფემის წინ ყრუვდება ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი:

დუდ-ქ > დუთ-ქ, ზოთონჯ-ქ > ზოთონჩქ, ღეჯ-ქ > ღეჩ-ქ, ქომონჯ-ქ > ქომონჩქ...

გ) არ არის მოულოდნელი ფუძისეული **ლ-ს** გადასვლა **რ-ში**:

თოლ-ქ || > თორქ, თოლს || > თორს...

დ) CC მიმდევრობა მარტივდება მოთხრობითსა და მიცემითში (CC > C):

ჩხვინდ-ქ > ჩხვინ-ქ, ჩხვინდ-ს > ჩხვინ-ს, ღორონთქ > ღორონ-ქ, ღორონ-ს > ღორონ-ს, ზოთონჯ-ქ > ზოთონ-ქ, ზოთონჯ-ს > ზოთონ-ს...

ანლაუტში თანხმოვნისა თუ თანხმოვნების ჩავარდნის შედეგად მიცემითის ფუძე ხმოვანზე დაბოლოებული აღმოჩნდება:

დუდ-ს > დუ-ს, ცუჯ-ს > ცუ-ს, კოჩ-ს > კო-ს, ხუჯ-ს > ხუ-ს...

მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშანი თანხმოვანია, რაც განაპირობებს მორფემათა ზღვარზე თანხმოვანთა თავმოყრას. ხშირ შემთხვევაში ეს თანხმოვნები ვერ გულობენ ერთმანეთს, რაც ფონეტიკური ტრანსფორმაციების, გარდაქმნების საფუძველი ხდება. როგორც აღინიშნა, სუპერაციისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ალტერნატიული საშუალებები (ჩხვინდიქ/ჩხვინქ, ჩხვინდი-ს/

ჩხვინ-ს, დუდი-ქ/დუთ-ქ, დუდი-ს/დუ-ს...), ზოგჯერ კი არაბუნებრივი კომბინაციის დამლევის შერჩეული გზა უალტერნატივოა (ლაკვი-ქ, ლაკვი-ს, ბატი-ქ, ბატი-ს, კუჩხი-ქ, კუჩხი-ს...).

ასე რომ, მეგრული სახელობითის **-ი** და მოთხრ.-მიცემითში გამოვლენილი **ი** სხვადასხვა ოდენობაა.

**„კოჩი“** („კაცი“) და **„კიცი“** („კეცი“) სახელების პარადიგმა „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ ასეა წარმოდგენილი:

კოჩი, კოჩ-ქ, კო-ს, კოჩი-შ(ი), კოჩი-შა, კოჩი-შე, კოჩი-თ(ი), კოჩი-შო(თ), კოჩ-ო;

კიცი<sup>1</sup>, კიცი-ქ, კიცი-ს, კიცი-შ(ი), კიცი-შა, კიცი-შე, კიცი-თ(ი), კიცი-შო(თ), კიცი-ო [ჩიქ. 1936, 44].

მოთხრობითსა და მიცემითში **კოჩ-ქ** და **კო-ს** ფორმათა პარალელურად **კოჩი-ქ** და **კოჩი-ს** ფორმებსაც ვხვდებით (როგორც „კიცის“ შემთხვევაშია: **კიცი-ქ** და **კიცი-ს**).

ამ პარადიგმის მიხედვით (**კოჩი, კოჩი-ქ, კოჩი-ს... კოჩ-ო; კიცი, კიცი-ქ, კიცი-ს... კიცი-ო**) **ი** ხმოვანი ფუძისეული გამოდის და რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ის **ი კვეცება** ვითარებითის ფორმაში (**კოჩ-ო, კიცი-ო**).

ასე არ არის. **-ი**, როგორც თანხმოვანთგამყარი, უბრალოდ საქირო არ არის ამ გრამატიკულ კონტექსტში.

**კოჩ-ი, ზოშ-ი, ძღაბ-ი...** თანხმოვანფუძიან სახელებად ითვლება, მაგრამ ამ მიჩნევას გარკვეული პირობითობა ახლავს, თუ გავითვალისწინებთ ბრუნების საერთო სურათს, რომლის მიხედვითაც მოთხრობითსა და მიცემითში (იხ. პარადიგმა 1.) ან მხოლოდ მიცემითში (იხ. პარადიგმა 2.) **ფუძის ზოლოს ხმოვანი** ჩანს (არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, როგორ აღმოჩნდა ამ პოზიციაში ხმოვანი); ვნახოთ ეს ვარიანტები:

**პარადიგმა 1.**

სახ. კოჩ-ი  
მოთხრ. კოჩი-ქ  
მიც. კოჩი-ს  
ნათ. კოჩ-იშ

**პარადიგმა 2.**

კოჩ-ი  
კოჩ-ქ  
კო-ს  
კოჩ-იშ

<sup>1</sup> საინტერესოა, რომ „კოჩი“ და „კიცი“ ფორმებში **ი** გამოყოფილი არ არის, ანუ, ფუძისეულადაა ჩათვლილი.

მოქმ.	კოჩ-ით	კოჩ-ით
ვით.	კოჩ-ო(თ)	კოჩ-ო(თ)
მიმართ.	კოჩ-იშა	კოჩ-იშა
დაშორ.	კოჩ-იშე	კოჩ-იშე
დანიშნ.	კოჩ-იშო(თ)	კოჩ-იშო(თ)

ცალკე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევა (იხ. პარადიგმა 3.), სადაც ყველა ბრუნვაში ფუძის ბოლოკიდურად თანხმოვანი ვლინდება:

### პარადიგმა 3.

სახ.	ოსურ-ი
მოთხრ.	ოსურ-ქ
მიც.	ოსურ-ს
ნათ.	ოსურ-იშ
მოქმ.	ოსურ-ით
ვით.	ოსურ-ო(თ)
მიმართ.	ოსურ-ო(თ)შა
დაშორ.	ოსურ-ო(თ)შე
დანიშნ.	ოსურ-ო(თ)შო(თ)

ბოლო პარადიგმა თანხმოვანფუძიანი სახელის ბრუნების ტიპური შემთხვევაა, ქართულის ანალოგიური.

ამდენად, „წმინდა“ თანხმოვანფუძიანთა ბრუნების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს პარადიგმა 3-ის მიხედვით წარმოდგენილი ფორმაცვალება, რომელსაც გვიჩვენებენ სონორებზე დაბოლოებული ფუძის მქონე სახელები.

ერთი სიტყვით, **-ი** მოთხრობითსა და მიცემითში შეიძლება იყოს თანხმოვანთაგამყარი, დანარჩენ შემთხვევებში ის ბრუნვის ნიშნის კომპონენტს წარმოადგენს (ნათესაობითისა და მოქმედებითის დარად); ამ გარემოების გათვალისწინებით **ვითარებითში ფუძის კვეცის საკითხი (\*ზერგი-ო(თ) > ზერგ-ო(თ)) უნდა მოიხსნას.**

მხოლოდბითის პარადიგმაში კვეცის უიშვიათეს შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ ამგვარი ტრანსფორმაცია:

პუდე-შა > \*სუდ-შა > სუჩა

ცუდე-შე > \*ცუდ-შე > ცუჩე

მივიღეთ **დ+შ** კომბინაცია, რომელიც **ჩ**-დ გარდაიქმნება სწორედ იმის გამო, რომ ფუძის ბოლოკიდური **ე** ხმოვანი იკარგება, მოიკვეცება.

საერთოდ, სახელის ფუძის კვეცა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა მეგრულისთვის, მხოლოდ მისი სპეციფიკა ის არის, რომ აქ ეს პრაქტიკულად არ ხდება მხოლოდობითში, მაგრამ **მხოლოდობითის სრულ ფუძეებს შეიძლება დაუპირისპირდეს რედუცირებული ფუძეები მრავლობითში.**

მეგრული **ფუძეკვეცადი სახელებია:**

**1. ა-ფუძიანი გვარსახელები:**

ა) კანკია, ბესელია, ბაბუხადია... *შდრ.* მრ. რ.: კანკი-ეფ-, ბესელი-ეფ-, ბაბუხადი-ეფ-...

ბ) კანკავა, ჯობავა, კვესელავა... *შდრ.* მრ. რ.: კანკავ-ეფ-, ჯობავ-ეფ-, კვესელავ-ეფ-...

გ) გვათუა, გოთუა, ხუჭუა... *შდრ.* მრ. რ.: გვათუ-ეფ-, გოთუ-ეფ-, ხუჭუ-ეფ-...

დ) უკლება, ბურძგლა, ინგოროყვა... *შდრ.* უკლებ-ეფ-, ბურძგლ-ეფ-, ინგოროყვ-ეფ-...

ე) ალიევა, ივანოვა, კუჩმა... *შდრ.*: ალიევ-ეფ-, ივანოვ-ეფ-, კუჩმ-ეფ-...

**2. ა-ფუძიანი დერივატები:**

ყუჯა („ყურა“), გურმეჭვია („გულწითელა“), მაბოშია „ძალიან ახალგაზრდა ბიჭი, მოზარდი, რომელიც უკვე ბიჭობს“), ოსურია („ქალაჩუნა კაცი“)... *შდრ.*: ყუჯ-ეფ-, გურმეჭვი-ეფ-, მაბოში-ეფ-, ოსური-ეფ-...

**3. ი-ფუძიანი სახელები:**

საზოგადო:

ა) პაპარაცი, ტაქსი, ხიპი... *შდრ.*: პაპარაც-ეფ-, ტაქს-ეფ-, ხიპ-ეფ-...

ბ) გვარსახელები:

პავაროტი, გარიბალდი, სპალეტი... *შდრ.*: პავაროტ-ეფ-, გარიბალდ-ეფ-, სპალეტ-ეფ-...

**4. ო-ფუძიანი საზოგადო სახელები:**



ოქრო, ბორო... შდრ.: ოქრუ-ევ- ბორუ-ევ-... [ქირია 2023,140-141].

ერთი ჯგუფის სახელებში მრავლობითში, ინტერვოკალურ პოზიციასში ფუძის ბოლოკიდურ ა-სა და მრავლობითის ნიშნისეულ ე-ს შორის ლ ჩანს. მეგრულის ლინგვისტური ანალიზის მიხედვით სულ 27 ამგვარი შემთხვევა დასტურდება; აღნიშნულია, რომ ამათგან 24 ჩამოთვლილი აქვს ი. ყიფშიძეს [იხ. კარტოზია... 2010, 106]. ეს სახელებია:

ბჟა „მზე“ – ბჟალ-ევ-ი, და „და“ – დალ-ევ-ი, დლა „დე“ – დლალ-ევ-ი, დიდა „დედა“ – დიდალ-ევ-ი, გზა „გზა“ – გზალ-ევ-ი, თუ „გოჭი“ – თულ-ევ-ი, მოთა „შვილიშვილი“ – მოთალ-ეფი, მუმა „მამა“ – მუმალ-ევ-ი, ნოსა „რძალი“ – ნოსალ-ევ-ი, სინჯა „სიძე“ – სინჯალ-ევ-ი, სქუა „შვილი“ – სქუალ-ევ-ი, ტყა „ტყე“ – ტყალ-ევ-ი, ქა „რქა“ – ქალ-ევ-ი, ქუა „ქვა“ – ქუალ-ევ-ი || ქუ-ევ-ი, ღვა „ლოყა“ – ღვალ-ევ-ი, ჩხოუ „ძროხა“ – ჩხოულ-ევ-ი || ჩხუ-ევ-ი, ძგა „გვერდი“ – ძგალ-ევ-ი, ჭა „ჩალა“ – ჭალ-ევ-ი, ჯა „ხე“ – ჯალ-ევ-ი, ჯიმა „ძმა“ – ჯიმალ-ევ-ი, ცა „ტოტი“ – ცალ-ევ-ი, სუა „ფრთა“ – სუალ-ევ-ი || სუ-ევ-ი, ხე „ხელი“ – ხელ-ევ-ი || ხე-ევ-ი, პაპა „პაპი“ – პაპალ-ევ-ი || პაპ-ევ-ი, (ფ)სკა „სკა“, „ფუტკარი“ – (ფ)სკალ-ევ-ი, ტკვა „კიბე“ – ტკვალ-ევ-ი, შქა „შუა“ – შქალ-ევ-ი, ჭიჭე „პატარა“ – ჭიჭელ-ევ-ი.

ამ მასალას (სინამდვილეში 28 ფორმას) შეიძლება დაემატოს: თხა „თხა“ – თხალ-ევ-ი, წკა „კურკა“ – წკალ-ევ-ი...

ლაზურშიც გვხვდება ასეთი ფორმები:

ჟ ა ე ფ ე || ნ ჟ ა ფ ე : „ძელები“, შდრ. **ჟალეფი||ნჟალეფი**: ქიმოლიქ დალიშენ **ჟაეფე** ქომულუ(ჩიქ. I, 39, 19) „ქმარმა ტყიდან შეშა („ხეები“) მოუტანა“; ... **ნჟაეფე**, დიშქაფე ჰოდობლეს ოხოიკალა (კარტ. 1968, 150, 16) „ხეები, შეშები დაყარეს სახლთან“; ... ქვა დო **ნჟაეფე** გეგაბდას (ყიფშ. II, 47, 27) „ქვა და ხეები დაცვიდეს“.

**ქვაეფე**: „ქვები“, შდრ. **ქვალეფე**: აწი-თი მეზარემ **ქვაეფე** იძირენ (ყიფ. II, 4, 32) „საფლავის ქვები ახლაც ჩანს“; სი მჭიფე **ქვაეფე** მასთოლია დანი-ჩქიმის (კარტ. 1972, 92, 14) „შენ წვრილი ქვები ისროლეო ჩემს მზარეს“.

**ხეეფი||ხეფე**: „ხელები“, შდრ. **ხელ-ევ-ე**: ა ჩქვა დოყვი, მეგოტრუხას **ხეეფი** (ყიფ. II, 21, 29) „სხვა ქენი, მოგტყდეს ხელები!“; ხემი ოქოსალეფეთე... **ხეეფე** იქოსამტეს (ჩიქ. II, 65, 6) „ხელის გასამშრალე-

ბელი (ტილოთი) ხელებს იწმენდნენ“.

**მოთაფე:** „შვილიშვილები“, შდრ.: **მოთაღეფე:** მთუგეფეში **მოთაფეკალა** სი თეშენ ბეი მანძაგეე ვოე-აა (ჩიქ. I, 75, 15) „თაგვების შვილიშვილებთან მიმინოს შვილი მეზობლად იყოო“; ია კართალიშ **მოთაფე** ჭკომასინტერენ (კარტ. 1972, 84, 34) „იმას არწივის ბარტყები შეჭამენ“.

**ყაეფე:** „ტოტები“, შდრ.: **ყალეფე:** მანყაეფე... ლეტაშა ქაგევონ-ჭაფ! (ჩიქ. I, 76, 8) „მე ტოტები მიწას მივაწვდენ“.

**მსაეაფე || მსაფე:** „ფრთები“, შდრ. **მსვაღეფე:** **მსვაეფე** (მსვაფე) მუში ნუნკუს ქომოთხუ (კარტ. 1972, 77, 18) „ფრთები მის ნიკაპს შეახო“; გიხუნაფს სვას (**სვაეფეს**) დობაბა-მუშიში აეიშა მინდიყონოფს (კარტ. 1972, 101, 23) „დაისვამს ფრთებზე და მამამისთან წაიყვანს“.

**დიშქალეფე** (||სტოლბეფე) ქოდვოცონარ (ჩიქ. II, 115, 31) „შეშე-ბი (ბოდები) დავყარე“; **დიშქალეფეთე** დოპკარუმთ (დიშქა ბიტურთ შქუ დო ჰეშო გიწვი) (ჩიქ. II, 114, 15) „შეშებით დავამაგრებთ (შეშას ვიტყვით ჩვენ და ისე გითხარი)“ [ქირია..., 2015, 63–64].

გ. კარტოზიამ ხოფურ-ჩხალური კილოს მონაცემების საფუძველზე ლაზურში გამოყო ანალოგიური წარმოების ზედსართავი სახელები და კუთვნილებითი ნაცვალსახელები. იგულისხმება **მჭითაფე || მჭითაღეფე** „წითლები“, **ჩქიმეფე || ჩქიმიღეფე** „ჩემები“ **გინძეღეფე** „გრძელები“, **მჭიფეღეფე** „წვრილები“, **თითხულეფე** „თხელები“, **ჩიჩქულეფე** „ჩვილები“, **უჩაღეფე** „შავები“, **მონკალეფე** „მძიმეები“, **ჭიტაღეფე** „პატარები“, **კაი/ღეფე** „კარგები“ ფორმები [კარტოზია 2004, 89].

როგორც ჩანს, ამგვარი მასალის ანალიზისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა. გამყრელიძე-მაჭავარიანის დაკვირვებით, არის შემთხვევები, როდესაც ფუძის ბოლოკიდური **ლ** მეგრულ-ლაზურში დაკარგულია. ამის ნიმუშად წარმოდგენილია: ქართ. **კელი:** მეგრ.-ლაზ. **ხე;** ქართ. **ძელი :** მეგრ.-ლაზ. **ჯა;** ქართ. **ცხელი:** მეგრ.-ლაზ. **ჩხე;** ქართ. **გრძელი:** მეგრ.-ლაზ. **გირძე,** ჭან. **გუნძე;** ქართ. **წითელი:** მეგრ.-ლაზ. **ჭითა,** ჭან. **მჭითა;** ქართ. **წრფელი:** მეგრ.-ლაზ. **ჭიფე,** ჭან. **მჭიფე** „წვრილი“ [გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965, 88].

ამავე რიგში ჩადგება ქართ. **თხელი:** მეგრ. **თხითხუ.**

მრავლობითის ფორმებში გამოვლენილი **ლ** ელემენტის კვალიფიკაციის დადგენისას სამი ვერსია იკვეთება:

ა) **ლ** ფუძისეულია, მხოლობითში დაკარგულია, მრავლობითში აღდგება [მარი, 1910, 14; ყიფშიძე, 1914, 026; ჩიქობავა, 1936, 61]

ბ) ეს **ლ** მეგრულ-ლაზურში ზოგ ფორმაში ფუძისეულია, ჩვეულებრივ კი გვიანდელი ჩანართია ხმოვნებს შორის არსებული ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 88];

გ) **ლ** მრავლობითი რიცხვის მორფემის ნაწილია [კარტოზია 2005, 83; 2010, 109].

ყველა ფორმაში ვერ ხერხდება **ლ**-ს აღდგენა ფუძისეულ ელემენტად, თუმცა ნამდვილად დასტურდება ფორმები, სადაც ეს ძალიან კარგად ჩანს (**ჯა – ჯალ-ეფ-ი, ხე – ხელ-ეფ-ი...**).

**ჯიმა** – **ჯიმალ-ეფ-ი...**იმ რიგისაა, როგორცაა ბრუნების თვალსაზრისით თავისებური სახელების რიგში გამწესებული *ქართ. ხბო*, რომელსაც მრავლობით რიცხვში **რ** ფონემა უვითარდება ხმოვანთაგამყარად: **ხბო – ხბორ-ებ-ი**.

**ჯიმალეფი** ფორმაში **ლეფ** ისევე ვერ ჩაითვლება მრავლობითის სუფიქსად, როგორც **ხბორებ**-ში **რებ**.

სხვათა შორის, **ხბო – ხბორები** იმის ნიმუშადაც გამოდგება, რომ ერთი და იგივე სახელი შეიძლება მხოლობითში ხმოვანფუძიანი იყოს (**ხბო**), ხოლო მრავლობითში – თანხმოვანფუძიანი **ხბორ**-.

ასევე მხოლობითში ხმოვანფუძიანია, ხოლო მრავლობითში – თანხმოვანფუძიანი **ჯიმა – ჯიმალ-ეფ-ი...** რიგის სახელები მეგრულსა და ლაზურში. ლოგიკურია, რომ სინქრონიული ენობრივი რეალობიდან გამომდინარე ასევე შეფასდეს ის შემთხვევები, როდესაც მხოლობითში ფუძის ბოლო ხმოვანი **დაკარგულია** და ის მრავლობითში **აღდგება** (**ხე „ხელი“ – ხელ-ეფ-ი „ხელები“, ჯა „ძელი“ – ჯალ-ეფ-ი „ძელები“**).

როგორც ჩანს, მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებისას მორფემათა ზღვარზე მიღებული არაკანონიკური ვოკალური კომბინაციის დასაძლევად ორი გზა გამოიყენება მეგრულში:

ა) **ა+ე > ე**: დიხა + ეფ > დიხ-ეფ-...

ბ) **ა+ე >ალ+ე**: ნოსა+ეფ > ნოსალ-ეფ-....

სხვათა შორის, ზუსტად ანალოგიური მექანიზმი ქართულშიც მოქმედებს, სადაც ნასახელარი ზმნური ფორმების ფონეტიკური ადაპტაციის პრობლემას **ვ** ფონემა „აგვარებს“:

ა) **ა+ე > ე**: შემა– ა-შემ-ებ-ს (< ა-შემა-ებ-ს)...

ბ) ა+ე >ავ+ე: მუშა – ა-მუშა-ვ-ებ-ს (< ამუშა-ებ-ს), ქვა– ა-ქვა-ვ-ებ-ს (< ა-ქვა-ებ-ს), გუნდა– ა-გუნდა-ვ-ებ-ს (< ა-გუნდა-ებ-ს)...

მხოლოდ მხოლოდობითის პარადიგმაშიც შეიძლება სახელი ფუძის დაბოლოების მიხედვით ლაბილური იყოს: ზევით იყო განხილული შემთხვევები, როდესაც ფონეტიკური ტრანსფორმაციების შედეგად შეიძლება ფუძის ბოლოს ხმოვანი დარჩეს **მიცემითში**: დუდ-ს> **დუ-ს** (შდრ.: დუდ-ი, დუთ-ქ, დუდ-იმ...), ხუჯ-ს> **ხუ-ს** (შდრ.: ხუჯ-ი, ხუჩ-ქ, ხუჯ-იმ...)...

ბუნებრივია, ასევე ხმოვანფუძიანებად მივიჩნევთ სახელებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ინტერკონსონანტური **ი** უდასტურდებათ – მიცემითთან ერთად დგას **მოთხრობითიც**. ასე რომ, **ხმოვანფუძიანია**: ბოში-ქ, ბოში-ს (**ოკო** „უნდა“), კოჩი-ქ, კოჩი-ს (**ოკო** „უნდა“)... მაგრამ, რა თქმა უნდა, **თანხმოვანია ფუძის ბოლოს**: ბოშ-ი, კოჩ-ი, ბოშ-იმ, კოჩ-იმ და ა. შ.

მეგრულში, როგორც მასალიდან ჩანს, **ა+ე** კომბინაცია მორფემათა ზღვარზე **არაბუნებრივია**. აქ არ არსებობს ასეთი ფორმები: დიხაევი, ტურაევი, ჯიმაევი, დიდაევი...

მეგრული მრავლობითის წარმოება, ქართულის მსგავსად, უნიფიცირებულია: ხმოვანფუძიანებთანაც და თანხმოვანფუძიანებთანაც **-ეფ** დასტურდება.

ხმოვანფუძიანებში გვაქვს კონტაქტური გავლენა: **ა-** და **ი-**ფუძიანები ფუძის დაბოლოებას კარგავენ **მრავლობითის სუფიქსის გავლენით** (დიხა – დიხ-ეფ... ხიპი – ხიპ-ეფ-), **ო-**ფუძიანებმა შეიძლება ნაწილობრივი რედუქცია განიცადონ (ბორო – ბორო-ეფ-/ბორუ-ეფ-), ხოლო **უ-**ფუძიანები უცვლელად რჩებიან (კატუ – კატუ-ეფ-). პრაქტიკულად უცვლელად რჩებიან **ე-**ფუძიანებიც, მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ფუძის დაბოლოებისა და ბრუნვის ნიშნის შერწყმა და ერთი **ე** იყოს როგორც ფუძის, ისე რიცხვის კომპონენტი (ცუდე-ცუდე-ეფ- – ცუდე-ფ...).

**ლაზურში მრავლობითის ნიშანი ფუძეებს განასხვავებს, ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს -ფე დაერთვის, ხოლო თანხმოვანზე დაბოლოებულ -ფეფ. ამდენად, დამატებითი დისტრიბუციის მექანიზმის წყალობით ეს პრობლემა აქ ავტომატურად გვარდება.**

არც შეკუმშვა, არც შეკვეცა ჭანურში სახელის ფუძემ არ იცის: არც ფუძის შიგნით, არც ფუძის ბოლოს ბრუნების პროცესში ხმოვანი

არ იკარგება; ერთადერთი შემთხვევა გვაქვს მრავლობითში, სადაც -ფ სუფიქსის ზეგავლენით იკარგება ბოლოკიდური -ი და -ე (კ ო ჩ ი - კ ო ჩ - ე ფ - ე; კ უ ჩ ხ ე - კ უ ჩ ხ - ე ფ - ე); მაგრამ ეს -ი და -ე ფუძისეული არ არის, სახელობითის დაბოლოებაა, -წერს არნ. ჩიქობავა[ჩიქობავა 1936, 57].

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ შემთხვევაში მხოლობითის კოჩ- (კაც-“) ფუძეს ემატება მრავლობითის ნიშანი როგორც ქართულში, ასევე მეგრულში.

მეორე შემთხვევაში ე-ფუძიანი სახელი გვაქვს: კუჩხე (შდრ. მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“), რომელიც მრავლობითის ფუძეშიც დასტურდება: კუჩხე – კუჩხე-ფე.

ასე რომ, აქ არც ი იკარგება და არც ე; პირველი (ი) არ უნდა იყოს წარმოდგენილი და ამიტომ არ არის მრავლობითში (შდრ.: კაც-ი- კაც-ებ-ი), ხოლო მეორე (ე) უნდა იყოს და დასტურდება კიდევაც.

კიდევ ერთი გარემოებაა საინტერესო:

როდის გვაქვს თანხმოვანფუძიანი სახელი ლაზურში? ან გვაქვს კი საერთოდ?

კუმშვის საკითხი დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელის ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება, როდესაც გვაქვს თანხმოვანფუძიანი სახელი. „ლაზურის გრამატიკულ კონსპექტში“ ის აზრია გატარებული, რომ ლაზურში „ფაქტობრივად, ბრუნების თვალსაზრისით, მხოლოდ ხმოვანფუძიანი სახელები გამოიყოფა“ [ასათიანი 2011,17], თუმცა ამავე დროს არის განცხადება იმის შესახებ, რომ აქ „არ გვაქვს არც კუმშვა (ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა-დაკარგვა) და არც კვეცა (ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა)“<sup>1</sup> [ასათიანი 2011, 17].

გ. კარტოზიას დაკვირვებით, ლაზურში ყველა სახელი ხმოვანფუძიანია. სახელობითის ნიშანი დღეს ნულოვანი მორფემით არის წარმოდგენილი. ბოლოკიდური ა, ო, უ ხმოვნები ისტორიულადაც ფუძის კუთვნილებათ. ფუძისეულია ბოლოკიდური ი-ც ი-ფუძიან სახელთა ერთ ნაწილში. ესაა უცხო ენებიდან – ბერძნულიდან და თურქულიდან – ნასესხები ის სიტყვები, რომლებიც იმ ენებშიც ხმოვანფუძიანნი არიან. მაგ., ევენდი < ბერძნ.-თ. „ბატონი“, დემირჩი

---

<sup>1</sup> რიტორიკულად არის დასმული საკითხი: თუ თანხმოვანფუძიანი სახელი არ დასტურდება, კუმშვა საიდან იქნება?

< თ. „მჭედელი“, გჟურჯი „ქართველი“... დანარჩენი **ო**-ფუძიანი სახელები ისტორიულად თანხმოვანფუძიანი არიან და ორ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფს განეკუთვნება საკუთრივ ლაზური, მეორეს – ნასესხები სახელები. ამ ფუძეებთან **ო** წარმოშობით სახელობითის ნიშანია: კოჩი < კოჩ-ი „კაცი“, ოხორი < ოხორ-ი „სახლი“ ბუფული < ბუფული-ი „ულვაში“, დუგუნი < დუგუნი-ი „ქორწილი, ფაი < ფაი-ი თ. pay „ნაწილი, წილი“... [კარტოზია 2005, 57].

წარმოდგენილი საილუსტრაციო მასალიდან უნდა გამოვყოთ **ფაი**, რომელიც, მკვლევრის მართებული შეფასებით, ხმოვანფუძიანია. მაგრამ სწორედ ამიტომ (ხმოვანფუძიანობის გამო) მას **სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ უნდა დაერთოს** – ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი (**ი**) არ დაერთვის არც ქართულში, სადაც ეს ნასესხები სახელი (**პაი**) **ო**-ფუძიანობის ერთ-ერთ ნიმუშად არის წარმოდგენილი **ჩაი**, **ტრამვაი** ფორმებთან ერთად.

ნასესხები **ო**-ფუძიანი სახელები ხმოვანფუძიანებია – აქაც ქართულისა და მეგრულის ანალოგიური ვითარებაა და ყველაფერი გასაგებია. **ო**-ფუძიანი სწორედ იმას ნიშნავს, რომ **ო** ფუძეში შედის, ფუძისეული მასალაა.

დანარჩენი სახელები, რომელთაც ამოსავალ ფორმაში **ო** უდასტურდებათ, კვალიფიცირებულია, როგორც „ისტორიულად თანხმოვანფუძიანი“.

ვფიქრობთ, ლაზურში არა მხოლოდ დიაქრონიულად, არამედ სინქრონიულ დონეზეც დასტურდება თანხმოვანფუძიანი სახელები: ამ შემთხვევაშიც ზუსტად იგივე ვითარებაა, რაც არის მეგრულსა და ქართულში. თუ **ო** სახელობითშია მხოლოდ, ესე იგი ის სახელობითის ნიშანია, კონკრეტული ფუნქცია აქვს – სახელობითი ბრუნვის მარკირება, დანარჩენ შემთხვევაში სხვა ბრუნვის ნიშნის წინ წარმოდგენილი **ი**, მისი წარმოშობის მიუხედავად, ფუძის კუთვნილებას.

რა თქმა უნდა, **პრინციპული მნიშვნელობა აქვს სემანტიკას**, რომელიც ინტერპრეტაციებისა და დასკვნების საფუძველია, ვფიქრობთ, **ო**-ზე დაბოლოებული სახელების არსებულ პარადიგმებში (არა მხოლოდ პარადიგმებში, ცხადია) გარკვეული კორექტივების საჭიროება იგრძნობა.

იგივე შეიძლება ითქვას **ე**-ზე დაბოლოებულ სახელებზეც, თუმცა აქ გაცილებით მარტივია საქმის ვითარება იმის გამო, რომ ეს **ე** ფუძის ნაწილია, მისი ინგრედიენტია.

არნ. ჩიქობავა წერს: როგორ უნდა დაიშალოს **ე**-ზე დაბოლოებულ სახელთა მრავლობითი: **ბერეფე, კუჩხეფე?** ცხადია, ბერ-ეფ-ე, კუჩხ-ეფ-ე-ში წინა **ე**-ა მოკვეცილი და ფუძე თანხმოვანზე ბოლოვდება. ნაწარმოებ სახელებსა და უცხო სახელებში კი პირუკუ: **ე** ფუძეს მიეკუთვნება და მრავლობითის მაწარმოებლად მხოლოდ **-ფ** გვექნება: მამცუდალე – მამცუდალე-ფ-ე, ონჩამურე – ონჩამურე-ფ-ე... დეკიკე – დეკიკე-ფ-ე (შდრ. ბუცხა-ფ-ე, ორძო-ფ-ე, კატუ-ფ-ე... ჭანურში **ე**-ზე შეიძლება დაბოლოვდეს მხოლოდ ნაწარმოებიფუძე; **ე**-ზე დაბოლოებული პირველადი ფუძეები კი ისევე არ მოიპოვება, როგორც ქართულში **-ო**-ზე დაბოლოებულნი: კუჩხე, ბერე და სხვ. ამგვარი პირველადი სახელების **-ე** სახელობითის ნიშანია. ნაწარმოებ სახელებში – მ ა მ ც უ დ ალე (მატყუარა), ო ნ ჩ ა მ უ რ ე (დომის საცეხველი), ნ ო პ ი ნ წ კ ალე (წინწკლები ცეცხლისა)... ბოლოკიდური **-ე** ფუძის მაწარმოებელი ჩანს. ნასესხებ სახელებში კი, როგორებიცაა: დეკიკე (წუთი), მეფე (ხილი), მეზარე (საფლავი) **-ე**, რა თქმა უნდა, ფუძისეულია [იხ. ჩიქობავა, 1936, 49-50].

ვფიქრობთ, თუ მხოლოდითში **კუჩხე**, ანუ, ხმოვანფუძიანი სახელი გვაქვს, მრავლობითში გვექნება **კუჩხე-ფე** და არა **კუჩხ-ეფ-ე**.

**კუჩხე, ონჩამურე, დეკიკე...** აბსოლუტურად იდენტური სტრუქტურის სახელებია და ერთნაირ ფლექსიურ ცვლილებებს წარმოაჩენენ, არა აქვს მნიშვნელობა, „ფუძის მაწარმოებელია“ **ე**, „ფუძისეული“, ნასესხებია თუ არ არის ნასესხები.

**ე**-ფუძიანია *ქართ.* **დღე, სამარილე, მეპურე, მეორე, ჟელე...** ან *მეგრ.* **სუდე, ოგვაჯე, მორაგადე...**

როგორც აღინიშნა, **კუჩხე, ბერე** და სხვ. ამგვარი პირველადი სახელების **-ე** სახელობითის ნიშნად მიიჩნევა.

სულ რამდენიმეა ასეთი **ე**-ზე დაბოლოებული ფორმა, რომელთა შესატყვისადაც მეგრულში/ქართულში ჩვეულებრივ **ო** დაბოლოება გვხვდება: **კუჩხი** („ფეხ-ო“ შესატყვ. **„კუარცხ-ო“**), **ოსური** („ქალი“, **„ცოლი“**; შესატყვ. **„ასული“**)...

ხომ არ გვაქვს ამ შემთხვევაში უბრალოდ **ი/ე** მონაცვლეობა, რომლის ნიმუშებსაც მეგრულშიც ვიპოვიot:

ხიდი / ხიდე	„ხიდი“
ღერძი/ღერზე/ღირზე	„ღერძი“
კინი / კინე	„ისევ“
გინი / გენი	„ხბო“
გიმო / გემო	„გემო“
გილანი / გელანი	„ზეგ“
ჭვინს / ჭვენს	„წვიმს“

ხიდი / ხიდე, ღერძი/ღერზე/ღირზე მონაცვლეობების მიხედვით მეგრ. ე-ს სტატუსის საკითხიც დადგება?

„რალა ბოლოკიდური -ე მრავლობითში? კ ო ჩ - ე ფ- ე, კ უ ჩ ხ - ე ფ - ე, ბ უ ც ხ ა - ფ- ე... ესაა სახელობითის ნიშანი, ის -ე, რომელიც ზოგ პირველად სახელს შერჩა მხოლოდობითში: კ უ ჩ ხ - ე, ბ ე რ - ე (შდრ. მეგრ. კუჩხ-ი – კუჩხ-ეფ-ი, კატუ-ეფ-ი, კოჩ-ეფ-ი): მრავლობითის სახელობითში ჭანურმა ყველგან შეინახა ზანურში ნიშანი სახელობითისა -ე მაშინ, როდესაც მხოლოდობითში მისი ადგილი დაიჭირა ქართულმა -ო-მ, – ასეა ამჟამად უმეტეს შემთხვევაში (მეგრულმა მხოლოდობითშიაც დაკარგა ზანური ნიშანი სახელობითისა და მრავლობითშიაც!) [ჩიქობავა, 1936,50].

### **მაგრამ სისტემურია მრავლობითში ე-ს გამოვლენა.**

ის მრავლობითი რიცხვის ფორმებში ვლინდება და ბუნებრივი იქნება მისი როლი სწორედ მრავლობითის და არა სახელობითი ბრუნვის გამოხატვას დავეუკავშიროთ (დღეს მას სახელობითი ბრუნვის გამოხატვის ფუნქცია არა აქვს, არ უნდა ჰქონოდა ეს დანიშნულება ისტორიულადაც).

„ე ქართული ო-ს კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია ზანური ენისა“ [ჩიქობავა, 1936, 49]. ამ დაშვებას გარკვეული დაბრკოლება ეღობება [იხ. კარტოზია 2005, 58].

თუნდაც ასე იყოს, დღეს ე-ს გრამატიკულ-ფლექსიურ როლად სახელობითი ბრუნვის მარკირებას მივიჩნევთ, აშკარა წინააღმდეგობაში აღმოვჩნდებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი ეს ფუნქცია, უბრალოდ, არ ჩანს. ასე არც დგას საკითხი.

მეორე მხრივ, სრულიად ბუნებრივია, ის მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსის კომპონენტად განვიხილოთ – ვიმეორებთ, ამ ე-ს გარეშე **მრავლობითის წარმოება შეუძლებელია.**



„რატომ გადაჰყვება სახელობითის ეს ნიშანი (-ე) მრავლობითის ყველა ბრუნვაში? იმიტომ, რატომაც მხოლოდბითში -ე და -ო გადაჰყვება სახელს ყველგან; ამგვარად, სახელობითის -ე ნიშანი მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვას გადაჰყვება... ამის გაუთვალისწინებლობის გამო იყო, რომ მრავლობითის მაწარმოებლად ჭანურისათვის -ფე მიაჩნდათ“, – წერს არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა, 1936, 69].

მრავლობითის ყველა ფორმაში ე-ს გამოვლინება სწორედ მის ფუნქციაზე მიუთითებს: როგორც ზემოთ აღინიშნა, ის **მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსის კომპონენტი ჩანს**.

პარადიგმების გაცნობადა ზოგიერთი დეტალის განსხვავებულად წარმოჩენა საინტერესო სურათს წარმოაჩენს:

<b>სახ.</b>	ბუცხა (ფეხი)	ბუცხა-ფე	კატუ (კატა)	კატუ-ფე
<b>მოთხ.</b>	ბუცხა-ქ	ბუცხა-ფე-ქ	კატუ-ქ	კატუ-ფე-ქ
<b>მიც.</b>	ბუცხა-ს	ბუცხა-ფე-ს	კატუ-ს	კატუ-ფე-ს
<b>ნათ.</b>	ბუცხა-შ(ი)	ბუცხა-ფე-შ(ი)	კატუ-შე(ნ)	კატუ-ფე-შ(ი)
<b>მიმართ.</b>	ბუცხა-შა	ბუცხა-ფე-შა	კატუ-შა	კატუ-ფე-შა
<b>დაშორ.</b>	ბუცხა-შე(ნ)	ბუცხა-ფე-შე(ნ)	კატუ-შე(ნ)	კატუ-ფე-შე(ნ)
<b>მოქმ.</b>	ბუცხა-თე(ნ)	ბუცხა-ფე-თე(ნ)	კატუ-თ(ი)	კატუ-ფე-თე(ნ)

<b>სახ.</b>	კუჩხე (ფეხი)	კუჩხე-ფე	ორძო (სკამი)	ორძო-ფე
<b>მოთხ.</b>	კუჩხე-ქ	კუჩხე-ფე-ქ	ორძო-ქ	ორძო-ფე-ქ
<b>მიც.</b>	კუჩხე-ს	კუჩხე-ფე-ს	ორძო-ს	ორძო-ფე-ს
<b>ნათ.</b>	კუჩხე-შ(ი)	კუჩხე-ფე-შ(ი)	ორძო-შე(ნ)	ორძო-ფე-შ(ი)
<b>მიმართ.</b>	კუჩხე-შა	კუჩხე-ფე-შა	ორძო-შა	ორძო-ფე-შა
<b>დაშორ.</b>	კუჩხე-შე(ნ)	კუჩხე-ფე-შე(ნ)	ორძო-შე	ორძო-ფე-შე(ნ)
<b>მოქმ.</b>	კუჩხე-თე(ნ)	კუჩხე-ფე-თე(ნ)	ორძო-თ(ი)	ორძო-ფე-თე(ნ)

<b>სახ.</b>	დუგუნჯი („მექორწილე“)	დუგუნჯი-ფე
<b>მოთხ.</b>	დუგუნჯი-ქ	დუგუნჯი-ფე-ქ
<b>მიც.</b>	დუგუნჯი-ს	დუგუნჯი-ფე-ს
<b>ნათ.</b>	დუგუნჯი-შ(ი)	დუგუნჯი-ფე-შ(ი)
<b>მიმართ.</b>	დუგუნჯი-შა	დუგუნჯი-ფე-შა
<b>დაშორ.</b>	დუგუნჯი-შე(ნ)	დუგუნჯი-ფე-შე(ნ)
<b>მოქმ.</b>	დუგუნჯი-თე(ნ)	დუგუნჯი-ფე-თე(ნ)

ამ პარადიგმებს შევადაროთ შემდეგი:

<b>სახ.</b>	კოჩ-ო (ფეხი)	კოჩ-ეფე
<b>მოთხრ.</b>	კოჩი-ქ	კოჩ-ეფე-ქ
<b>მიც.</b>	კოჩი-ს	კოჩ-ეფე-ს

<b>ნათ.</b>	კოჩ-იშ(ი)	კოჩ-ეფე-შ(ი)
<b>მიმართ.</b>	კოჩ-იშა	კოჩ-ეფე-შა
<b>დაშორ.</b>	კოჩ-იშე(ნ)	კოჩ-ეფე-შე(ნ)
<b>მოქმ.</b>	კოჩ-ითე(ნ)	კოჩ-ეფე-თე(ნ)

**კოჩ-ი** ფორმის პარადიგმა განსხვავებულია დანარჩენებისგან. მიზეზი მარტივია: **ეს არის თანხმოვანფუძიანი სახელი.**

ლაზური **კოჩ-ი**, **ოხოჩ-ი** და მისთანების თანხმოვანფუძიანობას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებები:

1. მეგრულის ანალოგიურად, მოთხრობითსა და მიცემითში **ი** თანხმოვანთგამყარი ჩანს, დანარჩენ ბრუნვებში კი – ბრუნვის ნიშნის ნაწილი.

2. **კოჩ-** ფუძე გვაქვს ვითარებითში. მართალია, ვითარებითი ბრუნვის ფორმები იშვიათად გამოიყენება დღევანდელ ლაზურში, მაგრამ დღევანდელ რეალობაში დადასტურებული ის რამდენიმე შემთხვევა იმის საშუალებას მაინც იძლევა, რომ აქ თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე დავინახოთ: **დიდო**, „ძალიან, დიდად“ (<დიდ-ი), **მჯვეშოთ** „ძველად“ (< მჯვეშ-ი), **ართოთ** „ერთად“ (ართ-ი), **ლაზუროთ** „ლაზურად“ (<ლაზურ-ი).

3. მრავლობითის ფორმებში ყველგან არის **კოჩ-** ფუძე (ასეა ეს არნ. ჩიქობავას და სხვათა პარადიგმებში [იხ. ჩიქობავა, 1936, 44].

**კოჩ-ი, ოხოჩ-ი...** მხოლოდ წარმოშობით რომ იყოს თანხმოვანფუძიანი და დღეს ხმოვანფუძიანებში გადიოდეს, მაშინ გვექნებოდა **კოჩი-ფე, ოხოჩი-ფე... (შდრ. დემირჩი – დემირჩი-ფე...)**

ცნობილია, რომ ლაზურში, განსაკუთრებით ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში, **რ** სუსტდება და იკარგება კიდეც. მრავლობითის ფორმებში სუფიქსისეული **-ე** ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება ხოლმე: **ოხოჩი** „სახლი“: **ოხოჩ-ეფე** > **ოხო-ეფე** (და არა **ოხო-ფე**), **მანძაგერი** „მეზობელი“ – **მანძაგე-ეფე** (და არა **მანძაგე-ფე**), **მგერი** „მგელი“ – **მგე-ეფე** (და არა **მგე-ფე**), **ჯოღორი** „ძალი“ – **ჯოღო-ეფე** (და არა **ჯოღო-ფე**)...

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში პრაქტიკულად ხმოვანფუძიან სახელებს **გრამატიკული ინერციით** მაინც თანხმოვანფუძიანთა აფიქსი **-ეფე** დაერთვის და არა **-ფე**. ანუ: ეს სახელები მაინც თანხმოვანფუძიანებად გაიაზრება.

ასე რომ, **o-**ზე დაბოლოებული სახელებიდან ნაწილი ხმოვან-ფუძიანია (**დუგუნჯი...**), ნაწილი – თანხმოვანფუძიანი (**კოჩ-ი...**); ბუნებრივია, მათ განსხვავებული პარადიგმები უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდეც (იხ. ზევით). ამ თვალსაზრისით სრული თანხვედრაა ქართულსა და მეგრულთან.

ლაზურში არც ფუძე მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე და არც ბრუნვის ნიშანი – ფუძეზე; სტაბილურია როგორც ფუძის, ისე ბრუნვის ნიშნის სტრუქტურა.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ასათიანი 2011** – რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკულ კონსპექტი, თბ., 2011.

**გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965** – თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

**გოგოლაშვილი... 2011** – გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2011.

**დათუკიშვილი 2018** – ქ. დათუკიშვილი, სახელის ფუძის საკითხისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIV, თბ., 2018.

**დანელია 2006** – ვ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური ენა), თბ., 2006.

**კარტოზია 2004** – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბ., 2004.

**კარტოზია 2005** – გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.

**კარტოზია... 2010** – გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010.

**ლომთაძე 1987** – ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.

**მარი 1910** – Марр Н. Я., Хрестоматия чанского языка, С.-Пб., 1910.

**უთურგაიძე 1983** – თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

**უთურგაიძე 2002** – თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

**ქირია 2023** – ჭ. ქირია, XLIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი, 2023 წლის 6-7 ოქტომბერი, თბ., 2023.

**ქირია 2021** – ჭ. ქირია, ი-ფუძიან სახელთა ბრუნების სპეციფიკა და კვეცის საკითხი ქართულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-80 სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2021.

**ქირია... 2015** – ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა. I. მორფოლოგია, თბ., 2015.

**ქირია 2014** – ჭ., ქირია, მეგრულ-ლაზურის მორფოლოგიის საკითხები. I. (ნაკვეთელთა სისტემა), თბ., 2014.

**ყიფშიძე 1914** – Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Петербург., 1914.

**შანიძე 1980** – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1980.

**შანიძე...1974** – ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, I, ქართული ენის გრამატიკა, V-VI კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1974.

**ჩიქობავა 1962** – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1962.

**ჩიქობავა 1950** – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1950.

**The Issue of the Nominal Base in Literary Georgian  
and Megrelian-Laz**

Summary

Taking the structural changes in literary Georgian into account, the general classification of bases can be presented as follows:

- a) the base is common in both singular and plural;
- b) the alternation of complete/incomplete bases is attested in the singular, while in the plural there is an incomplete base;
- c) the alternation of complete/incomplete bases is attested in the singular, while in the plural we have a complete base in the entire paradigm;
- d) in the singular, the complete base is attested, and in the plural we have an incomplete base.

In Megrelian, the base is unchangeable in the singular; In the plural, the bases containing the component **a** are shortened.

In Laz, neither the base affects the case marker, nor the case marker affects the base; The structure of both the base and the case marker is stable. Here, the plural marker differentiates the bases based on the principle of additional distribution: the base ending in a vowel is added -pc, and the base ending in a consonant is added -cpc.

## ნათო შავრვაშანი

სტეფანე ჩხენკელის მიერ ჩაწერილი  
ლაშხური ტექსტები(საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული  
მასალების მიხედვით)

თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტები, მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან, აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველური ენა-დიალექტების შესწავლისა და კვლევის საქმეში. შესაბამისად, სტუდენტებს ინტენსიურად აგზავნიდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩასაწერად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მათ შორის სვანეთში.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი სტუდენტთაგანი, რომელიც 1923 წელს ქვემო სვანეთში, ლაშხეთის ხეობაში, გაუგზავნიათ, იყო სტეფანე ჩხენკელი.

სტეფანე ჩხენკელი რომ აკაკი შანიძის დავალებით გამგზავრებულა სვანეთში, ამას მოწმობს აკაკი შანიძის ყოფილი მასპინძლის, სპირიდონ ონიანის ხელნაწერი-მოგონება სვანურ ენაზე (რვეული „რამე რუმეები“, 1923 წ.), სადაც ვკითხულობთ, რომ „**ლადი ჩუკული საყდარი ლაწედთე ოთაი პრაფისოლ აკაკი შანიძე ნაზგზ მარე, ხედრ ეჯნემ ლუშნუ ლათორდ ანზეზე... მრ სტეფო ჩხენკელდ ყორალ გარ ოთსინჯუედ**“<sup>1</sup> – „დღეს ჩუკულის ტაძრის სანახავად წავიყვანე პროფესორ აკაკი შანიძის გამოგზავნილი კაცი, რომელიც მან სვანურის შესასწავლად გამოაგზავნა... მე და სტეფო ჩხენკელმა მხოლოდ კარები დავათვალიერეთ“.

სპირიდონ ონიანსადა სტეფანე ჩხენკელს თან ჰქონიათ მღვდელი არსენას წერილი, რის საფუძველზეც ჩუკულის ტაძრის მამასახლისს (საროსტას) ტაძრის კარი უნდა გაეღო და სტეფანეს უნდა და-

<sup>1</sup> მოხსენებაში გამოყენებული სვანური მასალა ხელნაწერ ტექსტს მისდევს!

ეთვალთვალეებინა, თუმცა უარი მიუღლიათ. სპირიდონისა და საროსტას დიალოგით ირკვევა, რომ მანამდე აკაკი შანიძესთვის ჩუკულის ტაძრის კარი გაუღლიათ და შესვლისთანავე პირჯვარი გადაიწერაო – ყველა საროსტა. სპირიდონი შეახსენებს, რომ „სწორედ იმ აკაკის გამოგზავნილია სტეფანე, მაგრამ გასაღები საიდუმლოდ სხვასთან ინახებაო (რადგან ტაძრები იძარცვებოდა)“ და საბოლოოდ სტეფანემ ვერ მოახერხა ტაძარში შესვლა და მხოლოდ კარი დაუთვალთვალეებია.

როგორც საარქივო მასალამ აჩვენა, ამ მოგზაურობას საკმაოდ ნაყოფიერად ჩაუვლია, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო მასალა ჩაუწერია, აღმოჩნდა, რომ ეს ტექსტები არ არის შეტანილი დღემდე გამოცემულ სვანურ ტექსტებს შორის.

აკაკი შანიძის ფონდში დაცულ სტეფანეს მიერ 1923 წელს სვანეთში, კერძოდ ლაშხეთის ხეობაში, ჩაწერილიმასალის განხილვისას, ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ, ცალკეულ შეცდომებს თუ არ ჩავთვლით, ლაშხური დიალექტისთვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსი გათვალისწინებულია და სწორადაა ჩაწერილი (სიგრძეები, უბრჯგუ: საყურადღებოა კბილბაგისმიერი **გ**-სა და **ჟ**-ს (უბრჯგუს) გამოხატვის შემთხვევები), რაც 20-იან წლებში ჩაწერილ ტექსტებში ხშირი არაა, ვინაიდან ჩაწერის წესები და პრინციპები ახალი შემუშავებული იყო (მას მერე რაც 1920-იანი წლებიდან აკაკი შანიძემ იმოგზაურა და ტექსტები ჩაწერა სვანეთში).

ტექსტებს თან ერთვის შინაარსი :

1. **მიშგუთი ლითხუთარ**
2. **სემი ლახუბრლარე ციგინ**
3. **კესრიში ი თათალიკოზი ციგინ**
4. **ალექსანდრეში ი ზითუნახაუთი ციგინ**
5. **სომეხიში ი ურიაი ციგინ**
6. **ჯუთინელ პაპარ**
7. **ჯავახ წერეთლი დალატ**
8. **ამირანი ციგინ**
9. **ზარმაცი ციგინ**
10. **სოზარ-ციოყი ლექს**
11. **გუშგუთე ლითხუთარ**
12. **მეთხუთარიში ი დემდუთე ლიშიანლ**

13. ეშუ ჯუინელ ამბაჲ
14. ხალგზეგი ამბაჲ
15. მახუნჯაკი ამბაჲ
16. როსტომი ი ბეჟანი ციგინ
17. კესარი ი მიჩა მომრაჲი ციგინ
18. ზარმაც მწრლა ციგინ
19. მეთხტარალე ნმბაჲ
20. მეცნიერალემ ი ხამრე მგლდღ ამბაჲ
21. ხელწიფი ი მიჩა გეზლა ციგინ

სულ 152 გვერდი ჩაუწერია (შინაარსში ასეა მითითებული), თუმცა აკლია „სოზარ ციოცი ლექს“ (4 გვერდი).<sup>21</sup> ზღაპარი თუ ლეგენდა აქვს ჩაწერილი, ნაწილი კალმით, ნაწილიც ფანქრით. ჩაწერილი ტექსტები სავარაუდოდ იქვე აქვს გადამოწმებული, რადგან იგივე საწერი საშუალებით მიწერილი აქვს სვანურად **ღგსინჯაჲე ლი** – „გასინჯულია/შემოწმებულია“ და ხელსაც აწერს.

ძირითადად ოთხ სოფელში უმუშავია და ჩანაწერებში მთქმელებიც მითითებულია: არსენად ფოჩინ (მებეც); სოლომონ ჭონინშა (მებეც); დომენტი ჭონინშა (მებეც); ჭასილ ჭონინ (ყაჯუნდერ); ლაზარ მუყუბანი (ლამფალშ); თედმურაზ ჭონინ (სასშ); გიორგი ჭონინ (სასშ); გიორგი ჯაბაშა (სასშ); ესობ ჭონინ, დრკონ (სასშ); მელიტონ ჭონინ (სასშ)...

ამ ტექსტებს შორისაა ამბავი ნადირობაზე „გუშგვე ლითხვიარ“ „ჩვენი ნადირობა“ (გვ.261), რომელიც ლამფალაშში ლაზარ მუყუბანიანისგან ჩაუწერია. მთქმელი ყველა ნადირობის ისტორიას, როდესაც თან ახლდათ აკაკი შანიძეც:

**ეშუტინ ჟანკად გუშგუეთე ლამფალშთე პაპისორ აკაკი შანიძე. ციგინარს გუშმბუნაჲნი ი ბრენდა. ეშუტინ ოგქუტლან – ლათხტიართე ლოქ ალჩედდ. მი ხუტქარ, ერე - დეშამიოჯ ლადგარიდ ი ცუდდ ღოზი გუტერი. მარა ლახ ეშეში ხეკუად ერის ღოზი, მი ქოსმოწმენ ი ჟოხმარანდ ლაზიაშდ. ჩაფლარ ჟოხშხეხედ. მი ი დერუ იშგენს, ისიდორეს ი გირგოლს ბერდენელ გულუნდა, აკაკის ი მიშგუა გეზალს-სპირიდონს უინტოუტკელ ხულუნხ. ლუბურან ოჩადდ აგახენქა. ჟოჩადდ დადიაში ლახუთე. ეჯ ლეთ კარაჲისა ხუგანდ. ძინარს დრსგ ჟოხგანდ, ოსბინედ ღოზი, ჟოჩადდ ზაგართეჟი, ჩოსგურდად ი ჟოხშომედ. ხუაყრულდად ნათხტიარელს, ნოთი ლოქ მოშა ხუწეედ, მა-**



რა დემსა ხტეწადდ. ეჩანლო ოჩადდ ეჩხენჩუ, ჩოკტადდ დელათე. ეჩე ჩოყტალდ, გირგოლ ო ისიდორე მრშ აჩადხ, ნაი მრშ ოჩადდ. გირგოლს ო ისიდორეს ქა ჟახხტრდახ ნათხტარტლ, მარე ქა დემს ახთოფეხ. ნაი დემსამამ ხტეწადდ. აჯად ჟოხხურდეღნდ ემშუდ. ლექტა ოხჰამდ ხეშკურს, შუკტეჟი იმნა ხეწდენრლ ჩრმი ჟახას იჰტდიელდა პაპისორ აკაკი. ნაი ლუმნუდ ხტაყლად ჟახნლს ო ეჯი ჩის ნადენდა. აგითე ონტადდ მეტარ მაფშნრ ტახშმოზი დროიჟი. აკაკი ეიჟი მაფშნრ ლას, ერე ტახშამი ლიზოზ მა ხემდედნ ო ყელა ერე, ამენლო იტალადედ ლათხტართე დემ ლოქ ადრი.ამეჟი ედგნთუნ გუმგტე ლაფშტდეელ ლითხტარ. ერთხელ ამოვიდა ჩვენთან ლამფალაშში პროფესორი აკაკი შანიძე. ზღაპრებს გვაყოლინებდა და იწერდა. ერთხელ ჩაგვაცივდა – სანადიროდ წავიდეთო. მე ვუთხარი, რომ ვერაფერს მოვკლავთ და ტყუილა მოგვიწევს-თქო წასვლა. მაგრამ, რაკი მაინც უნდოდა მას წასვლა, მე დავემოწმე და მოვემზადეთ წასასვლელად. ფეხსაცმელი შევკერეთ. მე და ორ სხვას, ისიდორეს და გირგოლს ბერდენები გვქონდა, აკაკის და ჩემ შვილს - სპირიდონს ვინტოვკები ჰქონდათ. დაღამებულზე გავედით სახლიდან. ავედით დადიამის მთაზე. იმ ღამეს კარავში დავრჩით. დილას ადრე ავდექით, გავუდექით გზას, ავედით გორაკზე, დავსხედით და დავისვენეთ. ვდარაჯობდით ნადირს, იქნებ როგორმე დავგვენახა, მაგრამ ვერ ვნახეთ. მერე ჩავედით იქედან, ჩამოვედით დელემდე. იქ გავიყავით, გირგოლი და ისიდორი ცალკე წავიდნენ, ჩვენ ცალკე. გირგოლი და ისიდორეგადააწყდნენნადირს, მაგრამ ვერ ესროლეს, ჩვენ ვერაფერი ვნახეთ. ისევერთად მოვგროვდით. ქვემოთ ჩამოვუყევით ხეშკურს, გზაზე რასაც დაინახავდა, ყველაფრის სახელს კითხულობდა პროფესორი შანიძე. ჩვენ სვანურად ვეუბნებოდით სახელებს და ის ყველაფერს იწერდა. სახლში მოვედით ძალიან დაღლილი ვახშმობის დროზე. აკაკი ისეთი დაღლილი იყო, რომ ვახშმის ჭამაც არ შეეძლო და ამბობდა, რომ – აწი არასოდეს არ წავალო სანადიროდ. ასე დამთავრდა ჩვენი სატრაბახო ნადირობა“.

ჩაწერისას სიტყვათა ქართულად განმარტების ორ ხერხს იყენებს: ტექსტშივე განსამარტ სიტყვასთან ფრჩხილებში წერს ქართულ მნიშვნელობას, ხანაც ვარსკვლავით აღნიშნავს და ტექსტის დასასრულს განმარტავს.

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილეთ იმ არქაულ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც დღეს ლაშხური დიალექტის ცოცხალ მეტყველებაში ან აღარ გვხვდება, ან სვანურის დანარჩენი დიალექტებისაგან გარკვეული სემანტიკური ცვლილებებით დასტურდება, ასევე არ არის შეტანილი სვანური ენის ლექსიკონებში. ნაწილი, აღნიშნული ლექსიკური ერთეულებისა, თავად სტეფანე ჩხენკელს აქვს განმარტებული.

ლექსიკური ერთეულები, რომლებიც არც ლაშხურსა და არც დანარჩენ დიალექტებში არ დაიძებნა, ესენია:

**ჯილ** „რძის ჭურჭელი“.

ზურნალს ოხლტა **ჯილშუ** ლეჯე „ქალს მოაქვს ჭურჭლით რძე“

ბოფმარდ ახფიშტდხ ჯიჯუტი კოჭარ ი ჩოთკვიშხ ზურნალს ლეჯაშუ გოში **ჯილ** „ბავშვებმა ესროლეს ძვლის კოჭები და გაუტეხეს ქალს რძით სავსე ჭურჭელი“ (244ა). აღნიშნული ლექსიკური ერთეული ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება, აღარ ახსოვთ.

**ნასყ** „მახვილი“ (ს. ჩხენკელისმიერაა განმარტებული ტექსტშივე).

თხეროლ ლოქ თელდ ლედგარი ხნრა მიჩ, მარა **ნასყ** ლოქ მნმა ხადტუნა „მგლები აუცილებლად უნდა მოეკლაო, მაგრამ მახვილი არ მქონდაო („მგლებიო **მთლ**-ად მოსაკლავი ჰქონია მას, მაგრამ მახვილიო არ ჰქონია“, გვ. 290ა-291), შდრ. (უშგ.) **ნასყ** „ნემსი“, (ჩოლ.) **ნასყიროლარ** „ოჯახში საჭირო ხელსაწყოები ერთად აღებული“ (ლიპარტელიანი 2014:226)

**ოსლადედ** „ვიფიქრე“ (ჩხენკელის განმარტებით).

**ოსლადედ** ერე ალეს ემხუ ფინთიხ იმ ხეჩო „ვიფიქრე, რომ ამას ერთი ტყვია რას უზამს“ (გვ. 262). ცოცხალ მეტყველებაში აღარ გამოიყენება, შეიძლება მომდინარეობდეს **ლილდი/ლედ** ფორმისაგან მეტათეზისით (იხ. გვ.8).

**ჩუჩკერტან** „კერატი“.

უისიბდ ლახგომე **ჩუჩკერტანს** წელი ნასენ „უსუჰმა შეასხა კერატანს ვირის ფსელი“ (გვ. 246ა). იგივე კომპოზიტი ერთადერთხელ დასტურდება ლაშხურის პროზაულ ტექსტებში, რომელიც 1960 წელსაა ჩაწერილ (ყანსკინე დანუმე, ლადარ მაგ ყიალექტა ედშიდ, **ჩუჩ-კერტანს** ჟი ლახსგურდა ი ქანსკინე ყორქა), შდრ: **ჩუჩ** „ჩუჩა სარცხვინელი ასოს საფარი ტყავი“, **კერტან** „კერატი, ტახი“, ცოცხალ

მეტყველებაში კომპოზიტად არ დასტურდება, ცალ-ცალკე ერთეულებად გვხვდება (შენიშვნა. შდრ: **ჩუთკერტან** „ზღაპრული კერატი“, ჩოლ. **ჩუხკერტან** „პატარა კერატი“).

ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ლაშხურში ვერ დავადასტურეთ და გვხვდება სხვა დიალექტებში, ზოგჯერ შეცვლილი სემანტიკითაც, ესენია:

**აღმათ** „მოხერხებული“.

უისიზ მეუარ **აღმათ** ლას ი ოხქაძრლე დაშნაჲ ი წგრნი გუელდერშაჰს აკუედ ათქუიჯ „უსუპი ძალიან მოხერხებული იყო და მოუქნია დაშნა და წითელ გველვეშაჰს კუდი მოაჭრა“ (გვ. 248ა). გადამოწმდა ლაშხურ ცოცხალ მეტყველებაში და აღმოჩნდა, რომ მივიწყებულა, არც ზემო სვანურში დასტურდება. აღნიშნული ლექსიკური ერთეული ჩოლურულ მეტყველებაში გვხვდება და დამოწმებული აქვს ასლ. ლიპარტელიანსაც (2014:66).

**ლეღდაბა** „საყანეზე, ერთი დღის სახნავი“ (ჩხენკელის განმარტებით).

როსტომ სგა ლოხგუდურდა ბეჩს ი ეფუდდერუ **ლეღდაბაჲინ** ქნდკუწარ ძღვდ ბეჩ „როსტომმა მოკიდა ქვას ხელი და თორმეტ საყანეზე გადააგდო დიდი ქვა“, ცოცხალ მეტყველებაშიც დასტურდება (თუმცა ლექსიკონებში -არა), **ლეღდაბ** ზოგადი მნიშვნელობით გვაქვს „საყანე მიწა, ადგილი“, თუმცა საზომ ერთეულად აღარ გამოიყენება.

**ლაგრჯანუნ** „კოჭებამდე“ (ჩხენკელის განმარტებით).

ზარმაც ჯამშაჲშ ჟენუნგუამრნან ეჯჟი, ერე **ლაგრჯანუნ** (კოჭებამდე) გიმისა ხეცყენი „ზარმაცი სიძლიერით ისე დამძიმდა, რომ კოჭებამდე მიწაში ერჭობა“, შდრ. ჩოლ. **ლაგრჯა** „ოთხფეხის მუხლი“ (ლიპარტელიანი 2014:176), **გოჯა** „ოთხფეხის ცრუ ჩლიქები, ნამდვილი ჩლიქების ზემოთ“ (იქვე:115), **ლიგრჯალ** „ნელი სვლით სიარული“; შდრ. (ბზ.) **ლაგრჯალარ** „ოთხფეხის უკანა ჩლიქები“ (**ლაგრჯალარ** **დორი** **ლიხ** ი **ღუეშგიმხან ხარ** „ჩლიქები ორია და უკან აქვს“, სვან. ქრესტ., 1939:140), ქართ. **გოჯი (გოჯისა)** „მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე“. იხმარებოდა სიგრძის საზომად (უდრის 34 სმ.) (ქეგლი). ამჟამად ლაშხურ დიალექტში ადამიანის კოჭის აღმნიშვნელად **ლაგრჯა** ვერ დავადასტურეთ.

**განძა** „მუხლის და კოჭის შიგა, უკანა ადგილი, სარბილო“ (ჩხენკელის განმარტებით), შდრ. ჩოლ. **განძა** „ჰქვია მუხლს ქვემოთ ქუსლამდე“ (ლიპარტელიანი, 2014:109), **განზ** (ბქ.) / **განძა** (ჩოლ.) < ბვ. ქართ. გაზა „წვივის ძვალი; წვივი“, შდრ. ზან. (მეგრ.) **გაზე** „ფეხი, ბარძაყი“ (საღლიანი 2023:49).

**ზიდ** „ბოხჩა“ (ჩხენკელის განმარტებით).

დემდტემ მნკუი **ზიდს** ხაფხიქე ი ჩუადგელზრე „დათვმა ჯერ ბოხჩას დასტაცა ხელი და დაგლიჯა“, შდრ., სვან. **ზიდ** „პირი (ბალი-შისა), ბუდე (თოფისა), შალითა“ (სვან.ლექს., 2000:152), ჩოლ. **ზიდ** „ბუდე, გარეთა საფარველი (რბილი)“.

**ეზშდაძანზ** „უპასუხეს“.

დემერ **ეზშდაძანზ** ამ ბედჟრნ „ვერაჟინ გასცა პასუხი ამაზე“, აღნიშნული ზმნა (**ენშდაძენდეს**) და მისი მასდარული ვარიანტი (**ლიშდელ**) ლაშხური დიალექტში რომ აქტიურად გამოიყენობოდა, მოწმობს არსენ ონიანის ლაშხური ტექსტებიც (ერქა მნ შიდ გარგლა, ქა ხეკუეს დრსა **ენშდაძენდეს** „მაშინ არ შეიძლება საუბარი, არ უნდა გამოეხმაუროს“; ლიცჟი ფიშირ ზურნალ ხეთხნი უშხუტნრ, მარა უშხუტნრე ქა **ლიშდელ** მნ შიდ „წყალზე ბევრი ქალი ხვდება ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთთან საუბარი არ შეიძლება“ (ონიანი 1917:5), შდრ. ჩოლ. **ლიშდაძალ** „ხმის გაცემა, გამოხმაურება“. ლაშხურის ცოცხალ მეტყველებაში, სამწუხაროდ, ვერ დავადასტურეთ.

**ლოხჩრფახ** „დააკვებეს“.

ნამწირი ლოქ **ლოხჩრფახ** დნუარს მიჩაშტდ, ბეგარ ლოქ ოსგადახ „მომერიგენო დევები, ბეგარა დამადესო („მორევო და უკვები-ათ დეე-ებ-ს მისთვის, **ბეგარა-ო** დაუვალეგბით“)“, შდრ. ზს. **ლიჩეფხეფენი** „შეყრა (სენისა)“ (სვან., ლექს. 2000:469). ლაშხურში ცოცხალ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ, არც ლენტეხურსა და ჩოლურულში არაა ამ სემანტიკით.

**ენზგრზნან** „საბრძოლველად გამოიწია“.

ჯატახ წერეთელ ეჩანლო შტანთე **ენზგრზნან**, შდრ. **ლიზგრზენი** (ბქ., ჩოლ.) <ზან. (მეგრ.) **ზგრზენი/ზირზინი** „ყვირილი, კივილი, ხმაური, ტირილი, ქვითინი, გოდება“, იხ. **ზგრზენ** (საღლიანი 2023:161), ლაშხურში სემანტიკური გადაწევაა.

მივიწყებულია მასდარული ან ზმნური ფორმები, ტექსტში დადასტურებული ერთეულები ან ზმნური ფორმით არ ახსოვთ, ან მასდარულით, მაგ.:

**ლიცხუტ** „ისრის სროლა“.

დაკვლ-დოლდაქა ჯოგს ოთბინე ცხულწვემეტშუ **ლიცხუტ** „თხა-ცხვრის ჯოგს დაუწყო მშვილდ-ისრით სროლა“, შდრ. სვან. **ცხტი** „ისარი“, (ბქ.) **ლიცხუტალ** „ისრების, ტყვიების სროლა...“, გადატ. მნიშვ. „სწრაფი მოძრაობა“, **ცხელ ენციდ** „სწრაფად წავიდა“. საინტერესო ისაა, რომ მასდარული ფორმა **ლიცხუტ** ამჟამად უცხოა ლაშხურისთვის და აღწერითად გამოხატავენ ისრის სროლას, მაგ. **ცხტი ლიფშედუან**... შდრ. (ბზ.) **ლიცემდწლ** „სროლა მშვილდ-ისრისა“, **იცემდწლ** „მშვილდ-ისარს ისვრის“, თუმცა აქ მასდარში **ემდწლ** „მშვილდი“ ფორმა გამოყენებული, ლაშხურში კი **ცხტი** „ისარი“, ისევე როგორც ამ ფორმაში, მაგ. შდრ. **ლიცხუტე** (ბზ., ლშხ.), **ლიცხუტე** (ბქ., ლნტ.) სახელი **იცხუტე**... ზმნის მოქმ. –1. მშვილდ-ისრის მოზიდვა, მოჭიმვა; 2. გაქანება, გაქცევა, გაჭენება; 3. აყუდება (სვან. ლექს., 2000:477).

**ჩუელნებლენდედ** „დაენამლევდეთ“.

ჩუელნებლენდედ ლოქ ხედი ლოქ ალსერნედ ლამბტწლს „შევეჯიბროთო თუ ვინ ვაჯობებთო საუბარში“; **ჩუეთნებლწნ** „დაენამლევა“, მაგ. ბაპ **ჩუეთნებლწნ** ალესრ „მღვდელი დაენამლევა ამასაც“, შდრ. (ლშხ.) **ნებულ** „ნამლევკი“, რომელიც მხოლოდ ერთხელ დასტურდება არსენ ონიანის ლაშხურ ტექსტში (ონიანი 1917:51) **ნებულ ელდად** „სანამლეო დავდოთ“ და შეტანილია სვანური ენის ლექსიკონშიც (**ნებულ** (-იშ, -) ლშხ. – ნამლევკი, სანამლეო. ზმნური ფორმები ცოცხალ მეტყველებაში აღარ გვხვდება.

**მედრეტე** „მალა, ზევით“ (ჩხენკელის განმარტებით).

უომელდინ ენსიპწრლ **მედრეტე** ლწზიამდ, ეჩმელდინ ხეკუტეს ლოხბიშწნ ამირანს ლელუი ლაგაფ „რამდენჯერაც შემოტრი-ალდებოდა მალა ასასვლელად, იმდენჯერ უნდა მიეწოდებინა ამირანს ხორცის ულუფა“; ბეჩ ანკუწრ **მედრეტე** „ქვა ააგდო მალა“, შდრ. **ლადრეცი** (სვან.) „ხახის ზედა ნაწილი“, ან **დეც** „ცა“, თუმცა მსგავსი წარმოება (**მე-დრეტ-თე**) ამ სემანტიკით სვანურის სხვა დიალექტებისთვისაც უცხოა დღეს.

**ლალდედისა** „ვიქრში“ (ჩხენკელის განმარტებით).

მი მიშგუტი მუხბე **ლალღედისა** ხუარი „მე ჩემს ძმას ვდარდობ („მე ჩემი ძმის ფიქრში ვარ“, გვ. 262ა)“; **ღღღღღღღ** „ნაფიქრი“, მაგ. მიშგუტაუ **ღღღღღღღ** მულტუნდა, ერე დემდტუ წერა მგრეს ხუი „ჩემთვის ნაფიქრი მქონდა, რომ დათვის წერა ვარ, ალბათ“ (გვ. 263ა), შდრ. სვ. **ღღღ** „დარდი, ეჭვი, შიში“. მსგავსად (**ლა-ლ-ისა** თავსართ-ბოლოსართის) ნაწარმოები ფორმა ცოცხალ მეტყველებაში აღარ გვხვდება, მიუხედავად იმისა რომ იგივე სემანტიკის სიტყვები **გონზბ, ჰკგრა** „დარდი“ მსგავს სახელზომურ და თანდებულიან მწარმოებლებს დაირთავენ ყველა დიალექტში, მაგ.: **ლაგუნებისა, ლეგუნები; ლაკკრამისა, ლეკკრე...**

ნასესხები ლექსიკური ერთეულები, რომელთა ნაწილი, თუ ფონეტიკური ვარიანტები ცოცხალ მეტყველებაში არ დასტურდება, ესენია:

**ჯლოყინე** „ყროყინებს“.

მაგ მიჩა გუემს ასყი: მალ უორს ამთხრი, ყუიჩ ხილჟი ტუილი იწელ **ჯლოყინე** „ყველა თავის საქმეს აკეთებს: მელა მიწას თხრის, მამალი ხეზე ყივის და ვირი ყროყინებს“ (გვ. 235ა), შდრ. ქართ. **ჯლოყინი** „რწყევად განმზადების ჯმა“ (საბა, 1993:459).

**ხუალმანდ** „ხომალდი“.

ლანგანხ მულტას ი სგესგურდახ **ხუალმანდთე** „მიადგენ ზღვას და ჩასხდნენ ხომალდში“; **ხუალმანდისა** ალექსანდრეს ხანჩლებ მინე მადდ „ხომალდში ალექსანდრეს შესჩივლეს მათი შიმშილი“ (გვ. 302), შდრ. **ჯუალმანდ** (ზს., ლნტ.)/**ჯუალმანდ** /**ხომალდ** (ლშხ.)/**ხომალდ** (ლნტ.)/**ჯუალმანდ**/**ჯუალბანდ** (საღლიანი 2023:467).

**შუშება** „გამოშუშება“.

ემხუ თოფა **შუშება** ლოქ ხოკლი ჯადისა ბოფშს „ერთი თვის გამოშუშება უკლიაო მუცელში ბავშვს“ (გვ. 244).ეს ფორმა ლაშხურში ამჟამად ვერ დავადასტურეთ, თუმცა გვაქვს (ლშხ., ჩოლ.) **ლიშშუხე** „გამოშუშება, რისამე სრულყოფილად დასრულება“ ფორმა.

**შარნ** „მძივი“ (ჩხსენკელის განმარტებით).

ქა ლახბებ მინე ბაბზ შარნ ყიაქა „შეაბეს მათი ბაბუის მძივი ყელზე“ (გვ. 277ა), შდრ. უშგ. **შარნი** „ერთნაირ მძივს ემახიან“ (ასე აქვს განმარტებული ავ. შანიძეს თავისუფალი სევანის მიერ, 1887 წელს ივერიაში N-214, გამოქვეყნებულ ზღაპარში „როსტომ-ჭაბუკი“, რვეული I, გვ. 29), შდრ. „**შარან**/**შარნა** (ლშხ.)/**შარნ** (ჩოლ.) *ცრუმორჩმ*<

ქართ. (ლექს., იმერ., გურ.) **შარნა** „საცოლის დასანიშნი ნივთი, – ბელგა“, იგივეა, რაც **შანა** „რამე ნივთი (უპირატესად ლითონისა, რომელსაც შეულოცავდნენ და ყელზე (მაჯაზე) აბამდნენ ვითომდა ავი თვალისაგან (ავი სულისაგან) დასაცავად“ (საღლიანი, 2023:414), ასევე ჩოლ. **შარნ** „შელოცვილი საგანი, იღლიაში ამოსაკერებელი; წმინდა ადგილებიდან მოტანილი ხრეში ან ნიჟარა“ (ლიპარტელიანი 2014: 266), შდრ. ჩოლ. **შანაშუ ჯარ** „ახია“, სვან. **შანა ლიგემ/შან ლიქტისც** „ნიშნის მოგება“ (სვან. ლექს., 2000:812).

ლექსიკური ერთეულები, რომელთა განმარტებაც სტეფანე ჩხენკელს არ აქვს მითითებული, არც ლექსიკონებში დასტურდება და არც ცოცხალ მეტყველებაში, თუმცა მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვითაც ნათელია. მაგ.:

**ყრინტრლ** „ყლორტი“.

ოსკეტებ ლოქ ცაგი **ყრინტრლ** ი ეჩე ლოქ ათარა შლიგ დემდუჟს „ამოსდეს ეკლის ყლორტი და იქ გადავარდა დათვი („იქო გასდენია ზღარათანი **დათვ**-ს“)“, შდრ. (ზზ.) **ყინტორა** „საქმელად ვარგისი ბალახი“ < ქართ. (კახ., ინგ.) ყინტორა{ღ} „ბალახოვანი მცენარე ქოლგოსანთა ოჯახისა“ (საღლიანი 2023:409).

**ხისყ** „მარწყვი“.

მი ლოქ ლუტყყბე ტოტ **ხისყუმ** ლოქ ემგომლი „მე პეშვი მარწყვით ამევსებაო“, შდრ. ზს., ლნტ.**ხასყ**, ლშხ., ჩოლ. **მაიროლ**, თუმცა ამ ტექსტის მიხედვით, ცხადია, ლაშხურში ყოფილა **ხისყ** ვარიანტიც.

ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მეტყველებაში ცოცხალია, თუმცა ლექსიკონებში არ არისასახული. ესენია:

**ლალშირ** „ცელის ტარი“ (ჩხენკელის განმარტებით).

თხერას ლოქ სგანჯალენა **ლალშირ** „მგელს შეერჭოო ცელის ტარი“ (გვ. 226ა), შდრ. ჩოლ. **ლაჯ** – ცელის ტარი.

**აკურცხე** „პუწვის“ (ჩხენკელის განმარტებით).

დაგვლ მეგმარს აკურცხე „თხა მორებს კორტნის“ (გვ. 235ა), შდრ. (ჩოლ.) **აკურცხე** „ოთხფეხი მცენარის ნედლ ტოტებს/ფოთლებს ჭამს“, (ბქ.) **აკცხი** „ბელავს; კორტნის; სხლავს“, შდრ. უშგ. **ლიკურცხე** „გასხეპვა ადამიანის მიერ ტოტებისა“.

სტეფანე ჩხენკელის მიერ ჩაწერილი მასალა შეიცავს ისეთ არქაულ ნიმუშებს, რომლებიც ენობრივ მიმოქცევაში ნაკლებად გამოი-

ყენება, მივიწყებულია, ან ერთი კონკრეტული (კერძოდ ლაშხური) დიალექტის კუთვნილებას წარმოადგენს. შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანია ამ ლექსიკური ერთეულების აღნუსხვა-დამუშავება და სვანურის დანარჩენ დიალექტებთანშედარება, რისი გათვალისწინებითაცნათელია, რომ ნაწილი ლექსიკური ერთეულებისა, ფონეტიკური და სემანტიკური გადაწევების საფუძველზე, დიალექტური ვარიანტებით დასტურდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ონიანი 2017** – ონიანი არსენ, ლუშნუ ამბვარ, თბ., 2017.

**ორბელიანი 1993** – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1993.

**ლიპარტელიანი 2014** – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო, თბ., 2014.

**საღლიანი 2023** – მ. საღლიანი, ნასესხებ სიტყვათა ლექსიკონი სვანურში, II, თბ., 2023.

**სეა, უიცა 1923** – სეა, უიცა საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 268, თბ., 1923.

**სვან. ენის ქრესტ., 1978** – სვანური ენის ქრესტომათია, 1978.

**სვანური ლექსიკონი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქაღდან, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

**სვან. პროზ. ტექსტ. 1979** – სვანური პროზაული ტექსტები, IV, ლაშხური კილო, თბ., 1979.



**Lashkhian Texts Recorded by Stephane Chkhenkeli  
(Based on the Materials Preserved in the National  
Archives of Georgia)**

Summary

Based on the materials preserved in the National Archives of Georgia, it is known that Stephane Chkhenkeli was one of the students who was sent to Kvemo Svaneti, the Lashkheti Valley in 1923 to record texts, on the instructions of Akaki Shanidze.

The trip was quite fruitful, however, it turns out that these texts have not been included in the Svan materials published to date.

Based on a review of the recorded interesting and meaningful material, the style and specificity of the recordings are also noteworthy. If we do not count a few mistakes, all the nuances characteristic of the Lashkhian dialect are taken into account, which is not common in the texts recorded in the 20s, since the rules and principles of recording texts were newly developed (after Akaki Shanidze traveled and recorded texts in Svaneti in the 1920s).

The archaic lexical units were attested in the mentioned texts, which are either no longer found in the living speech of the Lashkhian dialect, or they are attested with certain semantic changes unlike the rest of the Svan dialects. Additionally, they are not included in the dictionaries of the Svan language. Some of the mentioned lexical units were explained by Stephane Chkhenkeli himself.

## ნანა ორზიაშვილი

მეტსახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი  
კახურში სოფელ ველისციხის მებალითში

ადამიანი შეიძლება არა სახელითა და გვართ, არამედ მეტსახელით შემორჩეს ხალხის მეხსიერებას. ზედმეტი სახელის აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ტერმინები: მეტსახელი, მეორე სახელი, გამოცვლილი სახელი, კნინობითი სახელი, საალერსო სახელი, ნართაული სახელი, უკანასაყივარი, თიკუნი, კილი, ბუნი, მირქმეული სახელი, სახელებელი და ა.შ. ძველ ქართულში ამ მნიშვნელობის გამომხატველად გვხვდება სიტყვა ნართაული.

ოფიციალური სახელი ხშირად არ შეეფერება ადამიანს. მოვიხმობთ ზურაბ ჭუმბურიძის მოგონებას: „*მე შევხვედრილვარ ერთ ტანმორჩილ ვაჟს, რომელსაც გოლიათი ერქვა. ბუნებრივია, მის სახელსა და გარეგნობას შორის არსებული შეუსაბამობა ღიმილს იწვევდა და ამ მოკრძალებულ ყმაწვილს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა*“ (ჭუმბურიძე 2003: 57). მეტსახელთა შერქმევისას ამგვარი შეუსაბამობა არ მოხდება, რადგანაც ზედმეტსახელი ზედგამოჭრილი იქნება დენოტატისთვის.

ხშირად თავად იმ ადამიანისთვისაც კი, რომელსაც მიმართავენ, უცხოა თავისი სახელ-გვარი, ამიტომაც საზოგადოებას თავს ყოველთვის მეტსახელით წარუდგენს. აღნიშნულია, რომ მეტსახელი არის სრული ანთროპონიმური ერთეული, რომელიც პირის ოფიციალურ სახელს ზოგჯერ მთლიანადაც კი ჩაენაცვლება (შამელაშვილი-ზექალაშვილი 2007: 183).

მეტსახელის მნიშვნელობაზე საუბრობს როსტომ ჩხეიძე: „*რა საოცარი რამაა ეს მეტსახელი!.. მთელი სამყაროა, თუკი ჩაუკვირდები და მიჰყვები ამ ამოუწურავ საღაროს ხალხური აზროვნებისა, შინაარსობრივ მხარეზე არანაკლები ყურადღება ევფონიურ მხარესაც რომ ექცევა, და პოეზიაშიც შიგ ჩაწნულა თავისი ხატოვანებითა და მეტაფორებით, თორემ იუმორი ხომ ანათებს და აცისკროვნებს*“ (ჩხე-

იბე 2016: 55). ზედმეტსახელით ვლინდება სოციუმის, იმავე ნომინატორის, გონებამახვილობა და უსაზღვრო შემოქმედებითუნარიანობა. დეპედენტები ანუ თიკუნთა ავტორები არიან ოჯახის წევრები, მეზობლები, ნათესავები, ნაცნობ-ახლობლები და ა.შ. „მეტსახელი წარმოადგენს პიროვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების სურათს“ (სახლთხუციშვილი 1998: 156) და იგი ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკურ სისტემას.

ემპირიული მასალა შევადგინეთ შიგნიკახეთში, კერძოდ, გურჯაანის რაიონ სოფელ ველისციხეში 2023-2024 წლებში. მეტსახელთა მოძიებასა და შეკრებაში დაგვეხმარნენ: თარხნიშვილი ვაჟა, თარხნიშვილი ირმა, თარხნიშვილი ვიტალი, შოშიაშვილი გოგიტა, შოშიაშვილი დიმიტრი (პაპა), შოშიაშვილი დიმიტრი (შვილიშვილი), შოშიაშვილი მამუკა, შოშიაშვილი ნათია, ქიტუაშვილი მალინა, გოგაშვილი ანა, გაბელაია ანა და სხვანი. მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია, თითქმის ყველა მოსახლე შემკულია გამოცვლილი სახელით. ერთ ადამიანს ზოგჯერ რამდენიმე მეტსახელიც კი აქვს. ველისციხე კახეთის ერთ-ერთი უძველესი სოფელია, საისტორიო წყაროებში ის V საუკუნიდან იხსენიება. სოფელი ეთნიკურად მრავალფეროვანია. უმეტესად ქართველები ცხოვრობენ, მაგრამ შევხვდებით ქართულენოვან სომეხს, ქურთს და ებრაელ მოსახლეობასაც.

თიკუნი შეიძლება დროთა განმავლობაში ნამდვილ სახელად იქცეს. ალ. ლლონტი აღნიშნავს, რომ მეტსახელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ონიმთა ნაწილი სწორედ მათგან მომდინარეობს (ლონტი 1967: 24). დღეს ძალიან, ვეფხია ტიპის ონიმებს განიხილავენ როგორც საკუთარ სახელებს, მაგრამ წარმოშობით სწორედ რომ მეტსახელები უნდა ყოფილიყვნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტურ ზონაში ისინი პირველად ანთროპონიმებად მოიაზრებიან, ხოლო ბარის რეგიონებში კვლავ შეიძლება ზედმეტი სახელის სტატუსი ჰქონდეთ. ამის მიზეზად სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ქრისტიანობის სხვადასხვა პერიოდში გავრცელება. რადგანაც მთაში ქრისტიანულმა რელიგიამ გვიან მოიკიდა ფეხი, იქ კალენდარული სახელებიც გვიან დამკვიდრდა, ხოლო ბარის რეგიონში „წიგნის სახელი“<sup>1</sup> შედარებით

---

<sup>1</sup> თუშები ნათლობის დროს დარქმულ სახელს „წიგნის სახელად“ მოიხსენიებდნენ (ცოცანიძე 1990: 174).

უფრო ადრე გავრცელდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში ის, რაც თიკუნადაა მიჩნეული, სხვაგან შეიძლება ოფიციალური სახელი იყოს.

ზოგჯერ ანთროპონიმის სემანტიკა მთქმელისთვის ბუნდოვანია, ეს ძირითადად ეხება წარმოშობით უცხოურ ანთროპონიმებს, რომლებმაც ჩვენში დიდი ხნის წინ მოიკიდეს ფეხი. ამიტომაც მთქმელს სურს, ისე მიმართოს დენოტატს, რომ ონიმი სრულიად გასაგები და ხელშესახები იყოს. ე.ი. ონიმი მეტყველ სახელად უნდა გადაიქცეს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ანთროპონიმი სრულიადაც არ არის სემანტიკით ბუნდოვანი (იამზე, ზვიადი ტიპის სახელები), ის ქართულ ნიადაგზევეა შექმნილი, მაგრამ დეპედენტი (სახელმდებელი) მაინც ქმნის მეტსახელს. ამის მიზეზი დენოტატთან უფრო დაახლოება, მის თვისებებზე ყურადღების მეტად გამახვილებაა.

მეტსახელი ერთგვარი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობაა. ხშირ შემთხვევაში ადამიანისათვის თიკუნი ნებისმიერ მატერიალურ მემკვიდრეობაზე მაღლა დგას. მაგალითად, სიღნაღში ერთ მდიდარ გლეხ კაცს „ბუქურაული“ რქმევია. გარდაცვალების შემდეგ, როდესაც შვილებს ქონება უნდა გაეყოს, ერთ-ერთმა თავისი წილი დათმო და სანაცვლოდ მამის ზედმეტი სახელი მოითხოვა, შესაბამისად, მხოლოდ მისი შთამომავლებისათვის გახდა ნებადართული „ბუქურაულად“ წოდება (გოგოლაშვილი 2022: 71-72) – ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადამიანისათვის თიკუნი.

მეტსახელთა სემანტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. პროზაიკოსი თამაზ ხმალაძე პროფესორ გიორგი გოგოლაშვილთან საუბრისას აღნიშნავს: *„თავად ის ფაქტი, რომ ზედმეტ სახელს ბევრი სინონიმი აქვს (მეორე სახელი, გამოცვლილი სახელი, საალერსო სახელი, კნინობითი სახელი, ნართაული სახელი, მეტსახელი, უკანსაყივარი, თიკუნი...) იმაზე მიაჩნებ, რომ ამათი უმრავლესობა ერთმანეთისაგან მხოლოდ სახელით კი არა, შინაარსობრივადაც განსხვავდება“* (გოგოლაშვილი 2022: 72).

გამოცვლილი სახელი გარკვეული შინაარსის მატარებელია. თითოეული რაიმე ნიშნის მიხედვითაა მოტივირებული და უმეტესი მათგანი გამჭვირვალე სემანტიკისაა, რომც არ იცოდე ისტორია, თუ რატომ შეარქვეს ეს ონიმი, მაინც ივარაუდებ გამომწვევი მიზე-

ზის არსებობას. ზედმეტსახელმა შეიძლება გიკარნახოს და წინასწარ მიხვდე, როგორია ის ადამიანი, რომელსაც მიემართება ნართაული სახელი. შეგვხვდა სემანტიკაგაბუნდოვანებული მეტსახელებიც, რომლებიც თავად ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ, თუ რის გამო შეარქვეს დენონტას. ჩვენ მიერ შეგროვებულ მასალაზე დაყრდნობით გამოვყოფთ მეტსახელთა გარკვეულ სემანტიკურ ჯგუფებს, ესენია:

I. გამჭვირვალე სემანტიკის მქონე მეტსახელები:

1. გარეგნობის გამომხატველი;
2. ქცევა-მოქმედების აღმნიშვნელი;
3. ხასიათის გამომხატველი;
4. ნათქვამი სიტყვის გამო შერქმეული;
5. გვარიდან წარმომდგარი მეტსახელი;
6. პროფესიის გამომხატველი;
7. წარმომავლობის აღმნიშვნელი;
8. მოწონების ობიექტიდან გამომდინარე შერქმეული;
9. დაბადებისას შერქმეული მეტსახელი.

II. გაუმჭვირვალე სემანტიკის მქონე (სემანტიკაგაბუნდოვანებული) მეტსახელები.

ზოგჯერ მეტსახელი სემანტიკურად რამდენიმე ერთეულს შეიძლება გამოხატავდეს, ამიტომაც რთულია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ და მკვეთრი ზღვარი დავსვათ თითოეულ ჩამონათვალს შორის. განვიხილავთ პირველ ჯგუფში შემავალ ელემენტებს:

**1) გარეგნობის გამომხატველი მეტსახელები:**

**ალა პუგაჩოვა** – „ალა პუგაჩოვასავით კუწუწა თმები აქვს, გარეგნულად ამსგავსებენ“;

**ბაჭია** – „ტანით პატარაა და საქციელიც ბაჭიასავით აქვს“;

**ბელეტაჟა გაია** – „მსუქანი იყო, პატარა, დაბალი, ჩია“;

**ბელურა** – „ბავშვობისას იყო პატარა პირისახიანი“;

**ბოხობა** – „თავი ჰქონდა დიდი, კინგ-კონგის ტარება ჰქონდა“;

**ბურვაკა** – „კოლექტივის ბრიგადირი იყო. პატარა ბავშვი რო იყო, დაბალი იყო, ლოყები ჰქონდა გოჭივით და დაარქვეს ბურვაკა“;

**ბურბგალა** – „ჩხუბი რო მოუვიდოდა, თმები აებურძგნებოდა ხოლმე და გაბუებული იყო მეორე დღესაც“;

**ბუსია** – „დაბალი და ზედმეტად მსუქანი“. სოფელში ორი ბუსიაა, ერთი – გარდაცვლილი, მეორე – ცოცხალი.

**ბუჩია** – „ტუჩები ჰქონდა გადმობრუნებული და ბუჩია მემგონი მაგი გულიძთვი ერქვა“;

**გლობუსა** – „თმა არა ჰქონდა თავზე, არცერთი ღერი და როგორც გლობუსი ისეთი თავი ჰქონდა“;

**გოჭი** – „შესახედაობის გამო, ტანდაც დაბალია“;

**ეგვიბტელი** – „შესახედაობით ჰგავდა“;

**ეშვიანი ვალიკო** – „მამას, ვალიკოს, ჰქონდა ღოჯები. მის შვილებს, სამნი ძმანი არიან, ეშვიანებად მოიხსენიებენ ახლაც“;

**თევზი ფხა** – „სუსტი იყო, გამხდარი“;

**კიჭა** – „ცოტა დიდი კბილები ჰქონდა“;

**კოდალა** – „ცხვირი გრძელი აქვს“;

**კოდუხა** – „დიდი თავი ჰქონდა, ბაშკა“;

**კოწო** – „ყველაზე გამხდარი ბიჭი ველისციხეში“;

**კუკლა მერი** – „სილამაზის გამო“;

**ლაშიანი** – „ტუჩები ჰქონდა ამობრუნებული, ზემოთაც, ქვემოთაც“;

**ლოკოკინა** – „გაბერილი იყო ლოკოკინასავით“;

**ოშოშა** – „ტანათ დიდი გაიზარდა და ოშოშა კამეჩსა ჰგავს“;

**პაჟარა** – „თმები ჰქონდა წითელი“;

**პატ(ა)რა მერი და მოკლე კატო** – ორივეს სიდაბლის გამო ეძახდნენ ასე;

**ტანწვრილა** – გამხდარია;

**ტაპე გივი** – „ფეხები დააჭრეს და არცერთი არ აქვს“;

**ქინქლა** – „პატარა, უსუსური იყო“;

**ცერცერა** – „სულ ცერად იყურება, თვალებზე პრობლემა აქვს. თავიც გადაცერავებული აქვს“;

**ცხენო** – „ცხენსა ჰგავს. შავია უსახური და მაღალი. ჩემი კლასელები ცხენებს უხატავდნენ დაფაზე, სანამ შემოვიდოდა“;

**წარბა** – „დიდი წარბები აქვს“;

**ხოხოზა** – „წითელი და ღაჟღაჟა ლოყები აქვს, როგორც ხობოს“;

**ხრამიო ყორა** – „რუსულად კოჭლს ნიშნავს, თვითონაც კოჭლი იყო“...

სიშავის გამო ადამიანებს განსხვავებული თიკუნები შეარქვეს, რათა ერთმანეთში არ აღრეულიყვნენ, მაგალითად: ღამე, მიმინო, ჩორნა, ყვავი შოთა, მურა. ყურების სიდიდის გამო ერთს ყურები კახა შეარქვეს, მეორეს – ყურშა და ა.შ.

## **2) ქცევა-მოქმედების აღმნიშვნელი მეტსახელები:**

**ალავერდა** – „სუფრაზე სულ გაიძახოდა ალავერდს ვარ, ალავერდს გადავდივარო“;

**აფერისტი ლოვა** – „მოფერი იყო და ქცევა-ყოფა ჰქონდა აფერისტული“;

**ბაყელო** – „ბაყელო ჰქვია კაკალს და ისიც ბავშვობაში ეტყობა ხშირად იქცეოდა და რა ბაყელო კაკალივით გორაობო“;

**ბლუქუნა** – „ლოყები აქვს დიდი და ბლუქუნებს“;

**დენისი** – „ვინმე დენისი ყოფილა გემის მოგზაური და მისი სახელი დაარქვეს. ჯარში ჩეხო-სლოვაკში შეტაკებებში იყო, ათი დღე დაკარგული იყო, ქელები გადაუხადეს და მერე დაბრუნდა სახლში, ამიტომაც დაარქვეს დენისი.“ ამ ადამიანის თავგადასავალი მიემსგავსა მეზღვაურ დენისისას;

**კელა** – „ძან შუსტრია, ყოჩალია. პატარაა ტანით და სხარტი იყო ძალიან და კელა დაარქვეს“;

**კვინჩხი მიშა** – „უადგილო ადგილას რო ჩხუბს ადტეხამს, დალაგებული რო არ არის“;

**კუტიპარია** – „თონეში პურის ცხობის დროს პური რო ჩავარდებოდა ხოლმე, ეს შოთი პური შეიჭმუნებოდა და ეს პური ნაკვერჩხალში შეიწვებოდა და კუტდებოდა. ძალღებს აჭმევდნენ ხოლმე მერე. ეს ბიჭი კიდე ესეთ პურს თონიდან იპარავდა და კუტიპარია დაარქვეს“;

**მგელი** – „ყველაფერს ჭამს“;

**მუქთა** – „თავის ოჯახში ეზარებოდა ქეიფი და სხვასთან დაქეიფობდა“;

**რაინდი** – „მამაცი და ყოჩალი იყო“;

**ტანტალა** – „ერთი კაცი დადიოდა, დაფნის ფოთოლს დადკრეფდა, თბილისში მიჰქონდა გასაყიდად, ცოლმა უთხრა, ოღონდ

შენ გატანტალაო. ერთი კვირა დაიკარგებოდა თბილისში, მერე ჩამოვიდოდა“;

**ტაქსი მყვალა** – „დღე და ღამე ტაქსივით დადიოდა“;

**ტილა** – „თავის დღეში საროჩკას რო არ იკრავს და გაღელილი დადის ზამთარ-ზაფხულ“;

**ფაღავა** – ერთი ვერსიის მიხედვით, დომინოსა და ბილიარდში რადგანაც ვერავინ უგებდა, პროფესორი ფაღავა ხარო ეუბნებოდნენ. მეორე ვერსიის თანახმად, მანქანა გაუკეთა ვილაცას და ასეთი მოხერხებულობის გამო შეარქვეს ფაღავა;

**ქალაქელი** – „სოფლელივით არ დადიოდა, გამოწკეპილი დადიოდა, ქალაქელივით“;

**ღორღ მიშა** – „რო სჭამდა საჭმელს ღორივით, მაგიტომ ერქვა“;

**ყიყლიყო** – „ძან უყვარდა დიდი ხმით ლაპარაკი“;

**ცალტვინა** – „ძან გაქეცილი იყო, ვითომ ცალტვინა, მაგრამ ყველაზე მეტი ჭკუა მას ჰქონდა“;

**ცეტო** – „ყველაფერს ცეტურად აკეთებდა, მაგალითად მანქანა დაჰყავდა გიჟივით და ცეტო დაარქვეს“;

**ცხენი** – „ცხენივით ხვიხვინებდა“;

**ძაბრია** – „ძაბრს ჩაიდებდა პირში და ღვინოს რო ჩაასხამდნენ ვედროთი, ისე სვამდა“;

**ჭამერამე** – „ჭამა უყვარს“;

**ჭახრაკა** – „მთელი ველისციხე გაღლიტა, კიოსკი ჰქონდა და ხუთმაგად ყიდიდა ყველაფერს, ვაჭარი იყო“;

**ჯიბის რადიო** – „შოფერი იყო, სულ ლაპარაკობდა“;

**ჯლაგვა** – „ბევრი ცხვარი ჰყავდა, ტყიური კაცი იყო“;

**ჯორიჭამია** – „ტრაქტორისტი, სულ ამოთხუპნული იყო და დაუბანელი ხელით ჭამდა საჭმელს და ხორცს რო აიღებდა, ჯორი-ჭამია შეარქვეს, შენ ჯორი უნდა დაგიკლან, რო გეყოსო“...

### **3) ხასიათის გამომხატველი მეტსახელები:**

**არხეინა** – „ეტყობა არხეინა კაცი იყო“;

**ბატი გივი** – „მიყავდა სახლში ბიჭები სავარჯიშოდ, შტანგები უნდა ეეწინათ. ის რო შტანგებს ეწეოდა, ისინი კიდე სახლიდან რაღაცებს ჰპარავდნენ და მამამ დაარქვა ბატი ხარ, ბატი, უტვინოო“;

**ინტრიგანი** – „ბევრი დადღანი უყვარდა, მოქიფე კაცი იყო“;



**კიტაია** – „ყოყლოჩინობა უყვარს“;

**პურდღლიმ ზულა** – „ტანით იყო პატარა და ყოყლოჩინა“ (ხანიათთან ერთად მისი გარეგნობაცაა წარმოჩენილი);

**ლობიო** – „უნდილი იყო“;

**პლუტი** – „მატყუარა კაცსა ძქვიან პლუტი“;

**ტოტანი ყორა** – „სადაც საქმეზე მივიდოდა, ყველაფერს აკეთებდა“. სოფელში ამ მეტსახელით ორი ადამიანი იყო;

**უცება** – „უცებ გაბრაზდებოდა, აფეთქდებოდა“;

**ღლაფე** – „ოქლაქია, უშნო“;

**ყალბი** – „მატყუარა იყო“;

**შაქარა** – „მოსაუბრე კაცი იყო, ტკბილი საუბარი უყვარდა და შაქარა დაარქვეს“;

**ცეტი თამრიკო** – „ხასიათი აქ მასეთი“, მოქმელი აღნიშნავს, რომ პირში ვერ ემახიან, უბანში მიმართავენ ასე;

**წიწაკა** – „იყო უბედური ლაყაფი, ლანძღვია, გათახსირებული კაცი“...

#### **4) ნათქვამი სიტყვის მიხედვით შერქმეული მეტსახელი:**

**ბაბა გურამი** – „პურის ნაჭერი ეჭირა ხელში და ბაბა მინდა, ბაბა მინდაო“;

**ბლიფა** – „რუსულად ნიშნავს ახლოს. ახლო მოდი ახლო - ტერმინად ქონდა“;

**ენდე გელა** – სულ ამ სიტყვას (ენდეს) ამბობს;

**პიწკა** – „ამას ერთი პიწკა უნდა და აინთებაო. სპიჩკა ვერ თქვა. ბავშვობაში ემახდნენ, ახლა აღარ“;

**ქალო მერი** – „მევენახეობის მასწავლებელი იყო და ყოველი სიტყვის მერე ქალოს ამბობდა. ქალო მერის ვემახდით“...

#### **5) გვარიდან წარმომდგარი მეტსახელი:**

ალთუნაშვილი > ალთუნა; თანდილაშვილი > თანდილა; იმედაშვილი > იმედა; კაკაბაძე > კაკაბა; კაკალაშვილი > კაკალა; კურატაშვილი > კურატა; მებალიშვილი > მებაღე; პარწიკანაშვილი > პარწიკანა; ტურაშვილი > ტურა; შოშიაშვილი > შოშია; წიპლიკაშვილი > წიპლიკანა; ჭეიძე > ჭეო...

#### **6) პროფესიის გამომხატველი მეტსახელი:**

**ავკალა** – „კამეჩები ჰყავდა და ჭალებში დაჰყავდა სამოვრად, მწყემსი იყო“;

**გოდორა** – „კოლმეურნეობაში ბრიგადირის თანაშემწე იყო და გოდრებს აქუჩებდა“;

**დიქტი სერო** – „ვაჭრობდა იატაკის დიქტებით“;

**დროგი** – მგზავრები დაჰყავდა დროგით, ცხენები ჰყავდა შებმული;

**მანტიორი** – მანტიორი იყო;

**მელილინკა** – „მელილინკა არის ცხენებშებმული ტაჭკა, ორივე მხრიდან აქვს საფეხური. იმაზე შედგები და ჩამოჯდები. განსაკუთრებული ცხენები ჰყავდა და მგზავრები მიჰყავდა სადგურამდე, ამიტომაც შეერქვა“;

**მესათე ვანუშა** – საათებს აკეთებდა;

**მჭედელი ვალიკო** – „რკინებს, ცხენის ნალებს ჭედავდა“;

**ფეშტი** – „ხელოსანი ბიჭია მანქანების, აბრახუნებს მანქანების ქეშტებს“;

**ყარფუზა** – „ბაღი მოიყვანა ყარფუზის“;

**მონში კუკლა** – „სათამაშოების მაღაზიის ნოქარი, პატარა კაცი იყო“ (გარეგნობისა და პროფესიის გამო ეძახდნენ)...

## **7) წარმომავლობის აღმნიშვნელი მეტსახელი:**

**ბორჯომა** – „ბორჯომიდან იყო“;

**კვიცი** – „მამამის ცხენი ერქვა და ცხენის შვილი კვიცია“;

**მუკუზანა** – „მუკუზნელია და მუკუზანა დაარქვეს“;

**რუსკია** – „დედა ჰყავდა რუსი და რო გაიზარდა რუსკი რუსკიო ეძახდნენ მეზობლები“...

## **8) მოწონების ობიექტიდან გამომდინარე შერქმეული მეტსახელები:**

**ბუხანკა** – „უყვარდა ძალიან ბუხანკა პური“;

**კარტოფილა** – უყვარს;

**კუნწულა** – „ბაღს სულ კუნწულ-კუნწულებს კრეფავდა, ასე უყვარდა და შეერქვა“;

**ლეჟო** – „ტიკტოკერი ლეჟავა მოსწონს და მის გამო შეერქვა“;

**ქელეხა** – „სულ ქელეხებში დადიოდა, იქ უყვარდა სიარული“;

**ხაშლამა** – „ძალიან უყვარს და სულ მაგას ჭამს“...

### **9) დაბადებისას შერქმეული მეტსახელი:**

**კიტრანა** – „დედამ იმშობიარა ყვარელში და დედამ რო მოიკითხა შვილი მამიყვანეთო, ექიმებმა შეუყვანეს. უხ, შენ გენაცვალე, ჩემო კიტრანაო და დაერქვა კიტრანა“;

**კუდალა** – „დედამისმა დაარქვა ახალშობილს, ჩემი კუდალა-აო“;

**სინათლე** – „მამას ყავდა ექვსი გოგო, მეშვიდე ეყოლა ბიჭი და შეარქვეს სინათლე“...

მეორე ჯგუფად წარმოვადგენთ გაუმჭვირვალე სემანტიკის მქონე სახელებს, რომელთა მოტივაციაზე საუბარი ჭირს.

**ბუნდოვანი სემანტიკის შემცველი მეტსახელებია:** ფშაველა („რატომ ჰქვია არ ვიცი, მაგრამ უბანში რო შედიოდი, ერთი ხეივანი ვაჟასი იყო და მეორე – ფშაველასი, ვაჟა-ფშაველას ხეივანში ცხოვრობთო ხალხი ეუბნებოდათ“), გოშო გია, ხაშაპანა, ჭალა, ჭანა, კლოსი, ჭაჭო, კოსე, დულო, ჭუკლია, ჭუკურია, ჩუტო, ლუკუნა, კაბალა, პრინწო, ქოცო მერაბი, ლოჭო, ლოპე, ზიმო, კოკოლო, პაგა, ბუთლიკა, ყიტა, ფუთე, კორიკო, კურკა, კინტო, ღუტა, ჩისტება, ზემლო, პანტა სერო, ჩიპო, ბაშაკა, მოკუსა, ქუქუნო, ცაპა, ტოპლო, ოტოლა, ხომო, მოსტიკა, ახპენა, ოჭია, კუკუჯანა და ა.შ. მეტსახელთა სრულ ჩამონათვალს წარმოვადგენთ ქვემოთ.

ზედმეტი სახელი შეიძლება იყოს **მოფერების** (ბაჭია, ბედურა, კიტრანა, პიწკა, კუკლა მერი, ციცქნა...) **დაცინვის** (მუქთა, დაპრუწული, ბელეტაჟა გია, ყიყლიყო, ტანტალა, ბატი გივი...) **დამცირების** (ჯლაგვა, ინტრიგანი, ღორო მიშა, მაყვლისბურჩქი, ჯიჯლინა...) **გახელების** (ცხენო, აფერისტი ლოვა, ჩუქში თემო, წიწაკა, უცება, პაჟარა...) **პატივისცემისა** (ფალავა, რაინდი, თავადი...) და **გაქილიკების** (ჯორიჭამია, ყოყე, გამომხატველი, ცალტვინა, ყალბი...) გამომხატველი.

გამოცვლილი სახელი იყოფა **პირში სათქმელ** და **ზურგს უკან საძახებელ** მეტსახელებად, ე.წ. **საგნებელ** და **საგინებელ** თიკუნებად. ადამიანები საგინებელი ონიმის პირში დამახებას ერიდებიან და როგორც წესი, ნომინატორი იმ კონკრეტული ადამიანის გამოჩენისთანავე უკუაგდებს ამ მეტსახელს და სხვა სახელით მიმართავს მას.

ზოგჯერ დამამცირებელ სახინჯარს პირშიც ეძახიან, მაგრამ უმეტესად ზურგს უკან მოიხსენიებენ. სოფ. ველისციხეში შემდეგი ზურგს უკან საძახებელი მეტსახელები გამოვლინდა: ტანწვრილა, ჯიჯლინა, ცეტი თამრიკო, წილიანი კატუშა, აფერისტი ლოვა, ღორო მიშა, ყალბი, მუქთა, შტეფცელა და ა.შ.

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ საგინებელი სახინჯარი საგნებლად გადაიქცევა. თამაზ ხმალაძე აღნიშნავს: „ყოფილა შემთხვევა რომელიმე ბავშვისთვის მიკითხავს, ვისი ხარ-მეთქი და ისეთი სიამაყით უპასუხია: **ძაღლიყბანთიო, ანდა ბრანძოაანთიო, თითქოს ბიჭანტიის იმპერატორის ჩამომავალი ყოფილიყოს**“ (გოგოლაშვილი, ხმალაძე 2024: 20-21). როგორც ჩანს, სახელდებულისათვის ერთ დროს ძაღლიყბა და ბრანძო საგინებელი მეტსახელები იყო, მაგრამ ამ მონაკვეთში კარგად გამოჩნდა, როგორ გადაიქცა საგინებელი თიკუნნი საგნებელ სახელად.

მეტსახელებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ გამოცვლილი სახელები ძირითადად მამაკაცებშია გავრცელებული, რაც არაერთხელ აღნიშნულა კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მიერ მოპოვებულ ონომასტიკურ მასალაში რამდენიმე ასეული თიკუნია და აქედან მხოლოდ ექვსი პროცენტია ქალთა მეტსახელი (ფოთოლა, მტევანო, ციცქნა, წილიანი კატუშა...).

### **ეპითეტური მეტსახელები**

მეტსახელი სტრუქტურული თვალსაზრისით არის ერთ-ან ორსიტყვიანი. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ძირითადად მსაზღვრელ-საზღვრულით. ასეთ კომპოზიტს ეპითეტური მეტსახელს უწოდებენ (გოდერძიშვილი 1998: 249). მსაზღვრელად წარმოდგენილია პიროვნების განმსაზღვრელი რომელიმე ნიშანი – ეპითეტი, ხოლო საზღვრულად ძირითად შემთხვევაში – ადამიანის საკუთარი სახელი. ზოგჯერ სინტაგმის მეორე წევრად ანთროპონიმი არ გვხვდება და მთლიანი შესიტყვება მეტსახელს წარმოადგენს, მაგალითად: ძონძი კუკლა, მაყვლის ბუჩქი, ჯიგარძაღლო, ნავთიქულა, ვარდიქულა, ვარდკეცა, ტანწვრილა, კურდღლი ბუღა, თევზი ფხა და ა.შ.

სოფ. ველისციხეში უპირატესად ერთსიტყვიანი თიკუნებია გავრცელებული, მაგრამ შევხვდებით ეპითეტურიან მეტსახელებსაც. ისინი მიაწინებენ:

ა) **ხელობაზე**: მჭედელი ვალიკო, მესაათე ვანუშა, ძონძი კუკლა (სათამაშოების მაღაზიის ნოქარი იყო, პატარა კაცი), დიქტი სერო (ვაჭრობდა იატაკის დიქტებით)...

ბ) **გარეგნობაზე**: ტანწვრილა, ტაპე გივი (ფეხები დააჭრეს და არცერთი არ აქვს), ყურები კახა (გადმოპარტყული ყურები აქვს), ხრამოი ჟორა (კოჭლი კაცი იყო), ბელეტაჟა გია (მსუქანი იყო, პატარა, დაბალი, ჩია), ბელტი გია (მიწას რო ბარავენ და ამოაქვს მიწა, იმ დიდ მასას ჰქვია ბელტი. მსუქანი კაცი იყო, დიდი ტანისა და მაგიტო დაარქვეს), ყვავი შოთა (შავია), კუკლა მერი (სილამაზის გამო)...

გ) **ხასიათსა და მანერაზე**: აფერისტი ლოვა (შოფერი იყო და ქცევა-ყოფა ჰქონდა აფერისტული), ჩუქში თემო (ვირს აჩერებენ და ეტყვიან ჩუქშიო. ცოტა მოდებილო ბიჭია და შეიძლება ამიტომ დაარქვეს), ტოტიანი ჟორა (სადაც საქმეზე მივიდოდა, ყველაფერს აკეთებდა), კვრიჩხი მიშა (უადგილო ადგილას რო ჩხუბს ატეხამს, დალაგებული რო არ არის), ცეტი თამრიკო (ხასიათი აქვს ცეტური)...

დ) **მიმსგავსებაზე**: ღორი მიშა (რო სჭამდა საჭმელს ღორივით, მაგიტომ ერქვა), კურდღლი ბულა (ტანით იყო პატარა და ყოყლოჩინა), თევზი ფხა (სუსტი იყო, გამხდარი), ტაქსი მაცვალა (დღე და ღამე ტაქსივით დადიოდა), ჯორიჭამია (ტრაქტორისტი, სულ ამოთხუპნული იყო და დაუბანელი ხელით ჭამდა საჭმელს და ხორცს რო აიღებდა, ჯორიჭამია შეარქვეს, შენ ჯორი უნდა დაგიკლან, რო გეყოსო), ჯიბის რადიო (შოფერი იყო, სულ ლაპარაკობდა), ეშვინი ვალიკო (ლოჯები ჰქონდა), ბატი გივი (მიყავდა სახლში ბიჭები სავარჯიშოდ, შტანგები უნდა ეწეინათ. ის რო შტანგებს ეწეოდა, ისინი კიდე სახლიდან რაღაცებს ჰპარავდნენ და მამამ დაარქვა ბატი ხარ ბატი, უტვინოო), ალა პუგაჩოვა (ალა პუგაჩოვასავით კუწუწა თმები აქვს), პატარა მერი და მოკლე კატო (სიდაბლის გამო), თავგანზა (დიდი თავი აქვს)...

ე) **რადაციანადმი სიყვარულზე**: ჭამერამე (ჭამა უყვარს), ბაბა გურამი (პურის ნაჭერი ეჭირა ხელში და ბაბა მინდა, ბაბა მინდაო), კუტიპარია (თონეში პურის ცხობის დროს პური რო ჩავარდებოდა ხოლმე, ეს შოთი პური შეიჭმუხნებოდა და ეს პური ნაკვერჩხალში

შეიწვებოდა და კუტდებოდა. ძაღლებს აჭმევდნენ ხოლმე მერე. ეს ბიჭი კიდე ესეთ პურს თონიდან იპარავდა და კუტიპარია დაარქვეს)...

ვ) **სიტყვების აჩემებაზე**: ენდე გელა (სულ ამ სიტყვას, ენდეს, ამბობდა), ქალო მერი (მევენახეობის მასწავლებელი იყო და ყოველი სიტყვის მერე ქალოს ამბობდა)...

ზ) **გვარიდან მომდინარეობაზე**: იმედა მარო (იმედაშვილი იყო გვარად), ტურა ნინო (< ტურაშვილი), შოშია დიმიტრი (< შოში-აშვილი)...

დაყოფა პირობითია, რადგანაც მკვეთრი მიჯნის დასმა ვერ ხერხდება ჩამონათვალში. მაგალითად „ბელტი გია“ და „ბელეტაჟა გია“ არა მხოლოდ გარეგნობის, არამედ მიმსგავსების საფუძველზე შერქმეული მეტსახელებიცაა. „ბაბა გურამი“ შეიძლება მოთავსდეს როგორც „ე“, ისე „ვ“ პუნქტში და ა.შ.

ემოციურობის თვალსაზრისით ეპითეტისანი მეტსახელები მრავალფეროვანია. ხელობის გამომხატველი თიკუნები ძირითადად ნეიტრალური შინაარსის მატარებელია, გამონაკლისია „ძონძი კუკლა“, რომელსაც გამკენწლავი, ოდნავ უარყოფითი ელფერი გასდევს. კუკლა რუსული სიტყვაა და ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ლამაზის სინონიმადაა ქცეული, მაგრამ, როდესაც სინტაგმას ქმნის „ძონძთან“, მისი მნიშვნელობა ერთგვარად კნინდება. ამ მეტსახელის მატარებელი კაცი ლამაზ თოჯინებს ყიდდა, მაგრამ თავად ჩია და ულაზათო შესახედაობის ადამიანი ყოფილა, ამიტომაც შეერქვა ეს სახელი.

გარეგნობისა და მანერა-ხასიათის ამსახველმა შერქმეულმა სახელმა შეიძლება დადებითი ემოცია გამოხატოს (კუკლა მერი), თუმცა უმეტესად გამკენწლავი შინაარსის მატარებელია (აფერისტი ლოვა, ცეტი თამრიკო...).

რიგ შემთხვევაში ადამიანის ფიზიკური ნაკლის გამოსახატავად არა ქართულ, არამედ უცხოურ მეტსახელს ქმნის ნომინატორი. მაგალითად ერთ-ერთი მაცხოვრებელი – ჟორა – კოჭლი იყო, სიარული უჭირდა და მას არა კოჭლი ჟორა, არამედ ხრამოი ჟორა შეარქვა მოსახლეობამ. ამ გადაწყვეტილებით ერთგვარად შესუსტდა დამაკნინებელი ელფერი.

მეტსახელის შერქმევას სითამამე და გონებამახვილობა სჭირდება. ადამიანი, იმის შიშით, რომ გამკენწლავი მეტსახელი არ შეერქვას, ცდილობს თავი აირიდოს უხერხული სიტუაციებისგან, მაგრამ ხშირად არ გამოსდის. ეს სახინჯარი კი არა მხოლოდ მას, არამედ შთამომავლობასაც გადაჰყვება, მაგალითად, მამის მეტსახელი გადაჰყვება შვილებსაც: კუტიპარიები, ჯორიჭამიები, ლაშიანები, ეშვიანები და ა.შ.

### **სეხნია მეტსახელები**

მეტსახელის შერქმევის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი სწორედ ისაა, რომ ერთ ადგილას მცხოვრები იდენტური სახელის მქონე ადამიანების გარჩევა ადვილად მოხერხდეს. სოციუმის წარმოსახვის უნარი მრავალფეროვანია, ის ქმნის არა მხოლოდ გამჭვირვალე სემანტიკის მქონე მეტსახელს, არამედ მაღალმხატვრული შინაარსის ამსახველ ონიმსაც. აქედან გამომდინარე, საინტერესო აღმოჩნდა სეხნია მეტსახელების აღმოჩენა ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალაში, ე.ი. ერთი და იგივე თიკუნი ნომინატორმა სხვადასხვა ადამიანს უწოდა, მაგალითად:

**ბუსია** – ორ ადამიანს შეერქვა სიდაბლისა და ზედმეტი სიმსუქნის გამო. დღეს ერთი მათგანი გარდაცვლილია, ხოლო მეორე – ცოცხალი, ამიტომაც მათი აღრევა აღარ მოხდება. ვნახოთ მომდევნო თიკუნებიც:

**ტოტიანი ყორა** – ორი ადამიანი იყო სეხნია მეტსახელით. ერთი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, მეორე სოფლის თავში. თუ დაკონკრეტება გახდებოდა საჭირო, მათ საცხოვრებელ ადგილზე მიუთითებდნენ. სხვა აპელატივით ამ ორ დენოტატს არ განარჩევდნენ.

**მურა** – გარეგნულად შავი ფერის კაცები იყვნენ და ორივეს იდენტური თიკუნი მოარგეს. ერთი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა და მეორე პარკის ბოლოში. მათი იდენტიფიცირებაც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხერხდებოდა.

**ცაპა** – „ორი ცაპა იყო, ერთი კობერიძე, მეორე – სომხიშვილი. გვართ ასხვავედნენ“ – გვეუბნება მთქმელი.

**პუშეინა** – ამ მეტსახელის შერქმევას ორივე შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზი უდევს საფუძვლად. ერთი ლექსებს წერს და ამიტომ

ეწოდა ეს თიკუნი, ხოლო მეორეს პუშკინივით გრძელი თმა და გასაპარსი წვერი აქვს, თანაც მხოლოდ შინაურობაში ემახიან ამ მეტსახელს.

როგორც ვხედავთ, სეხნია მეტსახელები თითზე ჩამოსათვლელია. საინტერესოა, რამ განაპირობა ის, რომ ერთი და იგივე ზედმეტსახელი შეარქვეს ადამიანებს და მათი ერთმანეთისაგან გარჩევა არა თუ გააადვილეს, პირიქით, გაართულეს კიდევ. აღნიშნულმა ონიმებმა თითქოს დაკარგეს დისტინქციური ფუნქცია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სოფელ ველისციხეში არის კონკრეტული ანთროპონიმები, რომელთა მატარებლებსაც იდენტური მეტსახელებით მოიხსენიებენ, ესენია: გია — ჯოჩი; გიორგი — ჟორა; შაქრო — ზახარა. ე.ი. ყველა გიას ემახიან ჯოჩის, ყველა გიორგის — ჟორას, ყველა შაქროს კი ზახარას.

### **მეტსახელთა სტრუქტურული ანალიზი**

სოფ. ველისციხეში ჩვენ მიერ მოძიებულ მეტსახელებში დადასტურდა შემდეგი მეტყველების ნაწილები:

#### **1) არსებითი სახელი:**

ა) უცვლელად: გოჭი, გრიზლი, დენისი, ბაყელო, ბაჭია, ბედურა, ჭია, თავადი, კელა, კვიცი, კვრინჩხი, კინტო, კნიაზი, კოდალა, კურკა, კუხნა, ლოკოკინა, მანტიორი, მგელი, მიმინო, პინგვინი, პიტნა, პიწკა, ჟეშტი, რებითი, ფეჩი, ქინქლა, ღამე, ღელე, ყარყატი, შეიხი, ციყვი, ცხენი, წიწკა, ჭაბუკი, ჭალა, ხაშლამა, ჯადო...

ბ) ეპონიმის (გვარის) შემოკლებით: პარწიკანა (პარწიკანაშვილი), იმედა (იმედაშვილი), წიპლიკა (წიპლიკაშვილი), მებადე (მებადიშვილი), შოშია (შოშიაშვილი), ჭეო (ჭეიძე), ტურა (ტურაშვილი), კაკაბა (კაკაბაძე), კაკალა (კაკალაშვილი)...

გ) სუფიქსაციით ნაწარმოები:

-ა: ბორჯომა, ბოხოხა, აიზბერგა, კარტოფილა, ლოზუნგა, მაფიოზა, მუკუხანა, მურა, პაჟარა, ტარზანა, პუშკინა, ფოთოლა, ქელეხა, კიჭა, ყარფუნა, შაქარა, შტეფცელა, ცალტვინა, ცერცერა, წარბა, ალავერდა, ხოხოზა, მერცხალა...

-ო: ჭყლინტო, გლახო, გრამო, ქორო, ლეჟო...

-ელ: ეგვიპტელი, ქალაქელი...



-ია: ჩიჩია, ძაბრია...

მე- ე: მეზაღე, მესაათე...

## 2) ზედსართავი სახელი:

ა) აფერისტი ლოვა, ბელტი გია, ბაბა გურამი, ბატი გივი, ყალბი, ყვავი შოთა, ყურები კახა, ჩორნა, ცეტი თამრიკო, ლობიო, მოკლე კატო, ციცქნა, ავი ძაღლი, ინტრიგანი, ბოთე, დიქტი სერო, ჯიჯღინა...

ბ) -ა სუფიქსიანი: არხეინა, მუქთა, პაწა, ბელეტაჟა გია, იმედა მარო, ავლანა გია, კოტიტა, კუკლა მერი, პატარა მერი...

გ) -ია მოქმედებითი გვარის მიმღეობებს აწარმოებს: ბარდიგლეჯია, ღრინია, ჯორიჭამია...

დ) -იან სუფიქსიანი: ეშვიანი ვალიკო, ლაშვიანი, ტოტიანი ჟორა, ქაფიანი, წილიანი კატუშა...

ე) -ურ სუფიქსიანი: კაცური...

ვ) -ო სუფიქსიანი: ღორო მიშა, ქალო მერი, ბნელო, ცეტო...

## 3) ზმნური წარმოშობის ფორმები:

ა) წარსული დროის საობიექტო მიმღეობები: ბღულია, გამოფიტული, გატუსული, დადგენილება, დაპრუწული, მორჩილი...

სასუბიექტო მიმღეობა: მჭედელი...

ბ) ზმნის პირიანი ფორმა: გაიგე, ჭამერამე...

გ) საწყისი: გაგება.

ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით უმეტესად გავრცელებულია -ა სუფიქსიანი არსებითი და ზედსართავი სახელები, იშვიათად – ზმნური ფორმები. აქვე აღვნიშნავთ, რომ კახურ მეტსახელებში -ა სუფიქსმა შესაძლოა უქონლობას გაუსვას ხაზი, მაგალითად, უთითებო ადამიანს „კოტიტას“ ემახიან, არადა შესაძლოა გვეფიქრა, რომ მსხვილი თითების გამო შეარქვა სოციუმმა ეს თიკუნი. „ცალტვინა“ ყველაზე მეტი ჭკუის პატრონს უწოდეს, ე.ი. ცალი ტვინის პატრონი არ არის, „კიჭა“ დიდი კბილების მატარებელ ადამიანს შეარქვეს და ა.შ.

მეტსახელები არის როგორც **მარტივფუძიანი** (კელა, ღამე, პიტნა...), ისე **წარმოქმნილი** (პაწია, კაცური, აიზბერგა...) და **რთულფუძიანი** (ცალტვინა, თავგაზა, ბარდიგლეჯია...). რთულფუძიანი სახელების ნაწილი ატრიბუტულმსაზღვრელიანია: გვხვდება პრეპო-

ზიციური (ცალტვინა, ჯიგარძალლო...) და პოსტპოზიციური (ტან-წვრილა...) წყობა.

მართულმსაზღვრელიან მეტსახელებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ან შემორჩენილი აქვს (ჯიბის რადიო, მაცვლის ბუჩქი...), ან ფონეტიკურად სახეცვლილია -ი (კურდღლით ბუღა, თევზით ფხა...), ან დაკარგულია (ნავთიქულა, ვარდიქულა, ბარდიგლეჯია, კუტიპარია, ჯორიჭამია...).

უ. სახლთხუციშვილი აღნიშნავს, რომ ქიზიყურსა და გარეკა-ხურში ქალთა მეტსახელების ერთი ნაწილი ნაწარმოებია -ურ//ურა (დისიმ. -ულ//-ულა) ფორმანტით, მაგ.: ჩახტაურა, ლელაური...(სახლთხუციშვილი 2004: 181). შიგნიკახეთში ასეთი წარმოება გაბატონებული არაა. სოფ. ველისციხეში ამ მოდელის არცერთი მაგალითი არ გამოვლინდა. გათხოვილ ქალს მოიხსენიებენ ქალიშვილობის გვარით, მაგრამ -ურ სუფიქსით არ წარმოადგენენ.

მეტსახელი წარმოშობით არის როგორც ქართული, ისე უცხოური სიტყვა. უცხოური თიკუნებიდან ძირითადად რუსული ენიდან შემოსული მეტსახელები დადასტურდა: ფაზანიჩი, ჩორნა, ხრამოი, პაჟარა, ზემლო, ჟემტი, კუკლა, კუხნა... ახალგაზრდების მეტყველებაში კი გვხვდება ინგლისური ენიდან შემოსული მეტსახელებიც: რებითი, ქული და ა.შ.

განალიზებულმა მასალამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში არაოფიციალურ სახელთა, მეტსახელთა კვლევა-ძიება, მათი სტრუქტურულ-სემანტიკური შესწავლა და ანალიზი.

## მეტსახელები

**1. ავი ძაღლი** – (ქალია) ცუდი ხასიათი ჰქონდა, ავი იყო. ბარდიგლეჯიასაც ემახდნენ.

**2. ავღანა გაია** – ავღანეთში მსახურობდა.

**3. ავჭალა** – კამეჩები ჰყავდა და ჭალებში დაჰყავდა სამოვრად, მწყემსი იყო.

**4. აიზბერგა** – სათამაშო გემი დავაჯახე ორი წლის წინ და ორი კბილი ჩამოვუღე, ასე შეერქვა.

**5. ალა პუგაჩოვა** – ალა პუგაჩოვასავით კუწუწა თმები აქვს, გარეგნულად ამსგავსებენ.

**6. ალავერდა** – სუფრაზე სულ გაიძახოდა ალავერდს ვარ, ალავერდს გადავდივარო. ღლავესაც ეძახიან.

**7. ალახპარა**

**8. ალთუნა** – მომდინარეობს გვარიდან (ალთუნაშვილი).

**9. ალთია**

**10. არხეინა** – არხეინა კაცი იყო.

**11. აფერისტი ლოვა** – შოფერი იყო და ქცევა-ყოფა ჰქონდა აფერისტული.

**12. ახპენა**

**13. ბაბა გურამი** – პურის ნაჭერი ეჭირა და ბაბა მინდა, ბაბა მინდაო.

**14. ბაბაია**

**15. ბაკო**

**16. ბარდიგლეჯია** – (ქალია) გზაზე ვერაფერი ვერ გადაეღობებოდა, ავ ძაღლსაც ეძახდნენ.

**17. ბატი გივი** – მიყავდა სახლში ბიჭები სავარჯიშოდ, შტანგები უნდა ეწინათ. ეს რო შტანგებს ეწეოდა, ისინი კიდე სახლიდან რაღაცებს ჰპარავდნენ და მამამ დაარქვა ბატი ხარ ბატი, უტვიწოო.

**18. ბაყელო** – ბაყელო ჰქვია კაკალს და ისიც ბავშვობაში ეტყობა ხშირად იქცეოდა და რა ბაყელო კაკალივით გორაობო.

**19. ბაშაკა**

**20. ბაჩიკუკა**

**21. ბაჭია** – ტანით პატარაა და საქციელიც ბაჭიასავით აქვს.

**22. ბეზერა**

**23. ბებრიბუღუანნი**

**24. ბელეტაჟა გია** – მსუქანი იყო, პატარა, დაბალი, ჩია.

**25. ბელტი გია** – მიწას რო ბარავენ და ამოაქვს მიწა, იმ დიდ მასას ჰქვია ბელტი. მსუქანი კაცი იყო, დიდი ტანისა და მაგიტო დაარქვეს.

**26. ბენდექსა**

**27. ბერდენკა**

**28. ბედურა** – ბავშვობისას იყო პატარა პირისახიანი.

**29. ბლიყა** – რუსულად ნიშნავს ახლოს. ახლო მოდი ახლოო - ტერმინად ქონდა.

**30. ბლუქუნა** – ლოყები აქვს დიდი და ბლუქუნებს.

**31. ბნელო**

**32. ბოთე** – გამოშტერებული იყო ალბათ.

**33. ბორჯომა** – ბორჯომიდან იყო.

**34. ბოხობა** – თავი ჰქონდა დიდი, კინგ-კონგის ტარება ჰქონდა.

**35. ბუბუ**

**36. ბუდო** – ბულდანა ერქვა და ბუდოს ეძახდნენ.

**37. ბუთალე**

**38. ბუთლიკა**

**39. ბურგაკა** – კოლექტივის ბრიგადირი იყო. პატარა ზავში რო იყო, დაბალი იყო, ლოყები ჰქონდა გოჭივით და დაარქვეს ბურგაკა.

**40. ბურმგალა** – ჩხუბი რო მოუვიდოდა, თმები აებურმგენბოდა ხოლმე და გაბუებული იყო მეორე დღესაც.

**41. ბუსია** (გარდაცვლილი) – დაბალი და ზედმეტად მსუქანი იყო.

**42. ბუსია** (ცოცხალი) – დაბალი და ზედმეტად მსუქანია.

**43. ბუჩია** – ტუჩები ჰქონდა გადმობრუნებული და ბუჩია მემგონი მაგი გულიძთვი ერქვა.

**44. ბუხანკა** – უყვარდა ძალიან ბუხანკა პური.

**45. ბლულია** – ველოსიპედს ატარებს და ბლულილის ხმებს გამოსცემს.

**46. გაგება**

**47. გამოფიტული** – 2-3 დღე არაფერს თუ არ სვამს, იფიტება.

**48. გატუსული**

**49. გეიგე**

**50. გლახო**

**51. გლობუსა** – თმა არ ჰქონდა თავზე არცერთი ღერი და როგორც გლობუსი, ისეთი თავი ჰქონდა.

**52. გოდორა** – კოლმეურნეობაში ბრიგადირის თანამემწე იყო და გოდორებს აქუჩებდა.

**53. გოშო გია**

**54. გოჭი** – შესახედაობის გამო. ტანდაც დაბალია.

- 55. გრამო**
- 56. გრიზლი** – ჰგავს.
- 57. დადგენილება**
- 58. დაღალე**
- 59. დაპრუწული** – ტურებდაპრუწული დადიოდა.
- 60. დენისი** – ვინმე დენისი ყოფილა გემის მოგზაური და მისი სახელი დაარქვეს. ჯარში ჩეხო-სლოვაკში შეტაკებებში იყო, ათი დღე დაკარგული იყო, ქელები გადაუხადეს და მერე დაბრუნდა სახლში, ამიტომაც დაარქვეს დენისი.
- 61. დიქტი სერო** – ვაჭრობდა იატაკის დიქტებით.
- 62. დროგი** – მგზავრები დაჰყავდა დროგით, ცხენები ჰყავდა შებმული.
- 63. დულო**
- 64. დუფუ იზო** - (ქალია)
- 65. დუყლო**
- 66. ეგვიპტელი** – ჰგავდა შესახედაობით.
- 67. ენდე გელა** – სულ ამ სიტყვას (ენდეს) ამბობს.
- 68. ედიზარა**
- 69. ეშვიანი ვალიკო** – მამას, ვალიკოს, ჰქონდა ღოჯები. მის შვილებს, სამნი ძმანი არიან, ეშვიანებად მოიხსენიებენ.
- 70. ვარდიქულა**
- 71. ვარდკეცა**
- 72. ვილიკა**
- 73. ზამბილა**
- 74. ზემლო**
- 75. ზიმო** – ციხეში დაარქვეს, რატო არ ვიცი.
- 76. თავადი** – თავადური გვარი აქვს და ნამდვილი თავადი-ვით იქცევა.
- 77. თავგაზა** – დიდი თავი აქვს.
- 78. თათულა** – ბიჭს ჰქვია, დათოს, ცოტა ქალუსიაა და ასე ემახიან.
- 79. თევზი ფხა** – სუსტი იყო, გამხდარი.
- 80. იმედა მარო** – გვარი ჰქონდა იმედაშვილი.
- 81. ინტრიგანი** – ბევრი დადღანი უყვარდა, მოქიფე კაცი იყო.
- 82. იჩი**

- 83. კაბალა**
- 84. კაკაბა** – მომდინარეობს გვარიდან (კაკაბაშვილი).
- 85. კაკალა** – მომდინარეობს გვარიდან (კაკალაშვილი).
- 86. კაკატო**
- 87. კაკაწელა**
- 88. კარტოფილა** – (ქალია) უყვარს.
- 89. კაცური**
- 90. კელა** – ძან შუსტრია, ყოჩალია. პატარაა ტანით და სხარტი იყო ძალიან და კელა დაარქვეს.
- 91. კვიცი** – მამამის ცხენი ჰქვია და ცხენის შვილი კვიცია.
- 92. კვრინჩხი მიშა** – უადგილო ადგილას რო ჩხუბს ადტეხამს, დალაგებული რო არ არის.
- 93. კინტო**
- 94. კიტაია** – ყოყლოჩინობა უყვარს.
- 95. კიტრანა** – დედამ იმშობიარა ყვარელში და დედამ რო მოიკითხა შვილი მამიყვანეთო, ექიმებმა შეუყვანეს. უხ, შენ გენაცვალე, ჩემო კიტრანაო და დაერქვა კიტრანა.
- 96. კიჭა** – ცოტა დიდი კბილები აქვს.
- 97. კლოსი**
- 98. კნაჭო** – გამხდარი, კბილებიც არ ჰქონდა.
- 99. კნიაზი**
- 100. კოდალა** – ცხვირი გრძელი აქვს.
- 101. კოდუხა** – დიდი თავი აქვს, ბაშაკა.
- 102. კოკოლო**
- 103. კორიკო**
- 104. კოსე**
- 105. კოტიტა** – თითები არ ჰქონდა და მაგიტო ეძახდნენ.
- 106. კოწო** – ყველაზე გამხდარი ბიჭი ველისციხეში.
- 107. კუდალა** – დედამისმა დაარქვა ახალშობილს, ჩემი კუდალაო.
- 108. კუკლა მერი** – სილამაზის გამო შეერქვა.
- 109. კუკუჯანა**
- 110. კუნწულა** – ბალს სულ კუნწულ-კუნწულებს კრეფავდა, ასე უყვარდა და შეერქვა.
- 111. კურატა** – მომდინარეობს გვარიდან (კურატაშვილი).

**112. კურდღლი ბულა** – ტანით იყო პატარა და ყოყლოჩინა.

**113. კურკა**

**114. კუტიპარია** – თონეში პურის ცხობის დროს პური რო ჩავარდებოდა ხოლმე, ეს შოთი პური შეიჭმუხნებოდა და ეს პური ნაკვერჩხალში შეიწვებოდა და კუტდებოდა. ძაღლებს აჭმევდნენ ხოლმე მერე. ეს ბიჭი კიდე ესეთ პურს თონიდან იპარავდა და კუტიპარია დაარქვეს.

**115. კუჭა** – თვალი ჰქონდა გამოთხრილი და ამის გამო ეძახდნენ.

**116. კუხნა** – სულ კუხნაშია.

**117. ლაშინი** – ტუჩები ჰქონდა ამობრუნებული, ზემოთაც და ქვემოთაც.

**118. ლეყო** – ტიკტოკერი ლეჟავა მოსწონს და მის გამო შეერქვა.

**119. ლობიო** – უნდილი იყო.

**120. ლოზუნგა** – ბუღალტერი კაცი იყო, ლოზუნგების უსტაბაში.

**121. ლოკოკინა** – გაბერილი იყო ლოკოკინასავით.

**122. ლომა**

**123. ლობე**

**124. ლოჭო**

**125. ლუკუნა**

**126. მაისა**

**127. მანტიორი** – პროფესიის გამო შეერქვა.

**128. მატინოვი**

**129. მაფიოზა**

**130. მაყვლისბუჩქი**

**131. მგელი** – ყველაფერს ჭამს მგელივით.

**132. მებაღე** – მომდინარეობს გვარიდან (მებალიშვილი).

**133. მელილეინკა** – მელილეინკა არის ცხენებშებმული ტაჭკა, ორივე მხრიდან აქვს საფეხური. იმაზე შედგები და ჩამოჯდები. განსაკუთრებული ცხენები ჰყავდა და მგზავრები მიჰყავდა სადგურამდე, ამიტომაც შეერქვა.

**134. მერცხალა** – ყოჩალი და ცოცხალი კაცი იყო მერცხალივით.

**135. მესაათე ვანუშა** – ხელობიდან გამომდინარე, საათებს აკეთებდა.

**136. მიმინო** – შავი, როგორც ყუყა, და ცხვირი აქვს გრძელი, როგორც მართალ მიმინოს.

**137. მოკლე კატო** – სიდაბლის გამო შეერქვა.

**138. მოკუსა**

**139. მორჩილი**

**140. მოსტიკა**

**141. მტევანო** – (ქალია)

**142. მუკუზანა** – მუკუზნელია და მუკუზანა დაარქვეს.

**143. მურა 1** – ძალიან შავი იყო.

**144. მურა 2** – ესეც შავი კაცი იყო გარეგნობით. ერთი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა და მეორე პარკის ბოლოში.

**145. მუქთა** – თავის ოჯახში ეზარებოდა ქეიფი და სხვასთან დაქეიფობდა, ემახიან ქალაქელსაც.

**146. მჭედელი ვალიკო** – ხელობიდან გამომდინარე, მჭედელი იყო.

**147. ნაბია**

**148. ნავთიქულა**

**149. ნალბო**

**150. ნაქაჩა**

**151. ნაყიდო**

**152. ნაწკლერტა**

**153. ნაჭაპანა**

**154. ოტოლა**

**155. ოშოშა** – ტანათ დიდი გაიზარდა და ოშოშა კამეჩსა ჰგავს.

**156. ოჭია**

**157. პაგა**

**158. პანტა სერო**

**159. პაპაილა** – პაპას ჰგავს.

**160. პაყარა** – თმები ჰქონდა წითელი.

**161. პარწიკანა** – გვარიდან მოდის, პარწიკანაშვილები იყვნენ.

**162. პატ(ა)რა მერი** – სიდაბლის გამო ერქვა.

**163. პაცო**

**164. პაწა** – პატარა იყო.



- 165. პაწია** – ტანათ პატარა იყო.
- 166. პინგვინი** – აი, მართლა პინგვინია და იმიტო.
- 167. პიტნა**
- 168. პიწკა** – ამას ერთი პიწკა უნდა და აინთებო. სპიჩკა ვერ თქვა. ბავშვობაში ემახდნენ, ახლა აღარ.
- 169. პლუტი** – მატყუარა კაცსა ექვიან პლუტი.
- 170. პონტერი** – პონტერი ძაღლის ჯიშია.
- 171. პრინწო**
- 172. პუშკინა 1** – ლექსებსა წერს.
- 173. პუშკინა 2** – მასავით გრძელი თმა და გასაპარსი წვერი აქვს, შინაურობაში ემახიან.
- 174. ჟეშტი** – ხელოსანი ბიჭია მანქანების, აბრახუნების მანქანების ჟეშტებს.
- 175. რაინდი** – მამაცი და ყოჩაღი იყო.
- 176. რებითი** – ინგლისურად ნიშნავს კურდღელს, მსგავსების გამო შეერქვა.
- 177. რუსკია** – დედა ჰყავდა რუსი და რო გაიზარდა რუსკი რუსკიო ემახდნენ მეზობლები.
- 178. სალახანა**
- 179. სინათლე** – მამას ჰყავდა ექვსი გოგო, მე-7 ეყოლა ბიჭი და დაარქვეს სინათლე.
- 180. ტაკატო**
- 181. ტალა**
- 182. ტანტალა** – ერთი კაცი დადიოდა, დაფნის ფოთოლს და-დკრეფდა, თბილისში მიჰქონდა გასაყიდად, ცოლმა უთხრა, ოღონდ შენ გატანტალაო. ერთი კვირა დაიკარგებოდა თბილისში, მერე ჩამოვიდოდა.
- 183. ტანწვრილა** – გამხდარია.
- 184. ტაპე გივი** – ფეხები დააჭრეს და არცერთი არ აქვს.
- 185. ტარზანა**
- 186. ტაქსი მაცვალა** – დღე და ღამე ტაქსივით დადიოდა.
- 187. ტაღანა** – პაპამისს ერქვა და შვილიშვილსაც შეერქვა.
- 188. ტიტია** – არ ამხელს თვითონ რატომ ჰქვია, მაგრამ, აი, ნა-ლდი ტიტიაა რა.
- 189. ტილა**

**190. ტოპლო**

**191. ტოტიანი ჟორა 1** – ორი სხვადასხვა ადამიანი იყო, მაგრამ სხვადასხვა სახელით არ განასხვავებდნენ. ერთი სოფლის ბოლოში ცხოვრობდა, მეორე სოფლის თავში და ასე მოიხსენიებდნენ.

**192. ტოტიანი ჟორა 2** – სადაც საქმეზე მივიდოდა, ყველაფერს აკეთებდა.

**193. ტულიყინა**

**194. ტულო**

**195. ტურა** – მომდინარეობს გვარიდან (ტურაშვილი).

**196. უცება** – უცებ გაბრაზდებოდა, აფეთქდებოდა.

**197. ფაზანიჩები** – წითელი და ლაჟღაჟა ლოყები აქვს, როგორც ხოხობს. ემახიან ხოხობასაც.

**198. ფაღავა** – 1. დომინოსა და ბილიარდში ვერავინ უგებდა და პროფესორი ფაღავა ხარო; 2. მანქანა გაუკეთა ვიღაცას და ნამდვილი ფაღავა ხარო.

**199. ფეჩი** – მამამისი აკეთებს და შვილს შეერქვა.

**200. ფოთოლა** – (ქალია)

**201. ფუთე**

**202. ფშაველა** – რატომ ჰქვია არ ვიცი, მაგრამ უბანში რომ შედიოდი, ერთი ხეივანი ვაჟასი იყო და მეორე ფშაველასი, ვაჟა-ფშაველას ხეივანში ცხოვრობთო ხალხი ეუბნებოდათ.

**203. ფხოკო**

**204. ქალაქელი** – სოფლელივით არ დადიოდა, გამოწკეპილი დადიოდა, ქალაქელივით. მუქთასაც ემახიან.

**205. ქალო მერი** – მევენახეობის მასწავლებელი იყო და ყოველი სიტყვის მერე ქალოს ამბობდა. ქალო მერის ვემახდით.

**206. ქაფიანი**

**207. ქაქუნო**

**208. ქაშე**

**209. ქელეხა** – სულ ქელეხებში დადიოდა, იქ უყვარდა სიარული.

**210. ქინქლა** – პატარა, უსუსური იყო.

**211. ქორო** – შავი გაგების ბიჭია.

**212. ქოცო მერაზი**

**213. ქსუი**

**214. ქულ** – ინგლისურად ნიშნავს მაგარს. მაგარი ტიპია თვითონაც.

**215. ქუცანა**

**216. ღამე** – შავი ფერის კაცი იყო ფშაველა და ღამესაც ეძახდნენ.

**217. დელე**

**218. ღლავე** – ოქლაქია, უშნო. ალავერდასაც ეძახიან.

**219. ღორი მიშა** – რო სჭამდა საჭმელს ღორივით, მაგიტომ ერქვა.

**220. ღრინია** – ყველაფერზე იღრინებოდა.

**221. ღუტა**

**222. ყალბი** – მატყუარა იყო.

**223. ყარფუზა** – ბალი მოიყვანა ყარფუზის.

**224. ყარყატი**

**225. ყვაგი შოთა** – შავია.

**226. ყიპა**

**227. ყიტა**

**228. ყიცილიყო** – ძაან უყვარდა დიდი ხმით ლაპარაკი.

**229. ყოყე** – სასაფლაოს ყარაული ხეიბარი კაცი იყო და ასე ეძახდნენ. მიცვალებულებს თხრიდა და ოქროს კბილებს აძრობდა.

**230. ყურები კახა** – გადმოპარტყული ყურები აქვს.

**231. ყურშა** – გადმოპარტყული ყურები აქვს.

**232. შალანა**

**233. შალელა**

**234. შაქარა** – ტიკებს აკეთებდა, მოსაუბრე კაცი იყო, ალბათ ტკბილი საუბარი უყვარდა და შაქარა დაარქვეს.

**235. შეიხი** – მდიდარია.

**236. შიმშილაანი**

**237. შოშია** – მომდინარეობს გვარიდან (შოშიაშვილი).

**238. შტეფცელა** – ნარკოდამოკიდებულია, დადებილებული დადის და ვითომ დენმა სთხლიშა.

**239. ჩიპო**

**240. ჩისტება**

**241. ჩიჩია** – ბევრს ჭამს.

**242. ჩკალოვი** – მანქანას სწრაფად ატარებდა.

- 243. ჩორნა** – გარეგნობის გამო, შავი კაცი იყო.
- 244. ჩოფკა**
- 245. ჩუტო**
- 246. ჩუქში თემო** – ვირს აჩერებენ, ეტყვიან ჩუქშიო. ცოტა მოდებილო ბიჭია და შეიძლება ამიტომ დაარქვეს.
- 247. ჩუქჩიკა**
- 248. ცალტვინა** – ძან გაქეცილი იყო, ვითომ ცალტვინა, მაგრამ ყველაზე მეტი ჭკუა მას ჰქონდა.
- 249. ცაპა**
- 250. ცერცერა** – სულ ცერად იყურება, თვალეზზე პრობლემა აქვს. თავიც გადაცერავებული დააქვს.
- 251. ცეტი თამრიკო** – ხასიათი აქ მასეთი. პირში ვერ ვეძახით, მთლიანი სოფელიც არ ეძახის. უბანში ვეძახით.
- 252. ცეტო** – მანქანა დაჰყავდა გიჟივით და ცეტო დაარქვეს.
- 253. ციყვი** – ჰგავს, გამხდარია.
- 254. ციცქნა** – (ქალია) დაბადებიდან ასე ჰქვია, პატარაა.
- 255. ცხენი** – ცხენივით ხვიხვინებდა.
- 256. ცხენო** – ქალია, ცხენსა ჰგავს. შავია, უსახური და მაღალი. ბავშვებს წიხლებს ურტყავდა გაკვეთილებზე. ჩემი კლასელები ცხენებს უხატავდნენ დაფაზე, სანამ შემოვიდოდა.
- 257. ძაბრია** – ძაბრს ჩაიდებდა პირში და ღვინოს რომ ჩაასხამდნენ ვედროთი, ისე სვამდა.
- 258. ძონძი კუკლა** – სათამაშოების მაღაზიის ნოქარი, პატარა კაცი იყო.
- 259. წარბა** – დიდი წარბები აქვს.
- 260. წვალეზიანი** – სულ შრომობდნენ და სულ წვალეზდნენ, დიდი ოჯახი იყო.
- 261. წილიანი კატუშა** – მოუწესრიგებელი ქალი იყო.
- 262. წიპლიკა** – გვარიდან მოდის.
- 263. წიწაკა** – იყო უბედური ლაყავი, ლანძვია, გათახსირებული კაცი.
- 264. ჭაბალანები** – პაპას ერქვა ჭაბალა და ოჯახი მოიხსენიება ასე.
- 265. ჭაბუკი**
- 266. ჭალა**

- 267. ჰამერამე** – ჰამა უყვარს.
- 268. ჰანა**
- 269. ჰაჰო**
- 270. ჰახრაკა** – ჰახრაკა ნიშნავს კვაჭს, მოხერხებულს. მთელი ველისციხე გაღლიტა, კიოსკი აქონდა და ხუთმაგად ყიდიდა ყველაფერს, ვაჭარი იყო.
- 271. ჰეო** – გვარიდან მოდის (ჰეიმე).
- 272. ჰია**
- 273. ჰიჰია** – ცუდი რამეა და ვერ გეტყვიო.
- 274. ჰოჰიკა**
- 275. ჰუკლია**
- 276. ჰუკრია**
- 277. ჰუტალა** – (ქალია) სულ თვალემმოჭუტული იყურება.
- 278. ჰელინტო**
- 279. ხაშაპანა**
- 280. ხაშლამა** – უყვარს ძალიან.
- 281. ხომო**
- 282. ხოხოზა** – წითელი და ღაჟღაჟა ლოყები აქვს, როგორც ხობს, ეძახიან ფაზანიჩებსაც.
- 283. ხრამოი ჟორა** – რუსულად კოჭლს ნიშნავს, თვითონაც კოჭლი იყო.
- 284. ჯადო**
- 285. ჯიბის რადიო** – შოფერი იყო, სულ ლაპარაკობდა.
- 286. ჯიგარძაღლო**
- 287. ჯიჯღინა** – ზურგს უკან ვეძახით, მასეთი ადამიანია.
- 288. ჯლაგვა** – ბევრი ცხენი ჰყავდა, ტყიური კაცი იყო.
- 289. ჯორიჭამია** – ტრაქტორისტი, სულ ამოთხუპნული იყო და დაუბანელი ხელით ჰამდა საჭმელს და ხორცს რო აიღებდა, ჯორიჭამია შეარქვეს, შენ ჯორი უნდა დაგიკლან, რო გეყოსო.
- 290. ჯოჩი გია** – სუყველა გიას ჯოჩს ეძახიან, როგორც ყველა გიორგის ჟორას ან ჟორსის.

## გამოყენებული ლიტერატურა

**გოგოლაშვილი 2022** – გ. გოგოლაშვილი, ენა და მწერალი, ენა – ულმობელი მსაჯული (დიალოგები). IX ნაწილი. თსუ გამომცემლობა, თბ., 2022.

**გოგოლაშვილი, ხმაღამე 2024** – გ. გოგოლაშვილი, თ. ხმაღამე, ენა და მწერალი და პერსონაჟი, მერიდიანი. თბ., 2024

**გოდერძიშვილი 1998** – ი. გოდერძიშვილი, ეპითეტიანი მეტსახელები ქალაქ სიღნაღში, ქართველური ონომასტიკა, კრებული I, ეძღვნება პროფ. ფარნაოზერთელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998.

**გოდერძიშვილი 2012** – ქ. გოდერძიშვილი, ქართველური ანთროპონიმის ძირითადი საკითხები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.

**კოშორიძე 2004** – ე. კოშორიძე, მეტსახელთა მოტივაციისა და წარმოების შესახებ გარეკახურში: ქართველური ონომასტიკა, კრებული II, ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2004.

**სახლთხუციშვილი 1998** – უ. სახლთხუციშვილი, გვარსახელების ფორმები მეტსახელად, ქართველური ონომასტიკა, კრებული I, ეძღვნება პროფ. ფარნაოზერთელიშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 1998.

**სახლთხუციშვილი 2004** – უ. სახლთხუციშვილი, ქალთა მეტსახელების წარმოებისათვის გარეკახურში, ქართველური ონომასტიკა, კრებული II, ეძღვნება პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2004.

**ღლონტი 1964** – ა. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, ცოდნა. თბ., 1964.

**ღლონტი 1967** – ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, საბჭოთა საქართველო. თბ., 1967.

**შამელაშვილ-ზექალაშვილი 2007** – რ. შამელაშვილ-ზექალაშვილი, მეტსახელთა ნომინაციის საკითხისათვის ახალგაზრდულ მეტყველებაში: ქართველური ონომასტიკა, კრებული III, უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2007.

**ჩხეიძე 2016** – რ. ჩხეიძე, ჟარგონი და მეტსახელები (ენათმეცნიერული ცდა), „ჩვენი მწერლობა“. თბ., 2016.

**ცოცანიძე 1990** – გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე. მეცნიერება. თბ., 1990.

**ცხადაია 2005** – პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბ., 2005.

**ჭუმბურძიძე 2003** – ზ. ჭუმბურძიძე, რა გქვია შენ? ლოგოს პრესი. თბ., 2003.

**NANA SHOSHIASHVILI**

**Structural-Semantic Analysis of Nicknames  
in Kakhetian on the Example of the Village  
of Velistsikhe**

Summary

The paper deals with the unofficial names (nicknames) and their structural-semantic analysis. The nicknames have been recorded in the village of Velistsikhe, the Gurjaani Municipality. The research novelty is that the material on which the work is based on is newly obtained (in 2023-2024) and has not been processed by researchers. The work presents an unofficial attempt to study proper names.

The specific goal of the research was to study the nicknames attested in the village of Velistsikhe. We have explained their semantics, grouped them according to the motivations and functions, presented their structural classification in order to clearly outline the importance of studying them at present.

Based on the collected material, we identified these semantic groups of nicknames, namely, the nicknames with transparent and opaque semantics. In the group of transparent nicknames, we presented the ones

1. expressing the appearance;
2. denoting the behavior-action;
3. expressing the character;
4. given because of the word they said;
5. obtained by simplifying the surname;
6. expressing the profession;
7. signifying the origin;
8. given because of an object of affection;
9. given at birth.

The paper presents grammatical-semantic analysis of nicknames. It is divided into sub-chapters: a) semantic analysis of nicknames; b) epithet nicknames; c) namesake nicknames and d) structural analysis of nicknames.



ენო ცინიზილი

**მეტაგარი სახელების წარმოება კახეთში  
მიგრირებულ მთიულ-გულამაჰრელებში**

ქართულ სინამდვილეში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ამა თუ იმ საგვარეულოსა თუ ოჯახს ოფიციალურ გვარსახელთან ერთად შერქმეული ჯგუფური მეტსახელითაც მოიხსენებენ. განსხვავებით საპასპორტო გვარსახელისაგან, პიროვნების იდენტიფიკაციისას მას არა აქვს იურიდიული სტატუსი, მაგრამ გარკვეულ სოციუმში ამავე ინდივიდის (ან ინდივიდთა ჯგუფის) იდენტიფიცირების პროცესში ჯგუფურ მეტსახელს გაცილებით მეტი სიძახადე შეაქვს. განსაკუთრებით მაშინ, როცა „მოსახლეობის მჭიდრო თანაცხოვრების პირობებში ანთროპონიმთა დამთხვევის დიდი პროცენტის დროს იქმნება სიტუაცია, როცა ე. წ. საპასპორტო გვარ-სახელი უქმია. იგი ერთბაშად რამდენიმე პიროვნებას მიემართება. ასეთ შემთხვევაში აქტიურად ამოქმედდება პარალელური ანთროპონიმული სისტემა- შტოგვარი, რომლის დართვა ძირითად გვარ-სახელზე აკონტროლებს და აზუსტებს დასახელებულ პირს“ (ფურცხვანიძე 2003, 111). იგი ემსახურება იმას, რომ „დაახასიათოს რაღაც ნიშან-თვისებით, სოციალური თუ ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შეასრულოს მისათითებელი, მაორიენტირებელი ფუნქცია“ (მელიქიძე 2005, 92). ჯგუფური მეტსახელები ისტორიულად საერთო-ქართველური ფენომენია. „ძველ საქართველოში წესად ჰქონდათ, რომ, საგვარეულო სახელებს გარდა, გვარის სხვადასხვა შტოების გასარჩევად კიდევ დამატებითს სახელწოდებასაც ურთავდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ ასეთი განმასხვავებელი სახელწოდება ან პაპის მამის ან პაპის სახელისაგან იყო ხოლმე ნაწარმოები... განტოტებას გვარის (ოჯახის) მეთაურის საკუთარი სახელი ან მეტსახელი (თიკუნი) უძევს საფუძველად. გვარის მეტსახელური განტოტება საერთო-ქართველური მოვლენა ყოფილა“ (ლონტი

1986, 43). გვართან დაკავშირებულ მეტსახელთა შინაარსის გადმოსაცემად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სიტყვა გვხვდება: „გვარის განაყოფთა სახელი“, „შტოგვარი“, „გვარზემეტი“, „თიკუნი“, „მისაგნები“, „კილი“, „სახინჯარი“, „ქობის სახელი“ და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამ მნიშვნელობას რამდენიმე ტერმინით აღნიშნავენ. გვხვდება „გვარის განაყოფთა სახელები“, „შტოგვარი“, „მეტგვარი“ ან „გვარზემეტი“, „ოჯახის სახელი“, „მეტსახელი გვარი“. თუმცა, როგორც მიუთითებენ, ისინი შესაძლოა ყოველთვის იდენტური არ იყოს. პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ შტოგვარი განიმარტება როგორც „არაოფიციალური ჯგუფური ანთროპონიმი, გვარის განაყოფის (განშტოების) ზედწოდება, ჩვეულებრივ, მომდინარე ეპონიმის სახელისგან ან მეტსახელისგან“ (ცხადაია 1988, 66-67). აქვეა ახსნილი „მეტგვარიც“: „ჯგუფური მეტსახელის სახეობა, გვარის მეტსახელი. დამატებითი არაოფიციალური სახელი, რომელიც ერქმევა ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ მთელ გვარს მისი ძირითადი მოსაქმეობის, საერთო ნიშან-თვისების, ეპონიმის ან სხვ. მიხედვით“ (ცხადაია 1988, 128-129). „ოჯახის სახელი“ კი ერთი რომელიმე კომლისთვის შერქმეული მეტსახელია. ს. მელიქიძე „მეტგვარს“ აღჭურავს კიდევ უფრო მეტი ფუნქციით და ამ ტერმინოლოგიური სიჭრელისა და უზუსტობისაგან თავის დასაღწევად გვთავაზობს, რადგან ეს უკანასკნელი „გვარის ან კიდევ საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფთა“ სახელებს „ერთი ზოგადი მნიშვნელობის ქვეშ გააერთიანებს“ (მელიქიძე 2005, 91). რ. თოფჩიშვილი სამეცნიერო ტერმინოლოგიაში დასამკვიდრებლად დიალექტურ ფორმას („მამიშვილობა“, „განაყრობა“) ანიჭებს უპირატესობას (თოფჩიშვილი 1996, 96).

ენობრივი ფენომენი, რომლის აღსანიშნადაც ჩვენ „მეტგვარ სახელს“ გამოვიყენებთ, შესწავლილი და გამოკვლეულია ქართველური ენებისა და დიალექტების დონეზე. მოცემულია სემანტიკური და სტრუქტურული ანალიზი, გამოვლენილია საერთო მოდელები და დიალექტური თავისებურებანი (ი. ჩანტლაძე, გრ. ბერიძე, ი. მაისურაძე, ალ. ღლონტი, ბ. ჯორბენაძე, ზ. ფურცხვანიძე, მ. კობიაშვილი, ს. მელიქიძე, ლ. კობაიძე, მ. ქუქჩიშვილი, მ. ფაღავა).

ამ მიზნით ვაკვირდებოდით მთიულეთ-გუდამაყრიდან საუკუნეზე მეტი ხნის წინ კახეთში, სოფელ ზემო ქედში, ჩასახლებული მთიელების სამეტყველო ქცევას. მოვავროვეთ შესაბამისი მასალა ადგილობრივებთან. ამოვკრიბეთ და დავამუშავეთ ეროვნულ არქივში 1948-1950 წლების აღწერის დროს საკომლო დავთრებით შემონახული ინფორმაცია. შევეცადეთ, თავი მოგვეყარა და შემდეგ ფორმობრივი და შინაარსობრივი კლასიფიკაციის მეშვეობით დაგვედგინა, ქმნიან თუ არა თავისებურ სისტემას ზემოქედელ მთიულებში აღნუსხული მეტგვარი სახელები; შეიცვალა თუ არა რამე ამ თვალსაზრისით მეტგვარ სახელთა ტრადიციულ წარმოებაში, რომელიც რელიეფურად მოჩანს გასულ საუკუნეში ფიქსირებულ ტექსტებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში? ეს საკითხი კიდევ უფრო საინტერესო ჩანს პერსპექტივაში, თუკი წარმოდგენილი კვლევის შედეგს შევუდარებთ მთიულ-გუდამაყრელებთან ერთად აქ ჩასახლებული ფშავლებისა და ხევსურების მეტყველებაში ასახულ ვითარებას. ვინაიდან დიალექტთა ურთიერთგავლენის სიღრმე და მასშტაბი მათი კონტაქტის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, თავისთავად საინტერესოა ინტერფერენციის კვალი განსახლების ისეთ არეალში, სადაც საუკუნეზე მეტ ხანს თანაცხოვრობენ მთიულები, ფშავლები, ხევსურები, მოხევეები, ურუმები და მეზობელი აბორიგენი ქიზიყელები.

მთიულურ-გუდამაყრულში (ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად) შტო-გვარის წარმოების ტიპები გამოიკვლია ბ. ჯორბენაძემ (ჯორბენაძე 1993). მეცნიერი ამავე პრობლემას კიდევ ერთხელ შეეხო, როცა შტო-გვარის სახელთა წარმოების ზოგადი პრინციპები ქართველური ენების მასშტაბით წარმოადგინა (ჯორბენაძე 1995). აღნიშნული საკითხის შესწავლას დაეთმო მია კობიაშვილის სადისერტაციო ნაშრომიც „შტო-გვარის აღმნიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში“, სადაც ქართული ენის მთის სხვა დიალექტებს შორის მთიულურ-გუდამაყრულიც არის განაწილებული (მ. კობიაშვილი 1995). ბ. ჯორბენაძე მთიულურ-გუდამაყრულისათვის შემდეგ სურათს წარმოადგენს: შტო-გვარის სახელების საწარმოებლად გამოყენებულია ძირითადად -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი. წარმოების ეს ტიპი გვიჩვენებს რამდენიმე მოდიფიკაციას. კერძოდ, ერთ შემთხვევაში -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ

მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს (ბაკურ-ნ-ი, ბაკურ-თ); მეორე შემთხვევაში -ნ/-თ(ა) დაერთვის -ან, -იან, -ურ სუფიქსებით გართულე-ბულ ფუძეს (ტუხა-ან-ნ-ი, ნანუკ-იან-ნ-ი, ფიცხელა-ურ-ნ-ი; ტუხა-ან-თ, ნანუკ-იან-თ, ფიცხელა-ურ-თ). მ. კობიაშვილი შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელებს ჯერ საწარმოებელი ფუძის მიხედვით ალაგებს, მერე კი მათ კლასიფიკაციას მაწარმოებელი სუფიქსების მეშვეობით ახდენს. საწარმოებელ ფუძეთა მიხედვით, მაგალითად, გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს: ოჯახის უფროსი წინაპრის სახელისაგან წარმომდგარი სახელები („ჭალაში წისქვილს უდგავარ თორღვათ ნანაის ქალიო“ (ელ. ვირს., 1958, 122, 40)); ფეძე პიროვნების საკუთარი სახელი, ოჯახის უფროსი წევრისადმი ან მთელი ოჯახისადმი შერქმეული მეტსახელია, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს სხვადასხვა პიროვნულ ნიშან-თვისებაზე, საოჯახო თუ საგვარეულო საქმიანობასა და თანამდებობაზე, წარმომავლობაზე („ცოდვანთ შიოს ეძახოდენ მაგას, მეჯოგეებს დაშჳრა თავი“ (ლ. კაიშ., 1978, 84, 15)); ავტორი ცალკე ჯგუფად წარმოადგენს სახელებს, რომელთა ფუძეც ცხოველის, ფრინველის, მწერის, ქვეწარმავლის აღმნიშვნელი სიტყვებია („კლღანთ თამარა ხო იცი, ეგა ზიდავდა ფოშტას“ (ლ. კაიშ., 1978, 122, 10)); რაც შეეხება მაწარმოებელი სუფიქსის მიხედვით შტო-გვარის სახელთა გადანაწილებას, მ. კობიაშვილი, არსებითად, იმავე ტიპებზე საუბრობს, რომლებსაც ბ. ჯორბენაძესთან გავეცანით. მოგვყავს ავტორის მიერ დამოწმებული მაგალითები: უშუალოდ ანთროპონიმის ფუძეზე დართული -ნ/-თ სუფიქსი („შალვიათ ივანიასა ბაღლებში უყორს სიცილი“ (აკ. შან., 1951, 179, 30)); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -იან სუფიქსით გართულეულ ფუძეს. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ მთიულურ-გუდამაყრულში უმეტეს შემთხვევაში ფონეტიკურად გამარტივებული, ერთი ნ-ს ჩავარდნით მიღებული, ფორმებია („სანამ ის ბრძოლა არ დამთავრდა, იქ ნამყოფილა, მღვდლიანთას უცხოვრია“ (ლ. კაიშ., 1978, 99, 25)); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ან სუფიქსით გართულეულ ფუძეს („გვიდაქეში ნადირანთ დათუნაძისთვის ეკითხნათ რჩევა“ (ლ. კაიშ., 1978, 202, 20)); -ნ/-თ ფორმანტი მიერთვის -ურ სუფიქსით გართულეულ ფუძეს („იქ ეხლა სამღვარია, ბუქურთ აუშენებიათ, რო არ გადმოვიდენო“ (ლ. კაიშ., 1978, 104, 20));

ამ ფონზე საინტერესოა, რა ვითარებაა კახეთში, დედოფლის-წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში, მიგრირებულ მთიულ-გუდამაყრელთა მეტყველებაში. თავიდანვე შევნიშნავთ, რომ მეტგვარ სახელთა

-ნ/-თ სუფიქსიანი ტრადიციული წარმოების ტიპები ჩვენთვის საინტერესო ენობრივ კოლექტივში, შეიძლება ითქვას, ნაშთის სახით ან გარკვეული მოდიფიკაციებით ჯერ კიდევ შემონახულია. მაგრამ ძველი წარმოების გვერდით უკვე მოჩანს ახალი წაროება, სადაც -ნ/-თ სუფიქსიანი მრავლობითი -ებ სუფიქსიანი მრავლობითითაა ჩანაცვლებული.

თითქმის რარიტეტის სახითაა შემონახული წარმოების ის ტიპი, სადაც ძველი -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ დაერთვის ანთროპონიმის ფუძეს:

<b>კედელანი</b>	(კედელათ)	< <b>კედელაშვილი</b>
<b>მიყორანი</b>	(მიყორათ)	< <b>მიყორაშვილი</b>
<b>მკერვალნი</b>	(მკერვალთ)	< <b>მკერვალიძე</b>
<b>კობანი</b>	(კობათ)	< <b>კობაიძე</b>
<b>ოგბანი</b>	(ოგბათ)	< <b>ოგბაიძე</b>
<b>ნადიბანი</b>	(ნადიბათ)	< <b>ნადიბაიძე</b>

ამ უკანასკნელთან შედარებით საკმაოდ ძლიერი და პროდუქტიულია წარმოების ტიპი, სადაც -ნ/-თ სუფიქსი დაერთვის -ან, -იან, -ურ ბოლოსართებით გართულებულ ფუძეებს:

<b>ციხიანი</b>	(ციხიანთ)	< <b>ციხიშვილი</b>
<b>ლაზვიანი</b>	(ლაზვიანთ)	< <b>ლაზვიაშვილი</b>
<b>ქურციკიანი</b>	(ქურციკიანთ)	< <b>ქურციკიშვილი</b>
<b>მოთიანი</b>	(მოთიანთ)	< <b>მოთიაშვილი</b>
<b>გვრიტიანი</b>	(გვრიტიანთ)	< <b>გვრიტიშვილი</b>
<b>გუდაანი</b>	(გუდაანთ)	< <b>გუდაშვილი</b>
<b>ციხელაანი</b>	(ციხელაანთ)	< <b>ციხელაშვილი</b>
<b>ხარებაანი</b>	(ხარებაანთ)	< <b>ხარებაშვილი</b>

ყველა ზემოჩამოთვლილი მაგალითისათვის სახელობით ბრუნვაში ამოსავალია ორი ნ-ს შემცველი ფორმა, რომელთაგან ერთ-

თი -ან/-იან სუფიქსისეულია<sup>1</sup>, მეორე კი- მრავლობითობის ნიშანია (\*ლაზვიანნი, \*ციხელაანნი). მაგრამ, როგორც მითითებენ, ჯერ კიდევ მთიულეთ-გუდამაყარში, მიგრაციამდე, „უმეტეს შემთხვევაში გვაქვს ფონეტიკურად გამარტივებული ფორმები (ერთი ნ-ს ჩავარდნით მიღებული)“ (კობიაშვილი 1995, 67). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როცა იშვიათობად ქცეულ და -ან/-იან სუფიქსებით გართულებულ მეტგვარ სახელებზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გვარებისაგან წამომდგარი სახელები. რაც შეეხება ეპონიმისაგან ან მეტსახელისაგან მომდინარე მეტგვარებს, აქ -ან/-იან სუფიქსები უალტერნატივოა (სათანადო მაგალითებს ქვემოთ სემანტიკური კლასიფიკაციისას შესაბამის მსჯელობასთან ერთად წარმოვადგენთ).

**ჩოქურნი** (ჩოქურთ) < **ჩოქური**

**ბუბუნაური** (ბუბუნაურთ) < **ბუბუნაური**

როგორც აღვნიშნეთ, წარმოების ამ ტიპთან ვხვდებით გარკვეულ მოდიფიკაციებსაც. მაგალითად, ხშირად -ან/-იან სუფიქსებით გართულებულ ფუძეში შენარჩუნებულია გვარსახელთა მაწარმოებელი -მე, -ურ (-ულ) ფორმანტიები:

**სუნტიძენი** (სუნტიძენთ) < **სუნტიძე**

**გაგამენი** (გაგამენთ) < **გაგამე**

**ბუჩუკურიანი** (ბუჩუკურიანთ) < **ბუჩუკური**

ადგილნაცვალი მთიულ-გუდამარელების მეტყველებაში ინოვაციად შეიძლება მივიჩნიოთ ოდენ-ებ-სუფიქსიანი წარმოება. ახალი წარმოება იგუა მთიულური გვარსახელების თითქმის ყველა მაწარმოებელმა სუფიქსმა (წარმოების უახლეს ინოვაციადაა მიჩნეული აღნიშნული წარმოება სხვა დიალექტებთანაც (ჯორბენაძე 1995, 425)):

**გოგიშვილები** (გოგიშვილების) < **გოგიშვილი**

**ქაწაშვილები** (ქაწაშვილების) < **ქაწაშვილი**

**ზაქაიძეები** (ზაქაიძეების) < **ზაქაიძე**

**ბეგოიძეები** (ბეგოიძეების) < **ბეგოიძე**

**ჩიტაურები** (ჩიტაურების) < **ჩიტაური**

---

<sup>1</sup> -ან სუფიქსის უძველესი ქართველური წარმომავლობისა და მისი პირვანდელი ფუნქციის – კრებითობა-კორპორატიულობისა და წარმოშობა-სადაურობის მნიშვნელობის შესახებ იხ. ჯანაშია 1959, 34-47.

**პარკაულები** (პარკაულების) < **პარკაული**

**როხლები** (როხლების) < **როხელი**

**ბუთხუზები** (ბუთხუზების) < **ბუთხუზი**

გვხვდება იშვიათი მოდიფიკაციაც, რომელიც ძველისა და ახლის საინტერესო სიმბიოზი უნდა იყოს. თუმცა აქ ძველი მრავლობითის, როგორც ფორმობრივი, ისე შინაარსობრივი, კვალი დაფარულია. იან-სუფიქსიც ფუძის ნაწილადაა გააზრებული და კრებითობა-ჩამომავლობის მნიშვნელობის გამოხატვა -ებ სუფიქსს უტვირთავს. ამიტომაც შესაბამისი ირიბი ბრუნვების თან-იანი ფორმა არც დასტურდება:

**ბურჟუკურიანები** (-)

**გვრიტიანები** (-)

ასე რომ, ერთი და იმავე გვარისაგან წარმომდგარი სახელი ორი და ზოგჯერ სამი პარალელური ფორმითაც შეიძლება მოგვევლინოს:

**გვრიტიანი** (გვრიტიანთ) // **გვრიტიშვილები** (გვრიტიშვილების) // **გვრიტიანები** (-)

**ნადიბანი** (ნადიბათ) // **ნადიბაიძეები** // (ნადიბაიძეების) // **ნადიბაიძენი** (-)

**ჩოქურნი** (ჩოქურთ) // **ჩოქურები** (ჩოქურების)

**ბურჟუკურიანი** (ბურჟუკურიანთ) // **ბურჟუკურები** (ბურჟუკურების) // **ბურჟუკურიანები** (-)

შევცადეთ, სოფელ ზემო ქედში ჩასახლებულ მთიულ-გუდამაყრელთა მეტყველებაში საანალიზოდ მონიშნული მეტგვარი სახელები საწარმოებელი ფუძის მიხედვით სემანტიკურ ჯგუფებად გაგვეერთიანებინა.

მეტგვარ სახელთა ერთი ნაწილი ოჯახის გვარისახელისგან იწარმოება:

**ხეტიანი** (ხეტიანთ) < **ხეტეშვილი** ჯავარა მამუკას ასული

**ლაზვიანი**(ლაზვიანთ) < **ლაზვიაშვილი**

**ქურციკიანი**(ქურციკიანთ) < **ქურციკიშვილი**

**გვრიტიანი** (გვრიტიანთ) < **გვრიტიშვილი**

**მკერვალნი** (მკერვალთ) < **მკერვალიძე**

**ნადიბანი** (ნადიბათ) < **ნადიბაიძე**

**ჩოქურნი** (ჩოქურთ) < **ჩოქური**

**ბუბუნაური** (ბუბუნაურთ) // < **ბუბუნაური**  
**მამულაიძენი**(მამულაიძენთ)< **მამულაიძე**

გაცილებით დიდ ჯგუფს ქმნიან ეპონიმური სახელისაგან წარმომდგარი მეტგვარი სახელები. ამგვარ სახელთა ფუძედ მოიაზრება ოჯახის წინაპრის (პაპის, პაპის მამის, პაპის პაპის) ან ოჯახის უფროსის/ მამის სახელი. იმ განსხვავებით, რომ თუ წინაპრის სახელით ამ წინაპრის ჩამომავალ რამდენიმე თაობას და, შესაბამისად, რამდენიმე ოჯახს მოიხსენებენ, ოჯახის უფროსის სახელი რომელიმე ცალკეულ კომლს მიემართება. და კიდევ ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: როცა წინაპრის სახელით ხდება სახელდება (თუკი ამ უკანასკნელმა თავი დაიმკვიდრა და ნომინაციის ობიექტად დარჩა), აღარავინ იკითხავს, „ვინ სოლომნიანთიო?“. მაგრამ პიროვნების იდენტიფიცირებისას ოჯახის უფროსის/მამის სახელმა შეიძლება მხოლოდ პატარა უბანში შეასრულოს თავისი ფუნქცია, რადგან ნაკლებად შესაძლებელია, იქ ერთ პიროვნებას ბევრი სეხნია ჰყავდეს. მაგრამ ისეთ დიდ სოფელში, როგორც ზემო ქედია, ოჯახის უფროსის/ მამის სახელს შეიძლება დაკონკრეტება დასჭირდეს. იკითხავენ, „ვინ ოთარანთიო?“. სწორედ ამიტომ მათზე განცალკევებით აღარც ვისაუბრებთ.

როგორც ვთქვით, წინაპარი შეიძლება იყოს პაპა, პაპის მამა ან პაპის პაპაც:

**შაშოანი**(შაშოანთ) < ბერიანიძე **შაშო** მიტროს ძე

**ირემანი** (ირემანთ) < წიკლაური ანდრო **ირემას** ძე

**პეტოანი** (პეტოანთ) < ბექაური **პეტო** პავლეს ძე

**ყარამანაანი** (ყარამანანთ) < ქავთარაძე **ყარამანი** დავითის ძე

**გლახაანი** (გლახანთ) < ბუქური პავლე **გლახას** ძე

გვერდით ცხოვრობენ ბიძაშვილები, მაგრამ ბუქური ბასილის შთამომავლები „ბასილაანი“ ვერ გახდნენ. რატომ?

**ბეჟანიანი** (ბეჟანიანთ) < ბუთხუზი **ბეჟანი** თედოს ძე

**სოლომნიანი** (სოლომნიანთ) < პატაშური ბესო **სოლომანის** ძე

**დათაანი** (დათაანთ) < ბუჩუკური **დავითი** გიორგის ძე

**ლეგანი** (ლეგანთ) < ხეტეშვილი **ლეგა** სიმონის ძე

**გივიანი** (გივიანთ) < ბურდული **გივი** გურასპის ძე

**სიხაანი** (სიხანთ) < ბექიშვილი იობა **სიხას** ძე

**სიჯანაანი** (სიჯანანთ) < წიკლაური სანდრო **სიჯანას** ძე



**ტეფიანი**(ტეფიანთ) < წიკლაური მიშა **სტეფანეს** ძე

ცალკე უნდა ვახსენოთ წინაპრის სახელისგან წარმომდგარი მეტგვარი საკომლო სახელი, რომელიც რუსული ყალიბით გვხვდება:

**გერმანიჩიანი** (გერმანიჩიანთ) < გოგიშვილი **გერმანა** ივანეს ძე შენიშნულია, რომ მთის დიალექტებში „ასეთ შემთხვევაში, განურჩევლად დიალექტისა, გამოყენებულია ძირითადად მამაკაცის სახელები“ (კობიაშვილი 1995, 34). თუმცა ჩვენთვის საინტერესო გეოგრაფიულ არეალში მეტგვარი სახელის ფუძედ დედაკაცის (ბებინის, დედის) სახელის არსებობაც რეალური ფაქტია:

**დედუკაანი** (დედუკაანთ) < პაპიაშვილი ალექსი გიგოლას ძე (**დედუკა** ალექსის დედაა, მესამე-მეოთხე თაობის შთამომავლებს სოფელში დღესაც „დედუკაანთ“ ეძახიან).

1915-1918 წლების გენოციდისას ოსმალეთის იმპერიიდან გამოქცეულმა რამდენიმე სომხურმა ოჯახმა ქედებს, მათ შორის ზემო ქედსაც, შეაფარა თავი. მიგრანტმა მთიელებმა, რომლებიც ლტოლვილ სომხებს „ბეჟენცებს“ ეძახდნენ, არამართო შირაქის ბარაქიანი მიწა და კეთილი გული გაუნაწილეს მოსულებს. მათ საკუთარ ყალიბში მოაქციეს არაქართველი თანასოფლელის მეტგვარი სახელიც. მაგალითად:

**ვიტისაანი** (ვიტისაანთ) <მისეილოვი **ვიტისა** ჯავათას ძე.

მეტგარ სახელად გვხვდება ასევე შერქმეული სახელიც, რომელიც შეიძლება იყოს ოჯახის წინაპრის, ოჯახის უფროსის დაზოგჯერ რომელიმე წევრის ზედმეტსახელი. ზედმეტსახელით ნაწარმოები მეტგვარი სახელი საუკეთესო „მისამართის“ ფუნქციას ასრულებს. აქაც შეიძლება რამდენიმე ქვეჯგუფის გამოყოფა. შესაძლოა მეტგვარი სახელის ფუძედ გამოყენებული იყოს პიროვნების გარეგნული იერ-სახის, ხასიათის ნიშან-თვისებისა და უნარ-შესაძლებლობების აღმნიშვნელი სიტყვები:

**კოხტოანი** (კოხტოანთ) < **კოხტო** (სიმპათიური, წარმოსადეგი კაცი იყო);

**შოლტაანი** (შოლტაანთ) < **შოლტაი** (მაღალი და გამხდარი კაცი იყო);

**მოკლიაანი** (მოკლიაანთ) < **მოკლიაი** (დაბალი კაცი იყო);

**მელიაანი** (მელიაანთ) < **მელიამ** (ემმაკი, ენაკვიმატი კაცი იყო);

**წინწალაანი** (წინწალაანთ) < **წინწალამ** (წინწალივით სწრაფი, ჩინებული მოცეკვავე ყოფილა);

**კუპრიჩიანი** (კუპრიჩიანთ) < **კუპრიჩი** („კუპრიჩი“ სანდრო იოსების ძეა. სანდროს მამას, იოსებს, კანის ფერის გამო მეტსახელად „კუპრად“ რქმევია. შვილს „კუპრიჩს“ ეძახდნენ, ოჯახის წევრებს კი – „კუპრიჩიანთ“).

ჩვენთვის საინტერესო ენობრივი ერთეული შესაძლოა ნომინაციის ობიექტის ეთნიკურ წარმომავლობასა და მის უწინდელ საცხოვრებელზე მიუთითებდეს. მითუმეტეს, როცა გვარი დიდია, რომელიმე ოჯახის სახელდებისას მიგრაციამდელი საცხოვრებელი ადგილის სახელწოდების გამოყენება ლოგიკურია:

**ჩაბარუხიანი** (ჩაბარუხიანთ) < **ჩაბარუხი** (მთიულეთის არაგვის მარჯვენა შენაკადი 6-კილომეტრიანი მდინარე ჩაბარუხი და ამავე დასახელების სოფელი. იქვეა სოფელი ქავთარანი. ზემო ქედში ეძახიან ქავთარაძეების ერთ ოჯახს. გვარი დიდია);

**წიფორლიანი** (წიფორლიანთ) < **წიფორი** (2014 წლის აღწერით 3-კომლიანი სოფელი მთიულეთში, ფასანაურის თემში. ეძახიან პატაშურების ორ ოჯახს. გვარი დიდია);

**დიხროვლიანი** (დიხროვლიანთ) < **დიხრო** (სოფელი მთიულეთში, გუდამაყრის თემში. ეძახიან წიკლაურების ერთ ოჯახს);

**ქისტანი** (ქისტანთ) < **ქისტი** (ბებია ჰყოლიათ ქისტი);

**მთიულაანი** (მთიულაანთ) < **მთიული** (დღესაც ამ სახელით მოიხსენებენ კედელაშვილების ერთ ოჯახს, რომელიც თითქმის ყველაზე გვიან, 1969 წელს, ჩამოსახლდა ზემო ქედში. მ. კ. ინტერვიუში ამბობს: „ჩვენ რო აქ ჩამუედით, მთიულაანთ გვეძახოდენ... მე მითხრიან კე, შენი ქმარი როგო... ყბებსა ძგრეხავსო“ (ციხიშვილი 2019, 212-218). „ყბების გრეხვა“ ამ შემთხვევაში გრძელი ხმოვნების წარმოსათქმელი საარტიკულაციო მოძრაობაა. 50-80 წლის წინ ადგილნაცვალი მთიულებისთვის უკვე გაუცხოებული იყო მშობლიური დიალექტისათვის დამახასიათებელი გრძელი ხმოვნები. უცნაურია, თავად მთიულები „მთიულაანთ“ ეძახიან და ამით თითქოს ემიჯნებიან კიდევ ახალმოსახლე მთიულებს).

ზოგი მათგანი რაიმე ხელობის ან საქმიანობის მიხედვით შე-  
რქმეული მეტსახელიდან მომდინარეობს:

**მეჯოგიანი** (მეჯოგიანთ) <**მეჯოგი** (კოლმეურნეობის მეცხენე-  
ობის ფერმის გამგე, სოციალისტური შრომის გმირი იყო);

**მეჟესტიანი** (მეჟესტიანთ) <**მეჟესტი** (მეთუნუქეა);

**თავჯდომარიანი** (თავჯდომარიანთ) <**თავმჯდომარე** (სოფელ  
ზემო ქედის ერთ-ერთი, წითელი ვარსკვლავის, კოლმეურნეობის  
თავმჯდომარე იყო).

გვხვდება ისეთებიც, სადაც ნომინაციის მოტივი უკვე ბუნდო-  
ვანია: ხაფანგაანი, დურბინდაანი, ცვეთიანი, პაკლიანი. ალბათ,  
თავგადასავალები, რეალური ისტორიებია შენახული თითოეული  
ასეთი სახელის უკან, როგორც ეს ე. წ. „დათვიმიშაანთ“ შემთხვევაში  
იყო. ეს სახელი ჩემთვის ყოველთვის ასოცირდებოდა დენოტატთან,  
რომელიც რაღაცით დათვს ჩამოჰგავდა. და, აი, სულ ახლახანს, დე-  
დოფლისწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალი შირაქის“ 1949 წლის 27  
აგვისტოს ნომერში ახალგაზრდა მონადირის, მიშა ბექაურისა და  
დათვის ორთაბრძოლის დაუჯერებელ ისტორიას გადავაწყდი, სა-  
თაურით „დათვზე ნადირობის იშვიათი შემთხვევა“. მდინარე  
ალაზნის ჭალაში დაჭრილმა ნადირმა მონადირეს ჯერ ქვების სრო-  
ლა დაუწყო, მერე კი მისკენ გაექანა. მიშას ტყვიები უკვე გასთავებო-  
და და მხოლოდ ხანჯალმა იხსნა დათვის ტორებისაგან. დაღლილი  
ბექაური სოფლისკენ გაიქცა, დათვმა მკერდიდან ამოიგლიჯა ხანჯა-  
ლი და ხევში დაგორდა. მკვდარი დათვი მოსახლეობამ დილით ნა-  
ხა. სახელდების მოტივი გასაგებია - თავად დათვი უნდა იყო, ხელ-  
ჩართულ ბრძოლაში რომ დათვი დაამარცხო.

მეტგვარი სახელის ფუძედ ზოგჯერ ისეთი სიტყვები გვხვდე-  
ბა, რომელსაც სახელდების ობიექტი სპეციფიური არტიკულაციით  
წარმოთქვამდა ან კიდევ ამოჩემებული ჰქონდა:

**ტრიციანი** (ტრიციანთ) < тридцать три (ამას გამოთქვამდა დე-  
ნოტატი როგორც „ტლიციტლი“. გამორჩეული არტიკულაციის გამო  
შეარქვეს).

1930-იანი წლების რეპრესიებს გადარჩენილი და პატიმრობა-  
გამოვლილი მოხუცის მიერ ამოჩემებული რუსული გამოთქმის („ნი-  
უჟელი“ неужели ) გამო მოხუცს **ნიუჟელამ** ერქვა, ოჯახობას **ნიუჟე-  
ლანთ** ეძახდნენ.

მოვიყვანთ უცხო სიტყვებით ნაწარმოები მეტგვარი სახელის მაგალითს, რომელსაც აქვე ქართული შესატყვისიც მოეპოვება:

**სუბოტანი** (სუბოტანთ) <**სუბოტა** (Суббота)

**შაბათანი** (შაბათანთ) <**შაბათა**

როცა სემანტიკურ ჯგუფებად განაწილებულ მეტგვარ სახელებს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის ყველაზე პროდუქტიული ეპონიმებისგან, უფრო კი მეტსახელთაგან, წარმომდგარი სახელებია. ალბათ, იმიტომაც, რომ მათ ყოველთვის უშეცდომოდ მივყავართ ადრესატამდე. სამართლიანად არის შენიშნული: მეტსახელთა დარქმევის ტრადიცია უძველესი ეპოქებიდან მომდინარეობს... რომელიც ხალხის ალღოიანი დაკვირვების, ცხოველი ფანტაზიის, მისი დალხინება-გაჭირვებისა, თუ მახვილი იუმორისა და პოეტური ნიჭის გამონაშუქია (მაისურაძე 1979, 26-27).

დასკვნისათვის კი შეიძლება ითქვას, რომ კახეთში, სოფელ ზემო ქედში, ჩასახლებული მთიულ-გუდამაყრელების მეტყველებაში მეტგვარი სახელების წარმოება ძირითადად ასახავს იმ ვითარებას, რაც, ზოგადად, მთიულური დიალექტისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა, როგორც ვნახეთ, შეინიშნება გარკვეული თავისებურებანიც. კერძოდ, იშვიათობადაა ქცეული ოდენ-ნ- სუფიქსიანი წარმოება (როცა მრავლობითობის -ნ/-თ სუფიქსი უშუალოდ მიერთვის ანთროპონიმის ფუძეს: მკერვალნი / მკერვალთ; ჩოქურნი / ჩოქურთ); სამაგიეროდ თვალშისაცემია ძველი მრავლობითის ადგილას ახალი -ებ სუფიქსიანი წარმოების გაჩენა (გოგიშვილები / გოგიშვილებს (-ის, -მა); ქავთარაძეები / ქავთარაძეებს (-ის, -მა)), რასაც ინოვაციად მივიჩნევთ; აქვე დასტურდება მოდიფიკაციები -ან, -იან, -ურ, -ძე სუფიქსების მონაწილეობით (გაგაძენი, ბუჩუკურიანი), რაც, ასევე, გვიანდელი ფაქტი ჩანს.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**ბერიძე 1972** – გრ. ბერიძე, გვარის განაოფთა სახელების წარმოება ჯავახურში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, თბ., 1972.

**თოფჩიშვილი 1997** – რ. თოფჩიშვილი, მთიულეთის, დუდა-მაყრის, ხანდოსა და ჭართლის ეთნოგრაფიული მასალები, თბ., 1997.

**თოფჩიშვილი 1997** – რ. თოფჩიშვილი, ქართული მემკვიდრეობითი სახელებისათვის, ქართველური მემკვიდრეობა, I, თბ., 1997.

**კობიაშვილი 1995** – მ. კობიაშვილი, შტო-გვარის ადმინიშვნელი გვარ-სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში (დისერტაცია), თბ., 1995.

**მაისურაძე 1979** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1979.

**მელიქიძე 2005** – ს. მელიქიძე, ონომასტიკური ძიებანი, I, თბ., 2005.

**ფურცხვანიძე 2003** – ზ. ფურცხვანიძე, ზესარიონ ჯორბენაძეს, თბ., 2003.

**ღლონტი 1986** – ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპონიმთა ლექსიკონი, თბ., 1986.

**ციხიშვილი 2019** – ნ. ციხიშვილი, მთიულური ტექსტები, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 2019.

**ცხადაია 1988** – პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

**ჯანაშია 1959** – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959.

**ჯორბენაძე 1993** – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

**ჯორბენაძე 1995** – ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

**NINO TSIKHISHVILI**

**The Production of Surname-Nicknames Among  
Mtiuletian-Gudamakrians Migrated  
to Kakheti**

Summary

In Kakheti, in the village of Zemo Kedi, the Dedoplistskaro Municipality, the production of surname-nicknames in the speech of Mtiuletian-Gudamakrians, who settled there more than a century ago, mainly reflects the situation that is, in general, characteristic of the Mtiuletian dialect. However, some peculiarities can be found. In particular, the production with only the suffix **ni-is** very rare (when the plural suffix **-n/-is** directly attached to the anthroponym base: **mķervalni/mķervalt; čokurni/čokurt**); On the other hand, the appearance of the new production with the suffix **-ebi** instead of the plural suffix **-n/-t** is evident (**gogišvilebi/gogišvilebs (-is, -mt)**); **kavtarazeebi/kavtarazeeps (-is, -ma)**), which we consider an innovation; The modifications with the participation of the suffixes **-an, -ian, -ur, -ze (gagažeani, bučukuriani)** are attested, which also seems to be a fact of the later period.

გარიამ ხუბუნია

მეტრიკული დრო მებრულ ზეპირსიტყვიერებაში:  
ენობრივი ასახვის სინთეზური განაწილების  
პრინციპები

### 1. შესავალი

ზეპირსიტყვიერება მრავალფეროვან მასალას მოიცავს. მასში გაერთიანებულია ხალხში ფართოდ გავრცელებული უძველესი ფოლკლორული ჟანრები, რომელთა უნივერსალურობასა და ზოგად მახასიათებლებზე სამეცნიერო ლიტერატურაში ფართო მსჯელობაა მოცემული; კერძოდ, ზურაბ კიკნაძე წერს: „ყოველი ნაყოფი ხალხური შემოქმედებისა – მცირე ლექსი იქნება ის თუ ვრცელი ეპოსი, რომელიც თავისი ჟანრის ფარგლებში არსებობს, მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ რომელიმე სფეროსთან. და, შეიძლება ითქვას, რამდენი მხარეც აქვს ადამიანურ ყოფას მის სულიერ-ნივთიერ გამოხატულებაში, ზეპირსიტყვიერების იმდენსავე ჟანრს იცნობს ფოლკლორული შემოქმედება. ამიტომაც ფოლკლორული ჟანრის ცნება ყოფაში მისი ფუნქციით უნდა განისაზღვროს. ლიტერატურულ ჟანრებს ამგვარად ვერ განვსაზღვრავთ, რადგან მათ არანაირი შეხება არა აქვთ ყოფასთან“ (კიკნაძე 2007:45). ცხადია, ზეპირსიტყვიერების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა არსებობა. ეს მით უფრო ითქმის ადრეულ ეპოქაზე, იმ დროზე, როცა ტექსტების ჩაწერის საშუალება არ იყო; მასალათა გავრცელების ზეპირმა ფორმამ შემოგვინახა ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები. ის ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ესენია: ლექსი, ზღაპარი, შელოცვა, ანდაზა თუ სხვ.

ნაშრომში წარმოჩენილია მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მეტრიკული დროის ამსახველი ენობრივი მონაცემების სინთეზური განაწილების სურათი.

## **2. მეტრიკული დრო და მისი ენობრივი ასახვა მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში**

თუ მანამდე ადამიანები დროს ყოფდნენ და აკონკრეტებდნენ სხვადასხვა გარეგანი ფაქტორების დახმარებით, მაგალითად: სხვადასხვა ციური სხეულის გამოჩენითა და გაქრობით, ცოცხალი ორგანიზმების დაძინება-გაღვიძებით, მწვანე მცენარეული საფარის გამოჩენა-გაქრობითა და სხვა ამგვარი საშუალებებით, საუკუნეების შემდეგ ჩვენ მივიღეთ განსხვავებული სურათი. ამჟამად გახდა, რომ კაცობრიობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახალ ეტაპზე გადავიდა და დინამიკურ სამყაროში შემოიღო **მეტრიკული** დროის ცნება. მეტრიკული დრო აღნიშნავს თვლად ერთეულებს და დროსაც მეტად აზუსტებს. დროის სხვა მონაკვეთებისაგან განსხვავებით, „*დროის მეტრიკული მონაკვეთები აღნიშნავენ არაფარდობით, თვლად ერთეულებს – წელი, თვე, კვირა, დღე... ისინი წარმოგვიდგებიან როგორც დროით ბუნებრივ მოვლენათა რიტმულ ცვალებადობაზე დამყარებული დროითი ერთეულები, რომელთა რიგი, ჩვეულებრივ, თავისუფალია და შეიძლება დამოკიდებული იყოს გარეგან, კონვენციურ, ფაქტორებზე (შდრ.: წლის დასაწყისი თვის ვარიანტები სხვადასხვა კულტურაში და მისთ)*“ (ქობალავა 2020:130).

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ციკლურ დროით მონაკვეთებს. ისინი წარმოდგენილი იქნება სწორედ იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მიღებულია ზოგადად ენაში და, კონკრეტულად, ჩვენს ენობრივ მსოფლალქმაში.

### **2.1. წელი, წელიწადი მეგრული მასალების მიხედვით**

კონკრეტულ მეტრიკულ დროებს შორის ყველაზე დიდი მონაკვეთია **წანა, წარმოწანა** (ქართ.წელი, წელიწადი). მასთან მიმართებით კი განისაზღვრება დროის სხვა მონაკვეთები, კერძოდ, **წლის დროები, თვეები, დღეები, დღე-ღამის მონაკვეთები**.

თავდაპირველად ქართველთა მოდგმის ტომები წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ უძველესი უნდა ყოფილიყო **მთვარის** წელიწადი. მთვარე ძველისძველ ხანაში ქართველთა მთავარი ღვთაება იყო, ქართველებმა მისი სახე-



ლით **თთუე>თვე**, მეგრულად **თუთა**<sup>1</sup> აღნიშნეს. მთვარის წელიწადი ჩვენთანაც ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც, თუნდაც, ძველ ირანში. შემდეგში საქართველოში მთვარის წელიწადი შეუცვლია **მზის** წელიწადს. ეს სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა იგივე მოვლენა იყო, მაგალითად, ირანსა და სომხეთში. ირანულ-სომხური ელემენტები ქართული თვეების დასახელებაში მაჩვენებელია იმისა, რომ მათი შემოსვლიდან ჩვენში დამყარდა ისეთივე მზის წელიწადი, როგორც მიღებული იყო ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში. შემდეგ ჩვენში უნდა დამყარებულიყო **უძრავი** წელიწადი. ხშირად ქვეყნები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ რომაელთა წელიწადისთვის. რომაელებს ადგილობრივი მოძრავი წლის ნაცვლად შეჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში უძრავი წელიწადი და, ცხადია, ასე უნდა მომხდარიყო ჩვენთანაც. როდის? ზუსტად არ არის ცნობილი, თუმცა საფიქრებელია, მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა რომაელთა გავლენის ქვეშ მოექცა (კეკელიძე 1956). ეს იქნებოდა უფრო გვიან (ალბათ, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე); ე.ი. მანამდე ჩვენში მიღებული კალენდარი შეცვალა რომაულმა (იულიუსის) 365-366-დღიანმა კალენდარმა. აქედან გამომდინარე, საქართველოში ნელ-ნელა დამკვიდრდა ამჟამადაც მოქმედი მზის უძრავი წელიწადის სისტემა, თუმცა თვეების თანმიმდევრობაში და ასევე მათ სახელწოდებებში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება (ქობალავა 2020).

მეგრული **წანა** „წელი“ უნდა განეკუთვნებოდეს ქართულ-ზანური ერთიანობის პერიოდს. წლის სიმრავლე მეგრულში გამოიხატება რაოდენობითი და განუსაზღვრელობითი შინაარსის რიცხვით სახელებთან შესიტყვებით: მეგრ.: *სუმი წანა, ბრელი წანა*, შდრ.: ქართული: *სამი წელი, ბევრი/უთვალავი წელი* და სხვ.

- (1) ომ **წანას** იფცოცხლენი,  
იბრკე, ვარა მა ვებძინა.  
„ასი წელი რომ ვიცოცხლო,  
ვიკლებ, თორემ მე არ ვიმატებ“.  
(ტ. I, 164).

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მეგრულში ლექსემა „თუთა“ ორივე მნიშვნელობას ითავსებს: 1. მთვარე, 2. თვე.

მხოლოდ ერთი წლის მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვდეს ქართული „წელიწადი“ და იმავე მნიშვნელობის მეგრული „წარმოწანა/წანმოწანა“. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში არ საჭიროებს რაოდენობითი რიცხვითი სახელის დართვას (ქობალავა 2020).

(2) **წარმოწანა**ქ მიკილუ თი დღამ უკული (ექსპედიციის მასალები) „წელიწადი გავიდა იმ დღის მერე“.

(3) ათე უოროფა მუშ მანწარა რე, „ეს სიყვარული რა მწარეა, მონგარუანს **წანმოწანა** რე. მატირებს წელიწადია.

(ტ. I, 156).

(4) თიჯგურა მოცადინექ იყიის, **წანმოწანას** ჯგირი დუქანი გოგუმანწყიის Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, 39, 2 (320, 22) „ისეთი საქმიანი გამოდგენენ, ერთ წელიწადში კარგი დუქანი გამოაწყვეს“.

მეგრულში *წარმოწანა* „წელიწადი“ და *წანა* „წელი“ ერთი წლის მნიშვნელობით გამოიყენება. ისინი დიფერენცირებულია რიცხვითი სახელების დართვის თვალსაზრისით: *წარმოწანა* მხოლოდ „წელიწადია“= „ერთი წელი“, ხოლო *წანას* სჭირდება დაკონკრეტება: *ხუთი წანა* „ხუთი წელი“, *შქვითი წანა* „შვიდი წელი“ და სხვ. *წანა* „წელი“ დაირთავს მსაზღვრელს: *წირი წანა* „წლევიანდელი წელი“ და სხვ.

მეგრულ ანდაზებში უმეტესად გვხვდება *წანმოწანა* / *წარმოწანა* „წელიწადი“. სინქრონიულ დონეზე გაბმულ მეტყველებაში ძირითადად ისმის *წარმოწანა* „წელიწადი“, *წანა* „წელი“ –ნაკლებად. რაც შეეხება მეგრულ ლექსებსა და ზღაპრებს, დასტურდება ორივე ფორმა: *წარმოწანა* წელიწადი და *წანა* „წელი“.

## 2.2. წლის დროების ასახვა მეგრულ მასალებში

ზაფხულისა და ზამთრის აღმნიშვნელი სიტყვების ძირები ქართველურ ენებში საერთოა, გაზაფხულისა და შემოდგომის სახელები კი ამავე ენებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის წარმოქმნილი. ასევე წყვილადაც ჯგუფდებიან ხოლმე ეს სიტყვები. მაგალითად, ქართულში *ზამთარ-ზაფხულ* ასე ერთად აღებული მთელ წელიწადს ნიშნავს, *გაზაფხული* და *შემოდგომა* კი ასე ერთად არ გამოიყენება, მითუმეტეს ამ მნიშვნელობით. ასევე ვამბობთ **ზამ-**

**თარში და ზაფხულში.** მაგრამ – **გაზაფხულზე და შემოდგომაზე.** ამდენად, საკმაოდ ბევრი საბუთი არსებობს იმ აზრის გასამყარებლად, რომ წელიწადის დაყოფა ოთხ პერიოდად ქართველურ ენებში ერთდროულად არ მომხდარა. ზაფხულსა და ზამთარს შორის დაპირისპირება ემყარება ნათლად გამოხატულ კლიმატურ თავისებურებებს, როგორებიცაა: სიცხე და სიცივე (ჭუმბურიძე 1988).

გაზაფხული ნამდვილად ზაფხულ-ისაგან უნდა იყოს ნაწარმოები **გა-** ზმნისწინის საშუალებით; ამიტომ, სავარაუდოდ, ჯერ გაჩნდებოდა ნასახელარი ზმნა *გაზაფხულდა*, მისგან კი წარმოიქმნა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სიტყვა *გაზაფხული*. დასავლური არეალის მიხედვით შემოდგომის მეგრული სახელწოდებაა *დამორჩილი*. ერთი თვალსაზრისით, ის მიმდებარა *დამორჩვა* ზმნისა, რომელიც მიღებული უნდა იყოს ქართული სიტყვისგან *მორჩი* (= *ყლორტი*).

ტერმინი *გაზაფხული* ქართულიდან შევიდა მეგრულში და გვხვდება როგორც უცვლელად, ისე ფონეტიკური ვარიაციების სახით: *გაზარხული* და სხვ.. (ჭუმბურიძე 1988).

წლის შემადგენელი ე.წ. სეზონური დროითი მონაკვეთები მეგრულში წარმოდგენილია შემდეგი მეტრიკული სისტემით: *ზაფხული/ზარხული*, *აფუნი* „გაზაფხული“, *დამორჩილი*, *მუჟღირი* „შემოდგომა“, ანუ ოთხარანი სისტემა გვაქვს (ხუბუნაია 2022). ზეპირსიტყვიერების ტექსტებში აღნიშნული ერთეულები ხშირად გვხვდება:

(5) „ზესქვი, მუ რე კუთანქუნი? „შაშვო, რასა კვენესი?

მალას მურსი **გაზაფხული**. მალე მოვა გაზაფხული“.

(ტ. I, 245).

(6) **ზარხულობით** გილაფრთათ დო „ზაფხულობით ვიაროთ და

იბტიბუათ ჩხანაია.გავთბეთ მზეზე“.

(ტ. I, 54).

(7) ართი ბალი გავაკეთი „ერთი ბალი გავაკეთე

**ზარხულში** მაფალუუ. ზაფხულში მოყვავილე“.

(ტ. I, 139).

(8) შურო ქიმენდებუქუ და, „სულ (ცოტათი) თუ მენდობი,

გინოგია **დამორჩილს**. გადაგიხდი<sup>1</sup>შემოდგომაზე“.

(ტ. I, 205).

(9)**ზოთონჯიშ** ვარდიცალოზამთრის ყვავილივით  
ვაპირანს დო ვაფალუნს. არ ყვავის და არ ხარობს“.

(ტ. I, 76).

(10) დედიბიქ **ზოთონს** ციმუა მიგორუა „დედაბერმა ზამთარ-ში მარწყვი მოინდომაო“ Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, And.d, 119 (424, m).

მეგრულში, დღესდღეობით ჩაწერილ ტექსტებში მთქმელს ხშირად ერევა და ქართულ *გაზაფხულს* ამბობს. ასევე დამახასიათებელია კონკრეტული დროის დაზუსტება: *ადრე გაზარხულს* „ადრე გაზაფხულზე“.

მეგრული ზეპირსიტყვიერების ტექსტებში შეიძლება შეგვხვდეს პარალელური დიალექტური ფორმებიც:*დამორჩილს* და *დამორჩილც* „შემოდგომაზე“. გვაქვს გამარტივების, ანუ ფუძისეული ხმოვნის დაკარგვის მაგალითები არაკანონიკური თანხმოდან-თკომპლექსების დამღვევის მიზნით: \**ზოთონჯს* → *ზოთონს* „*ზამთარში*“. მეგრული წელიწადის დროებს მიცემითი ბრუნვის ფორმით გამოხატავს, განსხვავებით ქართული -ში და -ზე თანდებულიანი ფორმებისგან: *დამორჩილს* „შემოდგომაზე“, *ზარხულს* „ზაფხულში“ და სხვ.

საყურადღებოა ისიც, რომ გაციფრულებულ ზღაპრებში წელიწადის არცერთი დრო არ დადასტურდა. ანდაზებშიც მხოლოდ *ზოთონჯი* „*ზამთარი*“ გვხვდება. წელიწადის დროის გამომხატველი ლექსემები არ დადასტურდა გამოცანებსა და შელოცვებში. მეგრულში წელიწადის დროების ყველაზე მეტი ერთეული ლექსებში იყრის თავს. მათ შორის განსაკუთრებული სიხშირით გამოირჩევა *ზოთონჯი* „*ზამთარი*“. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ წელიწადის დროთა ყველაზე მეტი ერთეული გვხვდება ლექსებში.

### 2.3. თვეების ასახვა მეგრულ მასალებში

თვე არის წლის შემადგენელი ერთ-ერთი დამოუკიდებელი დროითი ერთეული. ის დაკავშირებულია უშუალოდ მთვარის მო-

---

<sup>1</sup> [დაგიბრუნებ ვალს].

ძრაობასთან და მომდინარეობს მთვარის კალენდრიდან (ქობალავა 2020). მთვარის მოქცევა თავისი ღერძის გარშემო საშუალოდ უდრის 29 დღეს და მას მეგრულად ეწოდება **თუთაშ მორთა**.

წლის შემადგენლობაში 12 თვის დადგენა მესოპოტამიური კულტურიდან იღებს სათავეს, თუმცა წლის დასაწყის თვედ იანვრის დაკანონება დაკავშირებულია რომაულ კალენდარულ სისტემასთან, რომელსაც ასევე მიჰყვება ჩვენივე ქართული კალენდარი. მეგრულში თვეთა მიმდევრობა იმეორებს ამას, მაგრამ ნაწილობრივ შეცვლილიც არის თვეების სახელწოდებები. რამდენიმე თვე წარმოდგენილია რომაული კალენდარული სისტემის მსგავსად, დანარჩენი კი შეცვლილი სახელწოდებებით გვხვდება (ქობალავა 2020).

*ემპირიული მასალის ანალიზი:*

(11) ა, ნანა, **იანარსგ** სინჩხეს მერჩანც, „ანანა, იანვარში სიცხეს მოგცემს,

შქა **კვირკვესუ** უჩქუ ჩხურუ.შუა ივლისში იცის სიცივე“.

(ტ. I, 65).

(12) თენფეი ირო ირჯებუნა, „ ისინი მუდამ ირჯებიან, **ფრევალი** დო **მარტიცალო**. თებერვალივითა და მარტივით“ (ტ. I, 26).

(13) გორდეფც შაყარუა ნოღვე „ბაყაყებს შეყრა ჰქონიათ გასარხულ **შქა მარტის**. განზრახული შუა მარტს“.

(ტ. I, 229).

(14) **აპრირს** გოპირუა უჩქუ (ექსპედიციის მასალები) „აპრილ-მა გაფურჩქენა იცის“.

(15) პიჯო- **მესიშ** ვარდიჯგურა „პირად- მაისის ვარდივით (ტ. I, 82).

(16) **ივანობას** მუ უჯგუ! (ექსპედიციის მასალები) „ივნისს რა სჯობია!“

(17) დუდიშ ჭუათ ქიდებლახი თავის ტკივილით ავად გავხდი ჭვილი **კვირკვეშ გათებას**. დასაწველი ივლისის დამლევს (ტ. I, 52).

(18) **არგუსოს** სოფელი ეფშა რე (ექსპედიციის მასალები) „აგვისტოში სოფელი სავსეა“.

(19) **ეკენიას** ბრელი საქვარი მიღუნა (ექსპედიციის მასალები) „ენკენისთვეში (=სექტემბერში) ბევრი საქმე გვაქვს“.

(20) ვახარჩქელა, ვაბარგელა „არმოთხნელო, არმმარგველო, **გგმას** გიოღურჭულიე!ნამჯაზე (ოქტომბერში) იჭიკჭიკე!“ (ტ. I, 157).

(21) **გერგებათუთას** სოფელიშა მევეურქ (ექსპედიციის მასალები) „გიორგობის თვეში სოფელში მივდივარ“.

(22) **ქირსეთუთას** ბრელი ცინგ, „ქრისტეშობის თვეს იყო დიდი ყინვები,

იანარცე დიდი თოჟ. იანვარში დიდი დათოვა“.

(ტ. I, 232).

დღესდღეობით ინფორმატორთა უმეტესობა სამეგრელოში თვეების სახელწოდებებს ასახელებს ნარევი სახით: ქართული და მეგრული დასახელებით:

(23) **მესი, ივნისი, ივლისი და აგვისტოშიც** ხანდახან იწილუდუ ჩაი(ექსპედიციის მასალები) „მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოშიც ხანდახან იკრიფეობოდა ჩაი“.

თვეთა სახელები უხვად დასტურდება მეგრული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ნიმუშში, იქნება ეს ლექსი, ზღაპარი, ანდაზა თუ სხვ.

#### 2.4. კვირის დღეების ასახვა მეგრულ მასალებში

კვირეულის აღსანიშნავად ჩვენში მიღებულია შვიდდღიანი სისტემა, რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს ებრაული (წარმოშობით შუმერულ-ბაბილონური) შაბათის სისტემა, კერძოდ, მისი სირიული ვარიანტი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ მკვიდრდება. კერძოდ, ქართულში მან შეცვალა ქრისტიანობამდე გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემა. უცვლელი დარჩა მხოლოდ მზის დღე – კვირა. მეგრულში თვის შემადგენლობაში კვირების გამოყოფა დაკავშირებულია მთვარის მოქცევის ფაზებთან: მთვარის თვე – სავსე მთვარიდან მეორე სავსე მთვარემდე. იგი შედგება ოთხი შვიდდღიანი მონაკვეთისაგან, ანუ ოთხი **მარა**-სგან; ასევეა ქართულშიც. აღსანიშნავია, რომ კვირის დღეთა მიცემითი ბრუნვის ფორმები გამოყენებულია დროის ზმნისართების მნიშვნელობით (ქობალავა 2020).

„დასავლეთ საქართველოში – მეგრულში (ასევე სვანურში) შემონახულია ქრისტიანობამდე გავრცელებული ბერძნული პლანეტარული სისტემა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებებით. სახელდობრ, უცვლელი დარჩა კვირის პირველი და მეორე დღეების სახელწოდებები: ჟამბა „მზის დღე“, კვირა და თუთაშხა „მთვარის დღე“, ორშაბათი. ეს გასაგებია, რამდენადაც მზისა და მთვარის კულტი ქართველური ტომებისათვის უკვე ცნობილი იყო“ (ქობალავა 2020:137).

მასალის ანალიზი:

(24) დო თანდუდუ თუთაშფერო და თენდებოდა მთვარის-ფრად

თი სასწაულ **თუთაშხასი**. იმ საოცარ ორშაბათს („ მთვარის დღეს“)

(ტ. I, 23).

(25) **თუთაშხას** მოხვადიო, – ორშაბათს შეეყარე?

**თახაშხას** მოხვადიო, – სამშაბათს შეეყარე?

**ჯუმაშხას** მოხვადიო, – ოთხშაბათს შეეყარე?

**ცაშხას** მოხვადიო, – ხუთშაბათს შეეყარე?

**ობიშხას** მოხვადიო, – პარასკევს შეეყარე?

**საბატონს** მოხვადიო, – შაბათს შეეყარე?

**ჟაშხას** მოხვადიო, – კვირას შეეყარე?

Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, Shel., 21

დღეების დასახელება, მათ შორის ერთ ტექსტში ყველა დღისა, განსაკუთრებით დამახასიათებელია შელოცვის ტექსტებისთვის. კვირის დღეებიდან ზღაპრებში შეგვხვდა მხოლოდ **საბატონი** „შაბათი“ და **ჟაშხა** „კვირა“. საინტერესოა ისიც, რომ მეგრული მთქმელი **თუთაშხა-სთან** „**ორშაბათთან**“ იყენებს მსაზღვრელად **ბედინერს** „**ბედინერს**“, ხოლო **ობიშხა-სთან** „**პარასკევთან**“ **დონწყვირს ანუ** „**დაქვეულს**“. მსგავსი მსაზღვრელები ქართულ მასალებში აღნიშნულ დღეებთან არ გამოვლენილა, თუმცა სხვა დღეებთან შეიძლება შეგვხვდეს, მაგალითად, „კვირა მაღლიანი“, ცხადია, კვირა დღესთან მსგავსი ლექსიკური ერთეული მეგრულშიც შესაძლებელია, რადგან მეგრულში **კვირა ზჟაშხა** ეტიმოლოგიურად არის **მზის დღე**. ზჟა „მზე“, ხოლო „შხა“ მომდინარეობს „დღა“-საგან, რომელიც არის ქართ. დღე.

## 2.5. დღე-ღამის მონაკვეთების ასახვა მეგრულ მასალებში

მეტრიკული დროის უმცირესი მონაკვეთია დღე-ღამის ციკლი, რომელიც თანამედროვე ასტრონომიული სისტემით განისაზღვრება, როგორც 24-საათიანი ინტერვალი დღისა და ღამის ზუსტი დროითი შეფარდებებით.

დღისა და ღამის, როგორც მთლიანი დროითი მონაკვეთის, აღსანიშნავად გამოიყენება „დღე“ ან იშვიათად დღე და ღამე// დღე-ღამე. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ დღისა და ღამის მონაკვეთებში შუალედური მონაკვეთებიც გამოიყოფა, „რომლებშიც ასახულია ღამიდან დღეზე და დღიდან ღამეზე გადასვლის საფეხურები. ღამიდან დღეზე გარდამავალი პერიოდი აღნიშნულია სიტყვით „გათენება.“ იგი მოქმედების სახელია და გამოხატავს ღამიდან გამოსვლის, გათენების პროცესს. მასში რამდენიმე საფეხური შეიძლება გამოიყოს“ (ლომია, გერსამია 2015:172).

დღე-ღამის მონაკვეთებია:

- **ადრეული დილა და მისი წინარე პერიოდი:**

(26) **გუმათანექ** გიშელუ ცაშა(ექსპედიციის მასალები) „ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდა ცაზე“.

(27) „ართი ოჭუმარესე გეიოლუ **ალონიშა...**“ - ერთ დილას წამოხტა ალიონზე (Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, 4, 11 (40, 21)).

- **დილა**

(28) „**ოჭუმარეს** ბჟაში სინთექე ქიიყუნი, გედირთეს ჟირხოლო ტარიელემქე“ - დილით როგორც კი მზის სინათლე იქნა, ადგნენ ორივე ტარიელები (Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, 6, 60 (66, 34)).

- **შუადღე:**

(29) „**ონდღეშა** გეუცადეს. ქაშქვილქ ქედოლუ **ონდღეს** დო ართო მეულა“ - შუადღემდე დაელოდნენ. რქაგრეხილი დაუვარდა შუადღეს და ერთად მიდიან (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 60, 270, 20).

- **ნაშუადღევი**

ხშირად გვხვდება **ნა-** პრეფიქსიანი წარსული დროის მიმდევრით გადმოცემული ლექსიკური ერთეული, კერძოდ, „**ნაონდღერს**“:

- **სადამო:**



(30) ენა თაში ქოქიმინეს, **ონჯუას** იზო დოხვილეს... „ეს ასე ქნეს, სადამოს დაამწყვდიეს იქით (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 60, 271, 8)).

(31) **დლა დო სერიშ აკონთხაფას** მიდავრთითი (ექსპედიციის მასალები) „დლისა და ლამის შებმის დროს (=შელამებისას) წავედით“.

• **ღამე:**

(32) **დიისერუნი**, ბუხარიშამითილგ „რომ დაღამდა, ბუხარში შემერა“ Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, 39, 31 (324, 25)

(33) **სერიო** ქიმერთო დიაკონქ დო პაპაშ სქუალეფწყვმა ქედინჯირე „ღამით მივიდა დიაკვანი და მღვდლის შვილებთან დაწვა“ (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 58, 264, 36)).

(34) – ფენიაქ ამდლა დო **ამგსერი** ქიხვეწას ირიათო დო დობსქიდეკია Megrelian Texts ed. Xubua: MX, 22, 92, 25 „ფენიამ დლე დაღამე იხვეწოს სულ და დავრჩებო“.

(35) „**ოდროშიენო**, – დილისაა,

**ონდღეშიენო**, – შუადლისაა,

**მიკოჯირაშიე**, ვარ – დაწოლისაა თუ

**ედგინაშიენო**, – ადგომისა,

ფუმ, თეში გააქარი. \*“ – ფუმ, ისე გააქრე\* (Megrelian Texts ed. Danelia-Canava: DC, Shel., 28 (481, 12)).

• **შუაღამე:**

(36) **შქასერი** ბორჯის ქიმუჯლონგ აჯიაქ თი ახალგაზდას... „შუაღამე ხანს მიუგზავნა ჯიუტმა იმ ახალგაზრდას“ (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 44, 220, 2)).

• **ნაშუაღამევი:**

(37) ქიმთიტუ ტყას **შქასერიშე გინოჩილათირი ბორჯის...** „ჩატოვა ტყეში შუაღამიდან გადაცდენილ დროს“ (Megrelian Texts ed. Xubua: MX, 17, 75, 2 ).

ხშირად ზღაპრის მთქმელი დღის მონაკვეთებს ჭამას უკავშირებს და გვხვდება ფრაზები „საუზმის/სადილის/სამხრის/ვახშმის დროს“ (ხუბუნაია 2022:28). კონკრეტულად დრო მაშინ იგულისხმება, როცა წერია მსგავსი ლექსიკური ერთეულები: „სამხრობისას“, „სადილობისას“ და ა.შ. როცა ნანათესაობითარ მიცემითში დგას სახელი, აუცილებლად იგულისხმება დრო, მეგრულში კი ამ შემთხვე-

ვაში ორმაგი მარკერი არ გვაქვს, იქნება მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმით: *ოსერშეს = ვახშობისას*. შელოცვებსა და გამოცანებში საერთოდ არ მოინიშნება დრო საუზმის ან სადილის და მსგავსი ერთეულების მიხედვით. შელოცვის ტექსტებში ზოგჯერ დრო გამოიხატება მოქმედების გამომხატველი კონკრეტული ლექსიკური ერთეულის მიხედვით; კერძოდ:

**ედგინაშიე** = დილისაა, **მიკოჯირაშიე** = შუადლისაა, **დოჯირაშიე** = ღამისაა.

ზღაპრის მთქმელი ცდილობს დრო დააზუსტოს, დააკონკრეტოს. როცა მოსაუბრე ამბობს „*შქსერიშიე გინოჩილათირი ბორჯის*“ ,სემანტიკურად იგულისხმება „*ნაშუალამევს*“.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფრაზეოლოგიური ერთეული „*დღა დო სერიშ აკონთხაფა*“, რაც, როგორც ჩანს, გამოხატავს ნათლისა და ბნელის მარადიული ბრძოლის ამსახველ ფაქტს.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მეტრიკული დროის ასახვა ენობრივად იძლევა საინტერესო და მრავალფეროვან მასალას. მეტრიკული დროის გამომხატველი ლექსიკური ერთეულების სიხშირული განაწილება განპირობებულია ჟანრული თავისებურებით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

**აბულაძე 1986** – ლ. აბულაძე, დროის სემანტიკური ველის შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ ტომი XXV, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1986.

**აბულაძე 1988** – ლ. აბულაძე, ჟამი, დრო და ხანი ძველ ქართულში, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ ტომი XXVII, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1988.

**კიკნაძე 2007** – ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.

**კეკელიძე 1956** – ვ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი [ქართული წელთაღრიცხვა და თვეების სახელწოდებები], ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1956.

**ლომაია 2006** – შ. ლომაია, ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში, გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ., 2006.

**ლომაია, გერსამია 2015** – მ. ლომაია, რ. გერსამია, დროის აღმნიშვნელი ლაზური ლექსიკის სტრუქტურული და სემანტიკური ანალიზი, „ენათმეცნიერების საკითხები“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015.

**მოსია 2002** – ბ. მოსია, მზის ფუნქციური მრავალმხრივობის საკითხი ქართულ ფოლკლორში, ლიტერატურული ძიებანი XXIII, თბ., 2002.

**მელიქიშვილი 2009** – დ. მელიქიშვილი, დროის ცნება, „ფილოლოგიური ძიებანი“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ., 2009.

**ქობალავა 2020** – ი. ქობალავა, სივრცისა და მოძრაობის ენობრივი რეპრეზენტაცია (მეგრული ენის მონაცემთა ანალიზი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020.

**ჭუმბურიძე 1988** – ზ. ჭუმბურიძე, წელიწადის დროთა სახელდებისათვის ქართველურ ენებში, I საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1988.

**ხუბუნაია 2022** – მ. ხუბუნაია, დროის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართულ ხალხურ ზღაპრებში, საბაკალავრო ნაშრომი, თბ., 2022.

## წყარო

**ექსპედიციის მასალები** – სამეგრელოში ველზე მოპოვებული მასალები (2023-2024).

**ტ. I** – ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები, პოეზია), ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ტოგო გუდავამ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1975.

**ქაჯაია 2001** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტომი I, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2001.

**ქაჯაია 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტომი II, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2002.

**ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, <https://www.ice.ge/liv/liv/megr.php#>

6. <https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm?index.htm>

**MARIAM KHUBUNAIA**

**Metrical Time in Megrelian Folk Literature:  
Principles of Frequency Distribution  
of Linguistic Reflection**

Summary

Time is a universal category. Initially, it was expressed by means of the lexical units of the general meaning. However, in the process of communication, time became more concrete. This was achieved due to metrical time, which was expressed by the lexical means denoting measurable units of time, namely: year, month, week, day and night. All the lexical means related to time, e.g., grammatical-lexical patterns, phraseological units etc., have been preserved in the texts of folk literature.

The paper analyzes examples of Megrelian folk literature obtained from printed material, the data collected in the field (in 2023-2024) and the data obtained from the electronic databases.

The aim of the given research is to analyze the language data expressing metrical time with regard to frequency of occurrence in Megrelian folk literature. This approach represents a novelty, since the paper is the first attempt of systemic analysis of the above-mentioned issue.

Analysis of the empirical data has proved that Megrelian folk verses chiefly contain the names of months; Megrelian magic spells mostly mention days of the week. Special mention should be made of the phraseological units that are peculiar to the Megrelian language and are not found in Georgian.

Analysis of the language material related to metrical time and observation of the frequency of distribution of time-related lexical units reveal the linguistic vision of the given speech community and is interesting with regard to the linguistic tradition.

## ქუთაისელ ებრაელთა ქართული (ტექსტები)

ჩაწერილი **როზა თავდიდიშვილის**  
მიერ 1939- 1940 წლებში

ხელნაწერი აღწერეს და დასაბეჭდად მოამზადეს  
ნარგიზა სურმაჯამ და მარინე ბერიძემ

ქართველ ებრაელთა მეტყველების მასალობრივი სიმწირის ფონზე დიდ მნიშვნელობას იძენს ქუთაისელ ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშები, ჩაწერილი 1939 წელს როზა თავდიდიშვილის მიერ. აღნიშნული ხელნაწერი ინახება არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის არქივში და სხვა არსებულ ადრინდელ ხელნაწერ დიალექტურ მასალებთან ერთად, გამოსაცემად მომზადდა პროექტის „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი (2006-2010 წწ.)“ ფარგლებში, ბოლო რედაქცია გამოქვეყნდა 2014 წელს „ქართულ დიალექტურ კორპუსში“ ([www.corpora.co](http://www.corpora.co)).

ხელნაწერი წარმოადგენს რვეულის 191 ფურცელს, დაწერილს ცალ გვერდზე. რვეულები ასეა დასათაურებული: (რვეული I-II) „ქუთაისის ებრაელთა ქართული, ჩაწერილი ქუთაისში 1939 წ. აპრილში როზა თავდიდიშვილის მიერ, მთქმელი მოშე ძორელაშვილი (60-დე წლისა, ქუთაისის მცხოვრები, შაუმიანის ქ.)“; (რვეული III) „როზა თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილი ზღაპრები ქუთაისის ისრაელებს შორის (ჩაწერილია 1939 წ. აგვისტოში) ნათქვამი მიხეელ ფანიკაშვილისა“; (რვეული IV-V) „ქუთაისის ებრაელთა ქართულის ნიმუშები, ნათქვამი მოშე ძორელაშვილისა, 1940 წელი, მარტი“; (რვეული VI) „ქუთაისელ ებრაელთა ქართული, ნათქვამი ხავა ხანაშვილისა, ქუთაისი, 1940 წელი, აგვისტო“.

რვეულების ყდაზე მინაწერებია: „რ. თავდიდიშვილის ადრესია: კოლხიდის 21, თბილ.“; „შემქნილია 28. X. 940“; „შემქნილია 21.

XII. 1940 წელს". ერთ რვეულს (რვ. II), რომელიც შეიცავს 45 გვერდს, მიწერილი აქვს: „ეს რვეული გადაწერილია როზა თავდიდიშვილის ქმრის იზრაილის მიერ და შემოწმებულია როზას მიერ“. სწორედ, იზრაილის ხელით გადაწერილი რვეული დიდად დაგვეხმარა როზას რთული ხელწერის „გამიფრვაში“.

როგორც ჩანს, როზა ვერ იცლიდა ტექსტების გადასაწერად და ჩანაწერი მოჰქონდა პირველადი სახით, ამით აიხსნება მისი გაკრული და ძნელად გასარჩევი კალიგრაფია, ასე მაგალითად: ხელნაწერში ერთმანეთში შეიძლება აირიოს მძიმის აღმნიშვნელი ნიშანი (,) და ბოლოკიდურა პოზიციაში მოქცეული ასო (ე), შედეგად კი – მცდარად იქნეს გაშიფრული **სე (-ს+-ე)**, სადაც -ს სუბ. მესამე პირის ნიშანია, ხოლო **-ე** ებრაულისთვის დამახასიათებელი ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი **-გე/ე**); როზას ახასიათებს გადაბმით წერა, ამასთან, იგი იყენებს **ო**-ბგერისთვის კუთხოვან სიმბოლოს (**ლ**), გაშიფრვისას დიდი დაკვირვებაა საჭირო, (და ზოგჯერ მხოლოდ დაკვირვებითაც შეუძლებელია დაზუსტება), ზმნისწინებში **მა** გვაქვს თუ **მო**. მსგავს საორჭოფო შემთხვევებში კარგ სამსახურს გვიწევდა იზრაილის ხელით გადაწერილი რვეული. იზრაილიც კუთხოვან **ო**-ს იყენებს, მაგრამ მასთან იგი ყოველთვის გამოკვეთილია. იზრაელის გადაწერილ ვარიანტში ზოგან ჩანს **ა**-ხმოვნად გადაკეთებული კუთხოვანი **ო**-ს კვალი. დიდი ალბათობით, ეს ჩასწორება როზას მიერ უნდა იყოს შეტანილი. მაგალითად, **ნება მამეციტ; გამამიცხადებდა; გამამიცხადა** (იხ.: II, ხელნაწერის გვ. 4).

საჭიროდ მივიჩნით, ნაბეჭდ ტექსტში მიგვეთითებინა ხელნაწერის გვერდებიც, მაგალითად: **(გვ. 1), (გვ. 33)**. ეს დაეხმარება დაეჭვებულ მკვლევარს ცალკეული ფორმის სიზუსტის გადასამოწმებლად ხელნაწერში ორიენტირებისათვის.

ფრჩხილებში მოქცეული განმარტებები, რომლებსაც მითითება არ ახლავს, ტექსტების შემადგენელი ნაწილია, და ცხადია, როზას ეკუთვნის; მათგან განსხვავებით, არახელნაწერისეულ შენიშვნა-განმარტებებთან, მითითებულია ავტორი, მაგალითად: **(რ.ე.), (ასეა. ნ.ს.)**.

როზა თავდიდიშვილს ეკუთვნის გამოქვეყნებული მონოგრაფიული ნაშრომი „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისელ ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, 1940“, ს. მაკალათიას რედაქ-

ტირებით. ნაშრომს თან ერთვის მრავალფეროვანი ფოლკლორული ტექსტები, აგრეთვე მოკლე „ტერმინების საძიებელი“. მასალა ჩაწერილია დიალექტის დაცვით და, ისევე როგორც ხელნაწერი, გამოირჩევა მაღალი სანდოობით. ხელნაწერის მთქმელები–მოშე ძორელაშვილი, ხავა ხანანაშვილი– წარმოდგენილი არიან მონოგრაფიაშიც, მაგრამ მათი ჩანაწერები, საბედნიეროდ, მასალობრივად განსხვავებულია. ხელნაწერის გამოსაცემად მომზადების პროცესში ვითვალისწინებდით მონოგრაფიის მასალებს.

საექვო ფორმების გარკვევაში და საჭოჭმანო ადგილების ამოკითხვაში დახმარება გაგვიწია იერუსალიმის არიელის უნივერსიტეტის პროფესორმა რეუვენ ენოხმა (რუბენ ენუქაშვილმა, წარმოშობით ქუთაისელმა ებრაელმა), რომელიც თავადაც დაინტერესებული იყო ამ ხელნაწერით. მოვიყვანთ რამდენიმე ფრაგმენტს ბ-ნ რეუვენ ენოხთან ელექტრონული მიმოწერიდან, რომელიც ღირსსაცნობია უპირველესად იმ მხრივ, რომ მასში გადმოცემულია ბ-ნი რუბენის მოსაზრებანი.

ნარგიზა სურმავა – გიგზავნით როზა თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებს. რვეულების აღწერილობა, მინაწერები რვეულებზე მოცემულია მოხსენებაში. მინდა დაგარწმუნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი რთული იყო კალიგრაფიის თვალსაზრისით, იგი მაქსიმალურად ზუსტია. ცალკე მქონდა ამოწერილი ჩემთვის საორჭოფო ფორმები და სიტყვები (უმთავრესად ივრითისა) და თანდათან „კითხვის ნიშნისაგან ვათავისუფლებდი“ მათ. ასე რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დღესდღეობით დარჩა: **ისპედავეს** [„იგლოვეს“?]. „მაზალიც გამოაღვიძა და მეც გამახარა, რომა **გემილუთხეს [?] ე დიმი [?]** არ გამიმტყუნდა...“ მინდა გითხრა, რომ ტექსტებზეც და მოხსენებაზეც ვმუშაობდი დიდი სიამოვნებით. ვგრძნობდი, რომ მივეახლე სულ სხვა სამყაროს. მანამდე რატომღაც ვფიქრობდი, რომ ებრაელთა მეტყველება იმ კუთხის დიალექტის იდენტური იქნებოდა, სადაც ისინი იყვნენ განსახლებული. მაგრამ უკვე ამ ტექსტებშივე ვიგრძენი განსხვავებანი თვით ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების შიგნითაც კი, მათ უკან კი – მიგრაციული პროცესები. (30 აპრილი, 2014 წ.)

რუბენ ენუქაშვილი – „ძვირფასო ნარგიზა, უღრმესი მადლობა ჩემთვის ესოდენ მნიშვნელოვანი მასალის მოწოდებისათვის. ჯერ

მთლიანად არ გავცნობივარ, მაგრამ რაც უკვე ვნახე, ძალიან საინტერესოა. რაც შეეხება მოხსენებას, მომეწონა ძალიან, თუმცა კი -ვე ერთეულის ნაწილაკად კვალიფიკაციას ვერ დავეთანხმები. (მხედველობაშია სტატია: ნ.სურმავა ობიექტის მრავლობითობის წარმოებისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, იკე, XLII, 2015 – ნ.ს.)

საკითხის ისტორიისათვის:

პირველად ამ საკითხზე ყურადღება გავამახვილე 1987 წელს უნივერსიტეტში ერთ-ერთ კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაში, რომელიც პირველი იყო ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ და რომელსაც ესწრებოდა ჩვენი დაუფიქარი ბესო. და მანაც თქვა, რომ ეს -ყე ნაწილაკის ბადალი ჩანსო, ასევე დაუფიქარი კორნელი დანელია არ დაეთანხმა, რუბენის ახსნა უფრო დამაჯერებელი ჩანსო. 199 (თუ არ ვცდები) წელს უკვე მეორე მოხსენება წავიკითხე ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ, ამჯერად ენათმეცნიერების ინსტიტუტში კავკასიოლოგთა კონფერენციაზე, მაშინ ძირითადად სხვა საკითხებს შევეხე, მაგრამ მოკლედ მაინც დავუბრუნდი -ვე-ს საკითხს. თამაზ გამყრელიძემ მითხრა (სამწუხაროდ, კერძო საუბარში და არა საჯაროდ), ეს სრულიად ახალი რამ არის ჩვენს ენათმეცნიერებაშიო. რაც შეეხება სტატიას, ივრითზე გამოქვეყნდა 2005 წელს.

სტატიაში იმის ნაცვლად, რომ ფონეტიკური ცვლილებები ვეძებოთ - სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა, მე მაინც მგონია, რომ ობიექტის მრავლობითობის ნიშანი არის -ე ხმოვანი, რომელსაც წინ ემატება თანხმოვანთგასაყარი ვ თანხმოვანი, თუ ზმნა რომელიმე ხმოვანზე ბოლოვდება. ასეთნაირად უკვე არც -ყე ნაწილაკთან იდენტურობაზე მიდგება საქმე.

რაც შეეხება თქვენ მიერ აღნიშნულ სიტყვებს, "ესპედი" ივრითზე არის "დატირება", რომელიც ქართველ ებრაელთა მეტყველებაში ზმნავდება და მრავალრიცხოვან ფორმებს გვაძლევს, ხოლო "გემულ ხასადიმი" დაახლოებით „გაჭირვებულის გაკითხვას, შემწეობას" ნიშნავს. კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა

თქვენი რუბენი Prof. Reuven Enoch“ (30 აპრილი, 2014 წ.)



რუბენ ენუქაშვილი – ძვირფასო ნარგიზა, ქსეროასლები ნამდვილად კარგი იქნებოდა. რაც შეეხება ქართველ ებრაელთა მეტყველების შესწავლას, დიდ ვარლამ თოფურიას მუდამ უნდოდა ამის გაკეთება, ალბათ, ამის შედეგი იყო როზას მასალების შემონახვა. როგორც არაერთხელ მიაშობია, სტუდენტობის დროს დამავალა (მე-2 კურსზე ვიყავი) ამ საქმისთვის ხელის მოკიდება; ბანძამიც გამიშვა, სწორედ იქ ჩავიწერე იმ მასალების დიდი ნაწილი, რომლებიც დიდი დაგვიანებით კვლევაში გამოვიყენე. მაგრამ სამწუხაროდ ბ-ნი ვარლამი იმ ზაფხულს გარდაიცვალა და მითხრეს, რომ თემა აღარ გაგრძელდებაო, მხოლოდ 22 წლის შემდეგ მივუბრუნდი - როგორც მოგწერეთ 1987 წელს წავიკითხე პირველი მოხსენება. რა თქმა უნდა, ახლა ბევრი რამ დაკარგულია, ისრაელში ქართველ ებრაელთა მეტყველება ნიველირებულია, ასე რომ, ბევრი რამ ვეღარ აღდგება.

...მასალობრივად -ე/-ევ ქართულია, ივრითში მორფოლოგიური ინვენტარი თითქმის არ არის (ფლექსიური ენაა წმინდა წყლის), თუმცა კი არის ერთი გამონაკლისი იშვიათი ფორმებისა და, თუ ძალა და დრო მექნა, მათ მინდა შევუდარო.

სიყვარულითა და პატივისცემით თქვენი რუბენი Prof. Reuven Enoch (1 მაისი, 2014 წ.).“

*ნარგიზა სურმავა, მარინე ბერიძე*

### **„დიალექტოლოგიური კრებულის“ რედაქციის საგან:**

ბოლო ათწლეულებში გაიზარდა ინტერესი ქართველ ებრაელთა მეტყველების მიმართ. დამუშავდა რამდენიმე საინტერესო პროექტი; გამოქვეყნდა არაერთი გამოკვლევა ქართული მეტყველების ამ ნაირსახეობის შესახებ...

მიზეზთა გამო საბჭოთა პერიოდში ეს მუშაობა შეზღუდული იყო... ტექსტური მასალაც ამ მიზეზით ძალიან ცოტა მოგვეპოვება...

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო ებრაელთა „ასვლა“ ისრაელში...

აი, ამ ფონზე, ამ მოცემულობაში განსაკუთრებული ფასი ედება როზა თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებს... სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ მისი ბეჭდური სახით გამოცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ნ. სურმაავასა და მ. ბერიძეს ამ მასალის მოწოდებისათვის.

## **ქუთაისელ ებრაელთა ქართული (I რგული)**

ჩაწერა როზა თავდიდიშვილმა.  
ჩაწერილია 1939 წ. აპრილში.  
მთქმელი მოშე ძორელაშვილი,  
ქუთაისი, 60-ოდე წლის.

### **1. ძველების გამყიდველი (გვ. 1)**

იყო ერთი ძველების გამყიდველი ისრეელი. ამ კააც ყავდა ცოლი და შვიდი ქალიშვილი; არაფერი ქონება იმას არ გააჩნდა, არც სახლი, არც ოთხფეხი და ორფეხი, არც ეზო-გარემო, არც ნიქვითი, ერთი სიტყვით, არსად და არაფერ კუთხეში მის ბარაზე არაფერი იყო.

ე ისრეელი ცხოვრობდა ერთ გაჭირვებულსა და მიწურ ოთახში, ისე ღარიბათ, ისე რომა ლოგინი რა არი, ლოგინიც კი არ ქონდავე საყოფი.

ამ ისრეელ ქონდა ერთი კარქი ჩვეულობა, ვიდგანაც რამეს ისესხებდა, თავი რომ მეეკლა, მაინც ნასესხებ თავის დროზე დაუბრუნებდა. ამიტომაც, ვინც იცნობდა და ვისაც კი იმასთან საქმე ქონებია როდისმე, სუყველა ენდობოდა. ამ ნდობით ცხოვრობდა, ისესხებდა ყველდღე სხვადასხვიდგან ერთ-ორ მანათ, წავიდოდა ძველების საყიდელათ, იყიდოდა, გაყიდოდა და მოგებით ცოლსა და შვილ გაჭირვებულ ლუკმა-პურ აჭმევდავე. თაავნ ვიდგანაც ნასესხები (გვ.2) ქონდა, იმას დაუბრუნებდა დაუგვიანებლათ. გაისტუმრებდა თუ არა დიდი მადლობით, ხომ ისევე ცარიელი რჩებოდა, რადგანაც პურის ფულათ ძლივ ყოფნიდა მოგება, ხანდახან სულაც არაფერი მოგება არ დარჩებოდა, მაგრამა თავნზეაც რომ გეყიდნა საქონელი, პატრონ მაინც თავის დროზე დაუბრუნებდა ნასესხებ ფულს, რომა სხუმისაც კიდე მასესხოსო.

ერთ დღეობის დღეეს, ე ისრეელი ძველების საყიდლათ და-  
დის ქუჩებში, იქნებაო ღმერთმა მამცეს რამე და გავიხაროვო; ერთ  
ქუჩაზე რომ გაიარა, მალლა აივანზე გაიხედა, გადმამდგარა იმ ქალა-  
ქის თავი და გვერდში თავისი ცოლიც უდგია, ქალაქის თავმა რომ  
დაინახა, მიირ ქუჩაზე მემძველე წვერიანი ისრეელი იმასა და მის ცო-  
ლ მიჩერებია, ცოლ უთხრა: „ერთი ი საწყალი ისრეელი უნდა ვაგ-  
ლახავოვო“. ცოლ შეებრაღა: რას ერჩიო, თავისი სიღარიბე და სიგ-  
ლახავეც ეყოფავო, ცოდო არიო, მაგრამა ქალაქის თავმა მაინც დაუ-  
ძახა ისრეელ, ზეით ამოდო. ისრეელმა იფიქრა, ახლა კი მამხედა  
ღმერთმა, იქნება რამე სახირო ვიყიდოვო **(გვ. 3)** და მივიდა ქალაქის  
თავის სახლის კართან. კარის კაცმა არ შეუშვა ისრეელი, ცემა და უყ-  
ვირა, რა საქმე გაქ ურჯულო ისრეელ ქალაქის თავის სახშიაო და არ  
შეუშვა. ე კარის კაცი იყო ფოლინელი (პოლონელი), რომენსაც ისრე-  
ელიშვილი შავი ჭირივით ეზარებოდა და თავისი ბატონის სახში  
იმას რაგა შეუშვებდა.

ისრეელმა იყვირა, მიშველეთო, ქალაქის თავმა რო გაიგონა იმ  
ისრეელის ყვირილი, კარის კაც დაუძახა ზეიდან, გამოუშვიო, მე ვუ-  
ძახიო; კარის კაცმა ერთი წიხლი კიდე კრაა და შეუშვა.

მემძველე ისრეელი შევიდა ქალაქის თავის სახში. ქალაქის თავ-  
მა დააჯინა და გამოკითხა, რითი ცხოვრობო. ისრეელმაც უთხრა თავ-  
ვისი გაჭირება, ჩამოუყვა რომა იმას ენდობა გულკეთილი ხალხი  
და ასესხებენ ხოლმე ფუულ და იმ ფულით რა გაჭირებით შონი-  
ლობს ხოლმე პურის ფუულ.

ზაფხული იყო, დიდი სიცხიანი დღეე, იმისთანაი რომა, მემძვე-  
ლე ისრეელი ძლივ სუნთქამდა, სიცხიდან ოფლი წყალივით ჩამო-  
დიოდა საწყალობელ. **(გვ. 4)** ქალაქის თავმა გასცა ბძანება, მეექმბნა-  
ვე იმის სახში თუ სადმე რამე ძველები იყო და მეეტანავე. იქავისე  
დატრიალდენ იმისი მოსამსახურეები და საჩქართო შეაგროვეს ბებ-  
რი ძველები, მოუტანეს და მის წინ დაუწყეს ქალაქის თავა.

მემძველემ ხომ შეხედა, ამდენი ძველები არი, თვალეზი გაუგა-  
ნიერდა, თავის სიცოცხლეში ერთათ ამდენი საქონელი იმის თვალეზ  
არ დაუნახია; ქალაქის თავმა შეატყო რომა, მემძველეს უკვირდა და  
უთხრა: – წაილე ისრეელო, ე ძველები ყველაი, ერთი თვის მერე კიდე  
მოდი, თავ მოუყრი მანამდისინი და კიდე გაგატან.

– კი ბატონო მაგრამა მე, ერთი მანათის მეტი ფული ახლა არა მაქ, წავალ ჯერე, სხვა მეძველეს მოვძებნი და მოვიყვან, რომენ-საც უმფრო მეტი ფული ააქ და იმას ვაყიდვინებ.

– არა კაცო, არ გინდა არავინ, მოიტა მაგ ერთი მანათი და, ე ძველები სულ შენ ხქონდეს, როგორც გითხარი, ერთი თვის მერე კი-დე გამოიარე და ნუ გეშინია, კიდე გაგატან.

მეძველე ისრაეელი სიხარულიდგან გადაირია ღარმე **(გვ. 5)** რას მამასწროვო ამასაო გამჩენმაო, დავარდა ქალაქის თავის ფეხებ-თან და თქვაა: –კურთხეულია, ღმერთო, შენი სახელი, რომ არ მოი-ძულეშ შენ გაჩენილ და გამოუგზანი სარჩოს შენ საყვარელ ისრეე-ლიშვილ, – წამოდგა ზეზე ისრეელი და მერე ქალაქის თავსაც გადა-უხადა დიდი მადლობა იმისი შებრალებისათვის.

ქალაქის თავმა უბძანა თავის კარისკაც რომა, ე ძველები ყვე-ლაი თავისი ზურგით მიეტანა ისრეელისთვის სახში. კარისკაცმა შე-კრა ძველები და მეტი რაღა გზა ქონდა, შეასრულა თავისი უფროსის ბძანება, წაყვა ფეხდაფეხ ამ ისრეელ და მიუტანა თავისი ზურგით სახში. კი წაულო კარისკაცმა ე ძველები მაგრამა, უმფრო მეტად სკდებოდა გულზე, რავა გამხადაო მეძველე ისრეელის ყმათაო ჩემმა ბატონმაო, მეტი სიძულვილი ჩაინერგა გულში და იფიქრა – შენი ბი-ნა ხომ ვისწავლე მეძველე ისრეელო, როდისმე კი გიხვთენ მე შენე დროოსა და გაგამწარებო.

ისრეელმა კარისკაცსაც დიდი მადლობა გადაუხადა და გააცი-ლა, მერე შებრუნდა თავის სახში, გაშალა ძველები, **(გვ. 6)** ნახა მაგ-რამა, რა ნახა იმისმა თვალებმა, ამდენი საქონელი თავის დღეში არ მოსწრებია და არც მონახებია. გაიხარა, გაიტანა მეორე დღეეს ბაზარ-ზე, გაყიდა და იმდენი ფული აიღო შიგა რომა, ხწორეთ ერთ თვეეს ეყოფოდა იმის ოჯახ.

გამოცოცხლდა საწყალი ისრეელი, ფთები გემეესხა სიხარუ-ლიდგან, აღარ წანწალობს ყვეელდღე ლუკმაპურისთვის. ყვეელ თვეში მივა ქალაქის თავთან, მიუტანს ერთ მანათსა და წამოიღებს ქვეყნის ძველებ. დაიჩოქებს ყვეელთვის, ჯერე ღმერთ გადაუხთვის დიდისაგან დიდ მადლობასა და მერე ქალაქის თავსაც ეტყვის ხოლ-მე ძალიან დიდ მადლობას.

აკვირდება ყვეელთვის ქალაქის თავი, უკვირს და თან გულიც მოდის, ამ ისრეელ მე ვარჩენ და საქონელ ძველებ ვატან, ესე კი ჯერე

თავის ღმერთ ეუნება მადლობას და მერე მეო, მაგრამა ჯერჯერობით არაფერ ეუნება, კიდე იცდის.

დადის მეძველე ისრეელი ყვეელ თვეში ქალაქის თავთან, მიაქ ძველები, ერთ დღეში გაყიდის, ერთი თვე ყოფნის სახარჯოთ, სულ გაზარმაცდა, მიეჩვია ტყუილა უბრალო უსაქმურათ ყოფნას.

**(გვ.7)** ამასობაში მოვიდა ფესახის შემამავალი დღეები; როგორც ჩოვილობა ქონდა, მეძველე ისრეელ, ახლაც მივიდა ქალაქის თავთან. გადმოუდეს ძველები და წინ დაუწყეს წასადებათ; მეძველე ისრეელმა ახედ-დახედა ამ ძველებ და ქალაქის თავ უთხრა: „ახლა ამ თვეში ჩვენი ფესახი მოდის, როგორც მოგეხსენებათ უმფრო მეტი გვინდავე ყველაფერი ისრეელებ, მასა, ჭურჭელი, ოჯახი, იქით-აქეთ და თუ არ გეწყინება, ესე ე ძველები ცოტა არი, იქნება მამიმატო კიდე, რომ ფესახი დავაყენო“.

ქალაქის თავ გული მოუვიდა და უთხრა: ახლა ი ფესახი მოგიდისე ისრეელებ, ამ დღეებში ხომ გაცარცვეთ მისრაიმი და ფარყოი (ეგვიპტე და ფარაონი), ახლა წადი, არაფერსაც აღარ გაგატან, რომენ ღმერთსაც შენ აქებ და ადიდებ ხოლმე, ახლა, ამ საფესახოთ იმ ღმერთმა მოქცეს, აჰა ვნახოთ, რავა მოქცემს და ან რას მოქცემს“.

წამოვიდა უკან მეძველე ისრეელი პირგაშავებული, ცარიელი ხელით, მივიდა ცოლ-შვილში, არც არაფერი მიუტანია, არცა შენახული აქ არაფერი შავი დღისთვინ, არც საფესახო და არც საწარეუკანო; აღარც აღარავინ შეუწუხებია ამდენი ხანი არი, რომ სესხულობდა ხოლმე, აღარ უსესხებია, **(გვ. 8)** რადგანაც აღარ დაჭივრებია, ასე ეგონა მიდღემჩი ისე უზოგებდა ქალაქის თავი და ძორი მოუშვა; ახლა კი აღარ იცის რა ქნას, მალე ფესახი დადგება, ბევრი აღარაფერი უკლია, რაც რამე ქონდავე სახში სულერთიანა გაათავეს, რითი იყიდონ მასა ან საფესახო ჭურჭელი, აღარ იციან. ისე გაუჭირდათ ცხოვრება რომა, სანთლის ფულიც ვედარ მოიხერხეს, სულ ბნელეში არიან ღამე. შვიდი ქალიშვილი ერთიმეორეს მამტანო, ტირიან, ჟივიან, რაღა ვქნათო ამ ფესახშიაო. რა იმედი ხვქონდავეო ტან-ფეხისაო და რავა შიშველ-ტიტველი ვრჩებიოთ.

ცოლი, უბედური მიკრუნჩხულა კუთხეში და ღმერთ მადლობას უხთის, ამბობს: „ალბათ შემოქცოდეთ, გამჩენო, და ამის ღირსიც იმიტომ გაქვხადეო“. მეძველე ისრეელი მიმდგარია ერთერთ კუთხეში და ყარბით (საღამოს ლოცვა) ლოცვილობს.

ამ დროს გატყდება იმათი ოთახის აკოშკა და შიგ შემოვარდება გარედგან რამადღი გმელათ შეხვეული. თელ ოჯახ შიშის კანკალი აიტანს, იმისთანა ხმაურობა შეიქნება. მივიდენ, დახედეს, დააკვირდენ, ნახეს ჭინჭებში გახვეული კვდარი ბობში არი, მარტო თვალები უჩამს მეტი არაფერი.

შეეშინდავე საწყლებ, თავისი გაჭივრება და **(88. 9)** სილატაკეც სულ დაავიწყდავე. ცოლმა იყვირა: „არიქა დროზე უშველოთ თაავ, თორნე გავახუროთ და შიგ ჩავწვათ, თვარემა უმითაყოლამები (არა-ისრეელები) დაგვაბრალებენ, ჩვენი ბობში მოუკლიავეო და დაგვატამებენ, თელ ოჯახ ამგვიგდებენ, მამაჩემსაც უქნეს ასე ერთხელ საფესახოთ და სანამდისინი თავრობა დეესხმებოდავე, თორნეში დაწვეს ი კვდარი, მოასწრეს“.

მეძველე-ისრეელმა დაიჯერა თავის ცოლის ნათქვამი და გოგუები გააგზანავე, წადითო, საჩქაროთ თორნე გაახურეთო, თითონ ცოლით (ასეა. ნ.ს.) არ დაიბნა, ცოდო არ გამიდიდდესო და თანაც იმტენი ჭკუა კიდე დააყოლა რომა, დააკვირდა ე კვდარი ძვირფას ჭინჭებში იყო გახოვილი და ცოლ უთხრა, მემეხმარეო, ე ჭინჭები შემოვსხნათო, იქნება ერთი-ორი გროში ავიღოვო, ხვალ ბაზარში წავალო და გავყიდიო.

როგორც კი აწია მეძველემ შეხვეული კვდარი ხელში და დაუწყო ჭინჭების შემოდრობა, აძრობს ამ ჭინჭებ ჩქარ-ჩქარა, ატრიალებს ხელში, დაინახა კვდაარ პირიდგან ოქროები ცვინდება. მოირბინეს გოგუებმაც, უყურებენ, რამდენსაც გადაატრიალებენ ამ კვდაარ, **(88. 10)** იმდენი ოქროები ცვინდება პირიდგან; დეესიენ და ბოჭამენ, თან უხარიათ კიდევაც, თანაც ეჩქარებათ, ასწრებენ ე ჭინჭები დროზე მოაცილონ და თორნეში დაწვან. აღარ მოთავდა ოქროების ხიკვა, რამტენსაც გადაატრიალებენ ამ კვდაარ, მოცვივა და მოცვივა პირიდგან ოქროები. როდისაც სულ ახიკეს და მობოჭეს, დაითვალეს, ორმოზდათექვსმეტი ცალი იყო სულ. როცა გაათავეს ჭინჭების შემოდრობა, დახედეს – ნახეს ამ ჭინჭებში თურმე ადამიანი კი არ ყოფილა გახოვილი, მაიმუნი ყოფილა, გაარბინეს უცფათა და თორნეში ჩაწვეს.

არც არავინ თავრობიდგან დასხმიავე თავზე და არც არავის აღარ მიუკითხებია, ძალიან უკვირდავე, ვერ მოიფიქრეს რა იყო ან

სიდგან იყო ე კვდარი მაიმუნი, მაგრამა ვინ ეტყოდავე, ან სიდგან გა-  
იგებდენ.

ადგენ და ამ ოქროებიდგან ცოტა დახარჯეს საფესახოთ, ფესა-  
ხი დაიყენეს ღმერთის სახელზე, სხვაა შეინახეს, მერევე გამოვგადგე-  
ბავეო (ასეა. ნ.ს.).

აგადის ღამეს (ფესახის ღამე) ქალაქის თაავ მოაგონდა, ახლავ  
ისრეელების ფესახი არიო, ამალამ ყველას აგადა **(88. 11)** ექნებაო, ერ-  
თი, უნდა წავიდეო, – ცოლ უთხრა, – და ჩემი თვალით ვნახოვო რა-  
ნაირი აგადა გადაიხადაო იმ მეძველე ისრეელმაო; მე ხომ აღარაფე-  
რი აღარ მიმიციაო და ნეტაი რითი დაიყენაო. ცოლ უთხრა – წამოდი  
გავისეირნოთო – მაგრამა იმისი სახლი სად იყო, არ იცოდენ. კარის  
კაცმა უთხრავე, მე ვიციო სადაც დგაო და მიგასწავლივეო.

წაყვავე კარის კაცი, ქალაქის თავსა და იმის ცოლ გაუძღვავე,  
მიასწავლავე ი მეძველე ისრეელის სახლი.

მივიდენ თუ არა მის კარზე, ჯერე გარედგან დაუწყეს ყურება,  
ვნახოთო თუ რამე აქეო ამ აგადაზეაო.

მეძველე-ისრეელ იმისთანა აგადის სუფრა ქონდა გაშლილი  
რომა, მის სახში ოც სტუმარ გაისტუმრებდა და გაუძღვებოდა. სინა-  
რულის ფესახი დაიყენა, რაც თავის დღეში არ მოსწრებია და არც მო-  
ნახებია იმტენი ოქრო ერთათ ნახა.

ქალაქის თავმა იმ დროოს დაუკაკუნავე კარზე, „არბაყქოსოთ“  
(მეოთხე ჭიქა ღვინო) ასრულებდენ და მხიარულობდენ. კარზე კაკუ-  
ნი რომ მოესმავე, გააღეს კარები და მიიწვიეს.

ქალაქის თავმა ხომ დაინახა ძვირფასი სუფრა, გაუკვირდა და  
კითხა, სიდგან დააყენეო ფესახიო, მე რომ აღარაფერი აღარ **(88. 12)**  
მამიციანო. მეძველე ისრეელმა პირველათ ვახშმათ მიიპატიჟა ქალა-  
ქის თავი თავისი ცოლითა და კარის კაცით. როდისაც სუფრაზე და-  
ჯენ (ასეა. ნ.ს.), მერე დაწვრილებით ჩამოუყვა, რაც მოხთა.

ქალაქის თავმა უთხრა: „მე იმიტომ მამივიდა შენზე გული რო-  
მა, მე გარჩენდი, იმტენ ძველებ გატანდი, შენე კი ჯერე შენ ღმერთს  
ეტყოდი მაღლობას და ბოლოს მეე, მეც ავდექი და გამოქცადე, აპა  
რას მოქცემდა ღმერთი, მე კი დაგიკეტე გზაა, მაგრამა ჩემი ქონება  
ისევე შენთან მოვიდა“.

კარის კაცი გამოტყდა, იქავე სუფრაზე თქვაა, მე ვქენიო, მეზა-  
რებოდა ისრეელობაო და მინდოდა შემეშინებინეთო. გამოირკვა რა-

შიაც იყო საქმე. ქალაქის თავადაც ერთი მაიმუნი, რომენიც სულ იმასთან ტრიალობდა და არ შორდებოდა. როდისაც ქალაქის თავი ოქროს ღებულობდა თავრობიდგან წონით, თითონ სათვალავით ურიგებდავე ქალაქის მოსამსახურეებ.

იმ დღეებში როდისაც მიუღია ოქრო და წონიდა, ოქროები ძირ დაპნეულა, იმ მაიმუნ თითო-თითოთ უყლაპია ძირდაყრილი ოქროები, არავის არ შეუმჩნევა, რომ ვეღარ მოუნელებია ჩაყლაპული ოქროები, შემოსვლია გულზე და მამკვდარა. ე კვდარი მაიმუნი გაუხოვია ჭინჭებში კარისკააც, წაუღია და იმ ისრეელისთვინ შესაშინებლათ აკოშკიდგან შეუგდია.

## **ქუთაისელ ებრაელთა ქართული (II რვეული)**

ჩაწერილია ქუთაისში, 1939 წ.-ს (აპრილში), როზა თავდიდიშვილის მიერ. მთქმელი მოსე ძორელაშვილი (60-ოდე წლისა, ქუთაისის მცხოვრები, შაუმიანის ქ.).  
რ. თავდიდიშვილის ადრესი: კოლხიდის 21, თბილ. 1939 წ.  
ეს რვეული გადაწერილია როზა თავდიდიშვილის ქმრის იზრაილის მიერ და შემოწმებულია როზას მიერ.

### **2. ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე (გვ.1)**

ერთ ხენწიფეს ომი გამოუცხადა მეორემ, ისე მოულოდნელი იყო ამ ომის გამოცხადება პირველი ხენწიფისათვინ რომა, პირდაპირ თავზარი დეეცა და აღარ იცოდა რა ექნა, ან ჯარი რანაირათ შეეგროვებინა, ან სარდლებათ ვინ დეენიშნა, ან ვის ნდობოდა. ერთი სიტყვით, თლათ დეებნა დავთარი და აირია.

ამ ხენწიფეს ძალიან ეჯავრებოდა ისრეელის შვილი და ვერ ინელებდავე იმათ თავის სახენწიფოში, რატომ არ მიიღესო ჩემი რჯულიო და რაზე ინახამენო მტკიცეთაო ისრეელობასაო. გულმოსულმა ადგა, ბძანება გასცა, როცა ცოტათი გონზე მოვიდა რომა, შეკრიფეთო ჯარიო რჩეულებიდგანაო და გალავანთან დეემზადონო საომრათაო. გულში კი ფიქრობს, – ამ ურჯულო ისრეელიშვილ რა უნდა უქნაო, ჯარში ვერ ვენდობიო, მიღალატებენო და ამ ჩემ სახენწიფოში რომ არიანო, რაში უნდა გამოვიყენოვეო.



იფიქრა, იფიქრა ხენწიფემ და მოიფიქრა, რომა ისრეელის რაბის მოლაპარაკებოდა, დაიბარა, აქ მომგვარეთო ისრეელის რაბიო საჩქაროთაო.

იფრინეს კარისკაცებმა და საჩქაროთ მოიყვანეს ხენწიფესთან რაბი.

რაბიმ თავი დაუკრა ხენწიფეს და მიესალმა, ხენწიფემ უთხრა რაბის: **(გვ. 2)** ისრეელო, მე გამიგონია, რომა თქვენ თორაში გიწერი-ავე – ბრძენი ჯობია წინასწარმეტყველსაო – თქვენე, ისრეელები ჩემ სახენწიფოში პურ ჭაამთ, ჩემი მფარველობის ქვეშ იმყოფებით, ჯარში არ გამოდიხართ, ჩემი სახენწიფოს მოსახმარებლათ, ჩემი ერთგული არ ხართ, ჩემი ერთგული და მრჩეველი სულ იმას მეუნებიან, არ გინდაო მა ხალხიო, შენი ერთგული არ არიანო და ამოჟლიტევეო, გეზერა გაკვეთეო; მართლაც და მეც აღარ ვიცი, რისთვის ხართ თქვენე ჩემ სახენწიფოში, რა საჭირო ხართ თქვენე ჩემთვის? აი აგერ სხვა სახენწიფომ ომი გამამიცხადა, ავარჩიე ჩემი ხალხიდან რჩეულები ვაშკაცები და ზედ უნდა შევაკლავე, რომა მტერი არ შემეესოს ჩემ სამფლობელოში და არ ააოხროს აქაურობა. რაში გამამადგებით თქვენე, ისრეელებო!

– რაშიაც გვობძანებსე ხენწიფე – თავდაბალი პასუხი მიცა რაბიმ.

ხენწიფემ ისევე უთხრა, რასაც ეუნებოდა: –თქვენ თორაში გიწერიავე, როგორც გითხარი – ბრძენი ჯობია წინასწარმეტყველსაო. ჩემა წინასწარმეტყველებმა ვერც ერთმა ვერ მითხრა წინასწარ, თუ რომენიმე ხენწიფე მე ომ გამამიცხადებდა, არც ვიყავი მეე ომისთვის მომზადებული, მართალი არი, მე არ მწაამს თქვენი თალმუდი, მაგრამა ახლა უნდა ხკითხო, რავა მოვიქცევი მეე და რომენი კარიდან გავალ დიდიდან თუ პეტერადან, ჩემ გალავან **(გვ. 3)** ორი კარი ააქ, ხომ იცი შენე. ჯარი გალავანთან მიცდის, მე თითვან უნდა გაუძღვე.

რაბი დაფიქრდა, ერთხან ხმა არ ამოუღია, მერე იფიქრა, რა ვქნაა მე ხომ ვუთხრა, დიდ კარში გახვალ-თქვა, პეტერაში გავა და ხომ ვუთხრა, პეტერაში გახვალ-თქვა, დიდში გავა; მაგე ახლა შემოჩენილი არი და თალმუდის დაბათლება უნდა, თავისი გულისყრა ისრეელიშვილზე უნდა რომ ამოიყაროს. ხენწიფე მიჩერებია რაბის, მოთმინება აღარ ყოფნის და აჩქარებს პასუხს.

– შენ ხომ დიდი რაბინი ხარ, ყველაზე ძლიერი თალმუდ-  
თორის მცოდნე ამ ქალაქში, ჯარი გალავანთან მე მიცდის, ხმას აუ-  
წია ხენწიფემ, მიპასუხე, დიდი კარიდან გავალ თუ პეტერადან, თვა-  
რემა ვაი შენი ბრალი და შენი საისრეელოსიც, ახლავე ვუბრძანებ,  
გაკვეთონ გეზერა და თელათ ამოჟლიტონ შენი სარჯულავი, ისე რო-  
მა თქვენი კუკულიც ადარსად დარჩეს.

– მოგახსენებთ დიდო და დიდებულო ხენწიფეო! – უპასუხა  
რაბიმ და სანამდისინი ხენწიფე ლაპარაკობდა და ემუქრებოდა, რა-  
ბის თავში ერთი აზრი დეებადა, რომ საისრეელო გედევრჩინა გა-  
ლუთისა და გეზერისაგან, უცვათ მიუგო პასუხი.

– დიდებულო ხენწიფე, მამეცით ქახალდი, მე ზედე დავწერ,  
რომენ კარშიდაც გახვალთ თქვენე, თქვენევე მოქცემთ ხელში. **(88. 4)**  
როდესაც თქვენ გალავან გაცილდებით, თქვენი სვინდისით დახე-  
დეთ ქახალდზე რაც ეწეროს, მანამდისინი კი ქახალდი, ნება მამე-  
ცით რომა, დაწეპილი იყოს. მეც თქვენ გაიხლებით, რომ გზა დაგი-  
ლოცოთ, თუ ქახალდზე სწორათ არ იქნეს დაწერილი, თქვენ რომენ  
კარშიაც გახვალთ, თქვენი ხმალი და ჩემი თავი, როგორც თქვენი  
სურნება იყოს, ისევე დამსარჯეთ.

ხენწიფე დეეთანხმა კარქიო და იფიქრა, ახლა კი ჩამივარდიო  
შენეო ხელშიაო, უხაროდა გუნებაში.

რაბის მოუტანეს ქახალდი, დაწერა ზედე და დაწეპა, გადასცა  
ხენწიფეს და უთხრა, რომა სვინდისის ქვეემ, სანამდისინი გალავნი-  
დან არ გავიდოდა, არ გეეხსნა.

ხენწიფე მიადგა გალავანსა და უნდა გაუძღვეს თავის ჯაარ;  
ახლა კი ფიქრობს თავის გუნებაში: ეს რა ეშმაკურათ მემექვაო  
რჯულძაღლიო, დიდ კარში გავიდეო, ვაი თუ დიდი კარი წერია ქა-  
ხალდზედაო და ისევე მაგისი სიტყვა გამართლდესო, პეტერაში გა-  
ვიდეო და ვაი თუ პეტერა აქ დაწერილიო. იფიქრა, იფიქრა ხენწი-  
ფემ, გაბრაზდა, კბილებ აკრაჭუნებს სიმწრიდგან, ხან დიდ კარზე  
მიადგება, ხან პეტერაზე, ისევე უკან გამობრუნდება, რაბინი კი შორი  
ახლოს დგაა და უყურებს თავჩაღებული.

ბევრი იწრიალა ხენწიფემ, ბევრიც იტრიალა, იფიქრა რავა მო-  
ვიქცეო და ბოლოს თავში იმისთანა აზრი მოუვიდა თავისი ჭკუით  
რომა ეგონა, ახლა კი დავაბათლეო **(88. 5)** საისრეელოვო: რაბი და-

წერდა ქახალდზე ან დიდ კაარ და ან პეტერასაო, მე კი არც ერთში გავალ და არც მეორეშიაო.

დაუძახა კარის კაცებ, უბძანათ გეერღვიავე კედელი გალავანის. საჩქაროთ დაუძახეს მნგრეველებ, მიაყენეს გალავნის კედელსა და გაარღვევინეს.

გაირღვა თუ არა გალავნის კედელი, ხენწიფე თავისი საუკეთესო გაწვრთნილი ცხენით გაყვა თავისი ჯარით, გახარებული, რომა შეუსრულდა თავისი გულის სანებური, გაბათილა თალმუდთორის სიბრძნე და გაიმარჯვა რაბის დაწერილ ქახალდზედაც, უხარია, ახლა კი დავრჯიო რაბინსაო.

რაბი იქვე მიუახლოვდა და გუნებაში ეცინება, თავისთვინ ამბობს: შე უწმინდურო, შენ გინდა თალმუდ-თორა და ისრეელობა იქნეს გაბათილებული, მაგრამა, არა, თორა-თალმუდი სიბრძნე არი, ვერ შეესწრები შენე მის გაბათილებას.

გამოვიდა თუ არა ხენწიფე და გამარჯვების ბაირახი ააშვირა, რაბის მიაწოდა ქახალდი და უთხრა, წაიკითხეო. რაბიმ უთხრა, თქვენ თითვან გახსენით და თქვენვე წაიკითხეთო; ხენწიფემ გახსნა და წაიკითხა.

ქახალდზე ეწერა: „ხენწიფეს იმდენი ძალა აქვს, რომა გაარღვევს კედელს, გაიკეთებს გზასა და გავა, არავინ არ დაუშლის“

გაუკვირდა ხენწიფეს, ჩაშალა ხელები და თქვა: –რათ ვიკლამდი თაავ, ან ამაში გავსულიყავი, **(გვ. 6)** ან იმაშიდაო, ხომ სულ ერთი იყო, მაინც ვერ გავიმარჯვებდი და ვერ ვაჯობებდი რაბის სიბრძნესაო.

ჩამოვიდა ხენწიფე ცხენიდან, მეტი გზა აღარ ქონდა, პირშავათ იყო, გედევხვია რაბის, გადაკოცნა და უთხრა: –ახლა კი ვამტკიცებ, რომა თელი თქვენი თორა-თალმუდი არის აგებული სიმართლის საფუძველზე და მართალი წერებულა თქვენ თალმუდში – „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველებედაო“. წადი, იცხოვრე შვიდობით, საისრეელოს თუ უჭირდეს, დღეიდან გამამიყენე, იცოდე, რომა ამიერისაგან თქვენი მტრობა ჩემ გულში აღარ გაივილის; უცნისხართ თქვენე ღმერთ, როგორც ჭკვიანი და ბრძენი ხალხი, გამოურჩევიხართ სხვა ხალხიდგან და ღირსიც ყოფილხართ. თქვენ ხაართ მამთმენი, ამტანი ყველანაირი გაჭივრებისა და დამცირების, ალბათ თქვენთვინაც მოიცლის ღმერთი და როგორც იტყვიან, თქვენზეაც დაიბერტყამს

სასიკეთო კალთას. თქვენი ლოცვა ულოცავი არ არი და თქვენი წყევ-  
ლაც უწყევარი არ არი. არ დამწყევლო ისრეელის რაბი; დამილოცე  
გზაა, რომ მტერმა ჩემზე არ გაიხაროს, არ მაჯობოს და არ დამძალოს.  
გულითა და სულით დამლოცე რაბი, ისე რომა გულში ჩემზე არაფე-  
რი ცუდი გაიფიქრო, ზვერი ვეცადე დამეზათლებინა თქვენი თორა-  
თალმუდი, მაგრამა მე თითონ დავზათლდი ხოლმე ყვეელთვინ, ერ-  
თხელ კიდევ ქთხოვოვ, დამლოცე რაბი!

**(გვ. 7)** – წადით, დიდო და დიდებულო ხენწიფო! ეს ერთი  
მუდამ გახსობდეს რომა, ვინც ისრეელის შვილზე ცუდ არ დახარ-  
ჯამს და გულში ცუდ არ გაივლებს, ისი ყვეელთვინ გაიმარჯვებს. ამ  
გზობით თქვენეც გამარჯვებული დაბრუნდებით, სულ წალმა ია-  
რეთ, თქვენი სახენწიფოთი და თქვენი ერთგული ჯართაც. ამენ.

(მთქმელი მოსე ძორელაშვილი. ქუთაისი. 1939 წელი)

### **3. იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა (გვ. 8)**

ქვეყნათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და ღატაკი, ხვთისაგან შე-  
წყალებული ისრეელი – იოსეფი. ამ ქვეყნის შვიდობაში იმას არაფე-  
რი არ გააჩდა. უდგა მოჯამაგირეთ ერთ ძალიან მდიდარსა და მუნწ  
უცოლშვილო უმთ აყოლამ (არა ისრეელ). ბატონი იმას ხშირათ  
ცემდა კიდევ, აწამებდა, ძალიან ტვირთამდა მეტისმეტი სამუშაოთი  
და ჯამაგირსაც მიდღემჩი თავის დროზე არ მიცემდა.

იმდენი ყოფა-ცხოვრება ქონდა ამ ბატონ, რომა იმის ძირ-კუ-  
თხეში აღარ ეტეოდა, არც ყავდა ცოლ-შვილი, არც იცოდა სად წეელო  
ამდენი სიმდიდრე, ღარიბისთვინ და გაჭირვებულისთვინ ხომ სუ-  
ლაც არაფერი ემეტებოდა და ის იყო.

ერთხელ ბატონი თავის ჭიშკართან იდგა, მამულეხსა და ეზო-  
გარემოს გადაყურებდა, ტკბებოდა თავისი სიმდიდრით, ეცინებოდა  
გუნებაში, რამდენი ქონების პატრონი ვარო. ამ დროს ჭიშკართან  
გამოიარა კუდიანმა მკითხავმა, მივიდა ბატონთან და შეეკითხა: –ბა-  
ტონო, მკითხავი თუ გინდა, რაც მოგელის შენი თავგადასავალი,  
ყველიფერი სწორათ გითხრა მე და ჩემმა ღმერთმა.

– რა უნდა მოქცე საკითხავი?

– რაც გინდა ის მამეცი, ხოლოთ ჯერე ფული ამოიღე, **(გვ.9)** ხელის გულზე დაიდევინ და ისე გიკითხამ, თვარამა მანამდისინი ვერაფერსაც ვერ გეტყვი.

ბატონ ძალიან კი დეეზარა ფულის დახარჯვა, მაგრამა მანინც დაინტერესდა, გავიგოვო რა მემელისო, ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის ფული და დაიდვა ზედ ხელისგულზე. მკითხავმა აათვარიელა მისი მარჯვენა ხელისგულის ხაზები, გადააქნია თავი, ყოყმანობდა კი, რანაირათ ეთქვა ბატონისთვის, რასაც მისი ხელისგულის ხაზები უწინასწარმეტყველებდენ. ბატონსაც უკვირს მკითხავის სიჩუმე და შეეკითხა: –რაზე არ მეუბნები არაფერ, ფული კი ადრიაანა ამაღებინე და ახლა არაფერსაც აღარ ამბობ!

– რა გითხრა ბატონო, რომ გეწყინოს, გაჯავრდები და მე ტყუილ კი არ გეტყვი, კარქათ იცოდე.

– მითხარი, მითხარი ბარედმა, მოთმინებიდან გემევედი, რა აწერია ჩემი ხელის გულზე, ნურაფერ ნუ დამიმალამ.

მკითხავი-კუდიანი გათამამდა ბატონის სიტყვით, ადგა და ყველიფერი უთხრა: –ბატონო, შენ ხელისგულზე გაწერია, რომა რაც შენე სიმდიდრე და ყოფა-ცხოვრება გაგაჩნია, ყველას უნდა დეეუფლოს და დეეპატრონოს შენი მოჯამაგირე.

ფინთიხივით მოხვთა ბატონ ე სიტყვა **(გვ. 10)** გულზე, ისე ეწყინა აღარ იცოდა რა ექნა, რაღას მიეწევოდა თვარემა, რომ მოკიდებდა ი მკითხავ ხელ, მოკლამდა. მკითხავმაც რომ შეხედა ბატონი ნაწყენი დარჩა და იმისთვის კაი, გასახარელი არაფერი არ უთქვია, ისე სწრაფათ წაავლო ვერცხლის ფულ ხელი და მოკურცხლა უკან მოუხედავათ, რომა ბატონმა მოფიქრებაც კი ვერ მოასწრო.

იმ დროს მოჯამაგირე იოსეფი შორი-ახლო იდგა და ბატონ მიჩერებოდა, ხუჩაბათ სალამო იყო და იქნებოო რამე ნაირათაო შაბათის ულუფისთვის ცოტაოდენი ფული მამცესო ჩემი ჯამაგირიდგანაო, რომ შაბათი დავაპატიოსნოვო; რომ ნახა მისი ბატონი გაბრაზიანებული იყო და მკითხავის ნათქვამიც არაფერი არ გამოპარვია, ყველაფერი მოისმინა, შეეშინდა მცემსო, მანინც ვეზარებიო და ახლა რომ მკითხავმა უთხრაო, შენი ყოფა-ცხოვრება შენმა მოჯამაგირემ უნდა მოიხმაროსო და ჩუმათ თავის გუნებაში კი გაიციინა, მაგრამა კრავი ფეხი მოკურცხლა და მიიძალა.

ბატონ იოსეფი ისედაც ძულდა, როგორც ისრეელი და თანაც, როგორც შაბათის დამპატიოსნებელი; გულზე სკდებოდა – რატომ აყენებსო შაბათსაო, ეს ღარიბ-ლატაკიო, ეს მათხოვარი და ხვთის გლახაო.

**(გვ. 11)** იოსეფი კი ჩვეულებრივად კვირეობით შიმშილობდა, მაგრამა შაბათისთვის უსათუოთ ხორცსაც იყიდდა და თებზსაც; ხორცი რომ ვერ ეყიდნა და ვერ ეშონა, თებზ მანც არ დაიკლებდა საკურთხებლათ; ქვას გახეთქამდა და ისე იშონიდა, ბაზარზე რომ გასაყიდელი არ ყოფილიყო, ყველა მეთებზეც ჩამოვილიდა და ბადეს გადაასროლინებდა წყალში და თებზ ისე დააჭერინებდა, შაბათს კი უთებზოთ არ დააყენებდა.

ბატონი ცეცხლმოკიდებულებით პირიდან დორბლებ ყრიდა, აღარ იცოდა, რა ექნა, რანაირათ ეცდინა თავიდან უბედურება, რითი დეეხწია თავი იოსეფისაგან – იფიქრა, იფიქრა, იმდენი იფიქრა, რომა თლათ ჩამოხმა და ჩამოდნა ფიქრიდან, კაც აღარ გავდა.

ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, იოსეფი გაეშვა, თავისი თელი ყოფა-ცხოვრება კი ერთბაშათ გეყიდნა და ერთ თავ რამეში ჩეყარნა.

ასეც მოიქცა, გაყიდა ნელ-ნელა მამულები, ეზო-გარემო, ოთხფეხი, ორფეხი, ოჯახის ხაბაკი, ერთი სიტყვით თელი თავისი ქონება ფულათ აქცია და ბოლოს იოსეფ უთხრა: ხომ ხედამ შენი თვალით, აღარაფერი გამაჩნია, ეს ერთათ ერთი ქოხი დამრჩა, მეტი არაფერი და მოჯამაგირე რაღათი უნდა გავისტუმრო, წაიღე რაც გერგება, გაგისწორებ ანგარიშ, გაუდექი გზას და წადი.

**(გვ. 12)** იოსეფსაც მეტი რაღა გზა ქონდა, მიიღო ბატონიდგან საბოლოოვით ანგარიში, გაუდგა გზას და წავიდა.

შეუდგა იოსეფი ღმერთის სახელზე ცხოვრებას, დღიურ ლუკმას ყველთვინ შონილობდა, ხან მიწას მუშაობდა, ხან ვინმეს დღიურათ მიექირავებოდა, ხან ზურგით ხაბაკ ზიდამდა, ერთი სიტყვით არაფერ შრომას არ უკადრისობდა, როგორც იყო ცოლ-შვილის სარჩოს შონილობდა. შაბათის დაპატიოსნება მანც არ დაუგდია, ჩვეულობა როგორც ქონდა, ისეც ისე ზრუნამდა შაბათისთვის, არ დაუტევებია.

ბატონმა, როდისაც თელი თავისი ქონება ფულათ აქცია, იოსეფი სახლიდან გაუშვა და გულიც დაიწყნარა, ადგა და იმ ფულით

ერთი ძვირფასი თვალი-ქვა იყიდა, ამოიკერა ქუდის სარჩულში და სულ მუდამ, დღე და ღამე თან ატარებდა, თავიდგან არ იშორებდა, გუნებაში უხაროდა, ფიქრობდა, ახლა წაიღოსო ჩემი ქონებაო იოსეფმაო.

ერთ დღეობის დღეს, ბატონმა ხიდზე გაიარა, ამ დროს ამოუბერა ქარმა, მოსტაცა ბატონ ქუდი, ჩავარდა ქუდი წყალში და წაიღო წყალმა. დარჩა ბატონი, თვალნაცრიანი, გულღადრიანი, დაიწყო ჯავრი და დარდი, იტირა, ინაღვლა, რატომ დაუჯერეო იმ კუდიან მკითხავსაო, რაც იმას ვაკითხვინეო, იმის უკან მოსვენება დემეკარქაო, შიშიდგანაო. ისედაც მეზარებოდაო ის ისრეელი მოჯამაგირე იოსეფიო და რომ იმას ჩემი ქონება არ დარჩენოდაო, დავიღუმპეო ჩემი **(გვ. 13)** თავიო; ის უბედური იოსეფიც ისევე საწყლათ დარჩაო და მეც დავსაწყლდიო, საწყლათ დავრჩიო.

ბატონის ქუდი რომ წყალმა წაიღო, წყალში დაღპა და სულ ყაშა-ყაშა დაიშალა, ი ძვირფასი თვალიქვა კი თებზმა ჩაყლაპა.

იოსეფი, როგორც ჩვეული იყო რომა პარასკეობით აუცილებლათ თებზი უნდა ეყიდნა შაბათის დასაპატიოსნებლათ, ისევე იქცეოდა. ერთ-ერთ პარასკებ დღეეს ვერსად ბაზარზე იოსეფმა თებზი ვერ იშონა, გასკდა გულზე, აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, რანაირათ გეთენებინა უთებზოთ შაბათი, ძალიან შეწუხდა, ადგა და მეთებზეს შიგ სახში მიადგა და თხოვა: შენი ხვთის გულისთვინ, შაბათ ნუ დამაბათლებინებ უთებზოთ, წამოდი ერწამა, წამოილე ბადე, გადაისროლე, რაც გინდა ფული, იმდენი გადამახთევინე, იწამე ისრეელის ღმერთი, შაბათ ნუ დამაბათლებინებ, რომ კიდევაც ვერაფერი დაიჭირო, მე ჩემსას მაინც ვცდიი და შაბათის სახელზე ბადეს გადასაროლინებ, მემეხმარე რომ შაბათი დავაპატიოსნო.

მეთებზემაც აღარ უთხრა უარი, წაყვა წყალზე და გადაისროლა ბადე, გადაისროლა თუ არა და ბადეს თებზი მოყვა, ამოიყვანა ცოცხალი თებზი, გაიხარა იოსეფის გულმა, გადაუხადა მეთებზეს დიდისგან დიდი მადლობა, გაისტუმრა ფულიც და წამოიღო თებზი სახში.

**(გვ. 14)** იოსეფი გახარებული მოვიდა სახში, ცოლ მიახარა რომა, არ გაუმტყუნდა იმედი, შაბათის სახელზე თებზი იშონა და მოიტანა.

ცოლსაც გეხარდა, დატრიალდა, დაიკაპიწა კლავები, აილო ხელში დანა, შეუდგა თებზის გაქერცვლას, როდისაც კარქათ გაქერცლა, დაუსვა დანა და გაფატრა ე თებზი, რომ გაუჭრა შიგნეულობა, ნახა რას ნახამს მისი თვალეები, თებზს გადმოუარდა შიგნიდგან ერთი დიდი, უშველებელი ძვირფასი ქვაა, რომენიც ისე ზწყინამს, როგორც მზე და მთვარე, დაავლო იოსეფმა ქვაას ხელი, გარეცხა და გაასუფთავა. ჯერე პირველათ უბრალო ქვა ეგონა, დააკვირდა კარქათ, გაშინჯა, ნახა ძვირფასი თვალიქვა არი, რომნის ბადალი კაცის თვალ არ უნახია და არც უკეთესი. გაახვია იოსეფმა ქვაა, სუფთათ წაილო სახლიდან, ვინმე გამოცდილ კაც ვაჩვენებო და მიუტანა კიდევაც სახახავათ ერთ ნაცნობ.

იოსეფის ნაცნობი გადარია ღარმე იმ ქვის ნახვამ, ისე მეეწონა, კითხა სად ხქონდაო, იოსეფმა ჩამოუყვა როგორც იყო საქმე; ადგა ამ კაცმა, წაიყვანა იოსეფი ისეთ კაცთან, ვინც ამ ძვირფას ქვას შეაფასებდა ღირსეულად და კიდევაც გამოუძებნიდა მის მყიდველსაც.

ერთი სიტყვით, იოსეფმა ეს ძვირფასი თვალიქვა გაყიდა იმისთანა ფასში, რომა თავის სიცოცხლეში არც კი მოიფიქრებდა, თუ ამდენ ფულ მისი თვალეები როდისმე ან სიმძარში ნახამდა.

**(გვ. 15)** გამდიდრდა იოსეფი, იყიდა ძვირფასი სახლ-კარი, შეიმოსა ცოლშვილიანათ საუკეთესო ტანფეხით, შეიძინა საუკეთესო ხაბაკი, ოთხფეხი და ორფეხი. მისი ბატონის გაყიდული მამულები და ბაღები სუყველა იოსეფმა იყიდა.

გაიწყო საუკეთესო და დიდებული ოჯახი, მოიწყინა ღმერთმა მისი გაჭირვება და შეწუხება.

გავარდა ხმაა, რომა მოჯამაგირე იოსეფმა თებზში ძვირფასი ქვა ნახაო, იმისთანაი რომა, მისი გაყიდული ფულით გაკეთდაო.

ეს ამბავი მივიდა მისი ბატონის ყურამდინაც. გასკდა ჯავრით ბატონი გულზე და თქვაა: –ამიხთა ნამდვილათ იმ კუდიანი მკითხავის ნათქვამი, რა ვქნაა, ბევრი ვეცადე, იოსეფს არ ჩავარდნოდა ხელში ჩემი ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მისი ყისმათი და იღბალი ყოფილა – ღმერთმა მოახმაროსო.

ბატონ ისე დეეხვია გულზე ე ამბავი რომა, იდარდა კიდე მეტათ და სულ მალე თანაც გადაყვა.



#### 4. იეკუთიელ მხატვარი (გვ. 16)

ქვეყნათ იყო და ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი მხატვარი; მისი სახელი განთქმული იყო ცის კიდიდან ცის კიდემდისინი.

იმ სახენწიფოში რაც კი საუკეთესო სახენწიფო და სამინისტრო სახლები სადმე აშენდებოდა და გაკეთდებოდა, სუყვეელდგან იეკუთიელ მხატვარ უმახოდენ და მიიწოვდენ. ერთი სიტყვით, ყველა იმაზე უთითებდა, იმისი სახელი ყველდგან გავარდნილი იყო, იმის მხატვრობასაც დიდათ აფასებდენ, რისგანაც იეკუთიელი ძალიან დიდსა და ბევრ ფულს შონულობდა.

მიუხედავად იმისა რომა იეკუთიელი დიდ საქმეებ აკეთებდა და უზომო ბევრ ფულს შონულობდა, თითონ უცოლშვილო იყო, ცხოვრობდა ერთ პეტერა მიწურ ქოხში, ჭამდა გამხმარ პურსა და სვამდა მარტო წყალს, არც ყავდა ქვეყანაზე არაფერი ნათესავი და მახლობელი, არც გააჩნდა სახში არავითარი ხაბაკი, ეცვა ღარიბულათ, შაბათიდან შაბათამდისინი ხომ სულ ცარიელ ხმელ პურზე იყო, შაბათისთვის კი ყავდა იეკუთიელ მიჩენილი ერთი მელამედი – მასწავლებელი, რომენთანაც შაბათ აყენებდა ხოლმე და კიდევაც ისვენებდა. შაბათ რომ გამოილოცამდა და კვირე დილა გათენდებოდა, ადგებოდა და იმ მელამედ მასწავლებელ მამინ მიცემდა შაბათის ულუფის ფულ – ერთ მანათიან და წავიდოდა სამუშაოთ, მეორე პასაკებ სალამომდისინი ისევე (გვ. 17) მუშაობდა.

ქვეყანას უკვირდა ამ კაცის ამბავი, ამდენ ფულს შონულობსო, არ აცვია და არ ახურიაო, ცოლი არ აწუხებსო და შვილიო, ტერი და მოყვარეო, კეთილი და საყოლიო, სახში არაფერი გააჩნიაო, ღარიბი არ ებრალეზაო, სად მიაქო ე ფულიო, ან რას უშვებაო! რომ ვინმე დეესესხებოდა, უარ ეტყოდა, არა მაქო; ეგონათ, ოქროს ინახამსო და თავის სახში ექნებაო შენახულიო.

ქურდებმა რამდენჯერ გატეხეს მისი ბინა, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახეს; ნახეს მხოლოთ ერთი სუდარი, მაგრამ რათ უნდოდათ. გაკვირებული და გაოცებული ერთი მეორეს ეკითხებოდენ, სად მიაქო იეკუთიელსაო ამდენი სიმდიდრეო. არ იქნა და ვერავინ ვერ გაიგო, რას უშვრებოდა იეკუთიელი ნაშუარ ფულს.

იმ ქვეყნის ცხოვრები უმახოდენ – იეკუთიელი უსახელოსავით ზედ თუ აჯდისო ოქროებსაო – იცინოდენ.

იმავე ქვეყანაში, სადაც იეკუთიელ მხატვარი ცხოვრობდა, იყო ერთი გამოჩენილი მეხორცე ყასაბი და ერთიც მებაყლე. ყველას აკვირებდა იმათი ხელგამლილობა. ყოველ ხუჩაბათ ღამეს, უფასოთ გასცემდნენ ღარიბ ისრეელებზე, ვისაც რამდონი უნდოდა, ხორცსა ყასაბი და დანარჩენ სურსათსა კი მებაყლე; იმათი დუქნის წიინ ყოველ ხუჩაბათ საღამოობით თავ იყრიდნენ ღარიბები და სახში მიქონდათ შაბათის ულუფისთვინ რაც კი დაჭირდებოდათ და იმითი ღმერთის სახელზე შაბათ დააყენებდნენ ხოლმე.

**(88. 18)** ერთხელ იეკუთიელის მეღამედ-მასწავლებელ ფული დაჭირდა ძალიან შაბათისთვინ, მივიდა იეკუთიელთან და თხოვა: –იეკუთიელ, დღესე პარასკევი არი, შაბათის ულუფისთვინ ერთი მანათი მაკლია, შენე ხომ მაინც კვირეს უნდა მამცე ფული, იწამე ღმერთი და დღეს მამეცი, შენთვინაც ხომ სულ ერთი არი, როდისაც უნდა გადაიხადო, ბარელმა გადახთილი გექნება და ის იქნება.

იეკუთიელმა უარით გაისტუმრა, –არა მაქო.

მელამედ ამაზე გული მოუვიდა და უთხრა:

– რას უშვები ამდენ ფულზე, სად ეშმაკში მიგაქ, შეხედე, აგერ ყასაბსა და მებაყლეს, შენოდენ არ შონულობენ მაგრამა, რა გულკეთილი არიან, შენე სესხითაც არავის უმართამ ხეელ და ჩუქებით ხომ ვინღას რაღას აჩუქებ. ვის უნახამ შენ სიმდიდრეს, არავინ გაგაჩნია, შინ და გარეთ, არ გაცვია და არ გახურია, არ სვამ და არ ჭამ, ერთათ ერთი, შაბათისთვინ ხარჯამ ერთათ ერთ მანათ და იმაზეაც ტირი.

იეკუთიელმა იუკადრისა მეღამედის საყვედური და უთხრა: წადი შენეც ყასაბთან და მებაყლესთან, შენეც მოქცემენ უფულოთ და დააყენე შაბათი, მე კი სანამდისინი კვირე დილა არ გათენდება, ერთ კაპიკ არ მოქცემ ციოდე, ამიერისაგან აღარც მითხრა არაფერი.

იეკუთიელი ზიზღით უყურებდა მდიდრებ, არაფერ დროში იმათთან არც დაჯებოდა, არც გაივლიდა, არც ერეოდა, სულ **(88. 19)** არ ეკარებოდა ღარიბების მეტ არავის; ლოცვაშიაც იმათთან იყო ხოლმე და ერშიაც.

ერთ დღეეს იეკუთიელი სამუშაოთ აღარ გამოსულა, მივიდნენ იმასთან ქოხში, მიაკითხეს და კვდარი დაუხვთავე.

მდიდრებ მისი დასაფლავება არც კი უნდოდავე მაგრამა, ღარიბები გემეესარჩლენ აქა-იქა, გულკეთილი ისრეელები და თქვეს: –ისრეელიშვილია, სუდარი შეკერილი ააქ და ჩვენეც ღმერთის სა-

ხელზე ისრეელის წესით მივაბაროთ მიწას და დავმარხოთო, მაღლი არი, ხომ არავისთვინ არაფერი წაურთმევიანო.

დაუძახეს ჯამაათ ალალის სათქმელათ, შეიკრიფა ჯამაათი, ერთიმეორეს შეატყობინეს, მიცვალებული დავაპატიოსნოთო და იმდენი ხალხი მოვიდა და დეესწრო, ყველას უკვირდა. მიწაში რომ ჩააწვინეს სუდრით, ზოგიერთმა სიცილით საფლავში ჩასძახა: უჭკუო იყავი ამ წუთისოფელზე და იმ სოფელსაც უჭკუოთ წებვედი, ვინ იცის, სად არი შენი ქონება, ვინ მიაგნებს სად გააქ დამარხული.

უთხრეს იეკუთიელ ალალი, მიაყარეს მიწა და ჯამაათი თავის გზას გაუდგა.

ხუჩაბათ საღამო რომ მოვიდა, ღარიბი ხალხი როგორც იყვენ დაჩოვილი, მიადგენ ყასაბსა და მებაყლეს მოწყალების მისაღებათ, მაგრამა, იმათმა აღარაფერი აღარ მისცეს, უარით გაისტუმრეს და უთხრეს: **(გვ. 20)** თქვენი მარჩენალი აღარ არი, ის იყო იეკუთიელ მხატვარი, ის გიგდებდავე ყუურ, ჩვენე ის გვამღევედავე თქვენთვინ დასარიგებლათ, იმიტომ რომა, იმას არ უნდოდა იმის სიცოცხლეში რომ ვინმეს გეეგო, თუ რა შემზრალე იყო ისი ღარიბის.

დაიწყეს ღარიბებმა ტირილი და მწუხარება, რატომ ადრე აქამდისინი არ ვიცოდითო, თუ ის ჩვენი ამნაირი შემზრალე იყოვო, მაგრამა რაღას მიეწოდენ.

გავარდა ხმაა რომა იეკუთიელ მხატვარი კი არ ინახამდა თავის ქონებას, სულ ღარიბებისთვინ დაურეგებია და ღარიბი ებრალეობოდაო.

ვინც კი ეს ამბავი გაიგო, ყველა ცხონებას უთვლიდა.

## **5. ორი ძმა (გვ. 21)**

ორი ძმა დარჩა ობლათ. ერთმანეთ არ შორდებოდენ. დახეტი-ალობდენ, დაწანწალობდენ ერე-კახე, რასაც იშონიდენ, შუაზე იყოფდენ და ერთიმეორე ებრალეობდათ. უფროსი უმცროსს ბრალობდა, პეტერა არიო, დიდ ნატებ პუურ იმას მიცემდა, ობოლი და გულნაკრული არიო, უმცროსსაც ძალიანი დიდი პატივისცემა და ხათრი ქონდა უფროსის, ჩემზე დიდი ის არიო, მეტი საჭმელი ჭირიაო, მაგრამაო ყველეთვინ მე მამღევსო მეტსაო, ცოდო არიო.

გაიარა დრომ, ძმები ისევე ტკბილათ და წყნარათ ცხოვრობდენ, იმათ ბარაზე არაფერი არ გააჩდათ, არ იცოდენ, სად დაუღამდებოდათ, ან სად გაუთენდებოდათ, სულ ერთათ იყვენ და ერთმანეთიც ისევე უყვარდათ.

ერთხელ უფროსმა ძმამ უთხრა უმცროს: –ძმაო, რამდენი დღე მოდის ვიზდებით და ვვაშკაცდებით, სანამდისინი უნდა ვიქნეთ, ამ უპატრონო ქვეყანაზე ჩვენეც უპატრონოთ და უყურაგდებოთ, მოდი ძმაო, რა გითხრა, თუ არ გეწყინება, ერთმანეთ პირობა მივცეთ, რომ სიკვდილი და სიცოცხლე არ დავშორდეთ ერთი მეორეს, სულ ერთათ ვიყოთ, ოღონ ამ ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში წავიდეთ, გამოვიცადოთ ჩვენი ბედი და ჩვენი იღბალი, ადგილ რომ გამოვიცვლით, იქნება ჩვენი მაზალიც სასიკეთოთ გამოიცვალოს, ან რამე საქმე და **(გვ. 22)** სამუშაო ვიშონოთ, ვახსენოთ ღმერთი და გაუდგეთ გზას.

– კარქი ძმაო, როგორც ჯობია შენ უფრო იცი, შენ ხარ ჩემი უფროსი და ჩემი პატრონიც, მე ყველაფერ დაგიჯერებ.

ახსენეს ღმერთი ორივე ძმებმა, ჩაკიდეს ერთმანეთ ხელი, გასწიეს და წავიდენ. იარეს, ბევრი იარეს, ზაფხულის დღე იყო, ზეიდან მზე წვამდათ, მოწყურდავე და მოშივდავე კიდევაც, ვერც შეხვდავე ვერაფერი საჭმელი გზაზე.

ძმები ერთმანეთ მიჩერებთან, ებრალებათ ერთმანეთი, უფროსი ფიქრობს, ე ჩემი ძმა პეტერა არი, ვაი თუ რამე გაუჭირდეს შიმშილიდგან, რაზე ვიდებდი ამის საცოდაობას, რომ ავიკვიატე წამოსვლა, იმ ჩვენ ქვეყანაში ნატებს ხმელ პუურ მაინც მოგვიშვერდა ვინმე და ვიშონიდიითო.

უმცროსი კი ფიქრობს, ისე დავსუსტდი, ფეხზე ვეღარ ვდგები, ამ ჩემ საწყალ ძმას კისერზე ჩემევეკიდე, დავღალე, ცოდო არი, სად მათროსო.

ძმებ ისე რცხვენიათ ერთმანეთის, თვალ ვერ უსწორებენ, ამასობაში დაინახეს, მწყესები დამჯარან და პურ ჭამენ. მიუახლოვდენ ძმები მწყემსებ და უთხრეს: –გამარჯობა თქვენი, თქვენ ხვთისა ხართ და ღმერთი თქვენია, იწამეთ გამჩენი, შიმშილით დავიხოცეთ და ცოტა პური გვაჭამეთ, შეგვიბრალეთ.

მწყემსებმა აიღეს ერთი თელი პური, მისცეს და უთხრეს: –აი-ღე შვილო, ჭამეთ, ღმერთმა შეგარგოსე დედი თქვენის ძუძუსავით.

**(გვ. 23)** უფროსმა ძმამ გამოართვა პური, დიდი მადლობა გადაუხადავე, გატეხა პური სამ ნაწილათ, ორი ნაწილი უმცროს ძმას მისცა, ერთი წილი კი თითონ დაიკავა და ჭამა.

პურის ჭამას რომ მორჩენ, ღმერთ მადლობა გადაუხადეს, ადგენ და წავიდენ, გზას გაუდგენ, საღამომდისინი იარეს. საღამოზე მიადგენ ერთ ჯვარადინ გზაას. შუა გზაში იყო სვეტი, ზედ ეწერა: „მარჯვნივ ვინც წავა, ხენწიფე გახთება, მარცხნივ ვინც წავა, დინდარეო“.

ძმებმა რომ წაიკითხეს, ერთმანეთ მიაჩერდენ და დაფიქრდენ, რავა მოქცეულიყვენ, უფროსმა უთხრა უმცროსს: შენე მარჯვნივ წადი, ხენწიფე გახთები, მე კი მარცხნივ წავალ და დინდარე გახთები.

უმცროსმა უპასუხა: –არა ძმაო, შენე უფროსი ხაარ, შენ გეკუთნის ხენწიფობაც, შენ წადი მარჯვნივ, მე კი მარცხნივ წავალ, თუ რამე ხეირ გედევყრებით და მიზანს მივახწევთ, ერთმანეთი არ დავივიწყოთ თუ არა და აქავე ამ სვეტთან შევხვდეთ ჩვენე ისევე ერთმანეთ.

დაკოცნეს ერთმანეთი, წაღმა დააბრუნეს და დაშორდენ ერთმანეთ, მარჯვნივ უფროსი წავიდა, მარცხნივ – უმცროსი.

მარჯვნივ წასულმა უფროსმა ძმამ ბევრი იარა, მივიდა ერთ ქვეყანაში, მიიხედ-მოიხედა, სად გეთია ღამე არ იცოდა, ადგა და ერთი ქოხის ეზოში შევიდა, ძაღლმა დაყევა, **(გვ.24)** ძაღლის ყეფის ხმაზე სახლიდან ერთმა ქალმა გამოიხედა, რომ დაინახა ახალგაზდა ყმაწვილი კაცი არი, შეეგება და მიიწვია თავის ქოხში; მიეგება, ხელფეხი დააბანა, სუფთა ლოგინი გაუშალა და მოასვენა, საჭმელი ბევრათ რამე ქონდა და არც არაფერი მიუწოდებია, თავისი კი ემართებოდა სირცხვილით, რომა სტუმარ ვერაფერი ვერ მიართვა და ისე დაიძინა მშვირმა.

ე ქალი ქვრივი იყო, ძალიანი ღარიბი მაგრამა, ძალიანი გულკეთილიც, თუ კი ვინმე იმასთან ქოხში შესვლას იკადრებდა, ისი ყველას შვილივით მიიღებდა და კიდევაც გაუმასპინძლდებოდა, რაც შეეძლო; თითონ რომ შიერი დარჩენილიყო, სტუმარ მაინც აჭმევდა და გაუმასპინძლდებოდა.

დილა რომ გათენდა, სტუმარ ისევე ხელწყალი მიართვა, ტანისამოსი დასუფთავებული დაახვთერა და ისევე მიეგება.

სტუმარმა დაიბანა ხელ-პირი, ახსენა ღმერთი და დეეპირა წასვლას. ქვრივ ქაალ შერცხვა, აღარ იცის რა ქნას, დაუხემსავათ მიუდის სტუმარი, სტუმარი კი ეს არი სახლიდან უნდა გავიდეს, დეემ-შვიდობა ამ ქვრივ ქაალ, დიდი მადლობა გადაუხადა პატივისცემის-თვინ, ხელზე აკოცა. ქვრივ ქაალ კიდე მეტათ შერცხვა, მეტი უხერ-ხულობა იგრძნო, ისე ზდილობიანი რომ ნახა თავისი სტუმარი და თავჩაღუნულმა მორცხვათ უთხრა: შვილო რადგანაც გერქარება და მიდიხარ, არც არაფერი დაგიკბილია ჩემ სახში, თუ არ იუკადრისებ, რაც მათ იმითი **(გვ.25)** ქცეემ პატივ და ნუ დამძრახამ დედაშვილო-ბას.

სტუმარმაც თავისი ხრით უხერხულობა იგრძნო, ვეღარც გაბე-და უარის თქმვა და უპასუხა:

– რაზე წუხდებით, ბატონო, მეე მაინც მიმერქარება ძალიან და სულ ერთი არი, მაინც ვერ გავჩერდები.

ქვრივ ქაალ სამაღა ძირკუთხეში ქონოდა დარჩენილი ერთი ცალი თაფლის სანთელი, მეტი რომ ვერაფერი ნახა, აიღო ე სანთე-ლი, მიაწვავდა სტუმარსა და უთხრა: –წაიდე, შვილო, ე ცალი თაფ-ლის სანთელი ჩემ ნახელავათ, ხქონდეს ჩემ სახელზე, ნუ მიძრახამ, დედაშვილობას, კიდე გეხვეწები, წადი ლოცვის ეზოში, იქნაი ჯამა-ათი არი თავმოყრილი და რისთვინ არი, იმასაც გეტყვი. ჩვენ ქვეყა-ნაში ხენწიფე გადაიცვალა, იმას დარჩა ერთათ ერთი ქალიშვილი და გამოცხადებული არი, ხალხი თავ იყრის ლოცვის ეზოში; ხენწიფის ქალიშვილი თავისი მინისტრებით თებაზე არიან და თვალ ადევენ-ბენ, უყურებენ, ვისი სანთელიც ლოცვის კარში შესვლის დროს უცეცხლოთ აინთება; ახალგაზდობამ უნდა შეიტანონ ლოცვაში სა-ნთლები მაღლა აწეული ხელით, ის უნდა გახთეს ხენწიფე და ხენწი-ფის ქალიშვილიც იმას უნდა წაყვეს ცოლათ. ჩვენი ქვეყნის ახალ-გაზდები იქნა მირბიან, ყველას ხელში სანთელი უკავიათ, შინჯე შენეც, შვილო, წაიდე ე სანთელი და ვინ იცის, იქნება გამჩენმა ღმერთმა მოიწყინოს ჩემი ამდენი შეწუხება და სიღარიბე, თუ ვინი-ცობა არი, **(გვ. 26)** აინთოს უცეცხლოთ შენი სანთელი და გახთე ხენ-წიფე, ღმერთ არაფერი გაუჭირდება და არც გაუკვირდება, იქნება მე-შველოს მეცა და არ დაგავიწყდე.

აიღო უფროსმა ძმამ ხელში სანთელი, დიდისაგან დიდი მად-ლობა გადაუხადა და წავიდა, გუნებაში კი ფიქრობდა, ნეტაი რა

ცვლილება უნდა მოხდეს ჩემ ცხოვრებაში, ესეც ვნახო და ვშინჯოვო. მიდის გზაზე, გაიხედა, ხალხი ლოცვისკენ მირბის. შეხედა გზაზე, ერთი ბრმა კაცი მიდის, ყურ არავენ არ ათხუებს, ხალხი ეჯახება, ზოგი წაქცევს, ზოგი ხელ წაუჯიკიანებს; ხან ორმოში ჩავარდება საწყალი, ხან ტყლაპოში ამოითრევა, კაცი პატრონი არ გაუჩდა, არავინ მიხედა.

უფროსი ძმამ, რომენიც ლოცვისკენ მიდის, უყურებს ამ ხალხის გამგლეულ-გამამგლეულის ამნაირ უსულგულობას და ბრაზდება, მივიდა თითონ ბრმასთან, სულ დაავიწყდა სადაც მიდიოდა, ხენწიფობაც, სანთლის ანთებითა და სხვაცა. შეეცოდა ე ბრმა კაცი, მივიდა, მოკიდა ხელი და წაიყვანა. მიიყვანა თავის ადგილას, დალოცა ბრმა კაცმა და უთხრა: – ვინცა ხაარ, შვილო, წადი წაღმა იარე წაღმართიანა, მეე ბრმასა და უსინათლოს ყური მათხვიე, გადამარჩინე სადმე გადაჩეხვას, სულ ინათლა შენმა სიყმე-მოწიფულობამ, დაულოცა გზა და დაბინავდა.

წამოვიდა უფროსი ძმა გახარებული, სამადლობელი საქმე ქნა, ბრმა გადაარჩინა უპატიურობას და დაბინავა.

**(გვ. 27)** მერე მოაგონდა რომა, ქვრივმა ქალმა სანთელი მიცა ლოცვაში, წაიღეო და კარებში რო შეხვიდეო ხელი მაღლა აწიეო. წავიდა, ლოცვისკენ გასწია პირდაპირ, ნახა მირბის ცა და ქვეყანა, ოთხი კუთხიდან მოსულან ახალგაზდები, მოუტანიავე სანთლები, შედიან მაღლა ხელში აწეული სანთლით ლოცვის კარში, მიჩერებიან ხენწიფის ქალიშვილი და იმისი მინისტრებიც, მაგრამა, არც ერთი სანთელი არ აინთო, დაიღალა ხენწიფის ქალიშვილი ამდენი ლოდინით და ესეც არი რომ თქვას, სხვა დროსთვინ გადავდვათო, ახლა დავიდალეთო და ამ დროოს ლოცვის კარში შემოვიდა ე უფროსი ძმამ, აწია ხელში სანთელი და ყველამ დაინახა, რა უცნაურათ აინთო სანთელი უცეცხლოთ. შეხედეს ხენწიფის ქალიშვილმა და იმისმა მინისტრებმაც რომ ახლა რომენიც ახალგაზდა შემოვიდა, იმისი სანთელი უცფათ აინთო, როგორც კი ხელი მაღლა აწია კაცმა.

გადირია ხალხი, გაუკვირდათ, ვინ არიო ე ოხერ-მუდრეგო, ალბათო ეშმაკურათ თუ მოიქცაო, მიუახლოვდენ და სანთელ ჩაქრობა მოუნდომეს, მაგრამა რამდენიც სული გაუბერეს იმ სანთელ, იმდენიც უმფრო და უმფრო გაანათა; შურიდგან გული გაუსკდავე ღარმე ზოგიერთებ, ვისაც რა უნდოდა ის ეთქვა, სინამდვილე სინამ-

დვილეთ დარჩა. ხენწიფის ქალიშვილმა და იმისმა მინისტრებმაც თავისი თვალთ დაინახეს რომა შემოსვლის უმალ აინთო მის ხელში სანთელი, შურიანები სულის ბერვით გამოუდგენ იმ სანთელ დასაქრობათ, **(გვ. 28)** მაგრამა სანთელმა უმფრო და უმფრო მოიმატა სინათლე.

გადმოვიდენ იქავისე მინისტრები თებიდან, მიეგებენ ამ ახალგაზდას, ხენწიფის ქალიშვილსაც აღარ წყენია, რადგანაც ბოლო მეელო იმის ამდენ შეწუხებას, ბიჭათ ბიჭიც მეეწონა, მიუყვანეს თებაზევე, მიუჯინეს გვერდით და დალოცეს.

როგორც კი ხენწიფის ქალიშვილ გვერდში მოუჯინეს ე ახალგაზდა თვარემა, იქავე ანთებული სანთელი კიდე უფრო მაღლა აწია ხელში გახარებულმა უფროსმა ძმამ; სანთელმაც გაანათა უმფრო მეტათ და რომ გაიხედა ჰაერში იქავისე ოქროს ვარაყებით მოქარგულმა ასობემა გაუელვა თვალწინ – მანათლობელი იყავი ბრმისთვინ, ამიტომ შენი სანთელი განათლდა – დაინახა და წაიკითხა, ადიდა გამჩენი ღმერთი, იქავისე თავის პეტერა ძმა კი მოაგონდა, მაგრამა გაჩუმდა, ჯერჯერობით თავი შეიკავა, არავის შეამჩნევინა, თუ უქონელ-უდებელი იყო.

ხენწიფის ქალიშვილ რომ გვერდში მოუჯა და ხელში სანთელი ეკავა, შეხინა ადგა, სახეზე მის შეხედვას რა ჯობდა ქვეყანაზე, მხესავით აშუქებდა ი მაღლიანის ნამობი.

სხვები ყველა უკან გაბრუნდენ, ბევრ დაწყდა გული, მაგრამა რაღას იზამდენ, ერთი ქმარი უნდა ყოლოდა ხენწიფის ქალიშვილ გამჩენიდგან დაზიულებული და იშონა.

წამოვიდენ სახში, წამოიყვანეს ე უფროსი ძმაც, დაბანეს, დაუცვალეს, საუკეთესო ტანსა და ფეხში გამოაწყეს, მაგრამა ისი დარდიანათ არი, ძმის ჯავრი აწუხებს, ნეტაიო სად **(გვ. 29)** არიო ჩემი ძმაო, ხომ არაფერი გაუჭირდაო.

შეამჩნიეს მოწყენილობა და შეეკითხენ, რა გაწუხებსო, გვიტხარივეო, იმანაც უთხრავე, ცოტა ხნით ერთი კაცი გამაყოლეთო, ძმა მიცდისო დანიშნულ ადგილზედაო და მალე დაგვბრუნდებო.

დატრიალდენ იქავისე, მოართვეს საუკეთესო ძვირფასი შეკმაზული ცხენები, გააყოლეს მხლებელი და წავიდა.

მივიდა იმ ადგილას სადაც სვეტთან ერთმანეთ დაშორდენ ძმანები და დაინახა, მისი ძმა დამჯარა ფეხმოკეცილი და მწარე მო-



თქმით ტირის, ვაი ჩემთვის, ძმა დემეკარქაო. უფროსი ძმა როგორც მიუახლოვდა თუ არა, მეეხვიენ ძმანები ერთმანეთ, მოკოცნეს, უთხრეს ერთი მეორეს ამბავი და გაბრუნდენ უკან ხენწიფის სასახლეში. დიდი სიხარულით მიიღეს იმისი ძმაც, იმასაც დიდებულათ ჩააცვ-დაახურეს და პატივი ცეეს.

საქეთუბოთ რომ მეემზადენ და ქორწილი რომ დიდისაგან დიდებული უნდა გადაიხადონ, ი ქვრივი ქალის ამბავიც მოუყვავე – რანაირათ გაათია იმასთან ღამე, რანაირი ღარიბი იყო, რომ საჭმელი ვერაფერი მოახერხა, რანაირათ მოიბოდიშა, რატომ დაუკბილავი მიდიხარო ჩემი სახლიდანაო და ცალი თაფლის სანთელი რომ აჩუქა თავის სახელზე, – ყველაფერი ჩამოუყვავე.

საქორწილოთ ი ქვრივი ქალიც ხენწიფის სასახლეში მოიყვანეს – გიბარებენო; უთხრეს იმ ქალ რაც მოხთა, იმასაც **(გვ. 30)** ძალიან გეეხარდა, დედათ მიიღეს და აღარც გაუშვიავე თავის სახში. უმცროსი ძმა მინისტრათ დააყენეს, შეიფერა და შეიგუა იმანაც მინისტრობა.

გადაიხადეს დიდი ქორწილი, დაიწყეს ტკბილათა და შაქრათ ცხოვრება, ღარიბი ებრალებოდავე ცოლსაცა და ქმარსაც, ნახევარ ქონებას სულ იმათ აძლევდენ.

ძმასაც უთხუა ცოლი, ცალკე ოჯახი აუგო და ორივე ძმამ ი ქვრივი ქალიც დედასავით მიიღეს და დააფასეს, ისიც თავზე ევლებოდავე.

ხალხმაც ძალიან შეიყვარა ახალი ხენწიფე, ყველა იმის დღეძემლობას ეხვეწებოდა ღმერთ, ისე ტკბილი და წყნარი ხენწიფე იყო.

ასე ტკბილათ და ბედნიერათ დაბერდენ თელი ოჯახი.

## **5. ორმოცი წლის თავზე (გვ. 31)**

იყო ერთი რაბი. ისეთი საყვარელი იყო ე რაბი ყველასთვის რომა, თვალის სინათლეს ერჩიავე; თელი ჯამათი მის მზეეს ლოცულობდა. რაბი ყველას უყვარდა და თანაც ეცოდებოდათ რომ ვაიშვილი არ ყავდა, კი ამოიხვნეშებდა ხოლმე რაბი – რატომ არა მყავსო სულის მახსენებელიო, – მაგრამ რას გააწყობდა, ალბათ გამჩენის გადაწყვეტილობა იყო ამნაირი, რომა არ უნდა ყოლოდა ვაიშვილი.

სამაგიეროთ რაბის ყავდა ერთათერთი სანატრელი ქალიშვილი, იმისთანა ლამაზი იყო რაბის ქალიშვილი, რომა მზის უბნელესი; ყოველდღიურათ უკეთესი და უკეთესი ხდებოდა. იზდებოდა იმისთანაი რომა, იმისი ბადალი ქვეყანაზეაც არ არსებობდა. როდისაც ქალიშვილი თოთხმეტი წლისა შეიქნა, მისი მნახველი ჭკუიდან იშლებოდა, იმისი სილამაზისა და სიმშვენიერის ამბავიც თელ ქვეყანას მეედვა.

ერთხელ, რაბის ცოლთან შემთხვევით მკითხავი მივიდა; ამ დროოს, რაბიმაც მისაწრო, რომ შევიდა სახში და დაინახა იმისი ცოლი მკითხავ ჩაჯომია და აკითხინებს, თითონაც დაძლია ცნობის მოყვარობამ, იქნებო ჩემი ცოლიო იმისთვინ აკითხინებსო, ვაიშვილი რო არ მყავსო, მიზეზი უნდავო რო გაიგოსო, მივიდა და ყური დაუგდო, რასაც მკითხავი ეუნებოდა. მკითხავმა უთხრა რაბისა და იმის ცოლო: „თქვენ **(გვ. 32)** ქალიშვილ კარქი ბედი აწერია, მაგრამა, ისი ცოლათ უნდა ითხუოს კაცის მკვლელმა, ესე იმის თავზე აუცილებლათ უნდა ასრულდესო“.

ეწყინათ ძალიან რაბისა და იმის ცოლო ამისთანა ამბავის გაგონება, მაგრამა რას გააწყობდენ, არსად არაფერი გაამხილეს, არც ქალიშვილ არ უთხრეს, ჩამარხეს ე ამბავი გულში და უცდიდენ გამჩენის გამოგზანილ წყალობასა და სიკეთეს.

რაბის ქალიშვილი თვრამეტი წლისა გახთა, მზისა და მთვარის მზგავსი შეიქნა, ოთხი კუთხიდან მოდიოდა რაბისთან ქალიშვილის მთხოვნელი, მაგრამა, რაბი ყველას უარით ისტუმრებდა, ჯერ არ ვათხუებო. თავის გულში კი იხჩობოდა, არ იცოდა, რა ექნა და რითი გედერჩინა ქალიშვილი უბედურობიდგან.

ერთ ელოადამე – შაბათ ღამეს, იმ ქალაქში ყველასთვინ ცნობილი გავარდნილი ახალგაზდა ყაჩალი შევიდა რაბისთან სახში და უთხრა: –ამდენი ხანი არი შენ ქალიშვილზე თვალი მიკავია, ხომ იცი რომა, მე რასაც მოვინდომებ, წინ არაფერი დამიდგება და კიდევაც შევისრულებ, გიცხადებ, თუ ამადამავე დამნიშნამ შენ ქალიშვილზე თვარამა, შენ ოჯახ თელათ ამოვხოცამ ამაღამ.

რაბის შეეშინდა, მართლა არ ამოქვხოცოსო და უთხრა: მე ვაარ ხალხის მოსამსახურე, ერთი ცოლი და ერთი ქალიშვილიც ძლივათი შემინახია, ფული და მზითი არა მაქ, უმზითოთ კი არ მინდა რომ გავისტუმრო ჩემი **(გვ. 33)** ქალიშვილი, თუ მამიტან ამ ერთი კვირის

ვადაში ას თუმან ფუულ ქორწილის გადასახთელათ, ერთ ხეელ საუკეთესო საქორწილო ტანსა და ფეხ ჩემი ქალიშვილისთვის, მოქცემ, თუ არა და ვერ მოქცემ ისეო.

ყაჩაღმა ჩამოართვა ხელი და შეპირდა, ერთი კვირის ვადაში შეესრულებინა თავისი შეპირება.

წამოვიდა ყაჩაღი, გადაწყვიტა, ან უნდა შესწიროს თავი და უნდა მიუტანოს რაბის რასაც დაპირდა, ან არა და ცოცხალი აღარ უნდა დარჩეს, რომ რაბის ლამაზი ქალიშვილი ცოლათ არ შეერთოს.

რაბიც ძალიან დაადონა ყაჩაღის მისვლამ, მაგრამ არავის არ ეუნება, თავის გულში კი ფიქრობს, ვერ იზომის ვერსად ამდენ სიმდიდრეს, თავისთავათ თავ დაანებებს ჩემ ქალიშვილსაც და ღმერთის მოწყალეებით გადავრჩებითო.

ქალიშვილმა კი სრულებითაც არაფერი იცის; ისი თავისთვის ყვავის გაზაფხულის ყვავილივით, ხარობს და იცინის, რამდენიც დღე მიდის, იმდენი უკეთესი და უკეთესი ხდება, ის რომ აივანზე გადმოდგება, გამვლელ-გამომვლელ მისი ეშხითა და სიმშვენიერით ბნედა მოსდის.

ყაჩაღი ჩეესაფრა ერთ დინდარე ბეზირგან ვაჭარ, რომენსაც უნდა გეველო იმ გზაზე, მისი იმედი ქონდა, მაგრამა ვაჭარმა იმ დღეებში აღარ გაიარა და ყაჩაღიც ხელცარიელი დარჩა. სამი დღე და ღამე ჩასაფრებული იყო, არსად არ გემეპაროსო და არ ამცეთსო, მაინც აღარ გაუვლია იმ ვაჭარ. მეოთხე დღეს გაიხედა ჩასაფრებულმა ყაჩაღმა **(გვ. 34)** და დაინახა, რომა ერთი ცხენოსანი მოაფრიალებს წითელ პლატუქ ცხენზე; გახარებული, ფრინველივით მიქრიალობს, თანაც ცხენზე გადაკიდებული გატენილი ხურჯინიც მიაქ; გეეხარდა ამ ყაჩაღ, იფიქრა, ახლა კი უნდა ვისარგებლოვო ამ შემთხვევითაო, მოიმარჯვა იარაღი და დაუმახა: -შეჩერდი!

ცხენოსანი არ გაჩერდა, პირიქით უფროც გააჭიანა ცხენი, მეორეთ დაუმახა: შეჩერდი!

ცხენოსანმა არაფრათ ჩააგდო იმისი დამახილი, ახლა უფრო მეტათაც გააჭიანა ცხენი და მოკურცხლა.

გაბრაზებულმა ყაჩაღმა, ესროლა და იქვე მოკლა საწყალი. გახადა რაც კი რამე ტანზე ეცვა სულთაგან კეთილი, ამოთხარა მიწა, დამარხა, ისევ მიწა მიაყარა, ჩამოჯდა იქავე სიახლოვეს, გახსნა ხურჯინი და დაათვარიელა, რაც შიგ რამე ეწყო.

ხურჯინში ნახა ასი თუმანი ფული და ერთი ხელი საქორწილო ტანფეხი სადედოფლო თავიდან ფეხებამდე საუკეთესო.

გეხარდა, ახლა კარქათ არიო ჩემი საქმეო, ჩააწყო ისევე ყველაფერი ხურჯინში, შეკრა-შეახვია და გასწია.

რაბის ტყვიასავით მოხვთა, რომ შეხედა მეოთხე დღეზე დაბრუნებულ ყაჩაღ, მაგრამა რაღას იზამდა.

ჩაუთვალა რაბის ხელში ასი თუმანი ფული, ჩააბარა სათითო-კაკლაოთ სადედოფლო ტან-ფეხი საუკეთესო და უთხრა: **(გვ. 35)** ჩემი პირობა შეგისრულე, ახლა კი შენეც უნდა შემისრულო პირობა და ქორწილსაც დაუჩქარო.

რაც პირობა დაუდვა ყაჩაღმა, ყველა რაკი შეუსრულა, რაბისაც უნებურათ უნდა დეეჩქარებინა ქორწილი.

ცეცხლი უკიდია რაბის, ტირის ჩუმათ, უსიტყვოთ მოთქვამს თავის უმანკოსა და მშვენიერ ქალიშვილ; ემზადება ქორწილისთვის, მაგრამა დანა კრიჭას არ უხსნის.

გემზადა საქორწილოთ, ძვირფასი სუფრა გააწყობინა, დაიპატიჟა ჯამათში საუკეთესო და რჩეული მამლუხენი ხალხი, სუფრის დამამშვენებელი.

გადაიხადა ძვირფასი ქორწილი, ხალხი მისი მიწვეული დიდი მადლობელიც დაიშალა და კმაყოფილიც.

ქორწილის პირველ ღამესავე, როგორც კი სტუმრები დაიშალენ თვარამა, რაბიმ დაუძახა თავის ქალიშვილ-დედოფალსა და უთხრა ჩუმათ, რომ ნეფეს არ გეეგონა და არც შეემჩნია:

შვილო, გაგათხუე და ბედნიერი გამყოფოს გამჩენმა ცისა და ქვეყნისამ, შენს მეტი მე ხომ არაფერი არ გამაჩნია, ღმერთსა და შენ შემოქმერებივარ, ჩემი სანთელიც შენ ხაარ და მზე და მთვარეც, ჩემი გულის სეკრეტიც შენ ხაარ, შენს მეტი იმედი ჩემთვის არაფერია; შეინახე ე ჩემი სიტყვა და დამიჯერე რაც დაგარბიო: შენ ქმარ მანამდისინი არ მიეკარო, სანამდი არ გითხრას, სიდან იმონა ე ფული და ტან-ფეხი, რაც საქორწილოთ მოიტანა, გამოკითხე, რომა სინამდვილე გითხრას.

– კი ბატონო, მამა ჩემო, მაგას აუცილებლათ შეგისრულე, ისე **(გვ.36)** გამოვკითხამ რომა, იმან არაფერი მიხვთეს.

ნეფე-დედოფალი რომ ცალკე ოთახში შევიდენ და მოისვენეს, დედოფალმა ცოტა ხნის მერე უთხრა ნეფეს: შენ ქმარი ხარ და მე ცო-

ლი, ვიქეთუბეთ და აწი ჩვენე სიკვდილის მეტი არაფერი დაგვაცი-  
ლებსე ერთმანეთ, მაგრამა, შენე ჩემთვინ მანამდისინი არამი იყავი,  
სანამდი არ მეტყვი სიმართლეს და არ შემატყობინებ, თუ სიდან  
იშონე შენე ოთხ დღეში ამდენი ფული და სადედოფლო ტან-ფეხი;  
უნდა მითხრა ყველაი, იცოდე, მე კი ყველაფერი უნდა ვუთხრა მამა-  
ჩემ, ახლავე გიცხადებ და არ დაგიმალამ, მე მამაჩემის დამალული  
არაფერიც არ მინდა.

ქმარი დაწვრილებით ჩამოუყვა ყველაფერ რაც მოხთა, ან რა-  
ნაირათ მოკლა კაცი, დამარხა მიწაში და რაც ნახა, მოკლულის ხურ-  
ჯინში.

ქალიშვილმა ყველაფერი მამამის – რაბის გადასცა, რაც კი მის-  
მა ქმარმა უთხრა, რაბიმ დაუძახა სიძეს და დაავალა: ხომ ხაარ ყაბუ-  
ლი რომა ჩემი სიძე გახთი?

– კი ბატონო რაბი, რადგანაც გავხთი ღირსი თქვენი სიძეობის  
და ვითხუე თქვენი ქალიშვილი, ამიერისაგან მეც თქვენი მონა და  
მორჩილი ვიქნები, კი ვაარ ყაბული.

– რადგანაც მაგრე მპირდები, ჯერე ეს ერთი თხოვნა შემისრუ-  
ლე, რაც დაგავალო.

– ბძანეთ რაბი, თუ შევეძლებ – შევასრულებ.

**(გვ. 37)**– გაფიცებ ამ ჩემ სიბერეს და შენ ხათნობას, წადი, ამა-  
ლამ გაათიე მოკლულის საფლავზე, რომენიც შენ მოკალი, არ დაიძი-  
ნო კიი, არც შეგეშინდეს და ვინ რა თქვაას, ამბავი მამიტანე.

– კი ბატონო, ადვილი საქმე არი, ახლავე წავალ.

მეტი რა გზა ქონდა სიძეს, ადგა და წავიდა, მივიდა თავისი  
მოკლულის საფლავზე, მოიკეცა ფეხი და უცდის, ვინ რას იტყვის, ან  
რას გაიგონებს. ნაშუაღამევი რო შეიქნა და მიწიდან ხმა ამოვიდა –  
ასე რომ დღე დამიმოკლა ჩემმა მკვლელმა და არაფერ სიკეთეს არ მა-  
მასწრო, ოხრათ რომ დამატევებინა საქორწილოთ გამზადებული  
ყველაფერი, რომენიც მხიარულათ მოწყობილი მივდიოდი სახათ-  
ნოთ, მესროლა ტყვია, მამკლა და ჩემი სიხარული ოხრათ დამარჩი-  
ნა, ამიტირა ოჯახი, გაარჩიე, ღმერთო, ჩვენი სამართალი, ნუ შეარჩენ  
ჩემ მკვლელ ჩემ სიისხლ, ნუ აპატივებ, ჩემი ცოდო-ბრალი ზდევედენ  
ცხრა დგმამდი და ცხრა დარამდი მის ნაშიერ, გაარჩიე ღმერთო, შენ  
შემოგბლუი! გამაგრილე.

მალლიდან მოისმა: –მოითმინე და გავარჩევთ.

ყაჩად რო ე ამბავი ესმის, ტანში თლათ ერთიანა ბურძგლამს, ამიგმიგებს და რამალა ნაირათ თავის უნებურად შესმახა თითონაც: –როდის გაირჩევა ჩვენი საქმე? მალლიდან უპასუხეს: –ორმოცი წლის თავზე.

ადგა ყაჩალი საფლავიდან ბარბაც-ბარბაცით, **(გვ.38)** ფეხზე ძლივას დგებოდა, ისე წამოვიდა, დაბრუნდა სახში და რაბის ყველაფერი უთხრა, რაც გაიგონა და რაც მოისმინა.

რაბიმ გადააქნია თავი, არავის არაფერი უთხრა და თორას ყდაზე ჩაიწერა, რაც მოხთა.

სიძე გვერდში ამოუდგა რაბის, ყოველ მის სიტყვას ისმენდა და იჯერებდა, რაბის დაუკითხავათ ფეხ არ გადაადგამდა. რაბიმ მოიჯინა სიძე, ასწავლა თორა და იმისთანა ნასწავლი გახადა რომა, თორით რაბის ბევრათ ჯობნიდა.

მიატევა სიძემ ყაჩალობაც და ძველი ყველაფერი ცუდიც. მიყვა რაბის ყოფაქცევას, დაიწყო პატიოსანი შრომით ცხოვრება და გახთა საუკეთესო ოჯახის პატრონი.

ცხოვრობდენ ძალიან კარქათ. ეყოლათ ბევრისაგან ბევრი შვილი და შვილიშვილი, ისე მომრავლდა მათი ნაშიერი და მოდგმა, იმდენი შეიქნა, რომა ერთი პატარა ქალაქი დაიკავეს.

გავიდა დრო, წლები, ყოფილ ყაჩად ერთი უკანასკნელი ქალიშვილი კიდე ყავდა გაუთხოვარი.

ე პეტერა ქალიშვილიც იმისთანა ლამაზი და მშვენიერი იყო რომა თელათ დედამისის ახალგაზდობას მოგაგონებდა, იმიტომაც მამას ყველა შვილ-მომავალზე უმფრო ის უყვარდა და სანამდისინი იმისთვინაც შესაფერისი სასიძო არ იშონა, არ აუჩქარა იმის გათხუებას.

როდისაც გამჩენიდან იქნა ბძანება და თავისი ზიული **(გვ. 39)** გამოუჩნდა, ადგა და ისიც დანიშნა დიდი ამბით.

იმისთანა ნიშნობა გადაიხადა რომა, ყველას გაუკვირდა, რამდენი შვილ-მამავალი დაასახლო, იმაზე უფროსებით და არც ერთისთვინ ამისთანა ლხინი ქორწილზეაც არ გადაუხდია და ამის ნიშნობაზე კი ამდენი ხარჯი გასწიაო.

შეუდგა ქორწილისთვინ მზადებასაც და როდისაც მზითები გაუწყო უნცროს ქალიშვილ, რაც არცეთი შვილისთვინაც კი არ გაუ-

ტანებია, იმისთანა უცხო და ძვირფასი მზითები გაუწყო ამ ყველაზე პეტერა გოგოს.

ქორწილზე ხომ ლაპარაკიც მეტი არი, იმისთანა გეგმზადა ქორწილისთვის, იმისთანა რომა, თელი ქვეყანა ალაპარაკდა, რა ამბავში არიო ე ნაყაჩადარი კაციო, ამდენი ნაშიერი დაასახლაო და ახლა მოიქაჩლაო თავიო ყველაზე მეტათაო.

ქორწილზეაც იმდენი ხალხი მიიწვია და იმისთანა ოჯახებ დაუძახა, ვინაც იმაზე უფრო დიდი ოჯახის პატრონები და სახელუანი იყვენ.

ეწვია იმისი მიპატიჟებული სტუმრები და ყველამაც ღირსეული საჩუქრები მიუტანეს საქორწილოთ. როისაც ლხინ შეუდგენ, ქეიფი დაიწყეს და პატივსადები ამოალაგეს, სუფრა ისე გაიმსო ნაჩუქარი პატივსადებით რომა, სატევიც აღარ იყო.

ყველა მზიარულობდა ქორწილზე, მარტო რაბი არ იყო, ისი როგორც ღრმით მოხუცებული ძლივას ძლივობით **(89.40)** დადიოდა ფეხზე, იჯდა სახში და თორას ჭინახულობდა.

რაბი და მისი მოხუცებული ცოლიც თავისთვის ცალკე პატარა სახში ცხოვრობდენ, იმათი ქალიშვილი კი თავისი ნაშიერით შორ იდგენ და ერთმანეთთან სტუმრათ მიდიოდენ ხოლმე; ამ ქორწილზე კი რაბი არ წავიდა, ცოლი იქ კაი ხნით იყო ქალიშვილთან და საქორწილო მზადებაზე თვალყურ ადევნებდავე, არაფერი წახდენოდა, ერთგულათ იყო.

რაბი თავის სახში თორას კითხულობდა, მარტო ყოფნის დროს თავ იქცევდა; რაბიმ რო თორა გადაშალა და ყდაზე დახედა, დაინახა რაც ეწერა ზედე თავისი ხელით დაწერილი, ხწორეთ რომა იმ ღამეს სრულდებოდა ორმოცი წელიწადი ვადა, რომენიც მოკლულ შეპირდა მალლიდან ხმაა რომა, ორმოცი წლის თავზე გავარჩევთო თქვენ საქმესაო, მოითმინეო. უცვათ აფრინა კაცი რაბიმ ცოლთან და შეუთვალა: – „საჩქაროთ მოდიო, რაბი ავათ არიო“.

რაბის ცოლმა მიატევა ქორწილიც, ლხინიც, ნეფე-დედოფალიც და გაიქცა ქმარის მისახედავათ.

შევიდა თუ არა სახში, რაბიმ ჩაიკეტა კარები და დაუფიცა ცოლო, ამაღამ არსად არ გაგიშვებო, შეუძლებლათ ვაარო და თქმით კი არაფერი არ უთხრა.

რაბის ცოლი ვერაფერ მიხვთა, რა მიზეზი იყო რომა ისი ქმარ-  
მა არ გაუშვა, მართლა ეგონა ალბათაო შეუძლებლათ არიო და  
აღარც თითონ აღარ წავიდოდა, ქმარ არ დატევებდა, რადგანაც **(გვ.  
41)** უთხრა, რომა შეუძლებლათ ვაარო.

დილა გაგითენდა სასიკეთო, წამოდგენ, ღმერთი ახსენეს, და  
რაბის ცოლი ქალიშვილთან წავიდა, ნეფე-დედოფალ დახვებამო,  
იმათზე არაფერმა ცუდმა ისუნტლოსო.

რომ მიუახლოვდა სიძის არემარეს და მივიდა, ნახა, იმისი სი-  
ძის თელი ოჯახი თავის ნაშიერით კორახივით ჩამძვრალიყო, ისე  
რომა მათი ნასახიც აღარ იყო.

ატირებული რაბის ცოლი დაბრუნდა სახში და უთხრა რაბის  
რაც მომხდარიყო.

მათ სიძესა და მის ნაშიერ ორმოცი წლის თავზე აუხდათ  
ცოდვის ქირა.

## **6. ვაშკაცის სიბრძნე (გვ. 42)**

იყო ერთი დინდარე ვაჭარი ისრეელი, რომენიც ცხოვრობდა  
იერუშალაიმში და ვაჭრობდა კი ათინაში.

ე ვაჭარი ისრეელი, წელიწადში ორი-სამი თვე თუ იყო თავის  
ოჯახში, დანარჩენი დრო ათინაში იყო სავაჭროთ და თელი წლის სა-  
რჩო-სახარჯოს ერთად წაუღებდა ხოლმე ცოლ-შვილ, როდისაც წა-  
ვიდოდა იერუშალაიმში.

ჩვიდმეტი წელიწადი ვაჭრობდა ისრეელი ათინაში, ყველას-  
თან კარქი მეგობრობა და ნაცნობობა ქონდა.

ერთ დღეს იქნა გამჩენიდან ბძანება, გახთა ე ვაჭარი ისრეელი  
ავათ და როდისაც თავის თავ შეატყო, აღარ მოვრჩებიო, დაუძახა მა-  
ინძელსა და უთხრა: მე ვიცი, ვკვდები, აღარ მოვრჩები, მე ვაარ ისრე-  
ელი, შენ კი უმათაყოლაში – არა ისრეელი. შენ იცი, თუ ამ ანდერძ  
შემისრულებ და არ გამაუპატიურებ; დამიგდე ყური, გაფიცებ შენ  
გამჩენ: დამასაფლავეთ ჩემი ქონებით წმინდა ისრეელის წესით, შეა-  
ტყობინეთ ჩემ ოჯახ ჩემი გადაცვალეზა და თუ ვინიცოზა არი, ვინმე  
მოინდომოს ჩემი სიდიდრის დაპატრონება, იცოდე, ისე არ ჩააბარო  
არავის ჩემი ქონება, სანამდისინი არ გამოცადო სამ სიბრძნეში, თუ



გიპასუხოს ჩემა შვილმა სამ სიბრძნეზე, ღირსი იქნება რომ მოიხმაროს ჩემი ქონება და კიდევაც გაატანე, თუ არა – არ გაატანო.

გადიცვალა ე დინდარე ვაჭარი ისრეელი; დაასაფლავეს როგორც დაიბარა ისრეელის წესზე, დიდი პატივიც ცეეს და კარქათაც **(გვ. 43)** დააფასეს. შეუთვალეს მის ოჯახ მისი გადაცვალების ამბავიც.

უფროსი ვაიშვილი, წამოვიდა იერუშალიმიდან ათინაში მამის საფლავის სანახავათაც და ქონების მოსაპატრონებლათაც.

ჩამოვიდა ათინაში, ხელში მისამართი უკავია, ვისაც კითხამს არავინ ეუნება მისამართ, ვინაიდან იმ დროს ათინაში იყო წესათ, ვინც ჩამოსულ კააც მიკითხულ მისამართ მიასწავლიდა, სასტიკათ დაირჯებოდა, ამიტომ არავინ არ მიასწავლა მისი მამის მაინძელის მისამართი.

მაინძელ კი გულში უხაროდა, მისმა შვილი რო კიდევ ჩამოვიდეს აქ – ათინაში, თითონ არ იცის ჩვენი ბინა, მისწავლებით არავინ მიასწავლის და ისევე უკან გაბრუნდება და იმ ისრეელის ამოდენი ყოფა-ცხოვრება და სიდინდრეც მე დამრჩებაო.

მაგრამა ასე არ მოხდა, ჩასულმა რომ შეიტყო იქაური წესი, გავიდა ბაზარზე, იყიდა კონით შეშები, დაუძახა მუშასა და გაატანა, უთხრა: ამა და ამ მისამართზე წამამიღეო, თითონ ფეხდაფეხ გაყვა მუშასა და პირდაპირ მიაგნო იმ საახლ, სადაც მამამისი გადაიცვალა.

მაინძელ ძალიან გაუკვირდა მისი მისვლა, მისი ერთი სიბრძნეც აქიდან დაამტკიცა, რომ ვაჟი იყო ბძენი, თვარა ისე ყველა ვერ მოახერხებდა. მეტი რაღა გზა ქონდა, მიიღო სტუმარი.

სადილათ რომ დაჯდენ, სუფრას შემოუსხდენ, როგორც ჩოვილობა ქონდავე; მაინძელ ყავდა ცოლი, ორი ქალიშვილი და ორი ვაიშვილი; ყველა თავ-თავის ალაგას დაჯდა, სტუმარსაც მიუთითეს ალაგზე. სადილზე თელი მოხარშული ქათამი მოიტანეს სუფრაზე **(გვ. 44)** და როგორც იმ დროს იმ ქვეყანაში წესი იყო, სტუმარ დაუდგეს წინ დასარიგებლათ. სტუმარმაც აიღო დანა ხელში, ქათამ მოჭრა თავი კისრით და ოჯახის უფროს მიართვა, კუჭ-ღვიძლიც მის ცოლს მიართვა, მოჭრა ფთაა ქათამ და ორ ქალიშვილს მიართვა, მოჭრა ორი ფეხიც და ორივე ვაიშვილს მიართვა. დანარჩენი თელი ქათამი დაიდგა წინ და სულ თითონ შეჭამა.

მანძელ ძალიან გაუკვირდავე სტუმრის საქციელი, მაგრამ არაფერი თქვეს; ამასობაში ვახშობამაც მოაწია. შემოუსხდენ სუფრას, ისევე ყველა თავ-თავის ალაგზე დაჯდენ და სტუმარ ახლა ხუთი შემწვარი წიწილი მიუტანეს და დასარიგლად წინ დაუდგეს.

სტუმარმა აიღო ერთი წიწილი და ცოლ-ქმარ მიართვავე, აიღო მეორე წიწილი და ორ დას მიართვა, მესამე წიწილი, ორ ძმას მიართვა, დანარჩენი ორი წიწილი კი თითონ შეჭამა.

მანძელი მოთმინებიდან გამოვიდა, სადილზედაც შიერი დარჩენ და ვახშამზედაც ყველა ოჯახის მყოფი და შეეკითხა: –რა ქენი დღესე, რანაირათ მოიქეცი, თელი ქათამი შენ შეჭამე, რა ჭკუაში მოგივიდა?!

სტუმარმა დინჯათ უპასუხა:

– ოჯახის უფროსი, თავი და ხერხემალი თქვენ ბძანდებით, თავი და კისერი იმიტომ მოგართვით, თქვენ ცოლ გულყიათი იმიტომ მივართვი, რომა მისი წელიდან წამოიშვა შვილები, ორ ქალიშვილ ორი ფთა იმიტომ მივართვი, რომა ორივე გათხოვდენ და გაფრინდენ, ორ ვაიშვილ – ორი ფეხიც, რომ ორივე თქვენი ოჯახის ბურჯი **(88. 45)** სვეტია, ამ ორით უნდა იარსებოს თქვენმა ოჯახმა. მე კი დანარჩენი ქათმის ტანი გიახელით, იმიტომ რომა, ის გაამს იმ პარახოთ, რომენითაც მე მოვედი და ისევე უნდა წავიდე, მამაჩემის დატევებული ქონება იმითი უნდა წავიღო.

– კარქი მაგრამა, ამ ვახშამზე რაღას გვერჩოდი რომ ისევე შშიერები დაქვტევევე?! შეეკითხა ისევე მანძელი.

– თქვენ და თქვენი ცოლი ორი ხართ, ერთი წიწილიც მოგართვივე, სამი გახდით; თქვენ ორ ქალიშვილსაც ერთი მივართვი, ისინიც სამი გახდენ, ორ ვაიშვილ ერთი წიწილი მივართვი, ისინიც სამი გახდენ, დამრჩა ორი წიწილი და, მე ერთი ვიყავი, ჩვენც სამი გახდით, ხომ ხწოათ (ასეა. ნ.ს.) გამიყვია, ჩემო ბიძია, აბა რაღას მენდური? – უპასუხა სტუმარმა მანძელსა და გაიცინა.

მანძელსაც მეეწონა ვაშკაცის გამჭრიახობა და სიბძნე; იფიქრა, ამასთან არავითარი ეშმაკობაც არ გამივარო, დააბრუნა წაღმა, გადასცა მამამისის დატევებული ქონება სულ ერთიანა და ლოცვა-კურთხებით გაისტუმრა თავის ოჯახში.

## ქუთაისელ ებრაელთა ქართული (III რვეული)

როზა თავდიდიშვილის მიერ ჩაწერილი  
ზღაპრები ქუთაისის ისრაელებს შორის  
(ჩაწერილია 1939 წ. აგვისტოში)

### 8. უდარდელი კაცი (გვ. 1)

ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ხენწიფე, დიდისაგან დიდი ჭკუ-ისა და სიბძნის პატრონი იყო ე ხენწიფე; ქონება და სიდიდნდრეც ბლომათ ქონდა, ერთი სიტყვით არაფერი არ აკლდა, რაც კი ღმერთ გაუჩენია. რასაც გაიფიქრებდა გულში ან ბმანებდა იქავისე უნდა ეესრულებინავე, მაგრამ ამ ხენწიფეს ერთი იმისთანა დარდი ქონდა გულში რომა ყველაფერი სიკარქე და სიდიდნდრე ფუჭეთ იყო იმის-თვინ – ხენწიფეს შვილი არ ყავდა, – ბევრი იაქიმა თითონაც, ცოლ-მაც, მაგრამ არ იქნა, შვილი მაინც არ ეყოლა.

დადიოდა ხენწიფე გულდაწყვეტილი, ყურებჩამოყრილი, თვალნაცრიანი და გულდადრიანი. ბევრჯელ უთხრეს ხენწიფეს რომა სხვისი იშვილეო, მაგრამ არ ისურნა, – ჩემი უნდა მეეცაო გამჩენ, თვარემა სხვისი რათ მინდაო.

ხენწიფე და მისი ცოლი რო აივანზე გადმოიხედამდენ და სხვებ შეხედამდენ, ბოშები მიყავდავე, ორივე ერთმანეთ შეხედამ-დენ, ამოიხვენეშებდენ და დუღარე ცრემლებ გადმოყრიდენ თვალე-ბიდგან, ერთმანეთ ეტყოდენ: ჩვენ რა შევცოდეთო იმ კურთხეულსა, რომ ერთ შვილზე მაინც არ დაგვამადლიანაო.

ასე მიდიოდა იმათი დღეები სულ წუხარებაში და ტირილში. ერთ დღეობის დღეეს, ხენწიფემ უთხრა ცოლო: –ერთი წავალ, გავივ-ლი-გამოვივლი ამ ჩემ სახენწიფოშიაც და სხვაშიაც, (გვ. 2) ვნახამ და მოვძებნი, თუ სადმე გამჩენ უდარდელი კაცი ყავს ამ ქვეყანაზე, მეე ხენწიფე ვაარ, ამდენი ხალხის ბმანებელი, ამდენი სიდიდნდრის პატ-რონი, არაფერი არ მაკლია მაგრამა, ერთი იმისთანა მაკლია, რომე-ნიც ყველაფერზე მეტი არი, რათ ღირს ჩემი სიცოცხლე, შვილი რო არ მყავს; სხვებიც იქნებიან ჩემს მეტი უშვილო ამ ყოლაშზე (ამქვეყ-ნად) და ვნახო ერთი თუ ისინიც ასე ჩვენსავით ტირიან უშვილმა-მავლობას; ყველაზე უფრო მეტათ ის მინდა გავიგო, უდარდელი კა-

ცი თუ იპონება ამ ქვეყნათ, ამის გულისთვინ კი უნდა წავიდე, სხვაც რო არაფერი მაწუხებდეს.

გემეზადა ხენწიფე, გემეეწყო საგზავროთ, არავის თანხლება არ ისურნა, ჩაიცვა უბრალო კაცის ტანისამოსი, გემეეშვიდობა ცოლოლ, ახსენა გამჩენი, წაღმა დაბრუნდა და წავიდა.

იარა ამ ხენწიფემ, არ გაუშვია არცეთი ოჯახი, არცეთი შემთხვევითი ადამიანი, ვინც კი შეხვდებოდა გზაზე, ყველას გემეელაპარიკებოდა, ეედევნებოდა, გამოკითხამდა ყველიფერ: რავა ცხოვრობო, რითი ცხოვრობო, რა ქონების პატრონი ხაარო, რავარი ცოლშვილი ქყაავსო, ხომ არ ენდურიო საქმესაო; ერთი სიტყვით, ისე კითხამდა ძირიან-ფესვიანა რომა, უნდა გეეგო თუ რამდენათ კმაყოფილი იყო ე ადამიანი ცხოვრების.

ყველა ოჯახში, სადაც კი შევიდოდა, იმდენი ხანი დაჯებოდა (ასეა. ნ.ს.), გზირამდა, შეისწავლიდა იმათი ოჯახის დიდსა და პეტერას, ავსა და კაარქ, ძირსა და კუთხეს, ტკბილსა და მწარეს, მანამდისინი არ გაიგებდა ყველიფერ, არ გამოვიდოდა არც იმ სახლიდგან.

**(გვ. 3)** ასე რომა ამ ხენწიფეს არ გაუშვია გაუგებელი არცეთი ოჯახი თავის საბძანებელში, სუყველა განირა და გაგზირა, სუყველას ამბავი გაიგო და შეიტყო.

ბევრნაირი ხალხი ნახა, ბევრი ადამიანის ხასიათი და ნაქციერობა ისწავლა, ზოგი დინდარე შეხვდა, ზოგი ღარიბი, ზოგი ავანტყოფი, ზოგი ნამუსიანი და კარში გამოუტანელი, ზოგი პირღია და შეუწახავი, მაგრამა არ იქნა და უდარდელი კაცი ვერსად ვერ ნახა; ზოგსა ქონება აქ, მაგრამა შვილ-მამავალი არ ყაავს და დარდობს, ზოგსაც შვილ-მამავალი ყაავს, მაგრამა ყველათი არ უხარია, ზოოგ კიდე რამე ტკივა, ზოოგ რა აწუხებს და რაა, ვინ გაუგებს ყველიფერ. ერთი სიტყვით, ვერსად ვერ იპონა უდარდელი კაცი.

ძალიან რო დაიღალა და მოიქანცა ე ხენწიფე ხეტიალითა და კარკარა სიარულით, ადგა და სახში წამოსვლა დააპირა, ჩემ ოჯახში დავბრუნდებო და ჩემ ტახტ მივხედამო. თავის გულში ლაპარაკობს, ალბათ ღმერთ ასე გაუჩენიაო, რომაო უდარდელი კაცი არ უნდა იქნესო ქვეყანაზეაო.

მოწყენილი მოდის ხენწიფე თავის სახში, ვერ ნახა ისი, რასაც ეძებდა, სულ ტყუილაუბრალოთ გაუარა ამდენმა შრომამ და გარჯამ, რა რჯიდა რომა, ხენწიფემ მოდგა და უბრალო ადამიანის ტა-

ნისამოსით ფეხით მოიარა სულერთიანა თავის სახენწიფო, რა აწუხებდა რაა, ბმანებულიყო თავის ტახტზე, გეცვა ბმანება და შეუსრულდებოდა, რასაც კი ისურნებდა, მაგრამა ესეც უნდა ენახა, მართო ტახტზე ჯომაც (ასეა. ნ.ს.) არ ეყოფოდა, მოიარა, დაათვარიელა, გულიც **(გვ. 4)** მაიჯერია და ხალხსაც გეცენო, ერთი სიტყვით მაინც ასე ჯობდა.

ხენწიფე ამ ფიქრსა და რჩევაში რო არი, ესეც არი ახაა და თავის ოჯახ მუუახლოვდა, ბევრი აღარაფერი უკლია და ერთ ორღობეში გამოიარა, უცვათ რაცალა ხმაურობა შემეესმა, გაჩერდა, დაუგდო ყური, ესმის ტაშის ხმა და სიმღერა; წაიწია წიინ, სითკენაც ხმა მოდიოდა, კიდე უფრო ახლო ესმის ახლა სიმღერა და ტაში, მიიწია, მიახლოვდა, შორიახლოს დაინახა ერთი დანგრეული ფაცხა დგაა იმისთანაი, რომა ერთი ქარმა რო კარქა ამოუბეროს იქავისე წაიქცევა. ამ ფაცხიდგან გამოდის ე ხმაა; მივიდა კიდე უმფრო ახლო, ზედ აკომკაზე მიადგა, შეიჭვრიტინა და დაინახა რომა ერთი ქალი და ერთი კაცი არიან აქანაი, უყურებს ე ხენწიფე, ქალი დაუკრამს ტაშ, იმღერებს და კაცი ითამაშებს, მერე კაცი დაუკრამს ტაშ, იმღერებს და ქალი ითამაშებს. მეტი ამ ფაცხაში არაფერი ხორციელი არ ჩამს. უყურა, უყურა ერთხაან ამ ხენწიფემ გატეხილი აკომკიდგან ამ ამზავ, გაუკვირდა, გიჟი არიანო თუ ჭკვიანებო, რომ აღარ ჩერდებიან ე ქალი და კაცი, ხან ერთი თამაშობს და ხან მეორე; ვედარ მოითმინა ხენწიფემ, სანამდისინი გაიგებდა ვინ არიანო ესენიო, ადგა და დაუკაკუნავე ამ გატეხილ აკომკაზე. როგორც კი გაიგონეს ხმაა თვარემა, ორივემ – ქალმაც და კაცმაც – გამოიხედეს. დაინახეს კაცი დგაა იმათ კარებთან და შეიპატიჟეს სახში: –მობმანდი ბატონო, თუ გვიკადრებ, რა ღირს ვართ... **(გვ. 5)** – ერთათ უთხრეს ორივემ. ხენწიფეც ადგა და იქავისე შევიდა ამ ფაცხაში, მიათვარიელ-მოათვარიელა იქაურობა, ვაი ამსაათ, რას უყურებს, რა არი ამ ფაცხაში, სად არი ან დასაჯომი, ან დასაწოლი, ერთი გატეხილი შტოლი დგაა კუთხეში, იქით და აქეთ ორი ფეხმონტვრეული ხის სამფეხა სკამები დგაა. არც ტახტი, არც ლოგინი ვერ დაინახა, ბოლოს თვალი მოკრა, ერთი აწყობილი ლოგინი კუთხეში დგაა და ზედე დახეული ჭილოფი აქ მიფარებულ; შტოლზე, ერთი პირმოტეხილი ხის ჯამით ლობიო დგაა და გაფიცხებული ჭადია იქავისე, შტოლზე ადამწლის დოქი დგაა, ამ

დოქსაც პირი ააქ ჩამოტეხილი, ეს არი და ესე ამათი სიდინდრე და ავლადიდება.

მიიწვიეს ე კაცი, რა იციან ესე თუ ხენწიფე არი, მიიპატიჟეს შტოლთან, – მიირთვი შენი ჭირიმეო, ღვთის მოწყალება ჩვენ თავზე ბევრი არიო, – მუუწიეს ჯამით ლობიო და ჭადიც; დაიწყეს ჭამა, იცინიან ორივე ცოლ-ქმარი, უხარიავე, სტუმარი რო ეწვიავე.

უნდოდა თუ არ უნდოდა ხენწიფესაც მეტი რაღა უნდა ექნა, იმანაც დაიწყო იმ ჯამში ჭამა; დაუსხეს პირჩამოტეხილი დოქიდგან ცივი წყალი, ადღინძელეს ერთმანეთი, ეს ღმერთმა გაუმარჯოსო მართალსა და უდარდელ კაცსაო და რიგრიგობით ყველამ დალიეს. როისაც ჭამა გაათავეს, ისევე თამაში დაიწყეს, ხან ცოლი თამაშობს, ხან ქმარი, სტუმარიც ჩამოითამაშეს. მეტი რაღა გზა ქონდა ხენწიფეს იმ სახში იყო და რაც მაინძელ გეეხარდებოდა, ის უნდა ექნა, ითამაშა თითონაც.

**(გვ. 6)** მიჩერებიავე ე ხენწიფე და უკვირს, რა ამხიარულებსე ამათ, არაფერი არ გააჩნიავე, არც ძირკუთხეში, არც ოჯახში, არც ნა-შურ-ნაამაგარი არ ჩაამს აქანაი და რა არი ამისთანაი, ამათ რო ასე ახარებსე. ბოლოს როისაც კარქათ დაუმეგობრდავე და გეეცნოვე, იკითხავე:

– რა მოხელე ხაარ შენე და ან რითი ირჩენ თაავ?

– მეე, ჩემო ბატონო, მეჯღანე ვაარ, ყვეელდღე ვშონილობ ოროლ აბაზ, როგორც შემამივა ორი აბაზი, ავდგები, დავიღვლიებ თაავ, ვიყიდი სარჩოს: ლობიოს, ჭაად, მწვანილ. მავდივარ ჩემ ოჯახში, ცოლი დამახვთერებს თბილ კერიას, გააკეთებს და დაამზადებს, რასაც მავიტან, დამახვთერებს თბილ წყალ, დავიბან, დავიცვლი, დავჯდებით ასე როგორც შენი ბედნიერი თვალი ახლა გვიყურებდავე და სულ ასე მხიარულათ ვაართ.

– შვილი რამტენი ქყავსე?

– არა მყავს, ბატონო, შვილი, კურთხეულია გამჩენის პატიოსნობა, თუ დამამადლიანებდა კარქი იყო და ალბათ შევეცოდე რამე და არ მადირსა სამოძირო, მაინც არაფრათ არ ჩავაგდებ, როიცა მოკვდები, ზეზე არავინ ამყროლებს, მიწას მიმბარებენ, რაც იქნება და იქნება, სანამდისინი ბასარვადამი (ხორციელი) ცოცხალი არი, არაფრისთვინაც არ უნდა იდარდოს, უნდა იმხიარულოს; ქალიც ჩე-

მი ხასიათის მყავს, შევეჩვიეთ ერთმანეთ, ვბერდებით, მაგრამა მანც ასე სულ ტკბილათ ვცხოვრობთ, ეშმაკსაც თვალი დაუდგეს.

**(გვ. 7)** – აგაშენა ღმერთმა, – უპასუხა ხენწიფემ, – შენ ყოფილხარ ბედნიერი კაცი ქვეყანაზე, მაგრამა ერთი ეს მითხარი, თუ კაცი ხაარ, რატომ არ გინდა, რომ მეტი იშონო და უფრო უკეთესათაც იცხოვრო.

– არ მინდა შენი ჭირიმე, უთხრა მეჯღანემ, – ვისაც მეტი ააქ, მეტი დარდიც ააქ და მეტი წუხარებაც; მეე და ჩემ ცოლ ყვეელ დღე ქვეყოფნისე ორი აბაზი, ხანდახან სულ დადამდება ხოლმე და ორი აბაზი არ შემამივა, ხანდახან შუადღემდიაც ვიშონი ხოლმე ორ აბაზ, ხასვე შალომ (ნუ ინებოს ღმერთმა), ერთი წუთი მე აღარ გავჩერდე სამუშაოთ, იქავისე სახში მივდივარ და ვხარობ, რაც გამაჩნია იმითი, მეტი რათ მინდა რომ მქონდეს ღვთისა და თქვენი წყალობა მრავალია ჩემ თავზე.

ესენი რო ასე ლაპარაკობენ, მეჯღანეს ცოლი თავჩამაკრული კერიას ქექამს და უხარია, თავის გუნებაში იცინის, ჩემისთანა ბედნიერიო, – ასე გონია, – ამ ქვეყანაზე მეორე არავინ არ არიო.

რახან გაიგო ხენწიფემ ამათი ყველიფერი ავი და კარგი, გემე-ემშვიდობა, დიდისგან დიდი მადლი და მადლობა დაუტყევავე, ადგა და წავიდა თავის სახში.

როგორც კი მივიდა თავის ოჯახში თვარემა, სახენწიფო საქმეებ შეუდგა, მაგრამა ი მეჯღანეს ამბავი მანც აკვირებს და იფიქრა, ერთიო უნდა გამოვცადოვო, მერე რავა ითამაშებსო, ვნახოვო. ადგა და მეორე დღესავე გამოცა ბძანება ხენწიფემ, რომა ამამავალ მეჯღანესაო არამცა და არამცა სამუშაო არავინ მუტანოს თვარემაო, სასტიკათ **(გვ. 8)** დავრჯითო, არაფერმა ხორციელმა არ გაბედოს, რომისა მიხაროსო რამე გასაკეთებლათაო.

გავარდა ხმაა, ხენწიფესაო ბძანება გაუციაო, რომა ამამავალ მეჯღანეს არაფერი გააკეთებინოთო. ყველას ძალიან გაუკვირდა, – რაზე ინებაო ესეო ხენწიფემაო, მიტომ რომა ი მეჯღანე შვიდობიანი კაცი იყო და არც არავის არაფერ აწყენინებდა.

რადგანაც ხენწიფის ბძანება ამისთანა იყო, აღარც არავინ არაფერი მუტანა გასაკეთებლათ ამ მეჯღანეს. ჯიის საწყალობელი თავის დაზგასთან და ჩაქურთან, იხედება ოთხკუთხეზე, შუადღე მავიდა, სიფთაც არავის არ მიუცია; იცადა ნაშუადღებამდისინი, ადგა მე-

რე, დაკეტა თავისი სამუშაო და წავიდა, – გავივლიო, იქნება სხვა რამე სამუშაო ვიშოვნოვო.

გავიდა, გაიარა ქალაქში, გაიხედა ერთი ქალბატონი დამდგარა გზის პირზე და ტომრებ რეცხამს, მივიდა და უთხრა: –ქალბატონო, რავა გეკადრება შენისთანა დიდებულ ოჯახის შვილ რომა გზის პირზე დამდგარხარ და ტომრებ რეცხამ, მოიტა მე გაგირეცხამ და ორი აბაზი მაჩუქე, მეტი არ მინდა.

გეხარდა ამ ქალ, რავა არ მიცემს ორ აბაზ, ოღონ კი გაურეცხოს და; მიატევა ამ ტომრების რეცხვა, მიცა ამ მეჯღანეს და გაარეცხინა. ისე კარქა გარეცხა მეჯღანემ, რომ ქალბატონ სიხარულიდგან ფთები გამოუვიდა, ადგა და ერთი მანათი მიცა, მეჯღანემ არ დაიკავა და უთხრა: მე გაგირიგდი ორ აბაზათ, მე მეტი არც მჭირდება და **(გვ. 9)** არც მინდა, თუ იწამებ ღმერთ და ყვეელდღე ასე მიმსახურებ, ოროლ აბაზათ დიდ მისვას (მადლი) იზამ.

ქალბატონი მუურიგდა, უნდა მივიდეს ე კაცი ყვეელდღე და უნდა ემსახუროს სახში ორ აბაზათ.

წავიდა მეჯღანე, წაიღო ორი აბაზი, იყიდა ლობიო და ჭადი, მივიდა სახში, მუუტანა ცოლ, როგორც ჩოვილობა ქონდავე და ისევე სიმხიარულით შეუდგენ ჭამა-სმას.

დაღამდა, სასიკეთოთ დაგიღამდა, ადგა ხენწიფე, ისევე ი უბრალო ტანისამოსი ჩაიცვა და წავიდა, ერთიო უნდა ვნახოვო, რას შვებოო ი მეჯღანეო, ან რითი ითამაშებსო. გასწია წავიდა და პირდაპირ ამ მეჯღანის საახლ მიადგა. შეიხედა თუ არა აკოშკაში, ისევე ისე არიან ცოლ-ქმარი, ხან ერთი თამაშობს და ხან მეორე. დაუკაკუნა ისევე კარებზე, გაუღეს მიიწვიეს, კიდე უფრო მხიარულათ მიიღეს. ახლა კიდე უფრო მეტათ გაუკვირდა ხენწიფეს, სიდგან იმონაო დღესეო ფულიო და უთხრა: –გავიგე დღესე შენი უბედურობა, იმ ურჯულო ხენწიფეს რო ბძანება გაუცია, შენთვინ არავის მეეტანა შესაკეთებელი და იმიტომ წემევედი შენთან, შემებრალე, გავიგებთ-თქვა თუ რამე ჭირია-თქვა, იქნება გინდა რამე რომ დეგეხმარო, ნუ იუკადრისებ, შენე იმისთანა კაი კაცი ხაარ რომა, კი გეკუთნის ხელის მომართვა.

– არა ბატონო, – უპასუხა მეჯღანემ, – მეტი ღმერთმა **(გვ. 10)** მიდღემჩი ნუ გამიჭივროს, ხენწიფეს ღმერთმა შვიდლობა მისცეს, რა



მიჭირს, სადაც ჩემ ძოვან ძმებს, სარჩოს მამცემი ისევე ღმერთია, კურთხეულია მისი ზეხუთი (ბრწყინვალეობა).

– კიი მაგრამ რითი იშონე დღესე ფული, რითი მოიტანე სარჩო, სამუშაო რო აღარ ხქონდა?!

– შე დალოცვილო, რაა, წვევდი ქალაქში, ერთ ქალბატონ ტომრები გაურეცხე, მანათი მამლია, მაგრამ არ გამოვართვი ემეთ (ქეშმარიტად), რაც არ მერგება-თქვა, არც შემერგება-თქვა, ასე უთხარი. გამოვართვი ორი აბაზი, წემევედი, ვიყიდე როგორც ყველთვინ და როგორც შენც უყურებ, ისევე ვმხიარულობ, ღმერთმა არ მამიძულა და გამამიგზავნა იმისი ბოლო ხაზინისაგან; მობძანდი, შენეც მიირთვი და ვიმხიარულოთ.

მოუჯავე (ასეა. ნ.ს.) გვერდში ხენწიფე და ისევე ისე შეუდგენ ქამა-სმას და თამაშ. გადაუხადავე ხენწიფემ დიდი მადლობა და გაბრუნდა.

მეორე დილა რო გათენდა, ხენწიფემ გაცა ბძანება, გააკრევირა ქუჩის პირზე და გზებზე ქახალდები, რომა არამცა და არამც არცეთმა ოჯახის ქალმა სახში მამხმარეთ კაცი არავინ შეიყვანოსო თვარემაო, საქვეყნოთ გამოვაჭიანებთო.

მეჯღანემ არაფერი იცის, როგორც ადგა დილაზე თვარემა, იქავისე გაუდგა გზაას, მიდის იმ ქალბატონთან, სახში უნდა მეხმაროს. მუუახლოვდა იმის საახლ თვარემა, იქავისე პირკატა ეცა, გამოკრული ქახალდი დაინახა, ზედვე ეწერა, აკრძალული აქეო ოჯახის ქალესაო კაცების (გგ. 11) სახში მომსახურებაო. ადგა იქავისე და უკან წამოვიდა. თავის გულში ლაპარაკობდა, – ღმერთი პატრონი არიო, კიდე გამამიძებდაო რამე საქმეო.

გაიარა მეჯღანემ ერთი ქუჩა, არსად არაფერი საქმე არ გამოუჩნდა, გაიარა მეორე, მაინც არაფერი ჩამს, იმედ მაინც არ კარქამს, ფიქრობს, – ვინც გამაჩინაო, კიდევაც ის დამარჩენსო და სარჩოსაც გამამიგზავნისო; გაიარა მესამე ქუჩაზე და შეხედა, – ერთი ახალგაზდა კაცი, ნაჯახი ხელში უკავია, შეშას ურტყამს, მაგრამ ვერ აპობს, ისე ეტყობა არ უნდა იყოს დაჩვეული შემის ჩეხვას.

რო შეხედა მეჯღანემ, რომა ჯახირობს ე ახალგაზდა და ვერ ჩეხამს შეშას, მივიდა პირდაპირ, გამუართვა ხელში ნაჯახი, დასცხო შეშასა და ვაშლივით გააპო, აილო მერე ე შეშა, დაუსანათა წვრილწვრილათ, დაილაგა ხელზე და სახში შეუწიკა, დაუწყო სუყველაკა-

ნაი, ნაფოტი რა იყო, ნაფოტიც ცალკე დაულაგა ერთ კუთხეში; ამ ახალგაზდას ძალიან გეეხარდა, რა გამამიგზანაო ესეო გამჩენმაო, სიმძარი არიო თუ ცხადიო ჩემ თავზეაო, – უკვირდა. მერე ბოლოს დააჯინა, გაუძინებლდა, ამოიღო ჯიბიდან ფული მუჭით და შეაძლია, უთხრა: მე შენ გადამარჩინე ჯახირ იმ შემის ჩეხვით, შენ გადარჩი ყველიფერ გასაჭირ, ახაა ე ფული, წადი და მოიხმარე რაშიაც გინდა, თუ არ იუკადრისებ, გამამიარე ხოლმე, ხელი წამახმარე და არც მე დაქრჩები უკაცრავათ. **(გვ. 12)** მეჯღანემ დიდისაგან დიდი მადლი და მადლობა გადაუხადა, მეორე დღეს მისვლას კი შეპირდა, მაგრამა ორათ ორი აბაზის მეტი არ გამუართვა, ასე უთხრა: მეე სახარჯოთ დღეში ორი აბაზი მყოფნის, არც მინდა მეტი, არამი იქნება ჩემზე.

ძალიან კი გაუკვირდა ამ ახალგაზდას, მაგრამა რას იზამდა რაა, არ გამუართვა, გემეემშვიდობა და გაისტუმრა.

წამოვიდა მეჯღანე, ისევე იყიდა ორი აბაზის ულუფა და წაიღო სახში. ცოლმა კერია გაჩაღებული დაახვთერა, როგორც ყველთვინ ჩვეულობა ქონდავე ხოლმე, ახლაც ისევე შეუდგენ, ცოლმა საჭმელი გაამზადა, შეუდგენ ისევე ჭამა-სმასა და თამაშ.

ხენწიფე კი ფიქრობს თავის გუნებაში, ახლა კი ითამაშებსო ი უბედური მეჯღანეო, ერთი წავიდე და კიდე ვნახოვო; ჩაიცვა ისევე ისე უბრალო კაცის ტანისამოსი და ისევე მიადგა ამ მეჯღანეს.

გაუღეს კარები, ისევე ისე მიიწვიეს, უყურებს ე ხენწიფე, რომა მაინც ისევე თამაშობენ ე ცოლ-ქმარი როგორც სხვიმის, უკვირს და ეკითხება: ღმერთმა იცოდეს, მე შენმა ჯავრმა არ მამასვენა, როცა გავიგე იმ ურჯულო ხენწიფის ბძანება, რომა ქალებმა კაცები არ მოიმსახურონო, მე ვიფიქრე, ი ქალბატონი ალბათ აღარ ამუშავებს-თქვა და რაღა ეშველება-თქვა, **(გვ. 13)** კიდე ფული წამოგიღე, იქნება დაჭირდეს-თქვა.

მეჯღანემ ისევე ისე ჩამუწყვა თავისი თავის თავგადასავალი, იცინა და სტუმარიც აცინა: – ხენწიფე ღმერთმა აკურთხოს, მაგრამა, იმაზე მაღალი, იმაზე დიდი ის ბძანდება მისმა მზემა, ვინც წყალი ადამიანათ გადააქცია, ხენწიფეების ხენწიფე კიდე ის არი. მოდი, ერთი თუ კაცი ხაარ, ერთიც კიდე ვითამაშოთ, ქალო, ტაში დაუკარი, – მიუბრუნდა ცოლო მეჯღანე.

ცოლმა ტაში შემოკრა, ქმარმა ჩამოიარა და სტუმარი გამოითამაშა, მერე სტუმარ დააკრევიანა ტაში, თითონ ითამაშა და ცოლი ჩამაითამაშა. ასე მხიარულობდენ და ხაფიფობდენ სულმუდამ, უყურებდა ხენწიფე ამ ამბავ და აღარ იცოდა რა მეეგონებინა და რითი მეეხერხებინა, რომა ამ მეჯღანესთვინ რამე სადარდებელი შეექნა. ბოლოს კიდე გემეემშვიდობავე დიდი მადლობა გადაუხადავე და გასწია თავის სასახლეში, თელი ღამე შფოთამდა და ვერ იძინებდა ხენწიფე, რა გემეეგონებინა ფიქრობდა, ბოლოს, როგორც იქნა, ისევ ისე მოიგონა, ამ ეერთ კიდე ვშინჯამო.

როგორც კი დილა გათენდა თვარემა, ხენწიფემ ისევ ისე ბძანება გაცა, ჩემ სახენწიფოშიაო არავინ არ გაბედოსო ვინმეს მომსახურებაო, ყველამ თითონ გააკეთოსო თავისი საქმეო, შინაცა და გარეთაცაო.

გათენება არც კი იყო ხეირიანათ, რო გავარდა **(88.14)** ხმაა, ხენწიფესაო ამისთანა ბძანება გამუყციაო.

ვისაც კი ყავდათ შინამოსამსახურეები, სუყველამ დაითხვიეს იქავისე, შეეშინდავე ხენწიფის, თავებ მოკვჭრისეო და ახალი ვინდას რალათ უნდოდა!

დილა გათენდა თუ არა, ახსენა ღმერთი მეჯღანემ, გასწია და პირდაპირ იმ ახალგაზდის საახლ მიადგა, ვისაც გუშინ შეშის დაპობასა და დაწყობაზე მეეხმარა, მაგრამა კიბეზე ფეხის შედგმა ვერც კი მუასწრო, იქავისე ჩამოირბინა იმ ახალგაზდამ კიბიდგან და უთხრა: –შენი ჭირიმე, არავინ დაგინახოს თვარემა, ორივეს ახლავისე დაგვიჭირამენ, ჩუმათ გაიპარე.

მეჯღანემ დაიღვლია თავი და გაბრუნდა უკან. წავიდა, მაგრამ აღარ იცის სად წავიდეს, რა საქმეს მოკიდოს ხელი, ხენწიფის ბძანებით გასაკეთებელი ჯღანი აღარავის მიაქ იმასთან; ქალებმაო კაცები არ მაიმსახურონო, თვარემა ი ქალბატონი ყვეელ დღე მიცემდა ხოლმე ოროლ აზაზ, ესეც ხენწიფის ბძანებით იყო; ახლა იყო კიდე და ე ახალგაზდა, ვისაც შეშა დაუპო, იმის იმედიც დეეკარქა. ხენწიფემ აქაც აუკმალა ხაალხ, სხვა არავინ მოიმსახუროთო. რა ქნას, აღარ იცის, გუულ მაინც არ იტეხამს; ადგა და ერთ დიდ თავრობის სახში მივიდა და თხოვავე: საყარაულო თუ რამე გაქე, ვიყარაულებო. **(88.15)** ახედეს-დახედეს, იცნეს და უთხრეს: –შენე ესე და ეს მეჯღანე

აკი ხაარ?!- კი, ბატონო, მეჯღანე ვაარ მაგრამა, ჩემთან აღარავის მოაქვასაკეთებელი რამე და ვიფიქრე, ისევე ყარაულათ დავდგები-თქვა.

გაურიგდენ მეჯღანეს, ოღონ იმ პირობით დეთანხმავე რომა, ყვეელ ღვთის გაჩენილ დღეს, ყარაულების უმფროსმა ოროლი აბაზი უნდა აძლიოს ხოლმე, რადგანაც მეჯღანეს სხვა არაფერი საშუალება არა აქ, რომ იცხოვროს. ყარაულის უმფროსიც დაყაზულდა, უთხრა: ჯამაგირის მიღებამდი მე გაძლევ ხოლმე ყვეელდღიურათ ოროლ აბაზ და მერე კი როისაც ჯამაგირ მიიღებ, დამიბრუნეო.

დაიწყო მეჯღანემ ყარაულათ მუშაობა, ჩაიცვა ყარაულის ტანფეხი, დაიკიდა წელზე ხმალი ქამარ-სარტყელში და არი თავისთვინ; ყვეელდღე მუშაობას რო გაათავებს, მივა ყარაულის უმფროსთან, მიცემს ისიც ორ აბაზ, წავა მეჯღანე ამ ორი აბაზით როგორც ჩოვილობა ააქ, ისევ ისე მხიარულობს თავის ცოლთან.

ხენწიფემ თქვაა თავის გულში, ერთმა ხანმა რო გაიარა, ახლა რაღას იზამსო მეჯღანეო, იქნაი ფულ ხომ ვერ მიცემენო თვის ბოლომდისინიო და ახლა მაინც კიდე უდარდელათ იქნებაო?! იფიქრა ესე ხენწიფემ, გასწია და ისევე წავიდა, ერთი კიდე ვნახოვო, რას შვებაო მეჯღანეო.

**(გვ. 16)** მუუახლოვდა ხენწიფე მეჯღანეს ფაცხას, შეიხედა აკოშკაში, რას შეიხედამს? ისევე ი ამბავი დაინახა, რაც მანამდისინი, ორივე ცოლ-ქმარი უკრამენ ტააშ და თამაშობენ, შტოლოზე ისევე ი გატეხილი ჯამი და პირჩამოტეხილი დოქი დგაა, ისევე ი გატეხილი სამფეხიანი სკამები და ისევე ი აწყობილი ლოგინი, როგორც მანამდისინი იყო. დააკაკუნა კარებზე, გაულეს და მიიწვიეს, გეეხარდავე, ისევე ნაცნობი სტუმარი რომ მიუვიდავე.

ხენწიფეს ისევ ისე უბრალო კაცის ტანისამოსი აცვია, არც იცინ მეჯღანემ, იმისმა ცოლმა, ვინ არი ე კაცი, ასე ხშირათ რომ ავითხებსე ხოლმე, არც კი უფიქრიავე, რომ გაიკითხონ ამ კაცის ვინაობა, ისე მიეჩვიენ და ისე ერთგული გონიავე თავის ოჯახის.

რო გაათავეს თამაში და სიმღერა მერე კითხა ხენწიფემ: რავა ხაარ, აფხანიკო, რა ქენი, ან რას აკეთებ, რითი ირჩენ თაავ, რა საქმეს მოკიდე ხელი.

- მეტი ნუ გაგიჭივროს ღმერთმა, მე რომ არაფერი მიჭირს, სადაც ჩემ ძოორ გავანძრევ, ლუკმას ყვეელთვინ ვიშონი.

– კიი, კი იშონი მაგრამა, მაინც რა იშონე, რითი ირჩენ ახლა თაავ, იქნება ქჭირია რამე სახარჯო, თუ ღმერთი ქწამს, ნუ მემერი-დები, მეე კიდე მოგიტანე ფული და დაგიტევებ.

ხენწიფემ ჩაიყო ჯიბეში ხელი, დასტით ფული ამოიღო და და-აწყო შტოლზე.

მეჯღანემ იუარა, არ მჭირიაო და ჩამუყევა თავისი ამბავი: –ისე მოგივიდა შვიდობა, მეე ერთ სახენწიფო საყარაულოში **(გვ.17)** დავდექი; ვყარაულობ ხოლმე, ყვეელდღე საყარაულოს უმფროსი, ისე ვაარ გარეგებული რომა, ჯამაგირის დარიგებამდი თითონ მი-ზოგებს ოროლ აბაზ, მეე კი მყოფნის და სხვას ყველას შვიდობა დე-ედვა, როგორც მიცხოვრია, ისევე ისე ვცხოვრობ, თუ ღმერთმა ჩემზე ხელი არ აიღო.

გაიგო ხენწიფემ ამ მეჯღანის ამბავი ახლაც, გემემშვიდობა ცოლ-ქმარ, დიდისაგან დიდი მადლი და მადლობა გადაუხადავე და წავიდა.

დილა როგორც გათენდა თვარემა, დაიბარა საყარაულოს უმ-ფროსი და შეეკითხა: ვინ აიყვანე შენე ახალი კაცი ყარაულათ და ან რა პირობებში გაურიგდი?

საყარაულოს უმფროსმა ჩამუყევა ყველიფერი, ან ვინ აიყვანა და ან რა პირობებში გაურიგდა.

ხენწიფეს მუჟვიდა გული, მოდგა და უყვირა: ვინ მოქცავე თქვენი ამტენი ნება, რომა როგორც გინდავე, ისე თქვენ ნებაზე ურიგდებით ყველას, მე თუ ვაარ ხენწიფე, ჩემი გამოცემული კანო-ნები და ბძანებები უნდა შეასრულოთ, თუ არა და თქვენ ყოფილ-ხართ ხენწიფე და ის არი, როგორც გინდავე და რანაირათაც მეგენე-ბებავე, ისე თქვენი შეხედულობით იქცევით, გიბძანებ იცოდე, ახლა-ვისე შეასრულო ჩემი ბძანება და არაფერ ხორციელ ადამდარსებულ საერთო ჯამაგირის მიცემამდისინი არც ერთი ფარა კბილზე არ და-უკაკუნოთ თვარემა, ხომ იცით, **(გვ. 18)** მეე რომ არაფერი არ დემემა-ლება და ვაი მაშინ თქვენთვინ.

წავიდა ყარაულის უმფროსი გულზე ცეცხლმოკიდებული, სიდგან გაიგოვო, ან ვინ უთხრავო, ვინ მიუტანავო ლაშონარაყიო (ავი ენა), თავტარაბუადასხმული წავიდა თავის ადგილზე.

როისაც შევიდა შიგნით თვარემა, იქავისე დაუძახა მეჯღანეს და უთხრა: ამიერისაგან იცოდე, თუ ჩვენთან სამსახური გინდა, ვე-

ღარც ერთ კაპიკ ვედარ მიიღებ, სანამდისინი საერთოთ ჯამაგირები არ მეგვეცემავე, ვინცახას ხენწიფესთვინ ენა მუუტანია შენზე, ასე და ასეო, ყვეელდღეო ყარაულის უმფროსიო ოროლ აზაზ თავისი საკუთარი ჯიბიდგან აძლევსო და შავი დღე დამაყენა ხენწიფემ: შენეო რაზე არღოვო ჩემ კანონსაო?

დანადვლიანებული ყარაულის უმფროსი, სამსახურიდგან დამითხოვსო ხენწიფეო, კანკალმა აიტანა, რილათი ვარჩინოვო ცოლშვილიო, წყალი აკი წამიღებსო და მიჩერებოდა თვალებში მეჯღანეს, ისიც ეცოდებოდა, რაღა ეშველებავო, ჯამაგირის დარიგებამდისინიო ცხოვრება გაუჭირდებავო, მაგრამა მეჯღანემ უთხრა: –კაი ძმაო, შენი თავი ამიშენდა დიდის აშენებით, როგორც შეგეძლო შენ კი შემიწყე ხელი და აწი კიდე გამზელეტობ (ესეც სასიკეთოა), ადამდაარსებული არც მამკვდარა შიმშილით და არც მოკვდება, თუ კი ხელ-ფეხ გაანძრევს. ჩემი თავის იმედი მე მააქ, სადაც არი, სულ მალე ჯამაგირიც დარიგდება და მანამდისინი რამენაირათ შევინახამ თაავ, დარდი ნუ გააქ, ხომ გესმის, **(გვ.19)** – გაამხნევა მეჯღანემ ყარაულის უმფროსი და გასწია არხინათ.

ახლა რა ქნას ამ მეჯღანემ, რითი იყიდოს ულუფა, რომ მიიტანოს სახში, მიიხედ-მოიხედა, სახში არაფერი გააჩნია და კარში. ადგა ისევე და თავისი ხმალი შეათვარიელა, რომენიც წელზე ერტყა. დახედა ხმაალ, რას დახედამს! დაბლა ვერცხლით არი მოჭედილი და მოსევადებული არი ხმალის ბოლო. ბევრი არც კი დაჭირვებია ფიქრი, საჩქაროთ შემოაძრო ამ ხმაალ ე ვერცხლი, იმის მაგიერათ გაუკეთა ფიჭვი და ისევე ქარქაშში ჩადვა. ვინ რას მიხვდებოდა თუ ხმალ ბოლოში ვერცხლი მოცლილი ქონდა და მაგიერათ კიი ფიჭვის ნაჭერი ქონდა გადაკერებული.

აიღო ხელში ე შემამძვრალი ვერცხლი, მიუტანა ოქრომჭედელ და ორ აზაზათ დაუგირავა, წამოიღო ე ორი აზაზი და როგორც ყვეელთვინ ქონდა ჩოვილობა, ისე იყიდა ულუფა, წაიღო სახში და ისევე ისე ჩვეულ თამაშსა და სიმღერას შეუდგენ ისი და იმისი ცოლიც, უკრამენ ერთიმეორეს ტაამ, მღერულობენ და თამაშობენ.

სალამო რო დადამდა, ხენწიფე ისევე ისე წავიდა, ერთი ვნახოვო, ახლა რაღათი ითამაშებსო ი უდარდელი მეჯღანევო, დღეს ვინღა მიცემდაო ორ აზაზსაო.

ისევ ისე უბრალო ტანისამოსში ჩაცმული წავიდა ხენწიფე და მიადგა მეჯღანეს ფაცხას; სანამდისინი მივიდოდა, მანამდისინივე შემეესმა ტაშისა და სიმღერის ხმაა, აუჩქარა ფეხი, მივიდა, მუუახლოვდა აკოშკას, შეიხედა, ნახა, რას ნახამს, ისევ ისე არი ყველიფერი, როგორც ყველდღე აქე ხოლმე და ისევ ისე **(88-20)** თამაშობენ და უკრამენ ტააშ.

ხენწიფეს გაუკვირდა და თავის გუნებაში თქვაა, – ღმერთო, იკურთხოსო შენი სახელიო, რა არი ე კაცი ამნაირიო, რომა არაფერმა არც გატეხაო და არც ადარდაო, აღარ ვიციო, რა ვქნაა და რა მოვახერხოვო, რო ამ კაცმა იდარდოსო და აღარ ითამაშოსო. უყურა, უყურა ერთ ხაან და ბოლოს ისევ ისე დააკაკუნა კარებზე. გამოიხედეს, მიიპატიჟეს, გეეხარდავე, ეს ერთი კარქი გულშემატკივარი გამოგვირდავეო, ხანდახან მაინც დაგვხედამსე ხოლმეო. მიართვეს ისევ ისე ი გატეხილი ჯამით ლობიო, პირჩამოტეხილი დოქით ცივი წყალი, ითამაშეს და ათამაშეს.

ბოლოს ხენწიფემ კითხა: რავა გააქ საქმე, თუ ღმერთი ქწამს, ხო არ ენდური სამსახურ, ან ხო არაფერი ქჭირია, შე კაი კაცო, ამოიღე ხმაა, თუ რამეში გამოგადგები, გამამიყენე, რარაინი გულჩახოვილი კაცი ყოფილხარ შენე, შენ აფხანიკ უნდა უთხრა და გამუუტყდე შენი ავი და კარქი. მითხარი თუ რამის თქმა გინდა!

მეჯღანე უცინის, ტაშ უკრამს და ეუნება: –დამიგდე ყური და გაგაცინებ, ისე გიცოცხლა ყველიფერმა, რა დროის გაჭივრებაზე ლაპარიკია, რა მიჭირს, მადლობა გამჩენ, გაიგონე, გაიგონე და ბევრ იცინებ, ისე იცოცხლე; თურმე ვინძაღას ლაშონარაყი (ავი ენა) მუუტანია ხენწიფისთვის, ხენწიფეს შვიდობა დეედვა და აშორდა ტრის გულისა, რაც უნდა იყოს, მაინც ხენწიფე არი, ქვის უმბილესიც რო იყოს და, **(88-21)** ხოო იმას გეუნებოდი, მუუტანიავე ენა, რომა მეჯღანე ყარაულსაო თავისი უმფროსიო ყველ დღე უზოგებსო ოროლ აბაზსაო; დაუბარებია ი დალოცვილ ხენწიფეს ჩვენი ყარაულის უმფროსი და უთქვია, რომა თვის ბოლომდისინი ჯამაგირის მიცემამდისინიო, იცოდეო ერთი ფარა აღარ მიცეო.

შემხვთა დღესე ყარაულის უმფროსი და შიშიდგან ვერხვის ფოთელივით კანკალობდა, სამსახურიდგან მამსხნისო ხენწიფეო, აწი ვედარ მოქცემო ყველდღეო ოროლ აბაზსაო; მეეც, მეტი ღმერთმა სხვა სადარდებელი ნუ მაქცეს, ნურც შეენ და ნურც მეე, მე სულაც

არ მიდარდება. წემევედი, აი ე ხმალი, – მეჯღანემ ხენწიფეს ხმალი უჩვინა, – ასე ამოვიღე ქარქაშიდგან, ვერცხლი შემოვაცილე, ფიჭვით ისე გადავაკერე და ისევე ჩავსვი, ვითომც არც კი არაფერი. ი ვერცხლი ორ აზაზათ ოქრომჭედელ დავუგირავე და როგორც მიყურებ ისევე ვხაფიფობ ჩემ ოჯახში, ავიღებ ჯამაგირ, დავისხნი იმ ვერცხლ ისევ ისე გაუკეთებ და მორჩა, სხვა რა დიდი ამბავი უნდა ამას, მოხერხების მეტი ხაა, თუ კაცი ხაარ? მოდი ახლა ერთი კიდე ჩამავიაროთ, ქალო, ტაში დავვიკარი, – მუუბრუნდა მეჯღანე ცოლო, – ტაში, ტაში! ვითამაშოთ, დღეს კი ვჭამეთ და ხვალ მამცემი ღმერთია.

მიჩერებია ე ხენწიფე და აღარ იცის, რა ქნას, გულზე სკდება, ამნაირი რა გაუჩენია ღმერთ ე მეჯღანე, რომა არაფრისთვინაც არ დარდობს, არც ხვალინდელი დღისთვინ ფიქრობს, მაინც ვერ შეიკავა თავი და ერთიც კიდე შეეკითხა: **(გვ. 22)** მოიხედე, ახლა ერთი ეს მითხარი შენე, თუ კაცი ხაარ, რატომ არ ფიქრობ შენე ხვალინდელ დღეზე, ვინ იცის რა მეგველისე, ადამიანიშვილი ვაართ, გაგიგონია, კაცო, რომა ჭკვიანი ადამიანი არ ფიქრობდეს ხვალ რა მემელისო?!

– შე დალოცვილო, ხვალისთვინ რო ვიფიქრო, წყალ უნდა წავყვე, რა მაფიქრებს, ღმერთმა ქვაში მატლი შეინახა და არ მოკლა შიმშილით და გამრჯელი ხორციელი ადამიანი ვინც ხელსა და ფეხს გაანძრევ, შიმშილით რავა მოკვდება, ხომ გაგიგონია შენე ი ამბავი ქვაში რო მატლი არჩინა ღმერთმა.

ხენწიფეს არ გაუგონია მიდღემში ე ამბავი, ძალიან გაუკვირდა და კითხა, რო გეეგო რარაინათ იყო საქმეო.

– თქვი ერთი თუ ღმერთი ქწამს, ჩემ დღეში არ გამიგონია, ქვაში რო გაჩენილ ეცხოვრნოს, ჩამამიყევი ერთი რავა არი მა ამბავი.

მეჯღანემ დაიწყო ლაპარაკი, მიუჯა ცეცხლ კერიასთან, აიღებს საკეცურ და გააბდღრიალებს ცეცხლ კიდე ისე, კიდე ისე; ბოლოს შეუდგა ქვისა და მატლის ამბავის მოყოლას: –დაბძანდი აგერ, ჩემო სტუმარო, მოიწიე ცეცხლის ახლოს, კაი რამე გაუჩენია ესე ღმერთ ქვეყანაზე, კარქია ცეცხლი, რას იტყვი? მოიწიე შენეც, ქალო, და მოისმინე ე მაყასე (ამბავი), – უთხრა მეჯღანემ ცოლსაც, – აი ახლა დავიწყებ, დამიგდეთ ყური: ერთ ქაალ ეყოლა ტყუპი შვილი, ორივეს თავისი მუშუთი ინახამდა, ისე კარქათ იზდებოდენ ე ბობშები რომა, ერთ ვერ მოუვლის ზოგიერთი დედა და ისი ორივეს კარქა



უვლიდავე, ვითამ **(83. 23)** დღეში არაფერ დააკლებდავე, იმათ ძილ-ში ოჯახ ემსახურებოდა და რო გაიღვიძებდენ, ორივეს ორი ხელით აიყვანდავე და ეხაფიფებოდავე. ყველას უკვირდა ამ ქალის სიკარქე და სისუფთავე.

ერთ დღეობის დღეს, იქნა გამჩენიდგან ბძანება, რომა უნდა მამკვდარიყო ე ქალი; გამჩენმა უბძანა მალახ ამავეთ (სულის ამ-ღებს), რომა წადიო და იმ ქალის ნეშამა (სული) ამამიტანეო. მალახ ამავეთიგ რას დაუდგებოდა წიინ, უნდა შეესრულებინა გამჩენის ნე-ბა, აილო თავისი ხმალი, გასწია და მივიდა იმ სახში, საცა ი ქალი ცხოვრობდა. შევიდა შიგნით, დაადგა ამ ქალ თავზე და ნეშამა უნდა აართვას, მაგრამა ამ დროოს შეხედა, რომა დედას ორი შვილი ორივე ძუძუებზე აკიდია და წოვენ, გული დეეწვა, შეებრალა და თქვაა რომა, – არ მოგკლამო.

წავიდა ღმერთთან ხელცარიელი და მუახსენა: შე დალოცვი-ლო ღმერთო, იმის მეტი ვეღარავინ ნახე, რომ ნეშამა ავართვაა, რო შევხედე, როისაც ძინარე დედას ორ ძუძუზე ორი შვილი ეკიდა, ვერ გავიმეტე და აღარ ავართვი ნეშამა. ღმერთ გული მუუვიდა და უთხრა: –შე უწმინდურო, ჯერე წადი შენე ამა და ამ ზღვის ძირას, ესე და ე ქვაა არი, ი ქვაა ამოილე და ამამიტანე აქანა, მერე გაჩვენებ მე შენე თუ რა შემძლეზია მეე და რავა უნდა იქნე შენე ჩემი მორჩილი....

გასწია მალახ ამავეთმა, ჩავიდა ზღვის ძირში, **(83. 24)** მივიდა იმ ალაგას, სადაც ი ქვაა იყო, ამოილო ქვაა, დაიკავა ხელში, გასწია გამჩენთან, მუუტანა ქვაა და მისცა.

ღმერთმა უბძანა, – გასტეხეო ე ქვაა შუაზედაო. მალახ ამავედ-მაც გასტეხა ქვაა შუაზე და ნახა შიგ შუაგულ ქვაში მატლი არი, პირ-ში ამ მატლ სუროს ფოთელი უდევს და ჭაამს; ღმერთი შეეკითხა: ხე-დამო ამასაო? – კიო, უპასუხა მალახ ამავედმა, მერე ღმერთმა უთხრა: –შე უწმინდურო, თუ კი მეე ეს შემძლეზია, რომა ზღვის ძირ-ში ქვა არი, იმ ქვაში მატლი გავაჩინე და ვარჩინე, რატომ ხგონია შე-ნე, რომა იმ ტყუპებ აღარაფერი ეშველება, დედა რო მუუკვდესე და ისინიც დაიხოცებიანო. საჩქაროთ წადი, გასწიე, აართვი იმ ქაალ ნე-შამა და აქანა ამამიტანეო.

მისი არ იყოს, – გააგრძელა მეჯღანემ სიტყვა, – თუკი რომა ღმერთმა ქვაში მატლი არჩინა, მე რაღას ვიდარდო და ვინჯავრო,

შიშშილით მოვკვდები-თქვა, მეც მარჩენს, იკურთხა მისი პატიოსნობა და ამიტომაც არი, რომ არ ვდარდობ.

ასე დაასრულა მეჯღანემ ე მაყასე (ამბავი). მოისმინა ხენწიფემ, მუჟუონა, დიდი მადლობით გემეემშვიდობა და წავიდა.

წავიდა ხენწიფე თავის სახში, მაგრამა ვერ მოისვენა, მაინც არ იქნა და არა; რამენაირათ უნდა ისე მუაწყოს, რომა ამ მეჯღანეს სადარდებელი გაუხადოს; იფიქრა თელი ღამე, იფიქრა და ბოლოს ასე მოიფიქრა, როგორც კი გათენდა დილა, მოიწვია ყარაულის **(გვ. 25)** უმფროსი და უბძანა: ესე და ე (ასეა. ნ. ს.) ჩამოსახჩობი კაცი რო ქვყავსე ჩვენე, ჩვენი მოღალატე, გამაიყვანე დღესე და თავი მუაკვეთინე ხმალით, ოღონ კი ახლავე იცოდე, მარტო მეჯღანემ უნდა შეასრულოს ე ბძანება მეტმა არავინ, ისე მუაწყე ყველიფერი რომა, წინდწინ არ იცოდეს.

წავიდა ყარაულის უმფროსი და გაამზადა ყველიფერი ისე რომა, ხენწიფის ბძანება უნდა შეასრულოს; როისაც ყველიფერი გამზადებული იყო, მერე უთხრა მეჯღანეს: –შენე ხენწიფის ბძანებით ესე და ე ბძანება უნდა შეასრულო, ამა და ამ კააც შენი ხმალით თავი უნდა მოკვეთო. – კი მაგრამა, რა დამიშავა მეე იმ კაცმა, არც მოვკვეთამ და არც ვიზამ მა საქმეს, რას მეუნები მაგას!

შეწუხდა ძალიან მეჯღანე, ერთი რომა თავის ვითამ დღეში ქათამი არ დაუკლია და მეორეც, ხმალი არ უვარგა, შიგა ფიჭვი არი, სამჭრელოს მაგიერათ, მაგრამა ხომ ვერავის გაუმხელს, ასე არიო ჩემი საქმეო. მისი ხმალი ვერ გაჭრის, არამც თუ კააც თავი მოჭრას.

ყარაულის უმფროსი გამოცხადდა ხენწიფესთან და მუახსენა, რომა, მეჯღანეო არ ასრულებსო შენ ბძანებასაო.

წამოვიდა ხენწიფე თავისი ფეხით, დაადგა თავზე მეჯღანეს და უთხრა: –შენე თუ ჩვენი მოსამსახურე ხაარ, ჩვენი ყველა ბძანებაც უსათუოთ უნდა შეასრულო, რას ქვია, ვის ქვია, ვინ მოქცა შენე ამდენი უფლება, რომა ბძანებ, ამას არ ვიზამო, **(გვ. 26)** საჩქაროთ უნდა შეასრულო ჩემი ბძანება, წახვიდე და ამამავალ სახენწიფოს მოღალატე კააც თავი უნდა მოკვეთო, აჰა, რისთვინ ხკიდია ე ხმალი.

მეჯღანემ უთხრა: დიდებულო ხენწიფე, მე კი შევასრულებ თქვენ ბძანებას, მაგრამა ვაი თუ ამ კააც უდანაშაულოთ მოვკვეთოთ თავი, მოვიცადოთ ჯერე, იქნება ამ კააც სიმართლე ააქ, გავიგოთ.

ხენწიფეს გული მუშუვიდა და უყვირა, ესე იგი მეე უსამართლოთ ვრჯიოო ხალხსაო, ახლავისე არც აცივო და არც აცხელო, აი აგერ, ჩემი თვალის წინ შეასრულე ჩემი ბძანება, ჩქარა გამიძეხი წინაო.

რა ქნას ახლა მეჯღანემ? აღარ იცის, რითი გადაირჩინოს თავი ამ გასაჭირიდან, მიყვება ხენწიფეს, მიუძღვება და ფიქრობს, რა მოიგონოს; ბოლოს მოიგონა ერთი რამე და კიდევაც შეასრულა.

როგორც კი გამოიყვანეს სიკვდილმირჯილი კაცი და უბძანა ხენწიფემ მეჯღანეს, თავი მოკვეთეო, მეჯღანემ ხმამაღლა დაიძახა: ღმერთო, სამართლიანო, თუ ე კაცი უდანაშაულო იყოს და ტყუილუბრალოთ ირჯებოდეს, ე ჩემი ხმალი ხეთ გადააქციე და უბრალო კაცის სიისხლ ნუ დამაქცივინებ.

ამ სიტყვებით ამოიღო ქარქაშიდგან ხმალი, შემუშუქნია სიკვდილმირჯილ კააც და ხენწიფემ დაინახა **(გვ. 27)** ხმალის მაგიერათ ხე იყო.

ასე მუახერხა მეჯღანემ ამ უბედურებიდგანაც გამოძრომა, ხენწიფეს გეეცინა და უთხრა მეჯღანეს: მე ვაარ ი კაცი, რომენიც შენთან ყველდღე დავდივარ, შენ ავსა და კაარქ ვგებულობ და მინდა შენ რო გადარდო, მაგრამა არ იქნა, ვერაფერი გაგიწყე; წადი ძმაო, – ხელი ჩამუართვა ხენწიფემ მეჯღანეს, – ჭკვიანი კაცი ყოფილხარ, შვიდობა მოქცეს ღმერთმა და ამ დღიდან ჩემ კარზე უნდა გამსახურო, რომ შენდგან ჭკუა ვისწავლო და ხალხსაც ვასწავლო.

ნათქვამი: მიხილ ფანიკაშვილისა.  
1939 წელი. ქუთაისი

## **9. სულამითი (გვ. 28)**

ერთ დიდსა და გამოჩენილ ბატონ ერთათერთი ქალიშვილის მეტი არაფერი არ გააჩდა; ე ერთი ქალიშვილი იყო იმისი ყველიფერი სიხარულიცა და სიცოცხლეც.

ამ ქალიშვილ სახელათ ერქვა სულამითი. იმსიმშვენიერე ღმერთ ყოლამზე მეორე არ ყავდა გაჩენილი, მამამის ისე უყვარდა ე გოგო რომა, მზე და მთვარე იმაზე ამუდიოდა; ეფერებოდა მამა თავის ქალიშვილ, რადგანაც დედა არ ყავდა და ობოლი იყო ეცოდებოდა, რასაც კი მოინატრებდა სულამითი, ჩიტის რმეც რომ ყოფილიყო, მამამისი იქავისე აუსრულებდა, ერთი სიტყვით, გულ არაფერზე არ

მოუკლამდა, სულამითის ტანფეხი ხომ განთქმული იყო ქვეყნის ქვეყნამდისინი – რაც კი მვირფასი ლამა-ატლასეულობა და ფარჩეულობა გაჩნდებოდა სადმე, პირველათ სულამითი შეიკერამდა და ჩაიცვამდა, მისი ტანი და ფეხი, მისი თვალი და მარგალიტი, მის სილამაზესთან, მზეს დააბნელებდა, მისი ნაწნავები, მათრახეზივით რო ეყარა ბეჭებზე, მნახველ ბნედას მოგვრიდა, იმსიმშვენიერი ნაწნავები ეყარა წინ და უკან. ის რო მზეზე გამოვიდოდა და მისი თვალ-მარგალიტი რო მზეზე პჭყვიალ დაიწყებდა, მაყურებელი, თუ თვალებზე ხელ დაიფარებდა თვარემა, ვერ გაუძლებდა მის შუუქ.

**(გვ. 29)** დიდი ბატონი, სულამითის მამა, უშლიდა ქალიშვილ, რომა შორ-შორსაო არსად არ წახვიდეო, ეშინოდა არ დაიკარქოსო ან არავინ არაფერი აწყინოსო; ისე კი თავის ბახში რა ჯობდა იქანა სიარულ და გავლა-გამოვლას, სამოთხის მზგავსი ბალი ქონდა ამ ბატონ, ხითა და ხინართ სამსე, ვარდებითა და სხვადასხვანაირი ყვავილებით, იმისთანა სუნი დიოდა ამ ბახში, რომა განყედენი (სამოთხე) გეგონებოდა და სულამითიც თავ იქცევდა ხოლმე, ბახში სეირნობდა, ხან წყალში თებზე უყურებდა ხოლმე, რანაირათ თამაშობდენ და მზეზე რომ აპჭყვიალდებოდენ; შიგ ბახში ქონდა ამ დიდ ბატონ პატარა წყალი ისე იმნაირათ მოწყობილი რომა, გარეთ გასვლაც კი არ ჭირდებოდა თავის შესაქცევათ.

ერთ დღეეს ბატონმა თორის ჭინახული რო გაათავა, ქალიშვილ უთხრა: –წამოდი, შვილოვო, და აი აგერ ამ ადგილის პირებზე გავიაროთო. დეეთანხმა სულამითი და გაყვა თავის საყვარელ მამას, მიზდია ფეხდაფეხ. მიდიან ამ უკაცო და უადამიანო ადგილებში, სულ უფრო და უფრო შორ წავიდენ. სულამითმა იმისთანა ადგილები ნახა იმ დღეეს, რომენიც თავის დღეში არ უნახია; იმას ისე ინახამდა ბატონი, არსად არ უშვებდა და არც იცოდა სულამითმა თავისი ეზო-გარემოს მეტი, სად რა იყო.

ბებრი იარეს მამამ და შვილმა, ბებრი რამეები ახალი უჩვენა ბატონმა თავის ქალიშვილ და ბებრიც უთხრა, რაც **(გვ. 30)** არ გაუგონია არვიდგან; უჩვინა ბატონმა ი ადგილები სადაც წყალი არ ააქე და დიდი გაჭივრებითა და შეწუხებით ატარებენ იქანაი ხალხი თავის სიცოცხლეს. უსმენდა სულამითი მამამის და უკვირდა, ამხელა ქალი მოვიყარეო და რატომ არ ვიცოდითო ესენიო.

ბებრი რო იარეს და კარქაც მოიღალენ, მოწყურდავე; ბატონი ქვაზე ჩამოჯდა, ამოილო ჯიბიდან პეტერა თორა და დაიწყო კითხვა, სულამით ვერცხლის სურით, რაც წყალი ქონდა წამოდებული სახლიდგან, გამოსვა, შიგ აღარაფერი ჩარჩა. ძალიან რომ მოწყურდა, მამას უთხრა:

– მამა, თუ სადმე იცი აქნაი წყალი ხო იყოს, მითხარი და მოვიტან წყალ, ორივემ დავლიოთ.

– აი, შვილო, აგერ შორ წასვლა არ ქჭირია, აქავისე არი ჭაა, მიდი, ამოილე ფთხილათ წყალი და მოიტანე, უპასუხა მამამ.

წავიდა სულამითი, საითკენაც მამამისმა უჩვინა, ეძება, ეძება, მაგრამ ვერსად ჭა ვერ ნახა; რაღა ქნას ახლა, გზაც დეებნა, ველარ გააგნო, სად უნდა წასულიყო. თანაც ძალიან წყურია, ისე წყურია, ისე რომა, იხზობა წყურვილით; რომ ველარ მოითმინა მეტი წყურვილი, დაიჩოქა იქავისე, ქვასთან, სურა ძირ დადგა და დაიწყო ლოცვა. დუღარე ცრემლებით ლოცულობს სულამითი და ეხვეწება ღმერთ: – ღმერთო აბრამისაო, ღმერთო ისხაკისაო, ღმერთო იაკაკობისაო, შენ მოილე ჩემზე მოწყალება, ნუ შემწყრები, **(გვ. 31)** ჩემი სიწმინდის ღმერთო, მაღირსე წყალი დასაღევათ და ჩემი საყვარელი მამა სანახავათ, ნუ გამხთი, გამჩენო, ტყის ნადირის ულუფათა, ამ უდაბნურში.

ლოცულობს ასე სულამითი, თან ტირის, იმისი ცრემლები ღათქა-ღუთქით ეცემიან ძიირ ქვაზე, ქვასაც კი გააპობენ; ტირილით დაიღალა სულამითი, დაიქანცა, უცეფ წამოდგა ზეზე, ცრემლები მოიწმინდა სახეზე და ხელები მაღლა ააშვირა, შესძახა ღმერთ: – ეს არი, გამჩენო, შენი სიბრალული შენი საყვარელი ისრეელიშვილისაო – და ამ დროოს დაბნელდა; როგორც დაბნელდა თვარემა, სულამითმა ორისწამით დაიკივლა ცივათ; მერე უცეფ ისევე გათენდა, გათენდა თუ არა და სულამითი ხედამს რომა, იმის წიინ ჭა არი, შეხედა, გეეხარდა, ასე ძალიან რომ წყუროდა, სიხარულიდგან სულ დაავიწყდა წყურვილი, იქავისე დაიჩოქა ისევე ისე და ღმერთ დიდი მადლობა გადაუხადა, რო არ მოიძულა ისი გამჩენმა ამ პაპანაქება სიცხეში და აღირსა წყალის თვალით დანახვა.

ახლა რა ქნას, ამ ჭაში წყალი კი არი, მაგრამა რითი ამოიღოს, იქავის ახლომახლო არაფერი ჭურჭელი არ არის. მარტო თითან ააქ ხელში ვერცხლის სურა, რომენიც წყლისთვინ წამოილო, ერთი კიდე

შემოუარა სულამითმა ამ ჭას კიდე, შიგაც ჩაიხედა; ჩაიხედა, ნახამს – რას ნახამს? ამ ჭაში ბაწარი არი მობმული. ბაწარი რო დაინახა, არც აცივა, არც აცხელა, მოიბა წელზე და დაუფიქრებლათ ჩახტა შიგ ჭაში; ჩავიდა **(გვ.32)** თუ არა ჭაში, ერთი იმისთანა დაიკვივლა რომა, იმისი ხმაა არბაყარასოთ (ოთხკუთხეს) მოედვა, დაიკვივლა და მერე გაჩუნდა.

ამ დროოს ცოტა ხანმა რო გაიარა, ჭას მუადგა ორი გზავრი, ესენი იყვენ, ერთი დავითამელეხის – დავიდ მევის შვილი აბშალომი, მეორე იმისივე მხლებელი შავი ზანგი, რომენიც აბშალომისთვის მარჯვენა ხელი იყო, არაფერ დროში არ ტევებდა, არც ძინარეს და არც ღვიძარეს, მისი ერთგული ყმა იყო. ხანდახან რო მოიწყენდა ხოლმე აბშალომი, ე შავი ზანგი მალაყებისა და სხვადასხვა თამაშობებით გაართობდა ხოლმე თავის საყვარელ ბატონს.

რო მუუხლოვდენ ესენი ამ ჭას, აბშალომი იქავისე ქვაზე ჩამოჯდა, ზანგმა ამიღო ფარჩის სუფრა, ამ ქვაას მეორე კუთხეზე გადააფარა, ერთიც ძირ დააგო ქვის წიინ და თითონ ძირ დაჯდა, მოიკეცა ფეხი და აბშალომ მიაჩერდა, ხომ არ არიო მოწყენილიო. აბშალომი, როგორც მამის ურჩი, მამას არ ეკარებოდა, გარგარე დადიოდა. ერთხელ უდაბნოში რო მიდიოდა მარტოთ-მარტო, დაინახა, ორი შავი ზანგი იხზუბოდენ, იმათში ერთი უფრო დიდი რომენიც იყო, ამ პეტერას ურტყამდა, მივიდა და შეეკითხავე, რაზე იხზუბითო. პეტერამ ტირილი დაიწყო, დიდმა კი შეუტია აბშალომ, რა შენი საქმე არიო, ჩვენ რამადაზე ვიხზუბითო და ხელის მოსაქნევათ მიიწია. მაგრამ აბშალომი ორი იმდენი გამოიჭრებოდა, იმსი მოსული და მაღალი რამე წამოსადექი იყო.

სანამდისინი ი ზანგი იმასთან მიიწევდა, ამოიღო აბშალომმა შვილდ-ისარი, დაიწია უკან, **(გვ. 33)** დაუპირდაპირა ზაანგ, მოახვთერა და იქავისე წააქცია, ჯერე ერთხაან უყურა თუ კიდე წამოდგაო, მეორეთ მოიმარჯვა შვილდ-ისარი, მაგრამ ზანგი აღარ დგებოდა. მიუახლოვდა, ნახა მამკვდარიყო; იქავისე გათხარა მიწა და დამარხა, ე პეტერა ზანგი კი შემეხეხვია მუხლებზე და კოცნა დაუწყო, რო გადამარჩინეო, შენ მუახლეთ უნდა ვიქნეო თელი ჩემი სიცოცხლეო; აბშალომი ქვაზე იყო ჩამამჯარი (ასეა. ნ.ს.) და მართლაც, დაუფიქრებულიყო; ზანგმა რო შეხედა მოწყენილი იყო, იმის წინ ისე სწრაფათ გააკეთა ორი-სამი მალაყი, რომა აბშალომმა უნებურათ გა-

იცინა, ბეჭებზე ხელი დაარტყა ზაანგ, ხელში დიდი ვერცხლის დოქი მისცა და უთხრა რომა წყალი მასვიო.

ზანგი მივიდა თუ არა ჭასთან, ბაწარ მოვიდა ხელი, ზედო დოქ მივაბამო, მაგრამ ბაწარ ვერ მეურია. მერე ჩაიხედა შიგ ჭაში, რამ დაამძიმო ე ბაწარი, რას ნახამს: ჭაში ქალი ჩამოკიდებულა და ისე აშუქებს იმისი სილამაზე რომა, ასე გეგონებოდა ადამიან, მეორე მზე არიო აქანიო (ასეა. ნ.ს.).

გაკვირებული ე ზანგი თვალეზადმოკაკლული მოშორდა ჭას, მიიბრინა აბშალომთან, რომენიც ისევე ჩაფიქრებული იჯა (ასეა. ნ.ს.) და უცეფ შეძახა: რა დავინახე, რა დავინახე, ჩემო ბატონო, ეგერ ჭაში თეთრი ქალი არი, თეთრი, როგორც ე ჩემი კბილები – ზანგმა კბილებზე ხელი გადაისვა – და მზესავით კაშკაშობს; მოვიდა ხელო აბშალომ და თრევა-თრევიტ მიიყვანა ჭამდი.

**(გვ.34)** აბშალომ ეცინებოდა თავის გუნებაში, ჭაში ქალ რა უნდაო, ისიც ამისთანა უადამიანო ადგილსაო, მაგრამ მაინც მიყვა. რო ჩაიხედა ჭაში და მართლა ქალი დაინახა, ემეთ (ქემშარიტად) მზის ზგავსი, თითონაც შეფიქრიანდა: შედი (მავნე ანგელოზი) არ იყოსო და არ დამაზარალოსო.

ხმაჩავარდნილივით ერთი ხანი ხმა ვერ ამოიღო, ვერაფერი ვერ თქვა, მერე როისაც სული მოიბრუნა და ღონე მოიკრიფა, შეეკითხა: ვინა ხაარ, რა სურთელი ხარ, ვაი შენთვინ თუ მავნებელი ხაარ, ან მტრიდგან შემოჩენილი ჩემ დასაზარალებლათ მოგზანილი, იცოდე იმისთანას შეგილოცამ ერთ რომა იქავისე გაქრე! ამოიღე ხმაა საჩქაროთ და აბშალომმა ხმალი იშიშვლა, რომენიც დამლევდა ყველაფერ უწმინდურ. ქალმა უპასუხა: ვიფიცამ ღმერთ, ერთ უკვდავსა და უცვალებელ ისრეელისას, რომ არა ვარ არც უწმინდური, არც მტრის მოგზანილი, მე ვაარ წმინდა ქალწული უცოდველი, რომენსაც თავის სიცოცხლეში თავისი მამის ეზო-გარემოს მეტი არაფერი არ მინახია, გზა დემებნა, წყალი მამწყურდა, ჩევედი ჭაში წყალის სასმელათ და ველარ ემევედი; თუ ქწამს ისრეელობა, დაიხსენი ჩემი სული, ნუ დამახჩობ **(გვ. 35)** ამ ჭაში და ღმერთი გადაგიხთის, თუ მე ვერ გადაგიხთი.

აბშალომმა რო გაიგონა ქალის ხმაა, თავიდან ფეხებამდი კანკალმა აიტანა, სულ დაიბნა იმისი სილამაზით და იმისი ხმიით, მაინც არ დაიბნა, თავი შეიკავა და ისევე გემეელაპარიკა: –ისრეელის

ქალო, გაფიცებ გამჩენ ღმერთ, მართალი მითხარი, თუ ვინმე ქყავს დანიშნული, ალალი იყავი და ჩემთვის ჩემი დაა, და თუ სიტყვა არავისთვის გააქ მიცემული, იცოდე ჩემს მეტ შენ ვერვის წაყვები ცოლათ.

– არა, ვიფიცამ დედიჩემის წმინდა ნეშამას (სულს), ჩემ დღეში არც არავის შევპირებივარ და არც სიტყვა მააქ მიცემული. ამამიყვანე, ისრეელიშვილი თუ ხაარ ამ ჭიდგან, დავიდალე, კლავები ჩამამიწყდა, ამტენი ხანი არი, ჩამოკიდებული ვაარ; ერთი მიწაზე ფეხი დავდგა და მერე ვილაპარაკოთ.

აბშალომმა ამამიყვანა სულამითი ჭიდგან და დააჯდინა, სანამ დისინი მოსურიელდებოდა აღარაფერი აღარ უთხრა, ზანგ ანიშნა თვალით უკან დაიწიევი. სულამითი შეშინებული ისე გათეთრებულიყო, როგორც ტილო, ტუჩები და ჩარბები ჩალურჯებოდა, თვალეზი ცეცხლივით უელვებდენ, თითო მისი (გვ. 36) ნაწნავი კაც ბნედას მოგვრიდა; მიჩერებოდა აბშალომი, თავი სიმძარში ეგონა, თავის თვალეზ არ უჯერებდა, თუ ამისთანა სილამაზის მქონე ქალი იმის წიწი იდგა.

სულამითმა სული რო მოიბრუნა, მიიხედ-მოიხედა, თითონავე უკვირდა, სად ვაარო, ან რაზე ვიყავიო ჭაშიაო; აბშალომიც მიჩერებოდა, მიჩერებოდა, თვალ აღარ აშორებდა, ისე მეეწონა ე ქალი, ისე რომა, თავის დღეში ასე ჯერე ქალი არ მოწონებია.

მერე, როისაც ორივე გამოფხიზლდენ და კარქა ხანი ერთმანეთის ყურებით გულიც იჯერეს, ლაპარაკი პირველათ აბშალომმა ჩამაუგდო და უთხრა: მითხარი, ქალო, ახლა მითხარი, ჩემი ნუ გეშინია, როგორც ღმერთ არ ვულალატებ, ისე შენ არაფერ გაწყეინებ, იცოდე, ოღონ სიმართლე მითხარი, სიდაური ხაარ, ან ვისი შვილი ხაარ, ან რა ხქვია სახელი.

აბშალომი ახლოს არ ეკარება ქაალ, მაგრამა იმისი სილამაზით იწვის, ასე ხგონია რომა ცეცხლი უკიდიავო, მაგრამა თავ იკავებს, არ უნდა რომ შეაშინოს ქალი; როისაც შეხედა რომა ქალი ახლა უფრო ნდობის თვალით უყურებს, დაწყნარდა და იმდენი საშიში აღარ არი, როგორც აქამდისინი იყო, მერე უმფრო მუუახლოვდა და პირდაპირ თვალეზში შეხედა. სულამითმაც თვალი გაუხწორა, შეხედა რომა ე ვაშკაცი შესახედავათ ლომსა და გრიიმ (ასეა. ნ.ს.) გაავს, თვალათ და



ტანათ ვეშაპივით არი, მერე თითონაც უმფრო გათამამდა და დაუწყო **(გვ. 37)** პასუხების მიცემაც და შეკითხვებიც.

სულამითმაც უთხრა: – მითხარი შენეც, ვინ ხაარ, ან სიდაური, ან რა რჯულის ხაარ, ან ვისი შვილი ხაარ და მეც გეტყვი მერე სუყველიფერ ჩემ ვინაობას, რადგანაც ქხედამ, რომა პატიოსნათ იქცევი.

პირველათ აბშალომმა დაიწყო თავისი ვინაობის ლაპარაკი და მუუყვა ყველიფერ: – მე ვაარ შვილი დავიდამელებისა, თუ გაგიგონია იმისი სახელი, ხოო იმისი შვილი ვარ, აბშალომი, ახლა შენეც მითხარი ვინ ხაარ, მე ხო გითხარი ვინც ვაარ.

– მე ვაარ, – უთხრა სულამითმა, – მეც ისრეელის ქალი ვაარ, თუ გაგიგონია რაბი ელიყაზარი, მეე იმისი ქალიშვილი ვაარ, შენე თუ ქყაავს ან ძმა და ან დაა ნეტაი?

– კი მყაავს, რავა არა მყავს, შენე?

– მეე არ მყაავს, ერთი მამის მეტი, ერთათ ერთი იმ მოხუცებული მამის მეტი თელ ქვეყანაზე, არბაყარასოთზე, ოთხკუთხეზე, არაფერი და არც მამაჩემ არ გააჩნია ჩემ მეტი არაფერი.

– არც დედა ქყაავს?!

– არა მყამს, არა, თვარემა, დედა რო მყავდეს, რა მიჭირს.

– არც ძმაა!

– არა, არც ძმა მყაავს, ძმა რო მყავდეს ჩემისთანა ბედნიერათ თელ ქვეყანაზე არავის ჩავთვლი, ჩვენ ოჯახ ქუდიანი კაცი ენატრება თვალის **(გვ. 38)** სანახავათ, მამაჩემი როგორც თორა ბაყალი (თორის მცოდნე), ღმერთ არ ცოდებს თვარემა, თითონაც ბევრჯელ ამაიხვნეშემს ხოლმე, რო არ ყაავს ვაიშვილი.

– შენეც ხო ხაარ შვილი მერე, რა ააქ სანჯავრელი?

– კი ვაარ, მაგრამა მე ხომ ქალიშვილი ვაარ, მამაჩემ სანამდისინი ოქროს ჯოხი არ შემოვარტყა, მანამდისინი ფჩხილი არ წამოტკინდა, მაგრამა კადიშ მე ხომ ვერ ვეტყვი, მე ხომ ქალიშვილი ვაარ!

– კიი, მაგრამა შენ რო გათხოვდები, შენი ქმარი ხო ისევე ვაიშვილი იქნება იმისთანაი როგორც საკუთარი?

– არა, ბატონო, საკუთარი ვაიშვილი სულ სხვა არი და სხვისი შვილი – სიძე – კიდე სულ სხვა არი, სიძის კადიში არც მიეკარება თურმე, თავისი საკუთარი შვილის მეტის კადიში არაფრათ არ ღირს.

– ახლა მაგრე რო ვთქვათ, რამდენ არა ყამს ვაიშვილი, მაგრამა სიძე რო კარქი იქნება, მაინც ჯობია უვაიშვილობას; ალბათ მამაშენ, რაბი ელიყაზარ, კი ეყოლება შენთვის ამორჩეული შესაფერისი საქმარო და შენეც სიტყვა გექნება მიცემული და კინიანიც (შეფიცვა).

– არა, კიდე ვიფიცამ გამჩენ, წელანაი ჭიდგანაც შემოქვიცე არა-თქვა, ასე ადვილათ ვერ გადავწყვიტამ მა საქმეს.

სულამითი თვალეზში მიაჩერდა აბშალომ, რაც ხანია ჭიდგან ამოიყვანა და ლაპარაკობენ, სულამითსაც კი მოწონს (**გვ. 39**) აბშალომი, მაგრამა არც კი ამჩნევინებს, ვერ ბედამს, ვაითუ მატყუილებსო და შეერცხვეო მამაჩემთანაო.

ბოლოს აბშალომმა გაბედულათ უთხრა, წაიძრო თითზე ბეჭედი, მიაწოდა და თან დაატანა:

– ახაა, შენე ე ბეჭედი, იყოს გამჩენი მცისა და ქვეყნის მოწამე, როგორც ღმერთ არ უღალატებ, ისე შენ არ გიღალატო და არც შენს მეტი ქალი ცოლათ მე არ ვინდომო. ახაა, აილე ე ბეჭედი და შეინახე ჩემ დაბრუნებამდისინი, მეე ახლა მამაჩემთან მივდივარ, ამ ამბავსაც მივახარებ და ჩემი ნახვითაც გავახარებ.

აბშალომმა რო ბეჭედი მიაწოდა სულამით, გაუკვირდა, ესეო აღარ მეხუმრებაო და შეეკითხა: –ვის ისწრებ მოწმეთ, რომ ნამდვილათ ჩემი ზიული (იღბალი) ხაარ და არსად სხვაგან ქალი არ ქყავს ან დანიშნული და ან შეფიცებული, რისი იმედით ავილო მეე ე ბეჭედი რო მამლეე შენე, ასე პირველი ნახვით და ერთათ ერთი შეხვედრით რავა შეიძლება ამისთანა ამბავი რო გადავწყვიტოთ. მოვიცადოთ, მეე მამაჩემ შევეკითხები, შენეც კიდე მამაშენ და თუ ვინმე ქყავს, როგორც ამბობ და მერე ვილაპარაკოთ, ბეჭედსაც მერე მოკვიდებ ხეელ, ჯერე მოვიცადოთ.

ამ დროოს ესენი რო ამ ლაპარაკში არიან, სამაღადგან ერთი ტყის კატა გამოჩდა და ქალი და კაცი რო ერთათ დაინახავე, ისევე მიაცეცავე თვალეზი; აბშალომსაც გაუკვირდა (**გვ. 40**) ამ კატის დანახვა და უცფათ უთხრა სულამით: –აი ტყის კატა და აი ჭაა მოწმე, ესენი გვესწრებიან, თუ ჩემა გულმა გაიფიქროს შენი მოტყუილება და შენი ღალატი, ე მოწმეები უენო და უპირო იქნენ ჩემი მზდეველი და არ გამახარონ, რა კუთხეზეაც პირი ვიქციო, თუ შენი მოღალატე გავხთე ამათმა, ამ ორმა მოწმემ, იძიონ შენი სისხლი.

სულამითმაც მეტი აღარც თითონ დაფიქრდა, საუკეთესო ჩამავლობის დავიდამელეხის შვილი, თვალ რო უკეთესი არ უნახია, იმისთანაი თვალათ შესახედავი, ლამაზი და მშვენიერი ისრეელის შვილი, და უკეთესი ვინლა იქნებაო ამ ყოლამზეო (ქვეყანაზე) იფიქრა სულამითმაც, გაუწოდა ხელი; მისცეს ერთიმეორეს სიტყვა და ფიცი ორი მოწმის – კატისა და ჭის – დასწრებით, დაიჩოქეს ჭასთან, ილოცეს შემაყ ისრეელი (გესმოდეს ისრელო) და წამოდგენ მერე ფეხზეაც.

აბშალომმა დააფშუტუნა (დაუსტვინა) და იქავისე იმის წინ გაჩთა მისი მოახლე შავი ზანგი. ზანგმა დაიწყო მალაყებით ტრიალი და თამაში. სულამითმაც ბებრი იცინა იმის მალაყებზე. და ბოლოს აბშალომი და ზანგი ორივე წაყვენ სულამით და მიიყვანეს თავის მამის სახლამდისინი, აბშალომი გემეემშვიდობა, შეუშვეს სახში და წავიდენ.

სულამითი რო შახში შევიდა, მამა არ დახთომია, თურმე ქალიშვილის საძებნელათ კუთხე-მეზობელი შეეყარა და წასულიყვენ, ამასობაში რო ვერ ენახავე, იქნება შახში მოვიდაო, უკან (88-41) წამოსულიყვენ და რო მოვიდენ, სულამითი შახში დაუხვთავე.

მეხვია გახარებული რაბი ქალიშვილ, რომენიც დაკარქული ეგონა და გამოკითხა, სად იყავიო; სულამითმა თავიდგან ბოლომდისინი ჩამოუყვა ყველიფერი რაც მოხთა, ოღონ ის კი არ გაუმხილა, თუ სიტყვა მივეციო.

დაიწყეს მამაშვილმა ისევ ისე ცხოვრება, როგორც აქამდისინი ცხოვრობდენ.

სულამითი მალამს აბშალომის მიცემულ ბეჭედ, არავის არც უჩვინებს და თითონ კი ხშირ-ხშირათ დახედამს ხოლმე, უხარია, ისე უყვარს ი ბეჭედი, თუ გინდა იმის წინ აბშალომი იდგეს, თანაც ელოდება რომა, უნდა მოვიდეს სადაც არი, თხუოს რაბის ქალიშვილი და ქეთუბაც (ქორწინება) მალე უნდა მოხთეს.

\* \* \*

აბშალომი ჩავიდა თუ არა იერუშალაიმში, შემეხვებიენ ყვეელი კუთხიდგან, ვინ არ პატიჟობს, ვინ არ ცემს პატივ; რაც კი იერუშალაიმში გოგო-ქალიშვილები იყვენ, ყველამ საიონტაბო (საკაიდღეო) ტან-ფეხი ჩაიცვა და გემეეწყო, რომა აბშალომ მევეწონოვო და მითხუოსო. ჩამწკრივდენ, გოგო-ქალიშვილები ერთ დიდ დარბაზ-

ოდაში და იცდიან, სადაც არი, უნდა გამოჩეთს აბშალომი საცოლეს ასარჩევათ.

სად იყო, სად არა, მოდის აბშალომიც ლომივით და გრიმივით, ის რო მიწაზე ფეხ ადგამს, მიწა ინძრევს.

**(გვ. 42)** შეიქნა დარბაზ-ოდაში გამახილ-გამომახილი: მოდის, მოდისო.

შიგნით რო შემოვიდა თვარემა, ასე გეგონა, იქაურობაშიაო მზემ შემუანათაო; სუყველა იმას მიჩერებოდენ იმსიმშვენიერი რამე იყო, მორთულ-მოკმაზული თავისი პეტერა შავი ზანგიც ხომ რავა მოშორდებოდა, ერთგული ლეკვივით სულ კუდში ზდედა.

რო შემოვიდა აბშალომი თვარემა, დაუკრეს საკრავებმა, რო-გორც სამოთხის ანგელოზები იმ ხმაზე, და იმ საკრავის ხმაზე თითოთოთ (ასეა. ნ.ს.) გამოდიოდენ გოგოქალიშვილები თამაშ-თამაშით; ბევრმა ჩამოიარა და ითამაშა, სუყველა კარქები იყვენ მაგრამა, ყველას ჯობდა აბილაილი თვალტანათაც და სილამაზითაც. აბშალომმა ხელი მადლა ასწია და მესაკრავებ აცნობა, შეაჩერეთ საკრავებიო. შეაჩერეს საკრავების დაკვრა, მივიდა აბშალომი პირდაპირ აბილაილთან, მოკიდა ხელი და წაიყვანა, თავის ახლო დაიჯდინა.

რო შეხედეს სხვა გოგო-ქალიშვილებმა, ჩვენ დაგვიწუნავო, ადგენ და თავის სახლებში წავიდ-წამოვიდენ გულდაწყვეტილები, ყველა ეხარბებოდა აბილაილ, გვაჯობავეო.

აბშალომ სულ დაავიწყდა სულამითიც, ფიციც და მტკიციც. მეეწყო თავისთვინ არხეინათ, ითხუა აბილაილი. გაიწყო ოჯახი, ეყოლა ორი შვილი და ისე ტკბილათ ცხოვრობდა რომა არაფერი და არკლდა (ასეა. ნ.ს.). ცოლ-შვილში ხაფიფობდა და ამაცობდა, ანგელოზებივით შვილები დაუდიოდა ეზო-გარემოში.

\* \* \*

**(გვ. 43)** ახლა სულამითი რა დღეში ჩავარდა; რო აღარ გამოჩდა აბშალომი, ინჯავრა, ინჯავრა და ლოგინში ჩავარდა.

ეკითხებოდა რაბი ელიყაზარი, მითხარიო რაში არი შენი საქმეო, რა გინდაო, ან რას ისურნებო, მაგრამა სულამითი არც სვამდა, არც ჭამდა, არც იცინოდა, იჯა სულ ლოგინში მოწყენილი და ფიქრობდა აბშალომზე.

სულამითის სილამაზე არბაყარასოთზე, ოთხკუთხეზე, იყო განთქმული, ყვეელი კუთხიდგან მუჟდიოდა მათხუარი და ეხვეწებოდენ რაბის, მოგვეციო შენი ქალიშვილიო, შუშასავით შევინახამთო, მაგრამა, როგორც კი მივიდოდენ საკითხავათ სულამითთან, ისი ტირილით დაამღერებდა ხოლმე: „კითხეთ ჭას და კითხეთ კატას, გაამბობენ ნამდვილ ამბავს“. ამ სიტყვების გამგონე მისული მათხუარი იტყოდა, – გაგიჟებულავო და წავიდოდა გულდაწყვეტილი.

რაბი ძალიან დარდობდა ქალიშვილის ავანტყოფობას, მაგრამა ვერაფერი გააწყო, ვერ გაიგო რითი იყო იმისი ქალიშვილი ავათ.

სულამითი როისაც მარტო დარჩებოდა ხოლმე, ამოიღებდა უბიდგან აბშალომის ნაჩუქარ ბეჭედ, უყურებდა, უყურებდა, იტირებდა, მოიჯერებდა გუულ და ისევ ისე დავარდებოდა, მაინც კიდე თვალი კარისკენ ეკავა, მოვას აბშალომიო და ფიც არ გატეხამსო, ვინ იცისო, რა შეემთხვაო თავის გულში ფიქრობდა ხოლმე. ასე ლოდინში დნებოდა სულამითი ცვილის სანთელივით.

\* \* \*

**(გვ. 44)** აბშალომი და აბილაილი ბაღში ნოხზე არიან წამოწოლილი, ყაშმირობენ და თამაშობენ, ახალგაზდებ გული უხარისე, აბშალომმა აილო ხელში ქარვის ძივი, გაუგორა ცოლო და მიაძახა: აპა, თუ შენეც ასე უხწორებ და ისევე პირდაპირ გამამიგორებ, შინჯეო. აბილაილმაც აილო ხელში ქარვა და უნდოდა პირდაპირ ნოხზე გეგორებინა, მაგრამა ქარვა აცთა ნოოხ და ძირ გადმოგორდა. ცოლქმარ ეწყინათ ქარვის ნოხიდგან გადავარდნა, გლახა ნიშანი არიო, რამე გვეწყინებავეო, ერთმანეთ უთხრეს და ერთი წუთით დაღოდნენ.

ამ დროს შემოირბინა ბაღში შავმა ზანგმა თავში ცემით და კივილით მიაძახავე: ბოვში ჭაში ჩავარდა და დაიხჩოვო. შექნეს კივილ-წივილი, გაიქცენ იქავისე, ნახეს, რას ნახამენ – ამუყყანიავე ბოვში და კვდარი დაუხვთავე.

როისაც ბოვში მიწას მიაზარეს და აბელობა (მგლოვიარობა), მოათავეს, აბილაილმა უთხრა ქმარ: თქვიი სიმართლე, თუ რამე ნედერი გააქ შეკვეთილი, ან სადმე კინიანი ხომ არავისთვინ გააქ მიცემული, თუ არა და რაში არი ჩვენი საქმე, რა გვემართებავე. ერთი ბოვში ტყის კატამ დაგვიკბინა და მოგვიკვდა, მეორე ჭაში ჩავვივარ-

და და დეგვეხრჩოვე, თუ არაფერი ცოდო არ გვზღვედესე, ასე არ იქნება ჩვენზე ცოდოები გადიდებული.

აბშალომი დაფიქრდა, მოშორდა ცოლო, გაიარ-გამოიარა, მივიდა ჭასთან, დააკვირდა ჭასს, იფიქრა მართლაც რა **(გვ. 45)** ღმერთის წყრომა არიო ჩემ თავზეაო; მერე ცოტახანი რო გავიდა, ტყისკენ გაიხედა, გაიხედა რას ნახამს! ტყეში შორიდგან ჩამს ჭა, ჭასთან სულამითი და სულამითის თავზე ტყის კატა, ისე ჭყიტამს თვალეზ რო-მა, ასე ხგონია ცეცხლებ ყრიისო თვალეზიდგანაო.

მიაჩერდა აბშალომი ამ სანახაობას, მიაჩერდა სულამითის შვენიერ სახეს, მოიგონა, თუ რანაირათ ამოიყვანა ისი ჭიდგან, რანაირად შეფიცა ბეჭდით და ჭა და ტყის კატა კი დაიმოწმა და შეჩერდა, თვალეზი დაუბნელდა. მიიხედა, როისაც გონზე მოვიდა, ერთი კიდე შევხედავო სულამითსაო, მაგრამა, იქანა აღარც სულამითი ჩამდა, არც კატა და არც ჭაა, დაიღვლია თავი და მოვიდა ისევე ცოლთან. მოვიდა ცოლთან და ჩამუყუყვა თავიდგან ბოლომდისინი, თუ რაში-აც იყო საქმე და რაც მოხთა.

აბილაილმაც იქავისე გეთი მისცა (განქორწინდა) და დაულოცა გზაა, დააფიცა, ი ქალი ეთხუა ცოლათ და ეეშორებინა თავიდგან ნედერი (შეკვეთილობა), რომენიც მაინც არ გაახარებდა თავის სიცოცხლეში და არც გაუზდიდა არც ერთ შვილ, რამდენიც არ უნდა გაჩენოდა.

გემეემშვიდობა აბშალომი აბილაილ, დაუტევა თელი ოჯახი, ქონება, ოქრო-ვერცხლი, თეთრი და საქონელი, თვალი და მარგალიტი, გაუდგა გზაას, წაიყვანა თავისი ერთგული შავი ზანგი და პირდაპირ გასწია სულამითისკენ.

\*\*\*

**(გვ. 46)** –სულამითი წეევს ლოგინში, მამამისი რაბი თავითთ დაჯდომია, თორა ხელში დაუკავებია და ჭინახულობს, თითოს იმხელას ამოიხვნეშებს, ასე ხგონია გული ამუაყოლავო.

სულამითი თეთრებში სამსე მთვარეს გაავს, იმის შეხედვას რა ჯობია, ასე დასუსტებული და მამაკვდავი თვალ მოქჭრის, რო შეხედო, კიდე უკეთესი არი.

რაბიმ თორა დაკეცა, აკოცა და სულამით მუუახლოვდა, შუბლზე ხელი დაადვა და შეეკითხა: თუ რამეს მოინებებ, შვილო, ჩემო იმედო, მითხარი!

– კითხეთ ჭას და კითხეთ კატას, გიამბობენ ნამდვილ ამბავს...

ამ დროს აბშალომი და შავი ზანგი მოუახლოვდნენ იმათ სახლს, პირველათ ღია აკოშკაში აბშალომმა შეიხედა, ხწორეთ იმ დროს, როისაც სულამითი ტირილით მღერულობდა და აბშალომმა, გაიგონა იმისი ხმაა თუ არა, მიაძახა: – სულამით, ჩემო მშვენიერო, აგერ ვაარ.

თვალებდახუჭულმა სულამითმა თავი წამოიღო, ე ხმაა რო ჩეესმა ყურებში, თვალები გაამხილა (ასეა. ნ. ს.), ხელი რაბის მოკიდა, მაგრათ ჩაავლო და დაიკვივლა ზერხმულ – აბშალომი. რაბი გაშეშდა, აბშალომი აკოშკიდგანავე შევიდა ოთახში, პირდაპირ დაიჩოქა სულამითის ლოგინთან და პატიება მოთხუა დაგვიანებისთვის.

როისაც სულამითი მოსურვილდა, აბშალომი ლოგინზე ჩამოჯა და ორივემ უთხრეს რაბის, რაშიაც იყო საქმე. **(გვ. 47)** რაბიმ აკურთხავე ორივე, აბშალომ ალალი და პატიება წაუკითხა, ქალიშვილ რო გაცინებულ შეხედა, შეხინა (შუქი) შეადგა, სიხარულმა უსწრო.

ცოტა ხნის მერე აბშალომისა და სულამითის ქორწილის დღეც იყო. გადაიხადეს დიდისაგან დიდი და დიდებული ქორწილი. სულამითი წყაროს წყალივით წამოვიდა, უმფრო უკეთესი და უმფრო მშვენიერი გახთა ქორწილის მერე.

დაიწყეს ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება, აიშვეს ყველა ნედერები, გაააზატეს თავისი თავი და გამართეს ბედნიერი და წესიერი ისრეელური ოჯახი. მამრავლდენ შვილ-მამავლით, გაფუვდენ-გაღვუდენ ფუანი პურივით.

იმათი სახელი, იმათი ღარიბზე გულის მოწყალება, თელ ქვეყანას მეედვა. ქვეყანა იმათ ლოცამდა და აკურთხებდავე.

ასე დამთავრდა ე ამბავი კეთილათ, რაბიც უფრო გაახალგაზდავდა, გახალისდა, სანატრელ შვილიშვილების მოვლას რა ერჩია, უვლიდა იმათ და ტკბებოდა თავისი სიბერით.

ნათქვამი: მიხეელ ფანიკაშვილის. ქუთაისი  
ჩაწერილია როზა თავდიდიშვილის მიერ.  
თბილისი, კოლხიდის ქ. №21.

## ქუთაისელ ებრაელთა ქართული (IV რვეული)

როზა თავდიდიშვილის მიერ  
ჩაწერილი 1940 წელი

### 10. ფარჩხების მხიკავი (გვ. 1)

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა, ერთი ღარიბი კაცი. ე კაცი ტყეში დადიოდა (ასეა. ნ.ს.), ფარჩხებ ხიკამდა, ყიდიდა და ცოლ-შვილ იმითი არჩენდავე.

ამ ღარიბ კააც ყამდა ცოლი და სამი ქალიშვილი. ისე პატიოსანი იყო ე კაცი რომა, თავის ვითამ დღეში სხვისი და ნაარმი არაფერი უყაბულებია, ცოლშვილიც ჯერდებოდენ, რასაც ოჯახში მიუტანდავე, იყვენ თავისთვინ თავდაბლათ, ერთ თაავ არ წაუქცევდენ გვერდზე დედ-მამას, რაც ქონდავე იმაზე ხაფიფობდენ და ხარობდენ.

ერთ დღეობის დღეეს იქნა გამჩენიდგან წყალობა და ამ ღარიბ კააც ცოლი გაუხდა ავათ.

როიცა შეხედა ამ ქალმა რომა, უფრო და უფრო ავათ ხდებოდა და მორჩენის იმას აღარაფერი არ ეტყობოდა, დაუმახავე თავის ქმარ-შვილ და უთხრავე: მეე ვიცი რომა აღარ მოვრჩები, ბასარვადამი დაბადებული უნდა მოკვდეს და აშემიდბარახ თავისი ნეშამი უნდა ჩააბაროს; მეც მომივიდა დროო და **(გვ. 2)** შვიდობას გიტევებე, როგორც რომა დღემდისინი გვიცხორიავე ნამუს ქვეშ და შენახული, კარში გაუტანელი, აწიაც ისე იცხოვრეთ, ნუ გეევიდებით სიდინდრეს, იზრუნვეთ პატიოსნობაზე და გამჩენი არ მოგიძულეხსე. სიდინდრის გამკიდებელი კისერ მოიტეხამს და კიდევაც გადაყვება თაან; თქვენე იყავით მაცადინი, რომა სიტკბო-სიგემრიელე გექსესე თქვენ ოთხკედელში. სხვისი არაფერი შექშურდეს და არც დანატრდეთ. დაამთავრა ქალმა ანდერმი, მოყვა ვიდუი, დაიკრიფა გულზე ხელები და შვიდობა დატევა.

მიცვალებული დააპატრონეს როგორც ისრეელის წესი იყო, მიაბარეს მიწას, ისპედავეს (ესპედი ივრითზე არის "დატირება". რ.ე.), თერმეტი (ასეა. ნ.ს.) თვე აუთავეს, მერე კი გაიხადეს ფლასები და დაიწყეს ისევ ისე ცხოვრება როგორც იქამდისინი ცხოვრობდენ.



მეფარჩხე, ადგება ყვეელ დილაზე, ილოცამს, ახსენებს ღმერთ, წავა ტყეში, მოხიკამს ფარჩხებსა და წამოიღებს გასაყიდელათ, რასაც იშონის, მოიტანს ოჯახში, გოგუები უვლიან ოჯახ, რეცხამენ, კერამენ, ართამენ, ქსოვენ, პურ აცხობენ და არიან **(88. 3)** თავისთვინაი ტკბილად ცხოვრობენ, დედის საფლავზე წავლიან ხოლმე, მოიტირებენ და ისევე ერთათ დაბრუნდებიან.

გაიარა ხანმა, გოგუები იზდებიან, ერთი მეორეზე უკეთესები არიან, მამა ეცოდებავე, წელგაწყვეტილი თელი დღე რომ ფარჩხებ ათრევს და ილაპარაკებენ ხოლმე ერთი მეორეში ამ ქვეყნის ცხოვრებაზე, სიდიდრეზე და სიღარიბეზე, ხანდისხან გათხუებაზე ჩამუადებენ ხოლმე, შენ ვინ გირჩენიაო ქმარათაო და შენ ვინაო, ერთი მეორეს ეკითხებიან. ორ უმფროს დას სულ სიდიდრე და კარქი ცხოვრება უნდავე, მესამე დას არ უნდა მარტო სიდიდრე. ისი სულ იმაზე ლაპარაკობს ამ დანებთან რომა, თითონ უნდა ვარგოდესო ვაშკაციო შესახედავათაო, თვარემაო ცარიელი ქონება, რათ მინდაო, თუ ქმარ გვერდში ვერ ამოიყენებო.

მეფარჩხემ დაუმახა ერთ დღეობის დღეეს უმფროს ქალიშვილსა და უთხრა: შვილო, ახლა შენე მზა ქალი ხაარ, აწი უნდა გაგათხუო კიდევაც, მითხარი, თუ ვინმე ქყავს ამორჩეული, შენ ცოდოში არ ჩავარდები და ძალით არ გაგათხუებ; თუ არავინ ქყავს **(88. 4)** ამორჩეული და ვინ გირჩენია?... ვისაც შენ მეტყვი იმას მიგათხუებ. ქალიშვილმა უპასუხა: მამაჩემო, მე ისე თავი მომაბეზრა ამ სიღარიბემ და ნაკრულობამ, მე ისე ნატრული გავხთი ამ ქვეყანაზე ყველიფერი სიკეთის რომა, ოღონ ჩემი ქმარი დინდარე იქნეს და თუ გინდა სულ ბრმა და კოჭლი იქნეს – მაინც წავყვები ცოლათაო.

მეფარჩხემ გამოუძებნა ქალიშვილ ერთი დინდარე ართვალი და კოჭლი საქმარო, ახსენა ღმერთი, დააქორწილა და გაატანა ლამაზი ქალიშვილი ცოლათ.

ერთმა ხანმა ხომ გაიარა, მეფარჩხემ ახლა მეორე ქალიშვილ დაუმახა და შეეკითხა, როგორც პირველ. მეორემაც ისევ ისე უპასუხა: ოღონ ჩემი ქმარი დინდარე იქნეს, მამაჩემო, როგორც ეგერ ჩემი უმფროსი და ცხოვრობს, ოღონ მეც ისე ვიცხოვრო და არც მე დევძემე, თუ გინდა ჩემი ქმარი ბრმაც იქნეს და ბებერიც, მაინც წავყვებიო.

მეფარჩხემ მეორე ქალიშვილსაც გამოუძებნა სამაღალი ერთი ხნიერი და ბრმა კაცი, ისიც **(88.5)** დააქორწილა, დალოცა, დააბრუნა წაღმა და გაატანა.

ცხოვრობენ ორივე დანები დინდრათ, არაფერი არ აკლიავე, მაგრამა გული უკვდებავე, ამ ბებრ ქონებასთან ერთათ რომ რქმეებ გვერდში ვერ ამუუდგებიან და ვერ გაყვებიან, მაგრამა რა ქნაან, ძალა არ დაუტანებია იმათთვინ თავის მამასა და თითონ აირჩიეს ასე გვინდავეო.

მესამე დაა უყურებს, მისი დანები დინდრათ არიან, ყველიფერი ბებრი აქე, მაგრამა გული ტკივავე რქმეებ გვერდში ვერ ამოიყენებენ, ორივე დანები ეცოდება. ამასობაში მეფარჩხემ ამ პეტერა ქალიშვილსაც ისე უთხრა როგორც უმფროსებ: შვილო, მითხარი, ვინ გირჩენია საქმართ, ბარედმა გაგათხუებ შენეც და ჩემთან გაცხოვრებ. შენე ჩემი აკვანთუდგმელი შვილი ხაარ, ვერ შეგეღევი სადმე გასაშვებათ. ამ გოგომ უპასუხა: მამაჩემო, ოღონდაც კიი ჩემი ქმარი ლამაზი და ახალგაზდა იქნეს, თუ გინდა ერთ კბილზე დასაკაკუნებელი კაპიკიცი რომ არ ექნეს, არ დევებებო.

მეფარჩხემ აათვარიელ-ჩათვარიელა ლამაზი და **(88.6)** ახალგაზდა საცოლო ბიჭები, მერე ბებრ რჩევასა და ძებნაში მეეწონა ერთი თავისთავივით ღარიბი და ღატაკი მეფარჩხე, ისიც ისე ტყეში დადიოდა კირით (ასეა. ნ.ს.), ყვეელდღე. ხიკამდა ფარჩხებსა და მიქონდა გასაყიდლათ, ე ბიჭი შესახედავად მზესა და მთვარეს გავდა, ოღონ ეს იყო რომა უქონელ-უდებელი იყო, სულ დახეული ტანისამოსით და ფეხშიშველი დაიარებოდა; ადგა და უთხრა, შენეო ჩემი სიძე უნდა გახთეო, ამ ბიიჭ გაუკვირდა, ამდენა წინ არ მაკრიაო და ამდენა უკანაო, ე კაციო გიჟი ხომ არ არიო, ქალიშვილ მამლევისო და რითი უნდა ვარჩინოვო კი იფიქრა მაგრამა, მაინც აღარ თქვაა უარი, ადგა და წაყვა სიძეთ.

დაქორწილდენ, ცხოვრობდენ ტკბილათ, გემრიელათ, რაცა ქონდავე იმაზე ხარობდენ, სხვისი არაფერი ეხარბებოდავე, თავისაზე ყაბულ იყვენ, ოღონ ძალიან ღარიბათ კი ცხოვრობდენ. ამასობაში, გოგო ორსულათ გახთა, მამამ რო შეიტყო რომა ჩემი ქალიშვილი ორსულათ არიო, უთხრავე: თქვენე დღეს ორი ხართ და სულ მალე სამიც იქნებითო, მე სად შემიძლიაო **(88.7)** თქვენი რჩენაო, – გამო-

საცდელათ უთხრავე, აპაო რას იტყვიანო, – წადით სადაც გინდათ და იქანა იცხოვრეთო, თქვენი ბინა ემებეთო.

ძალიან უჭირდა ცოლის წაყვანა ქმარ, არაფერის მქონე არ იყო, მაგრამა მეტი რა გზა ქონდა, ცოლმა უთხრა: ნუ გეშინიაო, ღმერთი პატრონი არი, არ მოგვიძულეებსეო, ღმერთმა ქვაში მატლი არჩინაო და ნურც ჩვენ შეგვეშინებო. დაიღვლიეს თავი და გასწიეს ისევე ტყეში. მოძებნეს ერთი დიდი ფულდურო ხეში, შეყვეს თავი, გარედგან წკნელით გააბეს, ზეიდან ჩალა დაახურეს, შევიდენ შიგა და იყვენ. მაინც ღმერთ ქუფრ არ კადრებდა ე გოგო, სულ სიცილკისკისით დახვდებოდა ქმარ, ასე გეგონებოდა ამათთან დინდარე ამ ყოლამზე მეორე არვინ არიო, ისე კარქათ და ტკბილათ იყვენ ერთმანეთში, რასაც ღმერთი მიცემდავე, იმაზე ხარობდენ.

ერთ დღეობის დღეს ამ ორსულ მჟავეული მოუნდა, ძალიან ერცხვინებოდა რქმის, მაგრამა ბოლოს მაინც გააგზანა თავის უმფროს დასთან, ჩემ **(გვ. 8)**. დასაო ბევრი ექნებო მჟავეულიო და ცოტას გამამიგზანისო. ცოლის ხათრმა დაძლია მეფარჩხეს და წავიდა. მივიდა უმფროს ცოლის დასთანა და უთხრა: შენი და მიზეზობსო და შენი ნახელავი მჟავეული მოინებო; ამ ცოლის დამ არც კი იკადრა ამ ღარიბი სიძის გამოლაპარაკება, რომ შეხედა თავისი სიძე ვეშაპ გაავს, გულზე გასკდა, რათ მინდაო ამდენი ქონებო ჩემი კოჭლიდაფეხვილი რქმის ხელშიაო, ნატრული ვაარო ქმართან გავლასაო და ჩემ უნცროს დაას კი ანგელოზივით ლამაზი ქმარი ყაავსო და სიბრაზიდგან თვალეზი ცეცხლით ეემსო, ერთხან უყურა, უყურა, ყელში რამალა ახჩობდა, ვერაფერი ვერ თქვაა და ბოლოს უთხრა: ჩემა დამ ლამაზი და ახალგაზდა ქმარი რო მოგძებნა, გაჭივრებაც უნდა აიტანოს, აპა რავა ეგონა იმას, მე იმიტომ წავეყვი კოჭლ ქმარ, სიდინდრე ქონდა, იმასაც დეეკრა თავი და ჩემისთანა ქმარი მეემებნა, მჟავეულიც ბებრი ექნებოდა ჩემსავით და ტკბილეულიცა, არაფერსაც არ გაუგზანისო.

**(გვ.9)** წამოვიდა საწყალი კაცი თვალცრემლიანი, გულნადვლიანი, გაწბილებული და შერცხვენილი, თავტარაბუადასხმული დაბრუნდა შახში, მაგრამა ცოლ კი არ გაუმხილა თუ იმისმა დაამ გალანძლა და გაათრია, პირიქით, ასე უთხრა, არ ქონიაო შენ დაას მჟავეულიო და სიდგან გამოგიგზანდაო.

ცოლმა დიდი მორიდებით თხუა, თუ არ დეგეზარებო, იქნებო ჩემ მეორე დას ექნესო და წადიო. ცოლის ხათრით წავიდა ე კაცი. კი წავიდა, მაგრამა ფეხები ძლივას მიაქონდა (ასეა. ნ.ს.), უკან-უკან რჩებოდა, ვაი თუ იმანაც ისე შემხვთესო, როგორც უმფროსმაო; მაინც მივიდა. კარ რომ მუუახლოვდა, დააკუკუნა (ასეა. ნ.ს.) და გამოიხედეს. ყმებმა კითხეს, ვინ ხარო და რაზე მოსულხარო, რო შეხედეს რომა დაგლეჯილი ტანფეხი ეცვა, სასაცილოთ აიღეს, ვინ არიო ესეო.

მეფარჩხემ უთხრავე, თქვენი ქალბატონის ნახვა მინდაო, იმისმა დაამ სიტყვა დამაბარაო. მუახსენეს ყმებმა ქალბატონ, ვინცა-ხა მათხუარი არიო, თქვენი ნახვა უნდაო თუ ნებას მაქცევით რომ შემოუშვათ. ქალბატონმა უთხრავე, კიბეზე მოიცადოსო და მე ჩემით ვნახამო ვინ არიო.

იცადა საწყალმა მეფარჩხემ, დიდი ხანი იცადა, დაიღალა ცდით, მერე როგორც იქნა გამოვიდა ქალბატონი და კითხა, **(გვ. 10)** იცნო რო თავისი სიძე იყო; მეფარჩხემაც თხუა, ცოტა მჟავეული თუ გაქო, შენი და მიზეზობსო, გულნაქცევით არიო და გამატანეო.

დაუწყო ყვირილი მეორე ცოლის დამაც, – რას ქვია, ვის ქვია, ვინძახა მათხუარი ხაარ ჩემ კარზე მოსულხარ და მაწუხებო, ჩემ და-ას თუ მჟავეული მეენებო, თავისმა ლამაზმა ქმარმა უშონოსო, თუ არა და ისიც ჩემსავით ხნიერსა და ბრმას გაყოლოდაო და ყველიფერი ბებრი ექნებოდაო, ახლა კი შეურიგდესო თავის იღბალსაო და ნურაფერ მაინებებსო, მიუხალა კარები და შევიდა შახში.

აღარ იცის რა ქნას საწყალმა ქმარმა, აქანა ცოლის დამ გალანძდა და გაამწარა, იქანა ცოლის საცოდაობა წვამს, ებრალეზა – ქალი მიზეზობს, მჟავეული მოინება და ვერ აუსრულა, როგორც ცეცხლმოკიდებული ისე ბრუნდება ცოლის მეორე დის მოქმედობით გულნატკენი. ამოიხვნეშა მწარეთ და სირცხვილით შახში ვედარ მიდის, ისევე ტყეში შეუხვია, მოხიკა ფარჩხეები, შეკრა და გასაყიდელათ წაიღო, ამის ნაფასურითაო ცოლ მჟავეულ მიუტანო და ასე ვეცყვიო, შენმა დაამ გამამატანაო.

ე მეფარჩხეს ცოლი იმისთანა ხვთის მოსამსახურე იყო, იმისთანაი რომა, თავის ვითამ დღეში, როგორც დედამისისთვინ უყურებია, არ დაუკლია, ხალა, სანთელი **(გვ. 11)** და ტებილა, ღარიბი და ობოლი ყვეელთვინ ებრალეზოდა. რომ დაინახამდა ღარიბსა და

ობოლ, თითონ რა გააჩნდა მაგრამა, მაინც დაუძახებდა, თავის ულუფას შუაზე გაყოფდა და აჭმევდა, თუ სიცივე იყო, შახში შემოიყვანდა და გაათბობდა ცეცხლიპირას, ერთი სიტყვით გათავებულ სადკანოთი იყო.

ქმარი რომ მეორე დასთან გაუშვა მყავეულის მოსატანათ, მუცელი ეტკინა. როგორც არ იყო გამოცდილი, შიშმა აიტანა, რაზე მტკივაო მუცელიო და კარში გამავიდა – იქნება ჩემი ქმარი მოდისო; ქმარი რო ვერ დაინახა მომავალი, მოტრიალდა და მუცელი რომ უფრო კიდე ეტკინა, ტირილი დაიწყო, ერთ კიდე მივიხედამო თუ მოდისო ჩემი ქმარიო და კიდე გაიხედა. რას გაიხედამს, შეხედა რომა სამი ქალი მოდის. ქალების დანახვაზე ცოტა გულზე მეეშვა, დავუძახებევო რაც უნდა იყოსო, ქალები არიანო და ყურ მათხუებენო.

ე ქალებიც პირდაპირ ამ ქალისკენ მოდიან, მოვიდენ სულ ახლო და რო დაინახეს ნატირალები ქალი, კითხეს: რაზე ტირიო? – ქალმა უთხრა: მუცელი ძალიან მტკივა, ჩემი ქმარი შახში არ არი იმიტომ ვტირიო.

სამივემ ერთათ უთხრეს: ნუ გეშინიაო, აგერ ჩვენე ქალები ვართო და ყურ გათხვიებთო. შეიყვანეს მუცელმტკივანი თავის მოფარცხულ ფულუროში, დააწვინეს, **(გვ. 12)** მეფვერენ, მუარჩინეს ე მუცელმტკივანი, ეყოლა გოგო იმისთანა კარქი, იმისთანაი რომა, ახალი დაბადებული აშუქებს იქაურობას. ახალი მორჩენილი ძრიელ დადალული იყო და დეეძინა, ამ ქალებმა დააბაინეს ბოობშ, გამოხვიეს ძველ-ძველ ჭინჭებში და თავის დედას ფეხთით დაუწვინეს.

ე სამი ქალი იყვენ, ერთი – ელიაუანაბი, მეორე – მალახ-რეფიელი და მესამე – მალახ-გაბრიელი, სამივე ქალათ იყვენ ჩაცმული და ღმერთიდგან იყვენ გამოგზანილი ამ ეშეთხაელი ქალის მოსახმარებლათ. ე ბობში რო დედას ფეხქვეშ მიუწვინეს, ელიაუანაბიმ უფროსულათ უთხრავე: ბიჭი რო დაბადებოდა, ამ გაჭირებულ მე თითონავე მოვინათლამდი და ჩემ სახელსაც დავარქმევდი მაგრამა, რადგანაც გოგო დეებადა, მოდი თითოითო რამეთი დავასაჩუქროთ ყველამ, მეე დამისაჩუქრებია ჩემი ხრით რომა, გაიზარდოს, ერთი თვის ერთი წლისასა გამდეს, ერთი წლის – ათი წლისასა და ხენწიფე-მელების შვილის ზიული გახდეს.

მალახ-გაბრიელმა თქვა: მე დაუთქვამ იმისთანა საჩუქარ რომა, თბილი წყლით როისაც იბანდეს, მისი ნაბანი წყალი ოქროს ზო-

დებად დადულდეს და ცივი წყლით როისაც იბანდეს, მისი ნაბანი ვერცხლის ზოდებად გაიყინოს.

ახლა მალახ-რეფიელმა თქვა: მე ვავიშებ მაცისთვინ იმის-თანა საჩუქარ რომა, როიცა ტიროდეს, თვალეზიდგან **(88. 13)** ცრემ-ლების მაგიერათ თვალ-მარგალიტი უცვინდებოდეს და როიცა იცი-ნოდეს, ია-ვარდი პირიდგან გადმოუდიოდეს.

თქვეს ესე სამივემ, დაადვეს დედა-შვილ ხელი, აკურთხეს, წაღმა დაბრუნდენ და წავიდენ.

ახალმორჩენილსა და დადალულ ქაალ ისე გემრიელათ ძინამს რომა, არაფერიც არ გაუგია.

მეფარჩხემ გაყიდა ფარჩხი, იყიდა მჟავეული და მუაქ ცოლის-თვინ გახარებულ – ვიშონეო და ასე ვეტყვიო, მეორე დამ გამოგიგზა-ნაო. მივიდა შახში, ნახა წნელის კარები რომენიც ყვეელთვინ ღია არი და არ ხურამენ, ახლა გადარაზული არი, დაუძახა ცოლო. ცოლ-მა უთხრა: ავათ ვაარ, ვერ გამოვალ და შემოდი შახშიაო. შეაღო კარი და შევიდა, ნახა ცოლი დალოგინებულა, ფეხთით შვილი უწევს, ძა-ლიან გეხარდა მაგრამა, კითხა: ასე მარტო რო იყავი, ვაიმე, ვინ მე-გეხმარაო და ვინ მოქხედაო!

ცოლმა უთხრა: არ ვიცი ვინ იყო, მე რო მუცელი მეტკინა, შენ თუ მოდიოდი, გარეთ გამოვიხედე. რო არ მოდიოდი, ტირილი მემე-რია. ამ დროოს ისევ ისე გამოვიხედე იქნება მოდიოდეს-თქვა და შე-ვხედე, სამი ქალი გულდაგულ ჩემსკენ მოდიან. მკითხეს: რატო ტი-რიო? მე უთხარივე: ავათ ვაარ და მუცელი მტკივა-თქვა. ისინი შემა-მიძღვენ შახში, **(88. 14)** მემეხმარენ, მომალოგინეს და მე კი ისე და-მძინებია ამ დადალულ რომა, ვერაფერი ვერ შევიტყე, ან ვინ იყვენ, ან რა იქნენ. ახლა რო გამოვიღვიძე, შევხედე რომა ფეხთით ბოზში წევს და ისინი აღარ არიან. მადლი და მადლობა მაინც გედემებადა, რა დემემართა ესე.

მეფარჩხეს გეხარდა ცოლის შვიდობითა და უმიზეზოთ მო-რჩენა, არც წყენია, თუ მოდი და ბენზახარი რატო არ დემებადაო, ღმერთ მადლობა გადაუხადა, მივიდა, ბოზმ დავხედამო, მივიდა მაგრამა რა დაინახა! სადაც ი ბოზში წევს, ცოლის ფეხთით, სულ თვალითა და მარგალიტით არი სამსე იქაურობა, გეხარდა, ნამდვი-ლად ელიაუანაზ ზახარლეტობი იქნებოდაო და ისივე დაყრიდაო

ამასაცაო, მაგრამ ცოლ არაფერი არ უთხრა, თავის გუნებაში თქვა – წყალ გავათბობო და ბობშ დავაბაინებო.

რო გადაიხედა ხის უკანა და ნახა რამაღა პრიალობს, ოქროს ფერზე ბჰყვინამს, აიღო ხელში, ნახა, ოქროს ზოდი არი! აიღო და ისიც შახში შემოიტანა, შეინახა – ესეც იმისი დატევებული არიო, იფიქრა.

გათენდა მეორე დილა, რას ნახამენ?! ახალდაბადებული ბობში რამთენ იტირებს, სულ თვალ-მარგალიტი გადმოუდის თვალე-ბიდგან, დაბანეს ბობშ თბილი წყლით – იმისი ნაბანი სულ ოქროს **(გვ. 15)** ზოდებათ გადმოვიდა.

იზდება ბობში საკვირლათ, ერთი კვირის რო გახთა, ერთი თვისას გამს, ერთი თვის რო გახთა, ერთი წლისას დეემზგამსა და ერთი წლისა – ათი წლისას; რამდენ იტირებს, თვალეზიდგან თვალ-მარგალიტი გადმოცვინდება, გაიცინებს და ია-ვარდით იმსება იქაურობა; პირიდგან ია-ვარდი გადმუუდის; ცივი წყლით აბანებენ, ვერცხლის ზოდებათ ექცევა იმისი ნაბანი წყალი, თბილი წყლით აბანებენ და ოქროს ზოდებათ ექცევა. გააქ მეფარჩხეს ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, ყიდის, ფულათ აქცევს. გადინდრდენ, აიშენეს სახლები ბებრი და დიდები. აღარ იციან, რაში ჩაატონ, იმდენი ქონება და სიდინდრე შეიძინეს. ე გოგო იზდება მზისა და თვარის მზგავსი, მზეთუნახავი შეიქნა, ქვეყანას იმაზე უკავია თვალი, რამტენი დღე მოდის, უკეთესი და უკეთესი ხთება. იმისი სილამაზე მზეს აბნელებს.

ამ გოგოს დაბადებისთანავე მეფარჩხემ თავისი სიმავრიც მოიყვანა და ერთათ ცხოვრობდენ, სულაც არ უნაჰმეულა, მოდი და რაზე გამამაგდეო სახლიდგანაო, თითონავე მიხვთა, რომა გამოსაცდელათ უქნა ისი. ე სიმავრიც იმისთანა დიდებაში ამყოფა რომა, სახენწიფო-სამელეხო ტან-ფეხში **(გვ. 16)** გამუაწყო. რომ შეგეხედნა, ვინ იტყოდა თუ ისი როდისმე მეფარჩხე იყო, ნამდვილ მელეხ გამდა. ი ორი ცოლის დანები კი მოდიოდენ ვითამ თეთრი კბილითა და შავი გულით, მაგრამ გული ღვარძლით ქონდავე სამსეე, ჩვენ დასაო ჩვენზე მეტი ქონებაც ააქო და ლამაზი და ახალგაზდა ქმარიც კი ყამსო.

ე მზეთუნახავი რო გახთა თუთხმეტი წლისა და თუთხმეტი დდის, იმ სიმშვენიერესი ამ დაბალ ყოლამზე აღარაფერი მოიძებნებოდა, იმისთანა იყო.

ერთ დღეს ე გოგო ბანზე დადიოდა, იმისი სილამაზე აკაკაჩებდა იქაურობას.

დიდ ხენწიფეს ერთათერთმა სანატრელმა ვაიშვილმა უთხრა-ვე თავის ვეზირებ რომა, სანადიროთ მომზადებულიყვენ და ისიც გამუუტყდა, ჩემ ბედსაც დღეს უნდა ვეწიოვო და საუკეთესო კარქის შვილდ-ისრები მამიმზადეთო.

შეიქნა ხენწიფის სასახლეში მზადება სანადიროთ, შინჯამენ შვილდ-ისრებ, კმაზამენ ცხენებ, იმისთანა ცხენები გამოიყვანეს რომა, ჩიტებივით **(გვ. 17)** დაფრინამენ; როიცა ყველიფერი მუამზადეს, მუახსენეს: ყველიფერი მზად არიო.

წავიდა ხენწიფის შვილი და მუამარჯვებინა ყველა მხლებელ შვილდ-ისარი, ჯერე საშინჯავათ გაისროლეს სათითოკაკლაოთ, მერე კი გულდაგულ სანადიროთ შევიდენ ტყეში. კარქა ბლომათ რო დახოცეს ნადირი და გული მოიჯერეს, მერე აიღო ხენწიფის შვილმა ერთი შვილდ-ისარი და გაისროლა; უბძანა მხლებლებ – წადით და მომიძებნეთ სად დეესო ი ჩემი გასროლილი შვილდ-ისარიო. წავიდენ, დატრიალდენ იქავისე მხლებლები, მოძებნეს და ნახეს, იმ ბანზე დასობილია ე შვილდისარი, სადაც ე მზეთუნახავი ადის და ჩადის.

ე ისარი კი ნახეს მაგრამა, იმ გოგოს სიმშვენიერემ და სილამაზემ ბნედა მოგვარავე ყველა იმის შემხედვარეს, ისე აშუქებდა ი გოგო იმ ბანიდგან.

წაუღეს ხენწიფის შვილ შვილდ-ისარი და უთხრეს, სადაც ნახეს, თანაც იმ გოგოს შეხედულება აუწერეს, რომა იმსიმშვენიერესი თვალებ არაფერი უნახიაო.

გეეხარდა ხენწიფის შვილ თავის გუნებაში და **(გვ. 18)** ბძანა რომა, იმ გოგოს მამა მამგვარეთო აქანაიო.

იქავისე დატრიალდენ ვეზირები, თავისი ფეხით წავიდენ მზეთუნახავის მამასთან და თხუეს ხენწიფე ქთხოვსო და უნდა წამაქვეყო. ერთი შეშინება კი შეეშინდა ამ კავ, რაზე მიბარებსო ხენწიფეო, ხო არავინ არაფერი მიმტროო, მაგრამა მაინც წაყვავე.

ხენწიფის სასახლეში რო შევიდა, შენწიფის შვილმა კითხა: ვისი არიო ი გოგო-ქალიშვილიო ი შენ ბანზე რო დადიოდაო, გათხოვილი არიო და გაუთხუარიო. მამამ უთხრავე: –ჩემი ქალიშვილი



არიო და გაუთხუარი არიო. ხენწიფის შვილმა უთხრა: –თუ შეიძლება რომა თქვენ შახში წამოვიდე?

– კი ბატონო, რა ღირს ვარ, თუ კი მიკადრებთ!

წავიდა ხენწიფის შვილი, წაყვა ამ გოგოს მამას, მეწონა ე გოგო-ქალიშვილი, გადაირია ღარმე იმის ნახვაზე. დანიშნა, ქორწილის ვადაცა დაუდვე (ასეა. მოსალოდნელი იყო: დაუდვავე. ნ.ს.); მოიყვანა დედ-მამა, ნაზირ-ვეზირები, აჩვენავე ყველას თავის დანიშნული, ყველას ძრიელ მეწონათ და შეუდგენ ორივე კუთხეზე ქორწილის-თვინ მზადებას.

**(გვ. 19)** გეემზადენ საქორწილოთ, ხენწიფის ოჯახში. ზღვა და ყოლამი სურიელი დაიკლა და დამზადდა, დედოფლის დედ-მამასაც ამ ერთი გოგო-ქალიშვილის მეტი არაფერი არ გააჩდავე და მეტ რაღას მეესწრებოდენ თავის სიცოცხლეში, ქალიშვილის ქეთუბა იმათ შახში უნდა წაკითხულიყო; მიტომაც რაც ამ დაბალ ყოლამზე საუკეთესო რამე მოიძებნებოდა, საჭმელ-სასმელიდგან მოკიდებული საკლავით და ნამცხვარით – ყველიფერი უნდა გეემზადებინავე საქორწილოთ.

რაც კი იმ ქვეყანაში საუკეთესო მკეთებელ-მზადებელი კი მოიპოვებოდა ვინმე, ყველა ამათ შახში იყო მიწვეული და იჯრას აკეთებდენ. ხალხიც იმტენი დაპატიჟეს ტერ-მოყვარე, იმტენი რომა, ძუძუ-მწოვარი რა არი, ისიც არ დაუტევებიავე, არავინ დაგვიწყელოსეო. გააწყეს შტოლები თავისი ძვირფასი მოწყობილობებით, დედოფლის დედ-მამამ არც თავისი დანები გამოაკლეს, თავისივე ქმარ-შვილით დაპატიჟეს და კიდევაც მოვიდენ, პირისანახავიც კარქი მოუტანეს დედოფალ.

მოვიდენ მოყვრები, შეუდგენ ქეთუბის კითხვას, დააყენეს ნეფე-დედოფალი ხუფის ქვეშ, რა ჯობია ყოლამზე იმათ შეხედვას, ერთი მეორეს აშუქებენ, მიჩერებიავე თელი ქვეყანა და თვალ აღარ აშორებენ, მზესა და თვარეს გავლან ნეფე-დედოფალი. **(გვ. 20)** ვინც კი ესწრება ამათ ქორწილ, ყველა ლოცამსე და აკურთხებსე, ყველას უხარია რომა ამისთანა კარქი გოგო-ქალიშვილი კარქ ბედში ჩავარდა და ხენწიფის შვილ მიყავს, მაგრამა დედოფლის დეიდებ არ უხარიავე, უფრო მეტათ უმფროს დეიდას უსკდება გული, რავა გახთა ჩემი დააო ყველიფერი სიკეთის ღირსიო და მე კი არც ქმარი მივარგაო და არც შვილიო, რაზე გემევედიო ასე უბედურიო, მარტო

სიდინდრე არ ყოფილა ამ ქვეყანაზე საკმარისიო. მიაჩერდებავე ნე-ფე-დედოფალ, მიაჩერდებავე და ბრაზით გულზე სკტება, ფიქრობს, რა მოიგონოს რა მუახერხოს რომა, რამენაირათ გააუბედუროს თავი-სი დისშვილი და ხენწიფის შვილ თავისი უშნო ქალიშვილი შეაპა-როს.

გათავეს ქეთუბა, ილხინეს, ითამაშეს, დიდი დროებაც გაატა-რეს, ესეც არი დედოფალი უნდა წაიყვანონ, ლოცამენ დედოფალ, წა-ღმა აბრუნებენ, ატრიალებენ, ენ დოდი ქალას იძახიან და დედოფ-ლის დედასთან მივიდა ამ დროოს თავისი უმფროსი დაა და უთხრა: გოგო, დედოფალ მე წავეყვები ერთგულათ, ვის უნდა ვანდოთ, გზაში არავინ არაფერი უღალატოს და უკუუდიანოსო.

**(გვ. 21)** გეხარდა დედოფლის დედას, ჩემ დაზე ერთგულ მართლაც და ვის გავეყოლებო, ადგა და თავის დაას მიცა ხელში შამ-ფურზე აგებული ნახშირი, ნიორი, პიმპილა და შავტარიანი დანა, შე-ეხვეწა, აპა, შენ იციო, რავა ფთხილათ იქნებო, ხომ იციო, ერთის შე-მხედვარე ვაარო, მეტიო არც წინ გამაჩნია და არც უკანაო.

შეპირდა უმფროსი დაა, ნუ გეშინიაო, თუ მე არაფერი გამი-ჭირდებაო, არც შენ ქალიშვილზე არაფერი ისუნტლებსო.

დააბრუნეს დედოფალი წაღმა და ხათან-ქალა გაისტუმრეს დიდი ჩირაღდნებითა და სიმღერით, თამაშითა და საკრავებით. იმისთანა ცხენებზე შეაჯინეს ხათან-ქალა რომა, მასკვლავებ ეთამა-შებოდენ ი ცხენები, დედოფალ დეიდა მიყვება უმფროსი და ვითამ ერთგული, მაგრამ თურმე გულში სულ სხვა ემმაკობა უდევს ამ დე-იდას.

წაიყვანეს, წაყვა ხალხიც, დაამშვენეს, გაუდგენ გზაას, შუა გზაზე ტყეში უნდა გეველოვე; მიადგენ ტყესა და დეიდამ უთხრა დედოფალ: შუა ტყეში რომ შევალთო და მე რო გეტყვიო, იქავისე ცხენიდგან გადმოდიო და მოშარდეო, რომ არაფერმა არ ისუნტლო-სო შენზეაო და ე შამფური **(გვ. 22)** როგორც მიკავია ხელშიაო, მე ისევე მეკავებაო.

დედოფალმაც დაუჯერა. შევიდენ შუა ტყეში თვარემა, დეი-დამ უბძანავე, შეაჩერეთ ცხენებო, გააჩერეს ცხენებიც და დედო-ფალმა უთხრა ნეფეს, ახლავ ისე მოვალთო. ამ უწმინდურ ქალ და-ბარებული ყოლია თავისი ქალიშვილი და მოყარაულეებული ყოფი-ლა ი გოგოც. წაიყვანა ე დედოფალი დეიდამ, მიიყვანა ერთ გამოქვა-

ბულში, დათხარა თვალები, გახადა საქორწილო ტანისამოსი და თავის ქალიშვილ ჩააცვა, ნამდვილი დედოფალი ტყეში გამოქვაბულში დატევა, თავისი ქალიშვილი ამოიყენა გვერდში, წაიყვანა, შეჯენ ცხენებზე და გასწიეს. რა იცის ხენწიფის შვილმა თუ ქალი გამოცვალებს.

სასახლეში რო მიიყვანეს, იქაც დიდი ხალხი ყავდავე მიწვეული. ქვეყანა შემეესია დედოფალ სანახავათ, ჯიან ნეფე-დედოფალი. მიჩერებია მნახველი და უკვირს, ეს არის ი მზეთუნახავიო? რას გაამსო?

მაგრამა ვინ რას გაუბედამდა ხენწიფეს, ან ვინ გაიფიქრებდა თუ რაც მოხთა. და ბოლოს ნეფეს გაუკვირდა, რაზე უკვირსეო ხალხსაო ე ჩემი ცოლის სილამაზეო და გაიხედა დედოფლისკენ, გაიხედა, ვუი ამსაათ, რას უყურებს იმისი თვალები, ი მზეთუნახავი კი აღარ არი, ვინძალა ელამი (**გვ. 23**) ჭაპანაი, ღჯოლებიანი, მუხლუხოს ფერ არი (ასეა. ნ.ს.).

გადირია ნეფე, ესეო რა ამბავი არიო ჩემ თავზეაო, დაუძახა ნეფემ თავის მამას – ხენწიფეს, შეიყვანა ცალკე ოთახში, იტირა, რაძალა უბედურება მემელის მამაჩემოვო, ეს არის ჩემი მზეთუნახავი საცოლოო, ნამდვილათ დეიდამისმა ტყეში რო შეიყვანა, რამე უქნაო და ან სახე შეუცვალაო, ან სხვა ქალი მამიყვანა და ის კი მოკლაო. ძალიან შეწუხდა ხენწიფეც, შეაჩერეს ლხინი და სიმხიარულე, მოწოვილი ხალხი დაიშალა, ქვეყანა იწვის ამ ბიჭის ცოდით, ისე მწარეთ მოთქვამს და ტირის. ეხვეწებავე ყველას, მამაშორეთ ე ჭაპანა ქალიო. ამ ქაალ პირიდგან დორბლები გადმოდის და თვალებიდგან წირპლები, უცნაური სანახავი არი. ტირის ხენწიფის შვილი დულარე ცრემლებით, მოთქმით მოთქვამს თავის დაკარქულ მზეთუნახავ.

დამგლოვიარდა ხენწიფის სასახლე, მგლოვიარე არი ხენწიფის შვილი, იმის ცოდით ქვები ტირის, იმისი მოთქმა მაღლა მცაში ღმერთ ესმის – აღარ მინდაო თავი ცოცხალიო, სანამდისინი ან ცოცხალ არ ვნახამ და ან კვდაარ ჩემ მზეთუნახავსაო, მოთქვამს.

ხენწიფემ გაცა ბძანება, ვინც მამინახამსო ან კვდაარ და ან ცოცხალ, დაკარქულ მზეთუნახავსაო ას ოქროს მიიღებსო საჩუქრათაო.

**(გვ. 24)** დატრიალდენ ყვეელი კუთხიდგან ხენწიფის ერთგული ხალხი, გამოვიდენ რჩეულ-რჩეული ვაშკაცები სულ ცხენებითა

და წევარი ძაღლებით, ოთხი კუთხით ტყეს შემევერტყენ და შეუდგენ მეზნას.

შუა ტყეში რო შევიდენ, ძაღლებმა კვალ და კვალ მიყვენ, ძაღლების კვალ მდევრებიც მიყვენ, ძაღლები გამოქვაბულ მიადგენ, მივიდენ გამოქვაბულში. სიბნელე არი კუკურახი და ამ სიბნელეში თვალში ხელ ვერ მიიტან, მოისმის ქალის ტირილი, აანთეს კვარები, უფრო ახლო მიიწიეს, ნახეს გამოქვაბული სამსე არი თვალ-მარგალიტით, მეტი არაფერ (ასეა. საგულვებელია: არაფერი. ნ.ს.) არ ჩაამს, გაწი-გამოწიეს ე თვალ-მარგალიტი, მიიწიეს, რა დაინახა იმათმა თვალებმა, აგერ მზეთუნახავი თვალეზდათხრილი დგაა და ტირის, რაც კი უტირია იმისი თვალეზიდგან ცრემლები გადმოსულა, სულ თვალ-მარგალიტათ ქცეულა და იმტენი მოგროვებულა რომა, ე ქალი აღარც კი ჩამდა, თლათ დაუფარია.

როგორც კი ქალი დაინახეს, უთხრეს: ნუ გეშინია, აგერ მოვედით შენ საშველათაო.

იქავისე ერთი მახარობელი აფრინეს ხენწიფის შვილთან – ვნახეთ მზეთუნახავიო – თითონ კი ფთხილათ გადმოიყვანეს ამ გამოქვაბულიდგან, ეფერებიან, თავზე ევლებიან, ცივი ნიავი არ მოხვთესო, არ გაცივდესო, **(გვ. 25)** ნატირალები არიო, შემეეხვიენ, წამლათ ედებიან და უცდიან ხენწიფის ბძანებას, რითი წაიყვანონ თვალეზდათხრილი მზეთუნახავი.

ხენწიფის ოჯახმა რო გაიგო მზეთუნახავის ნახვა, სიხარულით მცას ეწეოდენ, დატრიალდენ იქავისე, შეჯდენ ცხენებზე და დიდიდგან პატარომდისინი წავიდენ.

ხენწიფის შვილმა რო შეხედა თვალეზდათხრილ მზეთუნახავ, მეეხვია და სიცილ-ტირილი აუვარდა, გამოკითხა, რა იყოვო ან ვინ გიქნაო ესაო; დედოფალიც ჩამოუყვა როგორც იყო და დეიდამისმა რანაირათ დათხარა თვალეზი, გახადა საქორწილო ტანისამოსი და აქანა დააგდო, თვალეზი უბეში ჩაიწყო.

წამოიყვანეს მზეთუნახავი სასახლეში, შეიქნა კიდე უფრო მეტი სიმხიარულე, რო ნახეს, მაგრამა თვალეზი რო აღარ ქონდა მზეთუნახავ, მისი ცოდით იწოდენ.

დეიდამის გაუგზანეს კაცი, რომა შენი ქალიშვილი ავათ არიო და გნებულობსო. იქავისე საჩქაროთ მოვიდა დეიდაი, მოსვლა არც კი აცალეს, ისე შემეეხვიენ და კითხეს – რა უყავიო მზეთუნახავის

თვალეზიო, ჩქარა თქვიო. დეიდამ, პირგაშავებულმა და გამწზარმა, ჩაიყო უბეში ხელი, ამოილო თვალეზი და მიცა ხენწიფის შვიილ. მზეთუნახავმა აილო თვალეზი, თავ-თავის ადგილზე ჩაისვა, მოისვა ხელეზი და ორივე თვალეზი ისევ ისე გაუხთა, როგორც მანამდისინი ქონდა.

**(გვ. 26)** ხენწიფემ გაცა ბძანება, რომა მზეთუნახავის დეიდაი მისი ჭაპანა ქალიშვილიანა ორივე ცხენეზის კუდებზე გემეებავე, ისე ეთრიავე ქვეყნის-ქვეყნამდისინი, რომ გეეგო თელ ქვეყანას, რაც იმათმა ჩაიდინეს.

გამუაბეს ორივე დედაშვილი ცხენეზის კუდებზე და მანამდისინი ათრიეს, სანამდისინი ყურეზის მეტი აღარაფერი არ დარჩათ.

ხენწიფის ბაღში შეიქნა ისევ ისე სიმხიარულე, იმისთანა ქორწილი კი გადაიხადეს რომა თელი ქვეყანა იმათზე ლაპარიკობდა, თელი ქვეყნის დიდებულეზი იმათსას ილხენდა ერთი თვე, დღე და ღამე.

ასე და ამნაირათ შეუდგენ კეთილ ცხოვრებას. იყვენ ტკბილათ, ებრალებოდავე ღარიბი და ქვრივ-ობოლი, წლის თავზე ვაიშვილი დეებადავე, დიდისაგან დიდი მილა გადაიხადეს, სანდაკი (ნათლია) თითონ ხენწიფე იყო და მოელი (მომნათველი) კი ელიაუანაბი. სახელათაც ბოობშ ელიაუ დაარქვეს.

იცხოვრეს ბედნიერათ და შეაბერდენ ერთმანეთ თეთრი ნიფხა-პერანგით, ისე რომა თავის დღეში ჩიტი რა არი, ჩიტი არ გადაფრენიავე; ცა და ქვეყანა სულ ყველთვინ იმათ ცხოვრებაზე ლაპარიკობდა, არცა არვინ არ ენდუროდათ, დიდი და პატარაი, დინდარე და ღარიბი ყველა იმათი მადრიელი იყო.

## **11. დაკვირებული კაცი (გვ. 27)**

ამ ქვეყანაზე ცხოვრობდა ერთი ღარიბი, მაგრამა დიდისაგან დიდი ჭორმჭვრეტელი (ასეა. ნ.ს.) და დაკვირებული კაცი. ამ კააც ბედი არ წყალობდა, შოორ, შოორ ცხრა მთას იქით, რასაც ხელ მოკიდებდა ე კაცი, სულ უკულმა მიუდიოდა საქმე, ერთი სიტყვით არ უმართლდებოდა, სულ უარ და უარ მიუდიოდა საქმე.

ერთ დღეობის დღეეს იფიქრა, როცა იქნება იქნებაო, უნდა ვცადოვო კიდე ერთხელ ჩემი მაზალიო, ავდგებო და სხვა ქვეყანაში

წავალო, ადგილ გამოვიცვლიო და იქნება გამიმარჯვოსო ღმერთმაო, მაზალიც გემემეცვალოსო.

გემემშვიდობა (ასეა. ნ.ს.) ე ღარიბი კაცი ცოლსა და შვიილ, ისე დატევავე ღმერთის სახელზე რომა ერთი ფარა რა არი, ერთი გროში რა არი, ისიც კი არ ქონდა რო დეეტევებინა. დაბრუნდა წაღმა, ახსენა ღმერთის სახელი, გასწია და წავიდა.

ერთ ქალაქში ხო შევიდა, იკითხა სად დგააო აქანაიო ყველაზე უფრო დინდარე კაციო. ასწავლეს ამა და ამ ალაგას დგააო; მივიდა ამ დინდარე კაცის კარზე ე ღარიბი და კარისკაცებ თხვია, შემიშვიტო, ძალიან დიდი საქმე მათქო თქვენ ბატონთანაო.

**(გვ. 28)** კარისკაცებმა მუახსენეს თავის ბატონ რომა, ვინძაღა უცხო კააც უნდაო თქვენი ნახვაო და შემუშუბათო თუ არაო. დინდარე კაცმა თქვაა, შემუშუბითო; შეუშვეს ე ღარიბი კაცი, ამ დინდარესთან. შევიდა თვარემა, პირველათ თაყვანი სცაა, ძირ დავარდა და დინდარე კაცის ფეხის ნადგამ კოცნა დაუწყო, დინდარემ წამუაყენა ფეხზე, სკამი მიაწოდა და უთხრა: – მითხარიო რა ქჭირიაო, ან რა გინდაო, შენი ძირ დავარდნა და თაყვანის ცემაო, მე რაში მჭირიაო.

წამოდგა ზეზე ე ღარიბი კაცი, გათამამდა, გახწორდა წელში და უთხრა: მეე, ჩემო ბატონიშვილო, მართალია, აქაური არ ვაარ, ძალიან ღარიბიც ვაარ, არც წესიერათ არ მაცვია-მახურია, მაგრამა, ე მეო კარქი დაკვირებული ვაარ ამ დასახრაკავ ქვეყანაში, ბებრი რამე მინახია, ბებრი ავი და კარქი გამამიცდია, დიდი ცოდნაც მათქო, მაგრამა, შორ შენგან, საქმე არ მიმართლდება, ვერ ვხეირობ, არ ვიცი რა მიზეზია – ჩემი უმაზალობა არი თუ ღმერთი მრისხამს, ვერ გავიგე.

– კი მაგრამ ჩემდან (ასეა. ნ.ს.) რა გინდა მერე, მე რითი შემიძლია, რო დეგებმარო, ეს მითხარი, ისრეელიშვილო! უთხრა დინდარემ.

– რითი?! რითი და ფარეებით გამიმართე ხელი, ხო გაგიგონია, – ადგილი გამოიცვალეო და მაზალიც **(გვ.29)** გემეგეცვლებაო, – მეც გამოვიცვალე ადგილი, წემევედი ამ უცხო ქვეყანაში, მაზალის გამოსაცდელათ, ეგება ღმერთმა კაი საათი შემახვთეროს და ვიხეირო რამე.

– რა ვიცი მერე, მე შენ ხო ფარეები გასესხო და არ დემეკარქება, შენე ვინ ხაარ, ან რა წასულის მქონე ხაარ, ვინ არი იმისი თავდები, რო დამიბრუნო.

– ჩემი სვინდისი არი თავდები, ვიფიცამ, გეფიცები იმ ჩემ სვინდის და პატიოსნობას, რომე თუ მე არ მოვკვდი უდროვოთ და ქართით თუ არაფერი დემემართა, არცა შენ ფარეებ მე არ შევიწევ, ოღონ იქნება შენ ხელზე და შენ მაზალზე მეცა მოვებრუნო ხელი და დემეხმარო ისრეელისშვილო, ღმერთი არ დაგივიწყებს და არც მე არ დავიკარქები, იცოდე.

ბებრი ხვეწნის მერე, დეეთანხმა ე დინდარე კაცი და როცა იქნება იქნებაო, ახსენა ღმერთი და მიცა ამ ღარიბ კააც ათასი მანათი, იმ პირობით რომა, თავნ ნუ დამიკარქამო და სარგებელი არამი იქნეს ჩემზეაო.

დიდისაგან დიდი მადლი და მადლობა გადაუხადა ღარიბმა კაცმა, გამუართვა ათასი მანათი, დაიკერა ორ ჯიბეზე – თითოზე ხუთას-ხუთასი მანათი – და გასწია, წავიდა კიდე უფრო შორ ქვეყანას, იქნება რამეს შევხვდეთ სახეიროსაო. **(გვ. 30)** მიდიოდა და მიუხაროდა, ახლა კი გამამიგზანაო ღმერთმაო თავისი ბოლო ხაზინიდგანაო.

იარა, იარა და ბოლოს ერთ დიდ ქალაქში მივიდა; გაიხედგამოიხედა, არვინ არ ყაამს ნაცნობი, რა ქნაას, ვის ენდოს ამ უცხო ქვეყანაში, ვის გაუტყდეს, თუ ფარეები ჯიბე-უბეზე აკერია და ან რას ფიქრობს. ბებრი სიარულიდგან რო დაიღალა, ერთ ქვაზე ჩამოჯდა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა იმის პირდაპირ ერთი კედელი იყო ცოტათი ჩამონგრეული, თვალი მოავლო იქაურობას ხო არავინ მიყურებსო, როისაც კარქა დარწმუნდა და დაიმედდა რო არავინ არ უყურებდავე, ამოიღო ერთი უბიდგან ხუთასი მანათი შეკრული, აილო და ამ ჩამონგრეულ კედელში, ძირში მიწა მოთხარა და შიგ მიწაში ჩაფლო ე ხუთასი მანათი. ახლა ამ ღარიბ კააც ხუთასი მანათი კიდე ააქ, რომენიც უნდა რომა ატრიალოს და ფულს ფული მუაგებინოს, თავნი პატრონ მუუტანოს, არ შერცხვეს და მოგებით ოჯახი გაახაროს. როისაც ამ მიწაში ჩაფლულ ფარეებ კარქა მაგარი ქვა დაადვა და დაიმედებული დატევა, მერე თითონ წავიდა და შეუდგა მაზალის ძებნას.

მიიარ-მოიარა ამ ქალაქში, იქნებაო ჩემი სანებური რამე **(გვ. 31)** მოსაგები შემხვთესო, ყველდგან აათვარიელ-ჩამოათვარიელა, თანაც რა ნახა გამოსადეგი და ხელმისაღწევი ყველაკანა დაიბევა. გული რო მოიჯერა, რაც ფარეები ქონდა, ყველა უნდა მეეშალა და მეტი

აღარც აღარაფერი ჭიროდა, გახარებული გამობრუნდა, იმ ჩემ შენახულ ხუთას მანათ წავიღებო და ბარელმა საქონელსაც ვიყიდო.

მივიდა ე კაცი იმ ჩამონგრეულ კედელთან, აწია ი ქვაა, რომენიც თავის შენახულ ფარეებ დაადვა, მოთხარა მიწა, მაგრამა, აქცილდა მარცხი, იმან თავისი შენახული ფარეები ვედარ ნახა, კაი ამ საათ, გაიშინა საწყალმა ერთი თავი და ორი ხელი, რაღა ქნაას ახლა, სადღა წყალში გადავარდეს, სადაც მიდის, თავისი შავი მაზალი ყველდგან მიზდევს და არც ახარებს. იცემა, იტყევა უბედურმა სულ დაინტვრია ძვამბილი, მაგრამა რას გააწყობდა. ძალიანი რო დაიღალა და დაიქანცა, ისე რომა არაქათი გამეელია, მერე დაჯა და თავის თაავ ელაპარიკება – მე უბედური, მე ბეყეირათი, რო მოვდექი და ჩემ თაავ ვიცემ და ვიწყვეტინებ ამ უალაგო ალაგას, ესე რას მემეხმარება, ჭკუა უნდა მოვიკრიფო, რომა საქმე გამოვახწორო.

ამოიწმინდა ნატირალები თვალები, გამოფხიზლდა **(88. 32)** ნამძინარებივით და დაიწყო ამ ადგილის გულდაგულ დათვარიელება. შეძვრა ამ ჩამონგრეულ კედელში და დაიწყო ძებნა ისევ ისე. ამ ძებნაში ხო არი და გაიხედა შორი-ახლოს თვალი მოკრა ერთ-ერთ გამოხვრეტილ, მივიდა უმფრო ახლოს და ნახა რომა კარქა დიდი ადგილი ყოფილა გამოხვრეტილი. დააკვირდა კარქა, უფრო კიდე მეტი ყურადგებით და დარწმულდა რომა ნამდვილათ აქიდგან არი ი ფარეები მოპარული და ვინმადას გატანილი, იმიტომ რომა იქიდგან ადამიანი სულ თავისუფლათ შევა და გავა.

წავიდა და იმ შახში მივიდა, რომენსაც ე კედელი უახლოვდებოდა, იკითხა იმ სახლის პატრონი და მივიდა მაინძელთან, მიესალმა და უთხრა: ასე მითხრეს შენზე დიდი ჭკვიანი კაცი არიო და, თუ ღმერთი ქწამს, მირჩიე რანაირათ მოვიქცე, მე ვაარ უცხოთ ჩამოსული, არვის არ ვიცნობ, თან ჩამოვიტანე ბებრი ფარეები, ერთი ნაწილი იქიდგან ერთ ნამუსიან ადგილზე მააქ შენახული, მეორე კი უბეზე მააქ დაკვრებული, დავდივარ ამტენი ხანი არი, მაგრამა ვერაფერი სახეირო ვერ ვიშონე, ახლა ე მეორე შეკვრა ფარეებიც მინდა რო შევინახო, ხოლოთ არ ვიცი რანაირათ მოვიქცე, მივაბარო ვინმე საიმედო პიირ თუ ისევ ისე იმ ალაგას შევინახო, სადაც ერთი შეკვრა **(88. 33)** მააქ შენახული.

ამ მაინძელ გეეხარდა, გუნებაში გეეცინა, ამ უბედურის მეორე შეკვრა ფარეებიც ჩემი ულუფა ყოფილაო, რადგანაც თურმე დასტურ



ამ კაცის მოპარული ყოფილა ი პირველი შეკვრა და უთხრა: არა მძაო, მე არ გირჩევ ვინმეს მიბარებას, ისევ ისე იმ ადგილზე შეინახე მეორე შეკვრაც, სადაც პირველი გააქ შენახული, თვარემა ადამიანი არავინ არ არი დასანდობი, რა იცი, რო უარი არ გითხრას, ვისაც მიბარებ და ხელი არ აგაღებინოს თელ შენ ქონებაზე, ცოდო აკი ხაარ, ხოლოთ როიცა შელამდეს, მაშინ მიიტანე ფარეების მეორე შეკვრაც, დაღამებამდისინი არ გირჩევ, ვინმე შემოქხედამს, აგათვალთვალეებს, მოქპარამს და ცოდო დარჩებო.

დიდი მადლობა გადაუხადა ამ კაცმა დარიგებისთვინ და იქავისე იფიქრა, ნამდვილათ ამის მოპარული უნდა იყოსო ი ჩემი ფარეებო.

მაინძელმა, როგორც კი გაისტუმრა უცხო კაცი თვარემა, იქავისე ადგა და მოპარული შეკვრა უკანავე ჩააბრუნა იმ ადგილზე სიდგანაც გამოილო, თქვა: ი კაცი ხო მოვა და მეორე შეკვრა ხო უნდა შეინახოსო, ე პირველი რო აღარ **(გვ. 34)** დაუხვთესო, აღარც იმას დაღებსო და დაღვა ე ფარეები, ჩემს იქით სად წავაო, მერეო ორივეს ერთათ ავიღებო და მეშველებაო.

მაგრამა ე დაკვირებული კაცი ხწორეთ ამას უცდიდა, მივიდა საღამოზე იმ ადგილას, ნახა თავისი შენახული შეკვრა ისევ ისე დევეს, როგორც შეინახა, ქვაც ისევ ისე ადევს; აილო ჩაიდვა უბეში და საჩქაროთ წამოვიდა.

გაიარ-გამოიარა ამ ქალაქში, აღარაფერი აღარ იყიდა და კიდე უფრო დიდ ქალაქში წავიდა. ამ ახალ უცხო ქალაქში ბებრი რამე ახალი დაინახა. რომენიც მითამ დღეში არ უნახია; დაყვა თავიდგან ბოლომდისინი ამ უცხო ქალაქ, იარა და რაც კი თვალდგმული მეეწონა, იყიდა, შეკრა და წაილო.

წავიდა ე დაკვირებული კაცი, ჯერე თავის ცოლშვილში კი არ მივიდა, პირველათ იმ კაცთან მივიდა, ვინაც ხელი გაუმართა და ფარეები ასესხა; მის კარზე მიაღვა, შეუთვალა, თქვენი ნახვა მინდაო. ამ დინდარე კაცმა ხო გაიგონა იმისი სახელი, ძალუან გეეხარდა, მართლა სვინდისიანი ყოფილა და მიიწვია, რო მიესალმა თვარემა, იქავისე უთხრა დინდარემ: შენე აწი ფარეები გინდა დამიბრუნო და გინდა არაო, მაინც კარქი კაცი და ნამუსიანი ყოფილხარ და იქნები კიდევაც ჩემ თვალშიაო.

**(გვ. 35)** დაკვირებულმა კაცმა პირველათ დიდისაგან დიდი მადლი და მადლობა გადაუხადა ნდობისთვის, მერე ადგა შემოუტანა თავისი მოტანილი ძვირფასი საქონელი, გადაუშალა წინ და უთხრა: აა ძმაო, თუ გინდა ე საქონელი მიირთვი, თუ არა და თუ ინებებ, გავყიდი ამ საქონელს, შენ ფარას შენვე დაგიბრუნებ და დანარჩენით ხელ მოვიბრუნებ, სანამდისინი კი პირში სული მედგმება შენ პატივისცემას არ დავივიწყებ, ახაა, რავარც გნებამს, ისე მოიქეცი.

დინდარე კაცმა აიღო ორი-სამი თავი საქონელი, გადაიდვა თავისთვის და დანარჩენი უკან დაუბრუნა, თანაც უთხრა: წადი, ძმაო, და დღეის იქით ღვიძლი ძმანებივით ვიყოთ. მართლა კი ყოფილა ქვეყანაზე მაზალი და უმაზალობა. ჩემმა მოცემულმა ფარებმა შენი მაზალიც გამოაღვიდა და მეც გამახარა, რომა გემილუთხესედიმი (გემულ ხასადიმი – ივრითზე ნიშნავს „გაჭირვებულის გაკითხვა, შემწეობა“. რ.ე.) არ გამიმტყუნდა, წადი ძმაო და იხარე შენ ცოლ-შვილში, აწი უმფრო ერთგულათ მიგულე. გემეემშვიდობენ ერთმანეთ, გადაკოცნეს და დადვეს ერთმანეთში პირობა ძმობის.

ეს დაკვირებული კაცი წყაროს წყალივით წამოვიდა, გაიღვიძა იმისმა მაზალმა, გაიხარა თავის ცოლ-შვილში და თითონაც გადინდრდა.

**(გვ. 36)** როისაც კარქა წელში გამაგრდა და ხელი მოითბო, შეუდგა მერე საქმეს, შემოუტრიალდა მაზალი და სულ წყაროს წყალივით წინ წამოვიდა. ისე კარქი ცხოვრება შეექნა, იმისთანაი ამ დაკვირებულ კააც რომა სუყველა ამას კითხამდა ხოლმე რჩევას, რანაირათ მოვიქცეთო, როისაც რამე საქმე ჩავარდებოდა.

გაუვარდა ახლა ამ დაკვირებულ კააც ჭკვიანის სახელი, გამვლელი და გამამვლელი ყველა თავ უკრამდენ და ეთაყვანებოდენ. თავისთვის ჩაფიქრდებოდა ხოლმე და იტყოდა ხოლმე: მე კი არ გამოვცლილვარო, ყვეელთვინ ამისთანა ვიყავი, მაგრამაო მაზალი მქონდაო გაბრუნებულო, ე ოხერი ქვეყანა კი ხამ ჭინჭებ და ქვეებ ეთაყვანებაო, როისაც არაფერი მქონდაო, ჩემ ლაპარიკსაც არც კი კადრულობდენო და ახლაო, როგორც თააფლ ბზიკიო ისე მესევიანო. ასე თუ ისეო იმ კაცის ფარეები ხო არ მქონოდაო და ხელი იმითი არ მემებრუნებინაო, ისევ ისე გაჭირვებული და ღარიბი ვიქნებოდო. მაინც არ ქონდა ამ კააც თავი მომალღებულო, ყველას თავდაბლათ ექცეოდა, თითონ ხო გამოცდილი ქონდა სიღარიბე, ყველა სა-

წყალი ებრალებოდა; სიდინდრე ყველდღე ემატებოდა. დაზარდა შვილები მეღებეებით.

**(გვ. 37)** შვილები გამუჟვიდა იმისთანა კარგები, იმისთანა რომა თელი ქვეყანა იმათზე ლაპარაკობდა.

იმ კაცთან, ვინც ფარეები ასესხა და ხელი რომნის გამოსობითაც მოიბრუნა, დიდისაგან დიდი ერთმანეთობა ქონდა. ერთი მეორეში მიდი-მოდიოდენ და კიდევაც დამოყვრდენ. ამ დაკვირებული კაცის შვილმა, რომენიც საუკეთესო ჭკუის კოლოფი იყო, უფროსმა ვაიშვილმა, ი დინდარე კაცის ქალიშვილი ითხუა ცოლათ და უმფრო მეტათ დაუმკვიდრდავე მოყვრობა.

ასე და ამნაირათ შემოტრიალდა მაზალი, ადამიანმა მითამ დღეში ხელი არ უნდა დაირეკოს და იმედი არ უნდა დაიწმინდოს, ყველთვინ შეიძლება რო ისაბაბოს ვინმემ ან რამემ და გამუჟკეთედეს საქმე, ოღონ დაკვირება კი საჭირო არი.

ნათქვამი: მოშე ძორელაშვილისა ქუთაისი. 1940 წ. მარტი.

ჩამწერი: როზა თავდიდიშვილი, თბილისი, კოლხიდის ქუჩა №21.

## **ქუთაისელ ებრაელთა ქართული (V რვეული)**

ნიმუშები ჩაწერილია როზა თავდიდიშვილის მიერ. 1940. მარტი. შექმნილია 28. X. 940.

### **12. ბატონის სანატრელი (გვ. 1)**

ერთ დიდ ქვეყანაში ბძანდებოდა დიდი ბატონი, იმისთანა თორის მცოდნე იმისთანაი, რომა მისი შიშით ოთხფეხი და ორფეხი კანკალობდენ; ამ ბატონ ეკავა დღე და ღამე თორა და ჭინახულობდა.

ამ ბატონ ყველაფრით სრული ქონდა გული, არაფერი არ აკლდა ამ აბლია ყოლამზე, არაფერი არ აკლდა, ყველიფერი ბებრი ქონდა, რაც ღმერთ გაუჩენია: ქონება და ცხოვრება, თეთრი და საქონელი, საქმელი და სასმელი, ია და ვარდი, საზაფხულო და საზამთრო. ერთი სიტყვით, არაფერი არ აკლდა, მაგრამა გული იმითი ტკივოდა ამ ბატონ რომა, შვილი არ ყამდა, ვერც კადრებდა ქუჟურ

გამჩენ თვარემა, ძალუან წყინდა, თავის გულში ფიქრობდა, ნეტავ ვიცოდევო, რა შევცოდე გამჩენსაო, რომ არ დამამადლიანაო სამომდროშედაო. რატომ არ უნდა დამრჩესო სულის მახსენებელიო, კი მართალი არი ჯამათ ძალუანაც ვუყვარვარო და არც ისინი არ დამაკლებენო კადიშა და მაფტირსაო, მაგრამა ჩემი წელ-გულიდგან გამოსული შვილიო სულ სხვა რამე არიო, ან იმ ყოლამ რათი უნდა წავდგეო გამჩენის წინაო, უშვილო და უძიროვო.

ამ ბატონის ცოლიც გათავებული ეშეთხაელი იყო. თავის ვითამ დღეში მენედაბე (ნედაბა-მოწყალეზა) არ გაუწილებია, არ გაუფიქრებია თავის გულში სხვის შვილ-მომავალზე ავი, თუ – მოდი და მე რატომ არ მყამსო ჩემი საკუთარი შვილიო. პირიქით, სანთელ ხომ აანთებდა, თავში იმას შეეხვეწებოდა **(გვ. 2)** გამჩენ-ღმეერთ რომა: ღმერთო, შენ ნუ შეინახამო ნურა დედას სიმწრისთვინაო და თუ შენი საწყენი არ იქნეს, ნურც მე გადამაგდებო უშვილმამავლათაო და უსამომიროთაო, დამარჩინეო შენ საქებარათ და სადიდებლათაო კადიშის მთქმელიო. სხვის ბობშებ ხო შეხედამდავე იტყოდა, აქცილდათო ავი ნაქნარიო, ყაინარაყო, არ ისუნტლა თქვენზე არაფერმა გლახამაო.

ე ეშეთხაელი-სადკანიოთი ვერც ვერაფერ უბედამდა თავის ქმარ, თუ მოდი და ან ამსაყა შევკვეთოთო, ან ზიარათებზე ვილოცოთო შვილის გულისთვინაო, რომ გაგვიჩდესეო და ისე თავისთვინაი კიც ლოცულობდა და კიც მარხულობდა ჩუმათინაი. ე ბატონიც ვერაფერ ეუნებოდა ცოლო, ფიქრობდა იქნება ქალი მყამსო უშვილოვო და რაზე უნდა დავარცხვინო და დავაწილოვო, თავისი სირცხვილ-ნამუსი ეყოფავო და ასე და ამნაირათ ე დიდი ბატონი და ე ეშეთხაელიც ერთი-მეორეს მორიდებაში რჩებოდენ უშვილოთ და არც უმხელდენ ერთი-მეორეს, რო უნდოდავე შვილი ყოლებოდათ.

ჯამათიც წუხდა თავისი ხრიით ამ ყოვლათ პატიოსანი და წესიერი ოჯახისთვინ, რავა არ უნდა დაქვრჩესო ამისთანა დიდი თორა-ბაყალი ბატონიდგან შვილიო, მაგრამა რა უნდა ექნავე, რითი შეეძლოვე ხო მოხმარებოდენ. ერთ ხაან მოილაპარაკეს, უთხრათ რაბი-ბატონსაო, რო ზიარათებზე წაბმანდეს სალოცავათაო, იქნება შვილი გაუჩდესო, მაგრამა აღარ უთხრეს, ის ხო წავიდესო და **(გვ. 3)** ჩვენ უთავპატრონოთ დავრჩეთო, ხალხი ერთმანეთ წეესევაო და თლათ შეჭამენო ერთიმეორესაო და ამის გამოისობით აღარც შეუ-

ბედნიავე. იყო ამნაირი მდგომიარობა. მიდიოდა დღეები, თვეები, წელიწადები, მაგრამ ამ ბატონ შვილი მაინც არ გაუზდა; მერე და მერე ხანში ხო შედიოდა, უმფრო და უმფრო წყდებოდავე ორივე ცოლქმარ გული უშვილობისთვინ.

ერთ დღეობის დღეეს, ამ ბატონ ესტუმრა ერთი სხვა ქვეყნიდგან ჩამოსული კარქა მოხუცებული შალიახი. ე შალიახი უყურებს, ე ბატონი დღე და ღამე თორას ჭინახულობს, გამჩენ და ჯამაათ პირნათლათ ემსახურება, ამ ქვეყანაში ყველა პატივ ცემს და ყველაკანასაც ძალუან უყვარსე ცოლიცა და ქმარიც, იფიქრა თავის გუნებაში: მოდი, ერთი შევეკითხები ბატონსაო, თუ რიტომ არ წუხსო, ხო შვილი ეყოლოსო და ერთხელ სულ მარტო როისაც დარჩენ მიდრამში, უთხრა ბატონ ამ შალიახმა დიდისაგან დიდი მორიდებით.

– ბატონო რაბი, მეხილა მიქებოიდახ, რა მიზეზი არი, რომა თქვენისთანა დიდ ბატონსა და თორა ბაყალსა შვილი არ ქყამსე, თქვენი მიზეზი არი თუ თქვენი ეშეთხაელი ქალისაო. რაბიმ უპასუხა: არც გამამიკითხია, არც თორაზე დამიხედებია მაგის თაობაზე და არც ვიცი, თუ გამჩენის ნება იქნებოდა, გვეყოლებოდავე, თუ არა და ალბათ არ ვყოფილვართ **(გვ. 4)** ღირსი, იკურთხოს მისი გარიგებულობა, მისი სიხასე და სიპატიოსნე და არც დაგვამადლიანავეო.

შალიახმა მუახსენა კიდე მეხალით, რომა: ამსაყას თუ შეკვეთამთო და ზიარათებზეაც თუ ილოცამთო, იქნება კიდევაც გეყოლოსოე, რაზე და რიტომ უნდა გადავარდეთო თქვენისთანა ცოლქმარიო უშვილმომავლოთაო და ან ჯამაათ რიტომ არ დარჩესო თქვენისთანა თორაბაყალის ნაწელგულეზიო. ერთი სიტყვით, დღეეს, ხვაალ, იმდენი ელაპარაკა ე შალიახი ამ ბატონ, იმდენი ეხვეწა რომა, მართლაც და დაითანხმა ე ბატონი ხო წავიდოდა ზიარათებზეაც სალოცავათ და კიდევაც შეკვეთამდენ ამსაყას ორივე ცოლქმარი.

როისაც გადაწყვიტა ამ ბატონმა ზიარათებზე წასვლა სალოცავათ და ჯამაათსაც გაუცხადა, მივდივარო ზიარათებზეო, იქნება გამჩენმა ღმერთმა წელგული გამიხსნასო და სამოძიროზე დამამადლიანოსო, ჯამაათ ძალიან გეეხარდავე, გამსეს ე ბატონი საგძლით: ფარეებით, ვისაც რა შემლება ქონდა, ისე გაატანეს, გზა დაულოცეს და გაისტუმრეს.

წაბმანდა ე ბატონი სალოცავათ ზიარათებზე, ცოლი კი არ წაიყვანა და არც შეუბედნია ამ ემეთხაელ, თუ – მოდი და რიტომ არ წამიყვანო, – უზიარეთებოთაც დღე და ღამე ღმერთისა და მისი გაჩენილის სამსახურში იყო, ღარიბისა და ქვრივ-ობოლის შემზრალე იყო და თანაც ხელშიაც ამუშადიოდა, მისი ოჯახი სულ წინ და წინ მიდიოდა წყაროს წყალივით ისეაც, რამტენ მეტ გაცემდა, **(88. 5)** იმტონი უმფრო და უმფრო ემატებოდა იმათ ოჯახ.

როისაც ე ბატონი ზიარათებზე წაბმანდა და შეეხვეწა ზიარათებ რომა ღირსებოდა იმას გასაზდელ-დასარჩენი სამოძირო, ცოლის – ემეთხაელის – ჯავრზე უმფრო თავისი ჯამათის აწუხებდა, რომა არ აირიოსო ჯამათიო, უსიამუნობა არ შეექნესეო; სულ იმას თხოვდა ზიარათებ, როგორც შვიდობით დავტევეო ჩემი ჯამათიო, ისევე შვიდობით დამახვთერევეო. იმტენათ აწუხებდა ამ ჯამათის დარდი რომა, დღე და ღამე, სიმმარში და ცხადში სულ ისინი აგონდებოდა; ძალიან ეერია ამ ბატონ სიმმარებიც. როგორც კი თვალ მოხუჭამდა თვარემა, სულ უსიამუნო სიმმრებ ხედამდა.

გაათავა ამ დიდმა ბატონმა ზიარათებზე შეხვეწება, ახსენა გამჩენის სახელი და მოდის თავის ჯამათში და თავის ოჯახში, ამსაყა შეკვეთა, ოღონო ღმერთმაო, ცისა და ქვეყნის გამჩენმაო, ჩემი ჯამათი შვიდობით დამახვთეროსო და ამსაყას კიდე სხვასაც ვიზამო. კი შეკვეთა ე ამსაყაც მარამა, მაინც ვერ დამწყნარდა, მაინც კიდე ნახულობს სულ გლახა სიმმრებ და ძალიანაც ღელამს, არ იცის, რისი მიზეზით არი ე სიმმრები.

ასე თუ ისე, როგორც იქნა, მოვიდა თავის ქვეყანაში, დაბრუნდა, ჯამათიც ყველა შვიდობით დაუხვთა და ოჯახიც. ერთი სიტყვით, გეეხარდა ასე ხო დაუხვთა სუყველიფერი, ახლა უმფრო იმედი მიეცა, არ ვყოლივარო გამჩენსაო მოძულეებულო და **(88. 6)** იქნებაო სამოძიროც გამიჩთესო.

ბატონის ემეთხაელი ცოლიც, როგორც ისრეელის ქალის დინი მოითხოვს, ქმარი რო მუშვიდა, დატრიალდა, მიეგება ქმარ, როგორც ჩოვილობა ქონდა, დაბანა, დარეცხა, დაუცვალა, მუასვენა და თითონაც ახსენა გამჩენის სახელი, დაიბანა და იტებილავა. ტებილიდგან ხო დაბრუნდა ე ემეთხაელი და გაიხედა, რას ნახამს, ლოცვის კარებშიავე, როგორც კი მეზუზას მიადგა დასამშვიდობებლათ თვარემა, იქავისე ვინძახამ ყურში ჩაუფუჭუნა რომა – ამაღამიდგან

ფეხ დაიდგამო შენეო და ვაიშვილი გეყოლებათ – შეკტა ე ეშეთხაელი, რა ამბავი არიო ესეო ჩემ თავზეაო, აქანა არავინ ჩამსო და ე ხმაა სიდგან მესმისო. კიდე მიიხედ-მოიხედა, იქნება ვინმე მეყაშმირებათ და კარქათ დავრწმულდეო, კიდე არავინ არ ჩამს; მერე კი იფიქრა, ალბათ გამჩენმა თუ გამამიგზანათ გამოსაცდელათ რამე ანგელოზიო, იქავისე დაიჩოქა და გამჩენ მადლობა მუახსენა ლოცვის კარებშიავე. აქო და ადიდა მისი სახელი, მისი პატიოსნება და მისი სიდიდე; მოყვა შემაყ ისრეელი და წაღმა დაბრუნდა.

შახში ხო მივიდა, ბატონი დაუხვთა თორის მოჭინახულე, ისე ჩუმათ შევიდა, მოიხადა თავშალი და კუთხეში მიდვა რომა, არც კი შეახედვინა ქმარ. ბატონმა ხო დაინახა რომა მისი ცოლი შახში შემოვიდა, არ გეეხმაურა, არც არაფერი არ კითხა, იფიქრა ნამდვილათაო სატებილოთ იყოვო **(გვ. 7)** წასულიო და ვითამ არც კი არაფერი, ისევე თორის კითხვას შეუდგა.

დაწოლის დრო რო მოვიდა, ეშეთხაელმა ქმარსაც გაუხწორა ლოგინი და თავისთენაც გაიხწორა. ბატონმა თავის ლოგინში მოისვენა და იქავისე ჩეეძინა კიდევაც, ხო ჩეეძინა თვარემა იქავისე, სიძმარი ნახა: სიძმარში გემეეცხადა ამ დიდ ბატონ ერთი თეთრწვერი და მუახსენა: ბატონო, ბატონო, შენი ლოცვა და ამსაყა გამჩენმა მოისმინა, ისმინა და გადაწყვიტა რომა დაგამადლიანოს შენე ვაიშვილზე, ოღონ იმ პირობით რომა, შენი ვაიშვილი ხო გახთება ცხრა წლის, ისევე ისე გამჩენმა უნდა მიირთმიოს მისი ნეშამა; თუ ხაარ ამნაირათ ყაბული, ამაღამვე შენი ეშეთხაელი ცოლი ფეხ დაიდგამს, თუ არა და სხვანაირათ არც გაგიჩთება და არც გეყოლება, ამისთანა გადაწყვეტილობა არი მალლიდგან.

ბატონ უკვირს ამ სიძმარში რა ამბავი არიო ესეო ჩემ თავზეაო, არც კი ვიცო, დავყაბულდე თუ არაო და მოუფიქრებლათავე უთხრა: ოღონ გამჩენმა კი მადირსოსო ვაიშვილიო და დავინახო თვალითაო და მერე კი მისი ნება არიო, კვდარიც მის ხელში ვაართ, მისმა მზემან, და ცოცხალიცაო.

გემეეღვიძა ბატონ, ერთმა ხანმა ხო გაიარა და მიიხედ-მოიხედა, ცოლი ძინარე ნახა, არ გააღვიძა და არც შეაწუხა, მაგრამ არ იცის რა ქნას! ე უპატრონო, ე ახლა **(გვ. 8)** ამ დამინებამდისინი ნახული სიძმარი, რარაინი იყო! ვეღარ მოისვენა, რა მამივიდაო, რომა სულ ამისთანა არეულ სიძმრებ ვნახულობო, ადგა და თორის ჭინახულ

შეუდგა ისევისე. კითხილობს თორას ე ბატონი, კი კითხილობს, მაგრამა ე თეთრწვერი მაინც ერვენება და იმისი ხმააც ყურებში ესმის, ვედარ იკითხა გულიანათ.

ბატონი რო თორის ჭინახულშია და ამ ფიქრში არი, არც იმის ცოლ მინამს, ამ ეშეთხაელსაც ი უცხო ხმის ფუჩუნი მოსვენებას არ აძლევს. ვედარ დაიძინა, ვერც მოისვენა, შამფურივით ტრიალობს ლოგინში, რქმის ლოგინიდგან წამოდგომაც გაიგო, მაგრამა, ვითამ არც კი არაფერი, თითონ ისევ ისე მინარეთ იგონებს თავის თაავ.

ერთი სიტყვით, ორივე ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე დელამენ და არცეთი არ ეუნებთან ერთი მეორეს თუ, მოდი და, რიტომ არიან ამ მდგომიარობაში. ე ბატონი ფიქრობს, ვაი თუ სიმძარი არ ამიხთესო, ამტენი ხანი არიო, ზიარათებზეაც ხო ვიყავიო, გლახა სიმძრები მქონდაო, მაგრამაო შახში და ჯამათში ყველიფერი შვიდობით დამიხვთავო და ახლა ხო ჩემ ცოლ ე სიმძარი უთხრა და ავამფოთოვო, არ მინდავო, ჩემ გულში შევინახამო; ისე ე ეშეთხაელიც ფიქრობს თავის გუნებაში, რამტენი რამე ადამიან მეერვენებაო და მეელანდებო, ყველიფერი რავა უნდა დაიჯეროსო და ყველიფერ რავა უნდა აყვესო, რაზე უნდა **(გვ. 9)** გავუმხილოვო ჩემ ქმარსაო? ბობშები ხო არ ვართო და არც არაფერ ეუნება, თავის გულში ინახამს.

ასე თუ ისე არცეთმა არ გაუმხილეს ერთმანეთ. იქნა გამჩენიდგან გადაწყვეტილობის შესრულება და როისაც დატოლდენ ე ბატონი და ე ეშეთხაელი კიდევაც ჩეესახავე შვილი.

ამ ეშეთხაელმა ხო შეატყო თავის თაავ რომა, ორსულათ ვაარო, გაუფთხილდა, უმფრო სუბუქ საქმეებ თუ გააკეთებდა, თვარემა მძიმეს ხელ არ კიდებდა, ხოლოთ ქმარ კი ვერ უმხელდა სირცხვილით თუ მოდი და ფეხი დავიდგო.

ე ბატონიც კი ატყობდა თავის ცოლ ხო მიზეზობდა და გულნაქცეობდა მაგრამა, არც ეს არაფერ ეუნებოდა, არ დავაწბილოვო და არაფერი მეევნოსო; ამასობაში კიდევაც გაიარა ცხრა თვეემ და ამ ეშეთხაელ მართლაც დებებადა მშვენიერი, დედას რო უკეთესი არ უშობია, იმისთანა ვაიშვილი.

თელ ჯამათში შეიქნა დიდი სიხარული, რადგანაც იმათი ბატონი რაბი დამადლიანდა სამოძიროზე და ისიც ვაიშვილზე. შაბათ რო ეიშალამი გადმოიძახეს ლოცვაში, მეორეთ მოსვლის ამბავი შეიქნა, ისე გეეხარდა ჯამათ.



მონათლეს ბოზში, გადაიხადეს დიდისაგან დიდი მილა, ილხინეს და იმხიარულეს. ბატონ კი უხარია თავის გუნებაში, რო დეე-ბადა ვაიშვილი მარამა, გულში გეინამი ააქ, წვაამს და დაგამს, ხო მოაგონდება თავისი ნანახი სიმძარი, სულ მიგმიგ დააწყებინებს ხოლმე, კიც ჯერა და არც ჯერა ი უპატრონო სიმძარი, **(გვ. 10)** მარამა რო წამოუდგება თვალწინ თეთრწვერი და იმისი ნათქვამიც, ხწორეთ ის არ აძლევს მოსვენებას.

ემეთხაელმა კი არაფერი იცის და არც უმხელს იმას ბატონი, არ უნდა ხო შეაწუხოს, იქნება დაბათლდესო ავი სიმძარიო და ჩემი შვილი კი გაიზარდოსო.

ე ბოზში იზდება მარამა, რარაინი იზდება, იმის ნახვას რა ჯობია მზესა და თვარეს გაამს, ერთი კვირის ხო გახთაა, ერთი თვისას გამდა და ერთი თვის ხო გახდა, ხწორეთ ერთი წლისას დემსგამსა; ერთი წლის ხო გახთა, ნამდვილათ გამდა ხუთი წლისას, დედის ნაშობი იმსიმშვენიერესი და ლამაზი არ დაბადებულა ამ აბლია ყოლამზე, ჭკვიანი, ენამეტყველი, გონიერი. ხარობდენ და ხაფიფობდენ დედ-მამა და ჯამათი ამ ბოზში, ყველაკანა იმის მზეეს იფიცამდენ. უხაროდავე, როგორც საყოლკეთილ, ისე ტერ-მოყვარესაც, ამ ბატონ რაბის არავინ არ ენდურებოდა, სუყველაკანა ერთგულ-ერთსული და კაისმთქმელი ყამდა, იმის ჭირი, ჭირათ მიაჩდა ჯამათ და ლხინი ლხინათ. ასე და ამნაირათ იზდება ბოზში; ხო გახთა სამი წლის თვარემა, ის შაირებ შემოძახებდა, ის ხმაზე დააკვიკინებდა, ვინ გამოჩდება იმასთან, რაც გინდა დიდი მეშაირე ყოფილიყო ვინმე, სუყველას უკან მიაყენებდა, იმისთანა ზარასავით ხმა ქონდა.

ხუთი წლის ხო შეიქნა ე რაბის სანატრელი და ვინლა დაუდგებოდა წინ, თლათ ვაშკაც გამდა სუყველიფრით, **(გვ. 11)** აღარაფერი აღარ გემეპარებოდა, რაც კი ღმერთ გაუჩენია ამ ქვეყანაზე, სუყველიფერ დასმენდა.

ემეთხაელი დახაროდა ამ სანატრელ ვაიშვილ, იმაზე ამოდოდა მზე და თვარე. ბატონიც იმედიანათ იყო სულის მახსენებელი მრჩებო ქვეყანაზეაო. ხო შეხედამდა ე ბატონი ამ წესიერ შვილ და ხო დააკვირდებოდა იმის შეფაყ, თავის გულში ამოიხვნეშებდა ხოლმე, სიმძარი არ ასვენებდა, ვაიმე თუ ამიხთესო სიმძარიო და ამისთანა სამწუთრო შვილიო ხელიდგან გემემეცალოსო, მარამა ცოლ მაინც არაფერ არ ეუნებოდა.

ე ბიჭი ხო შეიქნა შვიდი წლისა, ოზდაოთხზე დაჯა, ისე მო-  
ციყვებოდა ოზდაოთხ ზეპირათ, რომა ერთხელაც არ ჩაიხედამდა  
თორაში. ხო გახთა მეცხრე წლისა და გაუშვი და გაათავე იმისი  
ჭკუა-გონება და სიტყვა-პასუხი; ახლა კი თელი გემარა იცოდა, რაც  
გინდა დიდი თორა ბაყალი მოსულიყო ვინმე, იმას მაინც ვერავინ  
ვერ მუუგებდა, თელი ისრეელის დინი სულ ზეპირათ იცოდა. ბატონ-  
ნი თავის თაავ ეუნებოდა, ესეო საბედამწვრო უნდა იყოს თვარემაო,  
ამისთანა რავა იქნებაო.

ახლა მოვიდა ი დროო რომა, როისაც ე ბიჭი უნდა შესრულ-  
დეს ცხრა წლის. ბატონის გუულ ბაგა-ბუგი გაუდის, თუ რავარი წე-  
ლიწადი დამიდგებო; ხწორეთ ერთი კვირე ხო აკლია ამ ბიიჭ ცხრა  
წლის შესრულებას და კიდე დეესიმძრა ბატონ ი წვერთეთრი და მუ-  
აგონა: -ხო **(გვ. 12)** გახსობსო შენი პირობავო, გამჩენმა თავისი ამანა-  
თი უნდა მიირთმიოხო. სიმძარში ამ ბატონ ხმა ჩაუვარდა, ველარა-  
ფერი ველარ თქვაა, ისე გემეღვიძა, დამლა დაცემულივით. რა ქნაას  
ახლა, მეტი დამალვაც აღარ შეულია, გაამხილოს და ვის ედევოს,  
ღმერთმა მისცა იმ პირობით, ცხრა წლის ვადით, მერე თავისი ამანა-  
თი თითონავე უნდა დაიბრუნოს, თუ არა და რა ქნაას, ენანება ე შვი-  
ლი სასიკვდილოთ, არ ემეტება მიწისთვინ მისაბარებლათ.

დადგა ი ღამეც, როიცა ე ბიჭი ცხრა წლის უნდა შესრულდეს.  
ადგა ბატონი და იმ ღამეს ლოცვაში წაიყვანა შვილი, ცოლ უთხრა  
რომა, ამაღამ იქ უნდა გავათიოთო ღამეცო და თუ დაგვაგვიანდესეო,  
არ შეგეშინდესო. წავიდენ მამა-შვილი ლოცვაში, ბატონმა იფიქრა,  
ლოცვაში რავა გაბედამსო მალახამევეთიო შემოსვლასაო.

შევიდა თუ არა ე ბატონი ლოცვაში თვარემა, შვილ უთხრა:  
ამაღამ აქანა უნდა გავათენოთ თორის კითხვაშიო და კარები ურდუ-  
ლებით ჩაკეტა. შვილიც რავა წაუქცევდა თაავ მამას, დაყაბულდა და  
ორივემ თორები ხელში დაიკავეს და კითხულობენ. შუაღამე ხო მუ-  
ახლოვდა, ბატონი ფხიზლობს, არ დემეძინოსო, მაგრამა ისე მაგრათ  
დეეძინა, რო ვინმეს თლათ ჩეენტვრია ლოცვის კარები, ველარ გაი-  
გებდა, იმაზე ადრე კი იმის შვიილ დეეძინა. შუაღამე ხო შეიქნა თვა-  
რემა, იქნა გამჩენიდგან წყალობა, ჩამოვიდა მაღლიდგან მალახამევე-  
თი, მიადგა პირდაპირ ლოცვის კაარ, დაადვა გამჩენის გამოტანებუ-  
ლი კილტეები, გაალო კარები, შევიდა შიგა, უნდა აილოს ამ ყმარწვი-  
ლის ნეშამა; ორივე მამა-შვილ ძინამსე, შეხედა მალახამევეთმა ხო

მინამს, **(გვ. 13)** ე ბიჭი ვეშაპივით არი ცხრა წლის, შეებრაღა ამ უწმინდურსაც კი, ღმერთ რა უთხრა თვარემაო, ამისი მოკვლა მართლაც კი არიო საცოდაობავო, დაადგა თავზე, აართვა ნეშამა ამ ყმარწვილ და თვალცრემლიანმა მიუტანა გამჩენ და მიაართვა.

გათენდა დილა სასიკეთო, გეეღვიმა რაბის ლოცვაში, ურახუნებენ, შიგნიდგან ააქ ჩაკლეტილი, ადგა, თვალეზი ამოიფშენიტა, მიადგა კარებ გასაღებლათ, მერე იქავისე მოაგონდა, შვილი მყამსო აქანაიო და რავა დამძინებიაო, მივიდა დახედა შვიილ, ვაი ამსაა...

ერთი თავი და ორი ხელი იშინა ბატონმა, მიცვალეზული შვილი უღევეს წიინ. შეიქნა ხმაურობა და მწუხარება. ბებრი იმწუხრა ბატონმა, ბებრი იტირა, ეშეთხაელმაც, ჯამათმაც, მაგრამა რაღას გააწყობდენ. მიაბარეს მიწას მიცვალეზული, რომენიც თელმა ჯამათმა იმგლოვა, ყველა აბელათ დაეცენ, ისე შეწუხდენ, მარამა რაღა გეეწყობოდა. ხო შეხედა რაბიმ რომა მიცვალეზულ ველარ გაცოცხლებდა და ღმერთის საწყენ ჩადიოდა, დაუმახა ჯამათ და გამუუცხადავე, რაც მოხთა, რანაირათაც ნახა სიმძარი და ხო არ გაამხილა, მერე რანაირათ ეგონა ლოცვაში წაყვანით გადავარჩენო მაგრამა, გამჩენის ნება ასრულდა, მან თავისი ამანათი მაინცა დაიბრუნა და ბოლოს უთხრა ჯამათ: არაფერ დროში, შვილებო, გამჩენ არ შეეჭიდოთ, შევცოდე გამჩენ, იმის წინამდეგ წევედი, ვაწყეინე, მარამა, მაინც ვერაფერი ვერ გავხთი, მოსავალი მოვიდა; თქვენე ყველაკანაი ჩემი შვილები ხართ, ი ჩემი ნაწელგულები საბედამწვრო იყო და მოჩვენება. თქვენი თავი მაინც დამრჩეს სიკვდილის საათ უკლებლათაო.

### **ქუთაისელ ებრაელთა ქართული (VI რვეული)**

ჩაწერილია როზა თავდიდიშვილის მიერ

#### **13. ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა) (გვ.1)**

ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი ღარიბი და საწყალი კაცი. ე კაცი ისე ღარიბი და ისე გაჭირებული იყო რომა, ამდენა წინ არ ეკრა და ამდენა უკან, ცოლი და შვილი შიმშილით ეხოცებოდა, რამდენ არ

მაცადინობდა, მაგრამ ასლახა (გამარჯვება) არსად არ ქონდა. რასაც საქმეს ხელ მოკიდებდა, არ უმართლდებოდა.

ცოლი ეჩხუბებოდა ხომე ამ კააც, ჩვენო რჩენა გვინდავეო, რიტომ ვარდებოდო ჩვენ ცოდოშიაო, წადი სადმეო სხვა ადგილზე-აო, იქნებაო გამჩენმა მაზალი (ბედი) გამოგიცვალოსო.

ცოლის ჩხუბით თავმოებურებულმა, იმ ღამეს გლახათ დაიძინა, თელი ღამე არეული იყო, დილაზე კი ჩეეძინა და ნახა სიძმარი. სიძმარში ვითამ თავით მზე უდგა, ფეხით – მთვარე, მარჯვნივა და მარცხნივაც – მასკვლავები. გეეღვიმა გაკვირებულ, რა ვნახეო ესეო, რა სიძმარი იყოვო, ვერ გეერკვია. უკვირდა ძალუან, მაგრამა ცოლ მანც არ გაუმხილა, თითონ ბებრი იტრიალა წადმა-უკულმა, რანაირათ ავხსნავო სიძმარიო, წრიალობდა.

გაგითენდა დილა სასიკეთო, ადგა ე საწყალი კაცი, ღმერთი ახსენა, ნეტილათი (ხელისდაბანა) ქნაა, ილოცა და ცოლ უთხრა რომა, სამუშაოს სამებრათ მივდივარო და ვინციგობა არი, დამაგვიანდესო, არ შეშინდეო. გაუდგა გზაას და წავიდა.

ამ უბედურ ტანზე ცარიელი კონკები ეცვა, ისე იყო დაგლეჯილი ისე, რომა კოდი ცერცვი რო შეგეყარნა ერთი ძირ არ **(გვ. 2)** ჩამუარდებოდა, სუყველა ზედვეე შერჩებოდა; არც არაფერი არ წამუღლია სახლიდგან ერთათ ერთი მამა-პაპის დატევებული კომბალა ჯოხის მეტი, იბიჯებდა ამ ჯოხ და მიაბიჯებდა ღმერთის სახელზე, მაგრამა რო გეკითხა, სად მიდიხარო ან ვინა ხარო, ვერც კი გიპასუხებდა, ისე იყო დაჯავრიანებული ე საწყალობელი.

ბევრი იარა, ამასობაში კიდევაც შემუადამდა, გაიხედა – შორი-ახლო სინათლე მოჩამს. ადგა და ამ სინათლეს მიყვა, მივიდა, მიუახლოვდა, ნახა, ცხვარის ჯოგი შეუფარებია მწყეეს და ცეცხლი გაუჩაღებია. მწყესმა მიიღო, სტუმარი ხვთის არიო, გაუზიარა თავისი ულუფაც, გვიკადრეო, თხუა. რო ივახშმეს და დაძინების დროც მოვიდა, მწყესმა ღამე გაათევიანა თავის თავთან და ისე სცაა პატივი, რაც მუუხერხდებოდა.

დილაზე საწყალმა კაცმა მეცხვარეს დიდისაგან დიდი მადლობა მუახსენა და წასვლას დეეპირა, მაგრამა მწყესმა მეცხვარემ ისი არ გაუშვა. მანამდისინი, სანამდისინი არ მეტყვიო, სად მიდიხარო, ვერ წახვალო; ჩვენთანაო წესათ არიო, ვინც უნდა გაიაროსო, სუყველაკანა უნდა მივიღოთო, პატივი ვცეთო და კიდევაც ვიცოდეთო,

ჩვენი სტუმარი სად მიდისო. ისე თავი მუაბეზრა ამ საწყალ კააც, რომა მეტი გზა აღარ ქონდა, უნდა მოყოლოდა ყველიფერ თავისი წასვლის მიზეზსაც და თავის ნახულ სიმძარსაც. ადგა ე საწყალი კაცი და თავიდგან ბოლომდისინი ჩამოუყვა, რაც მიზეზი იყო იმისი სიღარიბისაც და რომენი სიმძარიც ნახა, ისიც თელათ დაწვრილებით უთხრა; უთხრა, რომა სიმძარში თავითთ მზე ადგა, **(გვ. 3)** ფეხითთ - მთვარე და მარჯვენ-მარცხენა ხარეზე – მასკვლავები.

ე მეცხვარე გააკვირა ამ საწყალ კაცის ნახულმა სიმძარმა და ერთხან გაშეშებულივით მიჩერებოდა, აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, ენაც ვედარც კი მოიბრუნა, მერე ბოლოს როგორც იქნა, როდის, როდის ამოიღო ხმაა და ამ საწყალ კააც უთხრა: –შენე, მა შენ ნახულ სიმძარ თუ დამითმობ, რასაც მეტყვი, იმას მოქცემ, ოღონ კინიანით (ფიცით) უნდა მამყიდო მეე მა სიმძარი, ახლავ ისე მითხარი, თუ ხარ ყაბული.

საწყალმაც არც აცივა, არც აცხელა, – იმას თავისი გაჭივრება და თავისი ცოლშვილის შიშივლე და სიტიტვლე აწუხებდა, რადა ესიმძრებოდა, – ე მეცხვარე, ხედამდა, რომა დინდარე კაცი იყო, ვითამ ცოტა შეყოყმანდა, ვაი თუ ბებრი არაფერი მამცემსო (ასეა. სავარაუდოა: მამცესო. ნ.ს.), მაგრამა მაინც შეეკითხა დარხე შალომისთვის (ზრდილობისთვის).

– მაინც რას გაიმეტებ შენე, ე სიმძარი ხო იყიდო, რა გააქ შენ გუნებაში, რამდენათ ფიქრობ ხო დაგითმო ამისთანა კარქი სიმძარი, ესე მეე საშვილიშვილოთ მაშიახის მობმანებამდისინი (მეორეთ მოსვლამდი) გამაკეთებს, თქვიი რა გიდევს გუნებაში?

– ახაა, ძმაო, – გადაუშალა ხელები მეცხვარემ, – რასაც კი აგერ შენი თვალები ხედამს ამ ოთხფეხ სურიელ, ცხვარსა და თხაას, ძროხასა და კამბეჩ ყველა შენთვინ დამილოცნია და შენ მოგახმაროს აკადიმ ბარუხუმ (კურთხეულმა), მეე ხელ ვიღებ ამეებზე და შენი იყოს, ოღონ სიმძარი ჩემი იყოს, ემეთ (ჭემძარიტად) როგორც არ უღალატებ ღმერთსა და მოშეს თორას, ისე **(გვ. 4)** სიმძართლეს გეუნები ყველიფერ.

საწყალმა კაცმა თვალები გამუაშტერა, არ ჯერამდა თუ მართლა ეუნებოდა და ისევისე არ გადაიფიქროსო, იქავისე დეეთანახმა.

– მოიტა ხელი, სიმძარი შენე და ე შენი საქონელი მეე!

– მოიტა ხელი, – უთხრა მეცხვარემ და დაუკრეს ერთმანეთ ხელი.

საწყალმა კაცმა ჩაიბარა სულერთიანა, რაც სურიელი იყო მეცხვარიდგან, ერთხელ კიდე ასხნა თავისი სიძმარი თავიდან ბოლომდისინი; გაირეკა იარდენი (ბევრი, მრავალი) სურიელი და წავიდა თავისი სახლისკენ.

მირეკა ამ საწყალმა კაცმა თავის ეზოში თუ არა ე საქონელი, გამეესიენ იმისი ცოლ-შვილი და დაუწყეს კითხვა, ვინ მოქცაო, სად იშონეო და რანაირათ იშონეო ასე ცოტა ხანშიაო.

საწყალმა კაცმა უპასუხავე, – ნუ მკითხამთო, ღმერთმა მამცაო, კურთხეული არიო იმისი სახელიო და მეტ ნულარაფერ ნულარ შემეკითხებითო მაგის თაობაზეაო, უცფათ მოუჭრავე სიტყვა და შეუდგა ქონების მოვლა-პატრონობას იქავისე ე კაცი.

კურთხეულ და კურთხეულ ბმანდება სახელი ადონაისა (ღმერთისა-ბატონისა) არაფრის მქონე ე საწყალი კაცი უცფათ შეიქნა და გახთა ამტენი უთვალავი ოთხფეხი სურიელის პატრონი, დაიწყო მოვლა თავისი ამ ქონებისა და შეუდგა ხასი (წმინდა) ოჯახის აგებას.

გაიარა ერთმა ხანმა და ისე გადინდრდა, ისე გადინდრდა რომა, იმისი ხელის წამამკრავი, ვედარავინაც ვედარ იყო.

**(გვ. 5)** ახლა ამ მეცხვარეს შევხედოთ რა ნესი (სასწაული) უქნა გამჩენმა. მეცხვარემ აიყვანა ერთათ ერთი ცხენი, შემოჯდა ზედვეე, ერთიც ნაზადი მოიხურა და გასწია გზაზე ამ ნაყიდი სიძმარის ასახნელათ.

იარა, იარა ამ ცხენით მეცხვარემ, მიაჭიანებს ცხენ უცხო-უცხო გზებზე, უცნობ და უცნობ ადგილებზე; ამასობაში გაიარა კაი ხანმა, ჯერე ვერაფერ სახეიროს ვერ ხედამს ე მეცხვარე და სკდება გულზე, თავის თაავ ლანძლამს: რა ვქენიო ესეო, მე პირძალღმა, რასა და რაწილა-ბოდილას გემევეკიდეო, ვყოფილიყავიო ჩემთვინ ჩემ სურიელთანა და ჩემ ოთხფეხთანაო და დავტეულიყავიო, ვინ მეძალეზოდაო.

მეცხვარეს ისიც არი, იმედი დეეკარქა, მაგრამა ღმერთ ქუფრი (საყვედური) მაინც არ კადრა, თავის თაავ აბრალეებს ყველიფერ და მეტ არავის – ჩემი ბრალიო არიო, ძალით დავიღუმუპეო ჩემი თავიო.

ამ ფიქრში და ამ წუხარებაში ხო არი და ხვნეშის და კვნესის, იმის ცხენ იმისი არაფერიც არ ესმის, მიჭიანობს და მიჭიანობს მა-

ინც, მეცხვარემ არც იცის, სად მიყავს ისი თავის ცხენს; ბოლოს, როგორც იქნა, გაჩერდა ცხენი და ფეხზე შედგა, ორივე წინა ფეხები ზეით აწია, მეცხვარეც გემეერკვია, თუ სად ვაარო და ან რა ამბავი, რა ყათიდი და ყაბარი არიო ესეო ჩემ თავზეაო. დაინახა, იმის წიინ ერთი იმხელა კომპი არი და იმ სიმალლე რომა, ჩიტი თუ შეფრინდება ზედე თვარემა, ადამ დაარსებული ბასარვადამი (ხორციელი) იქანავერ შეწვდება. ცოტა არ იყოს, შეკთა ე მეცხვარე, სად მამიყვანაო ჩემა მაზალმაო, **(გვ. 6)** ამასობაში კიდევაც დალამდა. ჩამოხტა ცხენიდგან, გაშალა ამ მაღალი კომპის ძირში თავისი ნაბადი, დაწვა ზედევე და დეეძინა.

ამ მაღალ და თვალუწვდენელ კომპში ერთი დიდი სახელუანი ხენწიფის მზეთუნახავი ქალიშვილი ცხოვრობდა; ესე იმისთანა გოგოქალიშვილი იყო, იმისთანაი რომა, მასკვლავებ ეთამაშებოდა და იმისი სილამაზე მზეს აბნელებდა იმსიმშვენიერესი რამე იყო. ამ გოგოქალიშვილ თხოულობდა სხვა სახენწიფოს ქრისტიანის ხენწიფის შვილი და კიდევაც ორივეს უყვარდავე ერთმანეთი, მაგრამა, რადგანაც რომა ისი ისრეელიშვილი არ იყო, თავისი მამა უარზე იყო, რომა არ გაგატანო შენეო უმითაყოლამსაო (არაებრაელს). ამ გოგოქალიშვილ კი სიტყვა ქონდა მიცემული ამ ქრისტიანისთვის რომა ამამავალ დილასაო მეეო, კომპის ძირში ჩამუალო, შენეო კარქი საუკეთესო რაშით დამიხვთიო და წამოქყვებიო, გავიპართო.

ე მზეთუნახავი დილაზე ადრინა კომპიდგან ძირ ჩამოვიდა, ჩუმათ გამოიპარა, ისე რომა მოახლეებ ეძინავე და შეხედა ძირ კომპთან მძინარე კაცი არი. იმას ეგონა, დამგვიანებიაო და ჩემ ლოდინშიაო კიდევაც ჩამინებიაო ჩემ საქმაროსაო; მიადგა ამ ძინარე კაც და დაუწყო გაღვიძება, გააღვიძა კიდევაც და უთხრა: –რალას უყურებ, ადექი ბარედმა და წავიდეთ დროზე, თვარემა დეგვედევენებიან და დაგვიჭირამენ ორივეს.

მეცხვარემ გაიღვიძა თუ არა, არც კი იცოდა, სად იყო და სად არა, თვალეზი არც კი ამოუფშვენეტია, არც ერთი კრინტიც არ დაუმრია არ მიმიხვთესო, ვინ ვაარო და არ მიუცხოვოსო, აღბათაო **(გვ. 7)** ახლა ამ ქალის ხრით მიხთებაო ნაყიდი სიმძარიო, შემოახტა თავის ცხენს, ზედევე ე მზეთუნახავი ქალიც გვერდში მოიჯინა ამ ცხენზეავე და გააქროლა როგორც ქარ-ნიავი. ისე მიქროდენ ორივე ე მეცხვარე და მზეთუნახავი ამ ცხენით რომა არცერთ არ მოუხედნია უკან

ვისთან ვაარო, შიშიდგან ორივე კანკალობდენ არ დეგვედევნონო და არ დაგვიჭირონო, ასე მიქრიალობდენ სანამდისინი კარქათ გათენ-დებოდა.

კარქა ძალი გზაა ხომ გაიარეს და მზე რომ ამობწკინდა მცაზე, მერე შეაჩერეს ცხენი და ორივე ჩამოხტენ. მზეთუნახავმა შეხედა ამ კაცს, ვაი ამ საათ, პირკატა აკი ეცა!... ესეო სიდაური ჩემი საქმარო არიო, გული გაუსკდა ღარმე იმის შეხედვაზე, ე კაცი ვინძაღა უცხო იყო, ჭაპანაი, უშნო მაშხით (ეშმაკს) გავდა და კითხა მზეთუნახავმა ამ მეცხვარეს გაოცებულმა, ელდანაკრავმა: – მითხარი, ვინ ხაარ შე-ნე, სიდაური ხაარ, ან იმ ჩემი კოშკის ძირში რაზე იყავი და რაზე გე-ძინა?!

– მეე, ბატონო, მეცხვარე ვაარ, დამაღამდა ეგერ იქანაი და კი-დევაც დემეძინა, ისრეელიშვილი ვაარ მეეც, ჩემი ნუ შეგეშინდება.

მზეთუნახავმა ხო შეხედა რომა, მეტი გზა აღარ ქონდა, სადღა უნდა წასულიყო, მის ხელში იყო, გული აღარ გაიტეხა, ალბათაო ეს ყოფილაო ჩემი ზიულიო (იღბალი) და უთხრა: შენე ვინც ხკითხოს ვინ ხაარო, ასე უთხარი, რომა ცხვრისა და ცხენის ბატონი ვაარ-თქვა, ისე კი შენი ზიული ვყოფილვარ, ბათკოლ (ღმერთს) ასე დაურემეზე-ბია (გადაუწყვეტია) **(გვ. 8)** მაღლიდგან და მისი გადაწყვეტილობა არ დაირღოვა მისმა მზემან.

მეცხვარემ გაიფიქრა, ეს არიო, მამხედა გამჩენმაო და თავის ხრით იმანაც დაუმატა და უთხრა: ვადაი (ჭემმარიტად) გამჩენის გადაწყვეტილობას ვერავინაც ვერ დაარღოვს, მეც სიმმარი ვნახე და ამიხთა ე სიმმარი ხწორეთ; შენ კი ვინც ხკითხოს ვინ ხაარო, შენ უთხარი, რომა სიმმარ-ბატონი მქვია-თქვა.

მოხვიეს ერთმანეთ ხელი ორივემ, წავიდენ, იარეს და მოძებ-ნეს თუ სადმე ისრეელიშვილის თესლი ბუოდა (არსებობდა) ახლო-მახლო. ბებრი ხეტიალიდგან ხომ დაიღალენ და დაიქანცენ, მიაღგენ ერთ დიდ საახლ. ისე შიოდავე ორივეს ისე რომა, ქვებიც საჭმელათ ეჩვენებოდავე. მივიდენ სახლის კართან და იკითხეს ვინ დგააო, ამ დიდ შახშიაო? კარის კაცებმა უთხრეს, ვინც ცხოვრობდა ამ შახში.

ადგენ ორივე და თამამათ შეუთვალეს ამ სახლის პატრონ რო-მა ორი ისრეელიშვილი – ქალი და კაცი – არიო თქვენ კარზედაო და თქვენი ნახვა და მოლაპარაკება უნდავეო.



ამ სახლის პატრონმა შემუშუთვალავე, ვინ ხაართო, სიდაურე-ბი ხაართო, ან რა ხქვიავო, შემამითვალეთო, ხომ ვიცოდევო.

ახლა ამათმა შეუთვალეს: –კაც ქვიავო, ცხვარისა და ცხენის ბატონიო, ქალსაო – სიმმარ-ბატონიო, ორივე ისრეელიშვილები ვაართო, მიგვიღეთო და სუყველიფერ ჩამოგიყვებითო, რაშიაც არიო ჩვენი საქმეო.

**(გვ. 9)** გაულოვე ამ სახლის პატრონმა კარები, შეუშვავე ორივე, იქავისე გასცა ბძანება, სტუმრებისთვინ დაამზადებინავე საუკეთესო მოსასვენებელი ბინები, საუკეთესო სასმელ-საჭმელი, აბანო დაანთებინავე, სუნელებითა და მუშკამბრებითა და მანამდისინი ორივეს თითონ ელაპარკავე და გამოკითხავე სათითოკაკლაოთ სუყველიფერი, რაშიაც იყო იმათი საქმე. ამ სახლის პატრონმა ხო შეხედა ამ მზეთუნახავ, მისი სილამაზე მზეს დააბნელებს და ე კაცი კი უშნო და ჭაპანა არი, ძალიან გაუკვირდა, რითი მიყვებაო ამისთანა უშნოსა და ულაზათოსაო, მაგრამა სიმმარ-ბატონმა როისაც უთხრა, მადლიდგან გამჩენ-ღმერთ ჩემთვინ ეს დაუვედრებიაო, მეეწონა ამ მზეთუნახავის სადკანიოთობა (სიწმინდე), დალოცავე ორივე მამაშვილურათ, დაუძახა მინიან კააც (ათი მამაკაცი), უკურთხავე ქეთუბა – ქორწილი, გადაუხადავე დიდი ღზინი და წოვილოზა.

ამ დინდარე კაცმა უთხრავე, დარჩითო ჩემთანაო და როგორც სხვა შვილებსაო, თქვენეც ისევე დაგიტევებევო ჩემ ქონებასაო, მაგრამა არ ქნეეს ამათმა, დიდი მადლი და მადლობა გადაუხადეს და დეეპირენ წასვლას სხვა სახენწიფოში.

დაასაჩუქრავე ამ დინდარე ისრეელმა ძვირფასი საჩუქრებით, კიდე სულითა და გულით აკურთხავე; გააცილეს თავისი შვილმამავლიანა საზღვრამდისინი, გემეეშვიდობენ ერთი-ერთმანეთ და ისე გული დაწყდავე ერთმანეთზე, ვითამ ერთი ღვიძლი დედმამიშვილი ყოფილიყვენ.

წავიდენ ახალი დაქეთუბებული ცოლ-ქმარი უცხო **(გვ. 10)** სახენწიფოში, შეუდგენ ცხოვრებას პატიოსნათ, როგორც ეკუთნის საყვარელ ცოლსა და ქმარ და შეექნათ პეტერაი, მაგრამა ყუდრო და კარქი ოჯახი. ისე კარქა ცხოვრობდენ ე ცოლი და ქმარი, ისე კარქა რომა, ქვეყანა იმათ შენატროდავე, – ნეტარძი თქვენ დამტევებელსაო, – ე ქალი კი არ დიდგულობდა, მოდიო და მზეთუნახავი ვაარო, ან თუ გინდა დიდი კაცის, დედისერთა შვილი ვაარო, ნანი ნანატრიო და აზიზ-მაზიზათ ნაზარდიო, პირიქით, თავის მამის ოჯახში

ოქრომკედით კერვა იცოდა, მიყო ხელი ამ საკერავსა, გაითქვა სახელი, ასე კარქათ კერამსო და თელ ოჯახ ამითი არჩენდავე, ქმარსაც გაატანდა ხომე გასაყიდათ და ისე კარქა შონულობდენ, შენი მოწონებული.

კარქა ბლომით რო ფარეები მოაგრუეს და გადინდრდენ, საუკეთესო სახკარიც გაიშენეს. სამი შვილი იმისთანა ყავდავე – ორი ბიჭი და ერთი გოგო – რომა ამ დაბალ ყოლამზე (დედამიწაზე) მათ სიშვენიერი არაფერი მოიპონებოდა. გამვლელი და გამამვლელი ყველა იმათ შენატროდავე. დადიოდენ ჩაცმულ-დახურული, მართულ-მოკმაზული, რა ჯობდა იმათ შეხედვას, ავი თვალით არ ინახებოდენ არცეთი.

იმათ ეზო-გარემოში ყოფნას რა ჯობდა, – რა ხილი და ხინარი, რა ია-ვარდი, რა ბალი და ბახჩა! ეზოში – წყალი, წყალში – სხვადასხვანაირი თებზები, ყმა და მოახლეები – შინ და გარეთ, ერთი სიტყვით, იმისი სიდინდრე ხენწიფესაც კი შეშურდებოდა და დანატრდებოდა, იმისთანა კარქი ცხოვრება ქონდავე. შვილები ყავდავე იმისკვიანი და გონიერი, ლამაზი (**გვ. 11**) და მეცნიერი, ნიჭიერი და შორმჭვრეტელი რომა, ვინც გინდა დიდი თალმინდ-ხახამი მოსულიყო იმათთან, წინ ვერვინ დაუდგებოდავე და გოგო მაინც თლათ დედის ზგავსი მზეთუნახავი იყო, იმასაც ისევესე ემარჯვებოდა ოქრომკედით კერვა როგორც დედას და კიდევაც ორივე დედა-შვილი ერთათ კერამდენ, ჩიტის სახეს გადაიღებდენ და მოქარგამდენ ოქრომკედით.

ერთ დღეობის დღეეს, როიცა ცისკრის მასკვლავი ამობმანდა იმ დროოს, გეეღვიძა მეცხვარეს; გეეღვიძა და მუაგონდა თავის მწყესათ ყოფნა, დილას რო ალიონზე ადგებოდა ხომე, ესე სუყველიფერი თვალისწინ დაუდგა, წამოდგა იქავისე, ჩაიცვა და დაბლა ბაღში ჩავიდა, მიიხედ-მოიხედა და მეეწონა თავის ეზო-გარემო, თავისი ყოფა-ცხოვრება, თავისი ცოლი და შვილი, ოქრო და ვერცხლი, თეთრი და საქონელი. გაიხედა შოორ მცის ძირში და შეხედა მთვარე ილეოდა, ჩადიოდა, მასკვლავებიც ბჟუტამდენ, აღარ ანათებდენ, მაგრამა მზე კი ამოდიდოდა (ასეა. ნ.ს.); ამოიწია მზეემ ნელა, ნელა და მეეფინა თელ ქვეყანას. მაშინ მუაგონდა მეცხვარეს თავისი ნაყიდი სიძმარი, მიაჩერდა მზეეს ქვეყანა ხომ განათა, რამადამ თავიდგან ფეხებამდისინი დაუარა და გაიფიქრა, სად არიო ჩემი ნაყიდი სიძმარიო, რატომ არ ამისრულდაო, ჩამოჯდა იქავისე მოლზე, თავი ნიდაყვზე

მიიღვა და აკი დეემინა იქავისე. დეემინა ისე ტკბილათ, ისე გემრიელათ რომა აღარაფერი ამ ყოლმის (ქვეყნის) იმას აღარ გეეგებოდა. **(88. 12)** კარქა ხანი იყო მეცხვარეს ასე ტკბილათ აღარ დაძინებია. ტყეში როისაც მწყესათ იყო ხოლმე და ადრე დილაზე როისაც დგებოდა ხოლმე, მარტო მაშინ იძინებდა ასე ტკბილათ. ახლა ამ სიღინდრეში და დიდ ქონებაში, ამ დიდ ყოფა-ცხოვრებაში, ამ ფარჩასა და ბუდუსოში, ამ ლამა-ატლასეულობაში, ისე ტკბილათ კი აღარ ეძინებოდა ხოლმე. ამ წვანეზე კი ისევ ისე გაუახლდა ტკბილი ძილი.

გეეღვიძა სიმძარ-ბატონ – იმის ცოლ, მიიხედ-მოიხედა, ქმარი არსად ჩაამს, ნეტიათი (ხელის დაბანა) ქნაა, გამჩენის სახელი ახსენა, ნელა-ნელა კიბეებზე ჩამოვიდა ქმარის მოსაძებნად, ეძებს, აქეთ-იქით, ზეით-ქვეით, არსად არ ჩაამს ქმარი. შეეშინდა სად არიო, ვაი თუ დავიღუმპეო და მტერმა რამე მიეშმაკაო, ან თუ ვინმე მიღლატა და მიკუდიანაო, – ელდა ეცა, ეძებს და ვერ ნახულობს, და ბოლოს, როგორც იქნა, დაინახა მოლზე ხომ დაძინებია, თავის ნიდაყვზე თავი დაუდვია, მიირბინა ნელა-ნელა, არ გეეღვიძოსო, მიაჩერდა, ხომ კარქათ არიო და თავით დაუჯდა.

გეეღვიძა ქალიშვილ, ადგა, ღმერთი ახსენა, ჩაიცვა და დაიხურა, შეიხედა დედ-მამის ოთახში – სად არიანო. ხომ ვერ დაინახავე, გაუკვირდა, მიიარ-მოიარა ყველა თვალი სახლი და კარი არ გაუშვია დაუთვარიელებელი არცეთი, მაგრამა დედ-მამა ვერსად ვერ ნახავე; ადგა მერე და ბანზე გავიდა, იქნებო იქანა იყვენო, ბანზე ვერ **(88. 13)** ნახავე, მაგრამა, ბანიდგან დაინახავე, – მამას მოლზე ძინამს, დედა თავით ადგია, – ჩაირბინა კიბეებზე, მივიდა, დედ-მამასთან, დედამ ანიშნა, არ დემელაპარიკოვო, ნუ გააღვიძებო მამაშენსაო და იქავისე თითონაც ფეხით დაუჯა მამას ჩუმათ, მიჩერებოდა, ავათ ხომ არ არიო მამაჩემიო.

ამასობაში უფროსმა ვაიშვილმაც გაიღვიძა, მიიხედ-მოიხედა. იმანაც გაიხედა, შახში არავინ არ არი, შეეშინდა, რა იქნენო სუყველაკანაიო, მიირბინა და თავისი ძინარე ძმაა გააღვიძა, უთხრა: არც დედ-მამა ჩაამსო და არც ჩვენი დააო, ნეტია რა დეემართავეო. წამოხტა ლოგინიდან უნცროსი ძმა, უცფათ იმანაც ჩაიცვა და ორივე ძმანები ხელჩაკიდებული დადიან საძებნელათ; თლათ მოიარეს თელი თავისი ძირ-კუთხე, იმთენი (ასეა. ნ.ს.) ეძებეს, მაგრამა ვერსად ვერ ნახეს, ბოლოს ორივემ ტირილი დაიწყეს და იმათმაც ბანზე გადმოიხედეს, აქანა იქნებინაო. დაინახეს მამას, მოლზე დაწოლილ, დედაც

თავით უჯის და დაც ფეხთით. ჩაირბინეს ორივემ კიბეებზე, ნელა-ნელა, ფეხაკრეფით მივიდენ მამის სიახლოვესა და დედამ ანიშნავე, ჩუმად იყავითო და აი აგერ ჩამოჯექითო. როგორც კი დედამ ანიშნავე, აგერ იქანა დაჯექითო, – ერთი ძმა მარჯვნივ დაჯდა და მეორე მარცხნივ, არცეთი ხმას არ იღებს, ყველას გული უკანკალობს, ეს რა ამბავი არიო ჩვენ თავზედაო, მაგრამ არაფერ არ ამბობენ, არცეთმა არ იცის, ან **(გვ. 14)** მამას რიტომ ძინამს მოლზე და ან თითონ რიტომ არიან აგერ იქანა ასე ჩამომჯარე.

კარქა ხანი იჯენ სუყველაკანაი ასე ჩუმად, ხმას არ იღებდენ, ბოლოს როდის, როდის, გეედვიძა მეცხვარეს, გაიშმუშნა და თვალე-ბი არ გაალო, ისე გაიმეორა ი სიმმარი რომენიც იმან იყიდა საწყალი კაციდგან და ახლა ამ დილაზეაც ნახა, ვითამ სიმმარში თავთით მზე ადგა, ფეხთით მთვარე, მარჯვნივთა და მარცხნივთა მასკვლავები. გაალო თვალეები, გაიხედა და თვალეები ამოიწმინდა იქავისე, გაიმეორა სიმმარი და თქვაა: თავთით – მზეე, ფეხთით – მთვარე, მარჯვნივთა და მარცხნივთა მასკვლავები. ცოლ-შვილი მიჩერებია და ვერ უბედა-მენ ხომ კითხონ, რას ლაპარაკობო.

გამოფხიზლდა მეცხვარე და აუსხნა ცოლ-შვილ თავისი ნაყი-ლი სიმმარი, რომენიც დიდი ხანია აწუხებდა, რიტომ არ ამიხთაო და რომ აუხთა ამ დილაზე და ხმამალა თქვაა: –აი, ჩემი სანატრელი სიმმარიც ამიხთა.

გაიზმორა მეცხვარემ, ცოლ ხელი დაადვა და თქვა: –თავთით, მზეე, – ქალიშვილ ხელი მოკიდა და თქვაა: – ფეხთით მთვარე, მარ-ჯვენ-მარცხენა ხარეზე ორ ვაიშვილ მოუსვა ხელეები და თქვაა: მარ-ჯვნივთა და მარცხნივთა მასკვლავები, – აი ჩემი სიმმარის სასიკე-თოთ ასხნა.

წამოდგენ სუყველაკანაი, წავიდენ შახში და როგორც ცხოვ-რობდენ, კიდე უკეთესათ იცხოვრეს.

#### **14. ზატის მწყესი (გვ. 15)**

ერთ დიდებულ ხენწიფეს, სამი ქალიშვილი ყამდა. როისაც ქა-ლიშვილები გაიზარდენ და დაქალდენ, ხენწიფემ სამივე რიგ-რიგო-ბით გაათხუა.

იმ ქვეყანაში წესათ ისე იყო მიღებული, ხენწიფის ქალიშვილი ხო გახთებოდა გასათხუარი, მამამისი მუახლის ხელით ოქროს სინ-

ზე წიმფე ნეესვ გაუგზანინდა; ესე იმას ნიშნამდა რომა, მამა უთვლიდა თავის ქალიშვილ, შენი გათხუების დრო მოვიდაო.

ქალიშვილები ერთი-მეორეზე უკეთესები იყვენ მაგრამა, პირველათ მაინც უმფროსმა ქალიშვილმა მიიღო მამიდგან გაგზანილი წიმფე ნესვი ოქროს სინით.

რაკი ხენწიფე არ გააწბილა თავის უმფროსმა ქალიშვილმა და ყაბულ გახთა გათხუებაზე, ხენწიფემაც, როგორც ეკუთნოდა იმის დიდებასა და იმის ოჯახს, ისე მოიქცა.

ხენწიფემ იმისთანა ლხინი გამართა, იმისთანაი რომა, რაც კი იმის საბძანებელში ცოლსათხუარი კაცი იყო, სუყველა მიიწვია. სტუმრებით სახლი გაიშო, არ დარჩენილა იმ ქვეყნის არცეთი უცოლო კაცი, რო არ მისულიყოს, სუყველაკანა იქანა იყო, ყველას თვალი ეკავა, ვის გააბედნიერებდა ხენწიფის ქალიშვილი და ვის მოიწონებდა, შეეხედნავე ჩქარა ბარედმა.

შუაჭამაში ხო შევიდენ, ადგა ხენწიფემ და უმფროს ქალიშვილ ხელში ოქროს ბურთი მიცა. დაიკავა ამ გოგომ ხელში ე ოქროს ბურთი თვარემა, ყველა სტუმრებ აუარ-ჩამოუარა, არცეთი არ მეეწონა ისინი, **(გვ. 16)** სუყველას გულდასმით ათვარიელებდა, მერე ადგა ე გოგო და თავისი მამის ნაზირ ჩაუგდო ე ბურთი კალთაში; ესე იმას ნიშნამდა რომა, შენ მამწონხარო და ცოლათაც შენ წამოქყვებო.

ამთენი მოწვეული სტუმარი გამწზარი დარჩა, იმიტომ რომა ყველაკანა მეელოდა გაბედნიერებას და ხენწიფის სიძეთ გახთომას, ხენწიფის ქალიშვილმა კი ისევისე თავის მამის ნაზირი გააბედნიერა და იმის ცოლობა ისურნა.

ხენწიფემ დიდისაგან დიდი ქორწილი გადაიხადა, დაასახლა ქალიშვილი, წადმა დააბრუნა და გაისტუმრა.

ერთმა ხანმა ხო გაიარა, ახლა ხენწიფემ მეორე ქალიშვილსაც გაუგზანა ოქროს სინით წიმფე ნესვი, მეორე ქალიშვილმაც მიიღო მამის გაგზანილი, ესე იგი, თანახმა და ყაბული ვაარო გათხუებაზე-აო.

ახლაც დიდი ლხინი და წოვილობა გამართა ხენწიფემ, ისევისე მიიწვია თელი თავისი ქვეყნის საცოლო კაცები და იმისმა ქალიშვილმა უნდა აირჩიოს საქმარო. ხენწიფეს ძალუან გუნებით უნდა და ესურნება ხო შეხვთეს კარქი სიძე ახლა მაინც, იმიტომ რომა პირვე-

ლიდგან ძალუან გული ტკივა, ვერ გამუადგა ხეირიანა, ვერ დააფასა ღირსეულათ ხენწიფის ოჯახი.

შუა ჭამაში ხო შვეიდენ ახლაც, როგორც უმფროს ქალიშვილ მიცა ოქროს ბურთი, უნცროსსაც ისევ ისე მიცა ხელში, ქალიშვილმა მამას გამუართვა ბურთი, აუარ-ჩამუუარა ამ დაპატიჟებულ კაცებ, ერთხელ, ორჯელ, მაგრამა არცეთი არ მეეწონა, ადგა მერე **(გვ. 17)** და მამამისის ვეზირ ჩაუგდო კალთაში ბურთი. შეიქნა ერთი ზიან-ზამანი და ხორი-ხორი, ყველაკანას გული წყდებოდა, რომაო რავა გავიცრუვდავეო იმედიო და კი მუჟლოცეს თეთრი კბილით და შავი გულით, მაგრამა ცხვირებჩამოშვებული და ყურებჩამოყრილი წავიდენ სახლებში, გზა-გზა ერთი ზარაგორა უდგავე.

ხენწიფემ ხო შეხედა, რომა იმისმა ქალიშვილმა თავის ვეზირ ჩაუგდო კალთაში ბურთი, პირკატა ეცა, ძალუან დაღონდა, მაგრამა რაღას იზამდა, მეტი რაღა გზა ქონდა; არ მქონიაო სიძეებშიაო იღბალიო, პირველი თლათ მაზალყანსი (უბედური) შემხვდაო, მე კარქი მეგონაო და არ გამამადგაო, ე ვეზირი ხო თლათ ბეყეირათი (უტვინო) არიო და თლათ წამიღოვო წყალმაო და ეს არიო, თავის გუულ ასკდებოდა ხენწიფე.

ასე თუ ისე, რადგანაც იმისმა ქალიშვილმა იმის მეტი სხვა არავინ არ ისურნა, იმანაც გაატანა თეთრი კბილით და შავი გულით. ვითამ იცინოდა, გულზე სისხლი დადიოდა, იმ გუნებაზე იყო, დანა ხო ვინმეს დეეკრა, სისხლი არ გამუჟვიდოდა. დაასახლა ე მეორე ქალიშვილიც და გაატანა ვეზირ.

ხენწიფეს ახლა ორივე ქალიშვილი ყავს დასახლებული და დაკარებული, მაგრამა ძალუან გულმტკივანი არი ორივე სიძეებიდგან, ვერცეთი ვერ იჩენს შნოონ (ასეა. სავარაუდოა: შნოოს. ნ.ს.) ხო დაუტევოსე ხენწიფემ თავისი ტახტი, რადგანაც ვაიშვილი არ ყავს. ერთი სიტყვით, სულ დაღონებული არი ე ხენწიფე და აღარც უმთელდება გული, მაგრამა ცოტაოდენი იმედი კიდე ააქ რომა, იქნებაო მესამე ქალიშვილით მაინც გაიხაროსო ჩემმა ოჯახმაო და უცდიდა **(გვ. 18)** ყათიდ (მომავალს), როიცა იმისი მესამე ქალიშვილიც გახთებოდა სრულწლუანი და გაათხუებდა.

მიჩერებია ახლა ე ხენწიფე ამ მესამე ქალიშვილ და უცდის თავის მაზალ (ბედს), იმ ორი სიძიდგან რამდენი დღე მიდის, იმდენი უმფრო გული ტკივა, არც ყოფა აკლიავე, არც ცხოვრება, არც სიღინ-

დრე, მაგრამ სახენწიფო ჭკუა არცერთ არა აქე და არც ემჩნევავე. ასე მიდის დრო და წელიწადები.

ერთ დარიან დღეეს ხენწიფის მესამე ქალიშვილი თავის ეზო-ში გულაობდა, ეზოდგან ლობეს მიადგა და ქუჩის პირას გადაიხედა, რას ნახამს ე გოგო, გაიხედა და ერთი კოჭლი მებატე დაინახა. ამ მებატეს ხელში ჯოხი დაუკავებია და ბატებ მწყესამს, მიდენის და მიზდეეს ამ თავის ბატებ, თავზე ტყავი წაუკრია, ასე ეგონება ადამიან რომა, ქაჩალი აქო თავზეაო.

ე მებატე რომ მიადგა ერთ რუუს და გადახტა, უცვათ თავიდგან მოძვრა ე წაკრული ტყავი და ძირ დაუვარდა; მოტრიალდა უცევ ე კოჭლი მებატე და ისევისე რუზე გადმოხტა ტყავის ასაღებათ, ამ დროოს ხენწიფის ქალიშვილმა თვალი მოკრა, რომა ამ კოჭლ მებატეს ოქროს ქოჩორი ააქ და ძალუან ლამაზიც არი. ამის შეხედვაზე ჩაუვარდა ამ გოგოს ე მებატე თვალში და შეუყვარდა კიდევაც.

ე გოგო ამ დღიდგან უთვალთვალეებს ამ ლამაზ მებატეს და ხო იცის იმისი გავლისა და გამავლის დროო, ყვეელთვინ დაინახამს ხოლმე და იმაზე აყოლებს გუულ, ისე რომა არავინ არ ატყობს და არც არავის აზრათ არ მოუვა თუ ე ხენწიფის ქალიშვილი **(გვ. 19)** კოჭლ და ქაჩალა მებატეს გვერდზე შესახედავით თუ იკადრებს.

ამასობაში ე გოგო კიდევაც დაქალდა, გასათხუარი შეიქნა, ადგა მამა მისმა და დრო მოვიდაო ამის დასახკარებისაცაო, ამ მესამე ქალიშვილისაც გაუგზანა ოქროს სინით წიმფე ნესვი.

ამ გოგომ მიიღო ე წიმფე ნესვი და მამას აგრძნობინა რომა, უარ არ ვამზობო გათხუებაზეაო.

ხენწიფემ ახლა უმფრო მეტათ ამოიჭრა გულში ამ მესამე ქალიშვილიდგან მაინც გავიხაროვო და გაცა ბძანება რომა, არცეთი იმ ქვეყნის ახალგაზდა უცოლო კაცი არ დარჩენილიყო იმის სუფრაზე მიუსვლელი და დაუპატიჟებელი.

მოიწვიეს არზაყარასათიდგან (ოთხი კუთხიდგან) სადაც კი იშონებოდა და იპონებოდა საცოლო ვაშკაცი და ბძანება იყო გაცემული, ვინც იმ დღეს ხენწიფის შახში არ მივიდოდა და არ დაჯდებოდა სუფრაზე, დაირჯებოდა, იმიტომ რომა ხწორეთ იმ დღეეს უნდა არჩეულიყო ტახტის ჩასაბარებელი სიძე.

გაიმსო ხენწიფის სახლი ხალხით. სულ მოდის და მოდის ახალ-ახალი ვაშკაცები, ყველამ გაიგო რომა ხენწიფე ორი უმფროსი

სიძიდგან უკმაყოფილო იყო და მესამე ქალიშვილის ქმარი უნდა დატევოს ხენწიფეთ და ყველას პირი ააქ დაღებული, იქნებო მე მომიწონოსო ამ გოგომო; მოსულეზ ჩაუცვიავე საუკეთესო ტანფეხი, გამოკმაზული არიან მართლა ია-ვარდში, ვინც კი შედის ხენწიფის შახში, მარჯვენა ფეხე შედგამს და შემაყ ისრეელ (დილის ლოცვა „გესმოდეს ისრეელო“) ყვება, ღმერთი **(88-20)** შემეწიოსო და წყალობელი ანგელოზი შემყვესო.

დაჯდა ხალხი სუფრასთან, შეიქნა ჭამა და სმან, უკრამენ საკრავები და დაირები, შეიქნა ლხინი და სიმხიარულე, ყველას გუულ ბაგა-ბუგი გაუდის, ვინ გაბედნიერდება არავინ იცის.

ამასობაში ხენწიფემ ახსენა ღმერთი, აილო ოქროს ბურთი და მიცა ქალიშვილ. ადგა ე გოგო-ქალიშვილი ბურთით ხელში, აიარა-ჩამოიარა, რამდენიმეჯერ, აივლის, ჩაივლის, ათვარიელებს და ეძებს, იქნებო სადმე კოჭლი მებატე დავინახოვო, მაგრამ ვერსად ვერ დაინახა, არ იქნა; კიდე აივლის-ჩაივლის, ეძებს, მაგრამ ვერსად ვერ დაინახა, არც არვის არ ჩაუგდო ბურთი კალთაში. მეტი ავლა-ჩავლა ხომ მოუვიდა, მამამის ცეცხლი მეეკიდა და გულმოსულმა უსაყვედურა.

– სუყველა აგერ იქანა არი, ვისაც კი საქმარო ქვია და რაღას უყურებ, აირჩია (ასეა. საგულვებელია: აირჩიე. ნ.ს.) ბარედმა თუ ვინმე მეგეწონა.

– რა ვქნანა, მამაჩემო, რომენიც მე მამწონს და საქმაროთაც მიწნდა, აქანა ვერ ვხედამ და ვინც არც მიყვარს და არც მამწონს, იმას არც წაყვები ცოლათ.

ხენწიფეს გაუკვირდა, რავა მიბედამსო ამტენსაო ე გოგოვო, მაგრამ მაინც გაცა ბძანება, გააგზანა კაცები და დააბარავე: წადით, მაიარეთ ქვეყანა და გაიგეთ ვინ აკლია ამ ჩემ სუფრას საცოლო ვაშკაცი და თუ სადმე ვინმე იპონოთ, საჩქაროთ აქანა მამგვარეთ, იცოდეთ.

ხენწიფის მოსამსახურეები სწრაფათ დატრიალდენ, შეჯენ საუკეთესო ცხენებზე, მიდიან და მიაქროლებენ, აქეთ-იქით აცეცებენ **(88- 21)** თვალე, იქნება სადმე ვინმე დავინახოთო, მაგრამ არსად არავინ არ ჩამს. რა ქნან ამ კარის კაცებმა? ვერავინ ვერ დაინახეს და ხელცარიელი უნდა დაბრუნდენ, მეტი რა გზა ქონდათ. ერთმანეთ ეუნებთან, შავ დლეეს დაგვაყენებსეო ხენწიფეო, ხო ვერვინ ვერ ვნა-



ხეთო და ყურებჩამოყრილი, ისიც არი, გამწბარი ბრუნდებიან, ამ დროოს გაიხედეს და ერთი კოჭლი მებატე დაინახეს, გზაზე გედე-ლობენ და სიცილით უთხრეს: –შე უბედურო, მაზალყანო, ქაჩალო, ჩქარა ადექი და წამოდი, ჩვენი ხენწიფე ქალიშვილ ათხუებს, რალას უყურებ, შენ გიცდის.

კოჭლ ბატების მწყეს გეცინა, მასხარათ მიღებენო, მეყაშმირე-ბიანო, მაგრამა ისინი არ მეეშვენ და ქინჩილ-ქინჩილით გაიმღვანის თან, ე მწყესიც გაყვავე, ბატები იქავისე მიატევა.

გზაზე ხო მიდიან, ბუჩქებში კურდღლები შეხვთავე. ამ კოჭლ-მა მებატემ უცვათ წავლო ერთ კურდღელ ხელი, დაიჭირა და ჩაის-ვა უბეში.

ამას ხო შეხედეს ხენწიფის კაცებმა, ისინიც გადახტენ კურ-დღლების დასაჭირავათ, მაგრამა კურდღლები დაიმაღენ ბუჩქებში და ვერცეთი ვერ დაიჭირეს; გაუკვირდავე და კითხეს ამ კოოჭლ: „შენე რა გააქ ხელებში ამნაირი რომა ასე უცვათ დაიჭირე და ჩვენე კი ვერ დავიჭირეთ, გვასტავლევე, ბეყეირათო, რათი დაიჭირე?“ დაუწყეს სიცილი ამ მწყეეს, მაგრამა არც არაფერი უპასუხავე და არც აინუნში არ ჩააგდო იმათი ლაპარაკი, გაყვავე ფეხ და ფეხ და შევიდენ ხენწიფის შახში.

**(გვ. 22)** მებატე ხენწიფის შახში ხო შევიდა, გადაირია ღარმე, თავის ვითამ დღეში არ უნახია ამისთანა სახკარი, ამდენი ხალხი ერთათ და ამდენი საკრავი და სიმხიარულე; ესე სირცხვილით ერთ კუთხეში მიიკუნჭა და დაჯდა, თავისი დაჭირული კურდღელი უბეში ყავს ჩასმული, ე პეტერა კურდღელი ხან გამოსწევდა ხოლმე თაავ უბიდგან და ხან მიიმალეობდა ხოლმე.

ხენწიფის ქალიშვილი კი აივლიდა-ჩაივლიდა, ოქროს ბურთი ხელში ეკავა, როგორც კი მივიდოდა ამ მწყესის სიახლოვეს თვარემა, იქავისე კურდღელი გამოყოფდა თაავ იმის უბიდგან, შერცხვებოდა ამ გოგოს, ვერ გაბედამდა ბურთის კალთაში ჩაგდებას და ისევ ისე გაბრუნდებოდა, ბოლოს როგორც იქნა, გაბედა და ჩაუგდო ამ მებატეს ოქროს ბურთი კალთაში.

გადაირია ღარმე ხენწიფის სტუმრები, რას მევესწართო ამა-საო, ვინ მოიწონა ამ გოგომაო, ღარიბი და ლატაკი მწყესიო, თითონ ხენწიფეც კვდარ დეემზგავსა, არც მორჩა და არც მოკვდა. იმ დღეში და იმისთანა მდგომიარეობაში ჩავარდა, ვიდგანაც აშენებას მეელო-

და, ვისთვისაც უნდოდა ტახტის დატევა, იმან ყველაზე უმფრო შეარცხვინა.

ხენწიფემ კი გაატანა ე გოგო ამ მწყევს, მაგრამ სახლიდგანაც გააგდო, თითონ იმთენი იტირა, იმთენი იდარდა, რომა მეტი ტირილიდგან თვალეზიდგან დაბრმავდა.

ხენწიფის ორი უმფროსი ქალიშვილები – ნაზირისა და ვეზირის (**გვ. 23**) ცოლები – დაცინოდენ ორივე დანები თავის პეტერა დას, ვის წაყვავო, ე მაზალდამწვარიო, რა მეეწონაო ბატების მწყესისაო და ახლოსაც კი არ იკარებდენ, სასირცხვოთ მიაჩდავე იმათი საყოლკეთილობა.

ბატების მწყესი თავის საყვარელ ცოლთან ძალუან ტკბილათა და შაქრათაც იყვენ, იმათ შუა, შავ კატას არ გაურბენია და ვაგლახათ – შენმა მზემამო ის არ უკადრებიავე ერთი მეორესთენ, არც გული არ წყდებოდავე გინდა მამამისი ხენწიფისა და გინდა თავისი დანების სიდინდრეზე. ასე ეგონავე ჩვენისთანა ბედნიერიო ცას ქვეშეთ ღმერთ არავინ არ ყავსო; უხაროდავე გული, სიამტკბილობა ქონდავე. ბებრ უკვირდა რანაირათ დაიდაბლაო ხენწიფის ქალიშვილმამო ისე და იმნაირათ თავიო, რომაო ბატების მწყევსთან ასე შეეგუვაო და იმას დაჯერდაო, რასაც მებატე მიუტანსო.

ხენწიფე, მეტისმეტი წუხარობითა და ტირილით თვალეზიდბრმავებული, მძიმე ავათ გახთა ლოალეხემ (შორ შენგან), ისე ავათ გახთა რომა ჯანიოს აქიმი მოიყვანეს იმის მოსარჩენათ. ხო ნახა და გაშინჯა ამ ჯანიოს აქიმმა, უთხრავე რომა, სანამდისინიო ირმის რძეეს არ ასმევთო და ირმის ხოორც არ აჭმევთო, ამისი მორჩენაო არ იქნებაო. თუ მუარჩენსო ხწორეთ ეს მუარჩენსო.

ახლა ე უმფროსი ქალიშვილების რქმები, ნაზირი და ვეზირი დატრიალდენ იმისთენ რომა თუ მოქვხედამსო გამჩენიო, ახლა მოქვხედამსო, იქნება ან ტახტი დაგვილოცოსეო ჩვენმა სიმაგრამო და თუ არა და წყევლით მაინც არ დაქვწყევლოსეო, წყევლა უწყევარი არ არიო და ლოცვა ულოცავი არ არიო; შეიარაღდენ ორივე და წავიდენ (**გვ. 24**) სანადიროთ ირემზე.

გზაზე ხო მიდიოდენ, უნცროსი ქალიშვილის ხენწიფის, ბატის მწყესის ცოლი დაუხვთავე, თავის მამის ავანტყოფობა გეეგო და თხუავე: ერთი ცხენი ჩემ ქმარსაც ათხუეთ, იწამეთ ღმერთი ერთი უკვდავი და უცვალებელი ისრეელის, წამუა თქვენთან და ვინ იცის,

იქნება მეგობაროსე და გამოგადგესე რამეში, რაც უნდა იუკადრი-  
სოთ ხომ მაინც თქვენი ქვისლი არი.

ორივე სიძვებმა სამასხაროთ აიღეს ე გოგო და ასე უთხრეს:

– თუ ვიშონით ირემ, ხწორეთ მაგის მოხმარებით ვიშონითო.

ე გოგო მაინც არ მეუშვავე, ტირილი დაიწყო, რაზე მაწბილებ-  
თო ასეო, მეეო ყაბული ვაარ ჩემ ქმარზეაო და სხვისი არაფერი არ მე-  
ხარბებაო, ახლაო ამ გაჭივრების დროსაო, მამაჩემი ჩემდგან ნაწყენი  
კი არი, მაგრამაო მაინც რითაც შეგვიძლიავეო, იმითი გაუწევთ სა-  
მსახურსაო.

დაბოლოს შერცხვავე ორივე ქვისლებ და ერთი გლახა-ჯაგლა-  
გი ცხენი უშონეს, მიაწმეეს (გარჩევა ჭირს. ნ.ს.) ვითამ თვალეში ყა-  
სიდათ, მაგრამა თავის თავთან სიახლოვესაც კი არ მიიკარეს.

ე ბატის მწყესი თავისი ჯაგლაგი ცხენიანა გავიდა ერთ დიდ  
მინდორზე, ამოიღო ჯიბიდგან შეკრულ-შეხვეული ცხენის ძუა და  
დაუწყო სხნაა, გასხნა თვარემა იქავისე იმის წინ გაჩდა თავისი რა-  
ში, დაიწყო ამ რაშმა ჭიხინი და თავის პატრონს ბატების მწყეეს წინ  
დაუდგა; ადგა ე მებატე შემუახტა ამ თავის რაამ, გააქრიალა და წა-  
იყვანა საცახაი. ჩამოვიდა მერე (**გვ. 25**) ამ რაშიდგან, ჯიბიდგან ჯოხი  
ამიღო, მიწაში ჩაასო და იქავისე იმის თვალისწინ ოქროს სუქა გა-  
ჩდა, შევიდა ამ სუქაში და იქ დაუხვთა თავისი საკუთარი სახენწიფო  
ტან-ფეხი. ჩაიცვა იქავისე, წელზე ოქროს ქამარ-ხანჯალი შემოიკრა  
და გამოვიდა გარეთ; გაიარ-გამოიარა, დაიჭირა იქავისე ცალი ხე-  
ლით ირემი, შეუდგა ამ ირემ ოქროს თანჯარი, გაამსო რძით და  
თავდახურული დადგა სუქაში; დაკლა მერე ე ირემიც, აჩეხ-დაჩეხა,  
ტყავი და თავფეხი სუქის გარეთ გამოსაჩენ ადგილას დაკიდა, მერე  
ისევისე შევიდა ამ ოქროს სუქაში და ე ირმის ხორცი დაარშვივა, სულ  
თლათ ერთიანა დაჭრა არშვივბათ.

ორმა ქვისლმა ბევრი იარეს, ბევრიც ცხენები აჭიანეს, ხვითქი  
გაადინეს, ისე დაღალეს, მაგრამა ირმის კვალსაც კი ვერ მიაგნეს; ისე  
დაღონებული იყვენ ორივე ქვისლები ისე რომა, ერთმანეთ თვალ  
ვერც კი უხწორებდენ სირცხვილით. ჩუმათინია (ასეა. ნ.ს.) მიდიო-  
დენ და უკან ბრუნდებოდენ ცარიელი ხელით შახში. გაიხედეს და  
უკან ხო ბრუნდებიან და შეხედეს, რომა რაცახაი შორიდგან ოქროსა-  
ვით ბწკინამს, ერთმანეთ კითხეს, რა უნდა იქნესო ვითამაო ესეო,  
რომ ასე ოქროსავით ანათებსო და ორივემ ფეხ აუჩქარეს, იქნებაო

ოსეფა სადიკის ხაზინას გედევყართო და გვიშველაო აშემით ბარახმაო.

უფრო ახლო ხო მივიდენ, დაინახეს ოქროს სუქა (კარავი) დგაა და სუქის წინა კარებზე ირმის ტყავი, თავფეხი და გულყიათი არი ჩამოკიდებული, ამის დანახვაზე გეხარდავე, თუ ვიშონეთ ირმის ხორცი და რძეო, ხწორეთ ახლა ვიშონეთო. დაიძახეს ორივე ქვისლებმა სუქის გარედგან, გახარებული არიან, ორივეს შეხინა (შუქი) ადგიავე. **(88. 26)** შიგნით სუქიდგან უთხრეს, – შიგ შემობმანდითო. შვიდენ შიგა ნაზირი და ვეზირი, შეხედეს – რას ნახამს იმათი თვალები ამ სანახაობას, ბასარვადამ (ხორციელს) სიძმარში ხო მეეჩვენოს ამისთანაი, ჭკუიდგან შეიშლება, უყურებენ, ვაშკაცი არი მზისა და თვარის ზგავსი, თავიდგან ფეხებამდისინი ოქროს ტან-ფეხით არი ე ვაშკაცი მორთულ-მოკმაზული, ქამარ-ხანჯალით, ოქროს ქოჩორი ააქ იმისთანაი რომა, კააც ბნედას მოგვრის იმისი მშვენება.

მიჩერებიან ორივე ამ ლამაზ ბიიჭ და უკვირსე, რა დედამ შობაო და რა დედამ ზარდაო ე ლამაზი და ოქროს ქოჩორიანი ვაშკაციო, ციდან ჩამუარდნილ მასკვლავ რო გაავსო. მერე კიდე, რაც უმფრო გასაკვირალი, ამისთანა ძვირფას ტან-ფეხში გამოწყობილი დგაა და ირემის ხოორც აარშივებს ისე სუფთათა და ისე ლაზათიანათ რომა, ერთი იოტის ოდენი არაფერი არ ესვრება, ისე მოხდენილათ უკავია ე ოქროს ხანჯალი ხელში რომა, მის შეხედვას არაფერი ჯობია.

შესვლისთანავე ორივე ქვისლები მიესალმენ; იმანაც მიიღოვე და მიიწვიავე კიდევაც, გამოკითხავე რისთვინ შეწუხებულხართო, ორივემ მისულებმა ერთიმეორეს გადახედეს და როგორც უმფრო ხწორი იყო, ხენწიფის უმფროსმა სიძემ ნაზირმა მუახსენა:

– ჩვენე, ჩემო ბატონიშვილო, წამოსული ვართ ორივე, ქვისლები ვართ, სიმავერი ქვეავსე, ხენწიფე, მძიმე ავანტყოფი და გვასწალესე რომა ირემის რძეე დაალევიენტო, ირემის ხორციც აჭამეთო და აუცილებლათ მორჩებაო; ჩვენეც დავდივართ და ვეძებთ, ამტონი ხანი არი ერე...(გაურკვეველია. ნ.ს.) დავიარებით მაგრამა, ირემის ნაკვალეზსაც კი **(88. 27)** ვერ მივაგენით, ახლა ორივე ქვისლები გულდადრიანი უკან ვბრუნდებით ხელცარიელები და აგერ იქანაი ამ სუქის წიინ ირმის თავფეხი და გულყიათი დავინახეთ და იმისთვინ გაიხელით, რომა რაც უნდა დაგვიჯესე, მაინც გადავიხდით და ჩვენ სიმავერ უშველით, იქნება ღმერთმა ინებოს და მოგვირჩესე, თუ არ

იუკადრისებ ხომ მოქცევიდოვე ირემის რძეცა და ხორციც, მეტი სამადლობელი ამ აბლია ყოლამზე (დაბალ მიწაზე) არც უქნია ბასარვადამსა (ხორციელს) და ვერც იზამს ვადაი (ნამდვილათ).

ოქროს ქოჩრიანმა კი იცნოვე თავისი ქვისლები, მაგრამა არ გემეცნაურავე, არც უარი არ უთხრავე, ხოლოთ იმ პირობით შეპირდავე ირემის ხორცისა და რძის გატანებას, რასაც ეტყოდავე ორივეს, ახლავ ისე უნდა შეესრულებინავე; ნაზირმა და ვეზირმაც ორივემ უთხრეს, ახლო ფარეები არ გვაქეო, და თუ გვენდობივეო, ერთი ჩვენთაგანი წავალთო და მეორე აქანა დავრჩებითო და რამდენსაც გვბძანებვეო იქავისე მოგართმევთო.

აქ ქოჩრიანმა უთხრავე, რომა მეო ფარეები და ნიქვითო არ მინდაო, მაგრამაო, მეო ბებრ ვარჩენო ასე ირემის რძითა და ხორცი-თაო და ვისაც კი გავატანო, ყველას ნიშანი უნდა გავუკეთოვო, რომენიც მე მაქო, ისეო არავის არ გავატანო.

ნაზირმა და ვეზირმაც: კი ბატონოვო. კიდე უფრო გეეხარდავე და დეეთანახმენ. ოქროს ქოჩრიანმა ორივე ქვისლებ მარჯვენა ყურის ბიმიბილოები გაუჭრავე და უკან საჯდომზე კიდე ორივეს თავისი რაშის დადი დაასვავე, არცეთმა არ **(გვ. 28)** იუარეს და გააკეთებინეს. თავისი კი შეისრულა ამ ოქროს ქოჩრიანმა და სხვაას რადას დეემებ-და, მერე კი საყოფათ გაატანავე ორივეს ხორციცა და რძეც ირემის და გაისტუმრავე.

ორივე ქვისლები დიდისაგან დიდი მადლობელი გაუხბენ და შეპირდენ რომა, თქვენ პატვისცემასაო მაშიახის მობძანებამდისინი (მეორეთ მოსვლამდი) არ დავივიწყებთო, თუ გამჩენმა ინებაო და ჩვენი სიმავერი გადაგვირჩაო, სამაგიეროსაც გადავიხდითო.

ოქროს ქოჩრიანმა როგორც კი ქვისლები გაისტუმრავე თვარემა, იქავისე სუქიდგან გარეთ გამოვიდა; თავისი რაშიც შემეეგება წიინ ჭიხვინით; რაში ფეხებით მიწას თხრიდა და იმისთანა ბდღვე-რი იდგა იქაურობაში, რომ ადამიანიშვილის თვალი ვერაფერ ვერ გაარჩევდა და ვერც შეხედამდა.

რამმა ხომ დაინახა თავისი პატრონი, უკან-უკან დაიხია. ოქროს ქოჩრიანმა ამუაძრო მიწიდგან ი ჯოხი, რომენიც წელანა ჩასაო, იქავისე გაქრა ოქროს სახენწიფო ქამარ-ხანჯალიც, ტანისამოსიც და სუქაც. შემუახტა მერე ამ რაამ და გააქანა, რაში ისე მიქრიალობდა, ისე რომა ასე გეგონებოდა ცა და დედამიწა ინგრევაო, ანძრევდა ყო-

ლამ (ქვეყანას). როგორც კი მოვიდენ მინდორთან თვარემა, გადმო-  
ხტნა რაშიდგან, შეახვია ისევისე ძუა, ჯიბეში ჩაიდვა და რაში ისე გა-  
ქრა, როგორც ჩდილი.

დაიხურა ბატების მწყესმა თავისი ტყავი თავზე, ისევ ისე წა-  
იკრა როგორც ქონდა, აილო ხელში ჯოხი, გაუძღვა წინ თავის ჯაგ-  
ლაგსა და უკან წამოვიდა თავის შახში.

**(გვ. 29)** შახში ხო მივიდა, თავის ცოლლ არაფერი არ უთხრა, ვითამ არაფერიც არ მომხთარიყოს და არც არაფერი იცოდეს, ცხენი თავის ქვისლებ დაუბრუნავე, ვითამ დარცხვენილმა, იმათმაც სამას-ხაროთ აიღეს, ერთიმეორეს გადაულაპარაკეს, – ხწორეთ ამას მიუ-გავდაო მაზალ-დავლათიო, ვინც ირმის ხორცი და რძეე მოქცავყო, გაცინეს.

ხენწიფემ როგორც კი შეჭამა ირემის ხორცი და იმისივე რძეც დალია თვარემა, იქავისე მორჩა და როგორც იყო ისევისე გახდა. სი-ძეების დიდისაგან დიდი მადრიელი იყო და აღარც აღარ ენდურე-ბოდავე, რადგანაც სიკვდილსა და სირცხვილ გადაარჩინეს; ამ სა-წყალ უნცროს ქალიშვილ და არც იმის ქმარ სიახლოვესაც კი არ იკა-რებდა; გინდა მყოლიაო და გინდა არაო, ჩემთვინაო კვდარი არიანო, – ასე ამბობდა ხოლმე.

მორჩა, ჩემო ბატონიშვილო, ე ხენწიფე და შეუდგა ისევ ისე თავის სახენწიფოს უმფროსობასა და პატრონობას. იმისი სიძეები კი ნაზირიც და ვეზირიცა დიდი კუჭით არიან, ჩვენ დაგვიტევებსეო ხენწიფე სიმავერიო თავის არიშ-ვერიშსაო და ტახტსაცაო.

ერთ დღეობის დღეეს ამ ხენწიფეს ომი გამუჟცხადეს. ხენწიფე თითონ მიუძღვის თავის ჯაარ, როგორც ჩოვილობა ააქ ხოლმე, და ორივე სიძეები სარდლებათ დანიშნავე. ჯარი ხომ გაამზადეს და ესეც არი ხო უნდა გავიდონ ქალაქგარეთ და გაიხედეს – ბატების მწყეეს აუღია ხელში თავისი ჯოხი და კვაჭინ-კვაჭინით მიყვებავე. ხომ კითხეს, სად მიდიხარო, ასე უპასუხავე, – მინდაო ხო ვნახოვო, რა ამბავი ხთება **(გვ. 30)** ხოლმეო ომიანობაშიაო და იქნებაო მეც გა-მავადვე რამეშიაო სახენწიფოსაო, ცხენებ მაინც მოუვლიო.

მტერი იმისთანა მომზადებული ყოფილიყო თურმე ამ ომის-თვინ და იმისთანა დამლია ამ ხენწიფის ჯარი რომა, შუაზე გაწყვი-ტავე, ისე ამუჟწყვიტეს ამ ხენწიფეს ე ჯარი რომა პირდაპირ გაუნა-ხევრეს. ნაზირმა და ვეზირმა – სარდლებმა ხომ შეხედეს, რომა ჯარი

გაუნახევრდავე, შეეშინდავე და დაიმაღენ, რაკი სარდლები აღარ ჩამდენ, მტერი უმფრო წემეესიავე და ისე ჟლიტამდავე, როგორც ჭია ფანტელას. ხენწიფე უყურებს, ჯარი ნახევარიც აღარ არი, სულ ამუ-უწყვიტა მტერმა, გაიხედა ალაც (ასეა. ნ.ს.) სიძეები ჩამს – სარდლები, გაიფიქრა უცფათა – ალბათაო მამიკლესო სიძეებიო. რა იცოდა, თუ ორივე დამალულები იყვენ, აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, თლათ და-იბნა, რუახი (გონება) დეეკარქა და თლათ იმედი დაიწმინდა.

ბატების მწყესი ხომ უყურებს ყველიფერ ამას და ეს ასე არ უნდაო, ახლა მიყურეთო მე რა ექნაო, – გაიფიქრა თავის გუნებაში; ამოიღო უცფათ ჯიბიდან თავისი გახოვილი ძუა, გახსნა, თავიდგან წაკრული ტყავი მოიძრო, გედმეეკიდა ოქროს ქოჩორი, რა ჯობია იმის შეხედვას? როგორც კი ამ ბიჭმა ძუა გახსნა თვარემა, იქავისე იმის წიინ რაში გაჩდა. მოქრიალობს ე რაში, ასე ხგონია თელი ქვეყანა იქვეაო, ისე ხმაურობს და ზუზუნობს. მოირბინა უცფათ პატრონის წიინ და დადგა ჭიხვინით, ფეხებით მიწას თხრის; ამასობაში აიღო ოქროს ქოჩრიანმა ხელში ჯოხი, ჩასასო მიწაში და იქავისე უცფათ იმის წიინ გაჩათა (*გვ. 31*) თვალეხ ხომ არ უნახია, ორი იმისთანა ხმალი, ერთი ვერცხლისა და ერთი მოყვანილობის ორივე. იმას მოყვა კიდე საომარი ტანფეხი, რაც ეკუთნის ომში სუყველიფერი; იხარე ახლა შენე, ოქროს ქოჩრიანო! უცფათ ჩაიცვა ე ტანფეხი, ორ ხელში ორი ხმალი დაიკავა, შემუახტა ამ რაამ და შიგ შუათანა ადგილზე შევიდა, სადაც რომა გახურებული და ხელდახელი ომიანობა არი.

ოქროს ქოჩრიანის რაში ხომ მირბის, ასე ხგონია ფრინამსო, მტრის ჯაარ ფეხებით წყვიტამს, თელამს, რასაც კი მოხვდება იმისი ფეხი, იქავისე შენი ჭირი მიაქ; ოქროს ქოჩრიანი ორივე ხელებით და ორივე ხმალით ორივე კუთხეზე ისე ხოცამს ამ მტერის ჯაარ, როგორც პური ხომ მოჭრა კაცმა, ისე ჭრისე ყველაკანას თავებ, ისე ამოწყვიტა ოქროს ქოჩრიანმა და იმისმა რაშმა მტერი, ისე რომა მტერმა მოფიქრება ვერც კი მუასწრო, ვინ იყო, ან სიდგან იყო ე რაშიანი კაცი, ციდგან ჩამოვარდა თუ მიწიდგან ამოძვრა, ვერავინ გაიგო. შიშის ზარი დეეცავე და წაღმა-უკულმა წავიდ-წამოვიდენ, სადაც იქა-აქა ცოცხლები დარჩენ მტრის ჯარიდგან და ესენიც დაიმაღენ, გაიპარენ, ჩვენც არ ამოქვხოცოსეო ამ რაშიანმა კაცმაო.

ხენწიფე უყურებს ამ ვაშკაც და უკვირს – სიდაური არიო, ან ვინ არიო ე ბიჭიო, ხომ ასე შეაშინა მტერი და ამოხოცავეო.

ოქროს ქოჩრიანმა ხომ შეხედა, რომა ხენწიფის ჯარმა გაიმარჯვა, ბარუხუუ ბარეხშემო (კურთხევა) თქვაა და თავისი ხელი ხმალით გაიჭრა, ვითამდა ომში დაჭრილი იყოს.

**(გვ. 32)** ხენწიფემ ხომ შეხედა ოქროს ქოჩრიან სისხლი მოდის ხელიდგან თვარემა, იქავისე ჯიბიდგან თავისი პატლუქი ამოიღო თავისი ფეხით მივიდა და დაჭრილი ადგილი ისე შეუხვია; თავისი ოქროს ბეჭედი წამოიძრო ხელიდგან და ისიც თითზე წამუანცვა, დიდისგან დიდი მადლობა გადაუხადა, გადაკოცნა, კითხა – სადაური ხაარო, ან ვისი შვილი ხაარო? ოქროს ქოჩრიანმა უთხრა: სხვა დროოს გაიგებთო. ხენწიფემ ძალა აღარ დაატანა, კიდე აკოცა დიდი მადლობით.

ომი გათავდა, ვინც ცოცხალი გადარჩა, შახში დაბრუნდა, ვინც დაიხოცა ომში და დამარხეს, ყველა წავიდ-წამოვიდა და ყველაკანა ამ ოქროს ქოჩრიანზე ლაპარიკობენ, რავა უკუდმა გააბრუნაო ამ ოჯახაშენებულმა მტერიო, აიო, ვამკაციც მაგ არიო.

ხენწიფე გამარჯვებული დაბრუნდა, სულ ხო არ მეელოდა, ისე გაიმარჯვა ამ ოქროს ქოჩრიანის წყალობით და მტერის დატევებული ბებრი სიდინდრეც წაიღო თან.

ოქროს ქოჩრიანმა ამოიღო მიწიდგან ჯოხი თვარამა, იქავისე გაქრა იმისი ტანფეხი და ხმალებიც; შეახვია ძუაც და ჩაიდვა ჯიბეში, იქავისე რაშიც გაქრა, კურთხეულია სახელი და საკურველობა გამჩენისაგან გამოგზანილი.

ბატის მწყესმა წაივრა თავისი ტყავი თავზე, დაიკავა ხელში ჯოხი და წავიდა თავის შახში ისიც.

ხომ მივიდა თავის შახში, არც ახლა არაფერი არ უთხრა თავის ცოლო, ძალუან დაღალული იყო, იქავისე დაწვა და დეეძინა.

მეორე დღეს, დილა ხომ გათენდა და ხენწიფეს თავის **(გვ. 33)** გუნებაში ხომ უხარია: გამარჯვებული არი და გამჩენმა ღმერთმა ჩაუდვა თავში ი გონება რომა, თავისი მესამე ქალიშვილი, რომენიც ღარიბ ბატების მწყესს წაყვა ცოლათ, მოდიო ერთიო და მოვიბრუნებო გულსაო, ვნახამო რანაირათ ცხოვრობსო. ადგა ჩუმათ, არავის არაფერ გაუტყდა თუ სად მიდიოდა, პირდაპირ და გულდაგულ იმის შახში მივიდა. მივიდა ქალიშვილთან, ძალუან გეეხარდა მამის ნახვა ამ გოგოს, ობლობაში უდედოთ ისე ყავდა მამას გაზდილი ისი, რომა ხელის გულზე აროინებდა, მეეჯიგრათ ერთმანეთი ხომ ნახეს,



ამტენი ხნის უნახავებმა და გედევხვიენ ერთმანეთ მამა და შვილი. კარქა ხომ მოიჯერეს გული და დაჯენ ორივე, ხენწიფემ მიიხედ-მო-იხედა, თვალი გადაავლო ყველიფერ, გაიხედა, რას შეხედამს: კაც ძინამს ლოგინში და ხელი მალლა აუწევია, რომენიც შეხოვილი უჩამს, გაუკვირდა, არ ეგონა თუ თავისი სიძე იყო, კითხა ქალიშ-ვილი: ე კაცი ვინ არი, შვილო, ამ შენ ლოგინში ხომ ძინამს?!

– შენი სიძე არი, მამა ჩემო, ვერც კი იცანი!

– რიტომ წევს მერე?

– დაღალული მოვიდა და ისვენებს, ცოდო არი, დაიძინოს.

ხენწიფემ იცნო სიძის ხელზე შეხოვილი თავისი პატლუქი, მი-ვიდა და უმფრო ახლოდგან დააკვირდა: შეხედა სიძეს, ხელზე თავი-სი ნაჩუქარი ოქროს ბეჭედიც ამას ანცვია, მეტი ვეღარ მოითმინა ამ ხენწიფემ, გააღვიძა სიძე და **(გვ. 34)** იქავისე შეეკითხა, ვინ მოგვარო ე ბეჭედიო და ხელზე ე პატლუქი ვინ შეგიხვიაო. სიძემაც ზდილობიან-ნათ უპასუხა:

– ჩემა სიმაგრმა მაჩუქა.

– აპა შენ იყავი ი ოქროს ქოჩრიანი, ხომ დატრიალობდი და იმოტენი მტერის ჯარი ხომ ამოწყვიტე!

– ხოო, კი ბატონო, მე ვიყავი, ავათ ხომ იყავი, ვინ მოგარჩინაო, რა გითხრეს შენმა სიძეებმა, ვინ გამოგვატანაო ირემის ხორციო და რძეო, არ გაამხილეს ალბათ.

– არა, არაფერი არ უთქვიავე, რითი დაამტკიცებ მაგას, შენი გამოტანებული ხომ არი, აპა მითხარი!

– ჩემო სიმაგრო, ჩემ ქვისლებ ორივეს მარჯვენა ყურის ბიძბი-ლოები გაუჭერი და ორივეს საჯდომის დუნდულეები ჩემი რაშის და-ლით დაუდაღევე. როიცა ინებებ, განახებ.

ხენწიფეს გეხარდა ე მესამე სიძე ხომ ამისთანა ბედნიერი ყო-ლია, მეხვია-გადაკოცნა და შეეხვეწა რომა, ჯერეც კიდე ნურაფერ გაამხელო და მე ისე მოვაწყობ საქმესაო, ყველამ ხომ გაიგოსო შენი კაი კაცობაო. გემეშვიდობა და წავიდა.

ხენწიფე ხომ მივიდა შახში, იქავისე ბმანება გაცა, რომა დი-დიდგან დიდი წოვილობა უნდა გადავიხადოვო და თელი ჩემი სა-ხენწიფოს ერთგულეები ყველაკანა უნდა დემესწროსო ამ წოვილობა-ზედაო. არავის არაფერი არ გაუმხილა, შეუდგენ მზადებას ლხინის-თვინ, დაკლეს ქვეყნის საკლავი, სურიელი, დააცხვეს საუკეთესო

პურები და ხმიანდები და დანიშნულ დროზე კიდეცა (**გვ. 35**) სუყველა უნდა შეკრეფილიყვენ.

ნაზირ და ვეზირ უხაროდავე, ალბათაო ჩვენი სიმავერიო, ტახტ დაგვილოცამსეო და დიდ ამბავში იყვენ. ხენწიფემ გაცა ბძანება რომა, ჩემი ბატის მწყესი სიძეცა და იმის ცოლიც უნდა დემესწრონო წოვილობაზეაო.

დაგიდგა ღია კაი დღე. მოდის და მოთოვს ე დაპატიჟებული ხალხი, იმტენია, იმტენი რომა ველარც კი ეტევიან ამხელა სახკარში. შუა ჭამაში ხომ შევიდენ და ხომ შექეფიანდენ კიდეცა, ხენწიფემ ბძანა: ისრეელიშვილებო, სათითოკაკლოთ მოდით ჩემთან, ჩემ წიინ ქუდი მოიხადეთ და სუყველაკანამ თითოთოთ კიდე ნიფხვებიც ჩაიხადეთ.

გაუკვირდავე, ხომ არ გადირიო ე ხენწიფეო, რას ლამისო ამასაო, მაგრამა მეტი რა გზა ქონდავე; გრულიაშემო შემორტყმული იყო ხენწიფის ერთგული ჯარი, ვერვინ ვერ მუახერხებდა გაპარვას. დაბძანდა ხენწიფე თავის ტახტზე, მიდიან ე კაცები სათითაოთ, იხდიან ქულდ. დახედამსე ხენწიფე, მარჯვენა ყურზე; ჩაიხდიან ნიფხავ, დახედამსე დუნდულზე და მერე გაუშვებენ მეორე კარებიდგან. ასე ჩამუათავეს ყველა სტუმრები, არვის არა ქონდა არც ყურის ბიმილო გაჭრილი და არც დუნდულზე დაღი.

ნაზირსა და ვეზირ აციებს, სიმწრით ეს რა ამბავი არიო ჩვენ თავზეაო, ვაი თუ ჩვენც გვითხრასო და იმალებიან, არ კადრულობენ მოსვლას ხენწიფესთან. ბოლოს ყველაკანა ხომ მუათავა და ვერავის უნახა ნიშანი, დაუძახა ორივე სიძეებ და უთხრავე: ახლა კი სუყველაკანამ უნდა ნახოს ამ სტუმრებმა, თუ ვინ (**გვ. 36**) გამოგატანავე თქვენე ჩემ მოსარჩენათ ირემის ხორცი და რძე! მოხადა ორივეს ქუდეები, ყველას შეახედა, რავა ქონდავე ბიმილოები გაჭრილი; ჩახადა ორივეს ნიფხვებიცა და იმასაც შეახედავე, რანაირათ ქონდავე ორივე სიძეებ დუნდულები დადაღული რაშის დაღით.

ხენწიფე (ასეა. ნ.ს.) გამოუცხადავე თავის ხაალხ, რაც მოხთა, ისიც უთხრავე, რომა ომის დროოს რავა დაიმაღენ ნაზირიც და ვეზირიც და ე მესამე სიძე კი ბატების მწყეესი თავისი რაშითა და ორი ხმალით რანაირათ ეძგერა იმ მტეერ და გაანადგურავე, სულ ამოჟლიტავე. ყველას გაუკვირდა ამ ამბავის გაგონება, თითონ მწყესის ცოლსაც კი გაუკვირდა, იმიტომ რომა, ქმარი არაფერ არ ეუნებოდა

და რა იცოდა. ნაზირი და ვეზირი გაწბილებული და პირგაშავებული მიიმაღლენ ძირკუთხეში, იმათი ცოლები – ძვირფას ტანფეხში ჩაცმულ-დახურულები – გაისუსენ, გაიგონეს იმისთანა ამბავი ხომ არ მეელოდენ, რაღა ხმა ემეელებოდავე.

ხენწიფემ ხმამაღლა დაიძახა: ჩემო ერთგულო ჯამათო, აპა, ახლა თქვენ თითონ თქვით, ვის ეკუთნის ჩემი ტახტი და ჩემი ყოფა-ცხოვრება, ვინ დაიმსახურა, ხომ იხენწიფოს?

– ოქროს ქოჩრიანმა სიძემ. – ერთხმათ დაიგრიალა ხალხმა. სიძემ თავზე წაკრული ტყავი მოიძრო. ოქროს ქოჩრიანმა დაასო თავისი ჯოხი, იქავისე გაჩდა იმის წიინ სახენწიფო ტან-ფეხი, ოქროს ქამარ-ხანჯალი; ამოიღო ჯიბიდგან ძუა, იმის წიინ რაში გაჩდა ჭიხვი-ნით. სუყველამ შეხედეს, რისი მოქმედი ყოფილა ე მებატე.

ხენწიფემ დასვა ტახტზე ოქროს ქოჩრიანი სიძე, ჩააბარა **(83-37)** იმასავე თელი სახენწიფო საქმეები და იყვენ მამაშვილურათ, ბედნიერათ, იცხოვრეს ტკბილათ, მოშენდენ და მომრავლდენ, აბრაამ აბინუს ჩამამავალი, სულ წყაროს წყალივით მიდიოდენ წინ.

ნაზირი და ვეზირი, პირგაშავებული, გამწვარი, თავისი ცოლ-შვილიანა გადაიკარქენ და აღარც დანახებიან იმ სახენწიფოს თვალით.

ხენწიფე მიიცვალა ძალუან მოხუცებული მაგრამა, იმისი მოადგილე სიძე, იმაზე უკეთესად შეუყვარდა ხალხ და კიდევაც აფასებდენ.

*ნათქვამი ხავა ხახანაშვილისა. ქუთაისი.  
1940 წელი. აგვისტო*

## შემოკლებანი

**ნ.ს.** – ნარგიზა სურმავა

**რ.ე** – რეუვენ ენოხი (რუბენ ენუქაშვილი)

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

ს. გ უ მ ბ ე რ ი ძ ე – არსებით სახელთა ბრუნების პარადიგმები ებრა-  
ელთა ქართულში.....3

S. G u m b e r i d z e – Noun Declension Paradigms in Jewish  
Georgian.....33

მ. ფ ა ღ ა ვ ა , ზ. შ ა შ ი კ ა ძ ე – ტაოს ონომასტიკა ოსმალურ წყარო-  
ებში.....34

M. P a g h a v a , Z. S h a s h i k a d z e – Tao Onomastics in Ottoman  
Sources .....63

ქ. ქ ი რ ი ა , ნ. ა ხ ა ლ ა ი ა – სახელის ფუძის საკითხი სალიტერა-  
ტურო ქართულსა და მეგრულ-ლაზურში .....64

Ch. K i r i a , N. A k h a l a i a – The Issue of the Nominal Base in  
Literary Georgian and Megrelian-Laz.....93

ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი – სტეფანე ჩხენკელის მიერ ჩაწერილი ლაზურ-  
რი ტექსტები (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცუ-  
ლი მასალების მიხედვით).....94

N. S h a v r e s h i a n i – Lashkhian Texts Recorded by Stephane  
Chkhenkeli (Based on the Materials Preserved in the  
National Archives of Georgia) ..... 105

ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი – მეტსახელთა სტრუქტურულ-სემანტიკური  
ანალიზი კახურში სოფელ ველისციხის  
მაგალითზე ..... 106

N. Sh o s h i a s h v i l i – Structural-Semantic Analysis of Nicknames in Kakhetian on the Example of the Village of Velistsikhe .....	135
ბ. ც ი ხ ი შ ვ ი ლ ი – მეტგვარი სახელების წარმოება კახეთში მი- გრირებულ მთიულ-გუდამაყრელებში.....	137
N. Ts i k h i s h v i l i – The Production of Surname-Nicknames Among Mtiuletian-Gudamakrians Migrated to Kakheti.....	150
მ. ხ უ ბ უ ნ ა ი ა – მეტრიკული დრო მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში: ენობრივი ასახვის სიხშირული განაწილების პრინციპები .....	151
M. Kh u b u n a i a – Metrical Time in Megrelian Folk Literature: Principles of Frequency Distribution of Linguistic Reflection .....	164
ქუთაისელ ებრაელთა ქართული (ტექსტები). – (ჩაწერილია რ. თავდიდიშვილის მიერ) .....	165

### I რვეული

1. ძველების გამყიდველი .....	170
------------------------------	-----

### II რვეული

2. ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე .....	176
3. იოსეფი – დამაპატიოსნებელი შაბათისა.....	180
4. იეკუთიელ მხატვარი.....	185
5. ორი ძმა.....	187
6. ორმოცი წლის თავზე.....	193
7. ვაშკაცის სიბრძნე.....	200

III რვეული

8. უდარდელი კაცი .....	203
9. სულამითი .....	219

IV რვეული

10. ფარჩხების მხიკავი.....	232
11. დაკვირვებული კაცი .....	245

VI რვეული

12. ბატონის სანატრელი.....	251
----------------------------	-----

V რვეული

13. დარიბი კაცის ამბავი (სიმმარის ახსნა) .....	259
14. ბატის მწყესი .....	268